K 210 712
3



მოკონებები

აკაკიზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჟოგონელეული
ალალიფგე

1939-2000
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა
„საქართველო“
თბილისი, 1990

83.3 Гр 1
8 802

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მოგონებათა კრებულს დიდ მგოსანზე. მოგონებათა ავტორები არიან აკაკი წერეთლის თანამედროვე ცნობილი ქართველი მწერლები, თეატრალური და საზოგადო მოღვაწეები, პოეტის ახლო ნათესავები, მეგობრები და თანასოფლელები. წიგნში შეტანილი მოგონებანი ნათლად წარმოგვიდგენს აკაკის პიროვნებას, მის მრავალმხრივ მოღვაწეობას, მთელ მის ცხოვრებას.

კრებული ეძღვნება დიდი ქართველი მწერლის დაბადების 150 წლისთავს.

შემდგენლები:

შოთა ბარამიძე, ანდრო ლომიძე

სპეგ-2000
შემოწმებულია

4603020000—075
Ґ————————194—90
М 601 (08) 90

ISBN 5-529-00926-3

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვეთა მოგონებები დიდ მგოსანზე

მოგონებათა წიგნი ეძღვნება ღირსშესანიშნავ თარიღს — ჩვენი ხალხის დიდი შვილის — აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავს.

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყო უდიდესი ფიგურა XIX საუკუნის საქართველოში. მისი კოლოსალური შემოქმედება გზას უნათებდა საქართველოს წარსულში და მუდამ იქნება პოტენციური ძალა უკეთესი მომავლის მოპოვებისათვის ბრძოლაში. აკაკი წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობა ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ქართული მწერლობისა და ცივილიზაციის ისტორიაში.

მოგონებათა კალეიდოსკოპში რელიეფურად გამოკვეთილია აკაკის ბიოგრაფია, ისტორიული ფაქტები, ლიტერატურული მოვლენები.

მოგონებებში გადმოცემულია არა მარტო აკაკის მრავალმხრივი მოღვაწეობა, არამედ აკაკის თანამედროვე პროგრესულ მწერალთა, პუბლიცისტთა და მოაზროვნეთა ღვაწლი, ცალკეული ფაქტები და დეტალები, რომლებიც თავის დროზე მწერლობაში გახმიანებული იყო.

მოგონებათა ავტორები არიან ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, აკაკის ნათესავები, მეგობრები, თანასოფლელები. ზოგიერთი მათგანი წერა-კითხვის უცოდინარია და აკაკის ცხოვრების ეპიზოდებს გვაცნობს კარნახით, მეხსიერებაში შემორჩენილი წარსულის ცოცხალი სურათების გადმოცემით. მადლობის ღირსია ყველა ავტორი, ვინც შეძლებისდაგვარად იზრუნა და გადმოსცა აკაკის პიროვნული პორტრეტი, მისი სულიერი ხვეულები.

კრებულში მოთავსებული მოგონებები ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას აკაკი წერეთლის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს.

პოეტის უახლოესი მეგობრის, ექიმ ივანე ელიაშვილის მოგონება[1] მდიდარ და საყურადღებო მასალას გვაწვდის აკაკის ცხოვრებაზე. მოგონებაში აღწერილია აკაკის გარეგნობა, ელეგანტური ფიგურა, ჩაცმულობა. საინტერესოდაა გადმოცემული აკაკის აღმაფრენის წუთები — „მუზის მოლოდინი".

წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს აკაკის თაყვანისმცემლის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, პროფესორ მოსე თოიძის შეხვედრა პოეტთან.

საქართველოს სახალხო მგოსანი, სამშობლოსა და ერისაგან მრავალგზის დაჯილდოებული აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი მოგონებაში მისთვის ჩვეული ორიგინალობით გადმოგვცემს აკაკის გაცნობისა და ლიტერატურული ურთიერთობის ეპიზოდებს.

---

[1] სარჩევში მითითებულია, საიდან არის გადმობეჭდილი კრებულში შეტანილი მოგონებანი.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის თავის მემუარულ ჩანაწერებში აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. იგი ეხება აკაკის თეატრალურ მოღვაწეობას, ეხებიტებს ინტელიგენტთა საღამოებსა და ოჯახებში, სადაც აკაკის ფასდაუდებლად ეგებოდნენ, წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში, საადგილმამულო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე, სადაც იკრიბებოდა ქართველი ინტელიგენციის ელიტა, იმართებოდა დისკუსიები.

საყურადღებოა თედო სახოკიას მოგონება. მასში სკრუპულოზურად გაშუქებულია აკაკის ხშირი სტუმრობა ლიზა (ელისაბედ) მარჯანიშვილის (კოტე მარჯანიშვილის დედის) ოჯახში, სადაც ყოველთვის მზად ხვდებოდა ცისფრად მორთული ოთახი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

რომანტიკულ ფერებშია წარმოდგენილი პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის მოგონება აკაკიზე. პოეტი დაახლოებული იყო და შინაკაცად ითვლებოდა ნიკო ნიკოლაძის დების — კატოსა და ანიჩკას ოჯახში, რომლებიც ქუთაისში პედაგოგიურ და საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდნენ. კირილე ლორთქიფანიძის თქმით, მათი „რიონისპირა პანსიონი" აკაკის ლიტერატურულ სალონად იყო მონათლული: პოეტი კითხულობდა თავის თხზულებებს — ლექსებსა და პოემებს, ამავე დროს აკითხებდა პანსიონის მოსწავლეებს.

ეცნობით ამ საინტერესო ამბებით დატვირთულ მოგონებათა ფურცლებს და თქვენს თვალწინ წარმოდგება „სავარდო და სამაისო ქუთაისი", ნიკო, კატო, ანიჩკა, რუსუდან ნიკოლაძეების, ოლღა და დავით გურამიშვილების, კირილე ლორთქიფანიძის ღიმილით განათებული სახეები.

საინტერესოა ვარინკა წერეთლის მოგონება, თუ როგორ შექმნა აკაკის დაეალებით გიტარის აკომპანიმენტზე „სულიკოს" მელოდია. გახარებულმა აკაკიმ ვარინკას აჩუქა თავისი პორტრეტი წარწერით: „ჩემს საყვარელ ბულბულს, სულიკო-ვარინკას, აკაკისაგან".

ილია ზურაბიშვილის მემუარულ სტრიქონებს ნათელ შუქად გასდევს აკაკისადმი უმაღლესი თაყვანისცემა. მოგონებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აკაკისა და ილიას ურთიერთობას. ავტორი დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ილიასა და აკაკის შორის ანტაგონისტურ განწყობილებას არავითარი რეალური საფუძველი არ ჰქონდა, რომ ეს აზრი შურისმაძიებელთა და ღვარძლისმთესველთაგანაა გავრცელებული და ამდენად ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

გრიგოლ რობაქიძე თავის მოგონებაში ხაზს უსვამს, თუ რაოდენ ბუმბერაზია აკაკის ფენომენი და თვალუწვდენელია მისი პოეზიის სიმაღლე.

სერგო კლდიაშვილი ახასიათებს აკაკის, როგორც ლირიზმით სავსე ხმის მქონეს, დიდებულ დეკლამატორს, რომლის მოსმენა სულიერ თრთოლვას განაცდევინებდა მსმენელს.

ცნობილი პუბლიცისტი, რედაქტორი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე სამსონ ფირცხალავა თავის მოგონებებში მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს აკაკის ცხოვრებაზე. აკაკის ოლიმპიური სახე მას ჯერ კიდევ გიმნაზიელობის გაზაფხულზე უნახავს ქუთაისში, ხოლო შემდეგ სისტემატურად ხვდებოდა მას, როგორც პუბლიცისტი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მდივანი.

მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია მაკო საფაროვა-აბაშიძის მო-

გონებანი. ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოაჩინა აკაკიმ მომავალ სახელოვან მსახიობში არტისტული მონაცემები, მისი რეკომენდაციითა და დაჟინებული მოთხოვნით როგორ ჩაეწერა მუდმივ თეატრალურ დასში და გადაწყდა მისი მომავალი. მოგონებაში ვეცნობით აგრეთვე ჩანასახად ... მარეობაში მყოფი ქართული თეატრის გაჭირვებასა და ტკივილებს, აკაკის სარეჟისორო მოღვაწეობას.

ნინო ჩხეიძე ხაზგასმით აღნიშნავს აკაკის სასცენო მოღვაწეობას ქართულ თეატრში და აფასებს მას, როგორც ხელოვნების დიდ მცოდნეს.

ნიკო გვარაძე თავის მოგონებაში მოგვითხრობს პოეტის ფანატიკურ დამოკიდებულებაზე ქართულ თეატრთან, მის რეპერტუართან, ქართველ მსახიობებთან. მოგონებაში ნათქვამია, რომ აკაკი თავისი ღარიბი ჯიბიდანაც ეხმარებოდა მატერიალურად ხელმოკლე მსახიობებს, რომ თეატრი არ მიეტოვებინათ, არ გაფანტულიყვნენ და არ გამოკეტილიყო ქართული თეატრის კარი. აკაკიმ, ნათქვამია მოგონებაში, თავისი რეჟისორობისას მსახიობებთან პირველ შეხვედრაზევე ჩამოაყალიბა აქტუალური სამოქმედო პროგრამა, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ მსახიობები უნდა დაუფლებოდნენ დახვეწილ, რაფინირებულ ტკბილქართულს, გაეზეპირებინათ თავიანთი როლები, შეგნებულად სცოდნოდათ პიესის ლაიტმოტივი და რეჟისორთან შეთანხმებულად ემუშავათ. დასახული ღონისძიების განხორციელებამ დიდ ეფექტს მიაღწია, ქართული პროგრესული პრესაც ხმამაღლა ალაპარაკდა და თავიანთი რეცენზიებით მხურვალედ ულოცავდნენ აკაკის რეჟისორულ გამარჯვებას.

აკაკის აზრით, „თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი... სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, რომ, სანახაობით მოხიბლულნი, მშვენიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და და უშვერებას ზიზღით გავურბოდეთ“.

მოგონებაში ასახულია, თუ როგორი დიდი ზეიმით აღინიშნა 1908 წელს აკაკის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელშიც ქართველებთან ერთად დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინეს სხვა ერთა მოწინავე შვილებმა — სომხებმა, ებრაელებმა, უკრაინელებმა, აზერბაიჯანელებმა, რუსებმა...

ყურადღებას იქცევს დავით კლდიაშვილის სიტყვა ქუთაისში, აკაკის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული. მასში ხაზგასმულია აკაკის, როგორც ქართველი ხალხის უანგარო ჭირისუფლის, მისი თავისუფლებისა და კონსოლიდაციისათვის გაბედული მებრძოლის მოღვაწეობა.

ალექსანდრე აბაშელი თავის მოგონებაში მიუთითებს, რომ აკაკი დაინტერესებული იყო ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებით. აღსანიშნავია, რომ აკაკის დიდი წვლილი მიუძღვის ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვების საქმეში. ამ ეროვნული საქმის წამოწყებაში მან ჩაბა არა მარტო ინტელიგენცია, არამედ ქართული ფოლკლორის მოყვარული ძალებიც. ამიტომ იყო, რომ მაშინ პრესაში რეგულარულად გამოანათებდა ფოლკლორული პუბლიკაციები. თვით „აკაკის კრებული“ მდიდარია ასეთი უნიკალური მასალებით. ეს დიდი საშვილიშვილო საქმე დღესაც წარმატებით გრძელდება.

ალ. აბაშელის მოგონებაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე აკაკის დამო-

კიდებულება ახალგაზრდა პოეტებთან. მოგონებაში აღნიშნულია, რომ აკაკიმ ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, ს. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, ა. ბაშელის მხატვრული შემოქმედება მიუდგომლად, ობიექტურად შეაფასა, უაღრესად სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცა მათ და ამით გზა გაუკაფა და გაუნათა პოეზიის მაღალი მწვერვალებისაკენ.

მოგონებათა კრებულში ქართული მხატვრული პროზის დიდოსტატი ლევან გოთუა მისთვის ჩვეული მომხიბლავი ორიგინალური თხრობით, მხატვრული კოლორიტით და ღრმა ფსიქოლოგიური ემოციებით გადმოგვცემს აკაკის სიკვდილით გამოწვეულ ეროვნულ მწუხარებას, როცა ქართულ მიწაზე მცხოვრები ყველა ერის შვილი მწუხარებით დამძიმებული მთაწმინდის პანთეონისაკენ მიაცილებდა მგოსნის ცხედარს.

საზოგადო მოღვაწე და დიდი ერისკაცი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" სახელოვანი რედაქტორი იოსებ იმედაშვილი თავის მოგონებაში შთამბეჭდავად აღწერს აკაკის ცხედრის გადმოსვენებას მშობლიური საჩხერიდან თბილისში. საჩხერის სადგურზე გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე ი. იმედაშვილმა წარმოთქვა გულის შემძვრელი სიტყვა: „საყვარელო აკაკი! შენ გვიმოძღვრებდი, რომ „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო!.." აკაკი მთლიანი საქართველოსათვის იბრძოდა, მთლიანი საქართველოს გული თბილისია, ხოლო ამ მთლიანობის მოციქული აკაკი ამ გულში უნდა დაიკრძალოს".

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებაში ვრცლად არის წარმოდგენილი აკაკის უმწიკვლო ღვაწლი, მდიდრულად არის ფიქსირებული მისი მრავალნაირი დამსახურება. ს. მგალობლიშვილის აზრით, აკაკი საქართველოა მთელი თავისი სატკივარით, იგი თვით ქართველი ერია, ხალხის ხსოვნაში საოცარ ხატად აღბეჭდილი. მოგონებაში აღნიშნულია, რომ აკაკის პოპულარობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ხალხში გასვლამ. იგი ყოველ წელს ესტუმრებოდა ქართლსა და კახეთს, იმერეთსა და სამეგრელოს, იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. აკი თვითონვე წერდა „საქართველოს კარგად ვიცნობ, მომივლია კიდით-კიდე".

აკაკის გარდაცვალებით გამოწვეულ საქართველოს განუზომელ გლოვასთან დაკავშირებით ს. მგალობლიშვილი წერდა: „გამოგვაკლდა აკაკი, მაგრამ მაინც ვერ ვეტყვი ჩემს ტურფა ქვეყანას: „ვაი, შენ, აკაკის დამკარგავსა! არა, მე, პირიქით, შევღაღადებ სამშობლოს: „ვაშა, ვაშა შენ, ტურფა ქვეყანავ, სამშობლოვ ჩვენო, წარმოშობისთვის დიდებულის აკაკისა... ვაშა შენ ამისთანა ადამიანის შობისათვის! არ მომკვდარა საქართველო, შენით ცოცხლობს იგი, ახალო რუსთაველო!" ეს იყო ეროვნული სიყვარულით დამუხტული სიტყვა, მომავლის ნათელი პერსპექტივით განათებული.

კრებულში წარმოდგენილ აკაკი წერეთლის თანამედროვეთა მოგონებებს წითელი ზოლივით გასდევს განსაკუთრებული პატივისცემა და მოკრძალება დიდი მგოსნისადმი. მოგონებებში წარმოჩენილია აკაკის პოეტური და პერსონალური პორტრეტი, მისი გრანდიოზული დამსახურება ერის წინაშე.

შ. ბარამიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის შარავანდედი

აკაკი პირველად დავინახე ტფილისში 1909 წელს. მაშინ გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული ვიყავი, ლექსებს ჯერ კიდევ არ ვბეჭდავდი და მწერლობასთან კავშირი არ მქონდა.

ერთ საღამოს ქართულ თეატრში წავედი (ახლანდელ ვოროშილოვის სახელობის კლუბი). ადგილი ქანდარაზე მქონდა. არ მახსოვს რა პიესას თამაშობდნენ. დარბაზში ელექტრონი ჩაქრა და ფარდის აწევის მოლოდინში ხალხის ჟრიამული მინელდა.

უცებ პარტერიდან მომესმა ჩურჩული: აკაკი! აკაკი! ტანში მოულოდნელი სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა. გადმოვიღე ქანდარიდან თავ-კისერი და დავაშტერდი პარტერს, მაგრამ ბნელოდა და ვერაფერი დავინახე. ოდნავ იყო მხოლოდ განათებული რამპის შუქით პირველი რიგი.

რამდენიმე წამის შემდეგ ბაჯბაჯით შემოვიდა ამ რიგში ახოვანი მოხუცი, რომლის საოცარმა ჭაღარამ, ნათელ შარავანდედს რომ უფრო ჰგავდა, ვიდრე თმა-წვერს, თითქოს განათა იქაურობა. მოწიწებით ეგებებოდნენ და ხელს ართმევდნენ პირველ რიგში მსხდომნი, სანამ იგი თავის სავარძელთან მივიდოდა.

დაჯდა და ფარდაც შრიალით ავარდა. მთელი წარმოდგენა ისე გათავდა, რომ მე ერთი სიტყვაც არ მომისმენია სცენიდან და ამიტომ არც მახსოვს პიესა, — დავცქეროდი აკაკის, გაფაციცებით ვიჭერდი ყოველ მის მოძრაობას და შურით შევყურებდი მის ბედნიერ მეზობლებს, რომელნიც ხან მარჯვნიდან გადმოიხრებოდნენ მისკენ და რაღაცას ეჩურჩულებოდნენ, ხან მარცხნიდან.

ყოველ ანტრაქტზე ჩამოვრბოდი ქანდარიდან პარტერში და გაურკვეველი შიშითა და სიხარულით სავსე ვიდექ გარანდული აკაკის შორიახლო და ყურს ვუგდებდი მის ლაპარაკს, ის კი ბევრს ლაპარაკობდა. მის ირგვლივ მდგომნი თითო-ორო-

ლა სიტყვას თუ ჩაურთავდნენ ბაასში, ისე კი საუბრის სა-
დავე მას ეჭირა.

შემდეგ, როცა უფრო ხშირად ვხვდებოდი აკაკის, უმთავ-
რესად გრიგოლ დიასამიძის სახლში, შემინიშნავს, რომ რაც
უნდა ბევრი ხალხი ყოფილიყო მის გარშემო, თუნდაც ვინმე
საიდანმე ახლად ჩამოსული და დიდი საინტერესო ამბებით
დატვირთული, ყოველთვის, რამდენიმე სიტყვის შემდეგ, სა-
უბრის ძაფი გადადიოდა აკაკის ხელში და ბოლომდე ის რჩე-
ბოდა უცვლელ დირიჟორად. ლაპარაკობდა დინჯად, ხმაუ-
მაღლებლად, ყოველთვის მოზომილად და თავდაჭერილად.
კვიმატი ენა ჰქონდა, მაგრამ ტკბილი თხრობის კილოში
მჩხვლეტავ ეკლის სიმწარეს ისე გაურევდა, რომ თვით ისარ-
ნაკრავიც იხიბლებოდა მოსწრებული სიტყვებიდან მოულო-
დნელად დაკვესილ ცინცხლების სილამაზით.

ეს ყველაფერი შევნიშნე მერე, იმ საღამოს კი, აკაკისთან
ახლოს ყოფნით აღელვებულს, ხეირიანად არც კი მესმოდა
მისი სიტყვების აზრი.

ჩემი დროის ახალგაზრდობა მეტისმეტი კრძალვითა და
რიდით ეპყრობოდა დიდ სახალხო ავტორიტეტებს. იმ დროს
მე გამოვლილი მქონდა პოლიტიკური ბრძოლის ქარიშხალი,
რა თქმა უნდა, ჩემი ძალ-ღონისა და უნარის შესაფერისად,
დავლილი მქონდა რუსეთის ციხეები და ჩრდილოეთში გადა-
სახლების სიმწარეც განცდილი, არც ისე ახალგაზრდა ვიყა-
ვი, — 24 წლისა, — მიუხედავად ამისა, იმ წამს ჩემთვის
თითქმის მიუწვდომელი ბედნიერება იყო ფიქრი იმაზე, რომ
ოდესმე გავმხდარიყავ აკაკის გვერდით ჯდომისა და მასთან
საუბრის ღირსი. და ამიტომ ყველა ეს ხალხი, აკაკის რომ
გარს ეხვია და სახეში შესცინოდა, მე მიმაჩნდა ჩემთვის
მიუწვდომელ სიმაღლეზე მდგომ ადამიანებად.

ახლანდელი ახალგაზრდობა, საბედნიეროდ, მოკლებულია
ამ ფსიქოლოგიურ კერპთაყვანისმცემლობის გრძნობას და მას,
სხვა ყოველ სიკეთესთან ერთად, რევოლუციამ მისცა ამაყი
ნებისყოფა და უშიშარი თვალები. ახლა ცნობილ მსოფლიო
ავტორიტეტს მაქსიმ გორკის ახალგაზრდები გაბედულ წერი-
ლებს სწერენ, უკრძალველად საუბრობენ მასთან, როგორც
უფროს ამხანაგთან და ხშირად კადნიერადაც შეეკამათებიან
მას...

მაგრამ ჩემს დროს ახალგაზრდობას აკლდა დიდი ავტორიტეტების მიმართ ეს გამბედაობა. აკაკის კი უდიდესი პოეტის უზარმაზარი სახელი ჰქონდა და ამასთან ყოველი ჩვენგანის გულში ვერცხლის ეჟვანივით წკრიალებდა მისი ჩონგურის დამატკბობელი სიმები... დიდ მოკრძალებას ერთვოდა დიდი სიყვარული და განცვიფრება და ამიტომ ენადაბმულ შეყვარებულივით შევსცქეროდი აკაკის ნათელ ჭაღარას.

მაინც ზოგი რამ მისი სიტყვებიდან ჩამრჩა გულში. აკაკი იმ საღამოს რომელიღაც მსახიობს ქართულს უწუნებდა. ზოგიერთ გამონაკლისს გარდაო, — ამბობდა იგი, — ჩვენი მსახიობები ვერ შეეჩვივნენ სცენაზე ლიტერატურულ ქართულსო. მაყურებელმა ვერ უნდა შეატყოს სცენაზე მსახიობს, საქართველოს რომელ კუთხიდან არის იგი, იმერეთიდან თუ ქართლიდან. ჩვენი მსახიობების უმრავლესობას კი ბავშვობიდანვე აჩემებული შინაური კილოკავი ვერ მოუშორებია და ინგლისელსა და დანიელს იმერულად ან ტეტიურად ალაპარაკებსო.

— მაინც მხოლოდ ქართული თეატრიდან ისმის საუკეთესო ქართულიო, — შენიშნა აკაკის მოსაუბრემ.

— მართალია, მაგრამ ეს მოწინავე მსახიობების მეოხებითო, — მიუგო მან, — დიდი სასცენო ნიჭი ენობრივ დაბრკოლებასაც ადვილად სძლევს. მაგალითად, როცა ლადო მესხიშვილი რუსეთიდან დაბრუნდა, პირველ ხანებში მას ქართული არ უვარგოდა, შემაძრწუნას მაგიერ — „შემაწრწუნა“-ს ამბობდა, მაგრამ ახლა ნახეთ, როგორი სანიმუშოა მისი ქართული მეტყველებაო...

იმ ხანებში მე ისევ მეტეხში ამოვყავი თავი, სასჯელი მომახდევინეს გადასახლებიდან თავის ნებით დაბრუნებისათვის. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დავიწყე ლექსების წერა და ბეჭდვა.

1911 წელს გაზ. „თემი“-ს რედაქციის თაოსნობით მოეწყო სალიტერატურო კონკურსი ლექსებზე. მეც მივიღე ამ კონკურსში მონაწილეობა.

1912 წლის 16 იანვარს ქართულ თეატრში მოხდა საკონკურსო ჟიურის საჯარო სხდომა. ჟიურის თავმჯდომარედ იყო სიტყვაკაზმული საზოგადოების თავმჯდომარე გრიგოლ რცხი-

ლაძე, საზეიმო სხდომაზე საპატიო თავმჯდომარედ მოწვეული იყო აკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადღით გაზეთში ჟიურიმ გამოაცხადა, რომ ბატონ ერგო ლექს „მზე"-ს, „სატურნი"-ს დევიზითო.

როცა საღამოს არაოფიციალური ნაწილი დასრულდა, ჟიურის სხდომა გახსნა აკაკიმ, რომელსაც გ. რცხილაძემ გადასცა დევიზიანი კონვერტი გასახსნელად. მე ვიცოდი, რომ დევიზი ჩემი იყო, ლექსის სათაურიც, მაგრამ ამ წუთს შიშმა შემიპყრო: ვაითუ კიდევ სხვა ვისმე ჰქონდეს ასეთი დევიზი-მეთქი. მე მომზადებული მოვედი თეატრში პრემიისა და ოვაციის მისაღებად და მოკლე სიტყვაც მქონდა მომარაგებული. ამ სიტყვას, ვიდრე საღამოს საკონცერტო და სალიტერატურო ნაწილი მიმდინარეობდა, ჩუმად გულში ვიზეპირებდი...

აკაკიმ გახსნა კონვერტი, მოიმარჯვა სათვალე და წაიკითხა ჩემი სახელი.

ატყდა ტაშისცემა. მე სცენაზე გამიწვიეს. გავვარდი ფოიეში და ძლივს შევიკავე თავი, რომ არ გავქცეულიყავ თეატრიდან, ისე ამიტანა აკაკისთან პირდაპირ წარდგომის მოულოდნელმა შიშმა.

არ მახსოვს როგორ გავჩნდი სცენაზე. ვხედავდი აკაკის თეთრად მოელვარე სახეს, ღიმილით რომ მომჩერებოდა, მესმოდა ტაშის გრიალი და გული ამოვარდნას ლამობდა.

აკაკი წამოდგა, გადმომცა ფულიანი კონვერტი (პრემია), ჩამომართვა ხელი და მომილოცა.

არასოდეს არ დამავიწყდება ის წრეგარღვეული ბედნიერების გრძნობა, რაც იმ წუთს განვიცადე.

ყველაფერი ამქვეყნად შედარებითია და განცდათა სიმძაფრეც განისაზღვრება მოლოდინის იმ დაძაბულობით, რომლითაც ითვისებ ამა თუ იმ ფაქტს. იმ წუთს მე იმდენად სავსე ვიყავი დაუძლეველი მღელვარებით, რომ მეშინოდა, გული არ წამსვლოდა. ორი თუ სამი წლის წინათ ამავე თეატრში ქანდარიდან დავცქეროდი აკაკის ნათელსა და მიუწვდომელ სახეს და შორით შევყურებდი მის გარშემო მოფუსფუსე ხალხს. იმ წუთს კი მე ვიდექ აკაკის წინ თავდახრილი, ბედნიერებისაგან ატოკებული და ვგრძნობდი, რომ ამიერიდან მეც შევდიოდი, თუნდაც უმნიშვნელო და უკანასკნელ წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, ქართული პოეზიის ბრწყინვალე სამთავროში, სადაც მეფობდა და მბრძანებლობდა იმ დროს აკაკი.

უმწვერვალესი მღელვარების ბურანში მყოფმა თითქოს ვიგრძენ, როგორ მოსწყდა აკაკის ნათელ შარავანდედს ერთი პატარა სხივი და დამეცა თავზე...

დადგა დრო, როცა უნდა მეთქვა წინასწარ გაზეპირებული სიტყვა, მაგრამ ჩემს თავში იმ დროს, ქარბუქით დატრიალებულ თოვლის კორიანტელივით, ქაოტურად დაფრინავდნენ და ელავდნენ მომზადებული მიმართვის ცალკე სიტყვები და მათი წესრიგში მოყვანა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა. მე ვერაფერი ვერ ვთქვი, ისე გავედი სცენიდან, აკანკალებული და ოფლიანი...

შემდეგ ხშირად ვხვდებოდი აკაკის „თემი"-ს რედაქტორ გრიგოლ დიასამიძის სახლში. გრიგოლი პირდაპირ აღმერთებდა აკაკის, მისი უსაზღვროდ თაყვანისმცემელი იყო და აკაკისაც უყვარდა იგი და სიამოვნებით დაიარებოდა მისას, როცა ტფილისში იყო. „თემი"-ს რედაქცია დიასამიძის სახლში იყო, ოლგას (ახლანდელი ლენინის) ქუჩაზე, № 4. ყოველთვის პირველად შენიშნავდა ხოლმე ფანჯრიდან გრიგოლი ეზოში შემოსულ აკაკის, სახე გაუბრწყინდებოდა და წამოიძახებდა— აკაკი მოდისო. ყველანი ფანჯრებს მივადგებოდით: შავ პალტოში, თავზე შავი კრაველის ქუდით, ჯოხით ხელში ნელა მოაბიჯებდა აკაკი და ფანჯრებს მისი ჭალარის შუქი ეცემოდა. შეიძლება ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენოს ჩემი სიტყვები, მაგრამ ვისაც ახსოვს აკაკი, უსათუოდ დამიმოწმებს, რომ ამ დიდებულ ადამიანთან შეხვედრა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს მისგან შუქი რამ გამოსჭვიოდა, თითქოს იგი მთელი სხეულით ანათებდა. აკაკი ოთახში შემოდიოდა, როგორც დაბინდების ჟამს ანთებული სანთელი და თითქოს ფიზიკურადაც იგრძნობოდა მის შემოსვლასთან ერთად სინათლის მომატება...

შემოვიდოდა, ყველას მოგვესალმებოდა, ჩაჯდებოდა რბილ სავარძელში და მოჰყვებოდა ტკბილ საუბარს.

მგონი იმავ 1912 წელს, როგორც მახსოვს, პოეტმა ი. გრიშაშვილმა ქუთაისში გამართა სალიტერატურო საღამო, რაც იმ ხანებში ძალიან იყო გახშირებული. საღამოზე მონაწილეობა მიიღო აკაკიმ. სხვათა შორის ამ საღამოზე მეც ვიყავი

მიწვეული. ვისაც არ უნდა მოეწყო საღამო, თუ აკაკი ლებულობდა მონაწილეობას, ბუნებრივად ის უნდა გამხდარიყო ზეიმის ცენტრად. აკაკიმ წაიკითხა დაუბეჭდავი ლექსი და მთელმა თეატრმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა მას. ახალგაზრდებმაც წავიკითხეთ ახალი ლექსები. აკაკი გულდასმით ვვისმენდა და ფარდის ჩამოშვების შემდეგ ყველას გაგვიზიარა თავისი აზრი ჩვენს მიერ წაკითხულ ლექსებზე. ზოგს ცოტა რამ მოუწონა, სხვას ზოგი რამ დაუწუნა და ტკბილად, მამაშვილურად დაგვარიგა. როცა ჯერი ჩემზე მიდგა, მთხოვა ჩემი ლექსის პირველი სტროფის გამეორება. მეც გავიმეორე:

მომერიდეთ, შხამს ნუ მასმევთ!..
ჯერ არ მითქვამს, რის თქმაცა მსურს!
ნუ მიყურებთ შებრალებით,
ვით უღონოს და უსუსურს!
ჯერ არ იცით, ვის ვუმღერი,
ან რას ვეძებ სევდის ჰანგში,
ჯერ არ იცით, რა ძალაა
ჩემს კაეშნით მოცულს ჩანგში!..

— ეს სტრიქონები, — თქვა აკაკიმ, — გამეორებული გაქვს ლექსის ბოლოშიც — და უნდა გითხრა, რომ არსებითად კარგ ლექსს აფუჭებს ეს უადგილო შესავალი და დასასრული. თუ არ გითქვამს, რის თქმაცა გსურს, ჯერ თუ ვერ მოასწარი ახალგაზრდა პოეტმა საკუთარი სიტყვის მონახვა, ხალხი რა შუაშია, რომ ემუქრები? — მომერიდეთ! ჯერ არ მითქვამს! თქვენ არ იცით! ამგვარი სიტყვებით არასოდეს არ მიმართო ხალხს, რომელიც ყოველთვის აფასებს ნამდვილი პოეტის შემოქმედებას. როცა გამოაჩენ შენი ჩანგის მთელ ძლიერებას, ე, მაშინ თუ არ დაგაფასა ხალხმა, შეგიძლია უსაყვედურო მას, მაგრამ ახლა რა საბუთით, ჩემო?!.

განადგურებული გამოვედი თეატრიდან. ვერ შეანელა ჩემი სასოწარკვეთილება ვერც ამხანაგების ნუგეშიანმა მოწონებამ, ვერც მეორე დღეს გაზეთ „კოლხიდა"-ში გამოქვეყნებულმა რეცენზიამ, სადაც გულუხვი სტუმართმოყვარეობით მაქებდნენ სწორედ იმ ლექსისთვის, რომელსაც ასე ულმობელად წაჭრა თავი აკაკიმ...

1913 წლის 30 მარტს მეც გავმართე სალიტერატურო საღამო ტფილისში, ქართულ თეატრში. აკაკის ვთხოვე მონაწი-

ლეობის მიღება. მან წაიკითხა მოხსენება ხალხური ზეპირსიტყვაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. არ მახსოვს, დაიბეჭდა თუ არა ეს მოხსენება სადმე. ჩვენში ზეპირსიტყვაობის გასაოცარ სიმდიდრეს აკაკი ხსნიდა ჩვენებური ბატონყმობის განსაკუთრებული ხასიათით. გლეხებს ბატონების ბეგარა ემართაო, — ამბობდა აკაკი, — ზოგს ღვინო, ზოგს პური, მაგრამ იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომელთაც ბეგარად ზღაპარი ემართათო. ზღაპრით დაბეგრილ გლეხებს ამგვარი ვალდებულება შთამომავლობით ჰქონდათ დაკისრებული და მათ ოჯახებში თანდათანობით გროვდებოდა დიდძალი ზეპირსიტყვაობა. ამ წესს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საქართველოში ამდენი ზღაპრები და ლექსებია შენახულიო. წაიკითხა რამდენიმე სანიმუშო ლექსი:

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო,
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
დილით ცისკარზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
ფარსაგ ვერ დაგინახეო...

— ქართველმა ხალხმა ამ მშვენიერი ლექსით გამოხატა ღვთისმშობლის კულტიო, — ამბობდა აკაკი, — და ეს ლექსი ისევე შესანიშნავია, როგორც დიდებული რაფაელის მიერ დახატული მადონაო. არათუ დღევანდელ მჯღაბნელებს, და მათ რიცხვში მეც, თქვენს უმორჩილეს მონას, თვით რუსთაველსაც კი არ შერცხვებოდა ამ ლექსზე ხელის მოწერაო, — დაასკვნა აკაკიმ.

მოხსენების შემდეგ ერთმა მწერალმა უთხრა აკაკის:

— ბატონო აკაკი! თქვენ რომ ბატონყმობის დროს გლეხი ყოფილიყავით, ბატონი თქვენზე უკეთეს მოზღაპრეს ვერ იპოვიდაო.

ახალგაზრდა პოეტებს აკაკი მაინცდამაინც არ სწყალობდა. თუ ხანდახან, როცა განსაკუთრებულად ხალისიან გუნებაზე იყო, შეაქებდა ვისმე, იქვე ისეთ რამეს დაატანდა, რომ ქებისაგან არაფერი რჩებოდა.

მახსოვს, ერთხელ იმავე „თემი“-ს რედაქციაში, ილია ნა-

კაშიძემ ახალგაზრდა პოეტებზე ჩამოუგდო ლაპარაკი აკაკის. აკაკი კარგ გუნებაზე იყო და ნაკაშიძის მიერ დასახელებულ პოეტებს ამკობდა ბრწყინვალე ეპითეტებით, თითქოს ბავშვებს შობის ხის საჩუქრებს ურიგებსო.

— ვ ა რ ლ ა მ რ უ ხ ა ძ ე უთუოდ ნიჭიერი პოეტია, — ამბობდა ღიმშეფენილი აკაკი, — კარგად აქვს მოზომილი სიტყვის ძალა და დაკინებით ერთ წერტილს უმიზნებს. იცის, რომ პოეტს, ისე, როგორც მიჯნურს, უნდა „ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს“.

ქ უ ჩ ი შ ვ ი ლ ი ნამდვილი ტრიბუნია, ხალხიდან გამოსული მედროშე.

შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ს ჩინებულად ეხერხება „ლექსთა გრძელთა თქმა“. აქვს პოეტურ შემოქმედების ხვავი.

გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ს ტოლი არა ჰყავს „სააშიკო, სალაღობო“ პოეზიის დარგში, მისი ლექსები საღამოს ციცინათელებივით დაფრინავენ ყვავილებში.

ა ბ ა შ ე ლ ი... — ჯერი რომ ჩემზე მიდგა, აკაკიმ გრიგოლ დიასამიძეს გადახედა. გრიგოლი უზომო პატივისმცემელი იყო ჩემი და ჩემს ლექსებს ყოველთვის გადაჭარბებულად აფასებდა. ეს იცოდა აკაკიმ და ამიტომ, რომც არაფერი ეპოვა ჩემს ლექსებში მოწონების ღირსი, როგორ აწყენინებდა მის მალმერთებელ მასპინძელს და ცუდს რასმე როგორ იტყოდა ჩემზე! — აბაშელი აქ არის და პირში ქებად ნუ ჩამომართმევს და, — აკაკიმ ახლა მე მომანათა თვალები, — სიამოვნებით უნდა გითხრა, რომ სწორ და ნათელ გზაზე დგახარ და ღმერთს მოუმადლებია შენთვის „მართლად ცემის და მარჯვედ ქნევის“ ნიჭი. იარე ამ გზით და უთუოდ გაიმარჯვებ.

— რაღა გიჭირს აწი, — მომმართა სიცილით არისტო ჭუმბაძემ, — აკაკიმ შენს გზას ნათელი მოჰფინა, ამაზე მეტი გამარჯვება რაღა იქნება!..

— თუმცა ისიც უნდა ვთქვა, — უცებ შეუხვია აკაკიმ, — რომ დღევანდელ ახალგაზრდა მგოსნებს აკლიათ დაკვირვების უნარი, ცხოვრების სიღრმეში კი არ ცდილობენ ჩაწვდენას, ზედ დაჰფარფატებენ მღელვარე ზღვას და კი არ იციან, რატომ არის ეს ზღვა აღელვებული. შრომა ეზარებათ, მზამზარეულ ყალიბში ასხამენ თავიანთ ნაფიქრს და რაც პირზე მოადგებათ, ლექსად გადმოანთხევენ...

და აკაკიმ ჩამოუარა მის მიერ დაჯილდოებულ პოეტებს და თითო-თითოდ ყველას უცერემონიოდ აართვა საუბარი.

— ავიღოთ, თუ გნებავთ, იგივე ვარლამ რუხაძე. ღარიბ იმერელ გლეხის პატარა ეზოსავით ვიწროდ შემოუზღუდავს შემოქმედების არე და სოფლის დიაკვანივით გაუთავებლად იმეორებს ერთსა და იმავე „მამაო ჩვენოს“. თითქოს მშრომელ ხალხს ლუკმა პურზე ბრძოლის გარდა სხვა არაფერი აინტერესებდეს. ტყუილია ეს. მშრომელი ხალხის ფანტაზია უსაზღვროა და მრავალფერი. თუ გნებავთ გაიგოთ, როგორი პოეზია მოსწონს ხალხს, მიმართეთ მასვე, მისსავე შემოქმედებას. აიღეთ ხალხური პოეზია, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია თვით მშრომელ ხალხს. რაზე მღერის ხალხი? — შრომაზე და ცხოვრების სიმწვავეზე, ბატონების უღელზე და მბრძანებელთა უგულობაზე, მაგრამ ამავე დროს სიყვარულსა და სიძულვილზე, ვარსკვლავებსა და მთვარეზე, ყვავილებსა და სილამაზეზე, მეგობრობასა და ვაჟკაცობაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეზე; ყველაფერი, რითაც ძგერს ადამიანის გული დაბადებიდან სიკვდილამდე, შედის ხალხურ პოეზიაში. მაშასადამე, ხალხის გული ზღვასავით ფართოა და ნურავინ იფიქრებს, რომ ვინც ქონებრივად ღარიბია, ის სულიერად, ფანტაზიითაც ღარიბია. და თუ ხალხი თვითონ თვალისმომჭრელი ფერადებით ხატავს თავისი გულის მოძრაობას, ის პოეტსაც ასეთსავე სიღრმესა და მრავალფეროვნებას მოსთხოვს. ჩვენი პოეტები არ იცნობენ ხალხურ შემოქმედებას და ამიტომ არის ხშირად ასე ღარიბი ფერადოვნებით დღევანდელი ლექსები. რა ლექსია, მაგალითად, დღეს რომ შანშიაშვილის ლექსი წაიკითხეთ! აბა კიდევ წაიკითხეთ! — მიმართა აკაკიმ მ. წულუკიძეს, რომელმაც გაშალა რომელიღაც ჟურნალი თუ გაზეთი და წაიკითხა შანშიაშვილის პატარა ლექსი. მთელი ლექსი აშენებული იყო ერთმარცვლოვან რითმზე „ირს“.

— გაათავე? შეგიძლია რამდენიც გინდა განაგრძო, ამგვარ ლექსს არც თავი აქვს, არც ტანი და აღარც ბოლო, — თქვა აკაკიმ და ხელად დაუმატა რამდენიმე სტრიქონი:

ლექსის წერა მეტად ჭირს,
თუ წერის დროს იფხან ცხვირს

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დააფჩენ უშნოდ პირს.
რა აყვირებს, ნეტა, ვირს?..
ხომ არ მოსძვრა ტვირთი ძირს?..

— ან რა არის, მაგალითად, გრიშაშვილის „ოქროს ფეხი?“ ხალხი ასეთ შედარებას არასოდეს არ მიმართავს იმ-ტომ, რომ ოქროს ფეხი ყვითელი იქნება და ამ ფერის ფეხი-მტრისას — მხოლოდ მკვდარსა აქვს, და თუ ცოცხალსა აქვს, უეჭველად რაღაც სიბინძურეში ჩაუკრავს...

მე ვგრძნობდი, რომ აკაკი მეც მომწვდებოდა, თუმცა გრიგოლ დიასამიძის იმედი მქონდა. მართლაც, თითქოს იგრძნო ჩემი შიშიო, გრიგოლი თვითონ შეეცადა ჩემი პოეზიის წინასწარ გამაგრებას აკაკის წინაშე და მოულოდნელად ჩაურთო:

— ამ მხრივ აბაშელს წუნი არ დაედება, მისი ყოველი სიტყვა ათასჯერ არის აწონილი.

აკაკიმ თვალები შეაბრიალა დიასამიძეს.

— შენ თუ ვინმე აიჩემე, უთუოდ უცოდველ ანგელოზად წარმოგიდგება. როგორ შეიძლება აბაშელს არ ჰქონდეს ის ნაკლი, რაც ყველასა აქვს? შენ გგონია კარგია, მას რომ სიტყვების აკვიატება უყვარს? „მზის სხივები ჩავაქსოვე“, „შუქი მთვარეს ჩავაქსოვე“, „სხივი წვიმას ჩავაქსოვე“, რა არის ეს, ამდენი ქსოვა?

— რატომ, ბატონო აკაკი, — გამომექომაგა დიასამიძე, — მზის სხივები რომ წვიმას ჩაექსოვება, ცისარტყელა იბადება.

— თუ ჩააცივდები, შე დალოცვილო, მაგ ცისარტყელას, ისე გახუნდება, როგორც ნარმა. მე ვამბობ, სიტყვებს ნუ აიკვიატებ-მეთქი, თორემ თუ სულ ქსოვაზე ილაპარაკე, უფრო ფეიქარი გამოხვალ, ვიდრე პოეტი. ან რა არის, ყმაწვილო, „ყოფნის სევდა?“ — მომიბრუნდა აკაკი ოდნავ მოცინარის სახით. — „ყოფნის საფლავი“, ან „ყოფნის წალკოტი?“.

მე ეს სიტყვა ნახმარი მქონდა ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნის“ აზრით, რუსულ „бытие“-ს შესატყვისად და არავითარ უაზრობას მასში არ ვხედავდი, მაგრამ აკაკის დამცინავმა კილომ მას ყოველგვარი აზრის ნატამალი გამოაცალა და იმ წუთს „ყოფნის სევდა“ ისეთი საცოდავი და უბადრუკი რამ იყო, რომ მისი დაცვა შეუძლებელად ვცანი და ვერაფერი ვთქვი. მაგრამ აკაკი პასუხს არც ელოდა და განაგრძობდა განიავებას:

— რომ სევდა და საფლავი ყველას ჰყოფნის, ეს, თქმა არ უნდა, ცხადია, მაგრამ წალკოტი ჯერჯერობით რომ ყველა სათვის საკმარისი არ არის, ესეც უეჭველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა „ჰყოფნის“, ბატონო აკაკი, — მომეშველა მ. წულუკიძე, — არამედ „ყოფნის“, უჰაეოდ.

— ჰაე და ჰოე არაფერს უშველის ბუნდოვან სიტყვას. ნურასოდეს ნუ იხმარ ლექსში ისეთ სიტყვასა და წინადადებას, რომლის აზრი ნათლად და მკაფიოდ არა გაქვს წარმოდგენილი. ასეთი მარცხისაგან ახალგაზრდა მწერლის დაცვა შეეძლო საღ კრიტიკოსს, რომ ასეთი რამ არსებობდეს ჩვენში, — აკაკიმ ახლა შეუტია მ. წულუკიძეს, რომელმაც გაბედა მასთან შეკამათება, — ჩვენში კრიტიკა არის ბურთის თამაში: ყოველთვის უნდა წაესარჩლო და მოეხმარო შენს ბანაკში მყოფს და მოწინააღმდეგეს კი, რაც უნდა მოხდენილად და თვალის წარმტაცად მოაქროლებდეს ბურთს, წიხლი უნდა ჰკრა და გააგორო. კიტა აბაშიძე არასოდეს არ იტყვის კარგს მის მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალზე, თუ ცუდის თქმა მეტისმეტად უხერხული იქნება, კრინტს არ დასძრავს, თითქოს მისთვის ესა თუ ის მწერალი არც კი არსებობდეს. ასევე მეორე ბანაკის კრიტიკოსები, აქებენ თავისი მრევლის დიაკვნებს და აძაგებენ მოწინააღმდეგე წრიდან გამოსულ ოქროპირსაც კი.

გრიგოლ დიასამიძემ ისარგებლა შემთხვევით, როცა აკაკი კრიტიკაზე გადავიდა და სწორედ დროზე მოგვაშველა აკაკის მწარე ლექსი, პეტრე უმიკაშვილისადმი მიმართული:

უმიკაშვილმა პეტრემა
ჟურნალში სწერა კრიტიკა,
გამოიბერა სიბრძნითა,
იკოლოტა და იტიკა.
სხვისი გალახვა უნდოდა,
თვითონვე ყბაში იტიკა.
სადაც ის ახალ აზრებს ჰკრებს,
ჩვენ მონელებულს ვყრით იქა...

ატყდა საერთო სიცილი. აკაკი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. როცა კარებთან მივიდა, შეჩერდა, მომიბრუნდა მე — ალბათ ძალზე შებერტყილი კაცის გამომეტყველება მქონდა — და ტკივილის დასაამებლად მითხრა:

— თქვენისთანა ახალგაზრდას ან კი რა გაემტყუნება, რო-

ცა ისეთი გამოჩენილი და საყოველთაოდ აღიარებული დიდი მწერალი, როგორიც ილიაა, არ თაკილობს გადამეტებულ შეფასებებს. აიღეთ მისი „განდეგილი“-ს დასაწყისი:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ერიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,—

აი, ასეთ მიუკარებელ ადგილს კაციც მისულა, მონასტერიც გამოუქვაბავს და ცხოვრობდა თურმე შიგ. წარმოიდგინეთ, საშინელ ჭექა-ქუხილსა და ქარიშხალში იქ მიდის მწყემსი ქალიც და პოულობს თავშესაფარს. ასე რომ, არწივებისათვის არც ისე მიუწვდომელი იქნებოდა ის ადგილი, როგორც ავტორი აგვიწერს გადამეტებული გაზვიადებით...

აკაკი გამოგვემშვიდობა და წავიდა. გრიგოლ დიასამიძემ მიაცილა იგი ეტლამდის.

ამის შემდეგ აკაკის აღარ შევხვედრივარ. 1915 წლის 26 იანვარს იგი გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში. 3 თებერვალს ტფილისიდან გაგზავნილ იქნა საჩხერეში სხვადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა 100-მდე წარმომადგენელი პოეტის გადმოსვენებაში მონაწილეობის მისაღებად. ტფილისის დელეგაციაში იყვნენ ახალგაზრდა პოეტები: შანშიაშვილი, გრიშაშვილი, ქუჩიშვილი და მე. ქუთაისიდან ჩამოვიდნენ: ვ. რუხაძე, პ. იაშვილი, გ. ტაბიძე. ამხანაგების თხოვნით ახალგაზრდა პოეტების სახელით მე წარმოვთქვი პოეტის კუბოს გამოსვენებისას ლექსი „ჩვენ ბევრნი ვართ“. 4 თებერვალს საჩხერიდან დაიძრა 17 ვაგონიდან შემდგარი ძაძით შემოსილი მატარებელი. ორთქლმავალზე ფრიალებდა უზარმაზარი შავი დროშა. გზადაგზა, საჩხერედან მოკიდებული ტფილისამდე, თითქმის ყოველ სადგურზე, მატარებელს ხვდებოდა უამრავი ხალხი შავი დროშებითა და ყვავილებით. იდგა „აკაკისებური დარი“, როგორც მაშინ ამბობდნენ, მზიანი თბილი დღეები, მოწმენდილი, ულრუბლო ცა, ვარსკვლავებიანი წყნარი ღამეები, — მზის სხი-

ვებით განათებულ უბეში ჩაისვენა აკაკის კუბო „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტ“-მა სამშობლო მიწამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის დაკრძალვის დღეები ტფილისში გაუგონარი სიდიადით ჩატარდა. შემთხვევით დამსწრე უცხოელები გაკვირვებული იყვნენ ამ გრანდიოზული სანახაობით, რომელიც უფრო დიდ ეროვნულ ზეიმს ჰგავდა, ვიდრე დაკრძალვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

(ნაწყვეტი მოგონებიდან)

აკაკი წერეთელი მე მახსოვს ბავშვობიდან. ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი, 10-11 წლისა, პირველად რომ ვნახე პოეტი ჩვენს ოჯახში სოფ. დილიკაურში; დარბაზში შემოვიდა მაღალი, მეტად წარმოსადეგი, ჭალარაშერეული წვერულვაშიანი კაცი. ყველას ყურადღება მიიპყრო მისმა მოსვლამ და განსაკუთრებით კი მამაჩემის, რომელსაც აკაკი გადაეხვია, ალბათ დიდი ხნის უნახავი. დაწვრილებით არ მახსოვს, თუ რა საგანზე ჰქონდათ ლაპარაკი, მაგრამ იშვიათად ვყოფილვარ მოწმე, ადამიანთა შეხვედრას რომ იმდენი გონებამახვილობა, მოსწრებული სიტყვა და სიცილი გამოეწვიოს.

სოფ. დილიკაური და განსაკუთრებით კი პაპაჩემის — ზურაბ აბაშიძის ოჯახი ცნობილი იყო მაზრაში. პაპაჩემს ცოლად ჰყავდა წერეთლის ქალი და ამის გამო თუ სხვა რაიმე მიზეზისა, წერეთლები რომ დაიძრებოდნენ საჩხერიდან ქუთაისში წასასვლელად, უსათუოდ დილიკაურზე გაივლიდნენ, რომ ზურაბ აბაშიძის ოჯახში თავისი ნათესავი მოენახულათ და თან დროც გაეტარებინათ. თვით აკაკიც ხშირი სტუმარი იყო დილიკაურის, რადგან დედამისი აბაშიძის ქალი იყო და ალბათ ამ გარემოებათა გამო ჩვენს ოჯახს ნათესაური კავშირი არ გაუწყვეტია მასთან, სანამ თვით აბაშიძეების ოჯახი არ გადაშენდა.

პირადად მე, რასაკვირველია, ბავშვობიდანვე აკაკის დიდი პატივისმცემელი და მოყვარული ვიყავი, მოხიბლული მისი ნიჭით, სიტყვა-პასუხით და, რაც უფრო აღსანიშნავია, მისი ამბების მოყოლით.

აკაკი რომ რაიმე ამბავს მოგვიყვებოდა, ყველანი გარინდებული შევყურებდით და ვუსმენდით მას. ჩემს სიცოცხლეში ბევრი მჭევრმეტყველი, ნიჭიერი, ჭკუითა და ცოდნით აღსავ-

სე ადამიანი მინახავს, მაგრამ აკაკისთანა დარბაისელი მოსაუბრე, საინტერესო მომთხრობელი, მობაასე მე არ მინახია. ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო ფაქტს აკაკი ისეთ ფორმაში მოაქცევდა, ისეთი ქართული სიტყვით მოგვითხრობდა, რომ შეუძლებელი იყო ერთი სიტყვა გამოგეშვათ მისი მოთხრობიდან. ეს იყო საუბარი აუჩქარებელი, თუ გნებავთ, დიდ პათოსს, ტემპერამენტს მოკლებული, მაგრამ ისეთი ტკბილი და წარმტაცი, როგორც პირველი ზღაპარი, ბავშვობაში გაგონილი. აქ არ იყო ორატორული სიტყვის ამაღლების ან დადაბლების მომენტები, აჩქარება ან განცვიფრება, რაიმე უზომო ტენდენცია, მიდგომლობა, აქ იყო მხოლოდ ფაქტის უბრალო გადმოცემა დეტალებით; აღნიშვნა ისეთი მომენტისა, რომელიც სხვისთვის სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა. შეიძლება ეს მომენტი უმნიშვნელო რამ იყო, მაგრამ აკაკი მას სიცოცხლეს მიანიჭებდა და უმნიშვნელო ამბავს მნიშვნელოვნად გადმოგცემდათ.

ასეთი შეხვედრის დროს არა ერთი და ორი მეტად საინტერესო ამბავი გადმოუცია ჩვენთვის აკაკის. ბევრი, მეტად ორიგინალური და მახვილი აზრი გამოუთქვამს საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ. ხშირად ისტორიულსა და ძველ ამბებს, ლეგენდებს მოგვიყვებოდა, რომელნიც მის გადმოცემაში ცოცხალ ფაქტებად იქცეოდნენ, ხორცს ისხამდნენ. უზომოდ უყვარდა ლაპარაკი მეთორმეტე საუკუნის შესახებ და განსაკუთრებით შოთა რუსთაველის შემოქმედებაზე. „ვეფხვისტყაოსნის“ მეტად კარგი მცოდნე იყო და მისი ორიგინალური განმმარტებელიც.

ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა საქართველოს ციხესიმაგრეების, სიძველეთა შესახებ და ჩემი ცნობისმოყვარეობა მიიპყრო საკითხმა — თუ რომელ საუკუნეში იყო აშენებული საჩხერის ციხე, „მოდინახედ“ წოდებული.

— „მოდინახე“ არ არის ძველი ციხე, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ჩვენს ცხოვრებაში, — დაიწყო აკაკიმ მოთხრობა, — თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ იმერეთის დაპყრობის ჟამს ეს იყო უკანასკნელი ციხე, საიდანაც იმერლები იგერიებდნენ რუსის ჯარის შემოტევას, მაგრამ ეს ციხე ამით სრულიად არ არის პოპულარული. მისი პოპულარობა ჩვენში სულ სხვა რამით განისაზღვრება.

ერთ ძლევამოსილ წერეთელს განუზრახავს არანაკლებ ძლევამოსილ აბაშიძის ქალის ცოლად შერთვა და ამ მიზნით ის თავისი ამალით გამგზავრებულა დილიკაურსა[illegible] აბაშიძესთან. აბაშიძეს უარი უთქვამს ქალის მითხოვებაზე.

— შენ ქალი როგორ უნდა მოგათხოვო, ციხეც კი არა გაქვს, გაჭირვებისას თავი რომ შეაფარო, — განუცხადებია აბაშიძეს.

წერეთელი, შეურაცხყოფილი აბაშიძის ასეთი მოურიდებელი პასუხით, დაბრუნებულა საჩხერეში და მისვლისთანავე გაუცია ბრძანება — დაუყოვნებლივ შედგომოდნენ ციხის აშენებას. მართლაც, არ გასულა წელიწადი და საჩხერეში მშვენიერი ციხე აუგიათ. როდესაც ციხის აშენება დასრულებულა, წერეთელს შეუთვლია აბაშიძისათვის:

— „მოდი და ნახე"-ო. ამის შემდეგ „მოდინახეს" სახელწოდება შერჩენია ამ ციხეს.

ლეგენდა „მოდინახეს" ციხის წარმოშობის შესახებ საინტერესოა მხოლოდ, როგორც დამახასიათებელი მომენტი ფეოდალური წყობილებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ცნობილი ფაქტია, რომ საუკეთესო ციხესიმაგრეებს ჩვენს ქვეყანაში მეფეები და უმეტესად ფეოდალები აშენებდნენ გარეშე მტრებისგან და უფრო ხშირად ერთმანეთისგან თავის დასაცავად. ამ ციხესიმაგრეებს სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდათ განსაკუთრებით და უსათუოდ დამახასიათებელია საჩხერის ციხის წარმოშობის ისტორია, რომელიც, თუ აკაკის სიტყვებს დავერწმუნებით, ქალის თხოვნის ნიადაგზეა დამყარებული.

* *

აკაკის მეტად მწარე ენა ჰქონდა, გესლიანი. მე ყოველთვის მიკვირდა და ვერ ამეხსნა მიზეზი ამ გესლისა. ადამიანი, დაჯილდოებული პოეტის უდიდესი ნიჭით, აღჭურვილი იმდროინდელი ყველა პრივილეგიით, ნივთიერად შედარებით უზრუნველყოფილი, სახელმოხვეჭილი. შეიძლება ზოგჯერ ეს გესლიანი სიტყვა, გონებამახვილი რეპლიკა ბოროტი გულით არ იყო თქმული.

არ ვიცი რა მიზეზის გამო, მაგრამ საშინლად არ უყვარდა კიტა აბაშიძე, შეიძლება მიზეზი ამ უსიყვარულობისა ის იყო,

რომ კიტასაც არანაკლებ გესლიანი ენა ჰქონდა და საკმარისი გავლენა საზოგადოებაში.

ზოგიერთებს კარგად ახსოვთ ალბათ აკაკის გესლიანი ტყვა, კიტას შესახებ ნათქვამი.

კიტა აბაშიძე სოფ. კაცხიდან იყო. სოფ. კაცხი თუმცა მთიან ადგილს არის გაშენებული, მაგრამ ბუნება იქ არც ისე მომხიბლავია: ხე და მცენარე ამ სოფელში მეტად უსწორმასწოროა. აკაკიმ ერთხელ, გაჯავრებულ გულზე, კიტას შესახებ თქვა:

— კაცხში ხე არ არის სწორი და ადამიანი როგორ იქნებაო.

არასოდეს არ დამავიწყდება ერთი მეტად თვალსაჩინო ფაქტი, მისი ხასიათის მამჟღავნებელი: საჩხერეში ზაფხულობით ბევრი ახალგაზრდა ყმაწვილკაცი იყრიდა თავს, უმრავლესობა, რასაკვირველია, წერეთლები იყვნენ. ახალგაზრდობას თან მოჰყვებოდა დროს გატარება, ლხინი. ავიყოლებდით მოხუცებულებსაც და იყო გამართული დაუსრულებელი წვეულება, თავის შექცევა. ხანდისხან ასეთ თავის შექცევას კულტურული ხასიათი ჰქონდა, გავმართავდით რომელიმე ლიტერატურული გმირის გასამართლებას ან კამათს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საკითხებზე და იყო დაუსრულებელი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, სიტყვაში და ცოდნაში შეჯიბრება. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დროს გატარებას ლხინის ხასიათი ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი დიდი წვეულების დროს, თუ არ ვცდები, ირაკლი წერეთლის სახლში, სადაც ასზე მეტი სტუმარი იქნებოდა ვახშამზე მიწვეული, დაუპატიჟებლად გაჩნდა სამთო ინსტიტუტის ორი პოლონელი სტუდენტი, ორივე კარგი შეხედულების, ზრდილნი და კოხტად გამოწყობილნი. თურმე ჭიათურაში, სადაც ისინი ზაფხულში პრაქტიკაზე იყვნენ, გაეგოთ, რომ ირაკლი წერეთლის ოჯახში დიდი წვეულებაა და მოაშურეს საჩხერეს დროს გასატარებლად და თავისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ახალგაზრდობა დიდი სიხარულით და პატივისცემით შეხვდა პოლონელ სტუდენტებს. მათაც შეიფერეს ასეთი მიღება და გამხიარულდნენ, ცეკვა-თამაშს დასასრული არ ჰქონდა. პოლონელებმა ისახელეს თავი „მაზურკით“ და შეიძლება ბევრ ახალგაზრდა ქალს აუძგერეს იმ საღამოს გული.

ამ ვახშამზე ცენტრალური ფიგურა, რასაკვირველია, აკაკი იყო. სადღეგრძელოები, სიტყვები, ქათინაურები. განსაკუთრებით მისკენ იყო მიმართული. ბევრი მოსწრებული და ბევრი სიტყვა დაიხარჯა იმ საღამოს. ახალგაზრდებმა პოლონელ სტუდენტები წარუდგინეს აკაკის და თან აუხსნეს მათ, რომ აკაკი წერეთელი იგივეა ქართველებისათვის, რაც მიცკევიჩი პოლონელებისათვის.

— «Наш Мицкевич» — ასე გავაცანით დიდი პოეტი პოლონელ ახალგაზრდებს. ჩამოვარდა საუბარი პოლონეთის ლიტერატურაზე. განსაკუთრებით ლაპარაკობდა აკაკი. ლაპარაკის დროს მან დაიწუნა მიცკევიჩის ზოგიერთი ნაწარმოები და ორიოდე ისეთი მოურიდებელი აზრი გამოთქვა, რომ ჩვენ, ახალგაზრდები, შევწუხდით. სენკევიჩი სულ არ დაინდო და მიწასთან გაასწორა და ბაასი პშიბიშევსკის შემოქმედების მეტად გესლიანი დახასიათებით დაასრულა:

— პშიბიშევსკის ნაწარმოებს რომ კითხულობთ, ხერხემალი უფრო ადრე გრძნობს, ვიდრე გონება და გულიო.

პოლონელებს ეტყობოდათ შეურაცხყოფის ელფერი სახეზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ...

აკაკის მთლიანი პიროვნების წარმოდგენა შეუძლებელია, თუ მისი გესლიანი სიტყვა-პასუხი, მისი მახვილი გონება, მოსწრებული სიტყვა არ გაიხსენეთ.

ყოველ დიდ ადამიანს აქვს, რასაკვირველია, თავისი ნაკლი და ეს ნაკლი აკაკისაც ჰქონდა, რომელიც პოეტის პიროვნებას სრულიად არ ჩრდილავდა, არ ამცირებდა, არამედ უფრო ორიგინალურად, თავისებურად გამოყავდა იგი.

ერთხელ აკაკი თბილისში წვეულებაში ყოფილა დაპატიჟებული, სადაც სომხის პოპულარული მწერალი და საზოგადო მოღვაწე — არწრუნიც ყოფილა.

არწრუნი, სხვათა შორის, მახინჯი ყოფილა, კუზიანი, რაღაც ბაასის დროს არწრუნს აკაკისათვის უთქვამს:

— ძალიან დიდი პოეტი ხარ, ნიჭიერი და ყველაფრად კარგი, მაგრამ ერთი მეტად დიდი ნაკლი გაქვს: შოვინისტი ხარ ძალზე. ქართველი ხალხის გარდა, გძულს სხვა ერიო.

აკაკის თურმე ღიმილით მაშინვე პასუხი გაუცია:

— შენზე უფრო შოვინისტი ვინც იყოს, ღმერთმა შეარცხვინოს, არარატი თან დაგაქვსო. — ასე ულმობელი იყო აკაკი

იმ პირთადმი, ვინც მას უკბენდა, ვინც მოინდომებდა მის შეურაცხყოფას, თუნდაც ხუმრობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის უყვარდა თანამედროვე ქართველ და უცხო მწერლებზე ლაპარაკი, მათი შემოქმედების შესახებ აზრის გამოთქმა, ხშირად მეტად ორიგინალურსა და არაჩვეულებრივ აზრს გამოთქვამდა რომელიმე მხატვრული ნაწარმოების, განსაკუთრებით პოეზიის შესახებ.

მახსოვს, იოსებ გრიშაშვილი პირველად რომ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მან თავიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ორიგინალური იყო მისი გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე თავისი ოდნავ ვულგარული „ბარაშკაჯანით“.

გრიშაშვილს ხელს უწყობდა აგრეთვე თავისებური კითხვა ლექსების, დეკლამაცია. აკაკიმაც მიაქცია ყურადღება გრიშაშვილს, მაგრამ ბევრ რამეში წუნს სდებდა.

იმ ხანებში მეც მომიხდა რამდენიმე ფელეტონის მოთავსება გაზეთ „სახალხო საქმეში“ გრიშაშვილის პოეზიის შესახებ. აკაკიმ ჩემი წერილები წაიკითხა და დამარიგა:

— დაანებე თავი ბავშვებზე წერასა და ლაპარაკს, გირჩევნია ჩვენი წარსული შეისწავლო და თან ასეთი მოსწრებული სიტყვებით დაახასიათა გრიშაშვილის ერთ-ერთი ლექსი „ოქროს ფეხად“ წოდებული.

გრიშაშვილი იმჟამად სულ მთლად გადავარდნილი იყო ეროტიზმში. ქალის თვალები, ქალის ფეხები, კოცნა და ალერსი იპყრობდა მის ოცნებას და, მართლაც, თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი ლექსებით გვიმასპინძლდებოდა. ერთ-ერთი მისი ლექსი ასეთი სიტყვებით იწყებოდა:

„ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი ქალწულისა,
სიმბოლოა უცნაური სიცოცხლისა, სიკვდილისა“.

— სულ მთლად მოცლილი უნდა იყოს ადამიანი, მოკლებული ყოველგვარ სილრმეს, რომ ქალის ფეხი სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოდ გამოაცხადოს. დაუჩემებია: „ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი“-ო, ნეტავი ვიცოდე, როგორი ფერის უნდა იყოს ეს ფეხი? ოქრო ყვითელია და თუ ფეხიც ყვითელი ჰქონდა იმ ქალწულს, ალბათ გასვრილი თუ ექნებოდა რა-

მეშიო, — ასე დაახასიათა აკაკიმ გრიშაშვილის ზემოთ მოხსენებული ლექსი.

ერთხელ, ტფილისში, ტასო მაჩაბლის (ვანო მაჩაბლის მეუღლის) სახლში დათიკო წერეთელი იწვა, დაავადებული. სწორედ ამ ხანებში აკაკიმ ინახულა ავადმყოფი, მეც იქ ვიყავი, აკაკი იმ დღეს ძალიან კარგ გუნებაზე იყო. ბევრი ახალი და ძველი ამბავი მოგვითხრო მან, ბევრი გვაცინა. ბევრ ჩვენს მწერალს უკბინა, ბევრის შემოქმედება ქარ-ცეცხლმა გაატარა.

საკითხი ეხებოდა როგორც იმდროინდელ რუს მწერლებს, ისე ქართველ მწერლებსაც.

ჩვენს წინაშე გაიელვა სახელებმა: ლეონიდე ანდრეევის, თედორე სოლოგუბის, ალ. ბლოკის, ანდრეი ბელის, ბრიუსოვის, მერეჟკოვსკის, როზანოვისა და სხვათა. აკაკი გაკვრით ყველა ჩამოთვლილ პირთა შემოქმედებას შეეხო და თავისებურად დაიწუნა.

— რუსი მწერლის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მუდამ ქამს სიკვდილზე წერს, მარადისობის საკითხს დასტრიალებს თავს და სიცოცხლე კი ავიწყდებაო. ანდრეევი, სოლოგუბი, მერეჟკოვსკი და სხვანი — ყველანი დოსტოევსკის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებელნი არიან, ყველაზე უფრო დიდი მშიშარა კი დოსტოევსკი იყო. და ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან ქართველის ბუნებას, ქართველი მწერლის ფსიქიკას არასოდეს ისე არ იპყრობდა სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის საკითხი, საკითხი ადამიანის ცხოვრების წარმავლობისა, როგორც რუსი მწერლისას.

აკაკის საშინლად ეშინოდა სიზმრების და ყოველთვის ცუდი სიზმრის შემდეგ იტყოდა:

— სიზმარი ადამიანის მომავალი ბედის ან უბედურების მაჩვენებელიაო.

ერთხელ, საჩხერეში, საშინელ გუნებაზე დაგვიხვდა პოეტი. ხმას არ იღებდა და რაღაც სევდიანი თვალებით გასცქეროდა მისი სახლიდან გაშლილ ჭალებს. ბოლოს გადმოგვხედა და შემდეგი სიტყვებით მოგვმართა:

— რაღაც საშინელი ამბავი მომელის; შეიძლება ამ დღეებში სულ მთლად გამოვესალმო წუთისოფელსო.

ჩვენ გაკვირვებულნი ჩავაცქერდით — უსიტყვოდ.

— წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე: სადარბაზოდ ვიყავი გამოწყობილი და აუარებელი ხალხი უცდიდა ჩემს გამოსვლას სახლიდან. დავაპირე გამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, ფეხები არ მემორჩილებოდნენ. იგრიალა ხალხმა, ამიღო ხელში და ამნაირად შემომატარა მთელი საჩხერე, ბოლოს ჩემს ეზოში შემიტანეს და იქ დამიშვეს მიწაზე, რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ჩამომშორდა და დავრჩი მარტოდმარტო; დავაპირე ეზოდან გამოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, ალაყაფის კარები გადარაზული იყო. მოვრთე ყვირილი და ამ ყვირილში გამომეღვიძა, — ასე დაასრულა სიტყვა აკაკიმ, საშინლად შეშინებულმა ნახული სიზმრით.

ჩვენ ღიმილი მოგვივიდა სახეზე და ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხეთ, თვით აკაკიმ გამოგვიყვანა უხერხული მდგომარეობიდან.

-- თქვენ რა გიჭირთ, ახალგაზრდები ხართ, ჯერ ცხოვრება არც კი დაგიწყიათ, მომავალი თქვენია, მე კი ცხოვრება მოვჭამე და ჩემთვის ძნელია გრძნობა სიკვდილის მოახლოებისა, გრძნობა იმისა, რომ დღეს ან ხვალ აღარ ვიქნები.

აკაკისათვის მართლაც ძნელი იყო გრძნობა სიკვდილის მოახლოებისა, რადგან მას გაგიჟებით უყვარდა სიცოცხლე, თუმცა ამ შემთხვევაში მისი წინათგრძნობა მოკლებული იყო ყოველივე საფუძველს.

— მიყვარს გაზაფხული, როდესაც გარშემო ყველაფერი იფურჩქნება, იშლება, ხარობს. სამოცდაშვიდი გაზაფხულიო დავმტკბარვარ, სამოცდაშვიდჯერ ავსილა ჩემი გული სიხარულითა და სიყვარულით; მიგრძნია სილამაზე, მშვენიერება, სიცოცხლის აზრი და ძალა და ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის, განვლილია, თითქმის დავიწყებული. სიცოცხლე მომავალშია და ჩემი მომავალი კი მტკიცედ მიისწრაფვის სამარისაკენ, არარაობისაკენო.

აკაკი დიდი მოყვარული იყო ყოველგვარი პარადის, საზეიმოობის, მას უყვარდა საზოგადოებაში ყოფნა, ტრიალი, ზეიმი, ლხინი, მაგრამ ლხინი არა ჩვეულებრივი გაგებით. აკაკი ღვინოს, საზოგადოდ, არ სვამდა, მას ხიბლავდა სულ სხვა რამ: სიმღერა, ცეკვა-თამაში, სიტყვაში შეჯიბრება. მე დამაინტერესა საკითხმა: ნუთუ აკაკი ღვინოს გაურბის შეგნებულად? ნუთუ ღვინო, რომელიც ადამიანს, ასე ვთქვათ,

ახალისებს, აშორებს ყოველდღიურობას, სრულიად არ იპყ-
რობდა პოეტის აზრს? ნუთუ ოდნავ შეზარხოშებული მდგო-
მარეობა, რომელიც ზოგჯერ უსიტყვოს მჭევრმეტყველად
ქმნის, უსიცოცხლო ადამიანს სიცოცხლეს ანიჭებს — არ ხი-
ბლავდა აკაკის? და სავსებით დავრწმუნდი, რომ არა.

— მე ისედაც მთვრალი ვარ სიცოცხლით, ოდნავ შეზარ-
ხოშებული შემოქმედების ცეცხლით და ღვინის საშუალე-
ბით ხელოვნურად გაძლიერება სულიერი მდგომარეობის არა-
სოდეს მხიბლავდაო, — თქვა პოეტმა. და სავსებით მართალი
იყო იგი, რადგან მას, მართლაც, არ სჭირდება რაიმე ნარკო-
ტიკული საშუალება, ალკოჰოლი სულიერი განწყობილების
გასაძლიერებლად, ასამაღლებლად, პოეტი მუდამჟამს მთვრა-
ლი იყო პოეზიით, მუდამჟამს შეზარხოშებული შემოქმედე-
ბის ცეცხლით, და მისთვის სრულიად ზედმეტი იყო ისედაც
გაძლიერებულ ფანტაზიის კიდევ უფრო გაძლიერება ღვინის
საშუალებით.

სულ სხვა იყო მისთვის სიმღერა, მუსიკა, პლასტიკა. აკა-
კი სმენად გადაიქცეოდა, როდესაც ყურს მოჰკრავდა სიმღე-
რას, მას განსაკუთრებით ხალხური სიმღერა მოსწონდა. სა-
ათობით შეეძლო თავდავიწყებულს ესმინა გალობა.

საჩხერეში იმჟამად განთქმული იყო, როგორც მეტად კა-
რგი შემსრულებელი ქართული რომანსების, ვარინკა მაჭავა-
რიანის ქალი — წერეთლის მეუღლე. მეც მომისმენია მისი
სიმღერა, უკვე მოგვიანებით, როდესაც მისი ხმა აღარ ჟღერ-
და ისეთი ძლიერებით, მაგრამ მანერა სიმღერის, გრძნობა მუ-
სიკის მასში არ ჩამქრალა ბოლომდე. იშვიათად მომისმენია
ისეთი შესრულება რომანსი „სულიკოს" (აკაკის სიტყვებია),
როგორც ვარინკა წერეთლისა ასრულებდა მას. აკაკი მთელი
საათები ამღერებდა მას, მოხიბლული მისი ხმით, გრძნო-
ბით.

ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვისაც, მრავალჯერ მოუმარ-
თავს, რათა გვემღერა რაიმე ხალხური სიმღერა. ჩვენც ვცდი-
ლობდით, რომ გვესიამოვნებინა მისთვის, დიდი ხალისით
ვმღეროდით, მაგრამ ყოველთვის, მადლობის ნაცვლად, შენი-
შვნას მივიღებდით აკაკისაგან. მას არ მოსწონდა ქართული
სიმღერის ევროპული მანერით შესრულება. ბევრს ვცდილობ-
დით, რომ ჩვენი სიმღერისათვის უაღრესად ქართული ელ-

ფერი მიგვეცა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, ვერ მოვიშორეთ თავიდან იტალიური ნიუანსები, სიმღერის დაბოლოებას, რომ თან სდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის უყვარდა განსაკუთრებით ქართული მელოდია, ქართულივე კილოთი შესრულებული. შეიძლება ამ მხრივ პოეტი ერთგვარ სივიწროვეს ამხელდა, რთული და ღრმა მუსიკის შეგნების უქონლობას, მაგრამ მის ასეთ კარჩაკეტილობაში იყო რაღაც თავისებური, ორიგინალური, ოდნავ პრიმიტიული.

მრავალჯერ უთქვამს ჩვენთვის, რომ რთული სიმფონიური ნაწარმოების მოსმენას მას ურჩევნია სალამურის ან კოდევ ჩონგურის უბრალო, უპრეტენზიო ხმათა გაგონება, ყურისგდება.

აკაკის უყვარდა კარგი ქართული სიტყვის მოსმენა, ორატორის ყურისგდება. მიუხედავად იმისა, რომ კიტა აბაშიძის დიდი მოყვარული იგი არასოდეს ყოფილა, მაინც არ უარყოფდა მის ორატორულ ნიჭს. ასე იტყოდა ხოლმე:

— ამ სიტყვის წარმომთქმელი კიტა რომ არ იყოს, გეგონებათ დიდ ორატორს უგდებთ ყურსო.

მას მოსწონდა კიტა აბაშიძის სიტყვაში არა მარტო მანერა ლაპარაკის, მისი ტემპერამენტი, არამედ მისი ქართული ენაც.

— კარგი ორატორია, მაგრამ გრიშა აბაშიძეს მაინც ვერ შეედრებაო, — იტყოდა ხოლმე აკაკი და თან ვრცლად გადმოგვცემდა გრიშა აბაშიძის ორატორული ნიჭის დამადასტურებელ ფაქტებს.

* *

აკაკი ბუნებით უსათუოდ მოგზაური, მოხეტიალე ადამიანი იყო. მას ერთ ადგილას დიდხანს ყოფნა არ შეეძლო. მისი ბუნება სულ ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს მოითხოვდა, ახალ-ახალ სანახაობებს და ისიც, თავის საკმარისად ხანგრძლივ ცხოვრებაში, უმეტესად სულ გზაში იყო, ანდა გამზადებული გასამგზავრებლად. მას მოვლილი ჰქონდა არათუ მთელი საქართველო, ამიერ-კავკასია, რუსეთი, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც კარგად იცნობდა. უყვარდა ერთი ქალა-

ქიდან მეორეში გადასვლა, ერთი ადგილიდან მეორე ადგილ-
წასვლა.

ამ მიმოსვლას უმეტეს შემთხვევაში ჩუმი, უპრეტენზიო ხასიათი ჰქონდა, — ზოგჯერ კი საზეიმო, პარადული და ხანდახან კიდევ მყვირალა ელფერი ეძლეოდა.

ყველას ახსოვს ალბათ აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში და უკანასკნელად მოსკოვსა და პეტერბურგში მისი იუბილეს გადახდის შემდეგ.

მახსოვს, აკაკი მოხიბლული კახეთის ბუნებით, კახურ სიმღერით, ამ ქვეყნის სიმდიდრით — დაბრუნდა საჩხერეში და აღფრთოვანებული მოგვითხრობდა კახელთა ცხოვრების შესახებ.

პოეტი ხშირად ორი სიტყვით გაგრძნობინებდათ იმას, რაც შეიძლება სხვას მრავალ სიტყვითაც ვერ გადმოეცა.

— კახეთი გულია საქართველოსი, — თქვა აკაკიმ და ჩვენც ვიგრძენით, რომ ამ სიტყვებს პოეტი უსაფუძვლოდ არ წარმოთქვამდა.

— და მართლაც, ძნელია ნახვა ისეთი წარმტაცი სანახაობისა, როგორიც არის ალაზნის ბუნება. ზღაპარივით ლამაზია და წარმტაცი, უყურებთ ალაზნის მინდვრებს და თქვენს თვალწინ იშლება საქართველოს გაშლილი გული, გული მოსიყვარულე, რომელიც დაიტევს ლამაზსა და მახინჯს, კარგსაც და ავს. უსმენთ კახურ სიმღერას და თქვენს წინაშე აღიმართებიან შვიდნი ძმანი გურჯანელნი, რომელთაც ქვეყნის თავისუფლებისათვის თავი შეუწირავთ. უცქერით კახეთის ზღვა ვენახებს, გაშლილ ყანებს, ფეხმაგარ საქონელს და რწმუნდებით, რომ ის ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო მტკიცე, შეურყეველი კუთხეა. შესცქერით კახელის მაგარ ხელებს, დაჭიმულ კუნთებს, კახელი ქალის სილამაზეს და თან მოკრძალებას და მიდიხართ იმ დასკვნამდე, რომ ქართველი ხალხი გამძლეა, მტკიცე ნებისა და ურყევი ხასიათისაა. — ასეთი იყო აკაკის შთაბეჭდილება კახეთის შესახებ: მოკლე, დამაჯერებელი, ორიგინალური...

აკაკის საშინლად უყვარდა, როდესაც მას მისასალმებელ სიტყვებით მიმართავდნენ, ოვაციას გაუმართავდნენ.

მახსოვს მისი იუბილე, ტფილისის საოპერო თეატრში გაშართული. ზღვა ხალხი, აკაკისადმი პატივისცემითა და სიყ-

ფარულით გამსჭვალული. მე არ მინახავს ისეთი გაღმერთება ადამიანის, ისეთი არაჩვეულებრივი ტემპერამენტით შეხვეჭრა, ტაში, ოვაციები. აურაცხელი ხალხით სავსე თეატრი ზანზარებდა ტაშის კვრისა და ვაშას ძახილით. აკაკიმ იმ დღეს, მართლაც, იგრძნო ის უშუალო კავშირი, რომელიც ხალხის გულთან ჰქონდა მას გაბმული, — მან იგრძნო უზომო სიყვარული და პატივისცემა ხალხისა თავისადმი, და ბავშვის უმანკო ცრემლებით, გულაჩვილებული აცრემლიანდა. ბევრი ლამაზი სიტყვა იყო წარმოთქმული იმ დღეს, ბევრი კარგი ექსი იქნა წაკითხული, მაგრამ კალისტრატე ჩიკვაიძის სიტყვა არასოდეს დამავიწყდება. აკაკიც ბევრი აცინა ამ სიტყვამ. არ ვიცი, განგებ იყო ეს სიტყვა თქმული, თუ მართლაც შეკრთა კალისტრატე ჩიკვაიძე იმ დღეს. ყოველ შემთხვევაში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ სიტყვამ მაშინ.

სცენაზე გამოდის კ. ჩიკვაიძე, როგორ დასავლეთ საქართველოს ვექილთა დელეგატი, მისასალმებლად. გადის ერთი წუთი, კ. ჩიკვაიძე დგას ხმაამოუღებლივ. გადის კიდევ წუთი — იგი გაჩუმებულია. ხალხში ლაპარაკის ხმა ისმის, ყველა გაკვირვებულია; რა დაემართა ასეთ გამოცდილ ვექილს, მოლაპარაკეს, რომ ენა ვერ მოუბრუნებია. როგორც იქნა, რამდენიმე წუთის შემდეგ ამოიღო მან ხმა:

— ძვირფასო აკაკი! არ ვიცი, რა დამემართა, ენა დამება, ლაპარაკის უნარი წამერთვა. მიზეზი ალბათ ის არის, რომ უჰონორაროდ ლაპარაკს ჩვეული არა ვარ. ერთ ას მანეთს რომ ჩამიდებდეს ვინმე ჯიბეში, შესამჩნევ სიტყვას მოგახსენებდიო და სხვა. ატყდა, რასაკვირველია, ხალხში სიცილი. აკაკი წამოდგა ადგილიდან, მიუახლოვდა კალისტრატეს და გადაეხვია მას სიცილით.

მეტად საინტერესო იყო აკაკის უკანასკნელი ჩამოსვლა პეტერბურგში. ეს იყო, თუ არ ვცდები, 1911 წელს. აკაკი ესტუმრა პეტერბურგს მოსკოვში გადახდილი ზეიმის შემდეგ, გაზეთები სავსე იყო წერილებით მის შესახებ. თითქმის ყველა ამდროინდელ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთში მოთავსებული იყო მისი სურათი ასეთი წარწერით: „საქართველოს უგვირგვინო მეფე". აკაკი მეტად ნასიამოვნები იყო ასეთი შეხვედრით და ამის გამო უმეტეს შემთხვევაში მხიარულ გუნებაზე იყო. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ბაბო ბაგრატიო-

ნის ბინაზე, სადაც იმჟამად სტუდენტები — წერეთლები, ივანე მაჩაბლის ვაჟი ნიკუშა მაჩაბელი, მიტია ბერძენიძე — და მე ვცხოვრობდით. აკაკი ძალიან კმაყოფილი იყო მოსკოვში გადახდილი ზეიმით, დიდი სიყვარულით იხსენიებდა იქაურ ქართველ ახალგაზრდობას და განსაკუთრებით — გრიგოლ ლაღიძეს.

— დილის ოთხი საათი იქნებოდა, რომ დავბრუნდით მე და გრიგოლ ლაღიძე სასტუმროში დაქანცულნი, — დაიწყო აკაკიმ მოთხრობა, — სუმბათაშვილთან (იუჟინი) ვიყავით ვარშამზე. ის-ის იყო ჩავიძინეთ, რომ მომესმა მშვენიერი ქართული სიმღერა. გავაღვიძე გრიგოლი და ვკითხე: ნეტავი საღ მღერიან ამ ალიონზე ქართულ მრავალჟამიერს?

როგორც გამოირკვა, ქართველი სტუდენტები, ცოტაოდენ შეზარხოშებულნი, მოსულან სასტუმროსთან და აკაკის ნომრის პირდაპირ ქუჩაზე შეუსრულებიათ რამდენიმე ქართული სიმღერა, ალბათ აკაკისათვის თუ უნდოდათ ამით გამოეცხადებინათ პატივისცემა და სიყვარული. ორიგინალური საშუალებაა უსათუოდ, პოეტის გულის მოსაგებად.

პეტერბურგშიც გაუმართეს აკაკის შეხვედრა. გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების დამახასიათებელი. სწორედ იმ დროს პეტერბურგში ტრადიციული ქართველ სტუდენტთა საღამო გაიმართა და ამ საღამოზე აკაკი საპატიო სტუმრად იყო მიწვეული.

...აკაკის არაჩვეულებრივი შეხვედრა გაუმართა ქართველმა სტუდენტობამ და საღამოზე დამსწრე მთელმა საზოგადოებამ — ფეხზე ამდგარი სავსე დარბაზი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მიესალმა პოეტს. აკაკი მეტად ნასიამოვნები იყო ამგვარი დახვედრით და სულ იმას იმეორებდა:

— ხომ ავაყენე რუსეთის საზოგადოება ფეხზე და ერთგვარი პატივისცემით გავმსჭვალე ჩემი ქვეყნისა და ხალხისადმიო. სხვათა შორის, იმ საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და მათ შორის იმდროინდელი „ბობოლები“ და უმაღლესი მოხელეობა.

ლენინგრადში აკაკიმ მოისურვა პოეტ გრიშა აბაშიძის საფლავის ნახვა, ალბათ შეწუხებულმა იმით, რომ ქართველი პოეტი განისვენებდა არა თავის ქვეყანაში. ამით ალბათ უნდოდა ქართველი საზოგადოებისათვის გაეხსენებია მისი

ვალი პოეტისადმი და თან პატივი ეცა თავისი მეგობრისა და ნათესავისათვის.

ვოლკოვის სასაფლაოზე მეტად უბრალო რკინისგან ... რით არის შემოღობილი გრიშა აბაშიძის საფლავი და ზედ ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: «Здесь покоится князь Григорий Абашидзе, грузинский поэт». ვიღაცას უშნო ხელით მიეწერა: «Грузо голопятый». აკაკი საშინლად შეწუხდა და აღელვებულმა გვითხრა:

— თქვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე დაუბრუნოთ სამშობლო მიწას პოეტის გვამიო.

რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებ აკაკი ელაპარაკა ჩვენზედ უფრო გამოცდილთ და მაშინდელ სტუდენტთა სათვისტომოს მესვეურთ — პეტრე ქავთარაძესა და სხვებს.

პეტერბურგში, იმჟამად, პირველად ვნახე აკაკის შვილი, რომელიც იმ დროს ანტრეპრენიორობდა. როგორც გადმომცეს, ის მცოდნე იყო მუსიკის და მეტად კარგი შემრჩეველი მომღერალ-მსახიობთა. პირადი გაცნობისა და მუსაიფის შემდეგ, მართლაც, დავრწმუნდი, რომ იგი განვითარებული და მომზადებული კაცი იყო, მოვლილი ჰქონდა მთელი რუსეთი, ევროპა და იცნობდა ხალხთა ცხოვრებას, ადათებს და მათს კულტურულ მიღწევებს. საერთოდ იგი სტოვებდა ტიპიური რუსი ინტელიგენტის შთაბეჭდილებას, მთელი მისი წარმატებებითა და ნაკლით. აკაკის რუსი დიდკაცის ქალი ჰყავდა ცოლად, ბაზილევსკის ქალი, მეტად მდიდარი ოჯახიდან. ბაზილევსკის ქალმა ქართული არ იცოდა და თავის შვილს ზრდიდა რუსეთში. შემდეგ მე ბევრჯერ მქონია შემთხვევა უფრო ახლო გაეცნობოდი აკაკის ოჯახს საჩხერეში, სადაც დედა და შვილი მთელ ზაფხულს ატარებდნენ.

აკაკის ვაჟი გარეგნობით მაღალი კაცი იყო, და თან ახირებული ჩვეულება ჰქონდა: სულ მაღლა იყურებოდა, ასეთი ჩვეულება აკაკისაც ჰქონდა ბუნებრივად თანდაყოლილი და შთამომავლობით თუ გამოყვა შვილს.

— რაღა თავის აწევაში დამემსგავსა მაგ დალოცვილი და სხვაში კი არაფერში. მე თუ მაღლა ვიყურები, გასამართლებელი საბუთი მაინცა მაქვს: ვარსკვლავებს ვეთამაშები, ცას შევხარი, მზესა და მთვარეს შევნატრი. მაგას კი რომ აუღერია ეს თავი, ნეტავი რას უყურებს, ანდა უყურებს კი რამეს?..

აკაკი, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკისათვის გაჩენილი არ იყო, თავის თავს დიდ პოლიტიკოსად თვლიდა, და ხშირად გვარწმუნებდა, რომ მისი დანიშნულება, მისი სტიქია პოლიტიკაა უპირველეს ყოვლისა.

შეიძლება მის შემოქმედებას, ყოველ მის ფეხის გადადგმას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა თავისთავად, რადგან პოეტი მთელი თავისი არსებით მოსისხლე მტერი იყო რუსეთის თვითმპყრობელობის და თავისი ქვეყნის განთავისუფლების საკითხს დასტრიალებდა თავს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს აკაკის დიდ პოლიტიკოსობას.

აკაკი, რასაკვირველია, არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, იგი, უპირველეს ყოვლისა, იყო სიტყვის უდიდესი შემოქმედი, ჭეშმარიტი პოეტი და მთელი მისი არსება აქეთკენ იყო მიპყრობილი. უდიდესი პოეტური ცეცხლი ღვიოდა მის გულში და მხოლოდ პოეტური სახეები და საგნები იპყრობდნენ მის ოცნებას, მთელ მის არსებას.

რუსეთის დიდი პოეტი პუშკინი და, თუ გნებავთ, ლერმონტოვიც, არასოდეს პოლიტიკოსები არ ყოფილან, მაგრამ მათი შემოქმედებით სარგებლობდნენ იმდროინდელი პოლიტიკოსები და დიდ პოლიტიკას ქმნიდნენ მათი სახელით. პუშკინის გადასახლებას თავის დროზე უსათუოდ ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად პუშკინს პოლიტიკოსად ვერ გახდის.

ისტორიას ახსოვს ბევრი მაგალითი, როდესაც უდიდესი პოეტი უდიდესი პოლიტიკოსიც იყო. მარტო ალიგიერი დანტეს ცხოვრება და შემოქმედება საკმარისია ამისათვის, ანდა, თუ გნებავთ, საქართველოს მასშტაბით — ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი იყო და პოლიტიკოსიც.

აკაკი პოლიტიკაში მონაწილეობას იღებდა, დროგამოშვებით პოლიტიკური ხასიათის წერილებსაც წერდა, მაგრამ ამ წერილებს პოეზიის ელფერი უფრო დაჰყვებოდა, ვიდრე ნამდვილი პოლიტიკის ხასიათი. ხშირად მის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხებში ჩარევას მეტად უბრალო ხასიათი ეძლეოდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მისი მოსწრებული სიტყვა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ არ იყო მოკლებული თავისებურ მნიშვნელობას.

აკაკის ჭირივით სძულდა რუსის მოხელეობა — „ჩინოვნიკობა“, იქნებოდა ის რუსი, ქართველი თუ სხვა რომელიმე ეროვნების. ბავშვობიდანვე თან დაჰყვა ეს სიძულვილი „ჩინოვნიკებისადმი“, ალბათ შთამომავლობით, რადგან, მისიცე გადმოცემით, არც მამამისი — როსტომ წერეთელი ყოფილა დიდი პატივისმცემელი ამ წრის და მრავალჯერ შეტაკებებიც ჰქონია დიდ მოხელეებთან.

პოეტის ცნობილი ლექსი, 1905 წელში დაწერილი, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, საუკეთესო დამახასიათებელია აკაკის დამოკიდებულებისა რუსეთის თვითმპყრობელობისადმი.

იმჟამად იაპონიის ერთ-ერთი მთავარსარდალთაგანი იყო გენერალი ოიამა. ოიამას ხელმძღვანელობით იაპონიის ჯარმა სასტიკად დაამარცხა მეფის თვითმპყრობელობა, მისი უნიჭო მესვეურები. რევოლუციური პარტიები სიხარულით ხვდებოდნენ რუსის ჯარის ყოველ დამარცხებას, რადგან კარგად ესმოდათ ამ დამარცხების შედეგი. მათ შესანიშნავად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის დამარცხებას რევოლუცია მოჰყვებოდა.

აკაკიმაც იგრძნო ეს, იგი გაიტაცა ამ ტალღამ და დააწერინა მას ცნობილი ლექსი — „ოი, ამას ვენაცვალე“. იავნანაურ ჟანრით მან დაწერა ლექსი, რომლის ყოველი ტაეპი — „ოი, ამას ვენაცვალე“-თი თავდებოდა. „ოი, ამას ვენაცვალეს“ უმღერდა დედა თავის შვილს, ნამდვილად კი ეს ფრაზა ნიშნავდა: იაპონიის გენერალ ოიამას ვენაცვალე, რადგან მისმა ჯარმა სასტიკი დამარცხება აგემა მეფის ჯარსო. ეს ლექსი მოთავსებული იყო იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ცენზურამ ვერ შეამჩნია მისი შინაარსი, ვერ მიუხვდა აკაკის ხერხს.

ასე სძულდა აკაკის თვითმპყრობელობა, სძულდა თავისებური სიძულვილით. მისი პროტესტი უფრო მისი ქვეყნის პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრით იყო გამოწვეული, ვიდრე სოციალური უთანასწორობით, კლასთა ბრძოლის კარნახით...

პოეტი, მართალია, ებრძოდა თვითმპყრობელობას, რომელმაც მის ქვეყანას მონობის უღელი დაადო კისერზე, მაგრამ ამასთანავე იგი უფრო მეტის გატაცებით აღმერთებდა ბაში-აჩუკის გმირულ თავდავიწყებას, მისთვის ოცნებად იყო

გამხდარი ცოტნე დადიანის თავგანწირვა და არა რაიმე გარკვეული სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ბრძოლა.

აკაკი წერეთელი ცხოვრობდა, რასაკვირველია, თავისი ეპოქის იდეებით, მაგრამ მას უფრო წარსული იტაცებდა, გმირული თავგადასავალი თავისი ქვეყნისა.

აკაკის თავისი სამშობლო სოფელი საჩხერე მეტად უყვარდა.

— რა გლახადაც უნდა ვგრძნობდე თავს, საჩხერეში რომ ჩამოვალ, მაშინვე გამოვმრთელდებიო, — ამბობდა პოეტი. იშვიათად თუ გაუშვებდა ზაფხულს, რომ ერთი ან ორი თვე მაინც არ გაეტარებინა საჩხერეში. ხშირად მთელი ოჯახობით მოვიდოდა ხოლმე, განსაკუთრებით უფულობის ჟამს.

მთელი საჩხერე გამოფხიზლდებოდა აკაკის ჩამოსვლით, გაჩაღდებოდა წვეულება, პატიჟი, გადაპატიჟება და, რასაკვირველია, ყველა ამ დროს გატარებაში ცენტრალური ადგილი აკაკის ეჭირა...

პოეტს მეტად უყვარდა ბავშვები და დიდი მეგობარიც იყო მათი. აკაკის მთელი საათები შეეძლო გაეტარებინა ბავშვებთან. მოუყვებოდა ხოლმე მათ ზღაპრებს, არაკებს და ათასგვარ სახუმარო და უცნაურ ამბებს. ბავშვები მას ყოველთვის დიდი ყურადღებით და ამასთანავე განცვიფრებით უსმენდნენ. აკაკისა და ბავშვების შეხვედრას ყოველთვის თან მოჰყვებოდა ბავშვთა უზომო სიხარული, მხიარულება, კივილი. საჩხერეში ყოფნის დროს ის უსათუოდ შეკრებდა ბავშვებს და ართობდა მათ.

ელისაბედ წერეთლის ოჯახში, სადაც აკაკი ხშირი სტუმარი იყო, მას ეგულებოდა ბავშვები. ერთხელ წაუღო მათ საბავშვო წიგნები. ერთ-ერთი ვაჟი ელისაბედ წერეთლისა — ლევანი — იმჟამად კუჭით იყო დაავადებული. აკაკიმ მასაც აჩუქა საბავშვო მოთხრობები და წიგნზე შემდეგი წააწერა:

ლევან პაწიას,
თვალებ-პრაწიას,
მუცელ ტ... წიანს.

განსაკუთრებულ მეგობრულ განწყობილებაში წერეთლიანთ შორის აკაკი ბეჟან წერეთელთან იყო. ერთი მხრივ, აკაკის აკავშირებდა ბეჟან წერეთელთან ხნოვანება, ბეჟანიც ხან-

ში შესული კაცი იყო, მეორე მხრივ ის, რომ ბეჟან წერეთელი პეტერბურგელი სტუდენტი იყო და ამის გამო სალაპარაკო თემა საკმარისად ჰქონდათ ორივეს. ბეჟან წერეთელსაც უყვარდა ძველი ამბების მოყოლა. ამ მხრივ ცოტათი მოგაგონებდათ აკაკის. ყველაფერი ეს საერთოდ, ალბათ, იზიდავდა მისკენ აკაკის, რომელსაც, თავის მხრივ, არანაკლებ უყვარდა მუსაიფი, ზოგჯერ ჭორებთან დაკავშირებულიც კი.

აკაკი თუ მოშორებული იყო საჩხერეს, წერილს უსათუოდ ბეჟან წერეთელს გამოუგზავნიდა უპირველეს ყოვლისა. მისი წერილები ყოველთვის სავსე იყო მახვილი აზრებით და აჭრელებული ლექსებით. ამ ლექსთა შორის მრავალი იყო პორნოგრაფიული ხასიათის, ანდა შარჟი რომელიმე იმდროინდელ პოპულარულ პიროვნებაზე, რომელთა წაკითხვა მამაკაცთა შორის თუ შეიძლებოდა და ისიც დავაჟკაცებულ მამაკაცთა შორის. ხშირად მისი ლექსი-წერილი სრულიად მარტივ საკითხს ეხებოდა, პირად შთაბეჭდილებებს და დაკვირვებებს გადმოგვცემდა, მაგრამ ორი ან სამი ისეთი მოურიდებელი სიტყვა იყო შიგ ჩართული, მის რითმას რომ აძლიერებდა, რომ შეუძლებელი იყო მისი გადმოცემა.

ბეჟან წერეთლის წერილებში შეიძლება მრავალი ისეთი ბარათის აღმოჩენა, რომელიც ნათელს მოჰფენს პოეტის ინტიმურ ცხოვრებას, გაგვაცნობს აკაკის არსებობის ახალ მხარეს.

ინტერესმოკლებული არ არის აგრეთვე აკაკის შეხედულება ადამიანის მატერიალური მდგომარეობის, ნივთიერი კეთილდღეობის შესახებ.

მე არ შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ აკაკის ფული უყვარდა, რადგან ვისაც ფული უყვარს, მისი შენახვის უნარიც თან დაყვება, ანდა ასეთი უნარი უნდა ჰქონდეს მას ყოველ შემთხვევაში. აკაკის კი ფული თუ დილას გაუჩნდებოდა, საღამოს მას ერთ გროშს ვეღარ უპოვნიდით, უცბად გაუქრებოდა.

აკაკი დიდი შეძლების კაცი არასოდეს ყოფილა: ჩვეულებრივი ქონების პატრონი მემამულე იყო მამამისი — როსტომ წერეთელი, უფრო ხელმოკლე, ვიდრე მდიდარი. ყოველ შემთხვევაში, აკაკისთვის მამამისს დიდი სიმდიდრე არ დაუტოვებია. სხვათა შორის აკაკი არც იმ წერეთლიანთ ჯგუფს ეკუ-

თვნოდა, რომლებმაც შავი ქვის წყალობით თავისი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესეს. [illegible] ერთი ქცევა შავი ქვის მიწისა არ ჰქონდა, თუმცა მთავარ [illegible] ნი ჭიათურის შავი ქვისა სწორედ აკაკი იყო.

ერთი სიტყვით, აკაკი სანამდე დაოჯახდებოდა, საკმარისად ხელმოკლე ინტელიგენტი იყო. ბაზილევსკის ქალს, რომელიც ცოლად შეირთო აკაკიმ, დიდი მზითვი მოჰყვა. თვით აკაკი ყოველთვის უარყოფდა ხოლმე ამ ფაქტს, მაგრამ სხვადასხვა პირისაგან გამიგია, როგორც საჩხერეში, ისე პეტერბურგშიაც, რომ ბაზილევსკის ქალს მზითვად ერთი მილიონი ჰქონდა.

შეიძლება ეს თანხა გაზვიადებული, გადაჭარბებული იყოს, მაგრამ თვით ბაზილევსკი რომ იმჟამად მეტად შეძლებული კაცი ყოფილა — ეს ფაქტი უდავოა. თვით აკაკის უთქვამს ჩემთვის, რომ მისი სიმამრის ოჯახში რუსეთის იმპერატორები დადიოდნენ სტუმრად და ვისაც ასეთი „დიდი" სტუმრის მიღება შეეძლო, მისი გამასპინძლება, ცხადია, სათანადო შეძლებაც ექნებოდა ამისთვის.

აკაკი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ფულის მას არაფერი ეტყობოდა. პირიქით, მისი ახლობლების გადმოცემით, იგი ნივთიერად შევიწროებას განიცდიდა.

აკაკისთვის მეტად დიდი ნივთიერი დახმარება გაუწევია ქართველ საზოგადოებას და ამ საზოგადოების სხვადასხვა დაწესებულებას. ჩემი აზრით, არც ერთ ქართველ მოღვაწეს ისე არ უსარგებლია საზოგადოების ფულით, როგორც აკაკის.

გარდა მუდმივი დახმარებისა, რომელსაც ის იღებდა უკანასკნელ წლებში ჩვენი დაწესებულებებიდან, მას მრავალჯერ მიუღია ერთდროული, საკმარისად საგრძნობი დახმარება ქუთაისის და ტფილისის საკრედიტო დაწესებულებებიდან.

ქართველი საზოგადოება აკაკის ანებივრებდა, ეფერებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მასში დაგროვილი იყო პოეტის უდიდესი ნიჭი.

მიუხედავად საზოგადოების ასეთი მისდამი დამოკიდებულებისა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მისი ახირებული კაპრიზი სრულდებოდა, ყოველი მისი თუნდაც დაუსაბუთებელი მოთხოვნა კმაყოფილდებოდა, აკაკი მაინც არ იყო კმაყოფილი ამ საზოგადოების ზოგიერთი მეთაურის მოქმედებით. მკითხველ საზოგადოებას ახსოვს ალბათ ის ფაქტი, რომ

აკაკი, ნახევრად დამბლადაცემული, საზოგადოების დახმარებით გაემგზავრა ევროპაში საექიმოდ. ახსოვს აგრეთვე ის ფაქტი, რომ საზოგადოებას არა ერთხელ და ორჯერ დაუბრუნებია მისთვის უსასყიდლოდ მისი სახლ-კარი, რომელიც აკაკის მუდმივად დაგირავებული ჰქონდა ბანკში. დაუბრუნებდნენ თუ არა უკანვე სახლს, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დააგირავებდა.

მახსოვს მისი სრულიად უსაფუძვლო გაბრაზება, როდესაც 1911—1912 წლებში დაგირავებული სახლი ბანკმა უკან აღარ დაუბრუნა, არამედ, ნაცვლად ამისა, დაუნიშნა მუდმივი თვიური პენსია, თუ არ ვცდები, 200 მანეთი თვეში. მაშინ აკაკი, გულმოსული ბანკის ამ დადგენილებით, ამბობდა:

— ალბათ, დარწმუნებულნი არიან, რომ დიდხანს ვეღარ გავძლებ და ამიტომ დამინიშნეს პენსიაო. ნამდვილად კი სახლი აღარ დაუბრუნეს იმ მიზეზისა გამო, რომ აკაკის, როგორც ამბობდნენ, განზრახული ჰქონდა მისი გაყიდვა და, ცხადია, მისი გამოსყიდვა კერძო პირისაგან ბევრად დაუჯდებოდა საზოგადოებას.

ქართველ საზოგადოებას მისი სახლი ხელუხლებელ ადგილად მიაჩნდა, რასაც თვით აკაკიც კარგად გრძნობდა.

მრავალჯერ უთქვამს აკაკის, კერძოდ ჩემთვისაც, ძვირი ქართულ დაწესებულებათა მიმართ:

— ჩემი სახელით ფულებს აგროვებენ, ჩემი სახელობის ფონდს ჰქმნიან, რომლითაც ყველა გამვლელ-გამომვლელი სარგებლობს და მე კი გროშს არ მაძლევენო. — ასე უმადურად იხსენიებდა აკაკი იმ ხალხს, რომელიც გადაყოლილი იყო მასზე და სულ იმის ცდაში იყო, თუ როგორ ესიამოვნებინა პოეტისათვის.

აკაკის ფულის სესხებაც უყვარდა, შეიძლება ჩვეულებადაც ჰქონდა ეს ნაკლი. სესხით — ისესხებდა, მაგრამ დაბრუნება კი არ უყვარდა.

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, რომ მე აკაკის ყოველ ნაკლს აღვნიშნავ და ხშირად უმნიშვნელო ნაკლსაც. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ დიდი ადამიანის ცხოვრება, მისი თავგადასავალი და წვრილმანიც კი საინტერესოა ჩვენთვის, რადგან ადამიანის ხასიათი, მისწრაფება, ჩვეულება, მთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი არსება მხოლოდ ამ თვისებათა შესწავლით შეიძლებ-ნათლად წარმოიდგინოთ.

ნურავინ იფიქრებს იმას, რომ ის ნაკლი, ან უფრო სწორად, რომ ვთქვათ, მთელი რიგი უარყოფითი მხარეებისა, რომელიც მე მოვიტანე ამ მოგონებაში აკაკის მთლიანი პიროვნების შესასწავლად, თუნდაც ოდნავ ამცირებდეს პოეტის თავისებურებას, მის პოეტურ ღირსებას.

ვინც გასცნობია დიდ ადამიანთა ცხოვრებას და თავგადასავალს, თუნდაც მათი ბიოგრაფიის წაკითხვის საშუალებით, დამერწმუნება, რომ ისინი ნაკლებად ჩამოგავან ჩვეულებრივ მოკვდავთ, ეგრეთ წოდებულ „ობივატელს“, რომლის ცხოვრება მიმდინარეობს ისე, როგორც კარგად მოწყობილი საათი.

...და სწორედ ასეთი შეხედულებებით გამსჭვალულმა, მან უკანასკნელად გაუსწორა ოდნავ შეშინებული თვალები სიკვდილს, სრული დარწმუნებული იმაში, რომ „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტი“ მისი ქვეყანა სამუდამოდ განთავისუფლდებოდა მეფის თვითმპყრობელობის ბორკილებიდან.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

(იბეჭდება შემოკლებით)

...აკაკის მონაწილეობით, ქუთაისში, 1914 წლის 29 მაისს სალიტერატურო საღამო გაიმართა. იმ დროს დროებით ქუთაისში ვიყავი და საღამოზე დასასწრებლად თეატრის სალაროში ბილეთებისათვის მივედი. ბილეთები დიდი ხნით ადრე გაყიდულიყო. თეატრი გაჭედილი იყო. ძალიან ბევრი, მათ შორის მეც, უბილეთოდ დავრჩით. ეს ამბავი ჩემს ახლო მეგობრებს — ია ეკალაძესა და ილია ბახტაძეს ეცნობებინათ აკაკისათვის.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აკაკის მითითებით ილია ბახტაძემ შემიყვანა თეატრში და დამსვა ლოჟაში, რომელიც გამოყოფილი იყო აკაკისა და მისი სტუმრებისათვის.

რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება მარტო მე არ მეკუთვნოდა; იგი იყო გამოხატულება იმ დიდი მშობლიური სიყვარულისა, რომელსაც მუდამ იჩენდნენ ჩვენი ბუმბერაზი ქართველი მოღვაწეები აჭარის მიმართ.

ფარდა აიხადა და სცენაზე გამოჩნდა მხცოვანი მგოსანი. თეატრში ტაში და ოვაციები დიდხანს არ შეწყვეტილა.

სიხარულით აღტაცებულს, კარგად ვერც კი გამერკვია, რა ხდებოდა სცენაზე, ვნატრობდი მხოლოდ იმ წუთების მოახლოებას, როცა აკაკი ჩვენთან შემოვიდოდა. აი, აკაკი სცენიდან ლოჟაში შემოვიდა მოღიმარი სახით, სხვებთან ერთად მეც ხელი ჩამომართვა და დაჯდა.

მე იმ დროს 21—22 წლის ახალგაზრდა ვიყავი, მოწიწებით ფეხზე ვიდექი და აღტაცებით შევცქეროდი დიდი ადამიანის მოღიმარ სახეს. ბევრჯერ გამიმეორა დავმჯდარიყავი, მაგრამ მე მაინც ფეხზე ვიდექი, სანამ თვითონ არ მომკიდა ხელი და გვერდით არ დამისვა.

მისი პირველი სიტყვა იყო ის, რომ მიცნობდა გაზეთებში დაბეჭდილი ჩემი წერილებით, ზაქარია ჭიჭინაძის, ოსვალ იმედაშვილისა და გაზეთ „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორის ნაამბობთ.

მუ ვუთხარი, რომ ჩვენი მტრების წინააღმდეგ მის უკვდავ ქმნილებებსაც ვიყენებდით, და მაგალითისათვის ვუამბე იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც 1914 წლის დასაწყისში გვქონდა გაჩაღებული ვინმე ყარაღა-ზადეს წინააღმდეგ, რომელიც ვითომდა სტუმრად იყო ჩამოსული ბათუმში. მას თურმე კონსტანტინეპოლში დაემთავრებინა თურქული ენის უმაღლესი სასწავლებელი და ბათუმში „სტუმრად“ ჩამოსვლის დღიდანვე სიტყვით თუ პრესის საშუალებით ეწეოდა პანისლამიზმისა და პანთურქიზმის მავნე იდეების აგიტაცია-პროპაგანდას, მოგვიწოდებდა ხელი აგვეღო ჩვენს მშობლიურ ქართულ დედაენაზე და ჩვეულებაზე.

აკაკის მოკლედ გავაცანი 1914 წელს მუსავატელების ბაქოს თურქულ გაზეთ „იღბალში“ (№628) გამოქვეყნებული ყარაღა-ზადეს წერილი, სადაც იგი აჭარლების შესახებ წერდა: ისტორიის მიხედვით ქართველი მუსლიმანები ქრისტიან ქართველობიდან გამოსულან, მუსლიმანობა მიუღიათ და თურქებთან შეერთებულან, ამიტომ მუსლიმანების ქართველობაზე გადაყვანა ყოვლად შეუძლებელიაო.

რასაკვირველია, ყარაღა-ზადეს ბოროტი გამოსვლები ჩვენ უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია და მალე იგი იძულებული გახდა ბათუმიდან გაპარულიყო.

აკაკის აგრეთვე გავაცანი 1914 წლის 15 მაისის „ბათუმის გაზეთში“ (№38) დაბეჭდილი ჩემი წერილი, კერძოდ ის ადგილი, სადაც ყარაღა-ზადეს ასე ვპასუხობდი: „ბ-ნი ყარაღა-ზადე ტყუილად ირჯება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად — გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია, თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასვა მას, მაგრამ ეროვნული თვითარსებობა და ერი ვერ აღმოფხვრა მასში. ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ თუმცა მაჰმადიანობასა და თურქთა გავლენას ჩვენზე 300 წლის ისტორია აქვს, ჩვენ მაინც ეროვნულად ქართველები დავრჩით, არ გადავგვარდით. ასეთი ტიპები, როგორიც თვით ბ-ნი ყარა-

ლა-ზადე ბრძანდება, საბედნიეროდ, ჩვენში იშვიათია... ყარა-ლა-ზადე კი გვირჩევს ჩვენ — ქართველ მუსლიმანებს, რომ ჩვენი დავივიწყოთ და სხვისას მივსდიოთ“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკისთან საუბარი დავამთავრე ჩემს წერილში ყარალა-ზადეს წინააღმდეგ გამოყენებული აკაკის სიტყვებით:

„გადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია“.

ამ სიტყვების გაგონებაზე აკაკიმ თავზე ხელი გადამისვა და ღიმილით მითხრა: „გისურვებ წარმატებებს და სიმართლისათვის, სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე ქედი არავის წინაშე არ მოგეხაროს“.

აკაკის ეს სიტყვები მუდამ თან მახლდა და მუდამ ვცდილობდი ვყოფილიყავი ერთგული მამულიშვილი.

აკაკიმ შემდეგ იკითხა მემედ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, რეჯებ ნიჟარაძე და თქვა: „მოხარული ვარ, რომ ახლა სარბიელზე ჩნდებიან გამაჰმადიანებული ქართველი პატრიოტები, რომლებიც ქართველი ხალხის მოწინავე შვილებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებით იბრძვიან საქართველოს ერთიანობისა და მისი ბედნიერი მომავლისათვის“.

აკაკიმ ჩვენთან საუბარი ასე დაამთავრა: „მე ღრმად მწამს გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის დიდი მომავალი და ვინატრებდი, რომ მეც მოვსწრებოდე მის ბედნიერებას“.

მე იმ დროს საზოგადოებაში ახლად ფეხადგმული ვიყავი და ამ დიდი ადამიანის პირადად გაცნობამ ჩემს გულში საქართველოს სიყვარული უფრო გააღვივა და განამტკიცა.

1914 წლის 29 მაისს, ქუთაისში, აკაკის მონაწილეობით გამართულ სალიტერატურო საღამოს შემდეგ ის მალე ლოგინად ჩაწვა და 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში.

აკაკის გარდაცვალება ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს და მისმა მაღმერთებელმა მშობლიურმა ხალხმა ცხარე ცრემლით დაიტირა პოეტი.

ჩემდა სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო, აკაკის დაკრძა-

ლვას ვერ დავესწარი, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნები, თუ აქ მოვიყვან სამძიმრის დეპეშის შინაარს, რომელიც ჟურ-ნალისტთა ერთი ჯგუფის მინდობილობით გავუგზავნე ქართველ მოღვაწეთაგან საგანგებოდ შექმნილ აკაკის დამკრძალავ კომიტეტს: „ქართველი ერის ნაწილ-ნანგრევებს, ისედაც ბედისაგან დაწყევლილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე ტანჯვა აღარ გვშორდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოდ დაუვიწყარმა, თავზარდამცემმა — საქართველოს დიდებული შვილის დაკრძალვამ, გადააჭარბა ყოველ ტანჯვას..“

აკაკის დაკრძალვას აჭარელთაგან დაესწრო მოხუცი გულო კაიკაციშვილი, რომელიც თავს დაადგა აკაკის კუბოს და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „გევედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭიროს, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედაენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით“... (კრებული „ძმური სიტყვა“, 1915 წელი, გვ. 59).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან

აკაკი წერეთლის ნიჭს დიდ პატივსა სცემდნენ და ათაყვანებდნენ არათუ მარტო ქართველები, არამედ გაქართველებული სომხებიც, რომელნიც ბლომად მოსახლეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: გორსა, სიღნაღსა, თელავსა და ქუთაისში, აგრეთვე სხვაგანაც.

მეტადრე ჩემს სამშობლო გორში განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა დამსახურებული აკაკის. იქაურმა სომხობამ თავისი ენა აღარც კი იცოდა და სულ ქართულად ლაპარაკობდა. მარტო საყდარში თუ გაიგონებდით სომხურ ენას, ისიც წირვა-ლოცვას, ქადაგებით კი მღვდელი ქართულ ენაზე ჰქადაგებდა.

მჭევრმეტყველებით სახელგანთქმული ტერ-სტეფანა რომ საქადაგოდ გადმოდგებოდა და თავის სიტყვას ხშირად შოთას უკვდავი ნაწარმოების ციტატებითაც მოქარგავდა, მის მოსასმენად მოდიოდნენ არათუ მარტო სომხები, არამედ ქართველებიც.

ჰოდა, ამისთანა სომხებში აკაკის მუზას ისეთივე ღრმა სიყვარული და აღტაცება ჰქონდა მოპოვებული, როგორც ქართველებში. ბავშვობიდანვე მსმენია დედაჩემისაგან აკაკის დაუვიწყარი სიმღერები: „იავ-ნანა, ვარდო-ნანა“, „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“ და ბევრი კიდევ სხვა...

აქ არ შემიძლია ერთი სასაცილო ამბავი არ მოვუთხრო მკითხველს: დაიწყებდა თუ არა დედაჩემი სიმღერას „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, მეც და ჩემს და-ძმებს თვალებზე ცრემლი მოგვადგებოდა და ბოლოს ბღავილსაც ამოვუშვებდით ხოლმე, როცა შემდეგ სტრიქონებს ვუსმენდით:

დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
აჰა, ღმერთო, რა უდროვოთ დავბერდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!

. . . . . .

და ღმერთს ვევედრებ: ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!

ჩვენ, გულუბრყვილო ბავშვებმა, არც კი ვიცოდით რა იყო სიტყვა „სატრფო“, ჩვენ გვეგონა, რომ დედა გვიკვდებოდა და იმიტომ ახსენებდა სიტყვას საფლავს; ვეხვეოდით, ვკოცნიდით და ვეფერებოდით: დედა, გენაცვალე, აღარ ვიგიჟებთ, ოღონ შენ იცოცხლე, არ მოკვდე-თქო... ძლივს დაგვაჩუმებდა ხოლმე დედა, მაგრამ ამ ლექსის ფსიქიური ზეგავლენით ისარგებლა დედაჩემმა და, რამდენიც დებსა და ძმებს ჩხუბი მოგვივიდოდა, ან ვიცელქებდით, იმავე წამს ზემოთ მოყვანილ მწარე ლექსებს იმღერებდა... ჩვენ ფიცხლავ ჩავჩუმდებოდით ხოლმე და ერთი-ორი საათით მაინც ისვენებდა საბრალო დედაჩვენი... როცა წამოვიზარდენით, მაშინ შევიგნეთ ამ ლექსის მაღალი ღირსება. დედაჩემისაგან გამიგონია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნისა“, მაგრამ შოთას ისე ადვილად ვერ ვითვისებდით, როგორც აკაკის ხალხურ, გასაგებ ენას.

აკაკიმ და ილიამ შემაყვარეს ქართული ლიტერატურა. მახსოვს, გორის პროგიმნაზიაში რომ მიმაბარეს, სომეხ მოწაფეებს გამოგვიცხადეს: ვისაც გსურთ, ქართულ გაკვეთილებზედ შეგიძლიათ იაროთო. მე სიხარულით ჩავეწერე ნიკო ლომოურის გაკვეთილებზე და ერთი-ორი წაკითხვით ვიხსომებდი აკაკის მიერ მშვენივრად ნათარგმნ კრილოვის არაკებს.

აკაკის ლექსებს გვაზეპირებინებდა აგრეთვე სიმღერის მასწავლებელი ს. გოგლიჩიძე და, თუმცა არავითარი მუსიკალური სმენა არ გამაჩნდა, მაინც ჩემი ღრიანცელით — „მე ჩონგური მისთვის მინდა“ — გამოყრუებული იყო მთელი ჩვენი სახლი.

წამოვიზარდე. დავიწყე ჯღაბნა. 22—23 წლისა რომ ვიყავ და უკვე ორი ჩემი პიესა „ინჯილერი ან დოხტური“ და „ფული და ხარისხი“ თბილისის ქართულ თეატრში იდგმებოდა, გადმოვსახლდი გორიდან თბილისში. აქ ვცხოვრობდი მხოლოდ ზამთრობით, ზაფხულობით კი ისევ მშობლებთან ვბრუნდებოდი. თბილისში ვიხილე პირველად „პატარა კახი. და „თამარ ცბიერი“ და გამიათკეცდა ღრმა სიყვარული და პატივისცემა აკაკისადმი, რომელიც ჯერ თვალითაც არ მენა-

ხა და რომლის გაცნობასაც ციურ მანანასებრ მოველოდი. მალე ეს ნატვრა ამისრულდა. მე ამ დროს ვცხოვრობდი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის ოჯახში, სადაც თითქმის ყოველდღე შემოდიოდნენ ხოლმე სხვადასხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენი და მწერლები. კვირაში ერთხელ ხომ „ჯეჯილის“ ირგვლივ მუდამ იმართებოდა საღამოები, რომელსაც ესწრებოდნენ იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე და სხვ.

ერთ საღამოს, როცა ყველანი ჩაის შევექცეოდით სასადილოში, კარი ვიღაცამ შემოაღო დერეფანში; დიასახლისმა ანასტასიამ გაიხედა და სიხარულით წამოიძახა: „ო... ო! აკაკი! აკაკი! მობრძანდით! მობრძანდით!“.

ისე ამიკანკალდა გული, რომ კინაღამ საბუდარიდან ამომივარდა. კარებში ნელის ნაბიჯით შემოვიდა თვალწარმტაცი გარეგნობის მოხუცი, მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი ტანი, დაგვირგვინებული ზევსისებური თავით. მაღალი შუბლი და ტკბილი, მომღიმარი სახე, თოვლივით თეთრი თმა, წვერ-ულვაშით, ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, თითქო ოლიმპიელი ჩამოვიდა ჩვენთან, მიწიერებთანაო.

ყველა იქ დამსწრენი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ფეხზე წამოდგნენ და მოწიწებით ეპატიჟებოდნენ: „მობრძანდით“, „აი, აქეთ დაბრძანდითო“.

აკაკი ძალიან თავმდაბალი, გულკეთილი და ზრდილი კაცი იყო, ბევრჯერ გადაჭარბებით თავმდაბალი... მიუხედავად ამისა, მას მოქცევაში ემჩნეოდა არისტოკრატიული ჩვევები.

აკაკი, როგორც შეეფერება ყოველ დიდებულ პიროვნებას, ცდილობდა, რომ, ცხოველ მზესავით, ყველა გაეთბო ირგვლივ, გაეცოცხლებინა, გაემხიარულებინა. როცა მეც გამაბედნიერეს და იმ არაჩვეულებრივ დაუვიწყარ საღამოს გამაცნეს დიდებული პოეტი და მოახსენეს — ეს აზიანიაო, — იგი ღიმილით მომიბრუნდა — „ქალო, შენ სანახავად გორში მოდიოდიო“, მითხრა მან.

მე საშინლად გავწითლდი, მთლად ავირიე სიხარულისაგან — 23—24 წლისა ვიყავი და დავიჯერე ეს ქათინაური. მაინც როგორც იყო, მოვახერხე პასუხი: „თქვენ შეიძლება დამცინით, ბ-ნო აკაკი, მაგრამ მე კი, მართლაც, თქვენს სანახავად თბილისში გიახელით-მეთქი“.

მთელი საღამო ყური და თვალი საყვარელ პოეტისკენ

მქონდა მიპყრობილი და ვფიქრობდი: ბუნებამ, ალბათ, მარ-
ტო შენზე მოიცალა, რომ გონებითაც აგრე უხვად [illegible]
დოვა-მეთქი.

მართლაცდა, რა მშვენიერი სანახავი იყო აკაკი, როცა თა-
ვისებურად ოხუნჯობას მოჰყვებოდა ნაცნობ-მეგობრებში! ან
სავარძელში რომ გადაწვებოდა, ნიბლიასებრ ქუთუთოებს
დახრიდა თვალებზე და მოგვიყვებოდა უცნაურ ამბებს, რო-
მელთა სინამდვილე არავის სჯეროდა, რადგან იქვე, მსმენელ-
თან, სახელდახელოდ იყო შეთხზული, მაგრამ ეს ამბები ისე
უხვად იყო შეზავებული მაღალი პოეზიით და ენამახვილო-
ბით, რომ ძალაუნებურად მიჰყვებოდი დიდებულ პოეტს უდა-
ბნო ბილიკებით მის საოცნებო კოშკში.

ეს ნამდვილი პოეტური თვისება აკაკისა ერთხელ (ვგონებ,
1905 წ.) საკარიკატურო მასალად გახადეს ფედერალისტებმა
და „ცნობის ფურცლი"-ს ერთ-ერთი დამატების №-ში აკაკი
დახატეს პირში სტვირით და ამ სტვირიდან გამომდინარე საპ-
ნის ბუშტებით, ქვეშ კი წააწერეს: „სიბერის დროსა არ ვარგა
საპნის ბუშტების სროლაო".

ამ კარიკატურამ საშინელი გულისწყრომა გამოიწვია, რო-
გორც აკაკისა, ისე მისი თაყვანისმცემლებისა, და ტყვიასებრ
წამოვიდა პროტესტები ლექსით და პროზით ფედერალისტების
მიმართ. თვითონ აკაკიმ, რამდენადაც მახსოვს, გესლიანი ლექ-
სით უპასუხა „ცნობის ფურცლის" ერთ-ერთ მთავარ მესვე-
ურს გიორგი ლასხიშვილს, რის შემდეგ ზემოხსენებული გაზე-
თის უახლოეს ნომერში მობოდიშებისნაირი ახსნა-განმარტე-
ბა დაიბეჭდა. თუ არა ვცდები, შინაარსი დაახლოებით ასეთი
იყო: ევროპაში მიღებულია დიდებული პირების გაკარიკა-
ტურება და ეს სულაც არ ლახავს მათ ღირსებასო; ხოლო
ჩვენ ჯერ არა ვართ შეჩვეულნი... და სხვა ამისთანები.

აკაკის ქალების საზოგადოება ძალიან უყვარდა, არათუ
მარტო ლამაზი და კოხტა ქალებისა, არამედ ბევრჯერ მახინჯ
და უკბილო ბებერ მანდილოსნებშიაც მშვენივრად გრძნობდა
თავს. ქალებსაც (ბებრებს თუ ახალგაზრდებს) ძალიან უყვარ-
დათ აკაკი, რომელიც ხშირად არც მათ დაცინვას ერიდებო-
და, მიუხედავად თავისი განთქმული ზრდილობისა.

ერთხელ, ტასო წერეთელთან რამდენიმე საზოგადო მოღ-

ვაწე ქალი შეიკრიბა, მეც იქ ვიყავი. კაცებს შორის იყო დიდებული პოეტიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთმა მანდილოსანმა თავზე ხელი წაივლო და სოწარკვეთით წამოიძახა: „უ... უხ! რა თავი მტკივა, რა თავი მტკივა!“.

აკაკიმ გესლიანად ჩაიცინა და უთხრა: „ნეტა ვიცოდე, რა ისეთი ძვირფასი თავი გტკივათ, რომ ეგრე კვეხულობთ?“ ყველა იქ მყოფს სიცილი აუტყდა. მანდილოსანს ეწყინა, მაგრამ აკაკიმ მალე დააშოშმინა და აუხსნა: „რა თავი მტკივა“ კი არ უნდა გეთქვათ, არამედ — რა ძლიერ მტკივა თავიო.

აკაკის ოხუნჯობას დიდი პოპულარობა ჰქონდა ხალხში მოპოვებული, ბევრჯერ ისეთ ხუმრობა-შაირების ავტორადაც კი აცხადებდნენ მას, რაც თვითონ ხალხმა შეთხზა და აკაკის თავის დღეში არ უთქვამს.

აქ ვეცდები გადმოგცეთ ის, რაც მე თვითონ მსმენია აკაკისაგან, ან გამიგონია იმ პირებისაგან, რომელნიც ახლო იდგნენ პოეტთან და ღირსნი არიან დავუჯეროთ მათს ნაამბობს. აქვე კი უნდა მოვიბოდიშო, რომ მოხუცებულობის გამო ბევრი რამ დამავიწყდა და ახლა ძალიან ვნანობ, რომ რვეულში არ ვიწერდი აკაკის მოსწრებულ სიტყვებს. მას მე ვხვდებოდი თითქმის ყოველდღე ჯერ ანასტასია წერეთლის სახლში, სადაც მე დავყავი 3—4 წელიწადი და სადაც პოეტი კვირაში ორჯერ-სამჯერ შემოდიოდა ხან დღისით, ხან საღამოთი. საშინლად უყვარდა ლობიოს შეჭამანდი და დიასახლისს შეუკვეთავდა ხოლმე: „შენმა მზარეულმა ხვალ ლობიო დამიმზადოსო“.

ხშირად ვხვდებოდი პოეტს აგრეთვე დ. ზ. ალდადანოვის ოჯახშიც. აქ კარგა ხანს ვცხოვრობდი. ამ დასახელებულ მანდილოსანთან აკაკის მიეწერ-მოწერაც ჰქონდა. ერთ-ერთი წერილი მეც წამიკითხა დარია ზაქარიას ასულმა, როგორც ნიმუში პოეტის ოხუნჯობისა. აქ ხშირად ჰპატიჟობდნენ პოეტს სადილად, მაგრამ უფრო ხშირად მე ვხედავდი აკაკის მაშინდელ ქართულ თეატრში (ახლა ვოროშილოვის სახელობის კლუბი), ეს იყო 1904 წელს, როდესაც პოეტი მიწვეული იყო რეჟისორად, ხოლო თეატრში მე მებარა ბიბლიოთეკა. თეატრს განაგებდა „ქართული დრამატული საზოგადოება“, რომლის წევრებიდან კარგად მახსოვან: ნ. ქართველიშვილი, სვიმონ

კლდიაშვილი, ვასო სულხანიშვილი და ის იყო ახლად ჩამოსული საზღვარგარეთიდან გიორგი დეკანოზიშვილი. ყველანი განათლებულნი, ხელოვნების კარგი მცოდნენი, უანგარო მუშაკნი და იშვიათი ხასიათის ადამიანები იყვნენ. მიუხედავად ამისა, როცა გიორგი დეკანოზიშვილი (პროფესიით სამთამადნო ინჟინერი) გააცნეს აკაკის, უკანასკნელი მიუბრუნდა იქ მყოფ ზემოხსენებულ პირებს და ირონიით უთხრა — „ძვირფასი იაგუნდ-ზურმუხტები სხედხართ „დრამატიულ საზოგადოებაში“ და „გორნი“ ინჟინერიც მოგინდებათო. ეგება თქვენისთანა ბრილიანტები კიდევ აღმოაჩინოსო“... ყველას სიცილი წასკდა.

კეთილი გულისა იყო აკაკი, მაგრამ ბევრჯერ შხამიანადაც იკბინებოდა. ერთხელ, ანასტასია წერეთლისას, სადილშემდეგ ჩემი სურათი უჩვენეს წიგნში აკაკის. ამ სურათში, მართლაც, ძალიან გაველამაზებინე ფოტოგრაფს. აკაკიმ დახედა სურათს, მერე მე შემომხედა, თავი გადააქნ-გადმოაქნია ეჭვიანად და წამოიძახა: „წადი და ამიერიდან ფოტოგრაფებს დაუჯერეო“. მე საშინლად მეწყინა, სხვები კი სიცილით კვდებოდნენ, რამაც უფრო გამაწიწმატა. მეორე დღეს დიდებულმა პოეტმა ისე გამაბედნიერა, რომ მთლად გამიქარწყლა ჩემი მისდამი სამდურავი. შემოვიდა თუ არა „დრამატიული საზოგადოების“ კანტორაში, სადაც ბიბლიოთეკაც იყო მოთავსებული, თავისი ლექსების კრებული გამომიშვირა და მითხრა: „ჩემს სახსოვრად გქონდეს ესაო“.

ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, მეტადრე როცა ყდა გადავშალე და აკაკის ხელით წარწერილი ლექსი წავიკითხე:

„მწერალ ქალსა აზიანსა,
ნიჭიერს და აზრიანსა,
თანაც დიდათ ბრაზიანსა!
თუ არ არგებს, არც რას აწყენს,
არ მოუტანს მას ზიანსა!“

ეს „აზრიანი“ და „ნიჭიერი“ ისე მეამა, რომ მაჭარივით თავში ამივარდა და „ცა ქუდად აღარ მიმაჩნდა, დედამიწა — ქალამნად“, მაგრამ რაც შეეხება „თანაც დიდათ ბრაზიანსა,“ სწორე მოგახსენოთ, არაფრად მეჭაშნიკა, მაგრამ მაინც დიდი ძალლობა გადავუხადე.

თვითონ მეც მამაშვილურად მეპყრობოდა და მაქებებდა პიესების წერა განმეგრძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბევრჯერ თავის ცოლ-შვილზედაც ოხუნჯობდა. მისი მეუღლე, შთამომავლობით ბაზილევსკაია, ფაშფაშა ქალი იყო. ერთხელ თურმე, როცა აკაკი თავისი მეუღლით ჩასულა ქუთაისში თუ საჩხერეში, იქაურ მცხოვრებლებს პოეტის პატივსაცემად ზეიმი გაუმართავთ. აკაკის მეუღლეს მიუმართავს ქართველი საზოგადოებისათვის: «Мой муж для вас то-же, что для русских Толстой»: რაზედაც აკაკის უპასუხნია: «Я-то не Толстой, а вот ты толстая, это—правда!»

ერთხელ, მახსოვს, ანასტასია წერეთლისას, სადილსუკან, სასტუმროში ვისხედით და აკაკის ოხუნჯობას ყურს ვუგდებდით. ამ დროს კარები შემოაღო გარედან და ერთ-ერთი ქართველი მსახიობის მეუღლე შემოვიდა, 7—8 წლის ბავშვით. ყველას მიესალმა და მიმართა აკაკის თხოვნით: ბ-ნო აკაკი, მითხრეს, რომ სადილად აქა ბრძანდებით და გავკადნიერდი და შეგაწუხეთო. ამ კვირია ჩემის ქმრის ბენეფისია და გთხოვთ, ერთი რამ ლექსი დაგვიწეროთ და სცენიდან წაიკითხოთო. ნება რომ დაგვრთოთ და თქვენი მონაწილეობა გამოვაცხადოთ გაზეთში, აუარება ხალხი მოვა და ჩვენისთანა გაჭირვებულ არტისტებს ძალიან ეშველებაო. აკაკიმ იმწამსვე თანხმობა გამოუცხადა, პატარა ბავშვს ვერცხლის მანეთიანი აჩუქა და გამოთხოვებისას დაჰპირდა, რომ საბენეფისოდ ახალ ლექსს დაგიწერთო.

საღამოს, ჩაიზე, პოეტმა წაგვიკითხა ფანქრით დაწერილი მშვენიერი ახალი ლექსი, საბენეფისოდ გამზადებული. მთლად აღარ მახსოვს ეს ლექსი, მაგრამ რამდენადაც გონებაში ჩამრჩა, ასე იწყებოდა:

დღეს რომ მეფე ვარ, ხვალ -გმირი.
. . . . . .

და თავდებოდა ასეთი სტრიქონებით:

წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს
შევხარით, როგორც აღდგომას,
რომ მაშინ მაინც ვეღირსოთ
ჯერზედ ცოლ-შვილის გაძღომას!

ეს სანატრელი ტკბილი დღე
სახელად „ბენეფისია“,
მაგრამ ვაი, რომ ხშირათა
სახრავი მაინც სხვისია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ბოლო სტრიქონი გულისხმობდა თეატრის ხარჯებს).

ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა ამ ლექსმა. დადგა ბენეფისის დღეც. გაზეთში მოთავსებულმა ანონსმა — „აკაკი ახალ ლექსს წაიკითხავსო“ — გასჭრა და იმდენი ხალხი მოიზიდა ქართულ თეატრში (რომელიც მაშინ ცარიელი იყო ხოლმე), რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. იმდენი ხალხი მხოლოდ ისეთ პირველხარისხოვან არტისტების ბენეფისზე გროვდებოდა, როგორიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ლიზა ჩერქეზიშვილი...

ფარდა აიხადა, გამოჩნდა აკაკი სცენაზე და გაიმართა ისეთი ოვაციები, ისეთი ტაშის ქუხილი, რომ კარგა ხანს ლექსის წაკითხვაც აღარ დააცალეს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი წაიკითხა ძალიან დაბალი ხმით და ბევრს უკანა რიგებში არც კი ესმოდათ, მაინც საყვარელი პოეტი ისეთი აღტაცებით მიიღეს, გეგონებოდათ მისი ბენეფისია და არა მსახიობისაო.

მახსოვს კიდევ, რომ აკაკი ხშირად ემდურებოდა მაშინდელ ცენზორს ჟურულს, რომელიც, მისი სიტყვით, მუსრს ავლებდა მის ნაწერებს.

ერთხელ, როცა „დრამატიული საზოგადოების“ კანტორაში ვიყავი, დიდებული პოეტი შემოვიდა და იქ მყოფთ არტისტ-მწერლებს უამბო აღელვებით: დიდი ჩხუბი მომივიდა ცენზორ ჟურულთან ჩემი ლექსების დამახინჯების გამო და იცით იმან რა მიპასუხაო?

— რა? — ვკითხეთ ჩვენ.

— წადი და საცა გინდა მიჩივლეო!

მეც მივაძახე — ჰაი, თუ გინდა უფრო წინ წაგასკუპონ და ჩინ-ორდენები მოგიმატონ, წე სიმაროლის ჯალათო!

აკაკის ძალიან უხაროდა, თუ მშობლიური კულტურის ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. სიტყვით, საქმით, დარიგება-წაქეზებით ცდილობდა პატარა ნაპერწკალიც კი ნაკვერჩხლად ექცია, მაგრამ ძალიან ხშირად ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე: ამა და ამ მწერალმა, ან არტისტმა დიდი იმედები აღმიძრა, ბოლოს კი მოვტყუვდიო: ფშუტყვავილასავით

ლამაზი ფოთლებით თვალი მოგვტაცა, მერე კი უნაყოფო გამოდგა და მალე დაჭკნაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ აქ მინდა გიამბოთ აკაკის ერთ-ერთი ლექსის ბედ-იღბალზე, რომელიც მან დაწერა 1905 წელს.

ერთხელ, ანასტასია წერეთლისას აკაკიმ ამოიღო უბის ჯიბიდან თავისი ხელნაწერი, ზემოხსენებული, ჯერ არსად დაბეჭდილი ლექსი და დაიწყო წუწუნი — ეს დავწერე ამ დღეებში და არ ვიცი, სად დავბეჭდო, ყველანი უარს მეუბნებიანო: სოციალისტ-ფედერალისტები „სოციალ-დემოკრატს“ მეძახიან, ეს უკანასკნელნი კი — „სოციალისტ-ფედერალისტსო“. აღარავინ მწყალობს, აღარავინ მიბეჭდავს ლექსებსაო.

მე ვიცოდი, რომ ეს სიტყვები ჩვეულებრივი პოეტური გადაჭარბება იყო და მოგახსენე: აბა, გვიბოძეთ ეგ ლექსი და ვნახოთ, როგორი სიხარულით დაბეჭდავენ-მეთქი. მართლაც, აიღო და გადმომცა. მე მაშინ უცბად გორში წასვლა მომიხდა კარგა ხნით, ეს ლექსი თან გამყვა და საწერი მაგიდის უჯრაში ჩამრჩა. მას შემდეგ გავიდა რამდენიმე წელიწადი, ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ შემხვდა აკაკი თბილისში ნაცნობებისას, ქუჩაშიც და მთხოვა — „მომეცი ის ლექსი, გადავწერ და დედანს ისევე მოგცემ, მე აღარ მახსოვს ზეპირადო“. მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მე უფრო ძუნწურად ვმალავდი საყვარელი პოეტის ხელნაწერს და არ მემეტებოდა დასაბრუნებლად. ვერ წარმომედგინა, რომ მას აღარ ახსოვდა საკუთარი ლექსი და ვერ განაახლებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავირცხვინე და გორიდან თბილისში წამოვიღე ეს ხელნაწერი ავტორისათვის გადასაცემად, ვიმედოვნებდი: ჩემთან გადაწერს და დედანს ისევ დამიბრუნებს-მეთქი... მაგრამ აღარ მეღირსა მისი ნახვა. ვიხილე მხოლოდ მისი დიდებული დამარხვა, სადაც მთელი ერი ისე გლოვობდა, როგორც დამწვარი დედა დაკარგულ შვილსა! არათუ მარტო ქართველი ერი, არამედ ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა, ვისაც კი წაუკითხავს ან გაუგონია მისი უკვდავი ნაწარმოებნი. აქ აღარ აგიწერთ, რა ღრმა მწუხარება განვიცადე და როგორ მტანჯავდა სინდისი, რომ დიდებულ პოეტს არ ავუსრულე სურვილი და დროზე არ დავუბრუნე მისი ხელნაწერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრემლითა და ყვავილებით

ცხრა წლის ვიყავი, როდესაც ძარიამ დემურიას სახლში პირველად ვნახე აკაკი. რამდენი სიხარული, მოკრძალება და, თანაც, ბავშვური აღტაცება გვიგრძნია მის დანახვაზე... ეს დიდსულოვანი ადამიანი იმდენად უშუალო და უბრალო იყო ბავშვებთან, რომ პირველი ნახვისთანავე პატარების უზომო სიყვარულს იწვევდა.

ბავშვობიდანვე ყურში მქონდა ჩაწვეთებული აკაკის მუხამბაზი „ალმართ-ალმართ მივდიოდი მე ნელა.“ ამ ლექსს დედაჩემი მღეროდა ხოლმე. მე კი სულ პირველად აკაკის „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო“ დავისწავლე.

მისი ახოვანი ტანი, ღვთაებრივი სახე, ხავერდოვანი, ტკბილი ხმა ადამიანებს მისადმი თაყვანისცემით განაწყობდა. მე მომისმენია აკაკის სიტყვა, ილიას სიკვდილის გამო წარმოთქმული. ილიას გასვენების დროს ავადმყოფი აკაკი ძველი ქართული თეატრის აივანზე გადმომდგარი დაგვხვდა. ცრემლმორეული ამბობდა სიტყვას. თითქოს ახლაც ჩამესმის მისი სიტყვები: „თუ საქართველოს არ უწერია სიკვდილი, ნეტარება შენ, რომ შენც უკვდავი ხარ.“ მე ხომ იმ დროს მასთან ახლოს ვიდექი. ძაძებით მოსილ რამდენიმე ახალგაზრდა ქალს ყვავილების ჩარჩოში ჩასმული ილიას სურათი მიგვქონდა წინ.

ხშირად ვხვდებოდი აკაკის. მქონდა ბედნიერება ვმჯდარიყავი მის გვერდით ქართული თეატრის სცენაზე, პრეზიდიუმში. პოეტ ალექსანდრე აბაშელს პრემია მიანიჭეს ლექსისათვის „ჩაქრა დილა“. პრემიის გადაცემა საჯაროდ უნდა მომხდარიყო. ერთ დღეს შემხვდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიგო დიასამიძე და მითხრა: ორი დღის მერე აბაშელს პრემია უნდა გადაეცეს და აი ეს ლექსი იმ საღამოზე შენ უნდა წაიკითხო. ეს იყო აბაშელის ლექსი. მე ძალიან შემაკრთო ლექსის სიდიდემ, ორ დღეში როგორ დავისწავლი-მეთქი, მაგრამ უარი არ გამივიდა. თეატრში რომ მივედი, სცენაზე ამიყვანეს და

აკაკის გვერდით დამსვეს. შევკრთი, მეკრძალებოდა დიდი პოეტის გვერდით ჯდომა. აკაკიმ შემატყო და მითხრა: „მოდი, თავადის ქალო, მხარი დამიმშვენე“. რა ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს! ლექსი რომ წავიკითხე, შემაქო აკაკიმ. ესეც დიდი ჯილდო იყო ჩემთვის.

იმ საღამოს აკაკიმაც წაიკითხა ლექსი, საერთოდ, კონცერტებსა და საქველმოქმედო საღამოებზე აკაკი ხშირად გამოდიოდა ლექსების კითხვით. საღამოებში აკაკის მონაწილეობა ხალხს იზიდავდა და შემოსავალიც დიდი იყო. ეს კარგად იცოდა აკაკიმ და ყოველთვის სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას და, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ. უფრო ხშირად კითხულობდა „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო“ და „ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა.“ ერთხელ აკაკის დაავიწყდა ლექსი, შეჩერდა და სიცილი დაიწყო. მერე რა საკვარელი სიცილი იცოდა!... ამ დროს კოწო ანდრონიკაშვილმა პარტერიდან უკარნახა და აკაკიმაც განაგრძო კითხვა. იმ წუთებში მგოსანი ისეთი სათნო და საყვარელი იყო, რომ ყველას გული დაატყვევა.

ერთხელ აკაკიმ მოისმინა ჩემ მიერ წაკითხული მონოლოგი „თამარ ცბიერი,“ ძლიერ მოეწონა, შემაქო და მითხრა: თეთრი ლექსის კითხვა, საერთოდ, ადვილი არ არის და შენ კი ასე კარგად წაიკითხეო, კარგი ქართული მეტყველება გაქვს და, ალბათ, მაგ როლსაც კარგად ითამაშებო. მე ვუპასუხე: თქვენ ისე ჯადოსნურად გყავთ აღწერილი თამარი, რომ ვერ გავბედავ მაგ როლის შესრულებას-მეთქი.

რა ახლობელი, რა ძვირფასი იყო აკაკი თავისი უბრალოებით, სათნოებითა და თავისი სიდიადით!

ამის შემდეგ აღარ მქონია ბედნიერება მასთან შეხვედრისა. 1915 წლის იანვარში, ჩვენდა სამწუხაროდ, წილად მხვდა ცვავილებითა და ცრემლებით გამეცილებინა ჩვენი სასიქადულო მგოსანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრწყინვალე გენიოსი საქართველოსი

ეს მოხდა 1912 წლის 22 მკათათვეს. სამხედრო გზით ჩვენ რაჭაში ვმოგზაურობდით.

სოფელ წესს რო გავცდი, ორი ვერსის დაშორებაზე, იქვე, მდინარის ახლოს, მწვანეზე შევნიშნეთ უძველესი ეკლესია, ასე VI—VIII საუკუნისა.

ეკლესიის ახლოს რომ გავიარეთ, დავინახეთ მწვანე მოლზე გაშლილი ხალხი ყვავილებით თაღს აკეთებდა. მეორე ჯგუფი ხალხისა ეკლესიიდან შარაგზაზე ჩასასვლელ ბილიკს აკეთებდა.

აქ გავიგეთ, რომ ეს მხიარული ხალხი დიდის ყოფით უპირებს დახვედრას თავის საყვარელ და პატივცემულ პოეტს — სამოცდაათი წლის მოხუცს აკაკი წერეთელს. მთელ ღამეს გათენებამდე ხალხი იდღესასწაულებს აკაკის მოსვლას. სიტყვები, სიმღერა, ცეკვა-თამაში განთიადამდე გასტანს.

შარაგზაზე აუარებელი ხალხი ირეოდა, თითქოს რომელიმე დიდ ქალაქში მოხვდიო. ხალხი თანდათან ემატებოდა. ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი, ბავშვები და ქალები, სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, მშვენიერი კავკასიური ტანის რხევით ეკლესიისაკენ მიდიოდნენ. დედაკაცებს ხელში ძუძუმწოვარა ბავშვები ეჭირათ. მთელი ხალხი, განურჩევლად მდგომარეობისა, გამომლილიყო თავისი საყვარელი პოეტის სანახავად. მუშა და ინტელიგენტი, გლეხი და ვაჭარი, წვრილი ხელოსანი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი ყველა ერთი გრძნობით იყო გამსჭვალული, ყველა მოხარული იყო აკაკის ნახვით, ყველა ერთნაირად ამაყობდა მისი ნიჭით, ყველამ იცოდა, ის იყო ერთადერთი ბრწყინვალე გენიოსი საქართველოსი.

ყველას პირზე „აკაკი" ეკერა, ყველას ხელში აკაკის ლექსთა კრებული ეჭირა. ბევრს მეტი სიხარულისაგან თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. სოფლის შესავალშივე ჩინებულად იყო გამართული თაღი, მორთული ვარდ-ყვავილებით. ზედ თაღზე ყანის თავთავებით იყო დაწერილი: „გაუმარჯოს აკაკის!" მთე-

ლი ხალხი მორთული და მოკაზმული იყო ყვავილებით. ამ უფრო დიდძალი ხალხი ირეოდა, თითო წუთობით ხალხი ემატებოდა. ურმით მოიტანეს ორი უშველებელი რუმბი ...

აკაკი ჯერ არსად სჩანს. ხალხს ძალინც მოთმინება არ ეკარგება. ახალი და ახალი ჯგუფი ეკლესიისაკენ მიდის. ჩვენ, რადგანაც აკაკიმ დაიგვიანა, ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ. გავიარეთ ერთი უმშვენიერესი, ულამაზესი ხევი რიონისა. აქაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ახალგაზრდა მოსწავლენი არიგებდნენ აკაკის იაფფასიან წიგნაკებს. ჩვენ ეტლში მივიწვიეთ ერთი ფრიად სათნო და მიმზიდველი სახის მოსწავლე, რომელიც ქუთაისის საშუალო სასწავლებელში სწავლობდა. მან გადაშალა აკაკის წიგნი და გადმოგვითარგმნა ერთი ლექსი. დაახლოებით თარგმანი ასეთი იყო: „ვისაც რა უნდა ის უყვარდეს, მე მიყვარს ის, ვინც ნიადაგ შრომაშია, ვისი ხელებიც მეჭეჭებითაა სავსე. გაუმარჯოს მშრომელს და განოყიერდეს მისი ყანა. კაჭკაჭი კი არა ვარ, რომელსაც თავის ბუდეში შეაქვს ყველაფერი, რაც კი ბეკვინავს. მძულს მცონარენი და მუქთახორები, რომელნიც მშრომელის შრომით და ტანჯვით არიან განცხრომაშიო“.

უეცრივ შორს, დასავლეთით გაჩოჩნდა მხედართა ჯგუფი. ასიოდე მხედარი რკალივით გარს შეუორტყმოდა აკაკის ეტლს. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი ამაყად ისხდნენ ცხენებზე და გულზვიადად გამოიყურებოდნენ.

ჩვენ ფეხზე წამოვდექით და საღამი მივეცით პოეტს, პოეტმა ეტლი შეაჩერა, გადმოვიდა და მოგვიახლოვდა ჩვენ. ეს იყო ლამაზი, მთლად გათეთრებული წვერ-ულვაშით შემკული მოხუცი. სახე დაღლილი, მაგრამ დინჯი და მშვიდი ჰქონდე. თვალებში სიამოვნებისა და სიხარულის სხივი უკრთოდა.

მე მივესალმე: დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით. განუსაზღვრელი სიამოვნებით ივსება გული, როცა ვხედავ, თუ როგორ აფასებს და რა სიყვარულით ეგებება ხალხი თავის მგოსანს. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ამ ხალხის დღესასწაულმა და დაგვანახა, თუ რამდენად პატივსაცემი და ძვირფასი ხართ ხალხისათვის.

აღელვებულმა ა. წერეთელმა რუსულად გვიპასუხა: „...თუმცა თქვენ რუსები ხართ და ჩვენ ქართველები, თუმცა სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ სიყვარულის გრძნობა უნ-

და აერთიანებდეს ყველას, სიყვარულის გრძნობა ყველას ერთ ენაზე ამეტყველებდესო“. გამოვემშვიდობეთ. წერეთელი ჩავიდა ეტლში. ხალხმა დაიგრიალა: „გაუმარჯოს აკაკისთ“. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მშვენიერი სანახაობა თვალს მიეფარა. გაიარა რამდენიმე დღემ. ერთ ჩემს ნაცნობ ქართველ ინტელიგენტს ვუამბე ამ შეხვედრის ამბავი. იგი აღელდა, გამაწყვეტინა ლაპარაკი, ხელზე მაგრად მომიჭირა და აკანკალებული ხმით მითხრა: „აკაკი ჩვენთვის, ქართველებისათვის, იგივეა, რაც თქვენთვის ლევ ტოლსტოი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი

აკაკის ვიცნობდი როგორც კარგ მეზობელს. მასთან ხშირად მისაუბრია და ამავე დროს ხშირადაც მოვხმარებივარ ოჯახის საქმეებზედაც. აკაკი ჩემი ბატონი არა ყოფილა და არც სხვა წერეთლები. ჩემი ბატონი იყო ქავთარაძე. აკაკის უყვარდა გლეხები და გლეხებსაც უყვარდათ ის.

პატარა ბავშვი რომ შესულიყო აკაკის სახლში, სკამს თვითონ მოუტანდა, ისე თავმდაბალი იყო. დაისვამდა გვერდით და ალაპარაკებდა, თვითონ კი იწერდა ბავშვის ნალაპარაკევს.

აკაკი თავადებთან არ დადიოდა, არ უყვარდა ისინი, გლეხსა და თავადიშვილს შორის რომ საჩივარი ყოფილიყო ადგილმამულზე ან სხვა რამეზე, თვითონ წავიდოდა სამართალში და მოსპობდა ამ საჩივარს.

ერთხელ, მე კარგად მახსოვს, ნიკო წერეთელი ჰყიდდა ადგილს. ყმები იმას აღარ ჰყავდა და თვითონ მუშაობა არ ემარჯვებოდა. ეს ადგილი გვინდოდა გლეხობას, რადგან მიწის ნაკლებობას განვიცდიდით, მაგრამ არ გვანებებდნენ წერეთლები, კერძოდ კოტე წერეთელი. ამ ადგილების შესახებ კოტე შეეკითხა აკაკის: ნიკო წერეთლის ადგილში გლეხებს უნდა შემოძვრენო, მაგრამ მე არ ვაძლევ უფლებასო. აკაკიმ უთხრა კოტე წერეთელს: ჩვენ რომ მოვხუცდით, თმაში თეთრი გამოგვერიაო, ცოტა ხანს უკან თავში ჭკუაც გამოგველევაო; ხომ ხედავ, ჩემო კოტე, ეს გლეხები როგორ მრავლდებიანო, სად უნდა წავიდნენ, ეგენი ხალხი არ არიანო?! ჩვენ სათქმელ სიტყვებს თვითონ, აკაკი ეუბნებოდა წერეთლებს.

ერთხელ მე და ჩემმა მეზობელმა ტყეში შემთხვევით დავიჭირეთ ძალიან ლამაზი არჩვი. გადავწყვიტეთ საჩუქრად მივგვერთმია აკაკისათვის. ნასადილევს აკაკი გამოსულიყო თავისი სახლის წინ და დასეირნობდა. შევედით ეზოში, მივესალმეთ და ვუთხარით აკაკის: ეს არჩვი თქვენთვის მოგვირთმევია, ჩემო ბატონო-თქო. აკაკიმ დიდი მადლობა გადაგვიხადა მე და

ჩემს ამხანაგს. კარგა ხანმა გაიარა აკაკისთან საუბრის დროს. წამოვდექით წამოსასვლელად. ამ დროს აკაკიმ გვითხრა, გაუშვით ეგ არჩვი ამ ეზოში. თუ სამჯერ მოიხედა უკან, მაშინ აღარსად წავაო და თუ ერთხელ მეტად არ მოიხედა უკან, მაშინ კი აღარ დაბრუნდება და გაიქცევა ნამდვილადო. ჩვენ, რასაკვირველია, ვიცოდით აკაკის კეთილი გულის ამბავი, იმას ყველა სულდგმული ეცოდებოდა ისე, როგორც ადამიანი; ისიც ვიცოდით, თუ არჩვს გავუშვებდით ხელიდან, ის უკან აღარ დაბრუნდებოდა და იმწუთშივე გადაიმალებოდა. გავუშვით არჩვი, — ერთი კი მოიხედა უკან და ისე მოჰკურცხლა, რომ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ.

მე ვიცნობდი აკაკის დედას ეკას, და ანას, ეკა იმ დროს საკმაოდ მოხუცებული იყო. ანას კი სულ ერთავად ეჭირა ხელში საღვთო სჯულის წიგნი და ლოცულობდა. აკაკი ბევრჯერ გამასხარავებია ანას, გათხოვდიო, თუ შენ ვერ მონახე საქმრო, მე მაინც მოგიძებნიო. მაგრამ ანა მაინც გაუთხოვარი მოკვდა.

მე გამიგონია, რომ კვერეთში უცხოვრიათ წინათ ბერებს, შემდეგ, როცა ბერები დახოცილან, როსტომსა და ეკას კვერეთის ეკლესიის გალავანში ორმოცდახუთი ძირი ნიგოზი დაურგავთ. ეკა ძალიან მოყვარული იყო ხეხილისა და სასაფლაო წინასწარ ჰქონდათ სხვადასხვა ხეხილით ავსებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი

(იაკობ ნიკოლაძის ნაამბობი)

პარიზში რომ იყო აკაკი, 1909 წლის მეორე ნახევარში, მე მას ხშირად ვხვდებოდი. ჩემს სახელოსნოშიც მოვიდა, ნახა ჩემი ნამუშევარი. აკაკი იმ დროს ცოლშვილიანად ცხოვრობდა საფრანგეთში. მისი შვილი ალექსი რუსულ საოპერო დასს ანტრეპრენიორობდა.

აკაკი ავად იყო. წყლებზე მკურნალობდა. ერთხანს ევიენ-ლე-ბენში ცხოვრობდა. მე პარიზში „ცნობის ფურცელი“ მომდიოდა. გაზეთებს აკაკის ვუგზავნიდი. ევიენ-ლე-ბენიდან წამოსვლის წინ მომწერა (ბარათი ჩემთან ინახება):

„ძმაო იაშა!

დიდი მადლობელი ვარ შენიცა და გიორგისაც (დეკანოზიშვილი) გაზეთების გამოგზავნისათვის! დღეის იქით, სანამ ჩემი წერილი არ მიიღოთ, ნულარ გამოგზავნით, რადგანაც ხვალ მოთავდება აქ კურორტი და ჯერ არ ვიცი, საით გამისაჭებენ. მარად ერთგული აკაკი“.

ეს წერილი უთარიღოა, დაწერილი უნდა იყოს 1909 წლის შემოდგომაზე.

როდესაც ნიკო დიასამიძის ცოლი (გიგო დიასამიძის დედა) გარდაიცვალა, ნიკომ საფლავისთვის ძეგლი შემიკვეთა. თითონვე მომცა, თავისი გემოვნებით, ძეგლის პროექტი: დაჩოქილი ქალი, ლოცვად ხელაპყრობილი.

ძეგლი გავაკეთე. ეპიტაფია აკაკიმ დაუწერა. ზეპირად დამახსომდა:

დედავ ღვთისაო, გვედრებ მე, ნინო,
რომ ჩემს ქმარ-შვილსა მადლი მოჰფინო!

ეს ამბავი, თუ არ ვცდები, 1894 წლის ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო.

1911 წელს თბილისში, ჩემს სახელოსნოში აკაკი მეწვია. მაშინ მე დავით სარაჯიშვილის ქანდაკების ესკიზზე ვმუშაობდი, სარაჯიშვილის მეუღლის ეკატერინეს დაკვეთით. აკაკიმ მოეწონა ესკიზი და ჩემს ალბომში ჩაწერა:

ვნახე შენი ქანდაკება,
აღარ უნდა ამას ქება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

„აკაკის მოგზაურობის“ დემონსტრაცია ელექტროთეატრ „რადიუმში“ დაიწყო 1912 წლის 20 სექტემბერს. თეატრს აღრიანად მოაწყდა აუარება ხალხი, ბილეთების აღება შეუძლებელი გახდა, ერთიმეორეს ასწრებდნენ. თეატრის შესავალი, აგრეთვე სავარძელი ლოჟაში, სადაც უნდა დაბრძანებულიყო მგოსანი, მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით. სეანსები დაიწყეს საღამოს ექვსი საათიდან. რვის ნახევარზე გაჩერდა თეატრთან მგოსნის ეტლი. მგოსნის დანახვისთანავე ქუჩაზე თეატრის წინ და თეატრის შესავალში შეკრებილმა ხალხმა დასძახა „ვაშა“, მუსიკამ მაღლიდან დაუკრა შესახვედრი „მარში“ და „სულიკო“. მგოსანი დაბრძანდა ლოჟაში. სეანსი შეაჩერეს, დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, იქნებოდა დააჯლოებით 500-ზე მეტი სული. საზოგადოებრიობა მგოსნის დარბაზში შესვლისას ფეხზე წამოდგა, შებრუნდა მგოსნისაკენ და შესძახა „ვაშა!“ „აკაკის გაუმარჯოს!“ თან მოჰყვა დაუსრულებელი ტაშისცემა. გაგრძელდა „სეანსები“, რომლის დროსაც უკრავდა „რადიუმის“ საკუთარი სიმებიანი ორკესტრი აფანასიევის „პოპურის“ ქართული მოტივებიდან, ავტორის ლოტბარობით. ანტრაქტების დროს უკრავდა მუსიკა (სერგო ქუთათელაძის ორკესტრი „კოლხიდა“). ორი ორკესტრი საუკეთესო ხმებს გვასმენდა. 12 საათამდე მოესწრო ოთხი სეანსი, რომელსაც დაესწრო საშუალოდ ორი ათასამდე სული. სურათებში, სადაც გამოჩნდებოდა მგოსანი, საზოგადოებაში ატყდებოდა ტაშისცემა. მგოსანი თეატრში თერთმეტ საათამდე დარჩა. შემდეგ წაბრძანდა მოსასვენებლად.

სურათების ჩვენება გაგრძელდა ერთ კვირას. ყოველდღე ოთხი საათიდან დაწყებული 12 საათამდე აუარებელი ხალხი გროვდებოდა თეატრთან. საზოგადოდ სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კავკასიის სხვადასხვა ქალაქებიდან, აგრეთვე პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, ხარბინიდან, სტამბოლიდან მიიღეს წერილები. თეატრის მეპატრონეებმა და სთხოვეს მათ მოეწყოთ იქაც სურათების ჩვენება, რაც შესრულებული იქნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ლადო მესხიშვილის იუბილეზე

...ათის ერის ცხოვრების ისეთი თარიღები, როძლებიც დავიწყებას არ ეძლევა. შეიძლება ეს თარიღი კალენდარში არ აღნიშნონ, დღესასწაულად არ გამოცხადდეს, მაგრამ ხალხის გულში სამუდამოდ იყოს აღბეჭდილი, როგორც დაუვიწყარი მოვლენა. ჩვენი ერის ცხოვრებაში 1913 წლის 10 თებერვალი სწორედ ასეთ თარიღთა რიცხვს ეკუთვნის. ეს გახლავთ ლადო მესხიშვილის იუბილე.

გიმნაზია ისე დავასრულე, რომ არ მახსოვს როდისმე გამეცდინოს გაკვეთილები ან დაგვიანებით მივსულიყავი სასწავლებელში. ხოლო შაბათს, 9 თებერვალს, გიმნაზიაში რომ არ წავედი, ეს კი ცხადი გახლდათ. ან როგორ წავიდოდი, როცა ბიჭებმა ძმადნაფიცებივით პირობა დავდეთ, შაბათს სისხამ დილით თეატრის სალაროსთან რიგი დაგვეჭირა და იუბილეზე ქანდარის ბილეთი მაინც გვეშოვნა. წინა საღამოს დიპლომატიური მოლაპარაკება გავმართეთ ქანდარის კონტროლიორ პაჭიკასთან და შეთანხმების აღსანიშნავად იქვე სიმონას ფარდულში ლუდს გიახელით.

— დილით ადრიანად მოდით! — დაგვაიმედა პაჭიკამ.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ქანდარის პირველი რიგის ბილეთები ვიშოვნეთ, როგორც დილისათვის, ისე საღამოსათვისაც.

ოთხი თვის შემდეგ გიმნაზიის დამთავრების სიმწიფის მოწმობა მივიღე და მგონია ისე არ გამხარებია, როგორც ყვითელი და წითელი ფერის ქანდარის ორმა ბილეთმა გახარა ჩემი გული. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ლადოს იუბილეს უნდა დავესწრო და ისიც პირველ რიგში უნდა დავბრძანდე ყველაზე მაღლა, ჭერთან, ქანდარაზე.

როგორ გაგრძელდა შაბათი ღამე...

კვირა დილით ქართულ თეატრთან ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი უკვე მორთულია ფოთლებით, ყვავილწნულებით. მთელი ქუჩა ხალხით გაიჭედა. ჩვენ, მოწაფეებს, დაკანონებული გვქონდა, ყოველი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლადო ხელით აყვანილი ეტლამდე ან სასტუმრომდე მიგვყვანა. ახლა კი ვგრძნობთ, რომ საყვარელ ლადოს ჩვენ არავინ მიგვაკარებს. მიუხედავად მოზღვავებული ხალხისა, ქუჩაში იშვიათი წესრიგია. საყოველთაო ეროვნული დღესასწაულია და აბა წესრიგს ვინ დაარღვევს.

12 საათია. სასახლის ქუჩაზე გამოჩნდა თეთრცხენიანი სადღესასწაულო ეტლი (ლანდო). იუბილარს აქეთ-იქიდან უსხედან მარიამ საფაროვა და ვასო აბაშიძე. ეჰ, სად არის საწყალი ნატო გაბუნია, ამ სამთა მშვენება, მათი ღირსეული წევრი!... გრიალებს ტაში, მედუდუკეებმა ჩაბერეს და ომახიანი მელოდიები ჰაერს აპობენ, მედოლემ ჩხირები ქამრიდან ამოიღო და დოლზე აათამაშა. ტაში, მუსიკა, ერთსულოვანი შეძახილები საამოდ გაისმის. ლადო ჩამოდის ეტლიდან. ამაყად მიემართება, როგორ უბრწყინავს სახე. თეატრის კარიბჭესთან დიდი ოლიმპიელი, აკაკი გამოჩნდა და იუბილარი შეიპატიჟა.

პირველის ნახევარზე ფარდა აიხადა. გრიალებს ტაში. პრესმანის დირიჟორობით ქართული კლუბის ორკესტრი ასრულებს სადღესასწაულო ჰიმნს. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. კულისების მარცხენა მხრიდან გამოჩნდა იუბილარი — ჩვენი მშვენიერი ლადო, მას აკაკი მოსდევს. ოვაციები დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა. ლადოს სიხარულის ცრემლები სდის. რად ვიმდუღრებით ყველა? თურმე სიხარულმაც იცის ცრემლი, მაგრამ ცრემლი ტკბილი, საამო, ნეტარი.

საზეიმო სხდომა აკაკიმ გახსნა.

— ლადო მესხიშვილი პირველად სცენაზე რომ გამოვიდა, — ამბობს თავისებური იუმორით აკაკი, — ქართული არ ეხერხებოდა, „შემაძრწუნეს“ მაგივრად „შემაწრწუნეს“ ამბობდა. მაგრამ დღეს კი დარბაისლური ტკბილი ქართულით გვესაუბრება სცენიდან ეს დიდი, საამაყო მსახიობი.

აკაკის სიტყვები ტაშმა დაფარა და ორი დიდი ქართველი ერთმანეთს გადაეხვია და გულიანად დაკოცნეს ერთმანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

ვიქნებოდი ასე 15—16 წლისა, როდესაც ძმებმა ჩამომიყვანეს ტფილისში და მიმცეს სამოქალაქო სასწავლებელში. 15—16 წელიწადი არც ისე ცოტაა, რომ ახალგაზრდამ არ იცოდეს თავისი ვინაობა ეროვნების მხრივ, რომ ცოტათი, ბინდბუნდად მაინც არ ხედავდეს მას, რაც ხდება მის გარშემო. მაგრამ მე მაგ მხრივ ძალიან უვიცი, თითქმის ბრმა ვიყავი; არ ვიცი, მე ვიყავ ამაში დამნაშავე, თუ ის გარემოება, ის ატმოსფერო, რომელშიც მანამდის ვიმყოფებოდი — აბა, რა უნდა გაეგო, რა ენახა, რა უნდა ეხილა ჩემს თვალებს, როდესაც თელავში და თელავის სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც თბილისში ჩამოსვლამდე სამი წელიწადი დავყავი, ჭიდაობის და მუშტი-კრივის მეტი არა მისწავლია რა... მაგრამ აქ დამნაშავე არც თელავია და არც მისი სასწავლებელი, დამნაშავე იყო დრო, „დრო მშვენიერი, მაგრამ ღმერთმა კი დაგვიფაროს, რომ ისევ დაგვიბრუნდეს იგი“.

დიახ, დავიწყე სიარული ტფილისის სამოქალაქო სასწავლებელში. ერთ დღეს ქართული ენის გაკვეთილი მეექვსე იყო. მეხუთე გაკვეთილის შემდეგ ავიღე წიგნები და შინ წასვლა დავაპირე. „სად მიდიხარ?“ — მკითხეს ამხანაგებმა — ქართველებმა. — „შინ“, — იყო ჩემი პასუხი. — „ქართული ენის გაკვეთილი?“ — „მერე, მე რა“... — „ბიჭო, შენ ქართველი არა ხარ?!“ — განცვიფრებით მომვარდნენ ქართველები აქეთ-იქიდან. — „რათა ვარ ქართველი? — მეწყინა კიდეც. — ქართველი კი არა ვარ, თუში ვარ!...“ გაოცებით დამიწყეს ცქერა ამხანაგებმა. გავწიე შინისკენ. სანამ ეზოდან ქუჩაში გავიდოდი, დამეწია ერთი უფრო გონებაგახსნილი ამხანაგი ქართველი და მითხრა: ბიჭო, დარჩი, დღეს მასწავლებელმა უნდა წაგვიკითხოს ახალი ქართული წიგნი, ამბობენ ძალიან კარგიაო. კარგი მეთქი და დავრჩი. მეხუთე და მეექვსე განყოფილების ქართველი მოწაფეები შევიკრიბენით ერთ კლასში.

მაღალზე დადგეს კათედრა. მოუთმენლად ველოდებოდი მასწავლებელს. აჰა, შემოვიდა ბ. მ. ნ-ძე. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მასწავლებელი ავიდა კათედრაზე, მიმოგვავლო თვალი, ამოიღო ჯიბიდან ახალი წიგნი, გადაშალა და მჭექარე, აღფრთოვანებული ხმით დაიწყო:

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები;
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები...

დამახსომდა ის სიამოვნების წუთები!.. როგორც მჭრელი მახვილი, გამიარეს ამ სიტყვებმა მანამდისინ ყრუ გულში... მთელი ჩემი არსებით სმენად გადავიქეცი. შემდეგ და შემდეგ გაღვიძებულმა გულმა თრთოლა დაიწყო, ძარღვებში სისხლი ადუღდა და აჩქეფდა.

...სად ხარ, გამოდი, ნუ იმალები,
თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო?!

ამ ბრძოლის სურათს ველარ გაუძლო მთის გმირულ სიმღერებზე და გადმოცემებზე აღზრდილმა ჭაბუკმა გულმა და, როდესაც ბრძოლის ველზე უმხედრო ორბელიძის ცხენის დანახვაზე თორნიკემ

ვეჰ, — დაიყვირა, ამას არ უნდა ბევრი ფიცი,
საფრთხეში არის და განსაცდელში
ცხენოსანთ ჯარი, სწორედ ვიცი!..

ყელში მომებჯინა, მოკუმშული მუშტებით ზეზე წამოვვარდი და ამ დროს თვალებიდან ღაპაღუპით ცრემლები წამომსკდა...

მასწავლებელმა გაათავა და ამხანაგების ხმაურობამ გამომიყვანა იმ ტკბილი ოცნებებიდან, რომლებშიაც სასოებით ვუმზერდი, ვით ცოცხალთ: ნინოს, თამარს და ქეთევანს; დადებულ დავითს, გულლომს, ამასთან გულკეთილს და სათნოიან გმირს ორბელიძეს და ძველ არწივს — ახლა წმიდა მამას თორნიკეს... ამ გმირთ აათრთოლეს პირველად ჩემი გული და ჩააწვეთეს აღმაფრთოვანებელი, მამულისადმი უკვდავი სიყვარული!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის იუბილე და ალმანახი „მოწაფე“

(იბეჭდება შემოკლებით)

დიდი მგოსანი, აკაკი წერეთელი, ქართველი ერის საყვარელი პოეტი, სიცოცხლეშივე კლასიკოს პოეტად იყო მიჩნეული. მაგრამ ერის სიყვარული აკაკისადმი როგორღაც კიდევ უფრო გაღრმავდა დიდი ილიას ვერაგულად მოკვლის შემდეგ. და აი, ქართველი ერის მოწინავე მამულიშვილთა თაოსნობით 1908 წლის ბოლოს გადაწყდა, გადაეხადათ მგოსნის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილე, რომელიც ამავე წლის 7 დეკემბერს თბილისის ოპერის თეატრში შედგა.

როცა იუბილე მოახლოვდა, თბილისელმა მოწაფეებმა, დამწყებმა მწერლებმა — დავით თურდოსპირელმა (ჩხეიძემ), დავით ელიოზიშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა — მივმართეთ იმ დროის მოწინავე ადამიანს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამკითხველო-ბიბლიოთეკის გამგეს, შემდგომ ცნობილი მოღვაწის, შაქრო ფორაქიშვილის მეუღლეს, ანეტა კაპანაძეს, დაგვხმარებოდა ალმანახ „მოწაფის“ გამოცემის საქმეში. ჩვენი სურვილი იყო ალმანახის პირველი გვერდები დიდი აკაკისადმი მიგვეძღვნა, ა. კაპანაძემ სათანადო დახმარება გაგვიწია. ასევე ნიკოლოზის (ამჟამად კალინინის ქუჩაზე) მოთავსებული სტამბის პატრონმაც, მ. დ. კიკნაძემ, კარგად მოგვიმართა ხელი ამ საქმის მოგვარებაში: ქაღალდი იაფად გვაშოვნინა, ხოლო აწყობა-დაბეჭდვაში ჩვენთვის ფული არ გადაუხდევინებია.

ყველაზე დიდი ინიციატივა ამ საქმეში დ. თურდოსპირელმა გამოიჩინა. იუბილეს წინა ღამე ორივემ თეთრად გავათენეთ, დილით ალმანახი გასაყიდად რომ მიეტანათ ოპერაში. მოწაფეებს წერას უკრძალავდნენ, ამიტომ მრავალი ჩვენგანი ფსევდონიმს ეფარებოდა. პირველ გვერდზე აკაკის სურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ქვეშ დაიბეჭდა ჩემი ერთი სტროფი ლადო კატოძისადმი ვდონიმით:

ქართველთ დიდება... ჩაგრულ-მწუხარის
ნუგეშის მცემი, სულით ძლიერი,
შესტრფის მის კალამს, გულით შეჰხარის
და სალამს უძღვნის დღეს მთელი ერი.

„რა როლი დაგვაკისრა ახალ თაობას დიდებულმა მგოსანმა" — ამ სათაურით სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფე — მგოსანი დ. ელიოზიშვილი ვრცელ წერილში განიხილავს დიდი პოეტის ახალი თაობისადმი დამოკიდებულებას და დაასკვნის: „დღეს, როდესაც 50 წლის იუბილეს დღესასწაულობს მთელი ერი, როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ, მოზარდი თაობა? მივართვათ „ადრესები" დიდებულ პოეტს? ვაქოთ-ვადიდოთ, საჩუქრებით დავაჯილდოვოთ? — არა, ეს საკმარისი არ იქნება მის პატივსაცემად.

დიდებული მოძღვარი მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენგან დაფასებული და პატივნაცემი, როდესაც ყველანი დავდებთ ფიცს მის წინაშე, რომ პირნათლად შევასრულებთ ყველაფერს, რასაც იგი გვაკისრებს". მგოსანი კი გვაკისრებდა ერისთვის თავდადებულ შრომას, მშრომელი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას.

ალმანახში მესამე ნომრად დაიბეჭდა, აკაკისადმი მიძღვნილი, „დემონის" (ქუჩუ ქავთარაძის) ოთხსტროფიანი ლექსი.

შემდეგ ილიას სურათთან ერთად გამოქვეყნდა ქართული (სათავადაზნაურო) გიმნაზიის მოწაფის ი. მჭედლიშვილის ოთხსტროფიანი ლექსი „ორნი".

ამის შემდეგ ალმანახში ქვეყნდება საზოგადო ხასიათის, უმთავრესად მოწაფეთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ლექსები და წერილები. ლადო კატოძის ესკიზი „ეკზამენზე ჩაუჭრიათ", პოეტ ვ. ტუქსიშვილის ლექსი „მოწაფეს", „მოწაფეთა დაქვეითება და მასთან ბრძოლა" — მოწაფე-პოეტის დავით თურდოსპირელის (გიორგი ქუჩიშვილის ძმის) წერილი ზოგიერთ გადაგვარებულ ქართველ მოწაფეთა რაობის შესახებ, ვლ. ცაგურიას ლექსი „ცხოვრებაც ზღვას წააგავს" და სხვა...

მრავალი ლექსი და სხვა მასალა მოგვაწოდეს ჟურნალისა-

თვის ქართული გიმნაზიის მოწაფემ, შემდგომ საზოგადო მოღვაწემ, ვ. ეგნატაშვილმა, ნ. ატოცელმა, აგრეთვე მაშინ ახალგაზრდა პოეტმა ი. გრიშაშვილმა... აქტიური მონაწილეობა მივიღე აკაკის იუბილეს გამართვაში. საიუბილეო კომიტეტის ყოველგვარ დავალებას მონდომებით ვასრულებდი. ხუმრობა ხომ არ იყო — მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან, ცნობილ ექიმთან, ივანე გომართელთან ერთად ოპერის შესასვლელში სემინარიის ბოლოკლასელი მოწაფე მოწვეულ პირებს საიუბილეო საშვებს ვუსინჯავდი.

აკაკი წერეთლის იუბილე — 1908 წლის 7 დეკემბერს — მთელი ქართველი ხალხის დიდ სადღესასწაულო დღედ გადაიქცა. იუბილე ოპერის თეატრში შედგა. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ მომლოცველები, აკაკის ნიჭის თაყვანისმცემლები. ამიტომ საიუბილეო კომიტეტმა გადაწყვიტა, იუბილე დილისთვისაც მოეწყო და საღამოსაც.

მგოსანი მაშინ სასტუმრო „სევერნიე ნომერაში“ ცხოვრობდა. ამ შენობის ნაწილი ახლაც დგას სახელმწიფო მუზეუმის პირდაპირ, ნატო ვაჩნაძის ქუჩაზე. საერთოდ, მგოსანი, როგორც აქ, თბილისში, ისე ქუთაისშიც ყოველთვის სასტუმროში ცხოვრებას ამჯობინებდა. ალბათ, იმიტომ, რომ სასტუმროში თავისუფლად გრძნობდა თავს, ვინმესთან ბინაში კი თვითონაც შეწუხდებოდა და მასპინძლებსაც შეაწუხებდა, თორემ რომელი ქართველი ოჯახი არ ინდომებდა საყვარელი პოეტის სტუმრობას.

დილის თორმეტ საათზე მაშინდელი გოლოვინის (ახლა რუსთაველის) პროსპექტზე სახეგაბადრული პოეტი ლამაზად მორთული ეტლით თეატრისაკენ გამოაქროლეს. ვინც თეატრს გარეთ დარჩა, პროსპექტზე გამოვიდა, რომ პოეტისათვის თვალი შეევლო. პროსპექტი ხალხით იყო გაჭედილი. ეს ზღვა ხალხი მგოსნის გამოჩენას ტაშით [illegible] ტაშით [illegible] აცილებდა.

ხალხით გაჭედილი თეატრი ოვაციით შეეგება მგოსნის გამოჩენას. დიდხანს ფეხზე ამდგარნი ტაშს უკრავდნენ და „მგოსანს გაუმარჯოს!“ „დიდხანს იცოცხლოს პოეტმა!“ „ვაშა ჩვენს აკაკის!“ — ასეთი შეძახილებით ხვდებოდა მთელი საზოგადოებრიობა.

სამწუხაროდ, როგორც მე, ასევე ივანე გომართელსაც

ბევრი საინტერესო რამ გამოგვრჩა ამ დიდი იუბილედან — ჩვენ ხომ თეატრის შესასვლელ კარებს ვდარაჯობდით და ხალხს თეატრში შესასვლელ ბილეთებს ვუსინჯავდით. მაგრამ როდესაც თეატრის გარეთ ყველაფერი მიწყნარდა, ჩვენც მოვახერხეთ დარბაზში შესვლა და სწორედ მაშინ შევედით, როდესაც თავის შესანიშნავ სიტყვას ამბობდა ფოთის საზოგადოებრიობის წარმომადგენელი ქალბატონი პარასკევა ანჯაფარიძე-ქავთარაძისა.

ეს დიდად განვითარებული ადამიანი ნიკო ნიკოლაძის რჩევით წარმოგზავნა ფოთმა. მან აღაფრთოვანა დამსწრენი თავისი გამოსვლით. ხალხის ტაში დიდხანს არ დამცხრალა მისი სიტყვის შემდეგ.

ამ შესანიშნავი იუბილედან კიდევ სამი მომენტი აღმეჩეჭდა მეხსიერებაში. ბრწყინვალედ მიესალმა მგოსანს სენაკის მაზრელი, სოფელ გეჯეთიდან, ვინმე გეგენავა, რომელმაც უთხრა — მანამ იცოცხლე, დიდო მგოსანო, სანამ მზე საქართველოს ანათებდესო. ისევ ოვაცია, ისევ ტაში. გეგენავამ ამით მგოსანს უკვდავება უწინასწარმეტყველა.

მეორე მომენტი გულამაჩუყებელი იყო: მგოსნის მშობლიური მხრიდან საჩხერლები რომ ესალმებოდნენ, სცენაზე შემოიტანეს მგოსნის აკვანი, რომელსაც თან შემოჰყვა მგოსნის ძიძიშვილი და ტკბილი დაძმური სიტყვით მიმართა მას ძუძუმტე პოეტს. დარბაზში აქა-იქ ქვითინი გაისმა. თვით მგოსანიც ცრემლს ვერ იკავებდა.

მესამე მომენტი ყველასათვის დაუვიწყარი და თან ისტორიული გამოდგა, როდესაც მთის არწივი, ვაჟა-ფშაველა, გამოჩნდა. ვაჟა ამ იუბილეთი პირდაპირ გაოგნებული იყო. უხაროდა სულმნათი მგოსნის წარმატება. ხალხის სიხარული ვაჟასაც ახარებდა. სადღაც კულისებში თავისთვის მიმჯდარი თვალს ადევნებდა იუბილეს მსვლელობას, სულმთლად გაიდაავიწყდა, რომ ისიც უნდა მისალმებოდა იუბილარს.

— ვაჟავ, რატომ სდუმხარ, განა შენ არ უნდა მიმართო აკაკის? — უთხრეს მას. ვაჟა მხოლოდ შემდეგ გამოერკვა, ჯიბიდან ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ამოიღო, შევიდა სცენის გვერდით სამსახიობო ოთახში, მაგიდას მიუჯდა, უცბად ლექსი შეთხზა და აკაკის რიხიანად მიმართა:

დავალებული გულისა უნდა ამოთქვას ენამ.

. . . . . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ქართულ თეატრში

ბავშვობიდან მახსოვს, რომ აკაკი ქართულ წარმოდგენებზე ძალიან ხშირად დაიარებოდა. სხვათა შორის, პირველად აკაკი ბავშვობისას ქართული თეატრის შესასვლელთან ვნახე... მე და ჩემი მეგობარი, ორივენი მოწაფეები, ვიდექით ქართული თეატრის შესავალ კარებთან, თეატრში შესასვლელი ბილეთები არ გვქონდა, ამიტომ ვცდილობდით, როგორმე ხალხში ავრეულიყავით, რომ უბილეთოდ თეატრის დარბაზში ამოგვეყო თავი. ამ დროს, უცბად თავზე წამოგვადგა ახოვანი ვაჟკაცი, ძვირფას ქურქში გახვეული და ძვირფას ტყავისავე ქუდით. ჩვენ, ბავშვებმა, მაშინვე გზა ვუტიეთ, ჩემმა ამხანაგმა წამჩურჩულა, ეს პოეტი აკაკიაო!... მე ძალიან დამაინტერესა აკაკის ნახვამ და თეატრის დერეფანში შევყევი, სადაც პალტოებს იხდიდნენ. დავდექი კუთხეში და დავუწყე ცნობისმოყვარეობით ცქერა... თეატრის მსახურმა მაშინვე პალტო ჩამოართვა. იქვე, თეატრის დერეფანშივე, აუარებელი ნაცნობები და თაყვანისმცემლები აღმოუჩნდნენ, რომლებიც დიდი სიყვარულით ეგებებოდნენ და პატივისცემით სალამს აძლევდნენ პოეტს.

აკაკი ლამაზი ვაჟკაცი იყო. იმ დროს ახლად ჰქონდა შეპარული ჭაღარა, რაც ძალიან უხდებოდა. ახოვანი ტანი, მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვენიერი მოზრდილი ჭაღარაშერეული წვერი, მშვენიერივე გამომეტყველებით აღსავსე დიდრონი თვალები.

არც ერთ ჩვენს მწერალს ისე არ უყვარდა ქართული თეატრი და ისე არ იყო დაახლოებული ქართულ სცენასთან, როგორც აკაკი.

არაერთხელ საკუთარი ფული დაუხარჯავს აკაკის, რომ როგორმე ქართული თეატრის სეზონი შემდგარიყო და ის ორიოდე მსახიობი, რომელიც მაშინ ჰყავდა ქართულ სცენას,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ გაფანტულიყვნენ და სამუდამოდ არ მიკეტილიყო ქართული თეატრის კარი.

როგორც დრამატურგი ხომ ძალიან ნაყოფიერი და დიდი მოამაგე იყო ქართული თეატრისა. არ გავიდოდა ისე სეზონი, რომ აკაკის თეატრში ახალი პიესა არ მოეტანა დასადგმელად, ან ორიგინალური, თავისივე დაწერილი, ან კიდევ ნათარგმნი.

მახსოვს, ძალიან ხშირად, თბილისის ქართულ თეატრში საღამოს რეპეტიციებზე, როცა წარმოდგენა არ გვქონდა და ჩვენს მუშაობაში ვიყავით გართულნი, უცბად სცენაზე, როგორც შინაური და მახლობელი, შემოვიდოდა ხოლმე აკაკი... მივართმევდით სკამს, იჯდა და რეპეტიციის მსვლელობას თვალს ადევნებდა. აკაკის იმდენად უყვარდა სცენა, კულისები და აქტიორთა წრე, რომ უთეატროდ მას ცხოვრება არ შეეძლო.

მე მგონია, მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია ამას კარგად გრძნობდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ნიკო ქართველიშვილმა, ჩვენი დრამატული საზოგადოების თავმჯდომარემ, 1903 წელს შესთავაზა აკაკის ქართული თეატრის ხელმძღვანელობა და რეჟისორობა, რაზედაც აკაკი დიდი სიამოვნებით დათანხმდა და ზაფხულიდანვე შეუდგა სეზონისათვის მზადებას.

ამ სეზონის დასაწყისშივე, ვლ. გუნიას მეთაურობით, გაიმართა გამოსაცდელი წარმოდგენა, რომელსაც აკაკიც დაესწრო. სწორედ ამ წარმოდგენის შემდეგ ჩარიცხული ვიქენი დასში, როგორც ახალგაზრდა მსახიობი. ასე რომ, პირველი ჩემი რეჟისორი, რომელმაც როლი მომცა, აკაკი იყო.

* *

... ნიკო ქართველიშვილმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ წლევანდელი სეზონი არ უნდა ჰგავდეს წარსულ სეზონებს, რადგან ქართველი მსახიობის ნივთიერი მდგომარეობა, წინა წლებთან შედარებით, უკეთესია და ამასთანავე დასს ისეთი ადამიანი ჰყავს რეჟისორად, როგორიც არის ჩვენი საყვარელი და სახელგანთქმული პოეტი აკაკი წერეთელიო.

შემდეგ, როგორც დასის რეჟისორმა და ხელმძღვანელმა, აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა.

აი, აკაკის სიტყვა, წარმოთქმული 8 ენკენისთვეს ქართული თეატრის არტისტთა წინაშე:

„ბატონებო! მოხარული ვარ, რომ გარემოებამ ამ სიბერის დროს კიდევ გამომიყვანა თქვენთან ერთად სამუშაოდ. დიდი სიამოვნებით ვებმები მეც თქვენს უღელში. მართალია, თქვენ, როგორც ახალგაზრდებს, ჯან-ღონით და ენერგიით სავსეს, მეტი შრომის ატანა შეგიძლიათ, ვიდრე მე, სიბერით ღონემოკლებულს, მაგრამ, ნუ დაივიწყებთ, რომ გონიერი მუშაკი, როდესაც გახედნას უპირებს სისხლჭარბ და ჯან-ღონით გატაცებულ მოზვერს, გვერდში უღლის ცალად ბებერ ხარს ამოუყენებს ხოლმე, რომ ჯერ უცადმა, გასახედნმა, თავში არ გაიწიოს და ნაცადმა ბებერმა ხარმა, რომლისაც „რქანიც კი ჰხნავს“, სასურველ კალაპოტში ჩააყენოს. მეც სწორედ ამ ბებერ ხარად გამაბა თქვენთან ერთად უღელში გამგეობამ... რომ ეს შედარება არ გეუცხოოთ, ერთ მაგალითს სხვასაც კიდევ მოგაგონებთ „სამშობლოდან“.

მოხუცი ლეონიძე ეუბნება ახალგაზრდა ხიმშიაშვილს: „ჩემი მკლავი ისე მტკიცე აღარ არის, როგორც შენი, წინ გაუძეხ ჯარსო. შენ გამარჯვება ასწავლე და მე სიკვდილს ვასწავლიო“. ამაზე უფრო საგულისხმოს მე ჩემთავად, რომ კიდეც მოვინდომო, ვერას მოვახერხებ, და მაშასადამე, მე იმაზ მივბაძავ და გეტყვით: თქვენ დამანახვეთ ერთგულება, მხნეობა და გამრჯელობა ქართული თეატრისადმი, და მე გიჩვენებთ მაგალითს მისი სიყვარულისას. შეიძლება ვინმემ იფიქროს, სად სამშობლო და სად თეატრიო!.. მართალია, შორიშორაა, მაგრამ რაც კი საჭიროა ჩვენი ცხოვრებისათვის და სასარგებლო, დიდია თუ პატარა, ყველა ხელჩასაკიდებელია.

თეატრი ხელოვნების ტაძარია, სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საფუნდრუკო რამ. სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, რომ, სანახაობით მოხიბლული, მშვენიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშვერებას ზიზღით გავურბოდეთ. ნუ დაივიწყებთ, რომ ძლიერი სარკე თქვენ უნდა დაიჭიროთ ხელში. მე, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად ვეცდები ავასრულო ჩემი, თქვენდამი მოვალეობა და თქვენგანაც მოვითხოვ შემდეგს:

1) გამტკიცებულ- გასპეტაკებულ ქართულ ენას და არა ჩიქორთულს.

2) როლების გაზეპირებას, რომ კარნახის (სუფლიორის) იმედით აღარ იყოთ.

3) პიესების მთავარი აზრის შეგნებას.

4) თავ-თავისი როლების დაკვირკებით შესწავლას და

5) რეჟისორის სურვილთან თქვენი სურვილის შეთანხმებას, რომ აღარავინ სთქვას: „ეს დიდი როლია", „ეს პატარაა", „ეს შემშვენის", „ეს არაა", „ამას ვითამაშებ", „იმას არაა" და ამგვარები. ხელოვნება მშვენიერებაა და მშვენიერებამ კი თავისთავად დიდი და პატარ არ იცის. თუ ჩვენ ამგვარად ნელ-ნელა, დღეს-ხვალობით სწორე გზას დავადგებით, დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოებაც უყურადღებოდ და უთანაგრძნობოდ არ დაგვაგდებს და უიმისოდ კი ნება არ გვაქვს გულგრილობა ვუკიჟინოთ საზოგადოებას".

აკაკის სიტყვით მთელი დასი და გამგეობა აღტაცებული იყო. შევუდექით მუშაობას. პირველი პიესა, რომელიც აკაკიმ სეზონის გასახსნელად დადგა, დავით ერისთავის „სამშობლო" იყო. სეზონი გაიხსნა 1903 წლის 21 სექტემბერს.

აკაკიმ, მართლაც, გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა. დაახატვინა ახალი დეკორაციები, შეაკერინა ტანსაცმელი, და, მართლაც, მშვენიერი წარმოდგენა დადგა. ყველა პატივს სცემდა და რასაც ის იტყოდა, უჯერებდნენ. წარმოდგენას დიდი მოწონება ჰქონდა და პრესაც დიდი ამბით შეხვდა. მომყავს მაშინდელი „ივერიის" რეცენზია:

„სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ დასაწყისი სეზონისა, საზოგადოდ, ყოვლად ჩინებული იყო. მართალია, საეჭვოდ არავის მიაჩნია, რომ ბატონი აკაკი, დასაბამითვე მოამაგე და დიდად დახელოვნებული ჩვენი სცენის საქმეებში, თავის მადლიან ხელს დაამჩნევდა წრევანდელ ქართულ წარმოდგენებს, მაგრამ კვირის წარმოდგენამ მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა".

ამ წარმოდგენაში პატარა ბიჭს კეთამაშობდი. ბევრჯერ მინახავს ბავშვობისას „სამშობლო", მაგრამ არ მახსოვს, რომ ვისმეს შეენიშნოს ეს როლი. აკაკიმ ამ ორსიტყვიან როლსაც ყურადღება მიაქცია და ბევრი რეპეტიციაც გამატარა. ამიტომ იყო, რომ პრესამ ყურადღება მიაქცია და აღნიშნა კიდეც ეს

როლი. იმ დროს პატარა, უმნიშვნელო როლებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მე მგონია, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ „სამშობლოს“ პატარა ბიჭზე რეცენზია დაიწერა. აი, რეცენზიაც:

„ახალგაზრდა მსახიობთა შორის ბ-ნ გვარაძეს (პატარა ბიჭსა თამაშობდა) უტყუარი სასცენო ნიჭი ეტყობა. ვუსურვებთ, რომ მუყაითი შრომით და მეცადინეობით მოჰკიდებოდეს თავის მოღვაწეობას და მალე მოენადირებინოს ჩვენი საზოგადოების გული ამ ასპარეზზედ“.

აკაკის არ შეეძლო კვირაში ორი პიესა დაედგა და ამიტომ ძველ განახლებულ პიესებს ჩვენივე მსახიობები — კოტე მესხი, ვალერიან გუნია და ვასო აბაშიძე დგამდნენ. მეორე პიესა, რომელიც აკაკიმ დადგა ამავე სეზონში, იყო „პატარა კახი“ — მისივე საკუთარი პიესა. ამ პიესისთვისაც, როგორც „სამშობლოსათვის“, აკაკიმ მხატვარ ნოვაკს დაახატვინა ახალი დეკორაციები. გიორგი ქორქაძემ, ჩვენი თეატრის თერძმა, შეგვიკერა მშვენიერი ტანსაცმელი. აკაკიმ ჩემთვის (კახს ვთამაშობდი) შეაკერინა სურათის მიხედვით ყურთმაჯიანი ჩოხა. წინათ ყველანი კახს ქულაჯაში თამაშობდნენ. აკაკი ამაზე არ დათანხმდა. მახსოვს, ათი-თორმეტი რეპეტიცია გავიარეთ. როლები გაანაწილა სულ ახალგაზრდა მსახიობებს შორის, ზოგიერთის გამოკლებით.

ამ წარმოდგენამაც, როგორც „სამშობლომ“, საზოგადოების დიდი აღტაცება გამოიწვია, მით უმეტეს, რომ მთელი შემადგენლობა ახალგაზრდა მსახიობები იყვნენ. პიესა მთლად ზეპირად ვიცოდით, მოკარნახე თითქმის არ გვჭირდებოდა. მახსოვს, ჩვენი მოკარნახე ბეგლარ ბეგლარიძე (პოეტი ახოსპირელი) ამბობდა: „დასში რომ სულ თქვენისთანა მსახიობები იყვნენ, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო“. ბეგლარი თითქმის არ კითხულობდა პიესას და მოსვენებით იჯდა მოკარნახის ჯიხურში, მაშინ, როდესაც სხვა წარმოდგენებზე დიდი ჯაფა ადგებოდა. ამ წარმოდგენამ თუ საზოგადოების აღტაცება გამოიწვია, სამაგიეროდ დასში უკმაყოფილება შეიქმნა. ძველმა დამსახურებულმა მსახიობებმა საყვედურით მიმართეს აკაკის: ახალგაზრდა მსახიობებს ათამაშებ და ჩვენ კი ყურადღებას არ გვაქცევო. ამის მიზეზი იყო რეცენზია, რომელიც მაშინ მოათავსა „ივერიამ“.

„...თუმცა მონაწილეობას იღებდნენ მომეტებულ ნაწილად ახალი არტისტები, მაგრამ წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა. ამნაირად „პატარა კახი“ დაღგმული ჯერ არ გვინახავს. ახალგაზრდა არტისტები სწორედ რომ ერთმანეთსა სჯობდნენ. მეტადრე თავი იჩინეს ბ-ნმა ვალიკო შალიკაშვილმა (გივი) და ბ-ნმა ნიკო გვარაძემ (პატარა კახი). ნამსახურთ და დახელოვნებულთ ხომ ქება არ უნდათ. ბ-ნმა ვიქტორ გამყრელიძემ ბრმა გელას როლი ისეთი გრძნობით შეასრულა, რომ მრავალი მაყურებელი ატირა. თეატრი სავსე იყო მაყურებლებით, რომლებიც განცვიფრებული იყვნენ და ახალი არტისტების თამაშობას აღტაცებაში მოჰყავდა. ყველას სასიამოვნოდ დარჩა, რომ ჩვენს სცენას ახალი ნიჭიერი არტისტები მოემატა. თეატრის რეჟისორი პოეტი-დრამატურგი აკაკი საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიხმო სცენაზე და დიდი აღტაცებით მიიღო!“

აი, ეს რეცენზია იყო მიზეზი, რომ დამსახურებულმა არტისტებმა საყვედურით მიმართეს აკაკის. აკაკიმაც, როგორც ფაქიზმა და ყოველგვარი სცენიური ინტრიგის მტერმა, დაუთმო და მესამე და მეოთხე წარმოდგენაში მათ გაუნაწილა როლები. სწორედ მაშინ იყო, რომ ჩვენმა საყვარელმა და უხუცესმა არტისტმა კოტე ყიფიანმა გიგის როლში, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა:

თუმცა უდროოდ დაგვისეულდა
ძველი არწივი თეიმურაზი. —

სთქვა:

თუმცა უდროოდ დაგვიორსულდა
ძველი არწივი თეიმურაზი...

რაღა თქმა უნდა, ძველმა მსახიობებმა როლები ჩვენსავით არ იცოდნენ და ამიტომ გამარჯვება ჩვენ, ახალგაზრდებს დაგვრჩა.

თუ რა სერიოზულად და გულმოდგინედ ამზადებდა აკაკი პიესებს, მოვიტან ერთ პატარა მაგალითს. კახს პიესაში ასეთი ფრაზა აქვს: „უფლისწულობა“... მე რაღაცნაირად, როლის სწავლის დროს, თავში ჩამრჩენოდა „წულობას“ მაგივრად „წულება“. გამოვიდოდი სცენაზე რეპეტიციის დროს და ვიტყოდი: „წულება“. აკაკი მაშინვე უკან დამაბრუნებდა. კი-

დევ დავიწყებდი როლს თავიდან და ამ სიტყვასთან რომ მივიდოდი, მაინც „წულებას“ ვამბობდი. ისე დამაბრუნა ჟკან, მგონი, თუ არ ვცდები, ათჯერ. მოთმინებიდან გამოსულ აკაკის გული მოუვიდა და გაჯავრდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, წამსკდა ტირილი. აკაკიმ რეპეტიცია შეწყვიტა. მთელი დასი მე შემომყურებს. ბოლოს, მოვიდა ჩემთან მსახიობი ქალი ელ. ჩერქეზიშვილი, მომეფერა და მითხრა: „ნუ სწუხარ, შვილო! სცენამ როგორც სიტკბო იცის, ისევე სიმწარეცო!“ ეს ეპიზოდი ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება. ჩვენ ამ სეზონში არაქსიანის თეატრშიც (ავლაბარში) ვდგამდით ხოლმე წარმოდგენებს. რა პიესასაც ჩვენს თეატრში დავდგამდით, იმავე დადგმას ავლაბარშიც გადავიტანდით. მაასოვს, ავლაბრის თეატრში „პატარა კახი“ რომ გადავიტანეთ, აკაკიც მოსულიყო წარმოდგენაზე. მე ეს არ ვიცოდი. მეორე მოქმედება რომ გათავდა, დავინახე, აკაკი სცენაზე ამოსულიყო. მსახიობთა საპირფარეშოში შემოვიდა და სიცილით მითხრა: ნიკო, შენ მაინც შენსას არ იშლი, დღესაც „უფლისწულება“ სთქვიო!... აკაკი მართალი იყო. შემდეგშიც ძალიან ხშირად მცდებოდა ხოლმე ეს სიტყვა.

რა იყო მიზეზი, რომ ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ და, განსაკუთრებით, ნიკო ქართველიშვილმა აკაკი მოიწვიეს რეჟისორად? მე მგონია, ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი დამსახურებული მსახიობები ვერ რიგდებოდნენ ერთიმეორეში. ყველა მათგანს სურდა ისეთი პიესები დადგმულიყო, სადაც თვითონ პირადად ექნებოდა მთავარი როლი. ქართულ თეატრში სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო, როცა აკაკი მოიწვიეს რეჟისორად. ჩვენს გამგეობას ეგონა, რომ აკაკი, როგორც ყველასაგან პატივსაცემი და თეატრის კარგი მცოდნე, ამ არევ-დარევას და სცენიურ ინტრიგებს ბოლოს მოუღებდა, მაგრამ გამგეობა ძალიან შეცდა. აკაკი, როგორც ზევითაც ვთქვით, მეტად ფაქიზი და ზრდილობიანი ადამიანი იყო, თავის დღეში ხმამაღალ სიტყვას არ იტყოდა, არავის უდიერად არ მოექცეოდა, არ უნდოდა, რომ დასში უკმაყოფილება ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასში უსიამოვნებას მაინც ჰქონდა ადგილი. მახსოვს, აკაკიმ „სამშობლო“ რამდენჯერმე რომ დადგა და „პატარა კახის“ მომზადება დაიწყო, უნდოდათ, რაიმე ძველი, ნათამაშევი პიესა განე-

ახლებინათ. კოტე მესხმა დაასახელა „ჭირვეული ცოლის მორ-ჯულება“ შექსპირისა, უნდოდა მთავარი როლი — პეტრუჩიოს-ეთამაშნა; ვალერიან გუნიას კიდევ ველიჩკოს „პირველ ბუ-ზის“ დადგმა უნდოდა, სადაც მას პირადად მთავარი როლი ჰქონდა ნათამაშევი. ამ ნიადაგზე უსიამოვნება ჩამოვარდა.

* *

...დავამთავრეთ სეზონი. აკაკის საბენეფისოდ დაიდგა პიესა „თამარ ცბიერი“. თამარის როლის შემსრულებლად ბაქოდან საგანგებოდ იყო მოწვეული ქეთო ანდრონიკაშვილი, რომელსაც, მართლაც, ძალიან უხდებოდა ეს როლი. ქეთო ანდრონიკაშვილი მაშინ ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო და ამიტომაც მოხდენილი იყო ამ როლისათვის. გოჩას თამაშობდა სოსო ივანიძე. სოსო საზოგადოდ კარგად კითხულობდა აკაკის ლექსებს და გოჩაც კარგად შეასრულა. აკაკის, როგორც მობენეფისეს, საზოგადოება დიდი აღტაცებით შეხვდა და ბევრი საჩუქარიც მიართვა.

* *

ბაქოში არსებობდა თბილისის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილება, რომელსაც ჰყავდა თავისი გამგეობა. ამ გამგეობიდან გამოყოფილი იყო თეატრალური გამგეობა, მისი თავმჯდომარე იყო ცნობილი ჟურნალისტი ილია აგლაძე, რომელიც წარმართავდა ბაქოში ქართულ თეატრალურ საქმიანობას. ამ დროს ბაქოში ბევრი ქართველობა ცხოვრობდა: ინტელიგენტები, რომლებიც კანტორებში მსახურობდნენ, მუშები, რომლებიც ნავთის საწარმოებში მუშაობდნენ, და პარტიული მუშაკები, რომლებიც რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ბაქოს მთელი ქართველობა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გარშემო იყო შემოკრებილი. ამ საზოგადოებას ჰქონდა აგრეთვე ქართული სკოლის საკუთარი შენობა. ეს იყო ბაქოელი ქართველების ნამდვილი კულტურის სახლი.

წარმოდგენის დღედ დავნიშნეთ 1-ლი აპრილი, აღდგომის მეორე დღე, რადგან დიდმარხვის უკანასკნელ კვირას წარმოდ-

გენების დადგმა აკრძალული იყო. როლები განაწილებული იყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიესა კარგა ხანს ვამზადეთ. მთელი ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოდა სეზონის გახსნას. მოახლოვდა წარმოდგენის დღეც. ბილეთები წინდაწინვე გაიყიდა. წარმოდგენის დღეს, დილით, თეატრში მივიდა ჩვენი დასის ერთ-ერთი წევრი და გამოგვიცხადა: დღეს დილით ექიმ ვანო ელიაშვილთან სტუმრად ჩამოვიდა ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. ყველანი სახტად დავრჩით. სრულიად არ მოველოდით ბაქოში აკაკის ჩამოსვლას. ვანო ელიაშვილი თბილისში ყოფილიყო, აკაკის შეხვედროდა და ეთხოვნა, საღდგომო დღესასწაული ჩვენთან გაატარეო. აკაკიც დათანხმებულიყო.

აკაკი ბაქოში სტუმრად პირველად იყო და, რა თქმა უნდა, მთელი ბაქოს ქართველობა დაფაცურდა, რომ მისთვის როგორმე პატივი ეცა.

რაკი აკაკის ჩამოსვლა გავიგეთ, დარწმუნებული ვიყავით, რომ წარმოდგენას უსათუოდ დაესწრებოდა. ბაქოელი სცენისმოყვარენი ისედაც ღელავდნენ, რადგან სეზონს ხსნიდნენ და იცოდნენ, მთელი ბაქოელი ქართველობა დაესწრებოდა სეზონის გახსნას, ახლა კიდევ აკაკის ჩამოსვლაც ზედ დაერთო. როგორც კი ხმა გავარდა, აკაკი ბაქოშია და ამ საღამოს წარმოდგენას დაესწრებაო, დილის რეპეტიციაზე თეატრში აუარებელმა ქართველობამ მოიყარა თავი. ჯერ უნდოდათ გაეგოთ, მართლა ჩამოვიდა აკაკი ბაქოში თუ არა, და მერე კიდევ ბილეთი ეშოვნათ.

ბაქოელ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც ბაქოში იყვნენ დაბადებულნი და აღზრდილნი, აკაკი არ ენახათ, ამიტომ ყველანი დაინტერესებულნი იყვნენ, რომ თავისი თვალით ენახათ საყვარელი პოეტი. წარმოდგენის ღამეს აბაზიან ბილეთში სიამოვნებით აძლევდნენ ხუთ მანეთს, ოღონდ როგორმე ეშოვნათ.

მოახლოვდა წარმოდგენის დაწყების დროც. ჩვენი პატარა თეატრის დარბაზი ისე იყო გაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. წარმოდგენას არ ვიწყებთ, ვუცდით აკაკის მოსვლას. არ გასულა დიდი ხანი, და სცენაზე შეგვატყობინეს, აკაკი სახლიდან წამოიყვანეს და პიესის დასაწყებად მზად იყავითო. ყველა გულისფანცქალით მოველით აკაკის დარბაზში შემოსვლას.

აი, ჩვენი გამგეობის წევრებმა შემოიყვანეს აკაკი დარბაზში. იგრიალა ტაშმა, ყველანი ფეხზე დგებიან. ტაშისცემას და აღტაცებას საზღვარი არა აქვს. გამგეობის წევრებმა აკაკი წამოიყვანეს და მისთვის საგანგებოდ გამზადებულ სავარძელში ჩასვეს. დავიწყეთ წარმოდგენა. ყველანი ძალიან ვღელავთ, მაგრამ პიესა კარგად გვაქვს მომზადებული და არ გვეშინია: ყველას იმედი გვაქვს, რომ გავიმარჯვებთ და აკაკის არ შევარცხვენთ. გათავდა მესამე მოქმედება. სხვათა შორის, მესამე მოქმედება „პატარა კახში“ კარგი მოქმედებაა და კარგადაც თავდება გლეხების გამამხნევებელი სიმღერით. ფარდა რომ დაეშვა, ატყდა ტაშისცემა და „ვაშას“ ძახილი. ჩვენ, მონაწილენი, ყველანი სცენაზე გამოვედით. აკაკის კვლავ დიდი ოვაციები გაუმართეს.

პიესა მშვენივრად წავიდა და საზოგადოებაც ძალიან კმაყოფილი იყო. პიესის დასასრულს აკაკი საზოგადოების მოთხოვნით სცენაზე გამოვიყვანეთ. მან რამდენიმე ლექსი წაიკითხა, რითაც აღტაცება გამოიწვია. წარმოდგენა გათავდა, მაგრამ საზოგადოება მაინც არ იშლება, აკაკის დარბაზში ჩასვლას ელის. ჩავიდა აკაკი დარბაზში. ახალგაზრდობამ პოეტი ხელში აიტაცა და „ვაშას“ ძახილით ქუჩაში გაიყვანა. ჩასვეს ეტლში და „ვაშას“ ძახილით და ტაშისცემით გააცილეს.

მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდიც.

1908 წელს ჩასული ვიყავ დროებით პეტერბურგში, სადაც ვეცნობოდი თეატრების მუშაობას. იქაურმა ქართველმა სტუდენტებმა მთხოვეს, რაიმე პიესა დაგვიდგი ქართულადაო. აირჩიეს ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“. პიესა დიდხანს ვამზადეთ, გვეშინოდა, არ შევრცხვენილიყავით. მით უმეტეს, რომ „ღალატი“ რუსულადაც ხშირად იდგმებოდა საუკეთესო მსახიობთა შემადგენლობით. 15 იანვარს, 1908 წელს, პიესა დავდგით კიდეც. ის-ის იყო წარმოდგენა უნდა დაგვეწყო, რომ თეატრის დარბაზში ვიღაც არაჩვეულებრივი მაყურებელი გვესტუმრა. ვიფიქრეთ, ალბათ ალ. სუმბათაშვილმა თუ გაიგო, რომ პეტერბურგში მისი პიესა ქართულად იდგმება, შეიძლება ამითი დაინტერესდა და მოსკოვიდან პეტერბურგში ჩამოვიდაო. არ გასულა დიდი ხანი და სცენაზე შეგვატყობინეს, სრულიად მოულოდნელად წარმოდგენაზე გვესტუმრა ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკიო. ამ ამბავმა ჩვენ ყველანი ძალიან გაგვაკვირვა

კიდეც და ამავე დროს ძალიანაც გაგვახარა, რომ ჩვენს წარმოდგენას დაესწრებოდა ჩვენი საყვარელი მგოსანი. მართლაც, წარმოდგენის დაწყების წინ, რამდენიმე საათით ადრე, აკაკი საქართველოდან პეტერბურგში ჩამოსულიყო სტუმრად ივანე ნაკაშიძესთან.

ვითამაშეთ ორი მოქმედება. მესამე მოქმედება რომ დავამთავრეთ, თვითონ აკაკი ამობრძანდა სცენაზე. ჩვენ ყველანი, პიესაში მონაწილენი, გარს შემოვეხვიეთ, მივულოცეთ პეტერბურგში ჩამოსვლა, მოვიკითხეთ და ამასთანავე ვთხოვეთ, რომ ჩვენთვისაც გაეზიარებინა თავისი აზრი წარმოდგენის შესახებ. აკაკიმ მოგვილოცა გამარჯვება და გვითხრა: ძალიან მოხარული ვარ, რომ პეტერბურგში ქართული წარმოდგენის დადგმა განგიზრახავთ, მით უმეტეს ისეთი კარგი ქართული ორიგინალური პიესისა, როგორიც „ღალატი“ არისო. ამ პიესის დადგმით რუსი ხალხი ჩვენს გმირულ წარსულს გაეცნობა და გულით მიხარის, რომ რუსი საზოგადოების წინაშე არ შეგვარცხვინეთო, პიესა მშვენივრად მოგიმზადებიათო. ახალგაზრდები ხართ, მომავალი წინ გიდევთ და, აბა, თქვენ იცით, როგორ სამსახურსაც გაუწევთ ჩვენს ხალხსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა დიდ კოეტთან

მაშინ საჩხერეში მეორე კლასში ვსწავლობდი. გვასწავლიდა მეტად კეთილი ქალი, აკაკის ოჯახის მეგობარი, ანეტა იურკევიჩი. ერთ დღეს მასწავლებელმა გაგვაფრთხილა: ხვალ აკაკი გვესტუმრება და ყველანი კოხტად და სუფთად ჩაცმულები მოდითო.

გაზაფხულის მზიანი დღე იდგა. ყველანი გულისფანცქალით ველოდით აკაკის, მაგრამ იგვიანებდა. უცხო მოხუცს რომ დავინახავდით, აკაკი გვეგონა. ერთმა ჩვენგანმა ცხენზე ამხედრებული თეთრწვერა, ლამაზი მოხუცი დაინახა და მასწავლებელს მიახარა: ნამდვილად აკაკი იქნებაო. ეს მართლაც აკაკი იყო.

აკაკიმ სკოლის შენობასთან შეაჩერა ცხენი, ჩამოქვეითდა, ცოტა შეისვენა და გულდაწყვეტით თქვა — მატარებელზე მაგვიანდებაო.

მასწავლებლის დავალებით მე ლექსი უნდა მეთქვა სტუმრისათვის, მისივე „რუსთველის სურათზე". ლექსს გულში ვიმეორებდი, რომ არ შემშლოდა.

აკაკის უარმა ყველას გული დაგვწყვიტა, ყველაზე მეტად კი მე. როცა აკაკი წასავლელად გაემზადა, მასწავლებელმა გვითხრა: გაყევით აკაკის და ვაშათი გააცილეთო. ჩვენც გავედევნეთ და ვაშას ძახილით საკმაოდ შორს ჩავაცილეთ. მერე მობრუნდა, დიდი მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა: ახლა დაბრუნდით, ჩემო ჩიტებო და კარგად ისწავლეთ, თქვენა ხართ ჩვენი იმედიო.

მეორედ აკაკი გარდაცვლილი ვნახე სხვიტორში. ჩემი ბიძა — შიო გაბაძე მწერლობის დიდი მოყვარული იყო. შიო ბიძამ და მართა ბიცოლამ გადაწყვიტეს აკაკის გასვენებაზე წასულიყვნენ. მეც წამიყვანეს. სოფლიდან ბევრი ხალხი მიდიოდა გასვენებაზე. ბაჯითიდან სხვიტორამდე ფეხით გავიარეთ. საჩხერიდან სხვიტორამდე გზა ხალხით იყო სავსე. როცა აკაკის

ცხედარი საჩხერის სადგურამდე მიასვენეს, ხალხის ნაწილი ისევ სხვიტორში იდგა. საჩხერის რკინიგზის სადგურიდან სხვიტორამდე გზა სუროთი და ყვავილებით იყო მოფენილი. სახლის აივნებზე შავებით მორთული ხალიჩები იყო გადმოფენილი. ზოგს აკაკის სურათიც გამოეკიდა. აკაკის წასასვენებელი ვაგონიც სუროთი და ყვავილებით იყო მორთული.

ამ დღისა და პოეტის სახსოვრად აკაკის სურათებს არიგებდნენ. ერთი მეც მომცეს. ისე გამიხარდა, რომ ჯავრი გამიქარვდა. ეს სურათი დიდხანს მქონდა სამახსოვროდ, მაგრამ ვილაცამ გააყოლა ხელს. ეს ხელმრუდობა აკაკის სიყვარულით იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფოთლო ხის ჩრდილი

(მოგონება)

მე ახლა აღარ მახსოვს — რა ხე იყო ის, რომელზედაც მაშინ, ბავშვობაში, გულის ფეთებით ავცოცდი და უეცრად ბევრ რამეზე თვალი ამეცრა.

იმ პატარა ბაღთან მერმეც არაერთგზის ამივლია და ჩამომივლია, როდესაც დროდადრო დიდებულ ქართველთ მთაწმინდისკენ მივასვენებდით. მაგრამ ვეღარ ვხედავ იმ ხეს... იგი ან მოჭრეს, ან ისე გაიზარდა, რომ ვეღარც ვცნობ.. აი, მის უფოთლო ჩრდილს კი ახლაც ვხედავ.

...მას შემდგომ დიდმა დრომ განვლო. ბევრ გზა-ღრანტეებში მატარა. ხე და ხევი რა ბედენაა... არაერთ მწვერვალზეც ავსულვარ — იალბუზისა და მყინვარწვერის ჩათვლით. იქიდან შორეთისთვის თვალი გამიყრია... მაგრამ იმ, არც თუ დიდ, ხიდან ერთბაშად დანახულის ოდენა მაინც აროდეს აღარ დამინახავს, არც შემიგნია... ასე გულალალი, ვგონებ, აროდეს აღარც ვყოფილვარ.

ეს ხე, მთაწმინდის კალთაზე, მამადავითის ბაღში, ქუჩისპირა გისოსს თავზე ადგა და სხვა ხეებისგან არაფრით არ გამოირჩეოდა. მას ახლაც მთელი სხეულით ვგრძნობ... ახალ გამოზამთრებულს, ჯერ უფოთლოს, მაგრამ ნამშეპარულსა და კვირტებმოკითხულს. მაშინ მე უკვე ნასწავლი მქონდა:

...თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო...

...ჰოდა, სწორედ თებერვალია, კვირა. ხეზე ბავშვებია შესეული. მე ყველაზე ქვევით ვარ. სამაგიეროდ ქუჩისაკენ გადახრილი ტოტია და ზედ გადამჯდარს სამზერი უფრო ხელსაყრელი მაქვს.

ქუჩა-მოედნის გასწვრივ ხელიხელჩაჭიდებული ხალხი

დგას. შუაში კი მოდიან, მოდიან... მწყობრად ჩამდგარი შავ-ჩოხიანი, შავჩიქილიანი მგალობელნი... დიდნი, პატარანი. მოაქვთ წამოხრილი შავი დროშები, შეძაძული ჯვრები, ხატები, შავჩარჩოიანი სურათები... ნეტავ ქვეყნად სად იყო ამდენი შავი?!

თვალებს ვაცეცებ, ხარბად ვეწაფები. გადახრილ ტოტზე უფრო წინ მივცოცავ. რაღაც ახალი, „ხალხის გრძნობა" მიტაცებს და თან ზარსა მცემს... ნეტავ ქვეყნად სად იყო ამდენი ხალხი?!

მიდამოს ხეები დახუნძლულია ჩვენი უბნის ბიჭებით. ყველა ჩემსავით გაფაციცებულია და შემკრთალი. გონებაზე უფრო გული გვიგრძნობს, რაღაც დიდი ამბავია!

კიდევ კარგად მოვასწარით. ჩვენი ოჯახი მაშინ — აქვე, მთაწმინდის შესახვევზე ცხოვრობდა. მე ჯერ ათისაც არ ვიყავი, ცხოვრებაში მოკლე შარვლით შესული. ცნობისმოყვარეობა გაუმაძღარი მქონდა, მაგრამ გარემო აგრე იოლად როდი მიმხელდა თავის გულისნადებს. ჩემს თვალსაბრუნავში და გულსაზრუნავში ათასი გაუგებარი ამბავი ხდებოდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. ყველაფერი ხატოვანად მესახებოდა. ბუნებასა და ნივთებს თავისი იდუმალი ჩრდილი და ჭვირი ჰქონდათ. სიტყვებსაც რაღაც შეუცნობი ჩხრიალი ასდიოდათ და მუდამ ნათქვამზე უფრო მეტი, თავსატეხი მნიშვნელობა ჰქონდათ.

მე უკვე სკოლაში დავრბოდი — „დედა-ენასა" და „მამა-ანგარიშს" ვეწაფებოდი. ყური ცქვიტ ადგილზე მქონდა შებმული და ოჯახშიაც „საზოგადო და საქვეყნო" ბევრი რამ ნაადრევად გამეგონა, თუმცა ვერცთუ გამეგო.

დამწუხრებულმა მამამ მეც „უფროსივით" გამიზიარა, რომ „ჩვენს სამშობლოს ახალი დიდი უბედურება ეწვია"... გატყდა მისი „სალამური"... გმირების მაძებარი „დაფი და ნაღარა" და ახლა „მხცოვანი მწერალი" დიდ მთაწმინდელებს უერთდება, იქ უნდა დაიდოს „საუკუნო ბინა". სურათიც კი მაჩვენა მხცოვანისა.

მომაგონდა, რომ ერთხელ ტფილისის მთავარ ქუჩაზე შევხვდი ამ „პირწმინდად დათოვლილ კაცს", რომელიც „თავაღმართულად" ზეცისაკენ იხედებოდა და გზას „თავმოხრილ" ჯოხით მიიკვლევდა.

მე თვალი მომჭრა მისმა ნათელმა. მაშინ კიდევ ვსწავლობდით საღვთო სჯულს და მე ღმერთი მხოლოდ ასე წარმომედგინა.

ახლა კი ეს „თეთრი ღმერთი" ძთაწინდაზე აპირებდა „საუდამოდ დასახლებას".

მე სიკვდილი ჯერ მეტად ბუნდოვნად წარმომედგინა... ხანგრძლივ, არც უამო ძილისდაგვარად... ისიც თავისი სურვილით... რომელსაც რაღაც კავშირი ჰქონდა თეთრ წვერთან, ჭალარა ნაწნავებთან და დიდ პატივისცემასთან და ყვავილებთან. ხოლო ეს ვერ გამეგო — რაღა მაინცდამაინც კუბოში და მიწაში ჩააწვენდნენ ხოლმე ლოგინში და ბუმბულში ნაჩვევ ადამიანს?

მამადავითის ბაღს რომ მივაშურეთ, უკვე გზები ხალხით გაჭედილი, ყოველი ხე ბიჭებით დახუნძლული აღმოჩნდა. ჩვენი ქუჩის ბიჭებიც ბაღის მაღალ გისოსს გადავევლეთ და ერთადერთ „თავისუფალ" ხეს მივაწყდით. ხის თავისუფლების მიზეზიც მის ძირში მუხლებზე იდგა, თავი ხის ტანზე მიედო, ხელებიც შემოევლო, ბრმა თვალებს აპარპალებდა და ხმამაღლა გაიძახოდა:

— გაიკითხეთ!.. აკაკის მადლითა და სახელით გაიკითხეთ! მაშ, მე უნდა ხის ძირში გავკიოდე და ის კი ხის კუბოში მუნჯად იყოს?!

მიწაზე კი მისი კაკვა-ჯოხი და თუნუქის ცარიელი ჯამი იდო.

ხეიბრის ძახილს ყურადღებას არვინ აქცევდა. არც ჩვენ გვეკითხებოდა რამე, მაგრამ ბრმის უკან თავისუფალი ხე იყო... ქუჩის ქვედა მხრიდან კი დაგუბული დუდუნი და შეუცნობი მოძრაობის ჩარბულალა მოდიოდა. მოთმინებისა და ლოდინის დრო და გული, აბა, ვის გააჩნდა.

მე ეშმაკობისა თავიდანვე არა მქონდა რა, მაგრამ ერთმა კი ჯიქურ-ხერხი იღონა...

— ფული გაქვთ ვინმეს?

მხოლოდ მე აღმომაჩნდა დედის მოცემული კაპიკიანი.

გამომართვა და ხეიბარს ხმიანად ჩაუგდო ჯამში. მაგრამ ვიდრე ბრმა დაიხრებოდა, ბიჭმა ისევ ამოიტაცა ჯამიდან, სხვას გადასცა, დახრილ მათხოვარს გადაახტა და ხეზე შეფორთხდა.

ახლა მეორემ ჩააჩხრიალა ჯამში ჩემი კაპიკი და ხეზე შეხტა. კაპიკიანი კი მესამე ბიჭის ხელში იყო.

— ჯამში ჩააგდეთ... ხალხნო! ჯამში! მე — ბრმას არა მცდება და თქვენ აცილებთ? თვალები გაახილეთ... თვალები! — მათხოვარი ცარიელ ჯამში და მის ირგვლივ აფათურებდა ხელებს.

ბოლოს ჯერი ჩემზეც მოდგა. მე აღარ ამომიღია კაპიკიანი და თავზე რომ გადავახტი ბრმას, მისი ხმაც ფეხმობმით მომყვა:

— ეჰ, ჩვენი ცხოვრების ფასი კაპიკია... მაგრამ შენ მაინც დაილოცე ერითა და ჯილაგითა.. გაიხარე, თუ ქართველს უწერია სიხარული!.. ჰაი, დედასა... ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტოო!.. გაიკითხეთ!..

ხალხი კი შუა ქუჩაში მწყობრად ვიდოდა და ვიდოდა... გალობდა და გალობდა.. იცრემლებოდა და იცრემლებოდა... ქვევით, ქუჩის ვიწროში მიწა გუგუნებდა.. მალე სულ აირია მწყობრი და რიგი... ახლა ყველა საზღვარი წაიშალა. ხალხი შავ დროშებს განიერ ხნულად წამოება. თითქოს თავად მიწა და ტალღა აღმაზვირთად მოგორავდა. გალობა უკვე ჩათხრობილ, გაურკვეველ დუდუნში ინთქებოდა. თითქოს სამგლოვიარო ზარის ხმა ისმოდა და აღარც ისმოდა... ისიც ვერ გამერკვია, მართლა ზარი იყო თუ დედა-ქალაქისა და მომდგარ ერის გულისცემა?!

ვუმზერდი ამ თავებისა და მხრების ზღვას და ტანში ჯერ განუცდელი ცახცახი მივლიდა. ჩემთან ცახცახებდა ტოტიც, მთელი ხეც და ვგონებ, იქ, ხის ძირთან მყვირალი ხეიბარი.

— გაიკითხეთ! მე კი არა, სიკვდილი ყოფილა ბრმა და პირშავი! შევარცხვინე მისი სტუმარ-მასპინძლობა... ზნე-ხასიათი!.. — კაკვა-ჯოხი შემოჰკრა ჩვენს ხეს და მოზღვავებულ ხალხის დახშულ დგანდგარს კვინიხში ასული ძახილი შეჰმატა. — გაიკითხეთ, ქართველებო!.. ეგ უპატრონო ჯერ რჩეულებს ირჩევს! რჩეულებს ირჩევს! დავიწყების პირსა და არაიყორას ახვედრებს! გაიკითხეთ! გაუკითხავ საქართველოში!.

გაოგნებული ვუმზერდი, ვუსმენდი. ხარბად ვისრუტავდი ყველაფერს და თავბრუ მეხვეოდა. ვერკი ვერკვეოდი... ჩემს მიხვედრას რაღაც ძირითადი მარჭვალი აკლდა და აბნევდა... სად არის, სად... თავად „რჩეულთ-რჩეული?“ სად არის ამ

ზღვა-ხალხში „გმირების მაძებარი“ აკაკი? ან რა საქმისთვის ეძებდა გმირებს? ან თუ იპოვნა გმირები „გაუკითხავ საქართველოში“? თუ არადა, ამდენი ხალხი რა ძალამ მოიყვანა, მხარიმხარ შეჰყარა და ზვირთად შეანივთა ამ ალმართზე, მთაწმინდის კალთაზე თუ მამადავითის ქედზე... სადაც მე მრავალჯერ მირბენია, ქვები მისროლია, ასკინკილით ასკილი მიკრეფია, კლდის ფრიალოზე თუ გამზრდელისაგან გაგონილ „მოდინახეს ციხეზე“ თავგანწირულად ავცოცებულვარ... ქართული ზღაპრების „უკვდავების წყარო“ მიძებნია, ეკლებთან და ჭინჭრებთან „დედაენის“ მაგარი ყდით „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ მიბრძოლია... და გამიმარჯვია კიდევაც!

ერთხელ მაინც უნდა გაიმარჯვო კაცმა, რომ მერმე ათას დამარცხებას გაუძლო!

ხალხის ზვირთი კი ამოგორდა მამადავითის მოედანზე, ამოგორდა და თითქოს მხრებში გაიშალა, მორევივით შეტბორდა... ყველა ქუჩიდან ნაკადი შემოიმატა... თითქოს საქართველოს ყველა მდინარე აქ იყრიდა თავს... აქ იყრიდა თავს... და მაინც — საქართველოში რამდენი მდინარეა?.. რამდენი მამადავითის ქედი?.. ღმერთო, როდის დავივლი ყველას!..

და უეცრად ამ თავების მორევზე დიდ შავ ნავივით რაღაც გამოცურდა. ვიგრძენ, რომ ეს და სწორედ ეს, დიდი და უძრავი, არის ძალა შემკრები ამ მოძრავ ცოცხალ ტალღისა... და ყველა მას უმზერს ამოძრავებულ ქუჩებიდან თუ აცახცახებულ უფოთლო ხეებიდან, ჩაშავებულ სარკმელებიდან თუ ამოძაძულ აივნებიდან, თავჩაქინდრულ სახურავებიდან თუ ასულდგმულებულ მთის ფერდობებიდან.

— იგია, იგი! — ჩურჩული მოჰყვებოდა ბაღის უფოთლო ხეებს.

— იგია! — აჩურჩულდა ჩვენი ხეც და ზედ გახევებული ბავშვებიც. იგი კი თანდათან ახლოვდებოდა, იზრდებოდა... უკვე ვეებერთელა, გოლიათურად გადაწოლილიყო... თეთრ-ქათქათა ლომფაფარით ნათელ სახის ირგვლივ შემოვლებული.

და მე ვიცანი... ნიშანცხადლივ მხოლოდ ახლა წარმომიდგა... იგი — აკაკი, „მხცოვანი მწერალი“, „პირწმინდად დათოვლილი კაცი“, „თეთრი ღმერთი“... თავაღმართულად ტფილისის მთავარ ქუჩაზე მომავალი... მას მაშინ თავმოხრილი ჯოხი ჰქონდა... ახლა კი ჯოხიც გადაუგდია... სახეშეუბრუნე-

ბლად სულ ზეცაში იხედება და ისე მიდის, ფეხებს არც კი აკარებს დედა-მიწას... აი, რა ყოფილა უკვდავება! კაცი ჯობს, რომ გადააგდებ და ისე მიხვალ... ისე მოგყვება ხალხი!.. ველარ გამიგია — ეს კაცის სიკვდილი თუ არის — რაღას ჰქვია კაცის გამარჯვება?!

ხალხის მთავარმა ტალღამ ჩემს ხემდე მოაღწია... და თითქოს თავი დაჰხარა უფოთლომ, მაგრამ ბავშვებით შეყურსულმა ხემ. მასაც გული ჰქონია და მას რომ ვეკვრი, ძგერასაც ვგრძნობ. გულის მიღმა კი მესმის ხეიბრის ხმაჩაკარგული დუდუნი:

— აბა რა სანუგეშოა და... ხანდახან ბედნიერი ვარ, რომ ბრმა ვარ!.. აბა, კარგს რასა ჰხედავთ, გეთაყვა! გაიკითხეთ და გამაგებინეთ!

— ვაი, რომ მართალს ამბობ! — შეეხმიანა ვიღაც გამვლელი. — გული გაგიტყდება, მაშ რა მოგივა... ჩვენს უკანასკნელ დიდებას მიასვენებენ!..

მაგრამ ახლა სხვა ხმაზე ადუღდუღდა უსინათლო:

— ნუგეშ-იმედიც გაიკითხეთ!.. ხალხნო! სიცოცხლე მაინც სჯობს სიკვდილსა... ერთი კვდება — ათი იბადება! თავი ვიტეხოთ და გული არა!

აკაკის წინ ერთადერთი, შავ-მწვანე, ორსიტყვიანი გვირვინი მოუძღოდა: „აკაკის — საქართველო“...

— აკაკის გვარი საქართველო ყოფილა! — ჩვენი ხის კენწეროზე წაიჩურჩულა ბავშვმა. იმანაც გაიგო რაღაც! მე კი მაშინ პირველად, ნათლივ ვიგრძენი, რომ მეც საქართველოს ნაწილი ვარ... აკაკის საქართველოს ნაწილი!

და მეც, ჩვენც, ყოველმა თაობამ უნდა ვეძებოთ გმირები, ვისწავლოთ, ვიწვალოთ, ქვას, ხეს, რკინას შუბლი ვახალოთ... ერთი მოვკვდეთ, ათი დავიბადოთ... ოღონდ ხის ძირში ჯდომასა და სიბრმავეს თვალი და გული ავაცილოთ... ჩვენ თვითონვე უნდა გავიკითხოთ ჩვენი თავი და საქმე... თავი და საქმე!.. თავი ვიტეხოთ და გული არა!

ხალხის მთავარმა ტალღამ აიარა. ახლა იგი მთაწმინდის ჩამონაყვებულ კალთაზე მიჯრილად მიიკლაკნებოდა და მაღლა, როგორც ალამთ-ალამი, ახალი მთაწმინდელის ნეშტი მაჰქონდა... ეს „ცა—ფირუზზე“ ამაღლება უფრო იყო, ვიდრე დაკრძალვა!

ხიდან მე ყველაზე ბოლოს ჩამოვედი. მე კი ჩამოვედი, მაგრამ ჩემი ბალღობა სადღაც ამ ჯერ შეუფოთლავ ხის ტოტზე დამრჩა. უკვე ჭაბუკური ყურები ახლა სულ დალესილი მქონდა. კიდევ მსურდა რამის გაგება. და გავიგე კიდეც... ერთმა მოწიფულმა, შუბლიანა კაცმა უთხრა მეორეს:

— ერმა, რომელმაც თავისი ღირსეული შვილის ასეთი დაფასება და სიყვარული იცის...

— ის ერიც უკვდავია და ის ღირსეული შვილიც! — დაასწრო მეორემ.

სიცოცხლეში ნეტავ რამდენჯერ უნდა ამეხილოს თვალი? ახლა ხის ჩრდილიდან უკვე „ბრძნულ-ჭაბუკურად" შევხედე მთაწმინდის ქვეყანას, მის ხალხს, სიცოცხლეს, შრომას, მოვალეობას... ისიც ბასრად და ნათლად ვიგრძენ, რომ სიკვდილი საბოლოოდ აუცდენელი „სტუმარ-მასპინძელია" დიდთა და მცირეთა, რჩეულთა და ურჩევთა... რომ ეს ყველასათვის ძველთაგანვე ცნობილია, მხოლოდ მე ვიჯექ ხეზე...

ხოლო შემდგომ „დავიწყების პირსა და არაიყორას" მხოლოდ ის აღწევს თავს, ვინც თავის ნიჭსა და შრომას სამშობლოსათვის არ იშურვებს, ვინც თავის ხალხს თავზე ევლება... ხოლო სამშობლოს, ხალხის დიდი სიყვარული ადამიანს გულთამხილაობის ძალას უჩენს, ანიჭებს, უზრდის... იქნებ გმირადაც ხდის!

მეც გავყევი ხალხს. უკან კი მომდევდა ბრმა ხეიბრის ძახილი:

— გაიკითხეთ! ჰაი, დედასა მტრისასა! მე, ბრმა, ცოცხალი ვიყო... თვალნათელ აკაკის კი სიკვდილი აბრმავებდეს, მიწას აბარებდეს?!

მაგრამ მე ახლა უკვე ბრმაზე უკეთ ვიცოდი, რომ სიკვდილს აღარ შეეძლო აკაკის „დაბრმავება", არც მისი სალამურისა, დაფისა და ნაღარის დახშობა, დაჩუმება... მისი სახელი და სიტყვა უხმობდა თაობებს! ერთმა ნაპერწკალმა მეც ამინთო ჩუმი სანთელი და იმის შემდეგ გულში დამაქვს უფოთლო ხის ჩრდილთან ერთად.

როდესაც კაცი, სამხრობის ჟამს, ბავშვობის დღეებს იგონებს — დროის ვარაუდი ეშლება კალამს. ბავშვი უნებურად უფრო ჭკვიანი, ადრე შეუფროსებული, მიამიტობადაკარგული გამოდის. ნაგრძნობიც და ნაფიქრიც შემდგომი ნალექით ივ-

სება და ცხოვრების დახლართულ ფაცერკოდში იკარგება მო-
საგონარ დილის ცვარ-ნამი. ჩანს, პირველგანცდილის ფხამ-
ურევი აღდგენა ისევე შეუძლებელია, ვით ბავშვობის შემობ-
რუნება. ეს მარცვალიც ან სულ მომსპარი, ან უკვე ამოზრდა-
ლია... კბილიც მოცვლილი... ჩვენი ბავშვობა უკვე ჩვენივე
შემოქმედების ნაწილად ხდება, ხანდახან მთავარ თემადაც
იქცევა და არის ასე.

ამ გულწრფელ აღიარებას კალმის გენიოსებიც ალბათ მა-
პატიებენ... მათ ეს უკეთ მოეხსენებათ...

...იმ ხის უფოთლო ჩრდილს კი ახლაც ვხედავ, თუმცა მის
შემდეგ მთაწმინდის მიწამ არაერთი დიდი ქართველი მიიბა-
რა, ხოლო მთაწმინდის ხეებს ფოთლები ორმოცდახუთჯერ აუმ-
წვანდათ და ჩამოსცვივდათ.

ახლაც ფოთოლცვენაა... მაგრამ გაზაფხული მუდამ სჯობ-
ნის შემოდგომას და ზამთარს. ერთი მოვკვდეთ, ათი ვიბადოთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი აკაკი

აკაკი წერეთელი პირველად გავიცანი ერთი პატარა ლექსების წიგნით. ამ წიგნში წავიკითხე, სხვათა შორის, ლექსი „სულიკო“, რომელიც დღევანდლამდე არ დამვიწყებია. მაშინ მე ახალგაზრდა ვიყავი და „სულიკოს“ შინაარსი ჩემთვის გაუგებარი იყო, მხოლოდ ლექსის მუსიკა მესმოდა. დღეს კი, რომ ვაკვირდები ამ ლექსს, ძალიან მხიბლავს მისი შინაარსი, რომელშიც დიდი პატრიოტული გრძნობაა ჩაქსოვილი.

ხარფუხში ოციოდე ვაჭარს ჰქონდა დუქანი. ამ ვაჭრებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, მხოლოდ ერთმა რაჭველმა ხაბაზმა გიორგი ლებანიძემ იცოდა წიგნის კითხვა. მას თავის დუქანში ჰქონდა აუარებელი წიგნები და იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რაც პირველი იყო ხარფუხის მოსახლეობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბაზაზ (მეფართლე) გიორგი შათირიშვილს. ობლად რომ დავრჩი, სწავლის ქირა ვერ გადავიხადე და სკოლიდან გამომრიცხეს. სკოლიდან გამომყვა სიყვარული წიგნების კითხვისა. მე დავეწაფე მეპურე გ. ლებანიძის შეგროვილი წიგნების კითხვას. თვითონაც ისე უყვარდა ქართული წიგნის კითხვა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თონეში ცომის გუნდის ჩაკვრის დროსაც კი გაშლილი ჰქონდა და კითხულობდა.

დღეს, როცა ვიხედები წარსულისაკენ და ცხოვრებას გავეცანი, დავრწმუნდი, რომ რაჭველებს მიწა არ ჰყოფნიათ. ისინი ძალიან პატიოსანი ხალხია. რაჭველები არ ერიდებოდნენ არავითარ ჯაფას, არა თაკილობდნენ არავითარ ხელობას, ჩამოდიოდნენ თბილისში, რათა პატიოსნად და ალალად ეცხოვრათ. დამახასიათებელია: მუშაობასთან ერთად განათლებასაც ეწაფებოდნენ (აბა ვინ წაიყვანა აკაკი წერეთელი 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში და ჩვენს სასიქადულო პოეტს დაუტკბო სიბერე? მხოლოდ და მხოლოდ რაჭველი უბრალო ხალ-

ხის წარმომადგენლებმა: იობიძემ, სხირტლაძემ, ისაკაძემ, კირვალიძემ და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად აკაკი წერეთელი ვნახე 1907 წელს, ვ. გუნიამ ჟურნალ „ნიშადურის“ რედაქციაში, სადაც რედაქციის მდივნის მოვალეობას ვასრულებდი. ვ. გუნიამ ჩემი თავი აკაკის გააცნო:

— ეს ახალგაზრდა პოეტია, თქვენი მიმდევარი, მაგრამ ჯერ დედის რძე არ შეშრობია პირზე და სულ ქალებზე წერს.

აკაკიმ ჩაიღიმილა, ხელი დამკრა მხარზე და ოდნავი იუმორით მითხრა:

— რედაქტორს, შვილო, ყურს ნუ უგდებ, სწერე, რაც გულში გაქვს. ახალგაზრდა ხარ და გეპატიება. განა სიყვარულზე წერა საძრახისია, თუკი იგი კეთილშობილი და წმინდაა. მე ცხოვრებაში იმდენი ავი შემხვედრია, — განაგრძო აკაკიმ, — რომ ბავშვებისა და სამშობლოს სიყვარული რომ არა მქონოდა, თავს მოვიკლავდიო, — და ამასთან ერთად ლექსიც შთამაგონა:

ვინ არა სწერს ჩვენში ლექსებს,
ვის არ უნდა მელექსობა,
მაგრამ ლექსი რა ლექსია —
თუ რომ გულს არ დაესობა?!

ბოლოს კვლავ დარიგებით დაუმატა: ყველაფერზე სწერე, მხოლოდ გულიანად და პატიოსნადო.

აკაკის ამის შემდეგ ყოველთვის ვხვდებოდი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში, რომლის თანამშრომელი იყო ჩემთვის მარად დაუვიწყარი შიო მღვიმელი. აკაკი ქუჩაშიც ბევრჯერ დამინახავს მარტო მიმავალი, ხელში ყავარჯნით, თავაღმართული. ამ დროს აკაკი ღმერთკაცს ჰგავდა. ხალხი გუნდად მიჰყვებოდა ხოლმე. მეც იმ ხალხის გუნდში ვერიე. თუმცა პირადად ვიცნობდი, მაგრამ მასთან შინაურულად გამოლაპარაკებას როგორ გავბედავდი — ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდი, რომ წინ არ გამესწრო.

როცა აკაკის საიუბილეო კომიტეტის დავალებით ჩვენ მოგვიხდა პოეტის ნაწერების ერთი წიგნის რედაქტორობა (ტ. III, პოემები), გადავათვალიერეთ აკაკი წერეთლის თით-

ქმის ყველა ავტოგრაფი, რომელიც კი დაცულია ჩვენს მუზეუმებსა და არქივებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუშაობის დროს წავაწყდით ერთ ფურცელს, სადაც **აკაკის ხელით** გადაწერილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, თვით აკაკის და ი. გრიშაშვილის ლექსები.

ოთხივე ლექსი სასიყვარულო ხასიათისაა: „სიყვარულო ძალსა შენსა“ (ალ. ჭავჭავაძე), „საყურე“ (ნ. ბარათაშვილი), „თვალად, ტანად“ (აკაკი) და ჩემი ლექსი „შენ ხარ ღვთაება“ (იხ. ი. გრიშაშვილის პირველი ტომი, 1914 წ., გვ. 32).

რადგან აკაკის მიერ ამ ლექსების გადაწერა ჩემს ერთ ლიტერატურულ საღამოსთან არის დაკავშირებული, ნებას ვაძლევ ჩემს თავს, აღნიშნული ლექსების აქ მოთავსებულ ფოტოპირს პატარა კომენტარი გავუკეთო. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ აკაკი ჩემს მიერ გამართულ საღამოებში ხშირად იღებდა მონაწილეობას; მაგრამ უფრო დამახსოვდა ორი საღამო: ერთი გაიმართა ქუთაისში 1912 წ. 11 მარტს, და მეორე — თბილისში 1914 წ. 23 აპრილს. ჩემი მოგონების ეს ერთი ფოთოლი აკაკის ამ უკანასკნელ გამოსვლას ეხება.

ეს საღამო გავმართე ქართულ (აწ გრიბოედოვის სახელობის) თეატრში 1914 წლის 23 აპრილს (ძველი სტილით). აკაკი დაუზარებლად დამთანხმდა: „მოვალ და პატარა სიტყვასაც ვიტყვიო“... აქ დაწვრილებით აღარ მოვყვები ჩვენს შესიტყვებას, ჩვენს პოეტურ მასლაათს (დაე, ეს „ჩემს თავგადასავალში“ იქნეს აღწერილი), ვიტყვი კი, რომ მხცოვანმა პოეტმა პირობა შეასრულა და სცენიდან, მართლაც, პატარა და აზიზი სიტყვა წარმოთქვა საღამოს გამმართველზე.

იგი შეეხო სიყვარულის საკითხს, წაიკითხა ადგილები „ვეფხისტყაოსნი“-დან. შემდეგ გადავიდა ახალ პოეზიაზე და სანიმუშოდ, პარალელისთვის, სამი ავტორის ლექსი მოიყვანა:

— „მე წაგიკითხავთ სამ ლექსს, — მიმართა აკაკიმ დამსწრე საზოგადოებას, — სადაც გამოხატულია ულამაზესი, იდეალური სიყვარული“...

პირველად წარმოთქვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი, მეორედ ნ. ბარათაშვილისა, მერე თავისი...

— „ეხლა კი წაგიკითხავთ გრიშაშვილის ლექსს“, — წარ-

მოთქვა დასასრულს აკაკიმ. ჩემი გვარის გაგონება და ტაში ელდენის დარბენა ერთი იყო. დავუყურადე, შეეშალა, შედგა, კულისებიდან ვუსუფლიორე. გაიღიმა. „გმადლობო“ და განაგრძო...

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. აკაკი ჩემს საღამოს დაესწრო, აკაკიმ ჩემი ლექსი წარმოთქვა, აკაკის ჩემი ლექსი შეეშალა. მეტი რა უნდოდა ახალგაზრდა მგოსანს? (ღმერთმანი, ახალგაზრდა ვიყავი!) იმ საღამოს ერთი-ორად გავიზარდე, თითქოს სიმაღლეც მომემატა.

აკაკის სცენაზე გამოჩენა და ტაშის ტყვია — ერთი იყო. მაგრამ, როცა ლექსებს ამბობდა, პარტერში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, რომ, როგორც იტყვიან, ბუზის გაფრენასაც გაიგონებდა ადამიანი. ეს ჩემი საღამოც მის ჩვეულებრივ ტრიუმფად გადაიქცა. აი, რას წერდა ერთი რეცენზენტი (ხალხოსანი შიო დავითაშვილი) ამ საღამოს შესახებ (მოგვყავს ის ადგილი, რომელიც აკაკის გამოსვლას ეხება): «...В литературном отделении поэт Акакий Церетели продекламировал несколько стихотворений о любви, сопоставил их со стихами Гришашвили, которые выделялись своей простотой и изяществом» («Кавказ», 1914 г., № 93).

მახსოვს, ის ოთხი ლექსი აკაკიმ ზეპირად წარმოთქვა. ალაგ-ალაგ ავიწყდებოდა, პარტერიდან მსახიობი კოწო ანღრონიკაშვილი აწვდიდა სიტყვებს... მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ლექსების გადაწერაზე მას მაინც უმუშავია და ეს სამურეხო მასალა თავის ქაღალდებში შემოუნახავს კიდეც (ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში № 1494 — ფურც. 9, ავტოგრაფი 28. ამ ავტოგრაფის (ოთხი ლექსის) ფოტოპირი დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ „აკაკის საიუბილეო კრებულში“, 1940 წ., გვ. 400).

ერთი წლის შემდეგ პოეტი გარდაიცვალა. დამკრძალავმა კომიტეტმა ოთხი ახალგაზრდა პოეტი გაგზავნა საჩხერეში კუბოს გამოსასვენებლად: ს. აბაშელი, ა. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი. ჩვენი სახელით პოეტმა აბაშელმა მშვენიერი ლექსი წაუკითხა განსვენებულს.

მე იქ ვერაფერი ვთქვი. გული... გული შემეკუმშა და მდუმარედ დავყურებდი სიმშვიდის შარავანდედით მოსილ ძვირ-

ფას ცხედარს. და როდესაც მისი ნეშტი გამოვაცილეთ, თით-ქოს გული მრჩებოდა იქ, სადაც მისი უკანასკნელი წუთები დაიფერფლა.

ახლა, როცა ამ ამბავს 25 წელიწადი ფარავს, მე თვალწინ მიდგას ქართული თეატრის ძველი შენობა, ჩემი საღამო, სცენაზე აკაკის ჭაღარა თავი, მისი მჟღერავი ხმა და იმისი სასიყვარულო სიტყვა, რომელმაც მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტს, ხელი გადამისვა, გამანებივრა, წამახალისა.

არა! საჩხერეში გული არ დამიტოვებია, მე იგი თან წამოვიღე, რომ დიდი პოეტის სიყვარული ყოველთვის თან მიტარებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი წარმოდგენით

1.

აკაკი!

ეს დიდებული პოეტი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსათვის დიდი სულის მოთქმაა, დიდი მაჯისცემა.

მზის ჭიატი ღრუბლიან ცაზე.

ვარდის სურნელება შალტამით წაღებულ უდაბურებაში.

2.

აკაკი სიყმაწვილიდანვე ჩადგა საქართველოში გასული საუკუნის მესამოცე წლების მოწინავეთა რაზმში და იარაღად მოიმარჯვა სიტყვა, კალამი, მოქმედება.

კალმით მან მხატვრული სიტყვის ყველა დარგში საუცხოოდ დაიმღერა.

ეს იყო ლექსი თუ პროზა, დრამატურგია თუ სატირა, იუმორისტიკა თუ პუბლიცისტიკა მის ხელში მაღალხარისხოვან ნაწარმოებად გამოდიოდა და ყველგან იყო ალმაფრენით ალსავსე, ნათელი, ფხიანი და ხალისიანი.

მისი მსოფლმხედველობა იყო ფართო, რადგანაც თავის „სახატედ“ მას „მთელი ქვეყანა“ (მსოფლიო) მიაჩნდა. ის აღფრთოვანებული იყო იმ ოცნებით, რომ სხვადასხვა ხალხი გაერთიანდება და გაიმარჯვებს. ის მუდამ მოელოდა, სწამდა, რომ ქვეყნად დამყარდება ხალხთა სოლიდარობა და თავისუფლება, სადაც „ყველა თანასწორი“ იქნება, სადაც მოსპობილი იქნება „ფარისევლის ანგარიში“, სადაც „სიღარიბე ბოროტად“ აღარ იქნება მიჩნეული.

აკაკის იდეალად მიაჩნდა საზოგადოებრივი „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი აკაკი მაინც თავის ლირიკაშია.

აქ იგი სულ თავის „მრავალ-ჭირნახულ“ სამშობლოს დასტრიალებს თავზე. ის არის მისი „სატრფო“.

ამ სატრფოსთან კი პოეტი ხან ისეთი ნაზი და ნარნარია, როგორც „მუხის ძირას ამოსული, დარცხვენილი ია“, ხან ისეთი ცქრიალა და მოწანწკარე, როგორც მისი მშობელი მხარის მთების მოჩუხჩუხე წყაროები, ხან მრისხანე და მღელვარე, როგორც აქაფებული მდინარეები და აბორგებული ზღვის ტალღები, ხან დამშვიდებული და კრიალა, როგორც მისი ქვეყნის ციაგი, „ფირუზი ცა“, მომხიბვლელი და მხედველობის დამატკბობელი, როგორც ამავე მხარის მოქარგული მინდორ-ველები, „ხმელეთ — ზურმუხტი“ და ზვიადი მთები.

პოეტის სიმღერაში კი გამოისმის თვით ქართველი ხალხის ხასიათი თავისი ტემპერამენტით, გამძლეობით, შეუდრეკელობით და ხალისით. ეს თვით ქართველი ხალხის სიმღერაა, ეს ხალხის სულის მოთქმაა, რადგანაც აკაკი ხალხის სულში იჭრება და თავისი უკვდავი ჰანგი და კილო თვით ამ ხალხის სულის სიღრმიდან, როგორც უშრეტ წყაროდან, გამოაქვს და კვლავ უბრუნებს ხალხს, რომელიც იქვე მღერის მის ლექსებს თავისი გაჭირვებისა და დალხინების დროს.

აკაკი თითქოს მაჯისცემაა ამ ხალხისა, იგი დიდი გამახვილებით გრძნობს ხალხის კოლექტიურ გულს.

ამიტომაც არის აკაკი უდიდესი, პოპულარული ქართველ ხალხში.

3.

გასული საუკუნის მესამოცე წლებში იყო ეს ამბავი.

მაშინ გამოჩნდა საქართველოს ჰორიზონტზე ორი ბუმბერაზი: აკაკი და ილია.

და თუ ჭავჭავაძემ მძლავრის შეძახილით გამოალვიძა სამშობლო მხარე, აკაკიმ ამ გამოღვიძებულს სული მოათქმევინა.

ხალხს ყრუდ აწუხებდა თავისი „ხვედრი“, ვერ გამოეთქვა კი.

აკაკიმ გამოსთქვა.

და რუსთაველმაც ხომ ბრძანა: „დიდი ლხენია ერთა-თქმა“-ო.

აკაკიმ ეს შესძლო. „გრძელი სიტყვა მოკლედ“ იხმარა და თუ, ერთი მხრით, „ჟამთა სიავის“ გამო ისედაც პატარა საქართველო კიდევ უფრო დაწიწკნული იყო „ქართლ-კახეთ-თუშ--ფშავ-ხევსურეთად“, „გურია-სამეგრელო-აჭარა-ქობულეთად“, აკაკიმ პირველმა აცნობა ქართველ ხალხს, რომ „ჩვენ სიმები ვართ“ ერთი ჩონგურისა (სამშობლოსი) და „ერთიც რომ გაწყდეს ჩვენგანი, მაშინვე უნდა შველაო“.

მან სულიერად გააერთიანა მშობელი მხარე.

მისცა რწმენა.

მეორე მხრივ კი მანვე გააგებინა ხალხს, რომ მშობელი მხარის ამ შინაურ დაწიწილაკებას დიდად უწყობდა ხელს რომანოვების თვითმპყრობელური პოლიტიკა, და აქაც ჩაუნერგა ხალხს რწმენა, რომ ამ ხალხს შეუძლია თვით ღმერთებს შეებრძოლოს, რომ დაიხსნას კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი — პრომეთე.

ეს იყო გამოწვევა თვითმპყრობელობასთან შებრძოლებისა.

ასეთი რწმენის მოპოვება კი უდრიდა ღრუბლიან ცაზე მზის ჭიატსა.

4.

აკაკის ლექსი მსუბუქია და ფრთა-მალი, როგორც მერცხლის ფრენა, გამამხნევებელი და ზე-ამყვანი, როგორც ტოროლას გალობა, „ტკბილი და საამური“, როგორც ბგერა მწყემსის სალამურისა უბიწო ჰაერში მთის კალთებზე.

იგი ხშირად ტკბილად უსტვენს სალამურივით, ზოგჯერ მოთქვამს და კვნესის, მაგრამ იმავ დროს ამხნევებს და იწვევს საბრძოლველად, როგორც საყვირი. თვითონ თქვა ერთხელ: „გარემოების საყვირი“ ვარო. აკაკი ატკბობს, მაგრამ არ ამშვიდებს, ხიბლავს, მაგრამ არ აბრუებს...

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე წერს აკაკიზე: «Он будоражит, будит, ставит на ноги даже паралитиков, оставляя не только мыслью сво-

ею, но и самой формою ея впряжения уже навсегда изгладимое впечатление».

ეროვნული ბიბლიოთეკა

«...В грузинской литературе (იგულისხმება მეცხრამეტე საუკუნე) ни с чем не сравнить его стихотворение, лишь в истории русской литературы можно найти что-либо подобное, именно впечатление первых шагов молодой музы Пушкина...»

«...Он... могущественно приблизил язык литературы к народному, придав ему неимоверную гибкость и грацию, выразительность и колоритность...»

და მართლაც, აკაკისთანა გასაგები მწერალი, ხალხოსანი ქართველებს თითქმის არ მოეპოვებათ.

ცნობილია ის ფაქტი, რომ აკაკი დიდი სიყვარულით ეპყრობოდა ქართულ ფოლკლორს. კარგად ჰქონდა მისი ფასი და მნიშვნელობა შეგნებული და აკი საქართველოში მთელი მოძრაობა დაბადა მის შესაგროვებლად და ხალხური საგანძურის ფონდის შესაქმნელად.

თვითონ ხომ ძალიან ხშირად მიმართავდა ხალხურ თქმებს. ზოგჯერ პირდაპირ ხალხური ფრაზით იწყებს თავის მოხდენილ ლექსებს.

აქედანაა სისადავე მისი ლექსებისა.

უმრავლეს მათგანში სრულიად ჩვეულებრივი სიტყვებია ნახმარი, მაგრამ, რასაკვირველია, ასე ყველა ვერ იტყვის.

სისადავეს კი, მოგეხსენებათ, დიდი ხელოვნება სჭირდება.

ასეთმა მისმა ხელოვნებამ დააფრქვია ვ ა რ დ თ ა ს უ რ ნ ე ლ ე ბ ა შ ა ლ ტ ა მ ი თ წ ა ღ ე ბ უ ლ უ დ ა ბ უ რ ე ბ ა შ ი.

5.

აკაკი, რასაკვირველია, „ციდან“ არ არის ჩამოვარდნილი საქართველოს სინამდვილეში.

თავისთავს თვითონაც არ აკუთვნებს „ცას“. მას არ უნდა, რომ „პარნასელი“ იყოს და თავის ხელოვნებაზე თითქოს მეტად მდარე წარმოდგენისაა:

„საზოგადოდ მე ხელოვნებას ყურადღებას არ ვაქცევდი, და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგანი დღიურ ავ-კარგიანობის საბრძოლველ-სამსახურად; ოფ-
რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძ ა ლ ა უ ნ ე ბ უ-
რ ა დ დ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ (კურსივი ჩემია. — შ. დ.) მომხ-
დარა, თორემ ისე ჩემს დღეში არა მქონია ფიქრად, რომ მო-
მავლისათვის ვწერო"...

როგორც ხედავთ, ეს შეხედულება რუსეთის მესამოცე
წლების შეხედულებებიდან გამომდინარეობს.

რომ ხელოვნება ხალხის სასარგებლო, ხალხისათვის გა-
მოსადეგი უნდა იყოს.

აკაკი ხომ საქართველოს სხვა ბევრ მოწინავე ახალგაზრ-
დასთან ერთად რუსეთის უმაღლეს სწავლას ეწაფებოდა და
იმ დროის დიდი მოაზროვნის ჩერნიშევსკის იდეებით ისიც იყო
გამსუყებული. შეხედულებანი დობროლუბოვისა და თვით პი-
სარევისაც საკუთარი აზროვნების საგნად ჰქონდა ქცეუ-
ლი.

არა, აკაკი „ციდან" არ ჩამოვარდნილა. იგი რუსეთის მესა-
მოცე წლების მსოფლმხედველობის მარაგით დაუბრუნდა თა-
ვის ქვეყანას და თითქმის მაშინვე ასე ჩამოჰკრა თავის „ჩან-
გურს":

მისთვის მომცა ღმერთმა ენა —
სიმართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო,
თუნდა ქვითაც დავიკირო;
მოძმის ვიყო შემწე ჭირში,
ვახარო და გავიხარო;
რაც კი ვნახო მასში ცუდი,
გამოვსთქვა და არ დავფარო.

და მართლაც, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მოღ-
ვაწეობა ამ „ცუდის" მხილებასა და „ჩაგრული მოძმის" მოხ-
მარებას მოანდომა.

ვინ იყო ეს ჩაგრული მოძმე? მას ამ ქვეყნად დახვდა
დამონებული სამშობლო და მშრომელი ხალხის ბორკილე-
ბი.

ეს გაუჩნდა საზრუნავად. ამ საკითხების გარკვევას, გაშ-
ლას და პოპულარობას მოანდომა მთელი თავისი დიადი, პო-
ეტური ნიჭი.

ამიტომაც ის თითქოს ერთხაზოვანია, მაგრამ ამან მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ შეუშალა ხელი, რომ ყოფილიყო მრავალფეროვანი, სულ-რათოვანი, მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი და დიდი პოეტი.

ის, რასაც იგი ეძახის „ძალაუნებურად და შემთხვევით" თუ რამე ხელოვნური გამომსვლიაო, აი, სწორედ ეგ არის, რომ ამჟღავნებს უწინარეს ყოვლისა მის პოეტურ ბუნებას.

იგი ამისათვის თითქოს ბოდიშსაც კი იხდის: „ძალაუნებურადაო".

მაგრამ პოეტი აკაკი თავისთავს ვერ გაექცა. ის მაინც დარჩა საქართველოს პოეზიის უდიდეს წარმომადგენლად.

და მით უკეთესი ჩვენთვის. თავისი პოეტური ნიჭით იგი უფრო მეტი სიძლიერით ემსახურა ხალხს.

6.

მოკლე მოხაზვით ასეთი იყო ეს ბუმბერაზი მწერალი.

ცხოვრებაში კი იყო შესანიშნავი პიროვნება, უებრო ორატორი და მეტად გონებამახვილი ადამიანი.

დღესაც საქართველოში ხშირად გაიგონებთ მისგან ნათქვამ მოსწრებულ სიტყვებს, თაობიდან თაობაზე რომ გადადის, რომელთაც უფრო ხშირად მწვავე, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

მისი საუცხოო გარეგნობა, თავაზიანი, თავმდაბლური საქციელი და მიმზიდველი ღიმილით შეზავებული ტკბილსასმინარი საუბარი ხომ მეტად ხიბლავდა ყველა მის მცნობს.

და ეს გარემოებაც მეტად პოპულარულ და საყვარელ კაცად ხდიდა მას საზოგადოებაში.

სადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორ უცხო შეკრებილებაში, მიუხედავად თავისი მორიდებული ხასიათისა, უსათუოდ შესამჩნევი ხდებოდა და მთელი ყურადღება მასზე რჩებოდა.

მზე უხვად ჩასჩახჩახებდა ამ კაცს.

მან დიდი ხანია უკვდავი ძეგლი აიგო ქართველი ხალხის გულში, მაგრამ ის დღეს, სრულიად მართებულად, მარტო ქართველებს არ ეკუთვნის.

იგი დღეს ამაყად და ყელმოღერებით იკავებს თავის ადგილს საკაცობრიო ლიტერატურის დიდ პანოეონში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

როდესაც ასე მარტო სახელით ვიხსენიებთ ამ დიდებულ პოეტს, ეს კადნიერება კი არ არის, ან უხეში მოურიდებლობა, არამედ ეს ჩვენი სიყვარულია, ხალხში განმტკიცებული.

სიცოცხლეში ამ სახელით ვიცნობდით და მისი გვარი ჩვენთვის სავალდებულო არ იყო. ახლაც ასეა.

აკაკი! ეს სხვა შარავანდედ-მოსილი სახელია ქართველთათვის.

ამ სახელის გახსენებაზე ჩვენი მახსოვრობა მხოლოდ ამ დიდ პოეტს მიადგება. ესეც კია: თვით სახელი „აკაკი" მხოლოდ აკაკის შემდეგ მოედო ქვეყანის, აკაკისობას კი მეტად იშვიათი სახელი იყო.

თვითონაც ასე აწერდა თავის ნაწერებს თავიდანვე, გარდა ზოგიერთი პირვანდელი ლექსისა, ამ სახელით გაგვიშინაურდა.

ამიტომ, მე მგონი, მის ხსენებაზე ჩვენ ვალდებულნიც კი ვართ, მხოლოდ სახელით მოვიხსენიოთ ეს ბუმბერაზი.

ეს ხომ მარტო მისი სახელი არ არის, ეს ხომ, თუ შეიძლება ესე ვთქვათ, მისი მარკაა, მისი ფირმა.

და ამიტომ ასეც უნდა დარჩეს საქართველოსათვის... და აკი დარჩა კიდეც.

მეც ყოველ მის გახსენებაზე ასე ვამბობ და ასევე ვწერ... აკაკი! მხოლოდ გახსენებაც არის და გახსენებაც.

ქუთაისში, ქალაქის ბაღში, ოდესღაც „ბულვარად" და იმერული მახვილობით „გულვარდად" წოდებულში, დგას აკაკის ძეგლი.

კარგად მოფიქრებული.

კვარცხლბეკზე დგას სავარძელი და შიგ ზის კარგა იმპოზანტური ნაკვეთი ვინმე ხანდაზმული ადამიანისა.

პოზა და მთელი აღნაგობაც თითქო შეეფერება აკაკის სიდარბაისლეს, მხოლოდ... ეს — მომატეოს მოქანდაკემ — აკაკი არ არის.

ასეთი ფიგურის შეიძლება იყოს ვინმე უცხოელი ბანკირიც, ვინმე მინისტრიც და სხვა, მხოლოდ არა აკაკი თავისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტური მგზნებარებით, თავისი უებრო ღიმილით, რაც-მისი შეუდარებელი მახვილობის ერთგვარი გამომჩენია.

ასე მეშინია მეც ამ გახსენების დროს.

რადგანაც აკაკის ხსოვნისა მხოლოდ ნაფინჩხრები მაქვს შემორჩენილი და მთელი მისი ახოვანება, ის, რითაც ძლიერი იყო, რითაც მომხიბლავი იყო ცხოვრებაშიაც, სამწუხაროდ, ჩემი ხსოვნის საგანძურს განრიდებული აქვს. მაგრამ რაკი დიდბუნებოვანი ადამიანის „ცხვირის დაცემინებაც" უნდა იყოს დაუვიწყარი, მოვიგონებ ზოგიერთ ეპიზოდს მისი ცხოვრებიდან.

* *

აკაკი ჩემი ბავშვობის დროს მყავს გაცნობილი. ჩვენი ოჯახი მაშინ თბილისში ცხოვრობდა და მამასთან ხშირად შემოდიოდა აკაკი. როგორც შემდეგ გავიგე, მაშინ არჩევდნენ „ვეფხისტყაოსანს". განსაკუთრებული კომისია იყო მწერალთა და მკვლევართა მიერ შემდგარი. ცდილობდნენ ტექსტის დადგენას. მამაჩემიც, ნიკო დადიანი, როგორც ქართულის კარგი მცოდნე და მწერალი, აგრეთვე ღებულობდა ამ კომისიაში მონაწილეობას. ეს გარემოება უახლოვებდა მამას აკაკის.

მახსოვს აკაკის ჭაღარა მხოლოდ იქა-აქ მორეოდა მაშინ და უფრო წვერებში. თვალებიც მაშინ სრულიად ჯანსაღი ჰქონდა და პირდაპირ, ცოცხლად გამოიყურებოდა.

მომხიბვლელი მოსაუბრე იყო და მომჯადოებელი ღიმილის პატრონი. მისი გაცინება მართლა რომ სიხარულს ჰფენდა ირგვლივ.

ბავშვები ძალიან უყვარდა და მახსოვს, როგორ მართობდა. პირადად მისგან ვისწავლე ერთი მისი პატარა ზმა კურდღელზე:

ჯამბაკურ დღე ლილას იღებს,
ღამ-ღამობით ღებავს შალსო.

ასე რომ, აკაკისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე მომდევს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მეც პატარაობისას აკაკის მეგობრად მიმაჩნდა თავი.

ცხადია, ასეთი პაწია მეგობრები მას ჩვენი ქვეყნის ყველა

კუთხეში ჰყავდა მონადირებული და მეც მათ შორის ვამაყობ-
დი ამ დიდი კაცის ასეთი დაახლოებით.

ერთ დროს, ეს უკვე ქუთაისში, აკაკი ეწვია მამას. მაშინ
თავის პიესა „მედიას“ წერდა. მამასთან ერთად ამოწმებდა ზო-
გი ძველი სიტყვის მნიშვნელობას და მედიას ამბების უფრო
ქართულ ვარიანტებს.

მე მაშინ წამოჩიტული ვიყავი და კარგად მახსოვს ზოგი
რამ. მაგალითად თვით სახელი „მედეია“-სი.

აკაკიც და მამაც იმ აზრისანი იყვნენ, რომ „მედეია“ ქარ-
თულიდან არის გაბერძნულებული და ქართულად კი გამოითქ-
მის „მედია“-დ. „დია“ მეგრულად ქართულ „ქა“-ს უდრის,
ე. ი. „ქალოს“. თან შეკვირვების დროს ხმარობენ.

აგრეთვე ქალაქის სახელწოდება „აე“ და მეფის სახელი
„ოეტეს“ თუ „აეტეს“. ქართულად „იათა“ ქალაქი ყოფილა,
„ოეტესიც“, ახლა იშვიათად, მაგრამ მაინც ხმარობენ „ოტია“,
ამ „იათადან“ არის თურმე წარმომდგარი.

ასე რომ, აკაკიმ შემდეგში ეგრეც იხმარა თავის პიესა „მე-
დია“-ში. მხოლოდ აქ საყურადღებო კიდევ ის არის, რომ პირ-
ველად პიესა მამას რომ წაუკითხა, პროზად იყო დაწერილი
და შემდეგ კი, როგორც მოგეხსენებათ, მთელი ტექსტი პიესისა
ლექსად არის წარმოდგენილი.

მაშასადამე, აკაკის ასეთი მანერა ჰქონდა მოცულობით დიდ
ნაწარმოებთა წერის დროს: ჯერ პროზად დაამუშავებდა, შემ-
დეგ გალექსავდა.

ამ ჩემს აზრს ამტკიცებს აკაკის სრულ თხზულებათა ერთ-
ერთ ტომში მოთავსებულ პროზაული ვარიანტი „პატარა კა-
ხი“-სა.

ამგვარად, ბავშვობიდანვე აკაკიმ ძალიან შემაჩვია თავის
თავს.

შემდეგში, როდესაც მე უკვე სცენაზე გამოვედი და გაზეთ-
შიაც ორიოდე რაღაც მოთხრობა დაბეჭდე, ყოველი შეხვედრი-
სას არ მაკლდა მისი თანაზიარობა და გამხნევება.

მხოლოდ ერთხელ კი ძალზე დამტუქსა:

ქუთაისში ვარ, ახლად ცოლშერთული და უფრო ხშირად
ჩოხა-ახალუხს ვატარებ. შუადღეა. ზაფხული. თეატრში წარ-
მოდგენები არ არის და მეც გამოვდივარ ბულვარში. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც გიორგი წერეთელმა თავის „ედიშერ ქელბიანურ“ „რომის ფორუმი“ უწოდა.

რომის ფორუმისა რა მოგახსენოთ და თავის დროზე ეს ბულვარი, მართლაც, იყო შესაკრებელი მთელი ქუთაისის მოწინავე საზოგადოებისა.

კოხტად „გამოკანკლულ“ ახალგაზრდა ქალ-ვაჟების გარდა, რომლებიც, ცხადია, უფრო საამიკოდ და სალაღობოდ იკრიბებოდნენ, აქ იყრიდა თავს ქუთაისის მაშინდელი ინტელიგენცია, რომელსაც ჰქონდა მსჯელობა პოლიტიკურ საკითხებზე, ადგილობრივ „ხაჭირ-ბოროტო“ საგნებზე, ქალაქის თვითმმართველობის საქმეებზე, საადგილმამულო ბანკის ვითარებაზე, ქუთაისში გაზეთის გამოცემაზე, თუ სხვა ამგვარზე; იქ მოისმენდით თქვენ ჩვენს მწერლობაშიც კარგად ცნობილ, ერთ-ერთი თერგდალეულთაგანის, კირილე ლორთქიფანიძის დამჯდარ, ჭკვიანური და შეუვალი ლოგიკით სავსე საუბარს, ცნობილი ადვოკატის მოსე ქიქოძის „გაძყვან კამათს“, კოტე მესხის სხარტულ გამოთქმებს და სხვა.

აქვე იყვნენ საზაფხულოდ ჩამოსული სტუდენტები, რომელთაც შემოჰქონდათ დინჯ საუბარში თავიანთი მღელვარე, პროტესტის ჰანგები. ქალაქის ბაღი პოლოს გადაიქცა რევოლუციონერთა ერთგვარ ლეგალურ თავმოსაყრელად, სადაც, ჩემსობას, ცნობილი მიხა ცხაკაია თავისებური დინამიტური საჭურვლით აიარაღებდა მის მომყოლ ჯგუფებს.

ქუთაისის ბულვარი იზიდავდა სულ სხვადასხვა აღზრდისა, მსოფლმხედველობისა და მდგომარეობის ხალხს.

მეც ამ „მიზიდულებში“ ვერიე.

მოვდივარ „ჩერქესკიანი“ და იარაღში ჩამჯდარი, ლეკური, ხანჯალი, ზედ მარტყია. ახალგაზრდა ვარ და უთუოდ ნაბიჯიც მტკიცე მაქვს და შესახედაობაც „დამოუკიდებელი“.

დავინახე აკაკი ჩემს პირდაპირ, ?არტო მობრძანდება.

მივეგებე. ღიმილით ხელი ჩამომართვა. ამხედ-დამხედა. ჩაიქირქილა:

— როგორ ცოტნე დადიანივით გამოწყობილხარ?!

ვიგრძენ საყვედურის კილო და ცოტა შევწითლდი.

მან უფრო მტკიცედ განაგრძო:

— სულ მიატოვე საზოგადოებრივი საქმიანობა? თეატრი? მწერლობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმა რეჩხი მიყო.

„ვაიმე! აკაკიც ტანისამოსს აქცევს ყურადღებას... ღმერთი, რჯული, შეძლებისდაგვარად, არც ერთი არ მიმიტოვებია, მაგრამ ჩემმა ჩოხა-ახალუხმა, ლეკურ-ხანჯალმა მიყო ეს „საჯაყი საქმე“, რომ აკაკის აღარ მოვეწონე“.

ეს მისთვის არ მითქვამს. თავი ვიმართლე, რომ არც ერთი არ მიმიტოვებია-მეთქი, მაგრამ, არ ვიცი, დარწმუნდა?!

მახსოვს, თითქმის მთელი დღე მოწამლული მქონდა, ვიცოდი, რომ „ჩერქესკიანობა“ ეს თავადაზნაურული მუქთახორობის, ლოთობის და სკანდალისტობის სინონიმი იყო უმრავლესობის თვალში, მაგრამ უმრავლესობა ხომ სხვა იყო და აკაკი სხვა. რად უყურებდა ისიც ჩოხოსანს ისეთი „ავი თვალით“. განა ტანისამოსს ასეთი მნიშვნელობა აქვს?! შინაარსი უნდა იყოს საქმე და არა გარეგნობა. ასე ვფიქრობდი მაშინ, რატომ აკაკიმ ვერ გამიგო-მეთქი და ეწუხდი.

* *

კიდევ ჩემი ამბავი.

ერთხელ მაქვს ნათქვამი და ეხლაც ვიმეორებ, რომ სხვების გახსენებაზე შენს თავს ვერ ასცდები. ზოგჯერ ისე გამოგივა, რომ ვისაც იგონებ, ის სულ მიიჩრდილება და შენ კი გამოგიდის „მე“, „მე!“, „მე აქ ვიყავი“, „მე რომ ეს ვთქვი“, „მე რომ ეს საქმე გავაკეთე“ ან „მე და ის“, ამ „მე“-ს მაინც წინ ვხმარობდი ხოლმე.

ეს, რასაკვირველია, უმართებულოა, მხოლოდ თავის თავის აცდენა ცოტა ძნელია, მაგრამ „მე და ის“ მაინც ვეცდები არა ვთქვა.

განსაკუთრებით ასეთ დიდებულზე, როგორც აკაკია.

ეს ამბავი აგრეთვე ეკუთვნის ჩემს ახალგაზრდობას.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი ახალი დაბრუნებული იყო კატორღიდან. ქუთაისის ინტელიგენციამ მას სადილი გაუმართა, რიონის გადაღმა მხარეს, ცნობილი ქუთათური მოღვაწის კოტე ბაქრაძის სახლში, დიდძალი საზოგადოება იყო შეკრებილი — ქალებიც, კაცებიც. ზაფხულში იყო და ამიტომ სტუდენტობაც ბლომად იყო.

იშვიათად მახსოვს ასეთი მწყაზარი დროს გატარება. გან-

საკუთრებით იმ მხრივ, რომ აქ არ იყო ჩვეულებრივი ფაფარა-
დადებული ღვინის სმა, ყანწები, დაძალება და სხვა. ეს-ეს-ეს-
არულება, სიმღერა, ოხუნჯობა და... კამათი საზოგადოებრივ
საკითხებზე.

ჯერ ერთი, თვით გიორგი ზდანოვიჩის დაბრუნებას ყველა
სიხარულით ეგებებოდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.
სვამდნენ მის სადღეგრძელოებს, მაგრამ ეს არ იყო მარტო მი-
სი სადღეგრძელო, რამდენადაც უფრო იყო პროგრამული სიტყ-
ვები ინტელიგენციის მომავალ მუშაობაზე საქართველოში. ეს
კი გადადიოდა ზოგჯერ ცხარე კამათშიც, რაიც შემდეგ ისევ
ნელდებოდა ხუმრობით, სიცილით, ქალების კეკლუცობით და
იმ დროს საქართველოში პირველი, კონსერვატორია-დასრუ-
ლებულ, ოპერის მომღერალი ქართველი ქალის, მაშო ძნელა-
ძის მოხდენილი სიმღერებით.

აკაკი დიდხანს ჩუმად იყო. ესე იგი „რეჩები" არ წარმო-
უთქვამს. ხანდახან თუ გაიელვებდა მისი ნაკვესები, ღვინოს
ხომ ცნობილია, რომ თითქმის არ სვამდა, უფრო ყურს უგდებ-
და სხვა მოსაუბრეებს, თუ მოკამათეებს. მაგრამ აგერ ერთმა
სტუდენტმა ხმა აიმაღლა მთელ ქართველ მოღვაწეებზე და
მთავარ აზრად ის გაატარა თავის სიტყვაში, რომ მათი გაკე-
თებული, საზოგადო სარბიელზე და მწერლობაშიც, არცთუ
ისე დიდ ღირებულებას წარმოადგენს, რამდენსაც მათ აწე-
რენო და სხვა ამისთანები. ამაზე, მახსოვს, კოტე ბაქრაძე შე-
ესიტყვა და დაიცვა ძველი თაობა. მათ დამსახურებად ჩაუთვა-
ლა ჟურნალ-გაზეთების, ქართული თეატრის დაარსება, საად-
გილმამულო ბანკის მოგვარება, წერა-კითხვის საზოგადოების
მოქმედება და სხვა.

მაგრამ ამან მოწინააღმდეგენი ვერ დააკმაყოფილა. ყველა-
ფერი ეს უსუსურ წამოწყებად ჩათვალეს და ბანკის მოქმედე-
ბა ხომ პირდაპირ უარყოფით მოვლენად აღიარეს, როგორც
გამლატაკებელი იმავე თავადაზნაურობისა, ვისთვისაც ის იყო
დაარსებული, და გამამდიდრებელი იმ საზოგადოებრივი ფე-
ნისა, რომელიც საქართველოსთვის უცხო ელემენტს წარმო-
ადგენდა.

ეს ჯერ კიდევ ის დრო იყო, როდესაც „მესამე დასი" არ
იყო ჩამოყალიბებული და რევოლუციური, მარქსისტული აზ-
როვნება ესრედ წოდებულ პროტესტანტებსაც ჯერ კიდევ არ
ახლდათ.

ბანკის მავნებლობის დასადასტურებლად მოწინააღმდეგეებმა თვით აკაკის ავტორიტეტი მოიშველიეს, რომ აკაკი ორ-ვიდანვე ნიკო ნიკოლაძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად წინააღმდეგი იყო ბანკის დაარსებისაო.

ამაზე სთხოვეს აკაკის გამოეთქვა თავისი აზრი. დიდხანს უარობდა — სასიამოვნოს ვერას ვიტყვიო, მაგრამ მაინც წარმოთქვა ცხარე სიტყვა.

სამწუხაროდ, მე მთელი სიზუსტით არ შემიძლია ამ შესანიშნავი სიტყვის აღდგენა, იგი აღსავსე იყო აკაკისებური მახვილობით, შემკული იყო არაკებით, კაზმულსიტყვაობით, მფრინავი ფრაზებით, მე მხოლოდ შემიძლია გავიხსენო ის, რომ აკაკიმ ძალიან შორს დაიჭირა ძველი თაობის ამაგის ხელაღებით უარისყოფა, ახსნა და განმარტა, რა პირობებში უხდებოდათ ან წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება, ან ქართული თეატრის მოწყობა და მით უფრო ჟურნალ-გაზეთების წაძღოლა, როდესაც რომელიმე პერიოდული გამოცემის ნებართვის ასაღებად დიდი პროტექცია იყო საჭირო და ისეთი რედაქტორის შერჩევაც, რომელიც მთავრობისათვის სანდო პიროვნებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული; რომ რედაქტორობაზე ერთ დროს ისეთს, თითქოს მთავრობის თვალშიაც კარგად მიჩნეულ ნიკო ღოღობერიძესაც კი უთხრეს უარი და ვინმე ქანანოვსაც, რომელიც მაშინდელი რეჟიმის თვალსაჩინო მოხელეც კი იყოო და სხვ.

ილია ჭავჭავაძესაც ძალიან გაუჭირდა თავისი გაზეთებისა და ჟურნალის რედაქტორობის ნებართვაო. ახლა საცენზურო პირობები, რომლის გამოისობით საგაზეთო სტატიებში სიტყვა „საქართველო“ და „სამშობლო“-ს ხმარებაც კი სახიფათო იყო და ზოგჯერ შეუძლებელიც. აქვე მოიხსენია ილია ჭავჭავაძის ამაგი ბანკის საქმეში დადებითად, რამაც ბევრი იქ დამსწრე გააკვირვა.

იმის შესახებ კი, რომ ის ოდესღაც თითქო წინააღმდეგი იყო ბანკის დაარსებისა, ისა თქვა, რომ ის ამ ტიპის საიპოტეკო ბანკის დაარსების წინააღმდეგი იყო, თორემ პრინციპში ისიც მომხრე იყო იმის — ქართველ საზოგადოებას ჰქონოდა ისეთი საფინანსო დაწესებულება, რომელიც საზოგადოებრივ საჭიროებას გაუძღვებოდა. დღეს კი, განსაკუთრებით ილიას მეოხებით, ამ ბანკის შემწეობით იკვებება ჩვენი სკოლები, თე-

ატრი, თვით გაზეთიც კი და სხვა საქველმოქმედო ქართული დაწესებულება, ეს კი ძალიან დიდი საქმეა ჩვენთვის, რომლებსაც არამც თუ პოლიტიკური ავტონომია არა გვაქვს, არამედ რუსეთში რომ კუდშეკვეცილი ერობა არის, ისიც კი არ გვაღირსა რუს ხელმწიფის ბიუროკრატიამ. ასე რომ, ჩვენი ბანკების ხელაღებით უარყოფა სრულებით უკუაგდო.

შემდეგ მიუბრუნდა ახალთაობას და ეტყობოდა გულისტკივილით განაცხადა: ახლა რას ვხედავთ, თითო-ოროლა თუ გამოდის თქვენთაგანი საზოგადო სარბიელზე, თორემ უმეტესობა მხოლოდ სტუდენტობის დროს გაჰყვირის სამშობლოს სიყვარულზე, საზოგადოებრივ მუშაობაზე და ყურს გვიყრუებს ათასი გეგმებით მომავლისათვის და ბაქიბუქობს, მაგრამ უნივერსიტეტს გაათავებს თუ არა, დიპლომს ხელში იგდებს, ბრუნდება სამშობლოში და თავის საპირადო დუქანს აღებს.

განმარტა: დუქანია ადვოკატის კაბინეტი თუ კანტორა, ან ექიმის მისაღები ოთახი.

ამ დროს, მართლაც, უფრო ამ ორ პროფესიას ეტანებოდა ახალგაზრდობა, სხვა დარგი თითქმის არც აინტერესებდათ. მაგალითად, ქართველი ინჟინერი ჩვენში პირდაპირ სანთლით საძებარი იყო.

— აღებს დუქანს, საზოგადო საქმე კი...

მახსოვს, ასე თქვა:

— ილიასი არ იყოს: „ძმანი ფეხებზე ჰკიდია“.

შევამჩნიე: უმრავლესობაზე ვერ დასტოვა მზიური აკაკის სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება.

შეიქნა გადალაპარაკება: „მოხუცი ბუზღუნებს“, „ეგეც ჩამორჩენილია ცხოვრებას“ და სხვ.

ერთმა ვილაცამ კიდევ ილაპარაკა და დღეინდელი კამათი მამების და შვილების ჩვეულებრივ შეტაკებად მონათლა.

ხოლო აკაკი ამ დროს უკვე ღიმილით ეუბნებოდა მეზობლებს: „აკი ვთქვი სასიამოვნოს ვერას ვიტყვი-მეთქი“.

მაშინ წამოვდექი მე, იმჟამად საზოგადოებისათვის თითქმის სრულიად უცნობი ახალგაზრდა, 19—20 წლისა. თუ ვინმე მიცნობდა, ისიც მხოლოდ მამიჩემის შვილობით; წამოვდექი და სიტყვა გამოვითხოვე.

ყველა სმენად იქცა. უთუოდ უკვირდათ — რას იტყვის ეს ჭაბუკი?

მე დავლიე მომღერალი ქალის მაშო ძნელაძის სადღეგრძელო. ეს ისეთი დისონანსი იყო ამ სერიოზული კამათის შემდეგ, რომ ბევრს დამცინავი ღიმილი შევატყვე სახეზე.

უთუოდ იფიქრეს — აღტყინებულ ჭაბუკს მოსწონებია მოხდენილი ქალი და იმდენი ზრდილობა და თავდაჭერილობაც ვერ მოუხმარია, რომ ჩვენს ყურადღებას ამაზე აჩერებსო.

მაგრამ მე, მაშინდელი ჩემი წარმოდგენით, სულ სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობა მინდიდა მიმეცა ამ სადღეგრძელოსათვის. საქართველოს სპეციალისტები არა ჰყავს, ყველა თითქმის უნივერსალები არიან და ჩვენ კი სპეციალისტები გვჭირდება-მეთქი. ძნელაძის სადღეგრძელოს კი იმიტომ ვსვამ, რომ ეს სპეციალისტია თაკის დარგში და ჩვენ სხვა დარგშიაც გვჭირდება ასეთი განსაკუთრებით მცოდნეები-მეთქი.

ის იყო სიტყვა, ჩემი ფიქრით, დამაჯერებლად დავასრულე და აქა-იქ ტაში და მოწონების ხმაც გავიგონე, რომ აკაკის შევხედე...

თავზარი დამეცა:

სახე მოჭმუხნოდა, მარცხენა თვალი მოეწკურა (მაშინ თვალები არ ჰქონდა დაზიანებული) და საერთოდ სახეზე უკმაყოფილება ჰქონდა აღბეჭდილი.

დიდად დავღონდი.

მაგრამ კრებულის მხიარულება წავიდა თავისი გზით, აკაკიც გამხიარულდა და ბოლოს ერთი თავისი, ახლად დაწერილი ლექსიც კი წაიკითხა, მგონი, „როცა ვიყავ ახალგაზრდა“.

გამიგონია, რომ ამ ლექსმა ერთხელ საყვარელ აკაკის კინაღამ კურიოზული უსიამოვნება მიაყენა.

ერთ-ერთი ავადმყოფობის შემდეგ საჩხერეში დაბრუნებულ აკაკის მისმა მოგვარეებმა სადილი გაუმართეს. სადილს ესწრებოდა პოეტი გრიშა აბაშიძე, საკვირველი ნიჭის პატრონი, მშვენიერი ორატორი და მახვილი ენის კაცი.

აკაკის სთხოვეს, რაიმე წაეკითხა დამსწრეთათვის და მანაც წაიკითხა „როცა ვიყავ ახალგაზრდა“

რალა თქმა უნდა, ლექსმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ როგორც კი მინელდა საზეიმო განწყობილება და ერთგვარი ბუნებრივი სიჩუმე ჩამოვარდა, წამოდგა თურმე გრიშა აბაშიძე და განაცხადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან უიღბლო კაცი ვარ. აი, ეს ლექსი, ახლა ბატონმა აკაკიმ რომ წაიკითხა, ჩემია, მაგრამ ვინ დამიჯერებს, ხოლო დასამტკიცებლად ახლავე ზეპირად წაგიკითხავთ ამ ლექსსო...

და მოჰყვა და მოჰყვა თავიდან ბოლომდე შეუმცდარად, სიტყვასიტყვით „ჩააბულბულა“ ეს საუცხოო ნაწარმოები.

ყველა გაშტერდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ გრიშა პოეტი იყო და ძალიან მარჯვე პოეტიც.

შეიქმნა მეტად უხერხული მდგომარეობა.

ვინც ეს ამბავი მიამბო, იმან მითხრა:

ყველას გვეწყინა: რაში დასჭირდა დიდებულ აკაკის გრიშასათვის ლექსი მოეპარა, განა თვითონ ვერ დასწერდა ამაზე უკეთესად? და ყველანი შეწუხებული ვიყავით. თვითონ აკაკი ხომ მეტისმეტად გაოცებული იყო და იმანაც კი ვერაფერი მოახერხა, რომ ეს მძიმე წუთი როგორმე გაექარწყლებია. მაგრამ თურმე ისევ გრიშამ იხსნა საზოგადოება „შეცბუნებისაგან“. რომ შეატყო ყველას შეწუხება, ისევ თვითონ აიმაღლა ხმა:

— ნუ შეწუხდებით, ბატონო! ეს ჩემი უბედური ნიჭის ბრალია, ასეთი საკვირველი მახსოვრობა მაქვს, აკაკი რომ ამ თავის შედევრს გადმოგვცემდა, მე თითოეულ მის სიტყვას ვიხსომებდი და ის იყო, შემდეგ ზეპირად გადმოგეცით. თორემ ლექსი, რასაკვირველია, აკაკისა არის და მე აქ არაფერ შუაში ვარ.

ატყდა ხარხარი, კისკისი და ყველას გულს მოეშვა.

აკაკიმ კი მოიხმო გრიშა, გადაეხვია და უთხრა:

— უბედური კი არა ბედნიერი ნიჭი გქონია და სხვასთან ეგ აღარ ჩაიდინო, თორემ მე არაფერი და სხვას კი გააუბედურებ!

ამ დროს წამოდგა ბიჭიკო წერეთელი, განთქმული თავისი ხუმრობით და აკაკის მოახსენა:

— ეგ დარიგება მაგაზე არ გააკრის, ბატონო აკაკი, დაუნდობელი აბაშიძეა, შენც კი არ დაგზოგა და სხვას რას უზამსო. აბაშიძეები ხომ მუდამ წერეთლების მტრები იყვნენ. აგერ მე პოემა მაქვს დაწერილი ჩვენს ციხე „მოდინახე“-ზე და... გრიშას ხომ არ წავუკითხავ და არა, მაგრამ მომიტევეთ და არც თქვენ, ბატონო აკაკი, წაგიკითხავდით, რადგანაც პოეტე-

ბი უცნაური ხალხი ხართ, წამართმევთ და გამაუბედურებთო.

ამანაც სიცილი გამოიწვია, მით უფრო, ყველამ იცოდა, ბიჭიკო წერეთელი პოემის დამწერი კაცი არ იყო. წერეთლების სუფრა გაუდგა თავის გზას.

* *

აკაკი რომ თეატრის დიდი მეგობარი და მოამაგე იყო, ეს უკვე ცნობილია.

თვითონაც გამოსულა თურმე სცენაზე ახალგაზრდობისას, როგორც მსახიობი, შემდეგში — როგორც დეკლამატორი და მკითხველი თავისი ლექსებისა.

ის იყო ზოგჯერ რეჟისორიც და ავტორი ხომ კარგა ბლომა პიესებისა.

მხოლოდ მე აქ მინდა ყურადღება მივაქციო აკაკის ორ თვისებას თეატრთან დამოკიდებულებაში: აკაკი, როგორც მეგობარი და გამამხნევებელი ახალგაზრდობისა და აკაკი, როგორც მაყურებელი სპექტაკლისა.

ახალგაზრდობას თეატრში ის მუდამ გულისხმიერად ეპყრობოდა. მაგალითად, რესპ. დამსახ. არტისტი ნიკო გვარაძე „პატარა კახი"-ს როლში მისგან არის გამხნევებული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დალოცვილი. ასევე ბევრი სხვებიც და მათ შორის რესპ. დამსახ. არტისტი არეთა ლოლუა.

იდგმებოდა განსვენებულ დრამატურგ შიუკაშვილის პიესა „სიმახინჯე". პიესის დამდგმელმა რეჟისორმა ვალ. შალიკაშვილმა მთავარი როლი ახალგაზრდა ქალისა პიესაში მიანდო მაშინ სრულიად გამოუცდელ მსახიობს არ. ლოლუას. ყველას უკვირდა, ეშინოდათ ახალგაზრდა მსახიობისა, რეჟისორსაც აფრთხილებდნენ, მაგრამ მან თავისი გაიტანა და, აი, წარმოდგენას აკაკიც დაესწრო.

მეორე დღეს ქართული თეატრის სარეპეტიციო დარბაზში შემოვიდა აკაკი, ახალგაზრდა მსახიობი თავისთან მოიხმო, გვერდით მოისვა და შეაქო: „კარგი იყავი, ჩინებულია, ეგრე დაკვირვებით განაგრძე მუშაობა და მე ვეცდები მოსკოვში სპეციალურ სასწავლებელში დრამატულმა საზოგადოებამ გაგისტუმროსო. მხოლოდ ქებამ არ გაგაბრუოს და კუდი ყავარზე არ გადოო".

ასე იყო სხვებთანაც და ამიტომ იყო, რომ თეატრალური ახალგაზრდობაც მასთან ახლო ყოფნას და მის ისედაც მუხიბვლელ საუბარს ეტანებოდა.

აკაკი, როგორც მაყურებელი, ერთხელაც მაქვს აღნიშნული, მეტად უშუალო იყო და ეულლია.

მე მინახავს, ასე ვთქვათ, აკაკის რანგის მაყურებელი თეატრში. წინათაც და ახლაც, ყველა ესენი ფილოსოფოსებივით სხედან თავიანთ სავარძელში და რაც უნდა სასაცილო ადგილი იყოს პიესაში, ღიმილსაც ვერ შეატყობთ; და თუ რამე დრამატული მომენტია, ამასაც ვერ შეამჩნევთ — იქონია მასზე გავლენა თუ არა. უთუოდ იმიტომ, რომ სირცხვილად მიაჩნიათ დარბაისელმა ადამიანებმა თავიანთი გრძნობები საჯაროდ გამოამჟღავნონ...

აკაკი სულ სხვა იყო, ის ცოტა რამ სასაცილოზედაც სცენაზე გულით ხარხარებდა, სამწუხაროზე — დაღვრემილი იყო, მის ბიბლიურ სახეზე აშკარად იხატებოდა სცენებით გამოწვეული მღელვარება.

მახსოვს, ერთხელ ქუთაისში მის მიერვე დაწერილ ვოდევილზე — „ბუტიაობა" — რა გულით ხარხარებდა. განსაკუთრებით მოეწონა იმერლის როლში ამჟამად ხანდაზმული რესპ. დამსახ. არტისტი ვ. ბალანჩივაძე, მაგრამ ამ ვოდევილის ასრულებისას მოხდა ერთი კურიოზიც. მაშინ მე ვრეჟისორობდი. ვოდევილში ორი წყვილი ცოლ-ქმარია. მე შევუკვეთე, რომ ქმრებიცა და ცოლებიც ერთნაირად ყოფილიყვნენ გამოწყობილნი და ქმრებიც ერთნაირი პარიკებით, ერთნაირი „ბაკებით", მაგრამ უულვაშონი ყოფილიყვნენ, სულ დამავიწყდა, რომ ორივე ქმარს თავთავის ალაგას აქვს ასეთი ფრაზა: „მაშინ შემირცხვეს მე ულვაში" და სხვ. მაკვირს, რომ არც მსახიობებს გაახსენდათ მათი ულვაშების აღბავი და გამოვიდნენ ჩემი მითითებით უულვაშებოდ. მოვიდა დრო და უნდა წარმოთქვან: „მაშინ შემირცხვეს მე ულვაში" წარმოთქვეს მაშინალურად და სახტად კი დარჩნენ, პირზე ულვაში არ ჰქონდათ. დარბაზში საშინელი ხარხარი ატყდა.

რასაკვირველია, სიცილა გამოიწვია არა პიესის ვითარებამ, ან მსახიობთა შესრულებამ, არამედ ჩვენმა დაუკვირვებლობამ და, ვიმეორებ, რეჟისორულმა „ჭკუის ძალის დატანებამ".

აკაკიმაც ბევრი იცინა, თუმცა წარმოდგენის შემდეგ ამო-

ვიდა ჩვენთან და მანუგეშა: „ეგ არაფერია. შეიძლება ვაცს ულვაში არ ჰქონდეს და მაინც თავის ულვაშის შეურცხვენლობაზე ილაპარაკოსო. აი, გიორგი ლოლობერიძეს ხომ იცნობ, ამჟამად ერთი კაცია ჩვენში, რომელიც ულვაშებს იპარსავს, მაგრამ ამას თამამად შეუძლია თავისი ულვაშის შეურცხვენლობაზე ილაპარაკოსო“.

მართლაც, იმ დროს ამ საპატიო პიროვნების გარდა საქართველოში თითქმის არავინ არ იპარსავდა ულვაშებს და ცნობილი იყო, როგორც ყოვლად უმწიკვლო პატიოსნების პატრონი.

აკაკის გულიანი ხარხარი მახსოვს კიდევ ქუთაისში, მისი ბრწყინვალე იუბილეს დროს.

ქუთაისი, ცნობილია, რომ დიდებულად დაუხვდა საყვარელ მოამაგეს. დიდი სიხარული, აღტაცება იქამდე, რომ მისთვის საგანგებოდ მორთულ თეთრცხენებიან, ქუთაისში იმ დროს ცნობილ მეეტლე მელიას ეტლს ახალგაზრდობამ ცხენები გამოხსნა, თვით შეება, და ასე მიიყვანეს თეატრის კარებამდე მხცოვანი იუბილარი.

რასაკვირველია, ზღვა ხალხი დაესწრო ამ ზეიმს, მაგრამ დასწრების ბევრი მსურველი მაინც გარეთ დარჩა.

ამან გვაფიქრებინა მსახიობთა ამხანაგობას, გვეთხოვა აკაკისათვის, ახლა ჩვენთვის, მსახიობებისათვის ეცა პატივი და ნება დაერთო, რომ მეორე საიუბილეო საღამო ჩვენ, მსახიობებს მოგვეწყო.

დაგვთანხმდა. საღამოს მოწყობა არ იყო ძნელი, რადგანაც მთელი მხატვრული პროგრამა მსახიობების მიერ იყო შესრულებული და რაც შეეხება ოფიციალურ ნაწილს — სიტყვებსა და ადრესებს — ესეც ხომ უბრალოდ იყო, რადგან პირველ საღამოზე ბევრი საგულისხმო დაწესებულება და პიროვნება დარჩა გამოუსვლელი. ასე რომ, ეს საღამოც ნაკლებ სხივოსანი არ გამოსულა.

მხოლოდ... თითქმის ყოველთვის, იუბილეების დროს, თითო კომიკური რამ უნდა შემოიჭრას ხოლმე.

აქაც ვერ გადავრჩით.

ქუთაისში იყო ერთი პატივცემული, ხანდაზმული პედაგოგი, სულაქველიძე, აკაკის დიდი მოთაყვასე. ამანაც ითხოვა სიტყვა და როგორც იმ საღამოს გამგებელმა ნება დავრთე, რადგა-

ნაც დარწმუნებული ვიყავი, რომ გამოცდილი პედაგოგი
ბაისლურ სიტყვას იტყოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვიდა: არაფერი, ყოველივე რიგიანად; მისალმება, შექება და ისიც მოკლედ, გაუჭიანურებლად. თითქო დაასრულა კიდეც, მაგრამ აკი ამ დინჯმა კაცმა მოისურვა და უთხრა აკაკის — ახლა შენი „ჰოოპუნა“ უნდა წაგიკითხოო.

აქ მოხდა, რაც მოხდა.

ეს გრძელწვერა ჭაღარა კაცი დატრიალდა სცენაზე: ხან ხტის, ხან ვითომ ნამგალს იქნევს და მკის ყანას.

ისეთი „ტკვარცალი“ დადგა თეატრის დარბაზში, რომ... „სკდებოდა კედლები“.

აკაკი ხომ თავის ყვავილებით მორთულ ლოჟაში, იმერლიბი რომ იტყვიან, „გაფიჩინდა“.

ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავდექ. როგორც ვთქვი, საღამოს ხელმძღვანელი ვიყავ და არ ვიცოდი, როგორ ჩამეხენებინა კალაპოტში საღამოს მსვლელობა.

მაგრამ, როგორც იყო, დაასრულა სულაქველიძემ თავისი „დეკლამაცია“ და მეგონა თუ „მოვრჩით ტანჯვას“, მაგრამ ახლა ატყდა ისეთი ტაშისცემა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო.

მიხვდებით, როგორი ტაშისცემა იქნებოდა, რა ხასიათის. ეს იყო რაღაც ნერვიული ამბავი: სიცილი, კისკისი და ტაში განუწყვეტელი, გახურებული, თითქოს დასასრული არ უჩანდა, ისეთი.

სწორედ ამ დროს ვიღაცა მადლიანი წამოდგა პარტერიდან და მჭექარე ხმით მიმართა აკაკის: „ბატონო აკაკიო“ და მშვენიერი ბარიტონული ტემბრით წაიკითხა ლექსი „გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა“.

ამან მოახდინა სასწაული. გვიშველა, ხალხი „მოასულიერა“.

შემდეგ ყოველივე რიგზე წავიდა. საღამოს დასასრულს ვეახელით აკაკის, სალაროს შემოსავლიდან რამდენიმე ასი მანეთი მივართვით. გაიღიმა, მადლობა გვითხრა და თქვა:

— ჩემი იუბილეებიდან პირველად არის, რომ ნაღდ ფულს ვღებულობ.

თურმე საიუბილეო კომიტეტი თბილისშიც და ქუთაისშიც მას ხელზე ფულს არ აძლევდა. უნახავდნენ და უნდოდათ გამოზოგვით, თვე და თვე მიეცათ ერთგვარი რაოდენობით. კომიტეტის ასეთი „აპეკუნობა“ კი სწყინდა მხცოვან ადამიანს.

ჩვენ, მსახიობებმა, არ ვიცოდით კომიტეტის ასეთი დადგენილება და რომ გვცოდნოდა კიდეც, რა უფლება გვქონდა ჩვენი ინიციატივით მოწყობილი საღამოდან იუბილარისათვის შემოსავალი არ გადაგვეცა.

და, ეტყობა, ამით ცოტა გავახარეთ.

* *

მე სულ წვრილმანებს ვიხსენებ. მაგრამ ამ წერილს აკი სხვა პრეტენზია არც შეიძლება რომ ჰქონდეს.

მაინც გავიხსენოთ ზოგიერთი სახალისო ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან:

კიდევ ქუთაისში. ვახლავარ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მაშინდელი ქუთაისის „არისტიდს" — ასე უწოდებდნენ კირილე ლორთქიფანიძეს, რომელიც ამ წერილში ზემოთაც ვახსენე, ესეც მშვენიერი მოსაუბრე იყო და დიდი, ცხარე ორატორი ქუთაისის კრებებისა (ბანკში, ქალაქის საბჭოში, თავადაზნაურთა კრებებზე). ვსაუბრობთ ქართულ თეატრზე; მაშინ „თეატრსა და ცხოვრებაში" იბეჭდებოდა აკაკის მოგონებები ქუთაისის თეატრალურ მოღვაწეებზე. ამ მოგონებებში კირილეც იყო ნახსენები და ეს დარბაისელი მოხუცი მიამბობდა მისი „აქტიურობის" ამბავს.

სხვათა შორის მიამბო, რომ ერთხელ ილია ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილს" ვთამაშობდით, მე „მიროვოი პოსრედნიკის" როლს ვასრულებდი, მაგრამ ნატო გაბუნიას ქალმა ქვრივის როლში და კოტე ყიფიანმა გლახა ჭრიაშვილით ისე გამიტაცეს, რომ ჩემი სათქმელი დამავიწყდა, როლიდან გამოვედი და ისე ვხითხითებდი, შენი მოწონებულიო. მეორე დღეს მე თვითონ დავწერე რეცენზია გაზეთ „დროებაში" და მოვითხოვე, რომ კირილე ლორთქიფანიძე სცენიდან გაეძევებინათო.

ეს და სხვა ამგვარები რომ მიამბო, ამ დროს ჩვენს ჰორიზონტზე გამოჩნდა აკაკის ბიბლიური ფიგურა. უკვე ნაავადმყოფარი, თვალებდაზიანებული, მაგრამ მაინც ლომ-ფაფარგადაყრილი, მაღლიდან გადმომყურე.

კირილე, ეს დინჯი კაცი, თითქმის ატოკდა აკაკის დანახვაზე და სიხარულით მიეგება. აკაკიმაც თავისებური ღიმილით ჩამოართვა ხელი და მაშინვე პირში მიახალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კირილე, ფეხისადგილში წასვლისას შარვალს კიდევ ი-ვლი?

უნდა გენახათ, როგორ გამოიცალა კირილე, აღფრთოვანების ნაცვლად უსაზომო წყენა დაეტყო და ხელიც აღარ ჩამოურთმევია, ისე გაგულისებული გაეცალა გულით საყვარელ ადამიანს. ჩაუშხამდა შეხვედრა.

აკაკიმ სიცილი გააყოლა და მიამბო: კირილეს ჩვეულებად აქვს, ფეხისადგილში იმ შარვლით არასოდეს არ წავა, რომელიც საგარეოდ აცვია, უთუოდ გამოიცვლისო, ეგ ხომ წმინდა ბერია. კარგად აქვს მაგის პედანტობა აღწერილი ნიკო ნიკოლაძეს თავის „ჩვენი სტუდენტობის დრო"-შიო.

* *

პირადად აკაკის კვიმატობა ერთხელ მეც მომხვდა.

თელავში ვიყავი, წარმოდგენებს ვმართავდი. აკაკი ჩამობრძანდა.

აკაკის ჩამოსვლა დღესასწაულად იქცა და კახელობა ღირსეულად დაუხვდა: საღამოები, წარმოდგენები, დავდგით მისი „თამარ ცბიერიც", სიტყვები, მისალმებანი, საჩუქრები.

ივლისი იყო და მოაღწია ილიაობამაც. მაშინდელი წერაკითხვის საზოგადოების თელავის განყოფილება ყოველწლივ იხდიდა ილიაობას და ამ დღისათვის ილიას სოფელ ყვარელში, ილიას ეზოში, აწყობდა საღამო-წარმოდგენას, რომლის შემოსავალს საქველმოქმედო მიზნებს ახმარდა.

ასე იყო იმ წელსაც და, რაღა თქმა უნდა, რომ აკაკიც მოიწვიეს საღამოზე. ყველანი ვემზადებოდით ზეიმისათვის და აკაკის დავტრიალებდით თავზე. ჩვენთან რეჟისორი და დრამატურგი კოწო ანდრონიკაშვილიც იყო. ძალიან გვაქებდა მეცა და კოწოსაც აკაკი: მშვენიერი მწერლები ხართო, კიდევ უკეთესი აქტიორ-რეჟისორებიო.

მოგვშორდა კოწო და მოგვიბრუნდა აკაკი:

— ამაზე უნიჭო, უნდილი მწერალი და ქართულის არმცოდნე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო.

თვითონ გაიცინა და მე კი, მიხვდებით, რა გუნებაზედაც დავდგებოდი: რომ მოვშორდე, რას იტყვის? გამახსენდა, გუშინ კიდევ როგორ შემაქო საზოგადო შეკრებილობაში, რა-

ღაც სიტყვა წარმოვთქვი და მითხრა: რომაელ ორატორს მო-
მაგონებო. რას იტყვის ახლა, რა ვქნა? გადავწყვიტე, სანამ
სხვა რამეზე გუნება არ შეეცვლებოდა, არ მოგშორებიყავ,
რადგან გამახსენდა ერთი იმერული ამბავიც.

ყოფილა თურმე ერთი აზნაური ჯაფარიძე, კაცი მქირდა-
ვი და ყველას მაგინებელი. ერთ დილით ქუთაისში შეხვედრია
თავის დროზე კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ნაფი-
ცი ვექილი, სცენის მოყვარული, მშვენიერი აქტიორი, მახვი-
ლი და ნიჭიერი მოწინავე ინტელიგენტთაგანი ანტონ ლორთ-
ქიფანიძე. სიძე დიმიტრი ყიფიანისა.

ანტონი თურმე მიეჩქარება სასამართლოში, გადაუდებელი
საქმე აქვს, მაგრამ შეხვდა ჯაფარიძეს და ჯაფარიძემ გაუბა ბა-
ასი, ამას გადაწვდა, იმას „მოსცხო", ეს გააბიაბრუა, ის აგი-
ნა. ანტონს ეჩქარება, მაგრამ რა ქნას — იცის, თუ გაშორდა,
არც იმას დააყრის ხეირს. ბოლოს გადაწყვიტა:

— დათა, ჩამოვჯდეთ აგერ ბულვარში, რა ვქნა, სასამარ-
თლოში საქმე მაქვს, ვერ მივუსწრებ და წავაგებ ნამდვილად,
მაგრამ ვერ მოგშორდები, შენი ყიამყრალობის ამბავი რომ ვი-
ცი, არ დამზოგავ და არ მინდაო.

გამახსენდა ეს ამბავი, მაგრამ, მართლაცდა, სადამდე უნდა
მეცადნა? მერმე სწორედ იმავ კოწო ანდრონიკაშვილმა მიამ-
ბო, რომ საოცარ აკაკის მიწასთან გავესწორებინე, განსაკუთ-
რებით ილაშქრებდა ერთ ჩემს ლექსზე — „მხოლოდ შენ ერთს".

* *

სიტყვამ მოიტანა და სალიტერატურო კურიოზისათვის გი-
ამბობთ ამ ლექსის თავგადასავალს.

ნინო ჩხეიძის ბენეფისი უნდა გაგვემართა ქუთაისში. გან-
სვენებულმა ლადო მესხიშვილმა ურჩია, კარეევის პიესა „Роковой шаг"
და სათარგმნელად მე მომანდო. როგორი თარგ-
მანიც იყო, თქვენ იქიდან განსჯით, რომ თვით სათაურიც კი
უხეიროდ ვთარგმნე და „უბედური ნაბიჯი" დავარქვი. მაგრამ
საქმე ეგ არ გახლავთ. პიესაში ერთი სასიმღერო ლექსიც იყო
„Тебе одной" და ამ სიმღერას პიესისათვის ისეთი მნიშვნე-
ლობა აქვს, რომ უთუოდ უნდა თარგმნილიყო. მეც გადავ-
თარგმნე, მუსიკა მოარგო — იყო ასეთი მსახიობი — კოტე სარ-

ჯველაძემ. ეს იყო და ეს. ისე გავრცელდა თვით მელოდიაც და ჩემი ნათარგმნი ტექსტიც, რომ ხალხი ახლაც მღერის, მხოლოდ არავინ იცის, ვისია მუსიკა და საიდან არის ტექსტი. ის კი არა, ერთ დროს რუსეთში დაიბეჭდა კიდეც ეს რომანსი და ზედ დააწერეს „Грузинская народная песня“, მაგრამ საქმე ამით არ გათავდა. გრ. ვოლსკიმ თარგმნა ეს ლექსი ქართულიდან და დაიბეჭდა გაზ. „Новое обозрение“-ში. თუმცა არ დააწერა, რომ თარგმანია. თითქოს თავისუფალი არანჟირობაა, მაგრამ ტექსტები რომ შედარდეს, იგრძნობთ ნათარგმნობას.

ამას კიდევ დაემატა ერთი კურიოზიც:

გახურებული მსოფლიო ომია 1914 წლისა. ვსადილობთ სასტუმრო პალას-ოტელში. რესტორანი სავსეა სამხედრო პირებით. უეცრად ერთ მაგიდაზე ვიღაც გენერალმა იმპერატორის სადღეგრძელო დალია და ყველა იქ მყოფთ მოუწოდა სადღეგრძელოს დასალევად. მუსიკამ „Боже царя храни“ შეასრულა. ახლა სხვებმა სხვა მოითხოვეს და ამას მოყვა ინგლისური ჰიმნი, ფრანგული, იაპონური, იტალიური და სხვა, ერთი სიტყვით, გერმანიის წინააღმდეგ ყველა სახელმწიფოსი და თითქმის ერთ საათს გაგრძელდა ჰიმნების დაკვრა.

რომ მოსრულდა ეს ჰიმნები, ვიღაც სამხედრომ წამოიძახა — აბა, ქართული ჰიმნიო. მემუსიკეები შეშფოთდნენ, მაგრამ უეცრად დირიჟორმა ნიშანი მისცა და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ქართულ ჰიმნად ჩემი და სარჯველაძის „მხოლოდ შენ ერთს“ მოვისმინე.

გულში მეცინებოდა. ვინ იცის, რომ ამ სახელდახელოდ შეთხზულ ქართული ჰიმნის ერთი მონაწილე აქ ზის-მეთქი!

აი, ეს მრავალჭირნახული ლექსი იყო, რომ დიდ აკაკის აშფოთებდა.

მართალიც იყო, რასაკვირველია! ლექსი მეტად პრიმიტიულია და პოეზიის საგანძურის კარებთან თუ დადგება.

ამას გარდა, ვიღაცამ დაბეჭდვის დროს უკანასკნელი ფრაზა დამიმახინჯა, მე მაქვს:

სიცოცხლეშიც, საფლავშიაც
შენთან ერთად, შენთან ერთად.

ვიღაცამ კი გამისწორა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ეს „აქაც, იქაც“ ახლაც არ მესმის.

დიდ მგოსანს სწყინდა, რომ ხალხი ამ უხეირო ლექსს მღეროდა და ამის გამო გაზეთ „თემში“ მოათავსა კიდეც წერილი და მშვენიერი ლექსიც „მხოლოდ შენ ერთს“-ის თემაზე, ეს იმღერეთო.

მაგრამ უცნაურობა: აკაკის თითქმის ყოველი ლექსი მეორე დღესვე სასიმღეროდ იქცეოდა და ეს თვით მის მიერ რეკომენდებული „მხოლოდ შენ ერთის“ სამაგიერო ხალხმა არ იმღერა.

თურმე ხდება ლიტერატურაშიაც ასეთი კურიოზები.

მე მგონი, კარგი იქნებოდა ახლა მაინც რომელიმე ჩვენს კომპოზიტორს მიექცია ყურადღება აკაკის დასახელებული ლექსისათვის და გადაეტანა სამღერლად შესაფერ მუსიკაზე.

ამით, სხვა არა იყოს რა, პოეტის სურვილს შევასრულებდით. მაგრამ დავუბრუნდეთ კახეთს.

ივლისის 20 ცოტა ღრუბლიანი იყო, იქა-აქ ცრიდა კიდეც, მაგრამ ქარი არა ქროდა, გრილი და სამგზავროდ საამური დღე იყო.

დილაადრიან ჩავსხედით ეტლში: აკაკი, ქართული დრამის მსახიობი ელო ანდრონიკაშვილი, განსვენებული ნიკიფორე მამინაიშვილი (ადგილობრივი ქალთა გიმნაზიის დირექტორი და წერა-კითხვის განყოფილების თავმჯდომარე) და მე.

მე და ელოს წარმოდგენა უნდა მოგვეწყო.

ეტლი დაიძრა და აკაკიმაც დაიწყო: რა არ გვიამბო, ვინ იცის! ბევრი ფანტაზია ერია მის ნაამბობში, მაგრამ ყურადღებას ვერ მოაშორებდით, რადგან ტკბილი და ზოგჯერ გესლიანი ჰუმორით იყო მოთხრობილი.

ჩამოვწერ ზოგიერთს:

აკაკის ბიძაშვილი, ბეჟან წერეთელი, მამულების მომხვეჭი კაცი იყო და ამას თავისებურად დასცინოდა აკაკი.

— ბეჟანმა არც მე დამზოგა და ეზოზე ადგილი ჩამომიჭრაო, მაგრამ ამისათვის სასამართლოსათვის არ მიუმართავს, საჩივარი კი არ გაუბამს, სულ სხვა ხრიკს მიმართაო. ბეჟანს ბევრი ღორები ჰყავდა, ზამთარში გადმოუშვებდა ამ ჩემს

ეზოში და ღორები აჩიჩქნიდნენ მიწას. ვეხვეწებოდი, ნუ მო-
ოხრებ ეზოს შენი ღორებით, მაგრამ ბოდიშს იხდიდა, ბიჭმა
თვალი ვერ მიატანაო და სხვა. ეზო რჩებოდა აჩიჩქნილი.
დიდმარხვაში გავიხედე, დილაადრიან ამდგარა ბეჟანი და ამ
ჩემს ეზოში იქით-აქეთ დაიარება. გამიკვირდა, რად აურჩევია
დილის მოციონისათვის ჩემი ეზო, მაგრამ ამ სეირნობის მი-
ზეზი მხოლოდ ნაადგომევს გავიგე, როცა ჩემს ეზოში მშვე-
ნიერი სიმინდი წამობიბინდაო. თურმე ნუ იტყვი, ბეჟანი რომ
დასეირნობდა, ჯიბეში სიმინდის მარცვლები ჰქონდა ჩაყრი-
ლი, ჯიბეები გახეული ჰქონია, რომ დადიოდა ღორების ნა-
ქუჩზე სიმინდს თესდა და საყანე ადგილს იფლობდაო.

რა გვეთქმოდა აკაკის ამ ოხუნჯობაზე, კარგი მოგონილი
იყო.

შემდეგ გადავიდა უფრო საზოგადო საკითხებზე და მაშინ-
დელი ინტელიგენცია, თავადაზნაურობა ბევრ რამეში გაამ-
ტყუნა: უშნოები არიან, უნიათონიო და ერთი მაგალითი მო-
იყვანა თავადაზნაურთა საზოგადოებრივი საქციელისა:

საქართველოში რომ ნიკოლოზ I ჩამოვიდა, ყველგან დი-
დი ამბით მიეგებნენ და განსაკუთრებით ქართლ-კახეთის თა-
ვადაზნაურობა, ერთ სადილზე ისე გაამხიარულეს, რომ კარგად
გამოათვრეს კიდეცაო. მთვრალმა იმპერატორმა განუცხადა
მასპინძლებს, რომ „ისე ვარ კმაყოფილი თქვენი დახვედრით,
რასაც კი მთხოვს ჩემი სასიქადულო ქართველი თავადაზნა-
ურობა, მზად ვარ შევასრულოო“.

დიდი მადლობა გადაუხადეს და თვითმპყრობელის ყო-
ვლად შემძლე სიტყვა გულში ჩაიდეს. მეორე დღეს წარუდგა
ნიკოლოზს დეპუტაცია და მოახსენა, რომ „ჩვენ ვერ გავბე-
დავდით ამ თხოვნით მოგვემართა, მაგრამ თქვენმა მეფურმა
სიტყვამ და დაპირებამ გაგვაბედინაო“.

ნიკოლოზი აცახცახდა თურმე ამ სიტყვებზე, როგორც
შემდეგ გამოირკვა, ეგონა თავადაზნაურობა საკუთარ მეფეს
მოითხოვს, ავტონომიურ დამოუკიდებლობას მოიწადინებსო
და მზად იყო კიდეცო, რადგან მეფურ სიტყვას ვერ გადაუ-
ვიდოდა და სულ თავბედს იწყევლიდა, ეს რა მივქარეო, მაგ-
რამ მოტყუვდა, რადგან თავადაზნაურობამ დიდი ბოდიშით,
დიდი მოიარებით სთხოვა: „მარილზე დიდი ბაჟია დადებუ-
ლი და გთხოვთ შეგვიმსუბუქოთო“.

აი, ხომ ხედავთ, ქართველებს თხოვნის შნოც არა გვაქვსო, ნაღვლიანად დაამთავრა აკაკიმ.

ამ ამბებში თურმე უკვე ყვარელს ვიყავით მიახლოებული, მომხიბლავ საუბარში არც კი შეგვიმჩნევია. უეცრად ჩვენს ეტლს ორმოციოდე ცხენოსანი შემოერტყა და ეტლი შეგვიჩერა. მართალი გითხრათ, პირველ ხანად შევკრთი. იმ არემარეში იმხანად ყაჩაღობა იყო და მეგონა თუ თავს დაგვესხენ, მაგრამ სანამ რასმეს მოვისაზრებდი, ცხენოსნები ელვის სისწრაფით ცხენებიდან ჩამოხტნენ, ერთი ტანმორჩილი კახურ ჩოხა-ახალუხით გამოწყობილი, თავზე ნაბდის ქუდით, წინ წამოდგა და მშვენიერი მჭექარე ხმით აკაკის მიესალმა.

აკაკის საუბარმა სულ გადამავიწყა, რომ ყვარელს საზეიმოდ მივდიოდით და, ცხადია, ყვარელის მოსახლეობის წარმომადგენლები აკაკის შემოეგებებოდნენ.

იმწამსვე ეტლიდან ჩამოვხტით ყველანი, მხოლოდ აკაკი ფეხზე წამომდგარი ჩავტოვეთ ეტლში.

საუცხოო სურათი იყო. ეს ჭარმაგი ადამიანი, მაღლიდან გადმომყურე, ეტლში გამართული, მართლა რომ ბიბლიური ფიგურა დიდი პოეტისა და ქვევით, ხალხის წარმომადგენელი დელეგაცია, რომელიც შეფრფინვით შეჰყურებდა საამაყო ადამიანს; ნიავი ოდნავ აქანებდა აკაკის ჭაღარა ფაფარს, გარინდულ ბუნებაში კი სჭექდა პათოსიანი, მაგრამ დროის შესაფერი, მშვენიერი ქართულით ნათქვამი სიტყვა ტანმორჩილი ადამიანისა.

მან მოიხსენია, სხვათა შორის, რომ სახელოვანი ილიას სოფელი ბედნიერია, რომ ეგებება სასიქადულო აკაკისო და მჭევრმეტყველურად შეამკო ორი დიდი კაცის სახელი.

შევატყვე, რომ აკაკის ცრემლი მოერია და თითქოს სულ გამოიცვალა. ეს აღარ იყო ის აკაკი, აგერ რამდენიმე წუთის წინათ ისე შინაურულად რომ გვიამბობდა უცხო რამეებს.

აქ მისი ნაკვთი არამცთუ ფიზიკურად, არამედ მორალურადაც თითქო მაღლა დადგა.

დანაოჭებულ სახეს თითქო სიხარული გადაეფინა, მაგრამ ოდნავი სევდაც, შეიძლება განუხორციელებელ სურვილთა გამო, მაინც დაეტყო.

განა აკაკიმ არა თქვა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ეჰ, კმარა, სჯობია,
ფრთა შევაკვეცოთ სურვილსა;
თორემ რა მოჰკლავს უძლეველს
მამულიშვილის წყურვილსა!

დიდი მოჭირნახულე იდგა ჩვენს წინ, გამჭრიახი და მომავლის იმედით გაამაყებული, მაგრამ პირადად თავმდაბალი და ლმობიერი.

მახსოვს, იქვე საპასუხო სიტყვებში შემდეგიც გაურია: „ჩემი თავიც, ილიას თავიც მხოლოდ აჩრდილია იმ მომავალი გმირებისა, რომლებიც მომავალში თქვენგან გამოვლენო“..

წარმოდგენის დროს წვიმა წამოვიდა, მაგრამ მოზღვავებული ხალხი არ დაშლილა და არც აკაკი დაძრულა თავისი ადგილიდან. ქოლგა მოართვეს და ამ კარავიდან გულმოდგინედ ისმენდა ილიას „დედა და შვილს“.

ვახშმად ძალიან გამხიარულდა. ჩაჯდა გლეხებში და მრავალი მოსწრებული სიტყვა უძღვნა. ლექსებიც წაუკითხა, გაუშინაურდა და გაიშინაურა ისე, რომ ერთმა მოხუცებულმა გლეხმა, მახსოვს, ასეთი ექსპრომტიც უძღვნა:

ზამთარში შაშვი რომ გალობს,
ზაფხულში — შვილო-გოგია,
მეცა ვთხზავ ლექსებს, მაგრამა
შენი ლექსები სჯობია!

აკაკიმ ამაზე ბევრი იცინა.

და ჩვენც ეს მოგონებანი შევაჩეროთ მისი დაუვიწყარი სიცილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი

აკაკი მაღალი და დიდი ტანის კაცი იყო. ლამაზი, ციური ღიმილით გაშუქებული სახე ჰქონდა. კბილები — თეთრად ჩამწკრივებული (სამარეშიაც მთლიანად ჩაიტანა). შეხედულება და მიხრა-მოხრა — დიდებული, სიაროული — დინჯი და აუჩქარებელი. მოხუცებულობაში, ტრამვაიდან გადმოვარდნის გამო, მარცხენა ფეხს მძიმედ ხმარობდა და მუდამ ჯოხი ეჭირა ხელში. მარჯვენა თვალს, ზემო უპის კუნთების დადამბლების გამო სავსებით ვერ ახელდა და მთლიანი მხედველობისათვის თავი მაღლა უნდა აეწია ხოლმე. ეს ნაკლი ბოლო წლების ამბავია, თორემ ადრე არწივის მხედველობა ჰქონდა. თავზე ხშირი ხუჭუჭა თმა ესხა და პირისახეზე ზომიერად მოშვებული წვერ-ულვაში. გრძელი, ლამაზი თითები ჰქონდა. ფრჩხილს მოკლეს ატარებდა ხოლმე, მუდამ გაწმენდილ-გასუფთავებულს.

ტანსაცმელი მისი პიჯაკი იყო, და საგანგებო შემთხვევაში — შავი სერთუკი, გახამებული პერანგით და დაკეცილი საყელოთი; ჩვეულებრივ კი — გაუხამებელი პერანგით და ასეთივე საყელოთი. თავზე ეხურა კრაველის ქუდი, ხოლო ზაფხულობით — შლიაპა. მომეტებულად შავ ყელსახვევს ხმარობს.

რაც უნდა ღარიბულად ყოფილიყო ჩაცმულ-დახურული, მუდამ სუფთად გამოიყურებოდა.

თამბაქოს არასოდეს არ ეწეოდა; ღვინოსაც სრულებით არ იკარებდა, მხოლოდ როცა ქეიფში მოხვდებოდა, წყლიან სავსე ჩაის ჭიქაში წითელ ღვინოს ჩააწვეთებდა და ისე სვამდა ხოლმე სადღეგრძელოს. ჩაი მუდამ ბაცი უყვარდა — რძიანი, დაშაქრული; ჭამა კარგი იცოდა, რაც სრულიად შეეფერებოდა მის აგებულობას. რა რომ თვალის უპე დაუდამბლდა, ბევრ სმა-ჭამაზე ხელი აიღო და ზომიერად საზრდოობდა, ქართული საჭმელები მეტად უყვარდა ვიდრე ევროპული,

თუმცა, საერთოდ, საქმელის დაწუნება ან ამორჩევა არ იცოდა.

აკაკის ბოხი ხმა ჰქონდა, შეიძლება ითქვას, ღრმა ბარიტონი, ფრიად ხავერდოვანი და საამური; ხმაც და თხრობის მანერაც სრულიად თავისებური, მომაჯადოებელი.

ნასადილევს ერთი-ორი საათით უყვარდა მოსვენება. 11—12 საათამდის სახლში არ დაბრუნდებოდა და, როცა დაბრუნდებოდა, თუ დასაწერი არა ჰქონდა რა, წიგნს კითხულობდა ლოგინში, თითქმის გათენებამდის, და მერე დაიძინებდა.

ზოგჯერ, ლოგინში წოლისას, არც კითხულობდა ხოლმე, არამედ თავის გონებაში ამუშავებდა მომავალ თხზულებას. ადგებოდა დილას ლოგინიდან, მიუჯდებოდა მაგიდას და ლექსიც მზად იყო. წერდა თითქმის შეუსწორებლად, რადგან აკაკი ლექსთა წყობის ტექნიკის დიდი ოსტატი იყო. ხანდახან საზოგადოებაში ყოფნის დროსაც კი აკაკის გონება შორს იყო იმისაგან, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, იგი შეპყრობილი იყო შემოქმედების პროცესით. „აკაკი დღეს რაღაც დაბნეული იყო“-ო — იტყოდნენ ხოლმე ისეთები, რომელთაც მისი ასეთი მდგომარეობა არ ესმოდა.

ლექსის დაწერის წინ აკაკის უყვარდა ოთახში სიარული და თმაში ხელის ფათური. ამიტომ მისი ხუჭუჭა თმები მუდამ აბურძგნული იყო. დაიარებოდა ოთახში და რაღაცას ღიღინებდა. ამ ღიღინში არავითარი მელოდია არ ისმოდა.

მოსალმებისას აკაკი რაღაც თავისებურად თავს დახრიდა ხოლმე და კარგ ნაცნობს უთუოდ გაუღიმებდა სრულიად თავისებურ, შუქმფინარე ღიმილით. ვინც შეჩვეული იყო მისი სახის მოძრაობას, უთუოდ შეამჩნევდა, კარგი კაცის შეხვედრისას, თვალებში გამოსახულ სიამოვნებას, მისთვის კარგი კაცი იყო ყოველი ღირსეული მოღვაწე. პირადად ყველას პატივისცემით ეპყრობოდა, ხოლო საზოგადო საქმეში ცუდად მოქმედს არავის არ დაზოგავდა, თუნდ ფრიად ახლობელსაც. ენამოშხამული, გაუტანელ-დაუნდობელიაო, — იტყოდნენ ხოლმე აკაკიზე მოგვარე-მონათესავენი, როცა ის მათ ამხელდა.

აკაკი სულ მოკლე ხანში შეეჩვეოდა ისეთ ადამიანს, რომელიც სიმპათიას გამოიწვევდა მასში, თუმცა საერთოდ უნდოდა თქვა, რომ იგი ძალიან ეჭვის თვალით უყურებდა „მეგობ-

რებს". მტრებისაგან იმდენი სიმწარე არ განმიცდია, რამდენიც „მეგობრებისაგანაო", — იტყოდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები, როგორც ქვეყნის მომავალი იმედი, და ქალებიც, როგორც მამულიშვილების აღმზრდელნი. ქალებსაც მოსწონდათ აკაკი სილამაზისა, ახოვნობისა, მოსწრებული სიტყვისა და საერთოდ მახვილი ჭკუისათვის. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ აკაკისათვის, თუმცა იმ დიდი ადამიანი იყო, არაფერი ადამიანური უცხო არ იყო.

ცოლი აკაკიმ ადრე შეირთო, მაგრამ დიდი ხნით მასთან არ უცხოვრია. ნატალია, პეტრე პახილევსკის ასული, ლამაზი ქალი იყო, გულკეთილი და ქმარ-შვილის მოსიყვარულე, მაგრამ ამასთანავე ნამეტნავად აბეზარი. იგი ისე გადაჭარბებით ზრუნავდა ქმარ-შვილზე, რომ აკაკი ვერ უძლებდა მის ზედმეტ მზრუნველობას და გაექცეოდა ხოლმე. ეს აბეზრობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ცოლთან ყოფნის დროს აკაკის არ შეეძლო ისე დამჯდარიყო, როგორც სურდა, ისე ეჭამა, როგორც უნდოდა, ისე გაეტარებინა დრო, როგორც მოისურვებდა. ყოველ მის მიხრა-მოხრაზე და სურვილს ნატალია პეტრეს ასული სახიფათოდ, აკაკისათვის მავნედ რაცხდა, და თავის სურვილზე უნდოდა მოეწყო მისი ცხოვრება, წვრილმანებშიაც კი. პირადად და წერილებშიც ცოლს აკაკი ნატალკას უწოდებდა, ფრიად ალერსიანად ეექცეოდა, მაგრამ დიდი ხნით მასთან ცხოვრება კი არ შეეძლო. აკაკის მეუღლემ ქართული ენა არ იცოდა, შვილმაც, ალექსიმ, სუსტად იცოდა ქართული ენა, ხოლო საქართველო დედა-შვილს ძალიან უყვარდათ... უფრო შორიდან. ჩვენს ცხოვრებას ვერ მეეგუენ. უმთავრესად იმიტომ, რომ რუსეთში ნატალია პეტროვნას ბევრი შეძლებული ნათესავი ჰყავდა, რომლებიც მას ხელს უმართავდნენ ხოლმე, აქ კი რით უნდა ეცხოვრათ, როდესაც აკაკიც ნახევრად მშიერ-მწყურვალი იყო.

მე არ ვიცი, რა მემკვიდრეობა მიიღო აკაკიმ დედ-მამისაგან, ან რა შემოსავალი ჰქონდა აკაკის მამულ-დედულიდან, მაგრამ, ვფიქრობ, რომ დიდი არაფერი. ნატალია პეტრეს ასულს კი დიდი მზითვი ჰქონდა, რომელიც ცოლ-ქმარმა თანაბრივ გაანიავეს, ეტყობა, მოკლე ხანში. ნატალია პეტრეს ასულმა მიამბო თავისი შეძლების შესახებ შემდეგი: „სულ ბავშვი მიეთხოვდი აკაკის, 17 წლისა, ჯერ კიდევ „კომპანი-

ონკა“ მახლდა და, რასაკვირველია, ფულის ყადრისა და ანგარიშის არა გამეგებოდა რა. ჯვარის დაწერის შემდეგ ჯავის ხშირად მოჰქონდა ხოლმე რაღაც ნახევრად დაბეჭდილი სახელმწიფო ქაღალდები, რომელზედაც ხელს მაწერინებდა ხოლმე. მაშინ არ ვიცოდი, ახლა კი ვიცი, რომ ის იყო ვექსილები. დროგამოშვებით აკაკის მიჰქონდა ჩემგან შინაგანი სესხის 4%-იანი ობლიგაციები, რომლებიც ბლომად ელაგა ჩემს ყუთში. მაშინ არც ის ვიცოდი, რომ ეს ობლიგაციები აკაკის მიჰქონდა ვალების გასასტუმრებლად. მართალია, ჩვენ მდიდრულად ვცხოვრობდით, მაგრამ როგორც ახლა გამეგება, დიდ ფულს ხარჯავდა თვითონ აკაკი, ალბათ, ბანქოს თამაშში კლუბებსა და კერძო ოჯახებში. ერთიც იყო, ქმარმა გამომიცხადა: საქართველოში უნდა წავიდეო. ძალიან გახარებული ვიყავი და მოუთმენლად მოველოდი წასვლის დღეს. აგერ ბილეთებიც მოგვიტანეს და აკაკიმ მე და ჩემი „კომპანიონკა“ სადგურზე გაგვისტუმრა და მითხრა: რაღაცა საქმეზე მივდივარ და სადგურზე მოვალო. მივედით სადგურზე, დავლაგდით და ვუცდი ქმარს. ჩამოჰკრეს ზარს ერთხელ, ორჯერ და მესამედაც. მატარებელი დაიძრა, აკაკი არსად არის. ავღელდი და ასე მღელვარებით განვშორდი მრავალ სადგურს, ვიდრე საკვანძო სადგურს მივაღწევდი, რომელზედაც უნდა ჩამოვსულიყავით და დაგვეცადნა აკაკისათვის (ამ საკვანძო სადგურის სახელწოდება აღარ მახსოვს. — ი. ე.). აკაკიც ღეპეშით მირჩევდა იქ, სადგურზე დაცდას. მოგვიხდა ორი-სამი დღით ცდა. სადგურისა და კვანძის ადმინისტრაციამ დიდი პატივი მცა, როცა გაიგო ჩემი ვითარება და პოეტის ეგზომი დაუდევრობა. აკაკიც გაჩნდა და მხიარულად განვაგრძეთ მოგზაურობა. როგორც შემდეგში გავიგე, თურმე, წასვლის დღეს აკაკი დაატუსაღეს ვალის გადაუხდელობის გამო, და მალევე თავდებობის ქვეშ გამოეშვათ.“

აკაკის მეუღლე ფრიად გულუბრყვილო ადამიანი იყო სიბერეშიც კი, და ადვილი წარმოსადგენია მისი გულუბრყვილობა ახალგაზრდობაში. მუდამ კანფეტებს სჭამდა ხოლმე და ცხოვრების არა გაეგებოდა რა, ნამდვილი „ინსტიტუტკა“ იყო და საქმეც რომანების კითხვის მეტი არა ჰქონდა რა. შვილსაც ძალიან ზრუნავდა ხოლმე და ორსავე დედა-შვილს უერთმანეთოდ ყოფნა წარმოუდგენლად მიაჩნდათ. ჩვეულებრივ,

დედა-შვილი ფრანგულად ლაპარაკობდნენ. სხვების ყოფნისას, რასაკვირველია, რუსულად.

თუმცა აკაკის დიდი ხნის მეგობარი ვიყავი, მაგრამ ნატალია პეტრეს ასული არ მყავდა ნახული, ერთიმეორეს შორიდან ვიცნობდით, რასაკვირველია, აკაკის მეოხებით. ერთ ზაფხულს, ბაქოში ცხოვრების დროს, ცოლ-შვილი აბასთუმანში მყავდა. შუაზაფხულში მეც გამოვექეცი ბაქოს სიცხეს. თბილისში შევჩერდი, რადგან აკაკის ოჯახობა აქ მეგულებოდა. «Северные номера»-ში იდგნენ. სწორედ შუადღისას, ძალზე ცხელოდა, მაგრამ მაინც შავ სერთუკში გამოვეწყვე, და გავსწიე აკაკისაკენ.

აკაკის მეუღლეს ფრიად ეამა ჩემი ნახვა, მეგობრულად მიმიღო. ჩემი აკაკის მეგობარი ჩემი მეგობარიც არისო. იმდენი კარგი გამიგონია აკაკისაგან თქვენს შესახებ, რომ შორიდან პატივს გცემდით და თქვენს ნახვას ვნატრობდი, ოღონდ ის კი არ მომწონს, რომ ასე გაკვრით გხედავთ, რომ საკმაო ხნით ვერ დავტკბებით თქვენი ყურადღებითო, — მომიალერსა ნატალია პეტროვნამ სწორედ იმ დროს, როცა ადგომას და გაქცევას ვაპირებდი, თავიდან ფეხებამდის ოფლში გაწურული. თავი შევიკავე კიდევ ცოტა ხნით და მერე კი ავდექი წასასვლელად. დიასახლისმა მთხოვა კიდევ ცოტა ხნით დარჩენა, მეც დავემორჩილე. აკაკი გამომესარჩლა: ნატალკა, ეს ხომ თავისუფალი კაცია, მოდი ნულარ შეაწუხებ ამ სიცხეში და გაუშვი. ვიცი, რომ იტანჯება სერთუკში და შენი ხათრით კი არ იმჩნევსო. წამოსვლისას აკაკიმ გამომაცილა და მითხრა, ახლა ხომ იგემე ჩემი ცოლის აბეზარობა, შენ რომ ასე გეპყრობა, აბა ჩემთვის რა დღე უნდა დაეყენებია მთელს ჩემს სიცოცხლეშიო. მე დიდად კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით და ვწუხვარ, რომ ასე ჩქარა უნდა გაგშორდეთ-მეთქი. ეგ სხვა საქმეაო, — მომიგო მან.

აკაკიზე გავრცელებული იყო, და დღემდეც არის, ერთი უაზრო ჭორი: აკაკი ზარმაცი, უსაქმურიაო. სულელისა და ბოროტის გარდა, არავინ გაიმეორებს ასეთ აზრს. რომელმა მეცადინმა და საქმიანმა კაცმა გააკეთა: თავის ცხოვრებაში არათუ მეტი, თუნდ მისი ოდენიც? ვფიქრობ, ბევრი არ მოიძებნება. როცა აკაკის ყველა ნაწერი შეიკრიბება და გამოიცემა, მაშინ გამოჩნდება, ზარმაცი იყო თუ არა აკაკი. მაგრამ ამ

უაზრო ჭორში დიდი უგნურობაც არის ჩაქსოვილი. თითქოს ლექსების წერა ისევე ადვილი იყოს, როგორც მათი წაკითხვა. დაჯექ, შე ოხერო, — ხისკენ პირი მიქნია, — და სწერე ლექსები; რა გეხარჯება? ზოგიერთ შინაურ ფილოსოფოსს კანცელარიაში ქაღალდის ჯღაბნა მეტ შრომად მიაჩნია, ვიდრე ლექსების წერა. ერთმა ჩვენმა ლიტერატურულმა მოღვაწემ საქვეყნოდ გამოაცხადა: აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ორივე დიდი პოეტები არიანო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ილია ჭავჭავაძე, სანამ რასმე დასწერდეს, ემზადება, ამუშავებს თავის გონებაში მასალასა და, როცა დაამზადებს, მაშინ მიუჯდება მაგიდას და დასწერს დიდებულ რასმეო. აკაკი მოუფიქრებლად მიუჯდება მაგიდას და აგრეთვე დასწერს დიდებულ რასმეო. აი, საიდან ჩნდება ზემორე მოყვანილის მაგვარი ჭორები. მისი ოჯახი ააშენოს! ამ უგვანო აზრმა „ბულბულის ამონაკვნესი“ დამაწერინა (იხილე ჩემი წიგნი „სამშობლო ბუნების სარკე“), რომელიც აკაკიმ ფრიად მოიწონა და რომელსაც ხომლელმა „შედევრი“ უწოდა (იხ. „შინაური საქმეები“ №25, 1911 წ., 21 აგვ.). ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა „ნაკადულში“. აკაკი ჩემთან იყო სტუმრად ბაქოში, როდესაც ის ნომერი მოვიდა, რომელშიც დასტამბული იყო „ბულბულის ამონაკვნესი“. მე ავადმყოფებთან ვიყავი და, შინ რომ დავბრუნდი, აკაკი დამხვდა „ნაკადულის“ ნომრით ხელში, ტახტზე წამოწოლილი სასტუმრო ოთახში. ჩემს შესვლისთანავე წამოდგა ზეზე და აღელვებული ხმით მითხრა: ეს რა დაგიწერია, კაცო! იცი, რომ ასეთები ოცს, ორმოცს, ას წელში ერთხელ იბეჭდებაო, — და ღელვა თანდათან ემატებოდა, ხმამაღლა კითხულობდა მოთხრობას და „ვიშ“ — „ვიშ“-ს იძახდა მოწონების ნიშნად. მთელი ის დღე არ მოუსვენია, შინაურსა და მომსვლელს სულ ამ მოთხრობაზე ებაასებოდა. აკაკის გაუბედეს იმის თქმა, რომ ჩემი ნაწერების ქება მეგობრობის ბრალია და არა ჭეშმარიტი აზრიო. აკაკი გაბრაზდა, მე დაგიმტკიცებთ, რომ მეგობრობა აქ არაფერ შუაშიაო, და მართლაც დასტამბა „თემში“ ვრცელი სტატია „ივანე ელიაშვილის“ სათაურით.

1890 წ. აკაკი მესტუმრა ბაქოში. პირველ შეხედვაზევე შევამჩნიე არაჩვეულებრივი მღელვარება. მარტონი რომ დავრ-

ჩით, მიზეზი ვკითხე. პასუხად ამოიღო თავისი შვილის ალექსის წერილი. იწერებოდა კიევიდან: თუ 2500 მან. არ მოვაგ ველე მოკლე ხანში, თავი უნდა მოვიკლა, რადგან ოპერის არტისტების ვალი დამედვაო.

გულს შემომეყარა. სად მქონდა ეს ფული? შენ ნუ შეწუხდებიო, მითხრა აკაკიმ, მე ჩამოვედი ალ. ი. მანთაშევთან, რომელიც ამხანად აქ არის, როგორც ტფილისში მითხრესო. იმ დღესვე გავიგე მისი მისამართი და გავისტუმრე. მოკლე ხანში დაბრუნდა ნახევრად დამშვიდებული. ვწუხვარ, რომ სომხის პოეტი არა ხარ, ან მე რომ ქართველი არა ვარ, — მითხრა მანთაშევმაო. ამდენი ფულის საჩუქრად გაცემა არ შემიძლია, მაგრამ თუ მართლა მასეთი გასაჭირი გადგია, შემიძლია ბანკიდან მოვაცემინო ეს თანხა, თუ სანდო ვექსილს მომიტანო. მაინც ვისი ვექსილი უნდა იყოს-მეთქი რომ შევეკითხე, პირდაპირ ინჟ. ბრაილოვსკი დამისახელაო. აბა, მე როგორ მივმართო ბრაილოვსკის, თუ შენ არ მიშუამდგომლებო, — დაამთავრა აკაკიმ.

მეტი რა გზა იყო, იმწამსვე გავექანე ეტლით ბრაილოვსკისთან. იმასთან იყო დავით ჯორჯაძეც. სამნივე მეგობრები ვიყავით, შევედი თუ არა, პირდაპირ საქმეს შევუდექი. ვუამბე აკაკის გასაჭირზე და მანთაშევის ნათქვამიც გადავეცი. იქვე განვუცხადე, რადგან თითქმის იმედი არ არის, რომ სამ თვეში აკაკიმ ეს ვალი გადაიხადოს, გავინაწილოთ ჩვენ შორის თანაბრად და გადავიხადოთ-მეთქი. გადაწყვიტეს ჩემ წილად 500 მ. გადაეღოთ. ას-ასი თუმანი მათ იკისრეს. იქვე დავწერეთ ვექსილი, ხელი პ. ბრაილოვსკიმ მოაწერა და მეორე დღეს უკვე ფულიც მივიღეთ.

აკაკის ძალიან ეჩქარებოდა შინისაკენ და ფულისა და დეპეშის გაგზავნა ალექსისთან მე მოვანდო. სამი თვის შემდეგ აკაკიმ ტფილისიდან გამომიგზავნა 1500 მან., ხოლო 1000 მან. დარჩა გადაუხდელი და ახლა ბრაილოვსკიმ აღარ იკისრა ვექსილზე ხელის მოწერა და ხელიც მე მოვაწერე და ვალიც მე გადავიხადე. განაწილების პირობა, რომელიც ყინულის დავთარში იყო ჩაწერილი, დადნა და გაქრა. აკაკიც ისე ღელავდა ამ ვალის შესახებ, რომ დავამშვიდე, გადახდილი მაქვს-მეთქი. ეს ის ვალია, რომელიც აკაკის აქვს აღნუსხული თავის ანდერძში. რასაკვირველია, მე ეს ფული არ მიმიღია და საერ-

თოდ აკაკის ანდერძში აღნიშნულ პირთაგან ფული მივეცით მხოლოდ მის ყოფილ მსახურს ზამბახიძეს. არც მე, არც ბ. გ. ელიავამ და არც სხვებმა ფულის აღება არ მოვისურვეთ, რადგან ვალის დასაფარავად საზოგადოებისათვის ნაანდერძევი მამული უნდა გაგვეყიდა, სხვა წყარო არ იყო.

აკაკის ფულის ყადრი არ ჰქონდა. ფული თუ ექნებოდა, უთავბოლოდ ხარჯავდა, სხვებს დაურიგებდა, თუ არადა თავისთვის იყო წყნარად. მისი ხასიათი რომ იცოდნენ, ბევრი უსინდისო ხალხი დაედევნებოდა ხოლმე და უკანასკნელ გროშს გამოსცანცლავდნენ ხელიდან, იმ საბრალო პენსიასაც კი, რომელიც მას წ.-კ. საზოგადოებიდან და ქუთაისის საადგილმამულო ბანკიდან ეძლეოდა. ბევრი თაყვანისა და პატივისმცემელი ჰყავდა, რომლებიც მუდამ შველოდნენ აკაკის, თორემ იგი ბევრად ადრე გამოესალმებოდა ამ წუთისოფელს. განსვენებული ნიკო დიასამიძე მუდამ მზად იყო აკაკი გაუჭირვებლად შეენახა, და კარგა ხანსაც ცხოვრობდა აკაკი მის ოჯახში, ყოველგვარად უზრუნველყოფილი. კნ. ნინო, ნიკოს ღირსეული მეუღლე, აკაკისაც სათუთად უვლიდა. გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელიც თავისი ღირსეული მეუღლით, ანასტასია მიხეილ ბირთველიშვილის ასულით, სრულ კმაყოფაზე ინახავდა აკაკის. ორსავე ოჯახში არათუ მარტო მის ფიზიკურ არსებობაზე ზრუნავდნენ, არამედ მის გონივრულ ცხოვრებაზედაც. თბილისსა და ქუთაისში სასტუმროებისა და სასადილოების პატრონები ხომ ნახევრად ინტელიგენტი იმერლები იყვნენ, და გინდ ქართლ-კახელნიც ყოფილიყვნენ, აკაკის მუდამ შეუწუხებლად ინახავდნენ.

აკაკი ძალიან მოძრავი კაცი იყო. როგორც ყურს მოჰკრავდა, ამ და ამ ადგილას ხალხის რომელიმე წოდება იკრიბება, ან ბანკის კრებაა, ან სკოლას ხსნიანო, აკაკიც იქ გაჩნდებოდა, და უმეტეს ნაწილად, საზოგადოების თხოვნით, სიტყვას წარმოთქვამდა ხოლმე. ფრიად სამწუხაროა, რომ ის სიტყვები არ შენახულა, როგორც მისი მჭევრმეტყველების ნიმუშები. აკაკის ყოველგან პატივისცემით ხვდებოდნენ და ასევე ისტუმრებდნენ ხოლმე. რაც უნდა კრება ყოფილიყო, აკაკის ფეხზე ადგომით ეგებებოდნენ.

ზოგი სიბოროტით, ზოგნიც უმეცრებითა და ფეხის ამყოლობით აკაკის შესახებ ისეთ ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს

მას არ უყვარდეს წიგნების კითხვა, აკლდეს განათლება და სხვა. ეს ჭორი იკვებებოდა ისეთ პირთაგან, რომელთა ახლო არც კი ენახათ აკაკი. სწერდნენ კიდეც გაზეთებში ასეთსა და სხვა მაგვარ ჭორებს. მე მყავდა ერთი გულითადი მეგობარი, ფრიად განვითარებული კაცი და ფრიადვე პატიოსანი — ექიმი ექვთიმე ვაშაკიძე, ბაქოდან თბილისში რომ გადმოვსახლდი, ის აქ დამხვდა. აკაკის არ იცნობდა პირადად. ერთხელ დავაპირე მათი ერთმანეთთან შეხვედრა. ექვთიმემ უარი მითხრა: მე არა ვარ ღირსი მასთან გაცნობისაო. გამიკვირდა. ამიხსნა. ერთხელ, თურმე, გაზეთში გაეწერა აკაკის საწინააღმდეგო რაღაც რამეები ვიღაცეების ჩაგონებით. აკაკის ვუამბე და ვკითხე, ხომ არ გწყენია-მეთქი, თუ წაიკითხე ის წერილი. სად უნდა დავიხსომო ან ვიწყინო ასეთი ამბებიო? შენ ხომ კარგად იცი, რომ შვილები დედ-მამის გინებით იწყებენ ხოლმე ენის ამოღებას და ჩვენშიაც ბევრი იწყებს წერას ჩემი გინებით, მაგრამ, როგორც დედ-მამას უხარია, ჩვენმა შვილმა ენა ამოიდგაო, მეც ისე მიხარია წერას რომ ეჩვევიან ყმაწვილები. ოღონდ შემდეგში სწერონ რიგიანად და ჩემი გინებით ვის რა დაუშავდებაო, მითხრა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ აკაკის უარმყოფლებს დიდი გასავალი არ ჰქონდათ საზოგადოებაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცდილობდნენ აკაკის დამცირებას ილია ჭავჭავაძის თვალში. მაგრამ ილია ჭკვიანი კაცი იყო და თავის დღეში სიამოვნებას არ იგრძნობდა აკაკიზე ცუდის თქმით.

აკაკის „თორნიკე ერისთავი“ რომ დაიბეჭდა, ქუთაისიდან ახლად დაბრუნებული ანტონ ფურცელაძე მისულიყო ილიასთან ჟურფიქსზე და ილიასათვის ეხარებინა ახალ ამბად ის, რომ მთელი ქუთაისის ინტელიგენცია აღელვებულია, აკაკის რომ ასეთი სისულელე შეუთხზავს — „თორნიკე ერისთავი“-ო. ილია გაჯავრებულა და უთქვამს ანტონისათვის: რას სულელობ?! ღმერთმა ნუ მომასწროს, რომ ქუთაისის ინტელიგენცია ისე გამოტვინებულიყოს, რომ „თორნიკე ერისთავი“ სისულელედ ეღიარებინოსო. აქ დამახასიათებელი ის არის, რომ ანტონს თავისი ფლიდობის გამო უნდოდა ესიამოვნებინა ილიასათვის, მაგრამ წაუხდა ნახტომი და შერცხვენილი დარჩა. ეს ამბავი გადმომცა ვანო მაჩაბელმა. აქ სიტყვამ მოიტანა, თორემ ილიაზე მე სხვა ადგილას მექნება საუბარი.

აკაკის ბევრიც ჰქონდა წაკითხული და ბევრსაც კითხულობ-
და, ხანდახან მთელი ღამეობითაც კი, წიგნები ბიბლიოთეკა-
დანაც გამოჰქონდა და ნაცნობ-მეგობრებიდანაც თხოულობ-
და. ქართული ნაწარმოები ხომ არასოდეს არ გამოეპარებო-
და. ჟურნალ-გაზეთებსაც ყველანი უგზავნიდნენ. სად ნახუ-
ლა, ან ვის გაუგონია, რომ აკაკის, საცა უნდა ყოფილიყო და
რაზედაც უნდა ყოფილიყო მსჯელობა, საუბარში მხურვალე
მონაწილეობა არ მიეღოს? არსად და არასოდეს! პირიქით,
ყველა იმის მოლოდინში იყო, თუ როდის რას იტყოდა აკა-
კი. ერთხელ მეტისმეტად აღტაცებული მესტუმრა. ნ. მარის
«Грузинские одописцы» და «Вытязь в барсовой шкуре»
წაეკითხა. „უთუოდ უნდა შემახვედრო მას, როცა ჩამოვა.
ვნახოთ და მადლობა ვუთხრა, თანაც ბოდიში მოვიხადო მის
წინაშე იმ ორიოდე სტრიქონის დაწერისათვის, რომელიც მის
წინააღმდეგ იყო მიმართულიო.“ მეორეჯერაც არანაკლებ აღ-
ტაცებული მოვიდა ჩემთან ალექსანდრე სუმბათაშვილი
„ღალატის“ წაკითხვის შემდეგ. „უნდა იმ მარჯვენას ვემთხვიო,
რომელმაც „ღალატი“ დაგვიწერაო“.

ჩემი „უკვდავების ხე“ წაეკითხა გალაკტიონ ტაბიძის ჟურ-
ნალში, მოსწონებოდა და მირჩია ებერსის მსგავსად მეწერა.
ბევრი რამ უამბნია აკაკის ჩემთვის პეტერბურგში ცხოვრების
დროიდან ლიტერატურული წიგნების შესახებ, პოლონსკისა
და სხვებზე, მაგრამ ახლა ჩემთვის ძნელია იმ მოგონებების
აღდგენა.

აკაკის რომ იუბილეს უხდიდნენ სხვადასხვა კუთხეში,
სოსიკო მერკვილაძე თან დაჰყვებოდა და საჩუქრებსაც ის აგ-
როვებდა. თბილისში მირთმეული საჩუქრები აკაკიმ ქ. შ. წ.-კ.
საზოგ.-ბას გადასცა, ხოლო დანარჩენ ადგილებში მირთმეუ-
ლი რა იქნა, სოსიკომ უნდა იცოდეს. იმ დღეებშივე, აკაკი რომ
ქუთაისს მიემგზავრებოდა, თბილისის სადგურზე ბილეთის
ყიდვისას, ორი ჩემოდანი დაჰკარგოდა ხელნაწერებით სავსე.
სოსიკო მერკვილაძის იმედით დაეტოვებინა და მისთვის კი
ვიღაცას ორივე ჩემოდანი მოეპარა. აკაკის ნათქვამით მახ-
სოვს, რომ „ღალატისა“ და „ვიდრე ხვალ?“ თარგმანიც ერთ იმ
ჩემოდანთაგანში უნდა ყოფილიყო. შესაძლოა აქ მღალატობ-
დეს მეხსიერება, მაგრამ ის კი დანამდვილებით მახსოვს, რომ

„ღალატის“ თარგმანი აკაკის დაკარგულად მიაჩნდა და ნაღვლობდა კიდეც.

ბაქოს ქართველმა ინტელიგენციამაც მიიპატიჟა აკაკი იუბილეს გადასახდელად. იუბილე ბრწყინვალედ ჩატარდა. იყვნენ ბაქოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. მრავალი მათგანის მისალმებას აკაკიმ პასუხი გასცა, ებრაელების გარდა. მოვიდნენ ჩემთან ებრაელთა წარმომადგენელნი, ფრიად შეწუხებული ამ ფაქტით — იფიქრებენ, აკაკის სძულს ებრაელები, და მთხოვეს შუამდგომლობა, რომ აკაკის წარმოეთქვა სიტყვა, აკაკი იმწამსვე დამთანხმდა, თუ მოხერხებული იქნება ხელახლა ფარდის ახდა და სცენაზე გამოსვლაო. გარემოების ბატონ-პატრონი ჩვენ ვიყავით და ხელს ვინ შეგვიშლიდა? აიხადა ფარდა, გამოვიდა აკაკი და წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა, რასკვირველია, რუსულ ენაზე. ტაშის გრიალი ხშირად გაისმოდა სიტყვის მიმდინარეობის დროს და, დასასრულ, ხომ მთელმა საზოგადოებამ ფეხზე აღგომით ოვაციები გაუმართა. ეს რომ ხუთშაბათს მოხდა, კვირას წარმომადგენლებმა მიგვიპატიჟეს აკაკი და მე სასტუმრო „ევროპაში“, სადილი შუაღამემდის გაგრძელდა და აკაკი დიდისვე ოვაციებით გაისტუმრეს. ბედნიერია ის ერი, რომელსაც თქვენისთანა დიდებული პოეტი უგალობს, ბედნიერია ის საზოგადოება, რომელსაც თქვენი მოსწრებული სიტყვა ატკბობსო, — მოახსენა ტოლუმბაშმა. მიუხედავად ხნოვანებისა, აკაკი არ ზოგავდა მოსწრებულ სიტყვასა და აუწერელ აღტაცებაში მოჰყავდა მთელი საზოგადოება.

აკაკის უყვარდა მშრომელი ხალხი: მუშა, გლეხი და მშრომელი ინტელიგენცია... სძულდა თავადაზნაურობა, როგორც ფეოდალური წოდება, უსაქმური და პარაზიტული. ეს სიძულვილი, რასაკვირველია, არ ეხებოდა იმ აზნაურებსა და თავადებს, რომელნიც ქვეყნის სასარგებლოდ მოღვაწეობდნენ. აკაკიმ მოხერხებულად იცოდა ახალგაზრდა საიმედო მოღვაწის გამხნევება, პატივისცემა. ფუტკარივით ჩამოუვლიდა ხოლმე აკაკი დიდი ფეოდალების ოჯახებს, რომელნიც მას ხვდებოდნენ გარეგნულად დიდი პატივისცემით, ხოლო ფარულად დიდივე სიძულვილით. მან მშვენივრად იცოდა, თუ ვის როგორ ეპრიანებოდა მისი სტუმრობა, მაგრამ აინუნშიაც არ იგდებდა ასეთი მასპინძლების განწყობილებას და თავის საქმეს

აკეთებდა აუშფოთებლად, ამზადებდა მასალას თავისი თხზულებებისათვის. მოგვარეები აკაკის არ უყვარდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ისინი ამაყობდნენ დიდებული მგოსნით.

აკაკის ძმა დავითი, მაინცდამაინც, დაახლოებული არ იყო მასთან. აკაკისთან ცხოვრობდა მისი და ანა, ძალიან ახირებული ადამიანი, სრულიად გახალხოსნებული და სოფლის ექიმბაში. ანა სტუმრებთან არ გამოდიოდა, დროს ატარებდა უმთავრესად საჯალაბო სახლში. იქ ლესავდა ფერად ქვებს წყალში, ხარშავდა ბალახბულახებს და აძლევდა თავის პაციენტებს, რასაკვირველია, არა უფასოდ. ჩემთან ანა გამოდიოდა და, როცა მარტონი ვიყავით, მეკამათებოდა წამლების შესახებ. რასაკვირველია, მისთვის, როგორც ექიმბაშისთვის, განუკურნელი სნეულება არ არსებობდა.

7—8 წლის ვიყავი, თითქმის ყოველდღე ვხედავდი ილიკო წერეთელს, აკაკის ძმას, რომელსაც ძვირფასი ცხენები ჰყავდა ეტლში გაბმული, და ფეხით მოსიარულეს ვერ ნახავდით. ილიკო იყო ბანქოს დიდი მოთამაშე და ამბობდნენ, პეტერბურგში, კანვოიში სამსახურის დროს, ვიღაცას დიდი ფული მოუგოო. ის ყოველდღე ნესტორ წერეთლის სტუმარი იყო და მისი განუყრელი მეგობარი. ილიკოსი არ ვიცი, და დავითი კი ფრიად სიტყვამოსწრებული კაცი იყო და მასთანვე წვრილმანი მასხარაც. ტყუილებიც ძალიან უყვარდა. ჩემს ნაცნობობის დროს ღარიბულად ცხოვრობდა. გასაცინებლად აკაკისაც უყვარდა ხოლმე ტყუილი, სრულიად უვნებელი და არაბოროტი. საერთოდ სიბოროტე არ ეკარებოდა აკაკის გულს. პირიქით, იგი მუდამ და ყველასათვის კეთილის მოსურნე იყო, თვით ისეთებისათვისაც, რომელნიც მას ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ. ეს მე დანამდვილებით ვიცი. აკაკისაგან არასოდეს ცუდი რამ ვინმეზე არ გამიგონია. აი, თუნდაც ილიაზე. ეს კი განმეორებით უთქვამს ჩემთვის: „მერცხალი ჭყივის“ რა პოეზია არისო. ამ მხრივ ბევრად მეტი გამკრიტიკებელი იყო ილია. ვოლსკი. აიღებდა ხოლმე საანგარიშოს, ჩააგდებდა ერთს რგოლს და თან ილიას ლექსის ტაეპს წაიკითხავდა, სწორედ ბანკშია ეს ლექსი შეთხზულიო.

იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ აკაკიმ გაჯავრება იცოდა. ერთს თავის მოგვარეს ნარდს ეთამაშებოდა. მოგვარე ხშირად სიყალბეს კადრულობდა, ერთის მაგივრად მეორეს გაითამაშებდა

და აქ აკაკი გაკაპასდებოდა ხოლმე, მით უმეტეს, რომ ფიფლ-
წაგება 25 მანეთად ულირდა. აკაკის პარტნიორი ... (illegible)
კადრულობდა და თამაშითაც აკაკიზე უკეთ თამაშობდა. აკ-
კის არ მიაჩნდა იგი უკეთეს მონარდედ და მუდამ ექიშპებო-
და. აბა, ერთი კიდე ვითამაშოთ, ვნახოთ, ვინ მოიგებსო, და
ყოველი ასეთი სანახაობა მას 25 მანეთად უჯდებოდა. რასაკ-
ვირველია, როდესაც აკაკის ფული ჰქონდა, ეს მონარდე იქნო-
ბამდის არ მოშორდებოდა, და თანაც აქეზებდა, ვიდრე ჯიბეებს
არ დაუცარიელებდა ხოლმე, თუ აკაკი უფულო იყო, როდი
ეთამაშებოდა. ამ ადამიანის სახელს განზრახ არ ვიხსენიებ,
რადგან, პირველ ხანაში, მე იგი რიგიან კაცად მიმაჩნდა და
ბოლოს კი დავრწმუნდი, რომ იგი საერთოდ ყალბი და ფლი-
დი კაცი იყო. ასეთი ადამიანის სახელს აკაკის სახელთან არ
უკვდავვყოფ.

ქუთაისში აკაკის ჰყავდა ერთი დიდი თაყვანისმცემელი და
მეგობარი — სერგია ბახტაძე, ჟურნალისტ ილია ბახტაძის ძმა.
დღეს არც ერთი აღარ არის ცოცხალი. სერგია უცოლშვილო
იყო, ჰქონდა საკუთარი სახლი და ამ სახლის შეძენის შემდეგ,
ქუთაისში ყოფნისას, აკაკი მუდამ მასთან ცხოვრობდა. უკა-
ნასკნელ ხანში სერგია ძალიან აეშალა აკაკის, წერილიც მის-
წერა: შენთან მეგობრობაზე ამის იქით ხელს ვიღებო. ეს ამ-
ბავი ელდასავით ეცა აკაკის. ჩემი ბრალიაო, მითხრა აკაკიმ,
და მომიყვა, თუ რატომ გაურისხდა მას სერგია. თურმე სერ-
გიას ჰყავდა ერთი კარგი ნაცნობი — მკერავი ქალი, რომელიც
ხშირად დაიარებოდა მასთან და საცვლებს უკერავდა. ეს ქალი
ბოლოს ჩაუსახლდა სერგიას და დიასახლისად გაუხდა. სერ-
გიას ძმას ეს თურმე არაფრად ეპრიანა და სთხოვა აკაკის,
ჩაეგონებინა სერგიასათვის, რომ ეს ქალი გაეშვა. ამასთანავე
ეამბნა აკაკისათვის, რომ, რაც ეს ქალი ჩასახლდა სერგიასთან,
და-ძმას მის სახლში აღარ მიგვესვლებაო, ისე ტლანქად და
უზრდელად გვეპყრობა, რომ სერგიაზე ხელი უნდა აგვაღები-
ნოსო, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ სერგია მასზე ჯვარის და-
წერას აპირებსო და მაშინ კი ვეღარავინ შედგამს ფეხს სერ-
გიას სახლშიო. გავბრიყვდი და ვურჩიე გაშორებოდა იმ ქალ-
საო, მაგრამ სერგიამ ჩემი გაშორება ამჯობინაო. აკაკი ძალიან
დაღონებული იყო ამ ამბით და ფიქრობდა: დრო გავა და სერ-

გია გულს მოიბრუნებს ჩემზედაო. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი მას არ გაუმართლდა და მართლაც სამუდამოდ დაკარგა ეს მეგობარი. პარიზიდან აკაკი აპირებდა ქუთაისში ჩასვლას და სწუხდა: სერგიასთან მივიდე, ვაითუ არ მიმიღოს და თუ მასთან არ გავჩერდი, ვაითუ მიწყინოსო. ამის შესახებ მომწერა აკაკიმ პარიზიდან მისი აქ უკანასკნელად ყოფნის დროს და მთხოვდა რჩევას. მე ვურჩიე, არ მისულიყო სერგიასთან, მართალიც გამოვდექი.

საბოლოოდ, აკაკიმ სერგია მაინც განუშორებელი დატოვა თავის სახელთან, იგი გახდა თავისი უკანასკნელი ნების ერთერთ აღმასრულებლად. სერგიამ ეს ამბავი სრულიად დამსახურებულად მიიჩნია და აკაკის გარდაცვალების შემდეგ იგი ჭირისუფლობასაც კი ჩემულობდა...

ვანო მაჩაბლის დაკარგვასთან დაკავშირებულ ბოროტსა და საზიზღარ ჭორების შესახებ დღემდის მეკითხებიან: მართლა დასტოვა აკაკიმ ცალკე დახურული პაკეტი საიდუმლო წერილით, რომელიც მის ნების აღმსრულებელთ სიკვდილის შემდეგ ათი წლის გასვლისას უნდა გაეხსნათ და წაეკითხათო? არაერთხელ მიპასუხნია და ახლაც საბოლოოდ ვაცხადებ: არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ბოროტს ან, რბილად რომ ვსთქვათ, სუსტი ჭკუის ადამიანს შეუძლია იფიქროს, რომ აკაკიმ იცოდა ვანო მაჩაბლის დაკარგვის ამბავი და ეს ამბავი რაღაც საიდუმლო ბარათში დატოვაო, ისიც მისი სიკვდილის შემდეგ ათი წლის გასვლისას წასაკითხადაო. ეს ათი წელიწადი რისიღა მანქანაა?! ათი წლის განმავლობაში გარდაცვლილ აკაკის შეეძლო კიდევ რისიმე გრძნობა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს უაზრო ვადა?.. რასაკვირველია, რომ ამ საზიზღარ ჭორებს ზოგჯერ თითქოს ჭკვიანებიც კი იმეორებდნენ. წერილები თუ ნაწერები, რაც კი დაგვიტოვა აკაკიმ, ყოველივე დანომრილია და აღნუსხული განსაკუთრებულ ოქმში, რომელზედაც ხელი გვიწერია მე და ექვთიმე თაყაიშვილს, და რომელიც ინახება საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოებაში.

ვის არ გაუგონია ან არ წაუკითხავს ვასილ კირვალიძის ამბავი. ეს პატიოსანი მშრომელი მუდამ იმის ფიქრში იყო, თუ რით ემსახურა აკაკისათვის. ავად იყო აკაკი თუ კარგად, ვასილი მუდამ მზად იყო დასდგომოდა თავზე და მოევლო მისთვის,

როგორც მამისათვის. ერთხელ ხარკოვშიც კი წაჰყვა და იქ ემსახურებოდა, მაგრამ ამის შესახებ თვითონ ფრიად [illegible] ცემულ ვასილს აქვს თავისი მოგონებები და სჯობს [illegible] უსმინოთ. მარტო ვასილი კირვალიძე როდი იყო შეპყრობილი აკაკისადმი უანგარო სამსახურის სურვილით. ბევრი სხვებიც იყვნენ, შაგრამ აკაკი უარზე იდგა: მე რომ არა გამაჩნია, თქვეს რა გაჭამოთო.

მე მყავდა ფარეშად ერთი ღირსეული ადამიანი — დავით თაბაგარი, აწ უკვე განსვენებული. აკაკის სტუმრობა დავითს არანაკლებ ესიამოვნებოდა, ვიდრე ჩვენ, თუმცა ეს სტუმრობა დავითის შრომას ჩემს ოჯახში ერთიორად ართულებდა. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა აკაკის მშრომელ ხალხთან.

თვითონ აკაკი თავის დღეში არ დაავალებდა ხელზე მოსამსახურეს თავისთვის რაიმე შრომას. სხვის დავალებაზე მეტად და უკეთ მიაჩნდა თვითონ გაეკეთებინა იგი, მაგრამ მოსამსახურეთ წინასწარ ჰქონდათ ყოველივე გათვალისწინებული და გაკეთებული.

მომავლის მთელს იმედს აკაკი მშრომელ ხალხზე ამყარებდა. ძველადაც თავადები და აზნაურები ხომ უბრალო ხალხიდან იყვნენ და ამ წოდებრივ წარმატებას რაიმე დამსახურების მეოხებით ღებულობდნენო. კვლავაც ასე იქნება, წინ წამოიწევიან უფრო ნიჭიერი და გამოჩენილი პირები მშრომელი ხალხიდან და თავადებიც ისინი იქნებიანო. შეიძლება და უთუოდაც მომავალში მათ სხვა სახელს დაარქმევენ, რადგან არც ძველი თავადობა იყო მუდმივი და შთამომავლობითი სახელიო. აკაკი ირწმუნებოდა, რომ თავადობას აძლევდნენ რომელსამე გამოჩენილ მოღვაწეს პირადად და არა მემკვიდრეობით, ასევე აზნაურობასაც. მიწებიც (მამულიც) ამ წარჩინებულ პირებს ეძლეოდათ პირადად, და სიკვდილის შემდეგ ეს ნაბოძარი მამულები გადადიოდა იმ პირთა მფლობელობაში, რომელნიც თავადობას ან აზნაურობას დაიმსახურებდნენო. ამიტომაცო, — ამბობდა იგი, — თავადად და აზნაურად თვით დაჯილდოებულნი მოიხსენიებოდნენ, ხოლო მათ შვილებს თავადიშვილებსა და აზნაურიშვილებს უწოდებდნენო. ეს თავადიშვილები და აზნაურიშვილები მამების სიცოცხლეში იყვნენ უფლებრივი და ქონებრივი პრივილეგიებით აღჭურ-

ვილნი, და თუ თვითონ არ დაიმსახურებდნენ თავადაზნაურობას, წინაპართა მდგომარეობას უბრუნდებოდნენო. ამასთანავე აკაკი ირწმუნებოდა, რომ მამულები თავადაზნაურებს სამუდამო საკუთრებად მისცა და დაუმტკიცა რუსის მთავრობამო. მანამდის მთელი მიწა მეფის საკუთრებას შეადგენდა და ისიც იმას აჩუქებდა, ვინც ქვეყნის სამსახურში დაწინაურდებოდა ხოლმეო. ამ რწმენის ისტორიული საბუთი, რასაკვირველია, მას არა ჰქონდა რა ხელში, მაგრამ ეს მისი ღრმა რწმენა იყო და ამაზე ლაპარაკიც ხშირად უყვარდა.

„ჰეი გიდი! ნეტავ ხელახლა დაარიგებდნენ თავადაზნაურობას და მაშინ დავინახავთ, თუ ვის ერგება ეს სახელწოდება!“ — ხშირად იტყოდა ხოლმე. — „ვაი, თუ დღევანდელ თავადებს ფეხადობაც კი არა ხვდეთო!“

როცა დიდი უფულობა დაუდგებოდა, აკაკი დაიწყებდა პატარა ბავშვივით ჟინიანობას, მიზეზიანობას. ყველაფერში დამნაშავე იყო ქართველი ინტელიგენცია, რომელსაც „სურს მისი სიკვდილი და ამიტომ არათუ ხელს არ უწყობს გაჭირვების დროს, არამედ, პირიქით, ყოველმხრივ ცდილობს დაიმშეს და მოკვდეს“... მაშინ მოუვიდოდა ოსმალეთში გადასახლების ჟინი. რა უნდა გააკეთო-მეთქი ოსმალეთში, რომ შევეკითხე, მიპასუხა: იქ, სტამბოლში, არის წმ. მარინეს მონასტერი, რომელშიაც მოღვაწეობენ ქართველი კათოლიკე ბერ-მონაზვნები, მივალ იმათთან, იქ წყნარად და დამშვიდებით ერთიორად ნაყოფიერად ვიმუშავებ, დარწმუნებული, რომ ბერები მამაშვილურად მომივლიანო. გაჩნდებოდა საიდანმე თუნდაც ცოტაოდენი ფული თუ არა, ოსმალეთზე ფიქრიც გაქრებოდა და ბავშვური უხიაგობაც.

ახლა ისიც განვიხილოთ, ჰქონდა თუ არა აკაკის ინტელიგენციის ასეთი სიძულვილის საბაბი. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჰქონდა სრული უფლება, და აი რატომ. ჯერ იყო და ხმას ავრცელებდნენ: აკაკი წერეთელმა შორაპნელ ცნობილ ხალხურ მგოსანს — ბლიაძეს ლექსების მთელი რვეული მოპარა და ახლა თავისი სახელით ასაღებსო. ვინ იყო იმ ჭორის შემთხზველი და გამავრცელებელი? — რასაკვირველია, ინტელიგენცია. აკაკი ქვეყანას ყვლეფს, ფულს სესხულობს და არავის აღარ უბრუნებსო. ვინ იყო ამის მთქმელი და გამავრ-

ცელებელი? — რასაკვირველია, ინტელიგენცია. აკაკი ადამიანის შეურაცხმყოფელია, გაუტანელი, მაშინაც კი, როდესაც შენსას სჭამს და სვამსო და სხვა. ვინ იყო ამის მთქმელი? — რასაკვირველია, ის საზოგადოებრივი მავნე პიროვნებები, რომელთაც აკაკი კალმითაც და სიტყვითაც არ ზოგავდა. ვინ იყო ამ ნათქვამის უკრიტიკოდ, დაუფიქრებლად გამავრცელებელი? — რასაკვირველია, ინტელიგენცია, რომელიც მუდამ მზად იყო სიხარულით გაევრცელებინა აკაკიზე ცუდი ხმები. აკაკი ბანკიდან ყოველთვიურად პენსიას იღებს, ხშირად ეღიტინება ბანკის გამგეობას, ავანსად მომეცით რამდენიმე თვისო და სხვა. ვინ იყო ამ ჭორის მთქმელი და გამავრცელებელი? — რასაკვირველია, ის ჩინოვნიკური ინტელიგენცია, რომელიც ჯამაგირსაც, ავანსებსაც და პენსიასაც ღებულობდა. თითქოს მისთვის „საზიზღარი" მეფის მთავრობისაგან, რომლის წინაშეც ხშირად კი არა, მუდამდღე თავსაც იმცირებდა და თავის ქვეყანასაც ყიდდა. დღესაც კი დაღოღავენ დედამიწაზე ისეთი „ობივატელები", რომელნიც ჭორებს დაუფიქრებლად ავრცელებენ და ირწმუნებიან, რომ მათი ნათქვამ-მოჭორილი მართალია. ამ „სუბიექტებს" ფიქრადაც არ მოსდით ის ამბავი, რომ განათლებული ერები საშვილიშვილოდ უზრუნველყოფენ ხოლმე თავიანთ მოღვაწეებს ქონებრივად. მაგალითებზე შორს არ წავალ. ლოტბარ აგრენევ-სლავინსკის, რომლის გუნდიც რუსულ ხალხურ სიმღერებს მღეროდა, მოსკოვმა მიართვა ნახევარი მილიონის ქონება. მსახიობ პრავდინს იმავე მოსკოვმა მიართვა ამოდენივე ღირებულების ქონება. რომანისტ სენკევიჩს მისმა ქვეყანამ (პოლონეთმა) მიართვა მილიონზე მეტი ღირებულების მამული...

თქვენ, ბბ. „ობივატელებო", რითი ისახელეთ თავი ასეთ დიდი მოჭირნახულის წინაშე, როგორიც იყო აკაკი?! უხიაკი ჭორების გავრცელებით! აფსუს!

მეტი რა ითქმის?

ყველაზე მეტად მე პირადად მაღელვებს ჭორი ფულის სესხების შესახებ, რომელიც წამდაუწუმ გაისმის „ობივატელებისაგან". აკაკიმ დაგვიტოვა ანდერძი, რომელშიც აღნუსხა დაწვრილებით, თუ ვისი რა ემართა, და გვთხოვა მისი ნების აღმსრულებელთ, რომ ეს ვალი გადაგვეხადა მის მიერ დატოვებული ქონებიდან. ყველაზე მეტი ვალი აკაკის ჩემი

ჰქონდა — 1000 მან. და ექ. გიგო ელიავასი — 400 მან. დანარ-
ჩენი წვრილი თანხები იყო, რომელიც ჩვენ გავისტუმრეთ. ...
გიგო ელიავამ და მე უარი ვთქვით სესხის განაღდებაზე. აკა-
კის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებმა სთხოვეს საზოგა-
დოებას წარმოედგინათ თავისი პრეტენზიები, თუ აკაკის ვი-
სიმე რაიმე ვალი ჰქონდა. არავის პრეტენზია დღემდის არ გა-
მოუცხადებია, მაგრამ ნებას კი აძლევენ თავიანთ თავს იჭო-
რიკნონ ვალების შესახებ...

სირცხვილია, მეტი რომ არა ვთქვა რა!..

ზოგ თბილისელთაგანს დღესაც ეხსომება თბილისის სა-
ბაჟოს ყოფ. წევრი ივანე ესტატეს ძე ერისთავი. იმან სწავლა
დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტში და 60-იან წლებ-
ში უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროში მსახურობდა. ივა-
ნემ შეირთო პეტერბურგში გარუსებული მილიონერ რუაძის
ერთადერთი ქალი და მილიონების პატრონი შეიქნა. ეს ერის-
თავი და მე, ჯერ კიდევ აკაკის სიცოცხლეში, ვიყავით მრავალ
სტუმრებთან ერთად ერთს ოჯახში, სადაც აკაკის მონათესავე
წერეთელიც იმყოფებოდა. აკაკიზე ჩამოვარდა საუბარი, მას
მოსწრებულ სიტყვაზე. თქვეს რამოდენიმე მისი მოსწრებუ-
ლი სიტყვები. მასალა რომ შემოელიათ, ვიღაცამ დაიწყო ლა-
თაიები აკაკის მიერ ფულის სესხებისა და არჩასესხების შესა-
ხებ. როცა მე შევეკითხე, თუ რომელი დამსწრეთაგანის მარ-
თებს აკაკის-მეთქი, ერისთავმა გვიამბო შემდეგი: როდესაც
პეტერბურგში ვცხოვრობდი, ეს დიდი ხნის ამბავია, ერთ და-
ლით მესტუმრა აკაკი და დამესესხა 6000 მან. ორი კვირით.
მაშინ ის სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ საყვარელი პოეტ-
იყო. ჯვარს ვიწერ ამ და ამ ქალზე და უთუოდ გადაგიხდიო.
დაუყოვნებლივ შევუსრულე თხოვნა. გავიდა ორი-ექვსი-შვი-
დი კვირა, არც აკაკი ჩანდა და არც ფულიო. ორი თვის შემ-
დეგ გაჩნდა ჩვენი პოეტი და ფულიც უკლებლივ მომიტანა.
თქვენ კარგად იცით, — მოგვმართა ივანე ევსტაფიჩმა, — სად
და როგორ გაქრა ჩემი მილიონები, მაგრამ ეს არ გცოდნიათ
და ამის იქით გთხოვთ იცოდეთ, რომ აკაკი იყო ის ერთადერ-
თი კაცი, რომელიც სრული სინდისით მომეპყრა და რომელ-
მაც ესოდენ დიდი თანხა, რომლის იმედი სრულიადაც არ მქონ-
და, უკლებლივ დამითვალაო. წინასწარ ვიცოდი, რომ ივანე

ევსტაფიჩი აკაკის დიდი პატივისმცემელი იყო, მაგრამ, ვიდრე იგი ამბავს დაასრულებდა, დიდად ვღელავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მოღვაწეთა შორის აკაკი გახსაკუთრებულ პატივს სცემდა დიმიტრი ყიაფიანს და მის ხსოვნას: ის დიდი სიამოვნებით მოგვითხრობდა ხოლმე დიმიტრის ცხოვრებისა და საზოგადო მოღვაწეობის ამბებს. ამ დიდებული მოღვაწის პატივისცემამ ფრთები შეასხა სახელოვანი მგოსნის შემოქმედებას და დააწერინა ისეთი შედევრი, როგორიც არის „გასთიადი“.

სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ ლექსში „მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისასა“, „მტრის ურჩი რაინდი“ არის დიმიტრი ყიფიანი, რომლის ნეშტიც დაკრძალულია მთაწმინდაზე. დიახ, დიმიტრი ყიფიანი მტრის ურჩი რაინდი იყო და ეს საუკეთესო დახასიათებაა მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის.

რატომ პირდაპირ არ დაასახელა აკაკიმ დიმიტრი ყიფიანი, — იკითხავს მკითხველი, — და „მტრის ურჩი რაინდით“ აღნიშნა მისი ხსოვნაო: იმიტომ, რომ იმ დროს იმისი ხსენება აკრძალული იყო, როგორც პოლიტიკური დამნაშავის.

აკაკი ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგი იყო. უსულო საგანზედაც კი ვერ ითმენდა ძალმომრეობას. ვარდის ან, საზოგადოდ, ყვავილის მოწყვეტა სძულდა და თავის დღეში მოწყვეტილ ყვავილს ხელში არ იჭერდა. ხოლო როდესაც თაიგულს ვინმე მიართმევდა, იქვე მდგომ ქალს ან ბავშვს მისცემდა. ყვავილი კარგია, როცა თავის ძირზე ჰყვავისო, — იტყოდა ხოლმე, — და მოწყვეტილი უკვე მკვდარია და საბრალოო.

ეტლში ჯდომა აკაკის არ უყვარდა. ფეხით სიარული ერჩია, სადაც შეეძლო და, თუ ეტლში ჩაჯდომა მოუხდებოდა, ნებას არ მისცემდა მეეტლეს ცხენები გაეჭენებინა: არსად მიმეჩქარება და თუ კაცი ხარ, ცხენებს ნუ აწუხებ, ნელა წამიყვანეო.

ბანქოს თუ ნარდის თამაში აკაკის, მართალია, ძალიან უყვარდა, მაგრამ არც ისე უზომოდ, რომ სხვა გონივრული თავის გართობისათვის არ ცალებოდეს, პირიქით, ყოველგვარი წარმოდგენა-სალამოების მუდმივი დამსწრე იყო და, როცა

საინტერესო მობაასე ჰყავდა, ბანქოს ან ნარდის თამაში არ მოაგონდებოდა ხოლმე. რამდენჯერმე მომიპატიჟნია ჩემს ოჯახში პარტნიორები აკაკისთან ბანქოს სათამაშოდ, მაგრამ არც ერთხელ მას არ მოუსურვებია ჩემსას ბანქოს თამაში. აბა, რად მესაჭიროება ბანქოს თამაში, როდესაც თქვენთან საუბარი ბევრად უკეთესი და სასიამოვნოა ჩემთვისაო, — მეტყოდა ხოლმე. ბევრგან არ მიმესვლება და ვისთანაც მიმესვლება, მუდამ თავის მობეზრების მერიდებაო, თორემ ბანქოს და კამათელს ხელშიაც არ ავიღებდიო, — მრავალჯერ უთქვამს.

1913 წ. აპრილში მალარიით ვიყავი ავად და ერთხანს თბილისში მარტო ვიყავი .აკაკი თითქმის ყოველ საღამოს შემოდიოდა ჩემთან და ორი-სამი საათის განმავლობაში მართობდა თავისი ტკბილი საუბრით. როცა ახალი შემოელეოდა, ძველ ამბებსაც მომიყვებოდა ხოლმე, ჩემ მიერ უკვე მრავალჯერ გაგონილს, მაგრამ ისეთი ფერადებით მოქარგულს, რომ ახალთ-ახალი გეგონებოდათ. მისი დიადი ნიჭის ეს თვისება — თხრობის მომხიბვლელი ფერადებით გამშვენიერება — ზოგს სიცრუე ეგონა. იმე, რა მშვენივრად მოიცრუებს ის დალოკვილიო, — ამბობდნენ ხოლმე. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკი, როგორც დიადი ნიჭის პატრონი, ხშირად ისეთ რამეს ამჩნევდა, რასაც უბრალო მომაკვდავი მისი თქმის შემდეგაც კი იოლად ვერ წარმოიდგენდა ხოლმე, და ამიტომ ნათქვამი სიცრუედ მიაჩნდა.

აკაკიმ უმაღლესი სწავლა მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, რომელმაც მისი სახელი უკვდავყო ოქროს დაფაზე ჩაწერით.

ერთხელ ბაქოში ჩემთან ყოფნის დროს აკაკიმ გამაკვირვა თავისი მეხსიერებით, კიდევ ახსოვდა თურქული ენა იმდენად, რომ რუსულის არმცოდნე აზერბაიჯანელთან ლაპარაკში დამეხმარა.

მოწყენის დროს აკაკის უყვარდა ასეთი ამონაკვნესი: „ჰე ჰეი, ფიქირ ბეი!“ ხშირად ხმარობდა თანხმობის ნიშნად სიტყვას „ბაშუსტი“.

ქართულ ენაზე ბაასის დროს არ სწამდა რუსული სიტყვების ან ფრაზების ჩარევა. თუ საჭიროება მოითხოვდა, სულ რუსულად იბაასებდა. ორივე ენაზე მომხიბლავი ლაპარაკი

იცოდა, როგორც ხმის ტემბრით, აგრეთვე მხატვრული თხრობით. დამშვიდებული როცა იყო, თავს ინუგეშებდა ხოლმე — იმით, რომ ქართველ ხალხს თავისებური ფსიქოლოგია აქვს, როდესაც პირუტყვს ულელში შეაბამს და სამუშაოდ გაიყვანს, რაც შეუძლია უტლაშუნებს გვერდებზე სახრეს და უშვერი ენით ლანძღავსო, ხოლო დასვენებისას მოუყვება ალერსსა და ყოველგვარ პატივისცემასო. თავის მოღვაწეებსაც ასე ექცევაო და სწორედ ქართველი ხალხის ეს ხასიათი მათმენინებს ხოლმე იმ უსამართლობას, რომელსაც ხშირად მაგებებენ ხოლმეო. განსაკუთრებული გულისტკივილით ხშირად მოიგონებდა ცილისწამებას მისი სიზარმაცის შესახებ: აბა, გამოსცენ ჩემი ნაწერების კრებული და მაშინ მიკიჟინონ სიზარმაცის შესახებაო, — იტყოდა ხოლმე.

აკაკი დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაწერების მთლიანი გამოცემა არანაკლებ ორმოცი ტომი იქნებოდა. ვფიქრობ, შუატანის ტომზე თუ იქნა ლაპარაკი, ეს მისი ვარაუდი უნდა გამართლდეს.

ილია ჭავჭავაძესა და ვანო მაჩაბელს შორის ატეხილ უთანხმოებაში, რასაკვირველია, ერთნი ემხრობოდნენ ერთსა და მეორენიც — მეორეს. აღმოჩნდა ისეთი ჯგუფიც, გიორგი დურმიშხანის ძე ჟურულის მეთაურობით, რომელმაც თავისთავი ნეიტრალურად გამოაცხადა. ამ ჯგუფში იყვნენ პეტრე და პავლე (პალიკო) ყიფიანები და სხვანი. ის ყიფიანები, რომელნიც ერთს ფელეტონში აკაკიმ დააახასიათა: პეტრე — პავლეს „დავესკა“ არისო და პავლეც — პეტრესიო: ეს იმიტომ, რომ ეს ორი ბიძაშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწენი, ფრიად მცირედი ღირებულებისანი, მუდამ ერთად იყვნენ და განუშორებლივ აიტუზებოდნენ ხოლმე ამა თუ იმ საქმის გვერდით, ვითომც და ჩვენც ნახირ-ნახიროო. ეს ნეიტრალები, და მათთან ერთად ფრიად მცირერიცხოვანი მათი მიმდევრებიც, რასაკვირველია, ლამობდნენ არც ხორცი დაეწვათ და არც შამფური, მაგრამ, რაც უმთავრესია, უაღრესი სამართლიანობის ხალხად მოჰქონდათ თავი. ეს ნეიტრალობა, რა თქმა უნდა, ფრიად გამჭვირვალე იყო და აბა, როგორ გამოეპარებოდა ეს ისეთ შორსმჭვრეტელსა და ჭკუამახვილ კაცს, როგორიც აკაკი იყო! მან კიდევაც დაუყოვნებლივ შეთხზა თავის დროისათვის ფრიად „სადღეისო“ და გავრცელებული ლექსი „ნეიტრა-

ლი", რომელსაც სიცილ-ხარხარით იზეპირებდნენ და იმეორებდნენ.

ერთ დროს აკაკი დიდ ქონებრივ გაჭირვებას განიცდიდა. რაც კი დედულ-მამული გააჩნდა, ყველაფერი გაყიდული ან დაგირავებული ჰქონდა. მწერლობა რას მისცემდა, და სხვა ხელობა აკაკის ხომ თავის დღეში არ ჰქონია. თუ არა სასტუმროების პატრონები, აკაკიც არ იქნებოდა და ადრეც გამოესალმებოდა ამ წუთისოფელს. ასეთ პირთა შორის ქუთაისში ცხოვრობდა ვინმე გიორგი ჭოლაძე, საუკეთესო სასტუმროს მეპატრონე. გიორგი დიდ თაყვანს სცემდა აკაკის და მუდმივ ასაზრდოებდა მას, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ფული. ზოგჯერ ფულითაც კი ეხმარებოდა. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ აკაკიზე დახარჯულს ერთიორად მიიღებდა, თუ აკაკის ბედი წალმა დაატრიალებდა, თუ არადა მისი ჭირის სანაცვლო იყოსო, — იტყოდა ხოლმე.

დიდი პოეტურის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი მეტად მგრძნობიარეა, დიდი დაკვირვების ნიჭითა და წინათგრძნობითაა აღჭურვილი, ფრიად გამჭრიახია, ჭკუამახვილი და შორსმხედი. ამგვარ ადამიანებს ძველად წინასწარმეტყველს ეძახდნენ. აკაკიც წინასწარმეტყველი იყო. ის ხშირად წინაგრძნობით განსჭვრეტდა მომავალს როგორც საზოგადო, აგრეთვე კერძო ცხოვრებაშიც. სიკვდილის მოახლოებასაც აკაკი სრულიად აშკარად გრძნობდა.

ქუთაისს წასვლის ორი დღის წინ აკაკისთან შევიარე. ეამა ჩემი ნახვა, მომესალმა, მომეხალისა. ოჯახის საქმეებზე მებაასა და, წასვლა რომ დავაპირე, მითხრა: ხვალ შენთან ვისადილებ, თუ ღომსა და ახალ თევზს გააკეთებინებ მზარეულს, თან გამოგეთხოვოთ უნდა, ზეგ საჩხერეს მივემგზავრებიო.

ბატონი ბრძანდები-მეთქი, ვუპასუხე მხიარულად და ხელი ჩამოვართვი.

მეორე დღეს, მართლაც, სადილად მობრძანდა. ჩვეულებრივად სიხარულით მივეგებეთ ძვირფას სტუმარს, მხოლოდ აკაკის უცნაური, არაჩვეულებრივი დაღვრემილობა ეტყობოდა. ყველამ შევამჩნიეთ და დავეკითხეთ კიდეც — რად იყო ასე უგუნებოდ.

— ეჰ, გული მტკივა, რომ უკანასკნელად ვარ თქვენთან.

— როგორ თუ უკანასკნელად? — შევეკითხე.

— ისე, უკანასკნელად, მეტს ვეღარ გნახავთ. მივდივარ საჩხერეს სამუდამოდ. იქვე დავიმარხები!..

ცრემლები ყელში მომადგა. კრინტიც ვერ დავძარი.

— რატომ ბრძანებ ასეთს არასასიამოვნოს, ბატონო აკაკი, ხომ იცით, როგორ უყვარხართ ჩემ ქმარ-შვილს და რად გვაყენებთ ასეთ უსიამოვნებას? — შეეკითხა ჩემი ცოლი.

— არც მე მინდა ამის ფიქრი, მაგრამ რა ვქნა? დარწმუნებული ვარ, რომ მეტს ვეღარ გნახავ, და ეს გულს მიკლავს!..

სადილიც მოიტანეს. სუფრას მივუსხედით. აკაკი კიდევ ისე უგუნებოდ იყო. თევზის პატარა ნაჭერი დაიდო საინზე და ცოტაც ღომი. ერთი ნაჭერი ჩაიდო პირში და ზანტად ღეჭვა დაუწყო. ის იყო და ის. მეტს არაა ბიკარებია, თუმცა ჩვეულებრივ პატიჟი არ უნდოდა ხოლმე. ძლიერ ფერმკრთალიც იყო. ჩვენც ყველას კრიჭა შეგვეკრა. ბავშვებმაც კი იგრძნეს უხერხულობა და მადა დაეკარგათ.

— ეე, აკაკი, შენ გისადილნია კიდეც! — გავეხუმრე.

— ეს არ მომიკვდეს! — დამადვა ხელი მხარზე.

ჩემმა მეუღლემ და მე შევეცადეთ საუბრით გაგვერთო, მაგრამ ჩვეულებრივი განწყობილება მაინც ვერ გამოვიწვიეთ.

აკაკის არა უჭამია და არა უსვამს რა. ავდექით სუფრიდან. აკაკიმ წასვლა დააპირა. ჩვეულებრივ კი ნასადილევს ჩემს კაბინეტში ძილი უყვარდა ხოლმე, რბილ ტახტზე. ახლაც შევთავაზე მოსვენება.

— მაშ, მომიტანე შენი პლედი.

წავედით კაბინეტში, წამოწვა, დავახურე პლედი.

— ახლა წადი, ცოტას დავიძინებ. მხოლოდ კისერზე შემომახვიე პლედი კარგად.

მეც მოვშორდი. ჩვეულებრივ კი, სანამ ძილი მოერეოდა, არ მომიშორებდა, მებაასებოდა ხოლმე.

გულმოკლული გამოვედი კაბინეტიდან და გაზეთი ავიღე. არ ვიცი, ხედავდნენ ჩემი თვალები თუ არა დასტამბულს, მხოლოდ ფიქრი კი სულ იმისი მქონდა, თუ რას მოასწავებდა აკაკის ასეთი უგუნებობა.

ნახევარი საათის შემდეგ აკაკის ფეხის ხმა შემომესმა. მივეგებე.

— რატომ ასე ცოტა გეძინა, აკაკი? — გავეხუმრე.

— არა. კარგად მეძინა, — ტკბილად მიპასუხა.

სულ მოკლე ხანში ჩაიც მოგვართვეს. აკაკიმ ორი ჭიქა ჩვეულებრივად ტკბილი, რძენარევი ჩაი მიირთვა, ერთი ბაბთა ბულკიც შეატანა და გამოგვემშვიდობა. არაჩვეულებრივ გადამკოცნა ჯერ მე, მერე ბავშვები და ჩემს ცოლსაც რომ გამოეთხოვა, კიდევ მე გადამეხვია. გავედით სადარბაზო ოთახში და, კარებს რომ მივუახლოვდით, კიდევ მომიბრუნდა და ჩამკოცნა (უნდა მოვაგონო მკითხველებს, რომ აკაკის კოცნა არ უყვარდა). გავედით დერეფანში, პალტო მივართვი, მომიბრუნდა და კვლავ მაკოცა სამჯერ.

ახლა კი მოვიკრიბე ძალ-ღონე და ვკითხე: რა ამბავია, აკაკი, ხომ არა გტკივა რა-მეთქი?

— არა, ჩემო კარგო, ჩემი უბედურებაც ის არის, რომ არა რა მტკივა, მაგრამ როგორღაც მოვსხლტიო, — მიპასუხა, ჩავიდა კიბეზე, მომიბრუნდა და ერთხელ კიდევ გადამკოცნა. ის იყო და ის...

დავრჩი შინ ცოლ-შვილთან გარეშოცული... მწარე ფიქრებმა წამიღეს... ცოლმა და შვილმაც კი ნუგეშით მომმართეს: აკაკის ასეთი ჩვეულება აქვსო. მომაგონეს, ბაქოში ამ სამი წლის წინათ მისი წვევა, როცა მაშინაც გვეთხოვებოდა, მეტს ვეღარ განახავთო. ცოტათი კი ვინუგეშე თავი, მაგრამ გულზე ლოდივით მაწვა მისი სიტყვა: „მოვსხლტი“-ო, რომელიც, როგორც ექიმს, მიკარნახებდა — ვაითუ ეს მოსხლტომა სიბერის მომასწავებელია-მეთქი, და კიდეც ასე გამოდგა. სიბერემ გამოგვსხლიტა ხელიდან ეს დიდებული მგოსანი.

საუკუნომც იყოს ხსენება მისი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუვიწყარი სტუმრობა

1913 წლის მაისში გამოკვლევებით დადგინდა წყალტუბოს სამკურნალო წყლების რადიაქტიული ბუნება. ამ ფაქტს დაემთხვა მეტად სასიამოვნო ამბავი — წყალტუბოს აბანოებს ეწვია დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი თავისი ცოლ-შვილით. ადგილობრივმა საზოგადოებამ ამით დიდად გაიხარა. გადაწყვიტეს პოეტისათვის ნადიმი გაემართათ.

30 მაისს აკაკი სადილზე მიიწვიეს. სადილი გაიმართა თვით აბანოებზე, ახლად აგებულ სახლში.

სადილზე ადგილობრივი ინტელიგენციის სახელით ი. ფანცხავამ სიტყვით მიმართა მგოსანს:

„დიდებულო მამულიშვილო, მგოსანო აკაკი! დიდად გულდაწყვეტილი და გულნაკლული იყო დღემდე წყალტუბოს საზოგადოება, რომ შორიდან დიდი ხანია გიცნობდა და ახლოს კი არ ენახე... დიახ, ბედნიერია დღეს წყალტუბოს საზოგადოება, რომ შენ თავის შორის გხედავს... თუ ვისმეს წილი უდევს ქართველი ერის გათვითცნობიერებაში და ეროვნული გრძნობების გაღვიძებაში, პირველი ეს შენ ხარ. ...მაგონდება შენსავით დიდებული მამულიშვილი და მგოსანი ილია, რომელსაც არამცირედი ღვაწლი მიუძღვის შენთან ერთად ქართველი ხალხის გამოსაფხიზლებლად და შესაგნებად“.

მგოსანს სხვებმაც მიმართეს სიტყვით.

აკაკი ძალზე გახარებული იყო. ბოლოს აკაკიმ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას პატივისცემისათვის და თქვა:

„ბატონებო! მადლობას გწირავთ ჩემი ასეთი პატივისცემისათვის, მაგრამ არ შემიძლია არა ვთქვა, რომ რაც აქ ჩემზე თქვეს და მომაწერეს, გადაჭარბებული იყო. მე მისი მესამედიც არ გამიკეთებია, რაც მომაწერეს, მაგრამ, ალბათ, ეს მათი გრძნობებისა და კეთილი სურვილების ნაყოფია და ამას რამდენიმედ ვურიგდები. მხოლოდ არ ვეთანხმები მოლაპარაკეებს, საქართველო დაჩაგრულად რომ ახსენეს... ქართველ ხალხს

თან დააქვს მისი კვეს-აბედი. როცა საჭირო იქნება, იგი დაკვესავს და გზას ადვილად გაინათებს. მე ჩემს სიცოცხლეში ვქადაგებდი და ახლაც ამას ვამბობ. მრწამს მისი მომავალი და ამას ვერვინ შეუშლის.“

უფრო დიდებული სანახავი იყო აკაკისთან დამშვიდობება 2 ივნისს, კვირას, როცა იგი ქუთაისში გაემგზავრა თავისი ცოლ-შვილით. ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად აკაკის პატივსაცემად ბანოჯიდან მოვიდნენ მასწავლებლები თავიანთი მოსწავლეებით. მათმა მშვენიერმა და მოხდენილმა სიმღერამ, სიტყვებმა და ლექსების ზეპირად წაკითხვამ აღტაცებაში მოიყვანა აკაკიც და სხვებიც. აკაკიმ მოსწავლეებს წიგნები დაურიგა და მადლობა გადაუხადა მასწავლებლებს. გამგზავრებისას სამგზავრო ეტლს ხალხი შემოეხვია და ვაშას ძახილით გააცილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსაზღვრო კაცთმოყვარე

ათი-თორმეტი წლის ვიქნებოდი. დიდი ზამთარი იდგა. მამა სახლში არ იყო. მაშინ ის ხაბაზად მუშაობდა წერეთლებში. უცებ დედას თავი ასტკივდა და თქვა, ნამდვილად შაკიკი მჭირს, მიშველეთ, აკაკის დასთან — ანასთან წადით, წამალი გამოართვით, იქნებ მიშველოს რამეო, წავედით მე და ჩემი ძმა ილიკო და თან გაგვატანეს ერთი აბაზი. ცუდად გვეცვა, ქალამნებში წყალი და თოვლი შედიოდა, რას ვიზამდით, უფროსების ბრძანება ჩვენთვის კანონი იყო.

ძალიან ვღელავდით, ხუმრობა ხომ არ იყო როსტომ წერეთლის სასახლეში მისვლა. ფული ჩვარში გამიხვია დედა-ჩემმა და მითხრა, ხელი მოუჭირე, არ დამღუპო, არ დაგეკარგოსო.

მივედი სასახლეში. წინ მოსამსახურე ნატალია მაჭარაშვილი შეგვხვდა და გვკითხა ვინ ხართ, რაზე მოსულხართო და შეგვიყვანა ძირა სართულში. მე და ჩემი ძმა ილიკო ქუდებმოხდილები ავიტუზეთ კარებთან, ოთახში შესვლა ვერ გავბედეთ, ვხედავთ, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს, დაბალ სკამზე კი სხედან აკაკის და ანა და კიდევ ვიღაც კაცი, რომლებსაც ზურგები ჩვენსკენ ჰქონდათ, რაღაცაზე ლაპარაკობდნენ.

ანა ადრეც მყავდა ნახული ეკლესიაზე, იმ კაცს კი ვერ ვიცნობდი. ანა შემობრუნდა ჩვენსკენ და გვკითხა — რა გინდათ, რისთვის გამოგაგზავნესო. ვუთხარით, რომ დედას თავი სტკივა, წამალზე მოვედით და შუშა და ერთი აბაზი მივართვით. ამ დროს ის კაციც შემობრუნდა ჩვენსკენ და გვითხრა: ვისი შვილები ხართ? როცა ვუთხარით, თავზე ხელი გადაგვისვა და გვითხრა, მაქსიმეს კარგი შვილები ჰყოლიაო. ეს იყო ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი. მან თავიდან ფეხებამდე შეგვათვალიერა, მოღიმარი სახე მოეღუშა და გვკითხა: წერა-კითხვა თუ იცითო. რა თქმა უნდა, წერა-კითხვა ჩვენ არ ვიცო-

დით და სირცხვილით თავი ჩავღუნეთ. ის ჩვენს ქალამნებს
უყურებდა. ამ დროს ანაც შემოვიდა და შემოიტანა ნაძალიც
მე დედას გატანებული აბაზი გაუწოდე და ის იყო უნდა გა-
მოერთმია ფული, რომ აკაკიმ უთხრა, ანა, გეთაყვა, მე მოგ-
ცემ აბაზს და მაგ ბავშვებს ნუ გამოართმევო და ჯიბისკენ წა-
იღო ხელი. ანა გაბრაზდა და უთხრა: შენ სულ აგრე იცი, ვნა-
ხოთ, მაგითი როგორ გაამდიდრებ გლეხებსო. აკაკიმ ამოიღო
ჯიბიდან ორი შაური და გვითხრა: წადით სომხებში, თქვენი
აბაზით და ამ ორი შაურით ქალამნები იყიდეთო. ჩვენ პირ-
დაპირ საჩხერეში წავედით და 6 შაურით ვიყიდეთ ქალამნები.

მის შემდეგ აკაკი ბევრჯერ მინახავს ფეხით მიმავალ-მომავა-
ლი, ფაიტონში მჯდომარიც, მაგრამ ეს პირველი შეხვედრა, მას-
თან საუბარი და გულკეთილობა ჩვენთვის დაუვიწყარი და სა-
სიხარულო იყო. წერა-კითხვა კი მაინც ვერ ვისწავლე და ვჯავ-
რობდი, რომ აკაკის დარიგება ვერ შევასრულე.

აკაკის რომ ხუმრობა უყვარდა, ეს ყველასათვის ცნობილია
და მისი მომსწრეები ხშირად იგონებდნენ მასთან შეხვედრებს,
გულთბილ საუბარს და ხუმრობას. როგორც იგონებენ, სოფელ
სხვიტორში ცხოვრობდა ერთი ვითომ მონადირე, რომელსაც
კიკოლას ეძახდნენ. აკაკის ძალიან ყვარებია მასთან შეხვედ-
რა და ნადირობაზე საუბარი. ერთ-ერთი შეხვედრის დროს
აკაკის უთქვამს კიკოლასათვის: აბა, ჩემო კიკოლა, შენი ნა-
დირობის შესახებ ერთი რამე გვიამბეო, კიკოლასაც არ უწ-
ყენინებია აკაკისათვის და დაუწყია: დიდი ზამთარი იყო, გარეთ
ვერ გამოხვიდოდი. ნადირობის სურვილმა წამძლია, გადავიკიდე
ჩემი ფილთა თოფი და შევუყევი უცხო მთის აღმართებს,
სადაც დათვის ბუნაგი მეგულებოდა. დიდ თოვლში გზას ძლივს
მივიკვლევდი, მაგრამ ჩემს იღბალზე ბევრი სიარული არ
დამჭირვებია, ვხედავ, ჩემსკენ მოდის კამეჩისხელა დათვი,
არც დავფიქრებულვარ, გადმოვიღე ჩემი ფილთა და დავახა-
ლე, მაგრამ რა გამოვიდა, დათვი მოვკალი, მაგრამ დაგორდა
ის ვერანა და რაც იმ ყანაში სიმინდი ეთესა, სულ მთლად
გადაბელაო. აკაკის გასცინებია და უთქვამს კიკოლასათვის:
ეხ, ჩემო კიკოლა, ტყუილის თქმა შენი გვარის ხალხს რომ
ეხერხებოდა, კარგად ვიცოდი, მაგრამ ასეთი ტყუილი ჯერ
არსად გამიგონიაო. შე კარგო კაცო, წელან ამბობდი, დიდი
ზამთარი იყო, უკვლევ თოვლში უცხო მთის აღმართი ძლივს

ავიარე, ახლა კი ამბობ, რომ დათვი დაგორდა და სიმინდი მთლად გადაბელაო, როდის იყო, რომ ზამთარში სიმინდს ფოთლავ სავდნენ, ასეთ ტყუილს ვინ დაგიჯერებსო. ამაზე ბევრი უცინიათ იქ დამსწრე გლეხებს, კიკოლას კი უთქვამს აკაკისათვის ბატონო აკაკი, თქვენი შიშით კაცმა ერთი ტყუილი ვერ უნდა თქვასო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონება

აკაკისთან მე ექვსი წლის განმავლობაში ხელზე მოსამსახურედ ვიდექი, 1909-დან 1915 წლამდე, ე. ი. აკაკის სიკვდილამდე. იგი ჩემს ხელზე მოკვდა. აკაკისთან მე მიმიყვანა გიორგი ზაბახიძემ — ჩემმა ბიძაშვილმა, ის აკაკისთან დაახლოებული იყო. მაშინ მე ვიყავი ასე 20 წლისა. აკაკიმ კარგად მიმიღო. ვთხოვე მოვეწყვე რომელიმე სასწავლებელში. მან თავისთან დამტოვა და დამპირდა მოწყობას, მაგრამ ომმა ხელი შემიშალა. მე დაინტერესებული ვიყავი აკაკის ნაწერებით და სიამოვნებად მიმაჩნდა მასთან ყოფნა და მერე აღარ მოვიწადინე წასვლა.

აკაკის არა მარტო სახლში ვემსახურებოდი, არამედ დავყვებოდი კიდეც სხვადასხვა ადგილებში: ქუთაისში, ხშირად თბილისში, ბათუმში, ფოთში.

აკაკი ხშირად განიცდიდა უსახსრობას; სხვიტორში უფრო მაშინ ჩამოვიდოდა, როცა ფული შემოაკლდებოდა, ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და თავისუფლად წერდა. ხშირად სადილსაც არ ჭამდა. თავისი უმთავრესი ნაწერები აქა აქვს დაწერილი. აკაკის 90 წლის და ჰყავდა — ანა. როცა ის უშოვნიდა ფულს, აკაკი წავიდოდა საჩხერიდან ქუთაისში. საჩხერიდან სხვიტორში უფრო ხშირად ურმით ამოდიოდა, ხან ეტლით. ძალიან ეშინოდა ეტლის. მაშინ ცუდი გზები იყო. ერთხელ მეეტლეს სადავე დაუსხლტა და აკაკიმ შეჰყვირა, მეც შემეშინდა.

აკაკის გლეხობა ძალიან უყვარდა, როცა თავდახსნაზე იყო საქმე, ჭილაძეები — ვალდებული გლეხები — მოვიდნენ მასთან და სთხოვეს თავი დაგვახსნევინეო. მან უპასუხა: ჩემთვის ყველა თავდახსნილია, არავის არაფერს არ ვთხოვო. გლეხებმა უთხრეს: ჩვენ ეგ არ გვჭირიაო, ჩვენ გვინდა საბუთები, რომ ამით დამშვიდებული ვიყოთ; ან რაც გნებავთ გადაგვახ-

ლევინეთო. აკაკიმ უთხრა, თქვენ მხოლოდ საბუთის შედგენას საფასური მიეცით და თავისუფალი ხართო და, მარფილაც გა-თავისუფლა.

მეტად უყვარდა გლეხებთან საუბარი, განსაკუთრებით აფასებდა ძველ გლეხებს, მოლექსეებს, ძველი ამბების მომსწრეებს. იმას უფრო აინტერესებდა ზღაპარი და ძველი ლექსები. მოიყვანდა გლეხებს და აამბობინებდა ხოლმე.

აკაკის გატაცებით უყვარდა ბავშვები. ბავშვს რომ დაინახავდა, სიხარულით აღარ იყო. გლეხებს ყოველთვის რაიმე დახმარებას აღმოუჩენდა. იყო შემთხვევა, აკაკიმ არ მიიღო ჯრუჭის ეპისკოპოსი გაბრიელ აბაშიძე (აკაკის არ მოსწონდა იგი) და იმავე წუთში კი გლეხი არჩვაძე მიიღო.

აკაკი ოჯახში მშვიდი კაცი იყო, ოღონდ ძალიან აწუხებდა ცოლ-შვილის დიდი მოთხოვნილებანი. აკაკის არ შეეძლო მათი დაკმაყოფილება. ცოლ-შვილი ზაფხულობით ჩამოდიოდა სხვიტორში. ორჯერ მოვიდნენ ჩემსას. ერთხელ შვილს ჩამოყვა ამხანაგი, მგონი, ვასკრესენსკი. აკაკის არაფერი საშუალება არ ჰქონდა, აქ ღარიბად ცხოვრობდა. მაშინ სათავადაზნაურო ბანკმა დაგირავებული მამული სხვიტორში სახლიანად უკანვე დაუბრუნა, მაგრამ აკაკიმ მეორეჯერაც და მესამეჯერაც დააგირავა. მისი ცოლი მიჩვეული იყო ფუფუნებას. მოსამსახურეებიც რუსეთიდან მოიყვანა, რის გამო აკაკი უკმაყოფილო იყო. ცოლი ყოველდღე ბანაობდა, მოსამსახურე ქალები წელში წყდებოდნენ წყლის ზიდვით და უკმაყოფილება განაცხადეს. ეს აკაკის ყურამდე მივიდა. აკაკიმ ამაზე ცოლს უსაყვედურა: რატომ აწუხებ ხალხს ამდენი წყლის ზიდვითაო? ცოლმა უპასუხა: ეს სისუფთავეაო. აკაკიმ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: თუ ეს სისუფთავეს წარმოადგენს, მაშინ ბაყაყები უფრო სუფთა იქნებიანო. ქალს ეწყინა და ხელი ჩაიქნია. მას შემდეგ ამ ქალს არ უცხოვრია სამ დღეს, უკანვე წავიდა. ცოლმა ქართული არ იცოდა. შვილი სადა და გულკეთილი კაცი იყო.

აკაკის ქალებთან მეგობრობა უყვარდა. მეგობრობდა ნიცა წერეთელს და ნანო წერეთელს (ბაგრატიონის ქალს). ძალიან გატაცებით უყვარდა ტასო მაჩაბელი.

აკაკის თავისი მოგვარე წერეთლები არ მოსწონდა. არ

უყვარდა ბეჟან წერეთელი (ტასოს სიძე), მისი მეუღლე — ნიცა წერეთელი ძალიან სწამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი პატივისცემით უყურებდა ფრიდონ და ამირინდო წერეთლების ოჯახს. გლეხები, საერთოდ, ყველა უყვარდა, გლეხებიდან აკაკისთან დაახლოებული იყვნენ: იოსებ გოშაძე, ხოჯანა სალარიძე, ბესარიონ არჩვაძე, პეტრე მაჭარაშვილი, ბერია ჭილაძე (ჩიხელი).

ქუთაისში აკაკი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. განსაკუთრებით მეგობრობდა მხოლოდ ზოგიერთ ოჯახებს. ასეთი იყო ხელთუფლიშვილების და ნიკოლაძეების ოჯახი, ძალიან უყვარდა სერგო ბახტაძესთან სიარული, თბილისში — მაკო საფაროვასთან, ნინო ორბელიანთან, სოსიკო მერკვილაძესთანაც ჰქონდა მსვლელობა, მაგრამ აკაკის სოსიკო არ უყვარდა, ატყუებდა ხოლმე აკაკის.

აკაკი ჩაცმულობას ყურადღებას არ აქცევდა, რაც უნდა მიგეტანათ, ჩაიცვამდა.

როცა აკაკი საჩხერეში ჩამოვიდოდა, სრულიად დამშვიდებულად გრძნობდა თავს. ჰყავდა მოურავი დათია ბოჭოიძე. ერთხელ ამ მოურავმა სადილობის დროს კურდღელი მოუყვანა. აკაკიმ თქვა, ახლავე გაუშვითო. დათიამ დაატყუილა, გავუშვიო და თვითონ კი დაკლა, სადილად მოუტანა. ეს მოურავი ეშმაკი კაცი იყო.

1906 წელს, როცა სახელმწიფო. სათათბირო გაიხსნა, საგუბერნიო მასშტაბით იყო წამოყენებული ვარლამ გელოვანი (ფედერალისტი). აკაკისთან ინტელიგენცია მოვიდა ქუთაისიდან (კიტა აბაშიძე, დავით აბდუშელიშვილი), აკაკიმ დაიდგა ყუთი. კიტამ გააფრთხილა: გაშავდებიო. აკაკიმ არა ქნა — უნდა გავიგო წერეთლებს რამდენად ვუყვარვარო. საწერეთლოში გლეხებს უყვარდათ აკაკი, მაგრამ თავადაზნაურობას არ უყვარდა. ამ არჩევნებზე გამოვიდნენ ძმები ფრიდონ და ამირინდო წერეთლები, ჩვენს მეგვარეს აკაკი წერეთელს ახდილად ვაძლევთ ხმასაო. დანარჩენი შავი მიიღო. აკაკის ეწყინა.

აკაკი გარეგნობით იშვიათი სილამაზის კაცი იყო. შუადღისას ადგებოდა, თმააბურძგნული გამოვიდოდა. ყველას გადმოხედავდა ღიმილით. პირველად კბილს გამოირეცხდა ჩოთქით, გადასარევი კბილები ჰქონდა, მერე პირს დაიბანდა ნელ-

ნელა, მერე თმას, ხანგრძლივად იყურებოდა სარკეში, ძალიან უყვარდა სილამაზე. ხელები ჰქონდა გასაგიჟებელი, განსაკუთრებული, ლამაზი თითები. თვალები თაფლის ფერი, ჟუჟუნა თვალები, გამომეტყველი და ნათელი სახე. იშვიათად იცოდა განრისხება. ერთი შემთხვევა მახსოვს, დასთან მოუვიდა ლაპარაკი და გაბრაზდა. თუ გაჯავრდებოდა, ძალიან მწარე ენა ჰქონდა. შინაურებში ლექსის წაკითხვა არ უყვარდა.

აკაკის ლექსები ბევრი გადამიწერია. პოემა „ომი" მთლიანად მე გადავწერე.

„ომი" დაწერა დეკემბერში, სიკვდილის წინ. ის ამბობდა — მეფის რუსეთის ბედი ახლა წყდება და აუცილებლად დაინგრევაო და ახლა ქართველი ერი განთავისუფლდებაო. ჩემი ფიქრით „ომში" ზოგიერთი ადგილი ცენზურის მოსატყუებლად არის შეტანილი.

ეს პოემა წაუკითხა აკაკიმ ვარლამ რუხაძეს და სხვა მწერლებს. მახსოვს ვარლამ რუხაძე პოემის დედააზრს არ დაეთანხმა.

აკაკიმ ავადმყოფობა დაიწყო 1914 წ. დეკემბერში. მაშინ მე მასთან ვიყავი. იმხანად, როგორც მახსოვს, საქართველოსაც მოელოდა უშუალოდ ომის საფრთხე. მაშინ შეშინდა აკაკი და, როგორც გაიგო ეს ამბავი, იმ წუთში ენა ჩაუვარდა. მხოლოდ ესა თქვა: დამშვიდდი, ნუ შეშინდებითო (დეკემბრიდან ვიდრე 1915 წლის იანვრამდე — სიკვდილამდე — აკაკი სხვიტორში იყო). აქ როცა მოვიდა, ავად არ ყოფილა, ოღონდ, როგორც ვთქვი, ენვერ-ფაშას ამბის გამო დამბლა დაეცა და ენა ჩაუვარდა. სიკვდილის წინ ნატრობდა, სხვიტორის სახლის ეზოში, ხეხილში დამასაფლავეთო. მაშინ ენა აღარ ჰქონდა, მაგრამ ხელით მანიშნა, აქ დამასაფლავეთო. დამბლის დაცემის შემდეგ ცოტა ხანს იცოცხლა. ერთი კვირის შემდეგ მოუბრუნდა ენა და კიდეც წამოდგა, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ დაწვა. მერე აღარ ამდგარა. მალე ისევ დაება ენა და განუტევა სული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონება აკაკის შესახებ

ეს იყო 1911 წლის ზაფხულში. აკაკი წერეთელი კახეთს ეწვია. კახეთში მისი ჩამოსვლა „ილიობას“ დაემთხვა. ერთ შაბათ დღეს ყვარლის ინტელიგენციას შეატყობინეს, ხვალ თელავიდან ყვარელში მობრძანდება აკაკი. მთელი ყვარლის მაშინდელი მოწინავე საზოგადოება ფეხზე დადგა: ხუმრობა საქმე არ იყო — ყვარელი სათანადოდ უნდა გამასპინძლებოდა დიდი ილიას მებრძოლ მეგობარს.

დილის 9—10 საათზე ძვირფასი სტუმრის შესახვედრად ყვარლიდან 30-მდე ცხენოსანი გავიდა თელავის მიმართულებით, ცხენოსნებს შორის მეც ვიყავი.

შილდისა და ყვარლის საზღვარზე, „კუს წყაროსთან“, ცოტაოდენი ცდის შემდეგ თელავიდან მომავალი ეტლი გამოჩნდა. ეტლის თანდათან მოახლოება ჟრუანტელს მგვრიდა. ჩემა მღელვარება არ იყო გასაკვირი: მე სწორედ იმ წელს დავამთავრე თელავის სასულიერო სასწავლებელი და ასე თუ ისე გათვითცნობიერებული ვიყავი. წარმოიდგინეთ, როგორ მეგონდომებოდა იმ კაცის თვალით ხილვა, ვინც საქართველოს მძიმე ხვედრს მთელი ათეული წლის განმავლობაში დიდ ილიასთან ერთად თავისი მხრებით ზიდავდა.

აი, მოგვიახლოვდა ეტლი და გაჩერდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის მაზრის განყოფილების თავმჯდომარე ნიკიფორე მამინაიშვილი წამოდგა ეტლში და მოგვმართა, იცნობდეთ აკაკი წერეთელს. მხცოვანი პოეტი გულმხურვალედ მოგვესალმა და წარმატება გვისურვა. ყვარლის საზოგადოების სახელით აკაკის მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ყვარლელმა მასწავლებელმა ლონგინოზ ზაუტაშვილმა. აკაკი ეტლში ფეხზე მდგომი ისმენდა მისალმებებს, ბოლოს მადლობა გადაგვიხადა შემხვედრთ, პატივისცემისათვის.

მაშინ აკაკი წერეთელი მე მივიჩნიე ზეცით მოვლენილ და-

ლებად. ვხარობდი, მეშვიდე ცას წვდებოდა ჩემი აღმაფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასი სტუმარი ყვარლისაკენ დაიძრა. ჩვენც ცხენდაცხენ მოვყვებოდით ეტლს. ყვარლის ციხე-გალავანთან აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. აქ იყო იური ჭავჭავაძეც, რომელიც ყვარლის მშრომელთა სახელით მიესალმა აკაკის. საპასუხო მადლობის შემდეგ ეტლი მძიმედ დაიძრა ილიას კარმიდამოსაკენ, ეტლს ზღვა ხალხი მოსდევდა. უკანა რიგებში ძველი „მგზავრულიც“ დააგუგუნეს.

იმავე დღეს, საღამო ხანზე, ილიას ეზო სადღესასწაულოდ მოერთო. ღია ცის ქვეშ, მოფარდაგულ სცენაზე წარმოდგენილი იქნა ილიას „დედა და შვილი“. როლებს ასრულებდნენ შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი. ისინი აკაკი წერეთელს ახლდნენ კახეთში მოგზაურობისას.

ბოლოს სცენაზე გამოჩნდა დიდი მგოსანი გოგონების „წრეში ჩასმული“. სხვათა შორის, ამ მდგომარეობაში გადაღებულ იქნა სურათი, რომლის ერთ-ერთი ეგზემპლიარი ინახება ილიას სახელმწიფო მუზეუმში. სცენიდან აკაკი მიესალმა ყვარლის საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის, თავის სიტყვაში არაერთხელ მოიხსენია სწორუპოვარი ილია და ბოლოს წაიკითხა თავისი საყვარელი ლექსი „განთიადი“.

დასასრულ გაიმართა დიდი ნადიმი, სადაც პოეტის პატივსაცემად მოვიდნენ მომღერლები, მოლექსე-მოშაირეები, ილიას ყვარლელი მეგობარ-ამხანაგები. მათ შორის იყო ერთ-ერთი გონებამახვილი ხალხური მთქმელი სოლომონ სამიტაშვილი. იგი აკაკის ეშაირებოდა, ოხუნჯობდა, ბოლოს დიდ პოეტს მიმართა:

„მოლაღური გაიძახის
მაღლა, ბიჭო გოგიაო,
შაირები ბევრი ვიცი,
მაგრამ თქვენი ჯობიაო“.

ძვირფასი სტუმარი დიდად ნასიამოვნები წაბრძანდა ყვარლიდან.

1911 წელს მე უკვე თბილისის სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. 1911 თუ 1912 წლის შემოდგომის ერთ დილას ბოსწავლეებმა მოიტანეს ამბავი, დღეს ქართულ თეატრში აკა-

კი წაიკითხავსო ლექციას თემაზე „ბატონყმობა საქართველოში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იტყვიან, გველის ფხაში გავძვერით და მე და ჩემმა ამხანაგებმა ვიშოვეთ ბილეთები. ამ წერილში ძნელია გადმოცემა ოვაციებისა, რომელიც პოეტის გამოჩენამ გამოიწვია. ხუთწუთიანი ტაშის გრიალის შემდეგ ხალხი დაწყნარდა, მიჩუმდა და აკაკიმაც დაიწყო ლექციის კითხვა. იგი ლაპარაკობდა დინჯად, სულში ჩამწიდომი სიდიადით გაისმოდა მისი სათნო ხმა.

აქ არ შევეცდები ლექციის შინაარსის გადმოცემას. მინდა მხოლოდ გავიხსენო ერთი ეპიზოდი ამ ლექციიდან.

ზოგს, ალბათ, უშუალოდ ახსოვს, სხვებს სმენიათ, უმრავლესობას კი წაუკითხვას აკაკი წერეთლის არაპირდაპირი, მაგრამ მეტად მაღალოსტატური მიდგომის შესახებ ამა თუ იმ საქმისადმი. ამას იგი ახერხებდა თავისი თავისუფალი, ღრმა და შინაარსიანი ჰუმორის საშუალებით.

— ერთხელ, — თქვა აკაკიმ, — სხვიტორში ჩვეულებრივად ვსაუბრობდით მე და მამაჩემი, იმ დროს უკვე რუსეთში ვსწავლობდი და როგორც მრავალი სხვა ახალგაზრდა, მეც ბატონყმობის წინააღმდეგი ვიყავი. მაგრამ, ბიჭი იყავი და ამის შესახებ პირდაპირ გეთქვა მამაჩემისათვის. საუბარში სიტყვა ჩამოვაგდე ყოჩაღ და ზარმაც ყმა გლეხებზე. მამაჩემი დამეთანხმა, ჰო, შვილო, ბევრია ყოჩაღი ყმა, მაგრამ ბლომადვე არიან ზარმაცებიც. ჰოდა, მამი, პირადად ჩვენთვის რა საჭირონი არიან ზარმაცი გლეხები, როგორც ჩვენ, ისინიც ხომ ყოჩაღთა კისერზე არიან. მოდი და გავათავისუფლოთ უქნარები, ბეჯით ყმებსაც შეუმსუბუქდება შრომა და ჩვენც მოგვემატება-მეთქი შემოსავალი. მამაჩემი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე საწვიმარ ღრუბელივით დაიქუხა: ჰო, ეგღა აკლია როსტომ წერეთელს, ყმები გაათავისუფლოს. კარგია შენს რჩევას აჰყვეს კაცი და ხალხი აალაპარაკოს, როსტომს ყველაზე ცოტა ყმა გლეხები ჰყავსო. ხედავთ, ფეოდალური სისტემის სიყვარული მამაჩემს როგორ ჰქონდა გამჯდარი ძვალსა და რბილში. მიმიხვდებით, ჩემი ცდა, გაგვენთავისუფლებინა ჩვენი ყმა გლეხების უმნიშვნელო ნაწილი მაინც, იყო ცდა, მამაჩემი მომემზადებინა ბატონყმობის გადავარდნის უკვე მოახლოებული დღისათვის.

ლექცია დამთავრდა. დამსწრე საზოგადოება გულთბილად დაემშვიდობა საქართველოს სათაყვანებელ მგოსანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავალ ადამიანს შევხვედრივარ, მათ შორის ბევრ გამოჩენილ პიროვნებასთან მქონდა საქმე, მაგრამ კვალი, რომელიც აკაკიმ დატოვა ჩემს მეხსიერებაში, ყველაზე ღრმა და მკვეთრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
ვარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა...
თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუაკაცი ვარ, უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა".

აკაკი

აკაკის იმდენად კარგად ვიცნობდი, რომ, თუ ჟან ბრუსონს მივბაძავ, რომელიც ანატოლ ფრანსს „დილის ხალათში" აგვიწერს, ე. ი. შინაურ ცხოვრებაში, თამამად შემიძლიან ვთქვა, აკაკისთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა.

მიუხედავად ამისა ყოველთვის მახსოვდა, რომ ჩემ წინ დიდი აკაკია, დიდი, რასაკვირველია, ხნითაც, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა დიდი — თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, ქართველი ხალხი თავის მესაიდუმლედ რომ თვლიდა, რაც მას უკვდავების შარავანდედით მოსავდა.

მუდამ მახსოვდა, რომ, საერთოდ, ადამიანი, მთელი მისი ბუნებით, მეტად რთული და ძნელად ასაწონ-დასაწონია. ხშირად რიგითი, ჩვეულებრივი ყალიბის ადამიანიც კი ამ მხრივ დიდ გამოცანას წარმოადგენს.

ბევრი რამ, რაც შენთვის თითქოს აშკარაა და გგონია, ვითომ მისი სულიერი და ზნეობრივი თვისებანი ხელისგულზე გაქვს გადაშლილი, ასე მხოლოდ იმიტომ გეჩვენება, რომ თვით შენი თვალთახედვის ფარგალი, რომელშიაც ლამობ მის მოთავსებას, შეიძლება სრულიადაც არ მიესადაგებოდეს შენი დაკვირვების ობიექტს.

თუ ასეა ჩვეულებრივი ადამიანის მიმართ, რაღა უნდა იყოს მაშინ, როდესაც საქმე ისეთ ადამიანთან გაქვს, რომელიც

უბრალო, ხელით ნაჩორკნი საზომით არ განიზომება, და ისე განცალკევებით დგას მილიონებს შორის, როგორც თვალ-უწვდენელი მყინვარი ქედმორჩილ გორაკებთან შედარებით.

რასაკვირველია, მისი ბუნების საიდუმლოებანი თუ ყოველთვის გოსიდიოსის კვანძს არ წარმოადგენენ, მაინც ძნელად მისაგნებელნი არიან.

ამასთანავე, არც ის მავიწყდებოდა, რომ რაც უნდა განსხვავებული იყოს ადამიანი თავისი სულ-ხორცის ძალით, არარა ადამიანური მისთვის უცხო არ არის. მზესაც თავისი ლაქები აქვს. ხოლო ეს ლაქები მაშინ არა ჩანს, როცა მნათობი გავარვარებულ სხივებს ისვრის და თვალებს გიჭრელებს, არამედ — როდესაც ჩლუნგად ანათებს, თითქო ნისლი ჰბურაედეს, და შენა გგონია, რაკი ელვარებისაგან თვალები აჭრელებული აღარა გაქვს, ამიტომ მზის სიჩლუნგეს ადვილად გაუსწორებ თვალს და იოლად გამოსცნობ მისი ლაქების საიდუმლოებას.

მაგრამ არ უნდა დაივიწყო, რომ შენ წინაშე მაინც მზეა და მისი ლაქებიც მეტად თავისებურია და არც ისე უბრალოდ გამოიცნობა.

ჩემს თვალში აკაკი მზესავით მანათობელი ადამიანი იყო. ამიტომ გული ძალიან დამწყდებოდა, ვინიცობაა ამ მანათობელში ისეთ ლაქებს შევნიშნავდი, რასაც შეეძლო ჩრდილი მიეყენებინა მისი ელვარებისათვის.

მე, რასაკვირველია, ვცდილობდი ჩვენი ურთიერთობა იმ ფარგალს არ გადასცილებოდა, სადაც ერთი მხრით უნდა ყოფილიყო თაყვანისცემა უდიდესი მგოსნისადმი და უღრმესი პატივისცემა მხცოვანი ადამიანისა და დიდად დამსახურებული საზოგადო მოღვაწისადმი, გარნა მეორე მხრივ—მხოლოდ იმის რწმენა, რომ ყოველივე ეს სრულიად გულწრფელია, უანგარო და ბუნებრივია.

მაგრამ აკაკისთან ასეთი მოკრძალებული მანძილის შენარჩუნება ძნელი საქმე იყო.

მეტისმეტი გულხალვათობა სჭირდა დალოცვილს. და თუ გინდათ, სწორედ ეს იყო მისი დიდი ნაკლი. იგი ძალიან ადვილად გადადიოდა მეგობრის პოზიციაზე იმათთანაც, ვინც არცთუ ისე დაახლოებული უნდა ყოფილიყო მასთან. რა თქმა

უნდა, „ბრუდერშაფთი“ არ დამილევია აკაკისთან, არც ურთიერთ მეგობრობაზე ჩამოვარდნილა ჩვენ შორის ლაპარაკი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ პოეტი სიმპათიით მიყურებდა, გულახდილი იყო ჩემთან, „შენობით“ მომმართავდა, მთელი საათობით შაშს მეთამაშებოდა (მანვე მასწავლა ეს თამაშობა), ერთი სიტყვით, მიყურებდა როგორც ახლობელ ადამიანს.

სხვანაირად, მგონია, არც შეიძლებოდა: ჯერ კიდევ სულ პატარას მიცნობდა, ხშირად მხედავდა თეატრში, რომლის ავანჩავანიც მე ვიყავი. ჩვენს ოჯახშიაც დაიარებოდა და შემდეგ ხშირად ვხვდებოდი საზოგადოებაშიაც. და ბოლოს, წელიწადნახევარი ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით მარიამ საფაროვაბაშიძის სახლში, სადაც, როდესაც აკაკი შინ იყო ხოლმე, სადილ-ჩაიზე ერთად ვიყავით. საღამოობით კი იშვიათად იყო შინ, კლუბში თითქმის რეგულარულად დაიარებოდა. ხოლო, როცა შინა რჩებოდა, რაც იშვიათი ამბავი იყო, მაშინ ვიცოდით, რომ აკაკი უფულოდაა, ან შეუძლოდ გრძნობს თავს.

აკაკის მეუღლეს და შვილსაც კარგად ვიცნობდი, და, როდესაც ისინი თბილისში იყვნენ, აკაკის ოჯახშიაც საკმაოდ ხშირად ვყოფილვარ, მაშინ იგი სხვა ბინაში იდგა.

ერთი სიტყვით, აკაკისა და ჩემი ურთიერთობა სრულ უფლებას მაძლევდა, თვალყური მედევნებინა მისთვის, ასე ვთქვათ, ცხოვრების მუდამდღიურობაში და შემენიშნა „მზის ის ლაქები“ — ე. ი. მისი ადამიანური ხასიათის ის უსწორმასწორობა, რაზედაც ბევრნი აშკარად ლაპარაკობდნენ.

აკაკის და ილიას ურთიერთობა...

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ვითომ აკაკის ავი ენა ჰქონდა, არავის დაინდობდა, არავიზე კეთილ სიტყვას არ იტყოდა, პირში ქება იცოდა, ზურგს უკან კი — კილვა.

განსაკუთრებით კი იმას აღნიშნავდნენ ქარაგმულად, რომ აკაკის ილია არ უყვარდა, ყოველთვის ავად იხსენებდა მას, როგორც პოეტს და როგორც საზოგადო მოღვაწეს.

პირდაპირ ვიტყვი: არავისი კილვა აკაკისაგან არასოდეს არ გამიგია, მაგრამ მაინც უფრო ილიაზე მოგახსენებთ, რადგანაც ეს ამჯერად საგულისხმოა და დამახასიათებელი.

იმის მტკიცებას არ მოვყვები, აკაკის ილია თვალისჩინაღ მიაჩნდა და გაგიჟებით უყვარდა-მეთქი. ამას ვერც მოსთხოვ-

დნენ აკაკის, ისე როგორც ილიას აკაკის მიმართ. ქვეყნის საქმეში თანამოსაგრის სიყვარული არავისთვის სავალდებულო არ-
არის, განსაკუთრებით, როდესაც ეს თანამოსაგრენი ძირითადად
განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ადამიანური ბუნებით. სიყვარული, მეგობრობა მეტად ინტიმური გრძნობაა, ყველას ფიანდაზად ვერ გაუშლი მას, თუნდაც საზოგადოებრივი სამსახური ერთ უღელში გაბამდეთ.

აი, ამ მოკლედ გამოთქმული „საეგებისო“ მოსაზრების საილუსტრაციოდ შემიძლიან მოვიყვანო ერთი ჩემი საუბარი აკაკისთან ილიას „განდეგილზე“. ეს საუბარი ძალიან კარგად დამამახსოვრდა და შემიძლია თითქმის სიტყვასიტყვით აღვადგინო.

აკაკი იმ აზრისა იყო, რომ „განდეგილი“ ილიას საუკეთესო ნაწარმოებია და თავისთავადაც შესანიშნავი. მხოლოდ, — ამბობდა აკაკი, — ადგილ-ადგილ იგი გაზვიადებულიაო. ავიღოთ თუნდაც შესავალი ნაწილიო: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან... გამოუქვაბავთ მუნ მონასტერიო“. ვინ დაიჯერებს ამასო?

როდესაც მე ვუპასუხე, ეს პოეტური ჰიპერბოლაა, როგორც, მაგალითად, თქვენა გაქვთ „თორნიკე ერისთავში“ — „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“- მეთქი, აკაკიმ სამართლიანად მიპასუხა: — ნახტომი შეგეშალა, ყმაწვილო, მე სწორედ უარვყოფ იმას, რასაც ილია ამტკიცებს. ისე, როგორც ზღვაში ქვიშა და ცაზე ვარსკვლავები არ დაითვლება ,იმგვარადვე — საცა ორბი და არწივი ვერ მისწვდება, იქ მონასტერი ვერ გამოიქვაბებაო.

ვიგრძენი, აკაკი მართალი იყო მხოლოდ ჩემ მიერ მოყვანილი უხეირო საბუთის გამო. მაგრამ მართალი არ იყო, როდესაც ილიას მყინვარის მშვენიერ აწერილობას იწუნებდა. მე კვლავ განვიმეორე ჩემი მოსაზრება „პოეტურ ჰიპერბოლაზე“, რაზედაც აკაკიმ მიპასუხა: ჰიპერბოლა — სინამდვილის გაზვიადებაა, გადაჭარბება, მაგრამ იქ, სადაც სინამდვილე არ არის, იმის გადაჭარბებაც არ შეიძლებაო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე არ დავწერდიო.

რასაკვირველია, არ დაწერდა.. არ დაწერდა იმიტომ, რომ მისი მხატვრული წარმოდგენა თვით ბუნების ძალთა ბუმბერაზობაზე სულ სხვანაირი იყო, ვიდრე ილიასი. მის პოეტურ

ხილვას ესა თუ ის მოვლენა იტაცებდა მეტისმეტად „მსუბუქ ფრთითა“ და ამიტომ იმ ხილვის ნაყოფი ყოველთვის უფრო ჰაეროვანი იყო, უფრო რეალური. გავიხსენოთ თუნდაც მისი შესანიშნავი პოემა „გამზრდელის“ დასაწყისი, სადაც თითქმის „განდეგილის“ დასაწყისის ანალოგიური სურათია მოცემული:

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.
ის ფაცხაა, მღვიმის პირად
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად —
ზამთარ თბილი, ზაფხულ, გრილი.
როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას, —
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს
ეკრძალება ჭექა-ელვას,
მაგრამ, როცა დაჰქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არე-მარე,
მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავად ლამაზია
და იმასთან ყველა ტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.
გზა მიუძღვის საცალფეხო
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;
ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზრდილ-გამოწრთვნილი,
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

რასაკვირველია, ჩემი უხეირო შედარების ნაცვლად, მაგალითი რომ ამ აწერილობიდან მომეყვანა — უფრო მართებული იქნებოდა, რადგანაც, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ილიას სურათის გამოძახილი აქ უფრო ისმის, თუმცა არა იმ ზვიადობით, როგორც „განდეგილში“. მაგრამ იმ რიგობაზე „გამზრდელი“ არ გამახსენდა და ისა ვთქვი, რაც პირზე მომადგა. ხოლო აქ ეს ამონაწერი იმიტომ მომყავს, რათა მკითხ-

ველმა წარმოიდგინოს, როგორ ესმოდა აკაკის „პოეტური ჰიპერბოლა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინდელი ჩვენი საუბარი ამით არ გათავებულა. მე ვცადე დამემტკიცებინა აკაკისათვის, რომ ილიას, ზავთიანობასთან ერთად, „განდეგილში“ ულამაზესი და უნაზესი მოვლენის ხილვაც მდიდარი აქვს და მაგალითისათვის მოვიყვანე შემდეგი სტრიქონები:

...არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს,
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული,
იგი სიტურფე, იგი შვენება!..
თითქოს მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქოს თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია,
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზე დაულევია.

— მშვენიერიაო, — თქვა აკაკიმ, — განა მე კი არ ვიცი, როცა ილიკო მოინდომებს, ყველაფერს ლამაზად იტყვისო. მაგრამ დამეთანხმე, აქაც, ცოტა არ იყოს, ჭკუით დამძიმებული სინაზეაო.

რასაკვირველია, არ დავეთანხმე აკაკის და არც ახლა ვეთანხმები, რომ აქ „ჭკუით დამძიმებული სინაზე“ იყოს. მაგრამ ის კი შემიძლიან აშკარად ვთქვა, რომ იგი მაშინ სრულიად გულწრფელი იყო და თავის აზრს გამოთქვამდა, თავისი საკუთარი პოეტური ბუნების მიდრეკილებით და გამოთქმის უნარის თვალსაზრისით. მის ჰაეროვან მუსიკალურ სმენას, რაღა თქმა უნდა, ემძიმებოდა „იგი სიტურფე, იგი შვენება“. იგი სულ სხვა კილოკავს იყო ჩვეული და თვით უღრმეს აზრსაც ხშირად მსუბუქი მეტაფორული გამოთქმით იძლეოდა. მაგალითად, მოხუცისა და ახალგაზრდის დაპირისპირება რომ აქვს ასახული:

სიჭაბუკე და სიბერე
ორი სხვადასხვა კიდეა:
ერთი რომ ჯაჭვით აბია,
მეორე ბეწვზე ჰკიდია!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის — გაზაფხულის იაა,
გარს ეხვევიან ვარდები!
შენ — შემოდგომის ფოთოლი,
სიო გკრავს, ჩამოვარდები!..

იმას ვერ დავიქადებ, ამრიგობაზე აკაკის „კარგი გამგონი“ ჰყავდა-მეთქი, მაგრამ არც მის მიერ გამოთქმულ აზრებში, არც კილოში, როგორითაც ეს აზრები იყო გამოთქმული, მე არ შემინიშნავს არავითარი გულძვირობა და უარყოფითი დამოკიდებულება ილიასადმი. პირიქით, ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გარემოებამ, რომ აკაკიმ უნებურად ილიას „ილიკო“ უწოდა, რაც არც მისგან სხვა დროს, არც სხვა ვისგანმე არასოდეს არ გამიგია, რაღაც სათუთი რამ, რაღაც ინტიმური გრძნობა გამოისმოდა ამ „ილიკოში“ და თითქო ამჟღავნებდა, რომ ახლა თუ არა, ოდესღაც მისთვის ილია მართლაც „ილიკო“ ყოფილა.

ახლა წარმოვიდგინოთ ისეთი „გამგონი“, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო წინასწარ განწყობილი იყო, სიამოვნებით თუ არა, არცთუ გულისტკივილით მოესმინა აკაკისაგან ილიას ძაგება. ან ისეთი „გამგონი“, რომელსაც წინასწარ აკვიატებული ჰქონდა ის აზრი, რომ აკაკი ილიაზე თავის დღეში კარგს არას იტყოდა, და ვის არა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაში ეს აზრი აკვიატებული?

დარწმუნებული ვარ, პირველი მათგანი კმაყოფილებით ჩაიკენჭავდა ყველაფერს, რაც აკაკიმ ვითომ „უარყოფითი“ წარმოთქვა ილიას „განდეგილზე“, მისცემდა ამ „უარყოფითს“ „თავისებურ განმარტებას“, ბევრს თავისასაც წაუმატებდა და თუ ილიამდე პირადად ვერ მიიტანდა აკაკისაგან გამოთქმულ „კილვას“, გავრცელებით ხომ ისე გაავრცელებდა, რომ უეჭველად ილიას ყურამდე მიეღწია.

რატომ იზამდაო ამას? — იკითხავს მკითხველი.

იმიტომ, რომ ან აკაკიზე იყო რითიმე უკმაყოფილო, ან ილიაზე, ან ორივეზე ერთად, ანდა იმიტომ, რომ ბუნება ჰქონდა ასეთი.

ხოლო მეორე — წინასწარი „აზრაკვიატებული“ — იმას როდი დაგიდევდათ, თუ როგორ მიმდინარეობდა საუბარი, რა დაიწუნა აკაკიმ ილიასი და როგორ დაიწუნა. საკმარისი იყო, რომ დაწუნების ელემენტი ერია ამ საუბარში და იჩა-

რხებოდა გულუბრყვილო, მაგრამ აჩქარებული, განუკითხველი დასკვნა — მართალი ყოფილა ის, რომ აკაკი ილიაზე ცუდ მეტს არას ლაპარაკობს, საცა ისეთ დიდებულ ნაწარმოებსაც კი იწუნებს, როგორიც „განდეგილია“. და იმ დასკვნას იგი იმავე გზას გაუყენებდა, როგორსაც პირველი „გამგონი“.

და თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ აკაკი ჩვეულებრივ ცხოვრებაში ილიასავით პირმოკუმული კაცი არ იყო, თანაც „ორლესული“ სიტყვის დიდი მწყალობელიც გახლდათ, რომ ეს „ორლესული“, თავისი მხრით, დიდად სწყალობდა მას. რომ იმას არ დაგიდევდათ, ვინ რა მიზნით ელაპარაკებოდა, ვის რა გუმანი ჰქონდა გულში, ერთი სიტყვით, გულღიად იცოდა ლაპარაკი, ადვილად წარმოიდგენთ, რა იოლად იქმნებოდა ის ლეგენდა, რომ აკაკი ძირიან-ფესვიანად სთხრიდა ილიას და ყველაფერი ეს შურით მოსდიოდაო.

ყველამ ვიცოდით, რომ საადგილმამულო ბანკის გარშემო გაჩაღებულ ბრძოლაში აკაკი ივანე მაჩაბლის მხარეზე იყო, თუმცა კრებებში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, როგორც ბანკის არაწევრი.

ამიტომ ყველას გვეგონა, აკაკი მაჩაბლის მხარეს იმიტომ იჭერს, რომ ილია სძულსო. ის კი გვავიწყდებოდა, რომ მაჩაბლის ბევრი მომხრე იმავე დროს ილიას თაყვანისმცემელიც იყო, როგორც დიდი მწერლისა და დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა. ხოლო ამ შემთხვევაში, ე. ი. ბანკის საქმეში, არ იზიარებდა ილიას პოზიციას.

მაშინ მე ჯარისკაცი ვიყავი, მაშასადამე, სულ ახალგაზრდა, 22 წლისა; თბილისში ვმსახურობდი და ქურდულად ბანკის წევრთა საერთო კრებებზე დავიარებოდი.

კრებებზე აკაკი ყოველთვის ლოჟაში იჯდა ხოლმე, უმეტეს შემთხვევაში ნიკო დიასამიძის სახლობასთან ან ივანე მაჩაბლის მახლობლებთან. მე გალერეაზე ვიყავი და ამიტომ კრების დარბაზში მას არასოდეს არ შევხვედრივარ.

ერთ საღამოს (ალბათ, როდესაც კრება არ იყო დანიშნული) აკაკის მაკო საფაროვა-აბაშიძისას შევხვდი. იქვე იყო ჩემი დაც (ქეთევან ანდრონიკაშვილისა). ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა, ბანკის ბრძოლასაც შეეხო. ლაპარაკობდნენ უფრო ქა-

ლები. აკაკი თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა და მხოლოდ ღიმილით ყურს უგდებდა ბანკის „საქმეებით დაინტერესებულ“ მანდილოსნებს. საკითხი შეეხო, სხვათა შორის, იმას, თუ რომელ პარტიას („მაჩაბლისტებს“ თუ „ჭავჭავაძისტებს“) მეტი შანსი ჰქონდა არჩევნებში გამარჯვებისა.

მე რატომღაც წამომცდა: — რა გასაკვირველია „მაჩაბლისტებმა“ გაიმარჯვონ, იმოდენა ამომრჩევლები სულ ტივებით ჩამოუზიდნიათ-მეთქი ქართლიდან.

აკაკიმ გულიანად გაიცინა.

სამაგიეროდ, ჩემი და გამომეხმაურა. მისი სიმპათიები, ცოტა არ იყოს, მაჩაბლისკენ იხრებოდა. მე კი პირწმინდად „ილიელი“ ვიყავი.

— ახლა რაო! — თქვა ჩემმა დამ. — კახელებმა კიდევ ამომრჩევლები დილიჟნებით ჩამოზიდეს!

აკაკიმ უფრო გულიანად გაიცინა და სიცილითვე მომმართა:

— ხომ ხედავ, ალაზანი რომ მტკვარივით თბილისში მოდიოდეს, ალბათ, ტივს არც კახელები დაიწუნებდით...

ეს იყო და ეს, მთელი საღამოს განმავლობაში აკაკის კრანტი არ დაუძრავს არც ბანკზე, არც ილიაზე, არც მის მომხრეებზე თუ მოწინააღმდეგეებზე.

აკაკის ეს სრულიად უბრალო შენიშვნა მე, წინასწარ „აზრაკვიატებულს“, იმის ნიშანდობლივ საბუთად მეჩვენა, რომ აკაკი მართლა მტრულად იყო განწყობილი ილიასადმი. და, აკაკი რომ წავიდა, ჩემს დას წავეჩხუბე, რად მიეცი აკაკის საბაბი მთელ ქვეყანას მოსდოს, ვითომ ილიას მომხრეები საგანგებოდ დილიჟნებით ჩამოჰყავთ-მეთქი.

ეს უმნიშვნელო ეპიზოდი აქ იმიტომ მომყავს, რომ, ჯერ ერთი, დავადასტურო: აკაკის სიტყვაც არ უთქვამს ილიაზე და ბანკზე, იმ უეჭველად სამართლიანი რეპლიკის გარდა, თუმცა ამის სრული საბაბი ჰქონდა, და თუ გულში ღარღლი უტრიალებდა ილიას წინააღმდეგ, რაღა თქმა უნდა, ისეთ „კვიმატ“ და „ორლესულ“ აზრებსა და სიტყვებს წარმოთქვამდა, თქვენი მოწონებული.

მეორე: მე რომ მე ვიყავი ე. ი. გუშინდელი ღლაპი, რომელსაც საზოგადო საქმეებისა არა გამეგებოდა რა, მით უფრო ბანკისა, მეც კი აკაკის ისე ვუყურებდი, როგორც ილიას ნამ-

ღვილ მტერს და მის წინაშე ილიას პარტიის საიდუმლოების (თუკი იყო ასეთი საიდუმლოება) გამჟღავნება დიდ დანაშაულად მიმაჩნდა ჩემი დისგან. აი, რამდენად იყო მოწამლული მაშინდელი საზოგადოების აზრი და საერთო ატმოსფერო აკაკისა და ილიას მტრულ ურთიერთობაზე.

ბოლოს და ბოლოს, საიდან წარმოიშვა ეს საზიზღარი ლეგენდა, რომლის კუდიც იმდენად გრძელია, რომ ჩვენ დროამდეც აღწევს?

რით აიხსნება, რომ თვით თანამედროვე ახალგაზრდობის წარმოდგენაშიაც კი, — ძველებს აღარ ვჩივი, — ერთი და იმავე ეპოქის ორ დიდ ადამიანზე ბალღამივით გაერევა ხოლმე აზრი ილიასა და აკაკის ვითომ მტრული ურთიერთობის გამო და ყოველი საამისო ამბავი ისე მიიღება, როგორც პიკანტური ანეგდოტი და ყოველთვის არა აკაკის პიროვნების სასარგებლოდ?

რა რეალური საფუძველი აქვს ამ ლეგენდას?

ვეჭვობ, ჩვენი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე გულმოდგინე მკვლევარმა როდისმე გამოარკვიოს იგი, რადგანაც მას არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს! იგი მოგონილია ბუნებით მახინჯი, მეჭორე ადამიანებისაგან, რომელთა ერთი-ორი გადამღრძვალი ლანდი შეიძლება დღესაც დალასლასებდეს აქა-იქ. იგი ემყარება პირად მძულვარებას აკაკისადმი და არცთუ დიდ სიყვარულს ილიასადმი.

მართლაცდა, რა ჰქონდათ სადავო და საცილო ილიას და აკაკის?

სად და რაში გადაჯვარედინებულა მათი გზები?

მხოლოდ ერთში: სამშობლო ქვეყნის სიყვარულში. მისივის მტლედ დადებაში! განა, ამას თუ მჭიდრო შეკავშირება არ შეეძლო სხვადასხვა ბუნების ადამიანებისა, იქამდე ხომ არ განათვისებდა მათ, რომ ურთიერთისადმი პატივისცემა დაეკარგათ?!

არასოდეს ილია აკაკის და აკაკი ილიას არ შესცილებია საპირადო საქმეში. არსად ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგედ არ გამოსულან არც პირადად, არც საზოგადოებრივ საქმეში.

ყველამ ვიცით, ილია უფრო ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწე იყო, ვიდრე აკაკი. მწერალი, რედაქტორი, გამომცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი, ბანკირი და თითქმის ყველა ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულების თავმჯდომარე — აი, ილიას საერთო საზოგადოებრივი ფიგურა, მეტად საამკარაოზე გამომდგარი.

მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ აკაკი არც ერთ ამა „დიდებას“ არ ეტანებოდა, გარდა მწერლობისა. დაიწყო თავისი საზოგადო მოღვაწეობა მწერლობით და დარჩა მარტოოდენ მწერლად. ამავე ხარისხით ჩავიდა საფლავში. აკაკი ხომ ერთადერთი ნამდვილი პროფესიონალი მწერალი იყო მაშინ.

ხოლო თუ მწერლობას ავიღებთ, იმას ხომ ვერავინ ვერ უარყოფს, რომ აკაკი ილიაზე თუ უფრო პოპულარული და საყვარელი პოეტი არ იყო საქართველოში, ნაკლები მაინც არ ყოფილა.

ამ გარემოებას აქ მე აღვნიშნავ არა ლიტერატურული კრიტიკის თვალსაზრისით, არამედ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენას, რომლის შემოწმებაც ძალიან ადვილი საქმეა.

მართალია, ისინი სხვადასხვა ჯურის შემოქმედნი იყვნენ. ერთი თუ ვიოლინოსავით გამჭვირვალედ წკრიალებდა, მეორე ვიოლენჩელოსავით მხნედ ყღერდა. ერთი თუ წუხილით ოხრავდა, მეორე ღრმად შფოთავდა. მაგრამ ერთის საოხრავიც და მეორის საშფოთველიც ერთი და იმავე მაღალი გრძნობიდან მომდინარეობდა — სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულიდან. და ეს ორივე შესანიშნავი ხმა, სხვადასხვა ტემბრისა, კეთილხმოვანად და ძლიერად გაისმოდა მათ ქვეყანაში, ვით სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ხასიათის დიდებული მუსიკა.

და ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა ისე უყურებდა ილიას და აკაკის, როგორც საქვეყნო საქმეში თანამებრძოლთა სინონიმებს, თითქოს მათ შორის არავითარი განსხვავება არა ყოფილიყოს. მის თვალში ილია და აკაკი თითქოს განუყოფელი ტყუპი ძმები იყო, ერთი დედის მუცლით ნაშობი. სადაც ილიას იტყოდნენ, უეჭველად აკაკიც უნდა ეხსენებინათ და პირიქით.

ვთქვათ, რაიმე საღამო იყო გამართული საქველმოქმედო მიზნით. თუ ვინმე იტყოდა — ილიამ ესა და ეს ლექსი წაიკითხაო, მსმენელი უეჭველად შეეკითხებოდა — აკაკიმ რაღა წაიკითხაო? იმის მიუხედავად, იღებდა აკაკი იმ საღამოში მონა-

წილეობას თუ არა. ხალხს ვერც კი წარმოედგინა, რომ იქ, სადაც ილია იყო, შეიძლება აკაკი არა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმართალ ადამიანებს სურდათ, რომ ილია და აკაკი ყველაფერში თანამდგომელნი და თანამყოფელნი ყოფილიყვნენ და მათ წარმოდგენაში ეს სურვილი თითქო განხორციელებულიც იყო. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას, შეიძლება, ილია და აკაკი სულ სხვადასხვა საზომით უდგებოდნენ. მათთვის ერთი რამ იყო ნიშანდობლივი: — რომ საერთო წუხილი თუ სიხარული თანაბარ გამოძახილს ჰპოვებდა ორივე მგოსნის გულში. ხოლო რა სახით აირეკლებოდა ეს მათ შემოქმედებაში — თითოეულის ნიჭისა და უნარის საქმე იყო. თანაც ისიც სწამდა ხალხს, რომ რა სახისაც უნდა ყოფილიყო იგი, — ორივე ტურფა და მომხიბლავი იქნებოდა, ქვეყნისათვის თანასწორად სანუკვარი და სასარგებლო.

ვეჭვობ, სხვა მაგალითი კიდევ მოიპოვებოდეს არამცთუ ჩვენში, არამედ სხვაგანაც, რომ ორი თანამედროვე მგოსანი, ესოდენ თავისთავადი და თავისებური ადამიანური ბუნებითაც და პოეტური მეტყველებითაც, ასე გაერთიანებული ყოფილიყო ხალხის წარმოდგენაში.

მაგრამ იყვნენ ადამიანები... არა, ადამიანები კი არა, კაცუნები, ადამიანის ანაფხეკები, ზოგი აკაკისაგან ნაწკიპურტევი, ზოგი ილიასაგან ნაქიმუნჯევი, ზოგიც ბუნებით „მაამებლად“ და „ენატანიად“ დაბადებული და ამით მღვრიე წყალში თევზის მჭერავი, — რომელთაც არაფერი დაზოგეს, რათა ცხოვრებაში მაინც განეთვისებინათ ეს ორი დიდი მესაიდუმლე ჩვენი ქვეყნისა.

და თუმცა ხალხის წარმოდგენა მათზე ვერ შესცვალეს, მაგრამ თვით ილიას და აკაკის თავზე მოახვიეს ის აზრი, რომ ისინი ერთმანეთის მტრები იყვნენ.

იმას ვერავინ ვერ იტყვის, რომ ილიასაგან ძვირი სიტყვა აკაკიზე ვისმეს გაეგონოს, გარდა ერთი მოსწრებული თქმისა, რომელშიაც გულისტკივილი უფრო გაისმის, ვიდრე სარკაზმი.

როგორღაც ერთხელ, თუ არა ვცდები, ანტონ ფურცელაძეს უთქვამს ილიასათვის, — რა არის, კაცო, შენ სულ აკაკის ქებაში ხარ, ის კი ზეზეურად გთხრისო. ვითომ ილიას ასე უპასუხნია: — შეიძლება ორივენი ვცდებითო.

დარწმუნებული ვარ, ეს მახვილი სიტყვა აკაკიმდე, რომ უმანკო სახით მისულიყო და მზითვად ბევრი ნართაული, რომ არ მიჰყოლოდა, სულ სხვა გვარისა და სხვა მნიშვნელობისა, აკაკის ძალიან მოეწონებოდა, როგორც მოსწრებული თქმის ფასის მცოდნე ადამიანს.

აკაკი სიცილით თვითვე გიამბობდათ, ილიას ჩემზე ასე უთქვამსო.

ქურდს რა უნდა და... ბნელი ღამეო. ხოლო ყალბის მქნელს რა უნდოდა? სულ მცირე მსგავსება ნამდვილისა, რაღაც თათზე დასახვევი რამ, რათა შეეთხზა ნამდვილის შორეული ანარეკლი ამბავი, სადაც მახვილ სიტყვასთან ერთად, ვიმეორებ, მდიდარ მზითვად მქირდაობაც იქნებოდა, კილვაც, ჭორიც, შურიც, მტრობაც, ძულვაც და ყოველნი ცოდვანი ამა ქვეყნისანი. და ყოველივე ეს გადაიცემოდა დანიშნულებისამებრ და ვრცელდებოდა საზოგადოებაში იმ უნარით და ხერხით, ვით დონ ბაზილიოს ცნობილი ცილისწამება.

ხოლო იმათ გულში კი რომ ჩაგვეხედა, ვინც მსხვერპლი იყო ამ ცილისწამებისა, ერთის მხრითაც და მეორეს მხრითაც, აი, რას ვნახავდით:

ყველას თუ არა, ბევრს მაინც ეხსომება ილიას შესანიშნავი წერილი აკაკისადმი. მცირე ნაწყვეტი ამ წერილისა მე მოვიყვანე ჩემს მოგონებაში ილიაზე. ამჯერად კი საჭიროდ მიმაჩნია, იგი მთლად გადმოვწერო აქ. დეე, მკითხველი ერთხელ კიდევ დატკბეს ამ საუცხოო დოკუმენტის წაკითხვით.

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომლებიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წერილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ — მაიძულა ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომეწერა, და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დაგიგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავ-გუნებიან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ

არ ვიცოდი სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ-
წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მოშბტახეს, —
ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყე, რომ ჩამოსულხარ
და გწერ კიდეც.

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო და როგორ გთხოვო.
რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან
შორს უვლიდი, არ ეკარებოდი, ეგ ჩემთვის თუმცა დიდი
დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქ-
რობდი, — იქნებ ჩემი მიმართულება არ მოსწონს-მეთ-
ქი. ეს ისეთი სამართლიანი საბუთია, რომ ვერა რა გო-
ნიერი და პატიოსანი წუნს ვერ დაჰსდებს, წინ ვერ აღუდ-
გება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს. რაკი ეს ვიგულისხ-
მე, მეც „კისრად ვიღე და დავდუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენს წინაშე, რადგან ჩვენს
ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ძველ
ჟურნალს ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ, გულითადი
წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი
გაზეთი. გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის
ხმით აღებული საბუთი კი მაფრთხილებს: ვაი თუ ეს
თხოვნა ზნეობით ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს
თქმაც გაუძნელო და არასიც-მეთქი;

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი. გულახ-
დილადვე ზედ ვუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთი-
სათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ იცი. მაინ-
და მაინც გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ, შემეწევი
თუ არ შემეწევი, ორსავ შემთხვევაში სხვათა შორის
მეც ერთი გულწრფელი მადლობელი და დამფასებელი
შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები.

შენი კეთილის მსურველი
ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე“.

1886 წ. 5 იანვარი.

ამ წერილს, მგონია, განმარტება არ ესაჭიროება და არც
საგულისხმიერო გამოთქმების კურსივით აწყობა, ვინაიდან იქ
ყველაფერი საგულისხმიეროა.

ვინც ილია ჭავჭავაძეს იცნობს, იცის მისი მტკიცე ხასია-

თი და პრინციპულობა საქმეში, განსაკუთრებით კერძო ხასიათის მიწერ-მოწერაში (ეს მე სათანადო ეპიზოდით დავასაბუთებ, რათე ჩემს მოგონებაში ილიაზე), ის უეჭველად დამფუძნებელია, რომ ამისთანა წერილს იგი არავის არ მისწერდა, მით უფრო აკაკის, თუკი მისდამი იმ გრძნობას არ განიცდიდა, რაც ამ წერილში ნათლად ღაღადებს. მით უფრო აკაკის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თუ ილია მართლა გრძნობდა თავისადმი აკაკის მტრობას და თანაც იცნობდა აკაკის სწორედ იმ სახით, რა სახითაც „არამკითხე მაამებლები" გულმოდგინედ უხატავდნენ, — იგი თავის დღეში თავის თავს არ დაიმცირებდა და აკაკის საქირდავად არ გახდიდა თავის კეთილშობილურ გრძნობას მისდამი.

მოვუსმინოთ ახლა აკაკის.

იუმორისტულ ამბავში „სიკვდილი" აკაკი აგვიწერს თავის სიკვდილს, სიზმარში ნანახს და გვიხატავს საზოგადოებას სხვადასხვა წრის წარმომადგენელთა გამოხმაურებას ამ სიკვდილის გამო. მისი სული ჯერ საიქიოს არ გადასახლებულა და უჩინარი ამქვეყნად დაძრწის. ბევრ სასაცილო და სავალალო გარემოებას წააწყდება იგი, ბევრ ნაღველმწარ სიტყვას მოისმენს თავის თავზე. მიჯნურის ღალატი თვით მასზე ვაების მომენტში, მეგობრების მიერ ვითომ დანაგება და ამავე დროს თავისმოკატუნებით მისი ქირდვა და კილვა, მიცვალებულის გარშემო გამეფებული ტყუილი და ცილისწამება, ერთი სიტყვით, გაუტანლობისა და „საზოგადოების"-ზნეობრივი გახრწნის მწვავე სურათია მოცემული.

სხვათა შორის, აკაკის სული თავის მოწინააღმდეგე რედაქტორის ოთახშიაც ამოჰყოფს თავს. აქ აშკარად აკაკი ილიას გულისხმობს.

„მომწყინდა მათი ყურისგდება (თანამშრომლების კამათი. — ი. ზ.) და შევძვერი რედაქტორის ოთახში. რედაქტორი მოწყენილი მარტოდმარტო თავის თავს ესაუბრებოდა: რამდენი ხანი ვიცნობდი და ჩემს დღეში მისგან პირადი წყენა არ მახსოვს. საზოგადოებაშიაც, მართალია, ერთი მიზანი გვქონდა, მაგრამ ის სულ სხვა გზით მიდიოდა და მე სხვით. ჩემი გზა იმას არც ერთხელ არ დაუქოლავს, და მაშ რათ მძულდა? რათ მეჯავრებოდა? მაგრამ ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის. მუშას რომ გადაატანინო რამე ერთი სახ-

ლიდან მეორემდის, განა იმას გზაში მტვერი არ ეყრება და არ ჩირქიანდება? ასეთივეა გადატანილი სიტყვა: სულ სხვა ფერად გადადის და სხვა ხორცად. მოგონებამ ეს ყველაფერი იცის, მაგრამ გული კი უსამართლო ენის ამყოლია. ეჰ, ვინ დაიჯერებს, რომ მისმა სიკვდილმა მე ასე გული მატკინა?..“

თუ მტერზე, მოძულეზე იმ წარმოდგენისა ხარ, რომ შენი სიკვდილი მას ასე დააღონებს, ასე გულს ატკენს, მაშინ იგი მტერიც არა ყოფილა. მაშასადამე, თქვენი მტრობა განგებ შეთითხნილია იმათგან, ვისაც უნდოდა, რომ თქვენ უეჭველად მტრები ყოფილიყავით, და აკაკი ამას პირდაპირ ამბობს, როცა ენატანიობას ჰკიცხავს რედაქტორის (ე. ი. ილიას) პირით.

აკაკი, რასაკვირველია, კარგად იცნობდა ილიას. მან იცოდა მისი კლდესავით გამოჯეკილი ხასიათი და ისიც, რომ თუ ილიას ვინმე სძულდა, ალბათ, საბუთიანად — თავისთვის მაინც. ამიტომ სანტიმენტალურ გრძნობას, სინდისის მხილებას იგი ახლო არ გაიკარებდა, თუნდაც ათვალწუნებული ადამიანის სიკვდილიც გაეგო.

აკაკიმ ამ მოკლე მხატვრული ეპიზოდით ნათლად გვიჩვენა, რომ სიძულვილისათვის მას და ილიას შორის არავითარი საბაბი არ იყო და არც თვით სიძულვილი არსებობდა. არამედ იგი არსებობდა ვიღაცეების წარმოდგენაში.

და, თუ მხედველობაში იმ გარემოებას მივიღებთ, რომ „სიკვდილი“ დაწერილია 1894—1895 წლებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართველი საზოგადოება ორ მებრძოლ ბანაკად იყო გაყოფილი „ბანკობანას“ გამო, როდესაც ერთმანეთის დაბდობა და განკითხვა აღარ იყო, ხოლო აკაკი ერთ ბანაკს ეკუთვნოდა თავისი სიმპათიებით, ილია კი სათავეში ედგა მეორე ბანაკს, — ასეთი დახასიათება ილიასი იმის მაჩვენებელია, რომ აკაკის არა სწამდა თავისადმი მტრობა და სიძულვილი ილიას მხრით, თუმცა, ალბათ, ბევრი უჩიჩინებდა ამაზე.

ღირსშესანიშნავია აგრეთვე აკაკის სიტყვა, წარმოთქმული თელავში 1897 წელს, რომელშიაც, სხვათა შორის, ილიაზე შემდეგს ამბობს:

„...საკვირველია, მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა სქესის ახალთაობა გამოფხიზლებას აპირებდა, ის პატარა ცასარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯიც აქეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებით რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე... სჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად წამებული კახეთი ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებას".

ალარას ვამბობ აკაკის ლექსზე ილიას გარდაცვალების გამო, მაგრამ არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ მისივე სიტყვა ილიას დაკრძალვის დღეს წარმოთქმული, იგი მეტად დამახასიათებელია.

„ახალმოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწალმართოსი და არა საუკუნმართოსი, დღეს უკუნმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენს წინ და, თითქოს გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?.." — გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა... და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე: ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით; ერთის გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება, საძნელია, მაგრამ ეჰ, არა ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი, შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მოუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები. და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!"

ენას ჭავლი არ მოედება და შეიძლება ზოგმა თქვას, პირდაღრენილი საფლავის წინაშე, მერე ისე ტრაგიკულად აღსრულებულ ადამიანზე აკაკი პირადი ანგარიშების გასწორებას ხომ არ მოჰყვებოდაო?

მართალია, ასეთ მომენტში პირადი ანგარიშების გასწორება წარმოუდგენელია, მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ აკაკის შეეძლო, ბევრ სხვასავით გულზე ხელისცემით უფრო მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოეთქვა ილიაზე, უფრო ცამდე აეყვანა იგი, ხოლო „მარტოდ დარჩენაზე", „დაობლებაზე", ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთი გზით სიარულზე, გარემოების წყალობით ერთი უღლის წევაზე არა ეთქვა. და ყოველივე ეს კი იმიტომ ითქვა, რომ ნამდვილი გულისნადები იყო, ჭეშმარიტი გრძნობის ნაკარნახევი.

აღსანიშნავია, რომ იმ სამგლოვიარო დღეებში და ადრეც აკაკი მძიმე ავადმყოფი იყო, ლოგინად მიქცეული. არც გვეგონა, თუ ადგომას შესძლებდა. მაგრამ მან დასძლია თავისი ავადმყოფობა და მოისურვა სიტყვის თქმა. ხოლო, რადგანაც სიარული არ შეეძლო, სამგლოვიარო პროცესია სპეციალურად სასახლის ქუჩის შუაგულს გაჩერდა და აკაკი ჩამოიყვანეს იქვე სასტუმროდან, სადაც იგი იდგა წერა-კითხვის საზოგადოების სადგომის პირდაპირ. აქ წარმოთქვა მან სიტყვა, რომელსაც თანა სდევდა გულის გამჭვალავი საერთო ქვითინი — ჭირისუფლის მოთქმა, ვით მწუხარებასთან შებანებული აკომპანემენტი.

შეიძლება, ამ ორი დიდი ადამიანის ხანგრძლივ სიცოცხლეში ეს ერთადერთი წამი იყო, ნამდვილი ტრაგიზმით აღსავსე, როდესაც ავი გესლით გაჟღენთილი ენაც კი ვერა ბედავდა შეებღალა რაიმე ეჭვით ეს უკანასკნელი შეხვედრა მათი სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე. ყველასათვის დიდიან-პატარიანად აშკარა იყო აკაკის გულწრფელი მწუხარება. შურიც, მტრობაც, კილვაც და ძრახვაც დარცხვენით ქედს იხრიდა მის წინაშე.

საყურადღებოა კიდევ ის, რომ არსად აკაკისა და ილიას პოლემიკაში ფარგალი ლიტერატურული კილოს ზომიერებისა და ურთიერთისადმი თავაზიანობისა გადაცილებული არ [illegible] ... [illegible]

მი ხშირად მიმართავდა მოწინააღმდეგის გამაწბილებელ სიტყვა-პასუხს.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მაჩვენებელია მათი პოლემიკა აკაკის ლექციებზე „ვეფხისტყაოსნის“ გამო.

როგორც ვიცით, ილია ამ ლექციებს დიდის უარყოფით შეხვდა, მაგრამ მის წერილში ვერსად ნახავთ ვერც დაცინვას, ვერც აგდებას ან რაიმე ორლესულ გამოთქმას. ყველაფერში აქ დაცულია პრინციპულობა და ეგრეთწოდებული პარლამენტარული კილო.

და, წარმოიდგინეთ, ამავე კილოთია დაწერილი აკაკის პასუხიც. თუმცა აკაკის ერთი გარემოება ხელს უწყობდა, ირონიისა და მახვილსიტყვაობისათვის მიემართნა. საქმე ის არის, რომ აკაკის ლექციებს ილია არ დასწრებია და იმ დროს, როდესაც ილიას კრიტიკა დაიბეჭდა, ეს ლექციები გამოქვეყნებული არა ყოფილა. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ილია თავისი კრიტიკისათვის ხელმძღვანელობდა ლექციების შინაარსის სხვათა მიერ გადმოცემით. მეტად საინტერესოა რამდენიმე საამისო გამოთქმა აკაკისა.

„...ნათქვამია: კარგ მთქმელს, გამგონიც კარგი ეჭირვებაო — და, მაშასადამე, ბატონ ჭავჭავაძის სიტყვას, როგორც საგულისხმოს და ყურად-საღებს, ცალყბად მიგებება არ შეჰფერის და ჩვენც, ჩვენი შეძლებისა და გვარათ, გულწრფელად მივეგებებით.

ერთისა და იმავე აზრის გადასაცემათ უმთავრესად სამგვარი საუბრის კილოა საჭირო: 1) როდესაც მსმენელი შეგნებულია და მახვილ-გონიერი, იმისათვის მრავალმეტყველება აღარ არის საჭირო, გაკრულ-გამოკრული სიტყვებითაც გაიგებს დედა-აზრს, 2) თუ მსმენელი ჩქარი მოაზრე არ არის, იმას უფრო დალაგებით ესაუბრებიან და ხშირად უმეორებენ არა თუ ფრაზებს, სიტყვებსაც და 3) თუ მსმენელი გონებაჩლუნგია, იმის შესაგნებლად სხვადასხვა ხერხებს იგონებენ და უმთავრესათ ეჩიჩინებიან. საზოგადოთ ჩემს ლექციებზე მე არ ვეგულებოდი იმ ზოგიერთებს, რომლებისათვისაც საჭირო გახდა განმეორებით უბნობა, მაგრამ ახლა კი ჭავჭავაძის წერილებით ჩანს, რომ თურმე ჩიჩინიც ყოფილა საჭირო! ამას მე ვერ შევკადრებ საზოგადოთ მსმენელს და

მით უფრო ჭავჭავაძეს... „საჩიჩინოთ“ მიმაჩნია მხოლოდ ის მცირე გუნდი ზოგიერთებისა, რომლებმაც ჩემი სიტყვები თავისებურათ გაიგო და რომლის აყოლითაც ბატონმა ილია ჭავჭავაძემ სამსჯავროზე გადმოდგა ფეხი ბანის მთქმელათ. „აყოლით“-მეთქი მიტომ ვამბობ, რომ ბატონი ჭავჭავაძე არა ბრძანებულა ჩემს ლექციებზე და, მაშასადამე, თუ არ გაგონებით, თავის თავათ როგორ ეცოდინებოდა, რითი დავათავე ჩემი საუბარი და როგორ დავასკვენი? შეიძლება ბრძანოს, რომ მე იმ თავითვე, წარმოითქვა პირველი სიტყვა თუ არა, შევატყვე, რაც უნდა თქმულიყო და რითაც უნდა დაბოლოვებულიყო საუბარიო და სხვანი. შესაძლებელია!.. ნამეტანი გამჭრიახობა იგივე გულთა მხილებაა, მაგრამ გულთა მხილავმა მხოლოდ ის უნდა ამოიკითხოს სხვის გულში, რაც იქ სწერია და არა ის, რაც თვითონ სურს, რომ ჩაწეროს. ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ ბატონ ჭავჭავაძეზე, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია შევიწამო ის, რაც არ მითქვამს!..“

ამის შემდეგ აკაკი ეხება ილიას მიერ გამოთქმულ დებულებებს და ცდილობს მათ დარღვევას, სულ იმავე ზომიერი პოლემიკური კილოთი.

თუმცა ციტატები დიდრონ-დიდრონი გამოვიდა, მაგრამ იმ იმედით გამხნევებული, რომ მკითხველი სიამოვნებით გაიხსენებს აკაკის წერილს, თუ იგი წაკითხული აქვს, ხოლო, თუ წაკითხული არა აქვს, მით უფრო გულისხმიერებით მიიღებს მას, გავბედავ კვლავ ერთი ციტატის ამოღებას იმავე წერილიდან.

„..მე ჩემი პატარა აზრი წარმოვთქვი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ რაზედმე; შეიძლება, რომ, ჭავჭავაძეს თქმისა არ იყოს, მართლა — გალიფულ გზაზე დავდექ და ფეხი ამისხლტა, საუბარიც მეტის-მეტად უგემური გამოვიდა და მსმენელთათვის მეტად მოსაწყენი, მაგრამ ამას კი ვაღიარებ, რომ, რაცა ვთქვი, გულწრფელათ იყო გამოთქმული და ახლა დიდი სიამოვნებითა და ნატვრით ველი იმ დროს, როდესაც იმავე საგანზე ბატონი ჭავჭავაძე წარმოთქვამს თავის საკუთარ აზრს. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მე დიდი სიამოვნებით

ჩემი საკუთარი ყურით მოვისმენ მის საუბარს და შემდეგაც დიდი დაკვირვებისა და მოფიქრების შემდეგ დავაფასებ შეძლებისადაგვარათ და ცხრა თავიან დეგვიანი ისრებს არ გავტყორცნი ძლევამოსილი უეჭველობით. ამას მოითხოვს, როგორც რუსთველის დიდი ვინმეობა და ბატონ ჭავჭავაძის ღირსება, ისე ჩემი საკუთარი თავის პატივისცემაც. დასასრულ ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი საუბარი რუსთველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“ ჯერ არ დაბეჭდილა, — და თუ რატომ არა, ეს ბატონმა ჭავჭავაძემ ყველაზე უკეთ იცის. დაბეჭდილი რომ ყოფილიყო, მე ყურადღებას არ მივაქცევდი იმ ხმას, რომელსაც ზოგიერთები ავრცელებენ; მაგრამ დღეს კი იძულებული შევიქენი, რადგანაც თვით ბატონმა ჭავჭავძემ ბანი მისცა საჯაროთ და ნურაფრის უკაცრავად“.

ჩემი აზრი ილიასა და აკაკის ურთიერთობაზე მინდა ილიას შესანიშნავი აფორიზმით გავათავო: „პატიოსან მტერთა შორის მოციქული — ნამუსია“.

აკაკიზე იმასაც ამბობდნენ, ფულის სესხებაში დაუზარელია და ჩასესხებაში კი ზარმაციაო. ამასთანავე, არ დაგიდევთ, ვის ესესხება და რამდენსაო.

ჩემი პირადი დაკვირვებით, ამგვარ ჭორებს ავრცელებდნენ სწორედ ისეთები, აკაკის რომ თავის „სიკვდილში“ ჰყავს აწერილი: „ერთმა მათგანმა აავსო ჭიქა, წაუქცია თავი და თქვა: „ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს... სამასი მანეთი კი გაჰყვა ჩემი საიქიოს, მაგრამ შენდობილი იყოს!“ შევხედე თვალებში ურცხვად მოტრაბახეს, მაგრამ რაღას ვიტყოდი? ღმერთმა ხომ იცოდა, თვითონ გამომართვა ერთხელ სამი მანეთი და აღარ დაუბრუნებია“.

იმას როგორ დავიფიცავ, ვითომ აკაკი ფულს არა სესხულობდა ვისგანმე, მაგრამ თუ სესხულობდა, თვითონაც ასესხებდა ხოლმე და უფრო ხშირადაც, ვიდრე სხვისაგან სესხულობდა.

პირადად ჩემგან, ჩვენი კარგი დამოკიდებულების მიუხედავად, აკაკის, კაპიკი რა არის, ერთი კაპიკი არ უსესხია არასდროს.

ამიტომ, სრული დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: აკაკი თუ ვისმე მიმართავდა, ალბათ, იმისთანას, ვინც თვით დავალებული ჰყავდა, ან ვისთანაც რაიმე სააღებმიცემო ანგარიში ჰქონდა, მისი ნაწერების გამოცემა იქნებოდა, თუ ქალალდის თამაშის დროს დარჩენილი ვალი, ან სხვა ამისთანა რამ.

აკაკიმ რომ ვალის დაბრუნება იცოდა და დიდრონი ვალისაც, მაგალითად, რამდენიმე ათასისა, ამისთანა შემთხვევა სხვებმაც იციან. მე მხოლოდ ერთ ეპიზოდს აღვნიშნავ, რომლის მოწმეც ვიყავი.

1900 წელს თბილისში მყოფი აკაკი დიდ გასაჭირში ჩავარდნილიყო: ქუთაისიდან დეპეშა მიეღო — სახლ-კარი ბანკში გეყიდებაო.. საჭირო იყო სამასი მანეთი. თანხა თუ დიდი არ იყო, მაინც იმ დროისათვის საკმაო ფულად ჩაითვლებოდა. ბევრ თავის ნაცნობისათვის მიემართნა, მაგრამ უნაყოფოდ, ბოლოს მაკოსათვის ეთხოვნა — შენს მახლობლებში მიშოვნე სადმეო. მაკომ თავის ძმას შაქრო საფაროვს (თეატრის მოღვაწეს) მიმართა, რადგანაც იცოდა, რომ იმ რიგობაზე მას ფული ჰქონდა. შაქრო იოლად დათანხმდა.

როდესაც აკაკიმ თამასუქი შეაძლია, შაქრომ ეს ძალიან შორს დაიჭირა და იწყინა კიდეც, თქვენ თამასუქს როგორ ჩამოგართმევთო. აკაკი მაინც არ მოეშვა, უამისოდ სესხის აღებაზე უარს ამბობდა. შაქრო იძულებული გახდა დათანხმებულიყო, თანაც ამბობდა — რა მნიშვნელობა აქვს თამასუქს; სასამართლოში ხომ არ წარვადგენ, თუნდა ვალი სულაც არ დამიბრუნოთო. ხოლო აკაკიმ უპასუხა: ცალი ფეხი სამარეში მიდგას, ვინ იცის, დღეს რა მოაქვს, ღამეს რა მოაქვს, რაზე უნდა დაგეკარგოს ეს ფული, რა მდიდარი შენა ხარო.

აღარ მახსოვს, ეს ვალი აკაკიმ ვადაზე დაუბრუნა შაქროს, თუ დაგვიანებით ან ვადაზე უფრო ადრე. დაბრუნებით კი დაუბრუნა და სარგებლითაც, აქაც შაქრო დიდ უარზე იყო, მაგრამ თავისი გაიტანა და სარგებელი მიაღებინა.

ეს ამბავი აკაკის აწერილი აქვს თამასუქის მეორე გვერდზე. აი, როგორ ათავებს აკაკი თავის გაჭირვებისა და ფულის ძებნის ამბავს:

„...ეს ამბავი გაეგო როგორღაც საფაროვის ქალს. დაეგირავებინა რაც რამ გააჩნდა, ზოგიც ძმისაგან ესესხნა და მო-

მიტანა სამასი მანეთი. თქვენგან ბევრი შემწეობა მახსოვს და ახლა ჩემგანაც მიიღეთ სამაგიეროო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან საყურადღებო წარწერა აქვს ამ თამასუქს, „მაქრო საფაროვისა: „სრულიად მივიღე, რისთვისაც დიდად ვმადლობ კნ. აკაკი წერეთელს“.

თამასუქი სალიტერატურო მუზეუმში ინახება.

აკაკის აწერილობიდან გამოდის, ვითომ ფული მისთვის მაკოს ესესხებინოს. ეს სწორი არ არის. მე ავწერე ისე, როგორც ფაქტი მოხდა. მაკო ცოცხალია და შეუძლია დაამოწმოს ჩემი სიტყვები. აკაკი, ალბათ, ერთმანეთში ურევს ამ ფაქტსა და სხვა შემთხვევას, როდესაც მაკოს, რათა აკაკისათვის ფული ეშოვნა, თავისი საკუთარი ნივთები დაეგირავებინა. მაგრამ ეს ზემომოყვანილ შემთხვევაზე კარგა ხნით ადრე მომხდარა, ამრიგობაზედაც აკაკის პირნათლად დაუბრუნებია ვალი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არავითარ თამასუქზე და სარგებელზე კრინტის დაძვრაც არ შეიძლებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ მაქვს თუ არა უფლება არ დავიჯერო, რასაც აკაკის უპირობაზე ლაპარაკობდნენ ფულის საქმეში?

სრულიად დარწმუნებული ვარ, ყოველ ამგვარ თქმას მარტო საპირე კი არა, სარჩულიც რომ გაესინჯოს, უეჭველად აღმოჩნდება, რომ სიმართლე იქ კი არ ძევს, რასაც მთქმელი ამბობს, არამედ იქ, რასაც იგი არ ამბობს ამა თუ იმ მიზეზის გამო. თორემ რომელი კაცური კაცობის ღირსების მქონე ადამიანი, თუ არა ზნე-ხასიათით ნამდვილი კაცუნა, დაიტრაბახებდა, აკაკის ფული ვასესხე და არ დამიბრუნაო?!

თვით აკაკი რომ ამ მხრივ ხელგაშლილი იყო და გაჭირვებულს უარს არ ეტყოდა, თუკი იმ წამს დახმარება შეეძლო, ამას ამოწმებს მაკოს მიერ არაერთხელ ნათქვამი სიტყვები: რამდენი გაჭირვებული ხალხი დადის აკაკისთან, ან როგორ აუდის ამოდენა მთხოვნელებსაო? და როდესაც იგი შეეკითხა აკაკის ამის თაობაზე, აკაკიმ ღიმილით უპასუხა თურმე — შექალო, აბა ჩემთან ვინ მოვა, თუ არა გაჭირვებულიო. ის მაწუხებს მხოლოდ, რომ თვით ხელმოკლე ვის რა იარას გაუმთელებსო.

მაკოს ეთქვა, — ბიჭს ვუბრძანებ — აღარ მიიღოს თქვენი შემწუხებელიო. — არა, ღვთის გულისათვის, იგ არა ქნა... აბა,

რა საკადრისია, კარზე გაჭირვებული მოგადგეს და იმის ნაცვლად, რომ დაეხმარო, შენ არც კი გინდა მიიღო და თანაგრძნობის სიტყვა მაინც უთხრა, — უპასუხა თურმე აკაკიმ.

ეს მაკოსაგან წინადაც გამიგია და ამ დღეებშიაც განიმეორა, აკაკიზე რომ ვლაპარაკობდით. მაკოს აზრით, აკაკი იშვიათი კეთილი გულის პატრონი იყო და არასოდეს გაჭირვებულს დახმარებაზე უარს არ ეტყოდა, თუკი გარემოება ხელს უწყობდა. თვითონ გაიჭირვებდა და სხვას განიკითხავდა.

ძალიან საგულისხმოა აგრეთვე მაკოს ცნობა აკაკის განსაკუთრებულ დელიკატობაზე მის მიმართ.

ქართული თეატრის აღორძინებისას, პირველ წლებში, დიდ გაჭირვებაში ვიყავით მე და ჩემი ქმარიო. აკაკიმ, რა საკვირველია, ეს კარგად იცოდა, რადგანაც თეატრთან ახლოიდგაო. ვინაიდან პირდაპირ დახმარების გაწევას ვერ გამიბედავდა, ხშირად შემოვიდოდა ჩვენსა და ღიმილით მეტყოდა — აბა, ქალო, რა იქნება, დღეს რომ შენებური გემრიელი სადილი მაჭამოო. მე ვგრძნობდი, რასაც ნიშნავდა ეს გემრიელი სადილი, როდესაც აკაკი გადმომცემდა 15—25 მანეთს სადილისათვის, მაგრამ იმდენად გულწრფელი იყო და თავაზიანი მისი საქციელი, რომ არ მეთაკილებოდა მიმეღო სასადილოდ შემოძლეული ფულიო. „ჩემებური გემრიელი სადილი“ ბევრი, ბევრი 2—3 მან. მიჯდებოდა და დანარჩენზე ხომ ანგარიშის წარდგენას ვერ გავბედავდი; რაკი ვიცოდი ამ „დანარჩენის“ პირდაპირი დანიშნულება, ე. ი. რამდენიმე დღით ხელი მოენაცვლებინა ჩვენს პატარა ოჯახსაო. ასეთი მცირე, მაგრამ მოკრძალების საბურავში გახვეული დახმარება უფრო ძვირფასი იყო ჩემთვის, ვიდრე ის, აკაკის რომ ჩემთვის განძი მოეტანაო.

რაღა აკაკიზე იყო ესეთი მითქმა-მოთქმა, რატომ სხვებზე არა ლაპარაკობდნენო ასე? — იკითხავს ვინმე.

ალბათ, სხვებზედაც ლაპარაკობდნენ, მაგრამ თუ სხვაზე ნათქვამს თოფის ჭახანის ხმაც ძლივსა ჰქონდა, სამგიეროდ, აკაკიზე ნათქვამი ზარბაზნის ბათქივით გაისმოდა, ვინაიდან სხვები სხვანი იყვნენ და აკაკი — ერთადერთი აკაკი იყო.

ერთ ჩემს კარგ მეგობარ ქალს ერთხელ გავბედე და ვკითხე:

— მითხარით, შეეძლო თუ არა, თქვენი დაკვირვებით, აკაკის სერიოზული და ხანგრძლივი სიყვარული?

ქალმა გაიღიმა და ჩაფიქრებულმა თქვა:

— აკაკის ბევრი გატაცება ჰქონია, მაგრამ სიყვარულით, ნამდვილი სიყვარულით კი მხოლოდ სამშობლო უყვარდა, მისი სათაყვანებელი საქართველო.

დიახ, აკაკის მხოლოდ ერთადერთი სატრფო ჰყავდა, იგი უყვარდა წარუხოცელი და მგზნებარე სიყვარულით. ამ ტრფობის წინაშე ყველა სხვა გრძნობა, მეგობრობა იქნებოდა იგი თუ „ბუნების თრთოლვა და მღელვარება“ ქალისადმი, — მხოლოდ ფერმკრთალი აჩრდილი იყო. ეს იყო საქართველო, ისიც წარსულში უფრო, ვიდრე აწმყოში.

მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ვერც ერთ მის ეგრეთწოდებულ სატრფიალო ლექსში თქვენ ვერ ნახავთ კონკრეტულ სახეს, რომელიც სწორედ განსაღვრულ ქალს ეკუთვნოდეს, აღნიშნავდეს მის რაიმე თავისებურებას, რაც მხოლოდ მას ახასიათებდა.

დიდ ჯარად თავმოყრილ საზოგადოებაში ილიას პოვნა თუ არც აგრერიგად ადვილი იყო, სამაგიეროდ, აკაკის მაშინვე, ერთი თვალისგადავლებით შენიშნავდით.

მეტისმეტად იმპონზანტური ფიგურა ჰქონდა, ნამდვილი სასკულპტურო.

მარტო იმიტომ კი არა, რომ ბრგე აგებულებისა იყო. იმაზე ბუმბერაზულ ტანადობისას სხვასაც ნახავდით, მაგრამ ისინი აკაკისებურ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ. იმიტომ, რომ იშვიათი ჰარმონიულობა სუფევდა მის ტანსა და თავს შორის.

აკაკი ხორცსავსე იყო, ტანსრული, მხარბეჭიანი.

საკვირველი მოყვანილობის თავი ჰქონდა: მრგვალი, თარაზოში გამოსული, არსად შეზნექილი ოდნავადაც, არსად ზედმეტად გამოწეული, თმაც რომ არა ჰქონოდა, მარტო ეს იშვიათად სწორე მოყვანილობა ყურადღებას მიიქცევდა.

ხშირი, მეტისმეტად გრუზა თმა. ისე ხშირი და ერთმანეთში ისე გადახლართულ-გადატმასნილი, რომ ნაპენტი მატყლი გეგონებოდათ. აკაკის თმის ფერი, თვით სიცოცხლის უკანას-

კნელ წლებში იმ სითეთრემდე არ მისულა, რომელსაც თვალის სისპეტაკეს უწოდებენ. იგი უფრო ჭაღარა იყო, ვიდრე თეთრი, და ეს იმიტომ, როგორც მე მგონია, თმის ღეროების ხვეულები ერთმანეთში გადახლართვის წერტილებში კვანძივით უფრო მუქი ფერის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, ვიდრე სწორედ გაშლილი თმა. ასეთივე ხშირი, შუათანა სიგრძის წვერი, ხოლო ნიკაპზევითა ღარებში ოდნავ შეთხელებული. ასევე ოდნავ თხელი ულვაშები.

კიდევ კარგი, აკაკი თმასა და წვერს იკრეჭდა, თორემ ვერავითარი კბილგანიერი სავარცხელი თმაში ვერ გაატანდა.

ეს ბუნებაუხვი თმა შარავანდედივით ადგა მის საკვირველ — არა მარტო მაღალ, განიერ — არამედ სწორედ დიად შუბლს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც.

ასეთ უტეხ გაბარდულობას, რასაკვირველია, დიდი ფარეზობა ეჭირვებოდა, მაგრამ აკაკი ამას არ დაგიდევდათ და ყოველთვის მის თმა-წვერ-ულვაშს ეგრეთ წოდებული პოეტური — „ნეგლიჟეს“ იერი სდევდა.

მე ვიცი, სხვებივით, ვისაც ბუნების ასეთი წყალობა ღირსებია, სარკესთან ტრიალს მოჰყვებოდა. ერთი კი გადაივარცხნიდა კბილგანიერი სავარცხლით თმას, ჩამოივარცხნიდა წვერს, ხელს გადაისვამდა ულვაშებზე და მისი „ტუალეტი“ გათავებული იყო. ზოგმა რომ იცის კიდევ, ლაპარაკშიაც, საქმეშიაც ერთთავად ხელით წვერს იუთოვებს ან თმას აწვალებს, კულულები არ დამეშალოსო. აკაკის ამის მსგავსი რამ არა სჭირდა რა. არც კი ამჩნევდა, რომ მის სახეს გარეშემო ასეთი სიმდიდრე ეხვია.

სახე...

მსხვილნაკვთიანი, დიდრონთვალება. მკვეთრად მოხაზული ბაგე, მაგრამ ვნებიანობის არამჩენი ტუჩები... არც ირონიისა.

რასაკვირველია, ნაკვთთა სწორე მოხაზულობით, თვალების წყლიანი მეტყველებით, სახის კანის სისუფთავით და ფერით ილია აკაკიზე გაცილებით ლამაზი იყო. მაგრამ იმ დასკვნამდე მ[illegible]�იოდით მხოლოდ მაშინ, თუ მათ სახეს დაკვირვებული თვალით ჩააკვიოდებოდით. თორემ საერთო შთაბეჭდილებით კი

აკაკის მთელი არსებიდან ისეთი თვალმომჭრელი, რაღაც საიდუმლო ძალით აღსავსე სხივნართი შუქი გამოკრთოდა, რომ ილიას სახის იშვიათ სინატიფეს ჩრდილს აყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნებული ვარ, სადმე საზოგადოებაში, სადაც აკაკი იყო და რომელიმე ულამაზესი, მზეთუნახავი ქალი, მათი ერთად მნახველი უცხო ვინმე უეჭველად ჯერ აკაკის ვინაობას იკითხავდა და მხოლოდ შემდეგ ამ ქალისას, რადგანაც თავისდაუნებურად განცვიფრება აიტანდა — ეს მართლა ადამიანია თუ ოლიმპიდან ჩამოსული ღმერთკაცი.

ნიშანდობლივი კიდევ ის იყო, რომ მუდამ ხუმრობისა და სიტყვამახვილობის სტიქიონში იოლად მცურავ აკაკის, თითქო თავისი ბუნების უნებურად, მართლა ოლიმპიური სიდინჯე და მონუმენტალობა ახასიათებდა: წყნარი მიხრა-მოხრა, მძიმე ნაბიჯი, თითქმის სრულიად შეზღუდული ჟესტიკულაცია და თითქო რაღაც ზევსურ გარინდებაში ყოფნა სიჩუმის დროს.

აღსანიშნავია, აგრეთვე ის, რომ რაც უფრო ხანში შედიოდა აკაკი და რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, მაგალითად, ტანისამოსის მოხდენილად ტარებას (მეტწილად სერთუკს იცვამდა), მით უფრო მისი გარეგნობა მეტის სილამაზით იმოსებოდა.

თვით პირველად წვეთის დაცემის შემდეგაც კი, როდესაც ცალი თვალის ქუთუთოს მოძრაობა დაუმძიმდა და ცალ ფეხსაც ოდნავი გაქლასუნებით სდგამდა, მის გარეგნობას თითქო ახალი რამ გამომეტყველება შეეძინა, მეტად ლამაზი მხცოვანებისა: გეგონებოდათ, სადღაც შორს გაიცქირება და სულ სხვა მსოფლიოს ხილვას ლამობსო.

აი, ასე ვთქვათ, ეს ზექვეყნიური ჭვრეტა დიდი ოსტატობით აქვს იაკობ ნიკოლაძეს გადმოცემული აკაკის ბიუსტში, ოპერის თეატრის ბაღნარს რომ ამშვენებს. ჩემი აზრით, იგი საუკეთესო ნაწარმოებია ამ მოქანდაკისა.

თუმცა აკაკის პატარაობიდანვე ვიცნობდი, მაგრამ მისმა უკანასკნელი ოცი წლის გარეგნობამ ისე გამოდევნა ჩემი მეხსიერებიდან იმდროინდელი წარმოდგენა, რომ ვერ მოვახერხებდი მისი მაშინდელი პორტრეტის მოცემას.

ერთი რამ კი ჩემთვის უეჭველია: ახალგაზრდა და შუახნის აკაკი ისე ლამაზი და მომხიბლავი არ უნდა ყოფილიყო, რო-

გორიც მოხუცებულობაში იყო. ამას მისი ფოტოგრაფიული სურათებიც ამტკიცებს.

აკაკი ძალიან ჯანმრთელი იყო. ვერც ბოჰემურმა ცხოვრებამ, თუმცა ქეიფი და ღვინის სმა არ უყვარდა, ვერც ერთთავად სასტუმროების უგემურ ვითარებაში ყოფნამ, ვერც დაუდევრობამ თავისთავზე ზრუნვისამ, ვერც რამდენჯერმე სერიოზულმა დაავადებამ ვერ გატეხა მისი ღონიერი ბუნება.

წარმოიდგინეთ, თითქმის სიკვდილამდე ისეთი მაგარი კბილები ჰქონდა, მგონია ისიც უკლებლივ, რომ კბილით კაკლის მტვრევაში მეჯიბრეობდა და... მჯობნიდა კიდეც. ნედლი კაკალი უყვარდა და არ მახსოვს, როდისმე სამტვრევისათვის მიემართოს, რაც უნდა კირკიტი ნაჭუჭი ყოფილიყო. საკუთარი კბილით გაუტეხავ კაკალს გემო არა აქვსო. თუმცა სულ სიბერეს უჩიოდა, განსაკუთრებით სატრფიალო ლექსებში, მაგრამ, მგონია, ეს პოეტური ჩივილი უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი უძლურებისა.

აკაკი მომხიბლავი მოსაუბრე იყო.

მისი საუბრის ერთი უდიდესი ღირსება ის იყო, რომ თავის მსმენელს, ვინც უნდა ყოფილიყო იგი — ნასწავლი, უსწავლელი, ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა — ყველას თანასწორობის თვალით უყურებდა. ამიტომ მის საუბარს დიდაქტიზმს, ჭკუის სწავლებას ვერ შეამჩნევდით.

მისი თხრობა ეპიკური ხასიათისა იყო. დინჯი, წყნარი ტონი, ხმის სულ მცირედი აწევ-დაწევა.

და თვით სათხრობიც მეტწილად ეპიკური იყო — ჩვენი ქვეყნის წარსული, რომელიც აკაკიმ ჩინებულად იცოდა.

მე მგონია, თითქმის ყველა საისტორიო წყარო აკაკის უკრიტიკოდ, ეჭვმიუტანლად ჰქონდა ათვისებული და ჭეშმარიტად მიაჩნდა ამ წყაროების მიერ გადმონაცემი ამბავი. ამიტომ, ამა თუ იმ მეფის მემატიანის მონათხრობში აკაკი მარტო ამ მეფის ღვაწლის აღწერას კი არა ხედავდა, არამედ აგრეთვე მთელი ხალხის ისტორიასაც, ვინაიდან, მისი აზრით, მეფე შენაკრები სახე იყო ხალხისა.

ამიტომაც იგი ილიასავით როდი ჩიოდა — ქართულ მატიანეში ხალხი არა სჩანსო.

ზოგიერთ ქართველ მეფეს აკაკი ნამდვილად ხალხის მეფედ სთვლიდა.

— როდესაც თოფისა და ზარბაზნის დროს, — ამბობდა იგი,— მეფე მარტო ხალხს კი არ აომებს, არამედ თვითონაც ჯარის წინა რიგში ხმალამოწვდილი იბრძვის, როგორც პატარა კახი იბრძოდაო, მაშინ იგი სისხლსა ჰღვრის არა მარტო თავისი მეფობისათვის, არამედ მთელი თავისი ქვეყნისათვის, ვით ნამდვილი შვილი ხალხისა, მისი წინამძღოლი.

იყო თუ არა აკაკი რელიგიურად მორწმუნე ადამიანი და შეადგენდა თუ არა ეს შინაგან სულიერ მოთხოვნილებას?

მის ნაწერებში იშვიათად არა გვხვდება, თითქო, ამის მაჩვენებელი ადგილები. ცხოვრებაში ამის დამადასტურებელი ნიშნები მე პირადად არ შემინიშნავს. ეკლესიაში იგი არ დადიოდა. არც ლოცვად დგომა ჰქონდა ჩვეულებად. მარხვას არ ინახავდა, არც წმინდა საიდუმლოს იღებდა, ერთი სიტყვით, რელიგიურ რიტუალზე ძალიან დაშორებული იყო. მხოლოდ, რამდენჯერმე შევნიშნე, მთქნარების დროს მარჯვენა ხელს პირთან ისე მიიტანდა, თითქო მოკლედ პირჯვარი გადაისახაო. ეს პატარობიდან დაყოლილი ჩვეულება თუ იყო, უფროსებისაგან მექანიკურად ათვისებული, როგორც ვიცით მისივე მოთხრობილ თავგადასავლიდან. აკაკი ხომ ოჯახში რელიგიურად დიდად იყო დამწყსილი. მშვენივრად იცოდა სამღვთო წერილი, განსაკუთრებით ფსალმუნი, რომელსაც იგი დიდ პოეტურ ქმნილებად სთვლიდა.

გარნა სარწმუნოება, ე. ი. ქრისტიანობა აკაკისათვის ზნეობრივ-ფილოსოფიური სისტემა უფრო იყო, ვიდრე რელიგიური დოგმა; ხოლო ეროვნულ შემეცნებაში — აგრეთვე პოლიტიკური ფაქტორიც, ვინაიდან, როგორც აკაკი ფიქრობდა, თავისი არსებობის დაცვის ინსტინქტურ გრძნობას ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა იდეურ საფუძვლად დაუდვაო.

მე ასე მაქვს წარმოდგენილი მის აზროვნებასა და ცხოვრებაში სარწმუნოების მნიშვნელობა. იგი მეტისმეტი რეალისტი იყო, რათა სარწმუნოებრივ მისტიციზმს მისცემოდა.

აკაკი — ორატორი...

ამაზე ბევრს ვერას ვიტყვი.

ორატორი პაექრობაში გამოიცდება. არ ვიცი, ჰქონდა თუ

არა შეხლა-შეჯახება აკაკის თავის მოწინააღმდეგე ოქროპი-
რებთან? მე მომისმენია მხოლოდ ერთხელ-ორჯერ მისი სიტყ-
ვა, უფრო სწორად რომ ვთქვა, ეგრეთ წოდებული „სპიჩი“,
საზეიმო ხასიათისა.

რაიმონდ პუანკარე გადმოგვცემს თავის მემუარებში ლე-
ონ ბურჟუას აზრს არისტიდ ბრიანზე: განსაცვიფრებელი
ორატორია... მისი პაუზა ისევე მკვეთრია და მეტყველი,
როგორც თვით სიტყვა... ის რომ ხანდახან ხელებს გაშლის ან
ჩამოუშვებს — მთელი ენამჭევრობაა! მერე, ხმა!.. ღრმაა,
როგორც მორევი და, როგორც მორევი ტალღებით, ხმაც სა-
ვსეა მოდულაციებითაო.

მე განგებ „ბრჭყალებში“ არ ჩავსვი ეს სიტყვები, რადგა-
ნაც ხსოვნით მომყავს აქ. წიგნი კი ხელთ არა მაქვს.

რასაკვირველია, აკაკიზე ამისთანას ვერაფერს ვიტყვი.

ჯერ ერთი, აკაკის ხმას სიღრმე არა ჰქონდა. არც მოდულ-
აციებით იყო იგი მდიდარი. პირიქით, მის ბუმბერაზულ გარე-
გნობასთან შედარებით, აკაკის ხმა საკმაოდ სუსტი იყო და
წვრილი.

მეორე, არც მჭევრმეტყველური პაუზები იცოდა; ისე, რო-
გორც შინაურ საუბარში, საჯაროდ გამოსვლის დროსაც ჟეს-
ტიკულაციაზე აკაკი ძალიან ძუნწი იყო. მხოლოდ ერთი ჩვე-
ულება ჰქონდა: გაჩერების დროს დიდი თითით და სალოკი
თითით ნიკაპის ღარების ოდნავ ნერვიული ფხანა იცოდა,
თითქო ფიქრშია წასულიო, და ამ დროს იმის სახეს ისეთი მე-
ტყველება ჰქონდა, რომ გრძნობდით, რაღაც მნიშვნელოვანი
რამ უნდა ეთქვა.

და ამ მოძრაობას, მართლაც მოსდევდა ან ნაკვესი რამ
სიტყვა, ან პოეტური მეტაფორა. ასე რომ, ერთიც და მეო-
რეც წინასწარ ნავარაუდევი არ უნდა ჰქონოდა და იქვე, სიტყ-
ვის პროცესში იბადებოდა.

პათოსი და მგზნებარება აკაკისათვის უჩვეულო იყო. მისი
სიტყვა თავისუფლად მომდინარეობდა. არ იცოდა ზოგიერთი-
ვით აზრისა და სიტყვის ძებნის დროს შორისდებულ ბგერათა
აზმუილება. გამოთქმა ჰქონდა მკაფიო. მის მეტყველებაში იმე-
რული კილო გაისმოდა, ხოლო არა მკვეთრად. წერაში თუ ყო-
ველთვის არა, ლაპარაკში მუდამ „ყოლიფერს“ ხმარობდა, „ყო-
ველისფერის“ მაგივრად. სძაგდა საშინლად სიტყვა „ვაინაჩრო-

ბა". ერთხელ მასთან საუბარში რომ წამომცდა, ამიჯანყდა — კახელებმა ეგ რა უშვერი სიტყვა იციოთ. რა არის „ვაინაჩ-რობაო"! როცა ვუპასუხე — შეიძლება თქვენს გამოთქმაში მართლა ულამაზო იყოს, ხოლო კახელები სწორედ წარმოვთქვამთ ორივ კომპონენტს — „ვაისა" და „ლაჩარსა" შეერთებულად და საუცხოო სიტყვა გამოდის-მეთქი, — დამეთანხმა, ურიგო არ არისო, მაგრამ ისე მივეჩვიე მაგ სიტყვის ჩემებურად გაგებას, რომ შემდეგშიაც ვერ ვიხმარო.

მართლაც, აკაკის ნაწარმოებში, მგონია, ამ სიტყვას ვერსად შეხვდებით.

აკაკი დეკლამატორიც იყო და დიდადაც მიღებული. საზოგადოება ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდა. მაგრამ, გულახდილად უნდა ვთქვა, ამ გარეგან ტრიუმფში თვით აკაკის დეკლამატორულ უნარს, ჩემის აზრით, დიდი ხვედრითი წონა არ ჰქონდა.

საკმარისი იყო მარტოოდენ, რომ აკაკი მონაწილეობას იღებდა ამა თუ იმ სალიტერატურო საღამოში და კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს, ვინ დაგიდევდათ იმას, თუ როგორ კითხულობდა?! მარტო მისი დიდებული ფიგურისა და ღვთაებრივი სახის გამოჩენა... ისევე, ვით ილიასი — იმგვარ ენთუზიაზმს იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში, რომ თვით დეკლამაციის ნამდვილი შეფასება ვისღა ახსოვდა?!

როგორც თითქმის ყოველი პოეტი, აკაკიც, რასაკვირველია, სუსტი დეკლამატორი იყო. ამისათვის მას არც ხმა გააჩნდა, არც მგზნებარე ტემპერამენტი, არც ამ ხელოვნებისათვის აუცილებელი შინაგანი მუსიკალობა.

კითხულობდა იგი ლექსს მკაფიოდ, ცოტა არ იყოს, მოსიმღერო მელოდიურობით და მნიშვნელოვანი ადგილების განსაკუთრებული ინტონაციური განფენილობით, რის გამოც მისი ხმა საკმაოდ წვრილდებოდა.

სხვებთან ერთად მეც გაგიყებით ტაშს ვუკრავდი, ვინაიდან მოწყურებული ვიყავ, რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო სათაყვანებელი ადამიანი ესტრადაზე, რაც შეიძლება მეტხანს მეცქირნა მისი მშვენიერი სახისათვის, მომესმინა მისი „უიმისოდაც" მუსიკალური ლექსები.

რაღა თქმა უნდა, ვინმე ხელოვანი დეკლამატორი უფრო მეტი ექსპრესიით და გამომეტყველებით წაიკითხავდა მას

მართლაც და სადეკლამაციო თვისებებით მდიდარ ლექსებს, მაგრამ აკაკის მაინც ვერ გააფასებდა საზოგადოების თვალში, ვინაიდან იმ წამს მსმენელზე მოქმედებდა არა წამკითხველის უნარი, არამედ სულ სხვა საიდუმლო ძალა, სულ სხვა სულთაძვრა.

ესეც არის, მაშინ ნამდვილი დეკლამატორები არც იყვნენ.

განსაკუთრებით საამური მოსასმენი იყო აკაკი, როდესაც, კარგ გუნებაზე მყოფი, თავის ბავშვობის თავგადასავალს მოგვითხრობდა, მეტადრე გიმნაზიაში სწავლის პერიოდისას.

ეს იყო პაწია ჰუმორული სურათები, უაღრესად მხატვრული, თანაც სასაცილო, მაგრამ ამავე დროს სკოლის რეჟიმისა და ამ რეჟიმის განმახორციელებელთა დამახასიათებელი.

არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში ის ერთი კვირა, რომელიც საჩხერეში გავატარე 1911 თუ 1912 წლის ზაფხულს ბეჟან წერეთლის ოჯახში.

აკაკიც საჩხერეში ბრძანდებოდა თავის სოფ. სხვიტორში და ყოველდღე ბეჟანისას ჩამოდიოდა პაწია ურმით, რომელშიაც შებმული იყო სწორედ ურმის ტოლსწორი, საკმაოდ მჭლე ერთი უღელი ხარი.

ეს ხარები მეტად ცქვიტი იყვნენ და ისე შემოინავარდებდნენ ხოლმე ბეჟანის უშველებელ, მთლად მწვანე მოლით დაფენილ ეზოში, როგორც სწრაფი ჩორთით მსრბოლი ბედაურები.

— არ მოგწონს, კახელო, ჩემი ლანდო? — მკითხა ერთხელ სიცილით აკაკიმ. არა ჰგავს თქვენს კახურ ზლაზნია საბარო ურემს, კუსავით რომ მიცოცავს!..

— ვერ დასცინებთ, ბატონო აკაკი, ჩვენს საბაროს, — ვუპასუხე სიცილითვე, — თქვენ თქვენი ურმით და ხარებით თავისუფლად მოთავსდებით ჩვენს საბაროში... საძნე ურმისას ხომ არას მოგახსენებთ...

— სამაგიეროდ, სამი დღე და ღამე მოვუნდები ჩემი სხვიტორის აღმართს იმ თქვენი ნაქები საბაროთი. „Время—деньги!“ — ჩაიკისკისა თავის კუჭკუჭა სიცილით აკაკიმ.

საარაკო სანახავი იყო ამ სოფლურ იდილიაში ჩვენი დიდებული მგოსანი, თავისი პაწია მამაპაპური ურმით და მჭლე ხარებით, არანაკლებ, ვიდრე ზევსი რაშებშებმულ ეტლში.

აი, ამ ცხენის გაჭენება ეზოში, საიდანაც თვალწინ ალაზ-

ნის ხეობის მსგავსი მშვენიერი ლანდშაფტი იშლებოდა ფართო ჰორიზონტით, სადმე ხის ქვეშ, ნოყიერი საუზმის შემდეგ, აუცილებელი პოხიერი ხაჭაპურებით და ჯუჯა გომიჯებით, და უფრო მაძღარი სადილის მოლოდინში, ხალიჩაზე ნახევრად წამოწოლილი აკაკი გრძნეული ხელით შლიდა თავისი წარსულის საოცნებო კაბადონებს. ბევრი რამ ამ ამბავთა შორის შეტანილია მის „ჩემს თავგადასავალში". ხოლო ის ორი სურათი, რაც მე მისი ნაამბობიდან დამახსოვდა, ამ „თავგადასავალში" მოთავსებული არ არის.

— ჩვენს გიმნაზიაში რუსეთის ისტორიის მასწავლებელი დიდი შოვინისტი იყო. მისი გადმოცემით, მეფის მხედრობა ყოველთვის ნაცარტუტას ადენდა შემოსეულ მტრებს. ბოლოში აუცილებლად დაურთავდა ხოლმე: „В пух и прах разбили"-ო.

მისი ნალაპარაკევიდან თითქმის ყველაფერი მესმოდა, მხოლოდ ვერ გამეგო, რას ნიშნავდა ეს „პუხ ი პრახ". არც ჩემს ქართველ ამხანაგებს ესმოდათ. რუსი ამხანაგებისათვის კი ვერ გვეკითხნა მორიდების გამო, უვიცებად არ ჩაგვთვლონო. ბევრი ფიქრისა და ვარაუდის შემდეგ გადავწყვიტე ჩემდათავად, რომ ეს „პუხი" და „პრახი" უეჭველად შემოსეული მტრის ჯარის სარდლები უნდა ყოფილიყვნენ, მით უფრო, რომ ეს სიტყვები როგორღაც რუსულ სიტყვებს არა ჰგვანდა, ასე მეგონა მაშინ. რაკი ამ დასკვნამდე მივედი, თავს გამოჩენის სურვილი აღმეძრა და გადავწყვიტე, ეს ჩემი აღმოჩენა გაკვეთილის დროს გამომეყენებინა და, როდესაც პირველსავე შემთხვევაში მასწავლებელმა გაკვეთილი მკითხა, ასე დავიწყე ჩემი ამბავი, წინადვე დარწმუნებულმა, რომ ამ რიგობაზე უეჭველად „ხუთს" გავიკრავდი": Когда вражеские полчища, под предводительством знаменитых военноначальников Пуха и Праха, вторглись... უეცრად მასწავლებელმა გაკვირვებით შემომიყვირა:

— Каких там военноначальников? Каких там Пуха и Праха?!.

— А вот, вы что постоянно говорите... которых разбили...

— Так, значит, я говорю, что Пуха и Праха разбили?! — შემეკითხა იგი უკვე განრისხებით. — А вот я тебе такого пуха и праха поставлю... чтобы ты впредь не ост-

рил... — ამ მუქარით სტაცა ხელი ჟურნალს და „ხუთის“ ნაცვლად დამისვა „ნოლი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ოჯახდაქცეულმა ჩემი გულწრფელი სურვილი თავის-გამოჩენისა შეურაცხყოფად მიიღო. მე ხომ, ღმერთია მოწმე, მისი მხედრობის სადიდებელი ამბის თხრობას ვაპირებდი, მაგრამ არ დამაცალა, — ასე დაამთავრა აკაკიმ თავისი მარცხის ამბავი საერთო სიცილ-კისკისში.

აი, კიდევ ერთი ეპიზოდი, ზედმიწოლებით ნაამბობი აკაკის მიერ.

— ერთი ამხანაგი მყავდა გიმნაზიაში (აკაკიმ, რამდენადაც მახსოვს, მგონია, ვინმე ბაქრაძე დაასახელა), მეტისმეტი „ზუბრიაკი“ იყო. ისედაც ხომ ყველაფერს გვაზეპირებდნენ წიგნებიდან, მაგრამ ის მაინც ყველასაგან განირჩეოდა. ერთი სიტყვა რა არის, ერთ სიტყვასაც არ იტყოდა თავისას. ისტორიის მთელი სახელმძღვანელო ზეპირად ჰქონდა დასწავლილი. მასწავლებელი, რომელმაც იცოდა მისი ბეჯითობა, არასოდეს გაკვეთილს არა ჰკითხავდა, ის კი სულ იქაჩებოდა და მუდამ თითაშვერილი იჯდა. ერთხელ ისე მოაბეზრა თავი მასწავლებელს ამ გაფშეკილი თითით, რომ მოსვენება არ მისცა, ლამის პარტიდან არ გადავარდა. „Ну черт с тобой, говори“ — უთხრა სიცილით მასწავლებელმა. იმანაც, გახარებულმა, დაიყარა და დააყარა, მოურთო და მოურთო! — სულ წიგნიდან, სიტყვასიტყვით... და, რა გაათავა მთლად გაკვეთილის ტექსტი, მოულოდნელად ზედ დაურთო თავმოწონებით „ზრრ, სტრრ, შესტნადცატ!“

მაშინდელ სახელმძღვანელოში ყველა ამბავის ტექსტს ბოლოში მიწერილი ჰქონდა შემდეგი ამბავის გვერდი შემოკლებით «зр. стр.». სათანადო ციფრით (ე. ი. зри страницу такую то). ეს „ზრრ, სტრრ“ მოსწავლეს ბოლო სიტყვები ეგონა და იმიტომაც განსაკუთრებული გამომეტყველებით წარმოთქვა, ორჯერაც ენერგიულად თავი დაიქნია და თანაც ჩექმის ქუსლები ერთმანეთს მიაბაკუნა.

მასწავლებელს, ალბათ, მოეწონა მისი ცოდნა გაკვეთილისა, რადგანაც ჟურნალში „ხუთი“ დაუსვა. ასეთნი იყვნენ ჩვენს დროს მეცნიერნი და უმეცარნი.

ქართული პოეზია აკაკის უნდა უმადლოდეს, რომ ჩვენს პოეტთა პლეადას არ შეემატა ჩემი სახით კიდევ ერთი უნიჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშაირე. თვით მე ხომ პირდაპირ უბედურებისაგან მიხსნა, უნიჭო პოეტზე უბედური რაღა და ვიღა შეიძლება იყოს?

აი, როგორ მოხდა ეს, ჩემთვის მეტად მრავალმნიშვნელოვანი ამბავი.

თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა ვიქნებოდი. გამოცდებს ვაბარებდი თბილისის სარკინიგზო ტექნიკურ სასწავლებელში შესასვლელად. რუსულ ენაში გავიმარჯვე, მაგრამ წინ რუბიკონად მათემატიკა მედო, ხოლო მისი ტოტი — გეომეტრია ყოველთვის დახრჩობას მიპირებდა ხოლმე და ამ რიგობაზე დამაღრჩო კიდეც.

ერთი სიტყვით, ჩავიჭერ მამაპაპურად და გაცრუვდა ჩემი დიდი იმედი ზორბა ორთქლმავლისა. ზორბა მემანქანედ გამოსვლისა.

ამან ძალიან გამაგულისა და დავწერე... ლექსი. რამდენადაც მახსოვს, ლექსში მგზნებარე პროტესტი იყო გამოთქმული ყველას წინააღმდეგ, გარდა ჩემი საკუთარი თავისა, ნაცარტუტას ვადენდი ყველას, ვინც მე... გამოცდაში ჩამჭრა.

ერთხელ, როგორღაც აკაკი დავიმარტოხელე და თუმცა მოწიწებით, მაგრამ თანაც იმედით წარვუდგინე მას ჩემი ნალვაწ-ნაამაგარი.

ჯერ ზეპირ მომისმინა, მერე, რაკი, ალბათ, ჩემმა დეკლამაციამ არ დააკმაყოფილა (ძალიან ვღელავდი) და იფიქრა, შეიძლება დაწერილი უკეთესი იყოს, ვიდრე წაკითხულიო, — გამომართვა ხელნაწერი და გადაიკითხა. ხელი ძალიან კარგი მქონდა, რაც უკვე აშკარა მაჩვენებელი იყო ჩემი უნიჭობისა, ხოლო ეს მაშინ არ ვიცოდი. ყველა ნამდვილი პოეტი ხომ საძაგელი ხელის პატრონია, ან განგებ იფუჭებს ხელს.

მაგრამ, როგორც ჩანს, არც ჩემს დეკლამაციას დაეკლო რამე ლექსისათვის, არც ჩემს ხელს მოემატებინა რამე.

აკაკი რომ აკაკი იყო და „ნიჭიერთა" წახალისებას ჩვეული, იმანაც კი ამ რიგობაზე ვერა მოახერხა რა იმის მეტი, რომ განტევების ღიმილით მითხრა:

— აი, ამ ლექსზე გატყობ, უკეთესის დაწერა შეგიძლია...

ეს იყო და ეს!.. ამით გათავდა ჩემი და პოეზიის მოყვარეობა. ბავშვი ვიყავ, მაგრამ თავდაცვის ინსტინქტმა მიხსნა განი-

საცდელისაგან. ვიგრძენ, რომ ლექსის წერა კეთილს არას დამაყრიდა... და, თუ დამიჯერებთ, იმ დღიდან დღევანდლამდე, როცა ამ მოგონებას ვწერ, რითმა რითმაზე აღარ გადამიბამს... ისე ტყვილად, საკუთარი ჭიის გასახარებლადაც კი.

შურში კი ნუ ჩამომართმევთ და.. მგონია, ბევრ სხვისთვისაც ინატრებდა ქართველი მკითხველი ასეთ ბედნიერ შემთხვევას.

დამწყები მწერალი ვიყავ, აკაკი რომ ერთხელ „ივერიის" რედაქციაში შემხვდა, კარგა ხნის უნახავი ვიყავი, მაგრამ მაშინვე მიცნო, თუმცა ჯარისკაცის ფორმა მეცვა.

— გამარჯობა შენი! — მომმართა აკაკიმ, და თან სიცილით დააყოლა: — კაცო, მე მეგონა, შენ ჭკუა მარტო ფეხებში გქონდა, თურმე თავშიაც გქონია!..

ასე ორაზროვნად შეხვდა აკაკი ჩემს გამწერლებას.

დღესაც არ ვიცი, რას ნიშნავდა აკაკის სიტყვები — მოწონებას, თუ დაცინვას? „ფეხების ჭკუად" იგი გულისხმობდა ქართულის თამაშს, ყრმობისას რომ სცენაზე მხედავდა. რა ვქნა? მჭირდა ეს ცოდვა ასაკში შესვლამდე. რომელ კახელს ნახავთ ამ მხრივ უცოდველს?!

„თავში ჭკუა" — მე მაშინ ისე გავიგე, რომ მწერლობას გულისხმობდა, ავად თუ კარგად, არ ვიცი. ეს არის მხოლოდ, მიუხედავად ამ გაუგებრობისა, მაინც მწერლობისათვის თავი არ დამინებებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონება აკაკი წერეთელზე

აკაკის შორიდან ვხედავდი ხშირად ქუთაისში, როდესაც პროგიმნაზიასა და გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაგრამ პირადად მხოლოდ მაშინ გავიცანი, როდესაც გიმნაზიის მეშვიდე კლასში გადავედი. იმ დროს ვცხოვრობდი პოლკოვნიკ ალექსანდრე მუსხელიშვილთან, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკო ღოღობერიძის და — ანეტა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ერთობ ჭკვიანი და კარგი ადამიანი. მე ვიყავი რეპეტიტორი ალექსანდრეს ძმისწულისა, რომელიც გიმნაზიის მეოთხე კლასში სწავლობდა, და აგრეთვე ანეტას ძმისწულის, სიმონ ღოღობერიძის ქალის ნინოსი, რომელიც შემდეგ ვაჩნაძეზე იყო გათხოვილი. იგი მაშინ ქალების სასწავლებელში ქუთაისში სწავლობდა.

აკაკი ზოგჯერ ანეტასთან დადიოდა და იქ ვხედავდი მას. შემდეგ მას ქუთაისში თეატრში მოღვაწეობის დროს ხშირად ვხედავდი სცენაზე. იგი რეჟისორი იყო თეატრის კერძო დასისა და გასტროლებში მონაწილეობას იღებდა, სცენაზე თავის ლექსებს კითხულობდა. მაშინ თბილისიდანაც ხშირად მოდიოდნენ აკაკისთან ქართველი არტისტები — ვასო აბაშიძე და ვლადიმერ მესხიშვილი, რომელნიც ჩვენთვის დიდად საყვარელნი იყვნენ, მათს წარმოდგენებს დიდის, დიდის ხალისით ესწრებოდა ქუთაისის საზოგადოება. მეტადრე ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ვასო აბაშიძის სახუმარო კუპლეტები, რომელთაც იგი გადაჰკრავდა ზოგიერთ ჩვენს მოღვაწეებს.

აკაკის ზოგჯერ ვხვდებოდი ქუთაისის ინტელიგენტთა საღამოებზე, რომლებიც კერძო ოჯახებში იმართებოდა, უფრო ხშირად ეფემია კლდიაშვილის ოჯახში (ჩვენი არქიტექტორის სიმონ კლდიაშვილის დედა იყო); იქ ვისმენდით ხოლმე აკაკის ჩვეულებრივ საუბარს. ზოგჯერ ჩვენის თხოვნით თავის ლექსებს გვიკითხავდა.

როდესაც უნივერსიტეტი გავათავე და თბილისში ჩამოვედი, მაშინ კი ხშირად ვხვდებოდი აკაკის კერძო ოჯახებში და

ნამეტნავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში, რომელიც იმხანად ერთ მოხდილ ოთახს წარმოადგენდა, წიგნების მაღაზიის უკან, საადგილმამულო ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე. აქ იკრიბებოდნენ ქართველი ინტელიგენტები და ამ კრებაზე აკაკი ხშირად დადიოდა და თავისი მოთხრობებითა და ამბებით გვართობდა.

როგორც ქუთაისში, ისე აქაც აკაკი ცოლ-შვილით არ ყოფილა, არც მუდმივი ბინა ჰქონდა: ხან ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, ხან — მეორეში. სამსახური თავის დღეში არა ჰქონია, მაშასადამე, მისთვის არც ჯამაგირი არსებობდა. ცოტა შემოსავალს იღებდა თავისი მამულიდან და ყოველთვის უფულოდ იყო. მაგრამ, როგორც დამსახურებული და უებრო პოეტი, ის ყველასთვის საყვარელი კაცი იყო და შეძლებისამებრ ყველა ეხმარებოდა. ხშირად მას სასტუმროს მეპატრონენი, ნამეტნავად იმერლები და გურულები, არც ბინაში, არც საჭმელ-სასმელში ფულს არ სთხოვდნენ, თვის ბოლოს მხოლოდ ანგარიშს წარუდგენდნენ თავიანთი ხელმოწერით, რომ ფული მიღებულიაო.

აკაკი კერძო ოჯახებშიც ცხოვრობდა, ნამეტნავად პირველ ხანებში ნიკო დიასამიძისას (თბილისში), სადაც მას მასპინძლის ცოლი და შვილები დიდის სიყვარულით თავს დასტრიალებდნენ. ხშირად იყო აგრეთვე დეკანოზ დავით ღამბაშიძის ოჯახში, ყვირილაში, სადაც დავით ღამბაშიძე სასულიერო გაზეთ „მწყემსს“ სცემდა.

ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება არ უყვარდა: ხან თბილისში იყო, ხან ქუთაისში. ქუთაისში მას ბინა ნიკო ნიკოლაძის დებთან — კატოსთან და ანიკოსთან ჰქონდა. ესენი ცნობილი ინტელიგენტი ქალები იყვნენ, ქუთაისში მასწავლებლობდნენ და ირჩენდნენ თავს. დებს თავიანთი ძმა ნიკო ნიკოლაძე ისე უყვარდათ, რომ ერთს სამდურავს ძმის შესახებ ვერ ათქმევინებდით. კატო (1854—1931) და ანიჩკა (1846—1931) თამამი ლიბერალური მიმართულების ქალები იყვნენ, უქმროები. აკაკი იქ, როგორც თავის ოჯახში, ისე სცნობდა თავს. ნამეტნავად საინტერესო იყო მათი შინაური დამოკიდებულება. აკაკიმ პოეტურად შეთხზული ბაასი იცოდა. კატო მაშინვე სიცილით შენიშნავდა: „ტყუილი, ტყუილიო“, მაგრამ აკაკი ამა-

ში არც თავის შეურაცხყოფას ჰხედავდა და არც ეჩხუბებოდა, სუყველაფერი სიცილით თავდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ აკაკი სააპეკო კაცი იყო, ვინმე პატრონი უნდ, ჰყოლოდა, ვინაიდან ცოლ-შვილთან იმ დროს არა ცხოვრობდა, გაგონილი მქონდა, რომ მისი ცოლი, ბაზილევსკის ასული, მდიდარი ყოფილა, როდესაც ის აკაკის შეურთავს. ამბობდნენ, ქონება რომ დახარჯვიათ, აკაკიც გასცილებიათ, მაგრამ მის ცოლს კვლავ ორჯერ დიდი ქონება მიუღია გარდაცვალებულ ნათესავებისაგან, აკაკი ისევ ცოლთან წასულა მოსკოვში და, როცა ეს ქონებაც შეუჭამიათ, აკაკი ისევ საქართველოში დაბრუნებულაო.

ნატალია ბაზილევსკაია მე უკვე მოხუცებულობაში ვნახე, როდესაც აკაკი ავად იყო, და ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობაში სანდომიერი ქალი უნდა ყოფილიყო. შვილი ლამაზი ჰყავდა.

როდესაც აკაკი ავად გახდა, თბილისში მისი ცოლი ჩამოვიდა და დაადგა თავზე, თავისებურად უნდოდა კარგად მოეკლო. ავადმყოფ აკაკის სხვა ქალებიც უვლიდნენ (მაგ. ტასო მაჩაბელი და სხვები).

ერთხელ მივედით აკაკის სანახავად, ნუგეში ვეცით: არაფერი საშიში ავადმყოფობა არა გაქვს, მალე მორჩები-მეთქი. მან მითხრა: „რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილეთო“ და მიუთითა ცოლზე. ეს აკაკის ჩვეულებრივი ოხუნჯობა იყო. ისე, რაც შეეძლო, პატივსა სცემდა ცოლს.

აკაკის შვილი ალექსი ერთობ სიმპათიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთმოყვარე, ლამაზი და კეთილი გულის პატრონი. მამა ძალიან უყვარდა. თუმცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული. მან ოპერის მოყვარულთა დასი შეადგინა და ერთხელ გასტროლებისათვის ჩამოვიდა საქართველოში. აკაკი შვილს დიდად ეხმარებოდა, მაგრამ მოგება ვერ ნახეს და ვალებში ჩაცვივდნენ. თანდათანობით ეს საოპერო დასი ალექსიმ შემდეგ გაუმჯობესა, პარიზში ჩავიდა თავისი დასით და დიდი წარმატებით მიყავდა საქმე. კარგი შემოსავალი ჰქონდა და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ფრანგებზე. მერე ფრანგებმა არენდით აიღეს ეს დასი და მისი მონაწილენი, გარდა საფრანგეთის ქალაქებისა, ბრიუსელში და ბელგიის სხვა ქა-

ლაქებშიც მართავდნენ საღამო-კონცერტებს, რომელთაც აუ-
არებელი ხალხი ესწრებოდა. დასს, მართალია, შემოსავალი
დიდი ჰქონდა, მაგრამ ალექსი იმდენად პირდაპირ იდეალური
და უანგარო კაცი იყო, რომ შემოსავლის ანგარიშში თვითონ
არც კი ერეოდა, რასაც დასი მისცემდა, იმით კმაყოფილდე-
ბოდა. დასის წევრები ალექსის აღმერთებდნენ და ოდნავი უსი-
ამოვნებაც კი არა ჰქონიათ მასთან. დედამისი ნატალია იმ
დროს დასნეულებული იყო, ორ წელიწადს ლოგინში იწვა,
შვილი თავს დასტრიალებდა და არაფერს არ აკლებდა, მაგ-
რამ ბოლოს მაინც სნეულებას გადაჰყვა. დედის სიკვდილის
გამო გამოუთქმელ მწუხარებაში ჩავარდა ალექსი. ერთი თუ
ორი წლის შემდეგ თვითონ ალექსიც გახდა ავად და იქ, პა-
რიზშივე მიიცვალა. დიდძალი საოპერო დეკორაციები, ტანა-
სამოსი და ბიბლიოთეკა დარჩა, რაც მილიონნახევრად იყო შე-
ფასებული, ეს ყველაფერი ქართულ საზოგადოებას დაუტოვა
ანდერძით, მაგრამ ოპერის დასის წევრებმა საჩივარი აღძრეს,
რომ ჩვენ გვეკუთვნის მთელი საოპერო ქონებაო და ეს ქონე-
ბაც მათ დარჩათ.

აკაკი ჩემი დიდი პატივისმცემელი იყო და ეს საქმითაც და-
ამტკიცა, მე ცოტა არ იყოს სირცხვილეული დავრჩი. ერთხელ
შემოვიდა იგი ჩემთან სახლში (მაშინ წყნეთის ქუჩის დასაწ-
ყისში ვცხოვრობდი, ხოლო აკაკი ჩემს პირდაპირ—ოლღას ქუ-
ჩაზე) და მითხრა:

— ყველაფერზე გული ამივარდა, არც ერთი ჩვენი დაწე-
სებულება არ მაკმაყოფილებს შენი საისტორიო და საეთნო-
გრაფიო საზოგადოების მეტი და ჩემი ქონება თქვენ უნდა
დაგიტოვოთ ანდერძითო.

მე გავიცინე და ღიმილით ვუთხარი:

— აკაკი! შენი ჭირიმე, ჩვენი დაღუპვა თუ არ გინდა, მა-
გას ნუ იქმ-მეთქი.

— რატომ? — მკითხა.

— იმიტომ, რომ, მეშინია, შენს ვალებში არ გაგვიყიდონ
ის ხელნაწერები და სხვა ნივთები, რომელნიც თქვენ უნდა
დაგვიტოვო ანდერძით.

მან მიპასუხა:

— ვინ გითხრა ეს? ვალი ერთი კაპეიკიც კი არა მაქვს, ან
ვალი საიდან მექნება, როდესაც ფულს არავინ მასესხებს! ქე

ნახავ მაშინ, როდესაც ჩემს მემკვიდრეობას მიიღებთ და მო-
სარჩელე არავინ გამოგიჩნდებათო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამით გავათავეთ ლაპარაკი და სხვაზე გადავედით. სხვა
დროს მას ამ საკითხზე ლაპარაკი აღარ ჰქონია. წარმოიდგინეთ:
წასულა აკაკი ქუთაისში და იმავე კვირაში ნოტარიალური წე-
სით დაუმტკიცებია ანდერძი, რომ მთელ თავის მამულს და
მთელ თავის ნაწარმოებებს, გამოცემულს თუ გამოუცემელს,
უტოვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სა-
ზოგადოებას.

ეს მე მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც აკაკი გარდაიცვა-
ლა. ძლიერ გამიკვირდა, რად მოიქცა იგი ასე, რადგან 100
დესეტინა მიწა, დიდი ეზო და სახლი საჩხერეში, რომელშიც
აკაკი ცხოვრობდა, მამაპაპეული იყო და კანონით მასში წილი
უნდა ჰქონოდა მის დასაც, რომელიც მაშინ ლოგინად იყო ჩა-
ვარდნილი. მეორე მხრით, ეს ამბავი საკვირველი იყო იმ მხრი-
ვაც, რომ აკაკის შვილსა და ცოლს არავითარი პრეტენზია არ
გამოუცხადებიათ ამის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი
პატივი ვეცით აკაკის ოჯახობას, სანამ ის თბილისში იყო: არა-
მდიდრული, მაგრამ სამყოფი სარჩო გავუჩინეთ.

ანდერძის თანახმად აკაკის სახლი, მამული, ეზო და მისი
ხელნაწერები მალე ჩავიბარეთ, მის სახლში გავხსენით მუზე-
უმი და მისივე ყოფილ მოურავს კოტე აბდუშელიშვილს ჩავა-
ბარეთ. ის ენერგიული კაცი იყო და დიდად ხელს გვიწყობდა.
რასაკვირველია, თავის ანგარიშსაც არ ივიწყებდა.

თბილისში აკაკის მოურაობას ასრულებდა სოსიკო მერკვი-
ლაძე, ბუკინისტი, დიდი ფართიფურთის კაცი. აკაკი მასთან
ხშირად დადიოდა. სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას აკა-
კისაგან ნოტარიუსის წესით შეუძენია უფლება აკაკის რამო-
დენიმე საუკეთესო თხზულების გამოცემისა. ჩვენ რომ ეს გა-
ვიკვირვეთ, მან გვითხრა: „ამ თხზულებებს მე მხოლოდ ერთ-
ხელ გამოვცემ და მერმე ყველა თქვენს უფლებაში გადმოვაო.“

როგორც აკაკის წინადადებას ანდერძის შესახებ შევხვდი
სიცილით, აგრეთვე სიცილით შევხვდი მეორე მის წინადადე-
ბასაც. ერთხელ აკაკი მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— რამდენადაც ვიცნობ ხალხურ პოეზიას, უნდა გამოგიტ-
ყდე, რომ ჩვენისთანა ხალხური პოეზია სხვა ხალხს იშვიათად
თუ აქვს. ამიტომ შენ დიდი სამსახური მიგიძღვის, რომ ასე

ბევრი მასალა გამოაქვეყნე თქვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო ორგანოში — „ძველ საქართველოში“, მაგრამ ხალხში გაბნეული მასალა აუარებელია, ამოუწურავი და მათი შეგროვება-გამოცემა გაასკეცებულ მუშაობას თხოულობს. მინდა ამ საქმეში დაგეხმაროთ. მოწმობა მომეცი, რომ მე თქვენი საზოგადოება მაგზავნის კახეთში სახალხო პოეზიის შესაკრებად.

მე, როგორც მოგახსენეთ, სიცილით შევხვდი ამ წინადადებას:

— თუ ღმერთი გწამს, აკაკი, ამ საქმეს ნუ დამავალებ, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდები. შენ მთელი საქართველო გიცნობს და მის უგვირგვინო მეფეს გეძახიან, ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა მოგცეს შუამდგომლობის მოწმობა და გაგიკეთოს რეკომენდაცია? მე ხომ სასაცილოდ ამიგდებენ და იტყვიან: ეს როგორ გაკადნიერებულა და ჩვენ გვასწავლის, ვინ არის აკაკი და როგორი პატივით უნდა მივიღოთო.

— აი, ასე იცი შენ, — მითხრა მან, — შენ რა გენაღვლება, მე ასეთი მოწმობა გამომადგება. ჩემი ხალხს არაფერი არ სჯერა, აკაკიმ ლექსის წერის მეტი არაფერი იცისო, შენ სერიოზული კაცი ხარ და მე შენს მოწმობას გამოვიყენებო.

მე ვუთხარი:

— დიდის სიამოვნებით, მაგრამ სიცილს მაინც დამაყრიან. საამისოდ დიდი ფული ჩვენ არა გვაქვს, მხოლოდ 100 მანეთს მოგართმევთ. თუ გეყოფათ ეს წასასვლელად, მიიღეთ და წაბრძანდით.

— თავისუფლად მეყოფა, მეტი არ მინდაო.

დავწერე ჩვეულებრივი მოწმობა და მივეცი 100 მანეთი. ამას გარდა მივწერე ჩემს მეგობრებს თელავში, განსაკუთრებით ვასილ კახიძეს, რაფიელ ერისთავის სიძეს, რომ ჩვენმა დიდმა მგოსანმა განიზრახა ფოლკლორული მასალების შეგროვება და გთხოვთ დიდის პატივით შეხვდეთ, წაიყვან-წამოიყვანოთ სხვადასხვა სოფლებში და კმაყოფილი დააბრუნეთ უკანმეთქი.

მართლაც, კახელები დიდის ამბით შეხვდნენ აკაკის და შესაფერი პატივი არ დაუკლიათ მისთვის. დაბრუნების შემდეგ

აკაკის ჩვენთვის არაფერი არ მოუტანია და არც ჩვენ გვიკითხავს რამე ამის შესახებ.

ყველამ იცის, რომ აკაკის ილიასავით უყვარდა კარტის თამაში. ხშირად დამესაც ათენებდა; მანამ ჯიბეს არ ამოიცარიელებდა, თამაშობას არ მიატოვებდა. თუ ილია უმეტეს შემთხვევაში კარტში ფულს იგებდა, აკაკი თითქმის ყოველთვის აგებდა, მე ვეკითხებოდი კარტის მოთამაშეებს: „რა მიზეზია, რომ ილია იგებს, აკაკი სულ აგებს?“ ისინი მეუბნებოდნენ: შეუძლებელია აკაკიმ მოიგოს, რადგან მან „ფასი“ არ იცის, ქაღალდი მოუვა თუ არა, მისთვის სულერთია, მაინც თამაშობსო. მის პარტნიორებს „ბურდუჩნი“ კლუბში დავა ჰქონდა ერთმანეთში, აკაკის რომ დაინახავდნენ: დღეს მე ვეთამაშები და არა შენ. შენ გეყო, რაც წინათ მოუგე, ეხლა მოგება მე უნდა მხვდესო. ასე წინდაწინ იცოდნენ, რომ აკაკისთან თამაში მათთვის ყოველთვის მოსაგები იყო.

აკაკი, როგორც მოვიხსენიე, სააპეკო კაცი იყო. ერთხელ მას ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა პენსია დაუნიშნა და თანხა წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა, რომ ყოველთვიურად ეძლიათ განსაზღვრული რაოდენობით. ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოება და მისი ხაზინადარი. აკაკი თხოულობდა ბევრ ფულს, ისინი არ აძლევდნენ განსაზღვრული თანხის მეტს. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. აკაკი ამბობდა: მე არაფერს არ მაძლევენ, ჩემს მაგიერ სხვები აწერენ ხელს და მათ მიაქვთო. ამას, რასაკვირველია, არავინ არ იჯერებდა, ვინაიდან დავით კარიჭაშვილი, რომელიც მაშინ განაგებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეებს, უაღრესად პატიოსანი კაცი იყო და, თუ ვინმე ეტყოდა დავითს, რომ აკაკი ამბობს არაფერს მაძლევენო, ისიც მთქმელს ხელწერილებს უჩვენებდა და აკაკის კი საყვედურს სრულიადაც არ ეუბნებოდა. მაგრამ, როდესაც გიორგი ყაზბეგი გახდა საზოგადოების თავმჯდომარე, იმან შეურაცხყოფად მიიღო ასეთი მითქმა-მოთქმა და წერა-კითხვის საზოგადოებამ უარი სთქვა აკაკისთვის გასანაწილებელი ფულის მიღებაზე. შემდეგ ბანკმა სხვა დაუნიშნა აპეკუნად, მაგრამ იმანაც უარი სთქვა. ბოლოს იაკობ გოგებაშვილს სთხოვეს, რომ მას მიეღო თავისთავზე ამ ფულების გამოზოგვა აკაკისათვის. გოგებაშვილი დიდ უარზე იყო, მაგრამ მერმე სთქვა: ვინმემ

ხომ უნდა იკისროს ეს არასასიმოვნო საქმე? ისე აკაკი ვერაფერს ვერ მიიღებს. მე დავეთანხმები, თუ ექვთიმე თაყაიშვილი შემომიერთდებაო. მე ვუთხარი იაკობს: — როგორც მენ, ისე მე დიდი პატივს ვცემ აკაკის, მაგრამ ესეც ხომ იცი, აკაკი არავის არ დაინდობს და ჩვენც კარიჭაშვილის ამბავი მოგველის-მეთქი. — რა ვქნათ, უნდა გადავიტანოთო, — მითხრა და ორივე დავთანხმდით; ერთხანს ვუძღვებოდით ამ საქმეს. ჩვენ მაინცდამაინც არ შევუწუხებივართ აკაკის, ისე კი პირს უკან რას ამბობდა, არ ვიცი.

როგორც რაფიელ ერისთავის იუბილე დიდი ზეიმით გადაიხადა ქართველმა საზოგადოებამ, ისე კიდევ უფრო მეტის ზეიმით, თანაგრძნობითა და სიყვარულით გადავიხადეთ აკაკის იუბილე თბილისში 1908 წელს. მაგრამ მისი იუბილე თბილისით არ დამთავრებულა. შედგა ჯგუფი, რომელმაც აკაკი დაატარა საქართველოს ყველა კუთხეში: ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში. ყველა კუთხე დიდის ზეიმითა და თანაგრძნობით შეხვდა პოეტს და აგრძნობინა თავისი სიყვარული და პატივისცემა. სხვათა შორის, აკაკი ესტუმრა ილიას სოფელს ყვარელს. აქ იური ჭავჭავაძემ (გენერალ ნიკო ჭავჭავაძის ძმისწულმა) ისეთი საზეიმო შეხვედრა მოუწყო აკაკის, რომ ხარჯების დასაფარავად, როგორც გადმოგვცეს, მას მოუხდა ათიოდე დესეტინა მამულის გაყიდვა.

აკაკის ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული არ დაკლებია, ინტელიგენცია დიდად აფასებდა მის პოეტურ მემკვიდრეობას. სასტუმროებისა და რესტორნების პატრონები მას სთავაზობდნენ კარგ ბინას, მოწყობილობასა და საჭმელ-სასმელს, ფულს არა სთხოვდნენ. ნიკო დიასამიძისა, ვანო მაჩაბლისა და სხვათა ოჯახების კარები მისთვის ყოველთვის ღია იყო. ზაფხულში საჩხერეში მიდიოდა ხშირად და იქ თავის სახლში სხვიტორში ცხოვრობდა; აქ დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავისი მოგვარეები, მეტადრე ელისაბედ და ბეჟან წერეთლები.

იუბილეს შემდეგ აკაკი თანდათან დასუსტდა, დაავადმყოფდა და 1915 წლის იანვარში გარდაიცვალა თავის სოფელ სხვიტორში. უკვდავი პოეტი დიდი ამბით ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს ქართველ მწერალთა პანთეონში, სადაც განისვენებენ დიმიტრი ყიფიანი და ილია ჭავჭავაძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲢᲔ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ჯერ კიდევ 1893 წელს, როდესაც „კვალის“ რედაქციაში ვმუშაობდი, როგორც თვითნასწავლი მხატვარი, ვოცნებობდი აკაკის დახატვაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ნატურის ხატვა და ვერ ვბედავდი წინადადების მიცემას. იმ დროს მე უკვე კარგად „ვიცოდი“ აკაკი წერეთელი. იგი ხშირი სტუმარი იყო „კვალის“ რედაქციისა. განსაკუთრებით გვხიბლავდა მისი საუბარი. მოსწრებული სიტყვა და ხუმრობის ნიჭი ჰქონდა. იუმორით, მწვავე სიმახვილით იცოდა ადამიანის კომიკური მხარეების დახასიათება. სახეზე ნათელი ადგა, ზეშთაგონების იერი ამშვენებდა მის სპეტაკ სახეს, თვალები უციმციმებდა და წარბები რგვლად გადაშლილიყვნენ შუბლზე ისე, რომ თითქო მათ არ შეეძლოთ ერთმანეთს გადახლართოდნენ სიმკაცრის და ბრაზის მიმიკის შესაქმნელად. ტუჩები ისეთი სანდომიანი გრაციით სავსე იყო, რომ, მიუხედავად მოხუცებულობისა, არავითარი ნიშნები დაღლილი ორგანიზმისა, სახის მოშლილობისა არ ემჩნეოდა. ანტიკური უკვდავი ქანდაკების შთაბეჭდილებას იძლეოდა.

ჩემი სურვილი აკაკის დახატვისა რაც დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა და ველოდი ბედნიერ შემთხვევას. 1906 წელს, როდესაც მე უკვე სამხატვრო აკადემია დამთავრებული მქონდა და შემეძლო უკვე ღირსეული პორტრეტის დახატვა, ვპოვე შესაფერი მომენტი; შევიტყვე, რომ აკაკი თბილისში იყო ჩამომხტარი ერთ ნაცნობთან მთაწმინდაში და პირდაპირ გავემართე ფერადებით და ტილოთი, დილით ადრე, რომ სადმე წასვლა ვერ მოესწრო. ეზოდან ავედი მეორე სართულზე, ძალიან დიდი აივანი იყო და აქ აკაკი ბოლთასა სცემდა, თანაც ეზოს ამწვანებულ ხეებს დასცქეროდა. მაისი იყო, პოეტი ბუნებას ეზიარებოდა. მაგიდაზე ჩაი და საუზმე მოემზადებინათ მასპინძლებს, მაგრამ ის სხვა ფიქრებით იყო გარ-

თული. მე დიდი იმედით და სიხარულით ავდიოდი კიბეზე, დამინახა თუ არა, წამოვიდა ჩემსკენ:

— ოო, მოსე! მოსე! რამ მოგიყვანა? — მკითხა და როცა დახედა ჩემს მხატვრულ ხელსაწყოს, მიხვდა და მომეხმარა კიდეც დატვირთულს. მე განვუცხადე:

— ასეთ მომენტს არ გავუშვებ ხელიდან. მე არ შემიძლია აკაკის სახე არ გადავსცე შთამომავლობას! მე არ შემიძლია ვიყო უსიტყვო, უმოქმედო მოწმე იმისა, რაც მომავალში ქართველი ერისთავის ძვირფას მოგონებად უნდა გახდეს და, იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით, რომ ერთი საათი დრო ჩემთვის გაიღოთ, მომეცით ნება თქვენი დახატვისა.

— რა საბუთი მაქვს ასეთ ბედნიერებაზე უარი ვთქვა?! — მიპასუხა პოეტმა და ხელი მომხვია.

მე ნეტარების ტალღებში ვცურავდი, გული მიცემდა, ხელები მიკანკალებდა, როდესაც შეუდექ ფერადების ყუთის გახსნას, ვშიშობდი, რაიმე დაბრკოლებას ხელი არ შეეშალა.

— როგორ გინდა, აქვე აივანზე ხატვა, თუ ოთახში შევიდეთ?

— აქვე, აი, მაგიდასთან დაბრძანდით, ისაუზმეთ, ფერიც უფრო მოგემატებათ.

დაჯდა. მე სასწრაფოდ მივწი-მოვწიე სკამები, მივაყუდე „პოდრამნიკი" და შევუდექი დაკვირვებას, მაგრამ დაუძლეველ დაბრკოლებას წავაწყდი — ჰაერი, რომელიც აკაკის ერტყა, რეფლექსებით ქმნიდა კარგ სურათს, მაგრამ იგივე გარემოება ჩრდილავდა პოეტის ზენარულ გამომეტყველებას, რომელიც უფრო კონცენტრაციულ დაკვირვებას მოითხოვდა. უფრო საჭირო იყო, რომ გარემოს სისადავით ხელი შეეწყო აკაკის სახის არსის გამოვლინებისათვის.

— თუ გინდა, ოთახში შევიდეთ, — მითხრა აკაკიმ.

— ძალიან კარგი იქნება, ვცადოთ.

შევედით ოთახში, მაგრამ გარედან შესულს უცბად ოთახი ბნელი მეჩვენა და არც ამით დავკმაყოფილდი.

მომივიდა უცბად კარგი აზრი, დამეხატა აკაკი აივანზე, აივნის შიდა კედლის ფონზე, მაგრამ კედელი ბაც მწვანედ იყო შეღებილი და სრულიად მის სახეს არ შეეფერებოდა. დავიწყე ფონის ძებნა, მივვარდი პალტოს, მაგრამ არ გამოდგა, ნამეტანი მოწყენილი შავი ფერი ჰქონდა. აკაკი ღიმილით უყუ-

რებდა ჩემს ფუსფუსს და ბოლოს დარიგება მომცა — ვკითხოთ ჩვენს მასპინძელს, შეიძლება მათ ჰქონდეთო შესაფერი რამ. დიახ, დიახ-მეთქი. მივედი და დაუყოვნებლივ კარები დაუკაკუნე, გააღეს კარები და, რა მოისმინეს ჩემი თხოვნა, დაიბნენ.

— არ ვიცი, რა გნებავთ ვერ მიმხვდარვარ, — მითხრა მასპინძლის ლამაზმა ქალიშვილმა.

— მე მინდა ფონად საშუალო, თბილი ფერის რამ მატერია.

— თბილი ფერის? როგორ თბილი ფერის?! — ვერ გაიგო მხატვრის ტერმინი. მე ამ დროს დავინახე მისი პალტო, რომლის სატინის სარჩული სწორედ შესაფერი იყო და ავიღე ხელში — აი, ეს კარგი იქნება-მეთქი.

ქალმა სიცილით მითხრა:

— ეგ პალტო მე უნდა ჩავიცვა. სხვაგან მივდივარ. აი, თუ შეიძლება, სხვა პალტოები ნახეთ, — გააღო კარადა, სადაც რამდენიმე ზამთრის პალტო ეკიდა და ერთ მათგანს მშვენიერი ატლასის სარჩული ჰქონდა ყვითელი მოწაბლისფერო. — აი, რაც მინდა-მეთქი, დავტაცე ხელი და გავიტანე აივანზე, ჩამოვკიდე კედელზე, დავსვი აკაკი, და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე აკაკის სახის გამომეტყველების ასპროცენტიანი გამოვლინება. შევუდექი მუშაობას. აკაკიმ სთხოვა მასპინძელს, არავინ არ მიეღო.

მთელი საათის განმავლობაში სიჩუმე არ დარღვეულა. აკაკის მშვიდი, ნათელი სახე, ხატივით უძრავი, წინ მედგა, მე თავდავიწყებული ვათამაშებდი ფუნჯებს, ვურევდი ერთმანეთში ნაზ ფერებს. სრულიად შეუგნებლად, ინტუიციით ვაზავებდი, უშუალო გრძნობით გატაცებული. ერთი საათის შემდეგ ძირითადად პორტრეტი მზად იყო. აკაკი ცოტა დაიღალა, მეც ფუნჯები დავაწყე და სიანსი შეწყდა. აკაკი აღტაცებაში მოვიდა.

— მე მეშინოდა, მეგონა, ისე დამხატავდი, როგორც თანამედროვე მხატვრები ხატავენ, იმდენ ფერადებს აყრიან, რომ კაცი აღარ ჩანს, შენ კი მეორედ გამაცოცხლე და ეხლა უკვე მეშინია აღარ გააფუჭო, — მითხრა აკაკიმ.

— თქვენ მაგის ფიქრი ნუ გაქვთ, რაც საჭირო და ძნელი იყო, გაკეთებულია და ახლა დამთავრებაზე ვიმუშავებ, ახლა

შეგიძლიათ ისაუბროთ კიდეც, მე აღარ მჭირდება ისეთი მკაცრი პოზიცია. შეიძლება სტუმრებიც შემოუშვათ, მათთან ლაპარაკი უფრო მეტ დამატებით ექსპრესიას მომცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მოსულიყო აკაკის სანახავად; მათ შორის ზოგი წასულიყო, ზოგი იცდიდა. შემოვიდა მაღალი ტანის დეკანოზი დავით ღამბაშიძე, რომელიც აკაკის მიესალმა, გადაჰკოცნა და დაუწყო ლაპარაკი დიდი ენერგიით. დაავიწყდა, რომ აკაკის ხატავდნენ და შეუწყვეტლად უამბობდა სხვადასხვა ამბებს. ბოლოს შეეხო ვიღაც სხვა სამღვდელო პირს, შენთან ადრე მინდოდა მოსვლა, მაგრამ მომადგა და იმდენი ილაპარაკა, რომ მთელი დღე დამაკარგვინა და დამღალაო.

— ჰოო, — უთხრა აკაკიმ, — მე არა მგონია, რომ შენზე მეტს ვინმე ილაპარაკებდა და, თუ შენ დაგღალა, მაშ ძალიან ბევრი ულაპარაკნია... მჯერა, მჯერა, მაგრამ შენ რომ იმან დაგღალა, მე რა შუაში ვარ, რომ იმის ჯავრს ჩემზე ყრილობ! — თანაც სიცილით აკაკი ჩემკენ მოიქცა. დეკანოზმაც გადმომხედა. ამ დროს გამოვიდა მისი შვილი ვახტანგ ღამბაშიძე. — მამა, არ დაგავიწყდეს, თორმეტ საათზე ეგზარხოსთან უნდა იყო, დაბარებული ხარო.

— ჰო, სულ დამავიწყდა! აკაკის ნახვამ გამიტაცა.

— აკაკი რა შუაშია, მე მგონია, შენ უფრო ორატორულმა ნიჭმა გაგიტაცა! — და აკაკიმ კვლავ მე გადმომხედა.

— რას არ მოიგონებს ეს ნიჭით მომადლებული ადამიანიო, — თქვა დეკანოზმა აკაკის შესახებ, რომლის ხუმრობას, როგორც ეტყობოდა, შეჩვეული ყოფილიყო და დაუწყო თავის შვილზე ლაპარაკი. — აი ესეც შენი თაყვანისმცემელია, ისეთი ყმაწვილია, როგორიც შენ მოგწონს, უწყინარი, თავაზიანი, პირდაპირ ჭკუის კოლოფია.

აკაკი მიუბრუნდა ახალგაზრდას, უყურა, უყურა და შემდეგ დარიგების კილოთი უთხრა:

— სასიამოვნო ამბავია, რომ მამაშენი გაქებს, ისიც კარგია, რომ მამას შენთვის ჭკუის კოლოფიც გადმოუცია, მაგრამ ცარიელი კოლოფი არ იკმარო და ჭკუა თვითონ სხვაგან სადმე უნდა გამოძებნო.

ყველაფერი ეს იწვევდა არა წყენას, არამედ მხიარულებას. ამ დროს მე ტანსაცმელზე ვანავარდებდი ფუნჯებს, ფონს ვუმარჯვებდი და სულიერი განწყობილება მშვენიერი იყო ჩე-

მიც და აკაკისიც. უკანასკნელად ამოვიდა კიბეზე ერთი ჩასუ-ქებული კაცი, აკაკის ძველი ნაცნობი რვეულით ხელში.

— მინდა ვისარგებლო მომენტით, შენი დაპირების თანახ-მად მოვიტანე ჩემი შვილის ლექსები და მინდა ნახო, როგო-რი ნიჭი ეტყობა ჩემს პატარა ბიჭს. — მე რომ გადმომხედა, დაუმატა: — ხატავს კიდევაც: სახლებს, ხეებს, ცხენებს და მამლებს.

აკაკიმ რომ დაინახა საკმაოდ დიდი რვეული, ისედაც დაღ-ლილს, შიშის ზარი ეცა, დარიგების კილოთი და ცოტა ხუმ-რობით უთხრა:

— მე წაკითხვა არ მჭირდება, შენი შვილის პოეტობა ისეც კარგად წარმომიდგენია. და რაც შეეხება მამლების ხატვას, ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ მოსეს უჩვენე, თუ სადმე ხელში ჩაგივარდეს!

ასეთი მრავალფეროვანი იყვნენ მისი სტუმრები და, რო-გორც ჩანდა, აკაკიც გარემოებას შესაფერად ეგუებოდა. პორტრეტი დავუტოვე აკაკის, რომელმაც გადამკოცნა და მითხრა — შენისთანა საჩუქარი მე არავისაგან არ მიმიღიაო.

განვლო 33 წელმა და პორტრეტი, რომელიც დაკარგული იყო, წელს ვიპოვე და თვით ვიყიდე ერთი კახელი გლეხისა-გან, რომელსაც, არ ვიცი, როგორ ჩაუვარდა ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის შესახებ

აკაკის დავლილი ჰქონდა მთელი თავისი სამშობლო. იგი ახლო იცნობდა ხალხის ცხოვრებას. პოეტს მუდმივი ბინაც კი არ ჰქონია, თუ სხვიტორს არ ჩავთვლით. სხვიტორის სახლიც აკაკის მისმა მეგვარეებმა ვალებში არაერთხელ დაუგირავეს.

ქუთაისში აკაკი ხშირად იყო ბეჟან წერეთლისას, ანასტასია და კატო ნიკოლაძეების ოჯახში, ექიმ გ. გოკიელისას, სერგო ბახტაძისას და ცნობილი პედაგოგის ალექსი ჭიჭინაძის ბინაზე. ხონში აკაკი ბინავდებოდა ადგილობრივი საზოგადო მოღვაწის ივანე შარაშიძისას და, უფრო ხშირად, იმავე სერგო ბახტაძის ოჯახში. თბილისში პოეტი უმეტესად სასტუმროში იდგა.

მუდამ მოძრავსა და ერთფეროვნებას შეუგუებელ პოეტს, ერთ ადგილას გაჩერება ხანდაზმით არ შეეძლო, ეს მისთვის ჯოჯოხეთი იყო, ამიტომ დღეს რომ თბილისში იყო, ხვალ — თელავში, შემდეგ ქუთაისში, კიდევ ქუთაისში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ამ დროს სხვიტორშიაც შეიხედავდა, და ასე... კაბინეტში ჯდომა აკაკისათვის სასჯელი იყო.

აკაკის მეტყველებას და გრძნეულ საუბარს რაღაც ჯადოსნური ზემოქმედება ჰქონდა მსმენელზე. ტკბილი, ხავერდოვანი და მეტად მოქნილი კილო მეტყველებისა, რომელსაც ერთი ბეწვისოდენა წაბორძიკებაც არსად შეემჩნეოდა, საოცრად იზიდავდა ადამიანს — და, როცა პოეტი საუბარს დაასრულებდა, გული დაგწყდებოდათ, ნეტავ ერთხანს კიდევ ესაუბრაო.

აკაკი ტანად საკმაოდ ახოვანი კაცი იყო. ამშვენებდა შავი, დიდრონი, ნაპერწკლის მტყორცნელი თვალები, ოდნავ მოხრილი ქართული ცხვირი, წვერ-ულვაში; გაბადრულ სახეზე დასთამაშებდა ღიმილი, რომელიც ხშირად ნაღველისა და ვარამის ნიშანი იყო, ხან — ულმობელი დაცინვის გამომეტყველ-

ლი, ხან კიდევ — მაღალი, პოეტური ზეშთაგონებისა და აღმაფრენის ანარეკლი. ამ დროს პოეტი ცისკენ მიპყრობილი ...ლებით ხან საყვედურს გამოხატავდა, რომელიც მხოლოდ აკაკის პოეტურ კუთვნილებას შეადგენდა, ხან კიდევ მგზნებარე სურვილს — სწვდომოდა იმავე ცას, რომ რაც სიკეთე გააჩნდა, მოეტაცნა და ქვეყნისათვის გადაეცა.

საოცარი იყო ამ დროს ეს თვალები: მიმზიდველი ცეცხლით სავსენი.

აკაკის პირადი ნაცნობობა მე მქონდა 1898 წლიდან. ამ წლის „კვალის" საახალწლო ნომერში დაიბეჭდა ჩემი ლექსი „განთიადი". ახლა არაფრად მომწონს, მაგრამ მაშინ უყურადღებოდ არ დარჩენილა და აკაკისაც რედაქციაში ეთქვა, ამ ყმაწვილს ყურადღება მიაქციეთო. ასე იყო თუ ისე, „კვალის" რედაქციის მიერ უყურადღებოდ არ ვყოფილვარ და ჩემ მიერ მიწოდებული მასალა, რაც გარეშე ძალას გადაურჩა, თითქმის უკლებლივ იბეჭდებოდა. 1897 წელს აკაკიმ თავისი „კრებულის" გამოცემა დაიწყო. პირველ წლებში „კრებულში" მხოლოდ აკაკის ნაწერები იბეჭდებოდა ხალხური შემოქმედების დართვით, რომელსაც ჟურნალში ცალკე განყოფილება ჰქონდა განკუთვნილი.

„კრებულის" რედაქცია და სტამბა ზესტაფონში იყო; რედაქციის გამგედ მოწვეული ჰყავდა თედო კიკვაძე. თვითონ აკაკი რედაქციისა და გამომცემლობის საქმეების გამო ხშირად მოგზაურობდა.

ერთი ასეთი მოგზაურობის დროს პოეტი მძიმედ ავად შეიქმნა ქუთაისში. გამოჩენილი სამსონ თოფურია მკურნალობდა თავისსავე საავადმყოფოში. პოეტი ისე იყო დაავადებული, რომ მნახველებს არ უშვებდნენ. საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდიოდა დეპეშები: „პარაკლისი გადავიხადეთო" — და პოეტს მალე განკურნებას უსურვებდნენ. აკაკი შემდეგ იტყოდა ხოლმე, პარაკლისებისა რა მოგახსენო და, ალბათ, ხალხის სიყვარულმა კი იმოქმედაო.

მთელმა „დიდმარხვამ" განვლო. აღდგომის წინადღეებში მიტროფანე ლაღიძემ მომწერა (სოფლად ვიყავი) — აკაკის შენი ნახვა უნდა და ჩამოდიო. ერთი კი გავოცდი, უცნაურად ავტოკდი.. არ ვიცი, რა დავარქვა ასეთ მდგომარეობას... მეორე დღესვე წავედი აკაკისთან.

ძნელია გადმოვცე ის ანგარიშმიუწვდომელი მღელვარება, რომელსაც იმ წუთებში განვიცდიდი — თრთოლვა და აღტაცება, კადნიერება და მოკრძალება, ყოველივე ერთმანეთს შეექსოვა...

— ნაბრძანები მაქვს, ავადმყოფთან არავინ შევუშვა ექიმის უკითხავად, — გვითხრა მე და მიტროფანეს მეკარემ.

— ჩვენ კი თვით ავადმყოფმა გვიბრძანა, შემოდითო, როგორ მოვიქცეთ?

მცირე ხნის შემდეგ აკაკის წინ ვიდექი. პოეტს სასთუმალზე თავი მაღლა ეჭირა. პირველი, რაც მე აკაკის სახეზე დავინახე, ეს იყო მისი უკვდავი ღიმილი.

— დაბრძანდით, ყმაწვილო! — მითხრა პოეტმა და თვალი გადმომავლო. — რაზე მუშაობ, სწერ რასმე? — მე პასუხი ვერ მოვასწარი, პოეტმა განაგრძო: — იკითხე, ბევრი იკითხე... სწერე ყველაფერზე, რაც გულმა გიჩურჩულოს და გონებამაც გირჩიოს. სწერე უბრალოდ, სადად, ნაძალადეობა მაშინვე დაეტყობა ნაწერს და აღარ ივარგებს. კალამი მომარჯვებული გაქვს, ლექსსაც არა უშავს, გემარჯვება, მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესებ. ქართული ლექსის წერა ადვილია, მაგრამ იმდენადვე ძნელი, თუ აზრის უბრალოდ გამოთქმა გინდა და არა მისი გაბუნდოვანება... სწერე, სწერე, როცა ხალისი გექნეს. აი, ევდოშვილი... ის სახელმოხვეჭილი მწერალია, მაგრამ მის ლექსებს ზოგჯერ ნაძალადეობა ნიშანდობლივად ეტყობა. ალბათ, შეკვეთით ბევრი რამ დაუწერია.

ავადმყოფი ამას რომ ამბობდა, თანდათან მხნევდებოდა, თვალები და სახე თანდათან უბრწყინდებოდა და კვლავ საოცარი ღიმი ბაგეზე დასთამაშებდა.

— მსახურობ?

— არა, ბატონო, მაგრამ ვაპირებ...

შევატყვე, არ ეამა...

— რა ვქნა, ბატონო, ღარიბი კაციშვილი ვარ და სხვა გზა არა მაქვს...

— მთავრობის სამსახურში მაინც არ შეხვიდე, სადმე კერძოდ მოეწყვე, თუ მოვმჯობინდი, მოგეხმარები, მაგრამ სამსახური საზოგადოდ ღუპავს კალმის მუშაკს. ეგაა ჩვენი უბედურება, რომ უსახსრონი ვართ და ბევრი საიმედო ახალგაზრდა იღუპება სამსახურის ჭაობში. კალმის მუშაკისათვის სამსახუ-

რი ნამდვილი ტყვეობაა იმ განსხვავებით, რომ ტყვეს შეიძ-
ლება ექნეს მოცალეობა კალამს ემსახუროს და დღიურად
უკეთესი წუთები ამ საქმეს მოახმაროს; სამსახური კალამს ნე-
ბას არავის მისცემს. აი, ცახელი მეტად ნაზი და გრძნობიერი
პოეტია, მისგან ბევრი რამ კარგი იყო მოსალოდნელი და კი-
დევაც მოგვცა, სანამ არ ჩაება; მაგრამ რაღაი წყალწითელას
ჭალა გაუჩნდა საჭირბოროტოდ, კიდევაც დაიღუპა, როგორც
მწერალი[1]. შენ მაინც გულს ნუ გაიტეხ, დადგება დრო და თავს
იხსნი მაგ „ტყვეობიდან"...

— აბა ახლა ცოტა წავიმუშაოთ. „კრებულისთვის" მასალა
უნდა დავამზადო...

კედელთან მიდგმული პატარა მაგიდა პოეტის საწოლთან
მივწიე. ფანქრით მოვემზადე.

აკაკი მკარნახობდა. ვწერდი გამალებული. თაბახი რომ
აივსებოდა, მკითხავდა, აბა, რომელ ფრაზაზე შევჩერდი და
უმალ განაგრძობდა. სიტყვა სიტყვას მისდევდა, ფრაზა ფრა-
ზას და ჩქეფდა საოცარი შადრევანი.

ეს დღე „დიდი ოთხშაბათი" იყო.

პოეტი დაიღალა, სამუშაო მეორე დღისთვის გადავდეთ და
მეც გამოვეთხოვე.

მეორე დღეს — ხუთშაბათს — ამგვარადვე გაგრძელდა მუ-
შაობა. პარასკევს („წითელი პარასკევი") სამუშაო დასრულდა,
წამაკითხა, აქა-იქ შესწორება შეიტანა და მთხოვა, ვისმე გა-
დამიწერინეო, ესეც მე ვიკისრე.

ამ დღეებში დაიწერა: „წმინდა გიორგის რაზმი" — იმე-
რეთის მეფის სოლომონ I-ის ძმის — „არჩილ გიჟად" წოდე-
ბულის — მიერ მოწყობილი რაზმების თავდასხმები ოსმალთა
მომხრეების ოჯახებზე იმერეთში; „მოტყუებული ტერტერა"
და ზოგი რამ სხვა.

ამ დღეს, ექიმ თოფურიას განკარგულებით, აკაკის საუზ-
მედ შემწვარი ბატკნის ხორცი და ნახევარი ჭიქა „ხვანჭკარა"
მოართვეს. პოეტმა გადახედა საუზმეს, თეთრი პურის ნაჭერი
აიღო და ორიოდე ლუკმა შეჭამა, ღვინოსა და ხორცს კი ხე-
ლი არ ახლო და უკანვე გააბრუნა.

---

1 ბ. ცახელი სწორედ ამ მამულის მსხვერპლი გახდა.

— რატომ არ მიირთვით, ბატონო, იქნებ კაი გაკეთებული არ იყო?

— დღეს ხორცს როგორა ვჭამ და ღვინოს როგორ დავლევ? რასაკვირველია, ეგ სისულელეა, მაგრამ მშობლებმა ასე ჩამინერგეს გულში და მეც არ მინდა მათთან სულიერი კავშირი გავწყვიტო...

პოეტი მალე მომჯობინდა და მნახველებისაგან მოსვენებაც აღარ ჰქონდა. მეორეჯერაც ვესტუმრე აკაკის მე და ჩემი ერთი მეგობარი, იქ ხუთი თუ ექვსი ქალი და კაცი დაგვხვდა მნახველები. მათ შორის ნიკო ნიკოლაძეც. ჩვენი მისვლა პოეტს ეაზა და საუბარი განაგრძო. უცბად ანტონ ჭყონდიდელზე ჩამოაგდო ლაპარაკი, დიდი ორატორი და მოქართულე იყოო. ერთხელ ჰკითხეს: ბატონო, სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე რომ ხშირად გვესაუბრები, ნეტავი რა უნდა იყოს ან ერთი, ან მეორეო?

— იქიდან დაბრუნებული არავის უნახავს,—უპასუხა მიტროპოლიტმა, — ჩემი წარმოდგენით კი სამოთხე არის სურათის სურათზე ცვლა განუწყვეტელად და შეუჩერებლად: თუ სურათს დაუგვიანდა, ჯოჯოხეთიც ეგ იქნებაო.

ეს რომ თქვა აკაკიმ, ნიკო ფეხზე წამოიჭრა და მიმართა:

— შენი ჭირიმე, აკაკი, მაგ შენს ნათქვამს მე განვმარტავ და არ უარჰყო, თუ სწორი იქნესო.

— ეს, ბატონებო, — მიუბრუნდა ნიკო მასთან ერთად მისულებს, — აკაკიმ ჩვენ დაგვითხოვა, წაბრძანდით და თქვენს აქ ყოფნას ჯოჯოხეთად ნუ გადამიქცევთო...

ამ განმარტებაზე პოეტმა გადაიხარხარა და პირი კედლისაკენ მიიბრუნა.

1899 წლიდან აკაკის „კრებულის“ პროგრამა გაფართოვდა და მეც რამდენიმე ლექსი და ფოლკლორული მასალა დავბეჭდე იქ. ხოლო ქუთაისის თეატრში სალიტერატურო საღამოებზე მეც რამდენჯერმე მხვდა წილად სცენაზე გამოვსულიყავი, როდესაც აკაკიც იქ ბრძანდებოდა და მონაწილეობდა.

1905 წელს გაზ. „ივერიაში“ ვმუშაობდი რედაქტორის მიწვევით. აკაკი რედაქციაში ხშირად შემოდიოდა და, უნდა ვთქვა, რედაქციაში მომუშავეთა შორის რაღაც თავისიანსავით მიყურებდა, იმედიანად დამებჯინებოდა ცალი ხელით და ასე რედაქტორის კაბინეტამდი მივაცილებდი.

კოტე მესხმა „ბატარა გაზეთი“ რომ გამოსცა, რედაქცია ათავადაზნაურო ქარვასლის ერთ-ერთ ოთახში ჰქონდა მოთავსებული. აკაკი შემოვიდა და კოტე მესხი რომ რედაქტორის სავარძელში დაინახა, ერთი თავისებურად გადაიხარხარა: საქართველოში ამდენხანს რედაქტორის სახელი ილიას ჰქონდაო...

სომეხ-თათართა შეტაკების დროს აკაკი სასახლის ქუჩაზე ცხოვრობდა სასტუმროში. პროვოკაცია ისე გაძლიერდა, რომ შესაძლო იყო მოჩხუბართა ერთ-ერთ მხარეს აკაკის ბინაზე მიეტანა იერიში, მით უმეტეს, რომ სროლა უკვე ყოფილ ერევნის მოედნიდან „გოლოვინსკზე“ (რუსთაველის პრ.) გადმოვიდა და ამით ქართველობაც ჩაეთრიათ ძმათა სისხლისღვრაში.

აკაკი სასტუმროს მოვაშორეთ. პოეტი დაბინავდა ქალაქის ერთ-ერთი დაწყებითი სკოლის დარბაზში ელისაბედის ქუჩის შესახვევში. სწორედ ამ დარბაზში ვინახულეთ პოეტა სოსიკო მერკვილაძემ და მე 1906 წლის 1 იანვარს, ახალწელიწადს. თბილისში საშინლად ყინავდა. დარბაზის ერთ კუთხეში პოეტს მოეხურა თავისი ციმბირული ქურქი და ლექსსა წერდა. ახალი წელიწადი მივულოცეთ, ვაშლები მივართვით და ვთხოვეთ ჩვენთან გადმოსულიყო მთაწმინდაში. მოყინულზე იქ ამოსვლას ვერ შევძლებ, ეტლი კი არ იმუშავებს და როგორ წამოვიდეო. ჩვენც ვეღარაფერი ვთქვით. დარჩა იქვე.

1907 წლის 30 აგვისტოს ტრაგედიამ აკაკი მწარედ შეაძრწუნა.

ილიას დაკრძალვის დღეს აკაკი შეუძლოდ იყო, მაინც გამოვიდა სასახლის ქუჩაზე და ქვითინით გამოეთხოვა ძვირფას ცხედარს.

ილიას ვერაგული მკვლელობით შეურაცხყოფილმა ქართველმა ერმა 1908 წელს მხურვალე სიყვარულით აღსავსე იუბილე გადაუხადა თავის დიდ პოეტს, თავის ჭირისა და ვარამის მღერალს. ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი აღფრთოვანება მთელი ერისა, ანგარიშმიუწვდომელი, გაუზომელი და აუწონელი.

მაშინ ძველი სენაკის ქართულ სკოლაში ვმუშაობდი. წ.-კ. საზოგადოების დავალებით აკაკის იუბილე მოვაწყვეთ ჯერ ძველ სენაკში, შემდეგ ახალ სენაკში უფრო ფართოდ და ვრცლად. სკოლის მასწავლებლები — ნიკო ჯანაშია, პოლ.

ლორთქიფანიძე და ანდ. შუბლაძე აქტიურად ჩაებნენ ამ სასიქადულო საქმიანობაში და აკაკის შემოქმედების მნიშვნელობის მოღვაწეობა ფართოდ გავაცანით საზოგადოებას.

იმავე წლის 14 დეკემბერს ქუთაისში გაიმართა გრანდიოზული საიუბილეო ზეიმი, რაც ვრცლად არის აწერილი იმდროინდელ პრესაში.

მე აქაც წილად მხვდა აკაკისთვის მიმელოცა შესაფერი ლექსით.

1910 წელს ქუთაისში გამოდიოდა ყოველდღიური, უპარტიო-პროგრესული გაზეთი „კოლხიდა". რედაქციაში მუშაობდნენ: სილოვან ხუნდაძე, ვას. წერეთელი, დავით მესხი, გრიგოლ გველესიანი და სხვანი. ვთანამშრომლობდი მეც. ერთ საღამოს, გვიან, გრიგოლთან შევიკრიბეთ რედაქციის საქმეების გამო. გავიდა ხანი და ვიღაცამ დარეკა. აკაკი შემოვიდა. მივესალმეთ. სილოვანი აიმრიზა და სალამი თავის დაკვრით მისცა. პოეტი ცოტა ხანს ჩვენთან დაჯდა, შემდეგ გრიგოლი ოთახში გაიწვია. იქიდანაც მალე გამოვიდა და გამოგვემშვიდობა. — კიბეზე ჩაგაცილებ, ბატონო, — უთხრა გრიგოლმა, — ბნელა და სახიფათოაო. — არა მიშავსო,— მიუგო პოეტმა, — ნუ შეწუხდებით, უთქვენოდაც ჩავივლიო.

ჩვენ აივანზე გადმოვდექით და თვალს ვადევნებდით, აკაკი ქვაფენილზე გავიდა და დაიძახა:

— მშვიდობით!

— მშვიდობით, მშვიდობით! — უპასუხა გრიგოლმა ზევიდან. პოეტი მაშინვე შეეკითხა, მე მემშვიდობები, თუ იმასო?

— როგორც გნებავთო... — მიუგო გრიგოლმა.

— მაშ, ერთი მე, ერთიც იმასო... — გადაიხარხარა თავისებურად და წავიდა.

გრიგოლს შემოვესიეთ შეკითხვებით. მაგრამ მისი ღიმილი უსიტყვოდაც გვიპასუხებდა, რაშიც იყო საქმე.

ორიოდე სიტყვა იმაზედაც მინდა ვთქვა, თუ როგორ კითხულობდა აკაკი. ჯერ იყო და აკაკის საუბარი ყოველთვის მოჩქეფდა სადად, უბრალოდ, ყოველგვარი ძალდატანებისა და შერჩეული სიტყვების გარეშე. მაგრამ ყოველ ხალხურ ფრაზას თუ სიტყვას პოეტი შესაფერი ლიტერატურული სამოწლით მოკაზმავდა და ისე გადმოგვცემდა. ზედვე ეტყობოდა,

რომ სიტყვის მარაგის ზღვა იყო. ხალხური მეტყველებით დაგანძულს უცხო და, მით უმეტეს, მიუღებელი სიტყვების ხმარება ეჯავრებოდა. ასეთი სიტყვებით დატვირთული საუბარი ჭირის ოფლს მოაწურვინებს მთქმელსაც და გამგონესაც და პოეტისთვის ეს ნაკლია და არა ღირსებაო. პოეტს ფართო გასაქანი აქვს შექმნას ახალი შესიტყვება, ახალი სიტყვებიც, მაგრამ უთუოდ დედაენის საფუძველზეო.

დიდსა, მაღალსა, ბრწყინვალე მზესა,
მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა —

და ეს უადგილოდ და ნაძალადევად ჩაჩხირული ფრაზა თუ სიტყვა იგივე ღრუბელია, რომელიც ბრწყინვალე მეტყველებას ჩრდილს მიაყენებსო.

ლექსს აკაკი კითხულობდა სადად, თითქო გვესაუბრებაო. მსახიობურ კითხვას გაურბოდა: სახიობა ლექსსაც და თხრობასაც დამაჯერებლობას უკარგავსო. გადაჭარბება არ ვარგაო, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების მხატვრული წაკითხვა საჭირო არ იყოსო.

ზაქარია იაკობაშვილი

(80 წლის, სოფ. ჩიხაში მცხოვრები)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

როსტომ წერეთელი ძალიან მაგარი კაცი იყო, ყმებს მკაცრად ექცეოდა.

ყმებს ზოგს ხელზე მოსამსახურეობა ემართა, ზოგს — ღვინო, ზოგს — პური, ზოგს — ფული, ზოგს — გზის კეთება და სხვ. ყველა ამ თავის ბეგარას იხდიდა და ასრულებდა, არც მეტს გააკეთებდნენ და არც ნაკლებს.

მდიდარი თავადი იყო როსტომი, კარგად ცხოვრობდა. აუზი ჰქონდათ ერთი, ისეთი სანახავი იყო, რომ ქალაქშიაც ვერ ნახავდით იმისთანა სანახავს. თევზებს ხან დაჩეხილ თხას უყრიდნენ, ხან — ძროხას. ჩიხურას დააშრობდნენ სათევზაოდ, თევზს ხელით იჭერდნენ, ზოგს — ბადით, თუნგში ჩაყრიდნენ და იმით მოიტანდნენ და აუზში გაუშვებდნენ, თანდათან უმატებდნენ. მებაღე იქვე ცხოვრობდა, პატარა სახლი ედგა ეზოში. ის რომ ზარს დაკრავდა, თევზები ზევით ამოხტებოდნენ. კურდღელიც ჰყავდათ იმ ეზოში, ფარშავანგებიც, ციცრებიც. როსტომს თავის სახლობით ძალიან უყვარდა იმ აუზის დათვალიერება და ხშირად ჩამოვიდოდნენ ხოლმე.

აკაკის კარგად ვიცნობდი. ისე მიმიღებდა, როცა მივიდოდი, როგორც კაი საყვარელი მამა მიიღებს შვილს. დაჯდებოდა, დამიწყებდა საუბარს. აკაკი იყო გაჭირვებული ხალხის მოჭირნახულე. მამას ეჩხუბებოდა: გლეხებს ნუ აწუხებო. ბავშვებს სულ ეუბნებოდა: ისწავლეთ, შვილო, ისწავლეთ, კარგი დრო დაგიდგებათო, მუდამ არიგებდა.

აკაკის ერთი ყმა ჰყავდა ორღულში, კიკოლა კალმახელიძე. დაიბარა თურმე სხვიტორში: მოვიდეს კიკოლა ჩემთანო. კიკოლა მივიდა, დაუკრა თავი ბატონს.

— დაბრძანდი, კიკოლაო.

დაჯდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რამდენი წლის ბრძანდებიო?

— 100 წლის მეტის ვიქნებიო.

კიკოლა კალმახელიძემ უამბო თურმე აკაკის ამბავი და ეს ამბავი გალექსა აკაკიმ შემდეგში.

აკაკის ერთმა ბიძაშვილმა—გრიგოლ წერეთელმა საირხელი გლეხის იაკობიძის ქალი შეირთო ცოლად. ნათესავები გაურისხდნენ და აღარ მიიღეს სახლში, რათ შეირთე გლეხკაცის ქალიო? გრიგოლმა აკაკისთან იჩივლა: მიშველე, ბიძია, აღარ მიმიღეს ნათესავებმა, რატო შეირთე გლეხის ქალიო.

— წამოდიო, — უთხრა აკაკიმ, მიიყვანა ნათესავებთან.

— ისეთი დრო მოვაო, რომ გლეხს. იქით შეეხვეწებით, ჩემი შვილი შეირთე და შეინახე, პური აჭამეო, — ასე შეარიგა ნათესავებს.

აკაკი თავის სახლში ღარიბად ცხოვრობდა. აკაკი ავად რომ იყო, ვნახე, ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

ორი ადამიანის ხატება ჩამესვენა ღრმად გულში, როგორც თავისებურება და ერთსახეობა ჩემის სამშობლოისა.

პირველი — ილია: მუდამ სევდიანი, ფიქრჩაღრმავებული, კოპებშეკრული...

მეორე — აკაკი: მუდამ მღიმარე, სახენათელი, გულღია, ზეაღმტაცი!

გინახავთ აკაკის ღიმილი? — შეხედეთ ამომავალ მოჭიატე მზეს — აკაკის სიცილიც წარმოგიდგებათ.

მზე მასულდგმულებს და მოქმედების ხალისს მიცხოველებს. ასეთი იყო ჩემთვის აკაკიც: ყოველი მისი შემოხედვა ძალ-ღონეს მიორკეცებდა, კაცთაგანს უთქმელს, უმაღლეს გრძნობას აღმიძრავდა, ბრწყინვალე მომავლის რწმენას განმიმტკიცებდა...

ილია კი თვითმოქმედების, საკუთარი უნარის გამოჩენის ნიათს მიღვიძებდა, ცხოვრების დამაბრკოლებელ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველ ძალას მმატებდა.

ორივე ერთად — ერთი მეორეს დამატებით — საქართველოს ხასიათს გამოხატავდნენ...

ერთი უმეოროდ ვერ წარმომიდგენია, მით უმეტეს — საქართველო უაკაკოდ და უილიოდ...

ეს პირველი ნაქვთი.

მეორე ნაქვთი:

ვისაც აკაკის კითხვა არ მოუსმენია, ვერც წარმოიდგენს.

აკაკი მკითხველი — უბრალო, სადა, ჩვეულებრივი მოსაუბრე, დინჯი, წყნარი მეხმაურე ტკბილ-მუსიკალურ ხმათა, არც ხმის უშნოდ აწევ-დაწევა, არც წარამარად ხელების შლა, თითქო არც ისა — ავაღელვო ვინმეო... მაგრამ ამ უბრალოებით უფრო დიდს შთაბეჭდილებას სტოვებდა, მსმენელის გულიგულსა სწვდებოდა...

ასეთივე იყო როგორც ლექტორი — სხვათა შორის, პირვე-

ლად აკაკიმ წაიკითხა საჯაროდ სამი ლექცია „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და თუმცა იმხანად ლექციები მიღებულ [illegible] აკაკიმ მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო: ოვაციები, თაიგულები და დაფნის გვირგვინი დაიმსახურა...

მესამე ნაქვთი: ბაასი, საუბარი, თავმდაბლობა, მაგრამ, ამავე დროს, უამაყო დიადობა, თავაზიანობა, დიდებული სვლა, მძიმე ნაბიჯი, თითქოს ცას მიბჯენილი თავი, შორს, იდუმალობისკენ გამქცევი თვალნი...

მეოთხე ნაქვთი: ახოვანება, ბრგე ტანადობა, ხუჭუჭა თმა თავზე მზის ბუჩქივით მოხვეული, ფართო და ნათელი შუბლი...

არა, იგი ამქვეყნიურს არა ჰგავდა — ჩვეულებრივ მომაკვდავთაგან განსხვავებული აპოლონი იყო, მაგრამ არა პარნასის მწვერვალზე, არამედ მარად შრომაში, ოფლის მღვრელ ხალხის გულში მჯდომარე, ყველა მათგანის გულთა სიმების მიზრაფი...

აკაკი და ზოთა

დაახლოებით 1897-98 წლებში აკაკი მერკვილაძეთა ოჯახში დაიარებოდა. მერკვილაძის მეუღლე ნუშო, თელავში, ივანე და ლიზა როსტომაშვილების სკოლაში იყო აღზრდილი, ხელსაქმის საგანგებო ოსტატი და ჩინებული ქართველი ქალი.

ამ ოჯახში შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელი წრე აკაკის ხელმძღვანელობით.

იმ დროს ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა, თუკი ვინმე კითხულობდა, ერთი ნაწილი ბაზრულ წიგნს ეტანებოდა, მეორე უფრო მარქსისტული ლიტერატურით იყო გატაცებული, ხოლო „ვეფხისტყასანი“ და მსგავსი წიგნები, ძველი ძეგლები, აბუჩად იყო აგდებული: „თქვენც მოგიცლიათ რაღა, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაზე დროს ჰკარგავთ!“—გვეტყოდნენ ხოლმე.

მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელ წრეში ახალგაზრდობა ბეჯითად დადიოდა, აკაკის ახსნა-განმარტებას დიდი ხალისით ისმენდა.

როგორც ცნობილია, აკაკისა და ილიას შეხედულებანი „ვეფხისტყაოსანზე“ ურთიერთისაგან ძირეულად განსხვავდება.

რამდენადაც ილია „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს მსოფლიო ხელოვნ-ლის მატარებელ სახეებად ახასიათებდა, იმდენად აკაკი ამ გმირებში ქართველთა სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთ ხედავდა.

ეს სხვადასხვაობა სრულიად არ გვიშლიდა აკაკისთვის გვესმინა, პირიქით: უფრო სიამაყით გვავსებდა.

ხშირად, მთელი საღამო (3—4 საათი) მხოლოდ ერთი ტაეპის ახსნას უნდებოდა აკაკი. თითოეული სიტყვის მნიშვნელობის ახსნასთან ერთად, ლიტერატურის, ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის აწინდელი მდგომარეობის ირგვლივ მუსაიფს იწყებდა, ისეთი დაშაქრული ენით, რომ მისი მოსმენა კაცს არ მოსწყინდებოდა.

— „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა ჩაგიდგამთ გმირულ სულს, თავის თავისადმი რწმენას... აღგაფრთოვანებთ... და როცა ქართველი დედა ამ წიგნს გაიგებს და შოთას შეიგნებს— მაშინ წარმოშობს ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს, თინათინს... ქაჯეთის ციხიდან მიჯნურს — ნესტანს გამოიხსნის.

ისეთი თვალგაბრწყინებით გველაპარაკებოდა, თითქო ნესტანს, თინათინს, ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს ცხადლივ ჰვრეტსო.

ხოლო ჩვენ, მსმენელნი, თვით აკაკის შოთასთან ვაიგივებდით, საქართველოს მკვდრეთით აღდგენის მოციქულად ვსახავდით!

— როგორ შეიძლება მიწიერი ზეციერს შემადაროთო!..

— განა თქვენი „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „ბაგრატ დიდი“ ნაკლებია!.. — შევეკამათე ერთხელ.

აკაკიმ გაიღიმა...

— როგორც ვარსკვლავი მზეს ვერ შეედრებაო!..

ჩემი ჟურნალის მზე

1910 წელს, როდესაც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ დავაარსე, აკაკი რედაქციაში შემობრძანდა, ტკბილ-ნეტარის ღიმილით მომესალმა, დაბრძანდა და ლექსი გამომიწოდა:

— გასინჯეთ და თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთ.

მოკრძალების ალმა გადამკრა, თან იდუმალმა სიხარულმა შემიპყრო და ლექსს დავაცქერდი. ეს იყო „თანამედროვე ქა-

ლი". ლექსს ჩემთვის ვკითხულობდი, თან ველაპარაკებოდი (ასეთი ჩვეულება დამჩემდა).

— როგორ თუ, მომეწონოს, ბატონო? ჩემს ჟურნალს ... ალმოუბრწყინდა მზე თქვენის შემობრძანებით და თქვენს ნაწარმოებსაც დიდის სიამოვნებით დავბეჭდავ, მაგრამ... — აქ შევჩერდი და ლექსის ერთი ტაეპი ხმამაღლა ჩავიკითხე:

...აბა, სამშობლოს, დაცემულს,
თუ იგლოვს, როგორც ვალია?
— არც ის! სამშობლო ვინ მისცა?
თანამედროვე ქალია!..

ჩუმადვე განვაგრძე.

— მაგრამ, რა? — შემეკითხა აკაკი.

— ნება მიბოძეთ, ჩემი ნივთიერი მდგომარეობაც მოგახსენოთ!..

— ჰონორარი? — სიტყვა მომიჭრა. — მაგაზე ნუ სწუხართ, მე შენგან არაფერს ავიღებ და სრულიად უფასოდაც ვითანამშრომლებ შენს ჟურნალში, რადგან ეს გამოცემა მოეწონს, როგორც უპარტიო და ხალხური... — მიბრძანა მგოსანმა.

ლექსი, რასაკვირველია, იმავე კვირას დავბეჭდე, მთელ გვერდზე, მსხვილი შრიფტით („თეატრი და ცხოვრება", 1910 წ., მაისის 16, № 19). ამის შემდეგ მგოსანმა დაიწყო მუდმივი თანამშრომლობა. ამ წელს „თეატრი და ცხოვრებაში" დავბეჭდე აკაკის პიესა „რეაქცია", დაწერილი პარიზში 1910 წელს („თეატრი და ცხოვრება", 1910 წ., № 22—25), ლექსი „ზარი", რომელშიაც, სხვათა შორის, ერთი ასეთი ტაეპია:

სამოთხე, სასუფეველი,
სატკბილოცნებო გულშია
და უკვდავება მარადი
მხოლოდღა სიყვარულშია.

(№ 28), „მოთამაშე ქათმები" — ამბავი (№ 30), „სიყვარული" — ლექსი (№ 31), „გახსენება თეატრის შესახებ" (№ 35—38), „მსახიობის აღსარება" — ლექსი (№ 40, ეს ნომერი, ჩემი ცხოვრეში ჩასმის გამო, „ალმანახ ხელოვნების" № 1 სახელით გამოვიდა).

თვით აკაკი მუდმივი სტუმარი შეიქმნა რედაქციისა და ხშირად გვატკბობდა თავისი მოსწრებული სიტყვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია მოთავსებული მქონდა ქართული თეატრის (ალ. გრიბოედოვის სახელობის) ქანდარის ქვედა ტალანში. ამ დროს ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე იყო ნიკოლოზ გიორგის ძე ქართველიშვილი.

ერთხელ ნიკოლოზ ქართველიშვილი შემეკითხა:

— აკაკის იმდენს რას აძლევ, რომ ასე ხშირად ბეჭდავ?

— არაფერს...

— არაფერს?! — გაოცებით შემეკითხა ნიკო. — აკაკი ხომ უჰონორაროდ არსად არაფერს ბეჭდავს.

— მე კი არაფერს მართმევს.

— გაფრთხილდი, გიჯობს ახლავე აძლიო, თორემ ერთისამად გაზღვევინებს, და თუ არ მიეცი, ისეთ სახელს გაგივდებს, თავი ვეღარსად გამოჰყო.

შევფიქრდი. ერთხანად შევწყვიტე კიდეც აკაკის ნაწერების ბეჭდვა, მართლა ვალში არ ჩავიფლა-მეთქი, მაგრამ აკაკიმ ტკბილ-ალერსიანი სიტყვით ეჭვები გამიფანტა და განვაგრძე მისი ნაწერების ბეჭდვა, თუმცა არა ისე უხვად, რის გამოც ერთი მისი საუკეთესო ლექსთაგანი — „ჩემი რწმენა" — მხოლოდ მგოსნის გარდაცვალების შემდეგ ეღირსა მზის სინათლეს.

ერთ უქმე დღეს აკაკიმ შემოსვლისთანავე, მოსალმების შემდეგ, ღიმილით მომმართა:

— თვალი დაუდგეს სიღარიბეს. მოულოდნელად სამი მანეთი დამჭირდა. ეგება მიშოვოთ როგორმე. მალე დაგიბრუნებთ.

ჟრუანტელმა დამიარა. ვიფიქრე, დაიწყო ჰონორარების მოთხოვნა-მეთქი და მივუგე:

— დაბრძანდით, ახლავე! — და თეატრის ფოიეში გავედი, სადაც ნიკოლოზ ქართველიშვილი მეგულებოდა.

— ბატონო ნიკო, თქვენ ბევრჯერ დაგიხსნივართ გაჭირვებიდან, გთხოვთ, ახლაც მომეშველოთ. სამი მანეთი მჭირდება.

— რისთვის?

— აკაკი მობრძანდა.

— აკი გითხარი, ჩემო იოსებ, ეს აკაკისებური ხერხია,

ბიჭი ხარ და სრულად ნუ გაუსწორებ... — მითხრა და სამ-
მანეთიანი მომცა „სესხად“ (ასეთი „გასესხებით“ ქართული
მა თეატრმა მისი ჯიბე დაცალა).

აკაკიმ მადლობით ჩამომართვა სამი მანეთი და წავიდა. მე
კი ჟურნალის კომპლექტი გადავფურცლე და გამოვიანგარი-
შე, სულ რამდენი სტრიქონი მქონდა აკაკის დაბეჭდილი, რომ
როგორმე ვალი გადამეხადა.

გავიდა ერთი კვირა. აკაკიმ კარი შემოაღო, ჩვეულებრი-
ვი ღიმილით მომესალმა, თან თანამხლებელს მიმართა:

— გაიცანი ჩემი საყვარელი რედაქტორი... ესეც ჩემი
შვილი, ალექსი! — მომიბრუნდა მე.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ალექსი ტანწვრილი, მა-
ღალ-მაღალი, დაახლოებით 35—40 წლის, ქერა, წვერულვა-
შიანი კაცი იყო. სკამები მივთავაზე. აკაკიმ მკლავში ხელი გა-
მიყარა, ფანჯრისაკენ მიმაბრუნა და მითხრა:

— მცირე სათხოვარი მაქვს!

ვიფიქრე, ეს არის კიდევ ფულს მთხოვს-მეთქი.

— ბრძანეთ.

— ერთი საათი დრო უნდა შემომწიროთ და ახლავე გა-
მომყვეთ მთაწმინდაზე, პანაშვიდზე (დიმიტრი ყიფიანის ხსოვ-
ნის პანაშვიდი იყო).

— დიდი სიამოვნებით! — მივუგე. — რედაქციას დავკე-
ტავ!..

— გმადლობთ! — კვლავ ხელი ჩამომართვა და ვიგრძენი,
ხელში ნაკეცი ქაღალდი ჩამიდო.

— რა არის?

— თქვენი ვალი.

— რის ვალი, რა ვალი, ბატონო აკაკი? განა თქვენს ვალს
როდისმე გადავიხდი? — და უკანვე გავუწოდე.

აკაკიმ ხელი დამიმუჭა და ალექსის უთხრა: — მივდივართ!

ძალზე შევწუხდი, ჩემი იმ ფიქრის გამო, რომ, სხვისი
შთაგონებით, აკაკის ანგარება შევწამე, მაგრამ ვიფიქრე: სულ
ერთია, მეეტლეს გავუსწორდები და სხვაფრივ გავუმასპინძლ-
დები-მეთქი.

ეტლში ჩავსხედით, თუმცა არა ვთანხმდებოდი, აკაკიმ
გვერდზე მომისვა, ჩვენ წინ ალექსი მოთავსდა.

ფუნიკულიორის სადგურთან მივედით თუ არა, მაშინვე

ჯიბეს ვიკარ ხელი და აკაკის მიერ დაბრუნებული სამმანეთიანი უჩუმრად ამოვიღე, რომ მეეტლისათვის მიმეცა... ალბათ აკაკი მიმიხვდა, მკლავში ხელი მტაცა, ალექსის კი თვალით ანიშნა. ალექსიმ მეეტლის ფული გადაიხადა. ვიფიქრე, ფუნიკულიორის ბილეთებს მაინც ავიღებ-მეთქი და გავიწიე. აკაკიმ ლაპარაკი ჩამომიგდო დიმიტრი ყიფიანის თავგანწირულებაზე, იმავე დროს ალექსის ანიშნა, რომ ბილეთები აეღო სამივესთვის. ჩავსხედით, შუა გასაჩერებელზე ჩამოვხტით, მამადავითის ეკლესიისაკენ გავუხვიეთ.

პანაშვიდზე დიდძალი ხალხი იყო...

აქედან ფეხით დავყევით და მხოლოდ მამადავითის მოედანზე განვშორდით ერთმანეთს, თან დიდი მადლობა გადამიხადა აკაკიმ, რომ დრო არ დავზოგე და ვეახელ, თუმცა მადლობის გადახდა მე მევალებოდა.

წავიდა. მე კი გული ჩამწყდა: ამ დიდბუნებოვან, უანგარო კაცს ანგარება როგორ შევწამე-მეთქი, თან ვფიქრობდი: გულთმისანი ხომ არ არის, ხომ არ შემატყო — მე და ნიკო ქართველიშვილი მასზედ რას ვფიქრობდით და იმიტომ ხომ არ მომექცა-მეთქი ასე?

მაგრამ არა: ის მუდამ უანგარო იყო, ვერცხლის არამოყვარული; რაც ეკუთვნოდა, ხშირად იმასაც ვერ იღებდა, — ზოგჯერ მისი სახელით ფულსაც კი აგროვებდნენ ან აღუთქვამდნენ, მიცემით კი არაფერს აძლევდნენ... და თუ ჰქონდა რამე, არავისთვის არაფერს იშურებდა, ამიტომ იყო მუდამ ჯიბეცარიელი.

სიღარიბე

1910 წლის ზაფხულში აკაკი სოფელში წაბრძანდა. იმხანად, ეტყობოდა, ხელმოკლეობას განიცდიდა, რამდენიმე წერილი მომწერა, რომელთაგან ზოგი ქართული თეატრის დაწვის დროს დამენთქა, ზოგი ჟანდარმერიის მიერ ჩხრეკის დროს გაქრა. ქვემორე მომყავს ორი წერილი, რომლებიც დაწერილი იყო ხელის საპნის სახვევ ქაღალდზე (მეორე მხრიდან საპნის ფირმისა და სხვა განცხადებანი იყო). აი, რას იწერებოდა:

„ბატონო რედაქტორო! (თვალი დაუდგეს სიბერეს. სახელი ველარ მოვიგონე და მიტომ გწერ რედაქტორობით).

როცა მოიცალო, გადაეცი სხვა რედაქტორებს, როგორც ქართულ, ისე რუსულ გაზეთებისა, რომ გამოწერა არ შემიძ-ლია და ეგების ისე გამომიგზავნონ გაზეთები მაგ თქვენ ადრესით საჩხერეში. ახალი ხომ არა არის რა ტფილისში გარდა სიცხისა? აქ ძალიან გრილა, მაგრამ საჭმელზე ვარ მწყრალად, რადგანაც ყოლიფერი, შეშაც კი, საყიდი მაქვს და ჩემი მამული ჩამორთმეული სხვებს უჭირავსთ ხელში. ეს სულ იუბილემ შემძინა!

თუ ნახო გომართელი, მომიკითხე.

შენი მარად აკაკი".

მე, რა თქმა უნდა, აკაკის თხოვნა შეძლებისამებრ შევასრულე. მომყავს მეორე წერილი:

„ძმაო იოსებ!

შენი გაზეთის ნომრები, სადაც ჩემი სცენები იყო, ახლა მივიღე და გმადლობ. სხვები კი არ მიგზავნიან, გარდა გოთუასი. „დროება" რომ არ მომდის, არ მიკვირს, მაგრამ „მათრახი" მაინც რად ენანებათ ჩემთვის, აღარ ვიცი.

შენი მოყვარული აკაკი".

რწმენა

1910 წლის შემოდგომაზე მოულოდნელად მომაშორეს თავისუფალ ჰაერით სუნთქვას — ოქტომბრის 9-ში, ჟურნალის მორიგი ნომერი მანქანაზე გავუშვი თუ არა, რომ მეორე დღისით დაბეჭდილიყო, ნაშუაღამევს ჟანდარმებმა შემიპყრეს და მთელი სამნახევარი წლის განმავლობაში აღარ მინახავს მგოსანი.

ციხიდან უკვე თმაგაბურძგნული, გაჭაღარავებული გამოვედი.

მგოსანს ერთ ყრილობაზე შევხვდი. არ მინდოდა მისი შეწუხება, მაგრამ რაკი თვალი შემასწრო და ყურადღება მომაქცია, მივესალმე, ხელი რომ გამომიწოდა, ჩემი ვინაობა მოვახსენე.

— კი, გიცანი!.. — მომიგო ნეტარი ღიმილით და ნათელი სახე უფრო გაუნათდა, მკლავში ხელი გამიყარა და დემონსტ-

რატიულად გამატარა ხალხში, თითქოს ყველას ეუბნებოდა, თქვენ ერიდებით, მაგრამ ჩემთვის უფრო საყვარელია (რადგან იმხანად კატორღამისჯილს, ნაციხარს ყველა ერიდებოდა, მერიდებოდნენ მეც. აკაკიმ კი ჩემს მიმართ ეს რიდი გააქარწყლა). გავლისას სიცილით მიბრძანა:

— ახლა ხომ ვალმოხდილი ხარ! ავკაცობა იმათ, თორემ შენ, გამობრძმედილი და ჭირგამოვლილი, უფრო მხნედ ემსახურები შენს მიზანს, არც ერთი საქვეყნო საქმე უმსხვერპლოდ არ კეთდებაო.

— მართალია, ბატონო აკაკი, მაგრამ ზამთრის სუსხმა უმატა!.. (ვგულისხმობდი იმ დროის თვითმპყრობელობის რეაქციას) სასტიკი ზამთარია!

აკაკიმ ღიმილით, მაგრამ მოციქულებრივი ღრმა რწმენით მომიგო:

— მართალია,
დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბილ-ტაროსი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალნაც
აორკეცა თვისი ძალა!..
ვინც თვისტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თბილი,
მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი! —

შეჩერდა, გადმომხედა — მაგრამ ხალხის ერთგული შვილები ხომ ამ გზას ვერ გაჰყვებიანო და ლექსითვე მიბრძანა:

დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

უკანასკნელი ბწკარი სადად, მაგრამ ისეთი რწმენით წარმოთქვა, რომ უეჭვოდ ვირწმუნე ჩემი სამშობლოს გაზაფხული...

ნაცნობნი მოგვიახლოვდნენ, მკლავში ხელგაყრილნი საზოგადოებას შევუერთდით.

აკაკის ჩემდამი ასეთმა დამოკიდებულებამ და წაქეზებამ მაიძულა, რადაც უნდა დამჯდომოდა, ჟურნალის გამოცემა განმეახლებინა, მაგრამ რა გზით! — ჯიბეში კაპიკი არა მქონდა,

მთავრობისაგან უფლებააყრილი ვიყავი, ყოველდღე ჯაშუშ-
მოდარაჯებული, მეგობრებშემომფრთხალი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აი, გავბედე: მეუღლის სახელზე ნებართვა გამოვიტანე
და სრულიად უკაპიკოდ, ნისიად დავიწყე ჟურნალის გამოცე-
მა.

წამქეზებელი

ჟურნალის გამოცემა რომ განვაახლე, აკაკი კიდევ უფრო
დამიახლოვდა და, როცა კი შემხვდებოდა, ისე სიტყვას არ
მეტყოდა, არ წავექეზებინე.

— ჟურნალის მეთაურებს ვინ სწერს? — მკითხა ერთ კვი-
რა დღეს თეატრის ეზოში.

— რაზე მკითხავთ, ბატონო?

— მინდა ვიცოდე, თუ საიდუმლო არ არის.

— ქართული მწერლობის თვით მესაიდუმლეს რა დაეფა-
რება, — მივუგე და მასთან დავსძინე: — მეთაურები ჩემია,
ჩემი კალმის ნაცოდვილევი...

მგოსანი შედგა, მომიბრუნდა, ოდნავ თავი გადმოხარა,
თვალის ქუთუთოები გააღო, სახის ნაკვთები სანეტაროდ გა-
უბრწყინდა და თითქმის იდუმალის ხმით მომიგო:

— შენი?! სწორედ არ მეჯერა (სწორედ ამ სიტყვით —
„არ მეჯერაო") და თუკი ეს მართალია, მადლობა ღმერთს!..
ჩანს, ღმერთს კიდო არ დავვიწყებივართ: ის, რაც მთელ სი-
ცოცხლეში ნატვრად მქონდა, აწ ვხედავ განხორციელებულს!
ხალხის საქმეს ხალხისავე შვილებმა უნდა უჭირისუფლონ...
ხალხური ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენ...

მე მოკრძალებით ვკითხე:

— ნუთუ ასწრებთ წერილების წაკითხვას?

— მუდამ... პირველად ამ წერილებს ვკითხულობ ხოლმე
და ძლიერაც ვკმაყოფილდები.

— ეს თქვენი გულუხვობის ბრალია, ბატონო, თორემ სად
მე — სად ასეთი ხოტბა?!

— ყური უგდე ხალხის გულისთქმას... გეტყობა უცხო გავ-
ლენას აცდენილი ხარ... ქართველი მწერალი და ქართული ჟურ-
ნალ-გაზეთის ხელმძღვანელი აგეთი უნდა იყოს...

რასაკვირველია, ჩვენი დიდებული მგოსნის სიტყვები ჩემ

წასაქეზებლად ნათქვამად მივიჩნიე... და მითაც დიდი, განუზომელი სარგებლობა გამოვიტანე... ყოველი ასეთი ...
ნაამაგდარი მოძღვარი შთამაგონებდა ჟურნალი ...
წარმოებინა.

უგვირგვინო მეფე

1914 წლის ივნისის 8—15-ს შედგა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა.

ყრილობაში მონაწილეობა მიიღო თითქმის მთელმა შეგნებულმა ქართველობამ თავისი წარმომადგენლების სახით.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს აკაკი, არა მხოლოდ როგორც საყვარელი ან სახელგანთქმული მგოსანი, არამედ როგორც მთელი ერის მესაიდუმლე, მისი მკვდრეთით აღდგენის მოციქული და უგვირგვინო მეფე.

ამ ყრილობას, მიუხედავად ზოგიერთი წვრილმანი ნაკლისა, იმ დროს დიდი საზოგადოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ყრილობის სხდომები მთელი კვირა მიმდინარეობდა დილა-საღამოს და, შალვა დადიანის არ იყოს, ყრილობამ ნათელჰყო, რომ „დამჯდარი ბაასი და პარლამენტარული კამათი ჩვენც შეგვიძლია და ისიც ჩვენს მშობლიურ ენაზე". პრეზიდიუმის წევრებად, აკაკის გარდა, იყვნენ (ანბანთა რიგზე) თავმჯდომარის ამხანაგები: კიტა აბაშიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ალ. კრინიცკი, გ. ლასხიშვილი. მდივნები: კ. ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი, იოსებ იმედაშვილი, პოლიო კალანდაძე (ირეთელი), იოს. რომანიშვილი, ს. ჭანტურიშვილი.

ეს პრეზიდიუმი, აკაკის თავმჯდომარეობით, ვიწრო წრეში მიჩნეული იყო საქართველოს სულისკვეთებათა გამომხატველად, იმდენად, რამდენადაც ქართულ სცენას, ხელოვნებას, მწერლობას, საზოგადოებას და საერთოდ კულტურულ ძალღონეს გამოხატავდა, ბევრმა არც კი იცოდა ამ პრეზიდიუმის ასეთი როლი, ხოლო თითოეული მათგანი გრძნობდა, სადაც აკაკია — იქ საქართველოს გული სცემს და სადაც საქართველოს გულია (აკაკია), ჩვენც იქ ვიქნებითო.

ყრილობამ რამდენიმე მოხსენება მოისმინა და მრავალი

სიტყვაც ითქვა სათეატრო ხელოვნების აწინდელი და მომავალი მდგომარეობის, მისი დანიშნულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, მე გავაკეთე მოხსენება სახალხო თეატრის შესახებ, რომელშიაც ის აზრი გავატარე, რომ, თუ ჩვენი ხალხის ამაღლება და მით ჩვენი ქვეყნის დაწინაურება გვსურს, სახალხო თეატრის საქმე უნდა ავამაღლოთ-მეთქი და სხვა.

— ეს ასეც იქნება, — მიბრძანა აკაკიმ, — აშკარად უნდა ითქვას, საქართველოს აღდგენა-გამოფხიზლება თეატრსა და მწერლობას ევალება... ხალხურ თეატრსა და მწერლობას... საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ხალხის წრიდან გამოსულები დაიწყებენ მოღვაწეობას და ჩვენი ქვეყანაც მაშინ დაიდგამს ძლევის გვირგვინს...

— უფრო აშკარად რომ ვთქვათ: დღეს უგვირგვინო აკაკის სამშობლო მისთავაზებს გვირგვინს!

აკაკიმ გაიღიმა:

— ეს საგვირგვინო მოვა... მე მხოლოდ მისი წინამორბედი ვარ!..

ეს სიტყვები უბრალოდ იყო ნათქვამი, მაგრამ დიდის რწმენით, რომ ახალ მესიას ველოდით... თუმცა ერთი წუთითაც გულიდან არ მოგვიშორებია, რომ ამჟამად საქართველოს უგვირგვინო მეფე აკაკი იყო.

სარწმუნოება, ერწმენა და სიყვარული

აკაკი მუდამ მორწმუნე მეგონა. ერთხელ ვერის სასაფლაოზე გავიარეთ მუსაიფით. აქ ერთ რკინის ფიცარს ჯოხის წვერი დაჰკრა, თან ჩამილაპარაკა:

— ცოტაოდენი ხანიც და შესაძლოა, შთამომავლობას სამუდამოდ დაეკარგოს კიდეც!..

დავხედე, ამოვიკითხე: დანიელ ჭონქაძე...

ეს სამარე წინათაც მენახა, მაგრამ აღარ მახსოვდა.

— დიაღ, დანიელ ჭონქაძე... შურისძიება გლეხებისა, საფრთხე სამღვდელოებისა და რისხვა ცრუმორწმუნეობისა!.. დაიხსომე, სამარე არ დაიკარგოს!..

— საფრთხე სამღვდელოების, რისხვა ცრუმორწმუნეობისაო... მაშ, სარწმუნოება არ უნდა იყოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნება იმ დრომდე, ვიდრე ცრუმორწმუნეობა ადამიანს იქცევა, სარწმუნოება დროებითია.

გაოცებით შევაცქერდი, მიზეზს მიმიხვდა.

— თორნიკე ერისთავი და ბაგრატ დიდი არ გახსოვს? — მკითხა.

— როგორ არ მახსოვს! — მივუგე და მისივე პოემიდან მოვიგონე: — როცა ქვეყანამ მოინდომა, თორნიკე ერისთავმა მღვდელმთავრის ბრძანებით ჯვარი გვერდზე გადასდო, ისევ ხმალი აიღო და მტერს შეუტია.

— ხოლო ბაგრატ დიდმა, — განაგრძო აკაკიმ, — სულიც კი გასწირა, არათუ სარწმუნოება, რომ მშობელი ერი განსაცდელისაგან ეხსნა...

ჩემის სამშობლოს გამოხსნისათვის
უკანასკნელად ეს მოვიგონე
და საიქიოც რომ დავივიწყე,
სული ჯოჯოხეთს მით დავამონე!

ეს სიტყვები მძიმედ, მარცვალ-მარცვალ, ისეთის სიმტკიცით წარმოთქვა, რომ მის ბგერებში მე მხოლოდ ეროვნების უპირატესობას ვგრძნობდი, სარწმუნოება სადღაც განქრა...

— მაშ, ხატები? — მაინც წამოვიძახე.

— ხატები?

— ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე, მთელი ქვეყანა!..

სათქმელი აღარაფერი მქონდა. ჩემს წინ აკაკის ათეისტობა მაღალმხატვრული ხერხებით ისახებოდა...

მაინც ენა დავძარ:

— მაგრამ სამშობლოს ხატად გამოცხადება ხომ ყველა ერის ადამიანს სხვა ერთა წინაღმდეგ აღჭურავს?

— რადა? — მომიგო ღიმილით:

იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს,
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.
დეე, სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთიმეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში!..

— მაგრამ სჯულის სხვადასხვაობა, სარწმუნოების ნაირფეროვნება რომ ამის ნებას არ იძლევა და კაცი კაცისთვის ჯერ კიდევ ბევრგან მგელია?!..

— ძველი რომაელების ნათქვამია... მოვა დრო და ადამიანი თავის ღირსებასა და მოწოდებას შეიგნებს, რომ ის თავის მოძმისათვის მგელი კი არა, ჭეშმარიტი თვისტომი, ძმა და მფარველი იყოს... სჯულიო... სჯულიც წარმავალია...

კარგად თუ ავად, შემთხვევამ იცის,
მაგრამ მთლად შესცვლის კაცს სიყვარული,
რა ახალ აღთქმად ის გულში ჩნდება,
მყისვე ირღვევა იქ ძველი სჯული.

დიაღ, აკაკის ეროვნება და სიყვარული სჯულზე, რელიგიაზე უზენაესად მიაჩნდა. ამ სიყვარულის საგანი კი ხორციელი, სქესობრივი, ქალვაჟური აღტყინება კი არ იყო — უმაღლესი ეროვნული, ადამიანური!..

და თუმცა იგი ისეთ გარემოში ცხოვრობდა, სადაც რელიგია სახელმწიფო ცნებად იყო გამოცხადებული, მაინც მტკიცე ათეისტი იყო!..

რა იყო მისი რწმენა?

მისთვის მომცა ღმერთმა ენა, სიმართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო, თუნდაც ქვითაც დავიკირო;
მოძმის ვიყო შემწე ჭირში, ვიხარო და გავახარო,
რაც კი ვნახო მასში ცუდი, გაშოვთქვა და არ დავფარო!..

ნატვრა

საოცარი იყო მისი ბუნება: ეს დიდი გვარის კაცი (თავად როსტომ წერეთლის შვილი), მილიონერის სიძე, მაგრამ უკაპიკოდ, ერის საამაყო მგოსანი, რუსეთსა და ევროპაში განთქმული, რომლის სტუმრობას რომის პაპიც კი დიდის სიხარულით და კრძალვით ელოდა, დიაღ, ეს დიდი კაცი განსაკუთრებით გლეხკაცებთან რჩეობდა საუბარს; ერთხანს შინამსახურად (უფრო თანამეგობრად) რაჭველი გლეხი ვასილ კირვალიძე ჰყავდა, ზაქარია ჭიჭინაძისა ხომ განუშორებელი მეგობარი იყო.

ერთხელ აკაკიმ ზაქარია წაიყვანა და მასთან ერთად სურათი გადაიღო (პირისპირ სხედან), რაზედაც ზაქარია სწუხდა — რა იმის შესაფერისი ვარო... როცა დრო ჰქონდა, თუ შემხვ-

დებოდა ხოლმე, საუბარს გამიბამდა... მთაწმინდაზე სიარული უყვარდა. ერთხელ ერთად ავიარეთ, აკაკიმ ალ. ...
დოვის სამარეს გადახედა, დიმიტრი ყიფიანის ... შესდგა, უფრო დიდხანს ილიას სამარის წინ მგლოვიარე საქართველოს გამომხატავ ძეგლს შეაჩერდა.

— აი, მაღალი ჯილდო ქვეყნის სამსახურისათვის... დიმიტრის შუბლში — ქვა, ილიას — ტყვია!..

დუმილით მივსდევდი. ჩამოვსხედით და თბილისს გადმოვხედეთ. მისი თვალი პირველად ნარიყალას გასწვდა, შემდეგ — მეტეხს, ბოლოს — კავკასიონის მწვერვალებს. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები კავკასიონის მთებს ელამუნებოდა.

— ბატონო აკაკი, რა არის თქვენი უმაღლესი სურვილი? — შევეკითხე ფიქრში წასულს.

— მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა!..

— გადმომიღიმა.

— ეს ხომ ცხადზე ცხადია, ყველამ ვიცით. სხვა?

— მინდა, რომ ბაღში დამმარხონ,
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!..
ზაფხულმა მწვანით შემმოსოს
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!..
მზე საფლავს სხივებს მტყორცნიდეს...

— შესდგა, თითქოს სულს ითქვამსო.

— რა დროს სიკვდილია, ბატონო აკაკი, და რის დამარხვა... მე ანდერძს არ გეკითხებით.

— მაშ რას? — და გადმომხედა.

„მართლა რას ვეკითხები?“ — შევფიქრდი და უნებლიეთ მივუგე:

— ცხოვრებაში რა უფრო ძვირფასია, რომელი ძეგლია უმეტესად საპატიო? ადამიანის ცხოვრების გვირგვინი რა არის?

— სიკვდილზე ფიქრს მაშორებ, ძეგლზე კი მიმითითებ... არავითარი ძეგლი. არავითარი გვირგვინი.

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს,
ყოველგვარ სანახაობას,
რომ აქ უქმე ღღეს ვხედავდე
მოზარდულ ქართველ თაობას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ თამაშობდეს, ცელქობდეს,
ეხორცებოდეს ქართველ ერს,
თავისებურად დამღერდეს
ძველებურ მრავალჟამიერს!..

— წამიკითხავს.

— მაშ რაღას მეკითხები! — მომიგო და მკლავში ხელი გამიყარა. მთაწმინდიდან მძიმე ნაბიჯით დავეშვით.

ნაღველი

მსოფლიო ომის სამსხვერპლოზე ჩვენის ქვეყნისაგან მიტანილი მსხვერპლი ძალზე აღშფოთებდა მგოსანს. ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ეს დიდი ომი ჩვენის ქვეყნისთვის უაშბოდ არ გათავდებოდა, მაგრამ როდის რა გვეღირსებოდა, ეს კი ვერ წარმოედგინა... დიდის რწმენით შეჰყურებდა მოსალოდნელ ცვლილებას, რევოლუციას...

თბილისში იგი ხშირი სტუმარი იყო „ქართული კლუბის“ (იგივე „ახალი კლუბი“).

თეატრის შესასვლელში შემხვდა. თითქო გუნებაზე არ იყო, ნაღვლიანობა ემჩნეოდა. მივესალმე.

— ოჰ, ჩემს რედაქტორს გამარჯვება! — მითხრა და ხელი გამომიწოდა, მაგრად ჩამჭიდა. — გამარჯვება, მაგრამ ლამს ვიჩხუბო!

— რაზე, ბატონო?

— ლექსი მოგიტანეთ, რა ხანია... „ჩემი რწმენა!“... თუ დაგეკარგათ, მართლა ვიჩხუბებთ, ხოლო თუ არ მოგეწონათ, რა გაეწყობა, ეს რედაქტორის უფლებაა... ოღონდ, არ დამიკარგოთ, შავიც არ უნდა მქონდეს...

— „ჩემი რწმენა“?.. — შევეკითხე და შევფიქრდი.

— დაგვიწყებიათ კიდეც... თქვენ ასეთი არ მეგონეთ. ეს როგორ მოგიხდათ, ჩემო რედაქტორო?!

— იქნებ ზოგიერთი ადგილი მომაგონოთ.

მგოსანი მცირე ხანს შეჩერდა, თითქო თავისთვის ფუჩუნებდა, შემდეგ მომიგო:

სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ, ოდესმე მეც მოველოდი!
მადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის აღსრულებასა
და ვით ბულბული, დაბერებული,
მეც დროს ვუგალობ „ქებათ-ქებასა“...

—„ქებათ-ქებასა“? სისხლი რომ იღვრება? — ჩავურთე ჩემს უნებლიეთ. აკაკიმ გადმომხედა.

— მართალი არის, სისხლი იღვრება, მაგრამ მოითხოვს ამას ბუნება! — აქ შეჩერდა, თითქო სტრიქონები დაავიწყდა, ბოლოს განაგრძო:

მყრალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრად
იჭრება ხოლმე ვარდი და ია!
საქმე არ არის ერთში და ორში!..
საქმეა მხოლოდ თვით იდეია!..
ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ღელვას!
ერთხელ ის მღვრიაც გაიწმინდება,
როცა ცხოვრება გამარჯვებული
კალაპოტშივე წმინდად ჩადგება...
ვერ შეაჩერებს ძალად ზამთარი,
როცა გაზაფხულს ეღება კარი!..

— ეს ლექსი უფრო გრძელია, ძალიან დამავალებ, თუ მოიძებნი....

— უეჭველად, ბატონო აკაკი! (მართლაც ვიპოვე და მგოსნის გარდაცვალების შემდეგ დავბეჭდე. იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ., № 5, გვ. 8—10).

ხელგაყრილი ავიყვანე კლუბის კიბეზე. კლუბის დარბაზს შესასვლელში გამოვემშვიდობე და მაინც შორით გავაყოლე თვალი... მგოსანმა მძიმე ნაბიჯით გაიარა გრძელ ტალანში, მერე მოტრიალდა და ჩქარა წავიდა. სახეზე ჩვეულებრივი ღიმი აღარ უკრთოდა, სამშობლოს ბედი მწუხარების ღრუბლად გადაეკრა სახეზე, თითქო იალბუზის მთას ჯანღი მიჰსევიაო. გავხედე და მომაგონდა მისივე ლექსი:

აჩრდილიღა ვარ წარსულის
და ლანდი ბომავალისა!

ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა აკაკისთან (მგონი დეკემბერში), მალეც მოვშორდი.

მეუცნაურა: აკაკის მე მუდამ მღიმარეს შევჩვეივარ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის გარდაცვალება ელდასავით მოეფინა საქართველოს (გარდაიცვალა 1915 წლის იანვრის 25—26, ღამის 1 საათზე).

მთელმა საქართველომ ძაძა ჩაიცვა.

აკაკის გამოსვენებისათვის (საჩხერიდან) განვიზრახე იმ დროის ახალგაზრდა ცნობილ მგოსანთა თაიგული შემერჩია და წამეყვანა. ესენი იყვნენ (ანბანით): ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, გ. ქუჩიშვილი და ალ. შანშიაშვილი.

მაგრამ, მგონი, თბილისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულომაც სწორედ ესენი დაასახელა.

თბილისიდან მაინც ერთ ვაგონში მოვხვდით. მე მიმქონდა ცოცხალი ვარდ-ყვავილების თაიგული, რომელსაც ჩარჭობილი ჰქონდა ცოცხალივე ფოთოლ-რტოს წვერმოტეხილი კალამი.

— აბა, ვინ რას ფიქრობს, რას იტყვით, რას დასწერთ? — შეეკითხე, შემდეგ ალ. აბაშელს გადავხედე (გვერდზე მეჯდა), ანბანთა რიგზე პირველი ხარ, დაიწყე...

— ძალიან მაღალია, დიდი... შევწვდები? — მომიგო ფიქრში შესულმა.

— როგორ დიდი?

— მე რომ მხატვარი ვიყო და ღვთის დახატვა მომანდონ, დედნად, ორიგინალად, აკაკის სახეს ავიღებდი... როგორ შევწვდე!..

— სცადე!

ალ. აბაშელი ჩაფიქრდა. უბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ ცარიელი ამოსწია, ვიფიქრე, ფანქარს თუ ეძებს-მეთქი, ფანქარი და (მგონი) უბის წიგნაკიც მივაწოდე. ვაგონი მიგვაქროლებდა. აბაშელმა ვაგონის რხევაში ფანქრით ჩასწერა შემდეგი სამტაეპიანი ლექსი:

ჩვენ ბევრი ვართ, შენს კალთაში, შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალფერნი, ჩვენს მამულში ტურფად შლილნი.
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-მზიურს მოკრძალებით გარს ვეხვევით
და შენს ლოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რხევით.

ჩვენ სიმები შენი ჩანგის დავირიგეთ თითო-თითოდ,
გვსურს, მოძღვარო, შენი ღმერთი ჩვენცა ვაქოთ, ჩვენც ვადიდოთ,

ჩვენ ავკინძავთ ჩვენს სიმღერებს, ყვავილებით დავამშვენებ
და გვირგვინად შეკრულ ჰანგებს შენს საფლავზე დავასვენ

და თუ ჩვენი სიმთა ტალღა ათამაშდა, ვით ჩანჩქერი,
თუ შევქმენით ლოცვა წმინდა, ლოცვა შენი შესაფერი,
შენ მიიღე ის ღაღადი, ანთებული ვით პატრუქი, —
შენი შენვე დაგიბრუნდეს: მზეს უჩრდილოს — მთვარის შუქი!

საჩხერის სადგურიდან ფეხით გავუდექით მგოსნის ბინისაკენ, სოფელ სხვიტორს. გზის ორივე მხარეს ხალხი ჯგუფდებოდა. აკაკის ეზო შორით შევნიშნეთ, ხალხით გაჭედილიყო. ცხედარი გამოესვენებინათ. გარს შემოხვეოდნენ საქართველოს ყოველი კუთხის შვილნი. გავწიე კუბოსაკენ, გულს თაიგული დავადე... ის იყო კუბოც დასძრეს.

ერთ მაღალ, ჩოხიან კაცს ხელში ვეება ყვავილბარდა ჯვარი ეჭირა და აქეთ-იქით ტრიალებდა: „ბოშო, ამას ვინ გოუ-მძღვარებს!“ შევხედე — მშვენიერება რამ იყო, თითქო ხელოვან ბუნების-მეტყველ ოსტატს ამ ყვავილბარდში აკაკის შემოქმედების ნაირფერობა, სინაზე და სილამაზე გამოეხატნა.

არც კი შევფიქრებულვარ, ხელი გავუწოდე, ჩამორთმეული ყვავილბარდა ჯვარი შევამაღლე და კუბოს გამოვუძეხ.

ჩამოვიარეთ ორღობეები. რამდენიმე ადგილას შქერის თაღები აღემართათ. გზაზე ცხედარს იასა და ვარდ-ყვავილებს უფენდნენ... გზის ორივე მხარეს აუარებელი ხალხის შეუწყვეტელი ქვითინი ზარივით მოისმოდა. არ მახსოვს, ვინმეს ვინმე ასე გულმდუღარედ დაეტიროს. პროცესიას ფირზე იღებდნენ.

საჩხერის სადგურს რომ მივუახლოვდით და ფერდობზე დავეშვით, მიმოვიხედე, გზის აქეთ-იქით, ბაღჩა-ბაღები დიდითა და პატარით, ქალითა და კაცით იყო მოფენილი, ყველა მუხლს უყრიდა მიცვალებულს. ასეთი რამ ჩემს დღეში არ მენახა. ერთი ღობის ახლო მდგომ დედაკაცისაგან მომესმა ქვითინი:

— ვაი, რა უბედური ვართ! იმერეთს ერთადერთი დიდი კაცი გვყავდი, და შენი თავიც საქართველომ წაგვართვა, რაღა გვეშველება ჩვენ ბედშავებს!..

და აქვითინდნენ!...

ეს სიტყვები გულში ლახვრად მომხვდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვალებული სადგურთან მივასვენეთ. აქ ფანჩატურებ-
იყო გამართული.

დაიწყო სიტყვები, ერთიმეორეზე უკეთესი, ცეცხლის მომ-
დები, იდეური, ეროვნული და პარტიულ-რევოლუციური. ვი-
საც რა გულისტკივილი ჰქონდა, აქ გადმოშალა აკაკის სახელ-
თან დაკავშირებით! იწყებოდა აკაკით, თავდებოდა აკაკით.

იმავე ჩოხოსანს ვთხოვე ორიოდე სიტყვის ნება მოეცა.

— კი, ბატონო, — მომიგო იმერული თავაზიანობით, —
აგერ გაათავებს და... მართლაც, წინა ორატორმა სიტყვა გა-
ათავა თუ არა, ჩოხოსანმა მომმართა:

— ინებეთ, ბატონო!

შევდეგ მაგიდაზე. ირგვლივ ზღვა თვალი მომაშტერდა.
ხალხი ყურგამახვილებით მისმენს, მე კი ჩემი გულისნადები
მინდა მიზანში ვტყორცნო და ეს წუთიც დადგა:

— საყვარელო აკაკი, შენ გვიმოძღვრებდი, რომ „ჩონგუ-
რი საქართველოა“... — ვთქვი და შევდექი. მცირე პაუზის შემ-
დეგ ისევ: — „ჩონგური საქართველოა“... — კვლავ გავჩერდი.
ალბათ იფიქრეს, ლექსი დაავიწყდაო და ირგვლივ ზღვა ხალხ-
მა მომძახა: „სიმები ჩვენ ვართ ყველაო!!!

ჟრუანტელმა დამიარა... დიახ-მეთქი: „ჩონგური საქართვე-
ლოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“, მივუგე და ჩემი სიტყვა იმ
დედაბერისა და ყველა იმათ წინააღმდეგ მივმართე, ვინც ჯერ
კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო და მთლიან საქართველოს
ვერა სცნობდა. განვუმარტე, რომ აკაკი მთლიანი საქართვე-
ლოსთვის იბრძოდა, მთლიანი საქართველოს გული თბილი-
სია, ხოლო ამ მთლიანობის მოციქული აკაკი ამ გულში უნდა
დაიკრძალოს.

მატარებელი დაიძრა. მთელი ხალხი ლიანდაგის აქეთ-იქით
მუხლზე დაემხო ქუდმოხდილი. მოისმა გულსაკლავი ქვითინი.
ასეთი რამ არათუ არ მინახავს, არც ზღაპრად მსმენია, არც
ერთი გვირგვინოსანი მეფის ასეთი დაკრძალვა არ გამიგონია.

ყველა გრძნობდა, რომ ამ წუთიდან უკანასკნელად ემშვი-
დობებოდა ცხედარს, რომლის სიცოცხლემ წამებული ერის
განცდები ზიდა, ზარდა, გამოამყღავნა და საშვილიშვილო ან-

დერძად ერის აღდგენა დაგვიტოვა. არა მხოლოდ ის, — რომ იგი იყო დიდი მოქალაქე და ყველა გაჭირვებულის გულმტკივარი... იმერეთიდან ამერეთს მოესვენებოდა ერის მთლიანობის მოციქული!

რომელიღაც სადგურზე შორი სოფლებიდან ჩამოსულთ მუხლმოყრით თაყვანი სცეს თავის მეუფესა და სულის მესაიდუმლეს.

სიტყვებსა და ლიტანიას დასასრული არ უჩანს!

შიმშილი ვიგრძენით. შევუხვიეთ იქვე სასადილოდ, რესტორანი თუ დუქანი იყო. ჩვენმა შესვლამ იქ მყოფთა ყურადღება მიიპყრო, ზოგნი ფეხზე წამოგვიდგნენ. მოვეწყეთ ცალკე მაგიდაზე. სასადილო გაჭედილია ხალხით, მაგრამ ჩვეულებრივ ღრიანცელს ვერ შენიშნავ. თითქო კედლებიც გრძნობენ, ამ წუთს მათს მახლობლად, ვაგონში რა ძვირფასი ცხედარი ასვენია.

მსოფლიო ომის გახურებულ ცეცხლში, როდესაც სისხლის ზღვები იდგა და ამ ზღვაში ჩვენი ქვეყნის ასიათასობით ახალგაზრდა იხრჩობოდა, აკაკიმ სული განუტევა! ვერ ელირსა ნანატრის შესრულებას, მაგრამ აკაკის იდეამ გაიმარჯვა: მისი ცხედარის ირგვლივ მთელი საქართველო შემოიკრიბა... უცხოტომთაც კი მიუსამძიმრეს ქართველ ერს... თბილისს არ ენახა ისეთი დიდებული სანახაობა, ხალხის ერთის გრძნობით აღტყინება მიმართულების, ეროვნულობისა და სარწმუნოების გაბურჩევლად... აქ იყო მთელი ერი... კუბოს ერთი გვირგვინი მიუძღოდა — „აკაკის საქართველოსაგან". მაგრამ ერთ გვირგვინში საქართველოს გრძნობა იყო ჩაქსოვილი.

სხვათა შორის, ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორის ნინო ნაკაშიძის თაოსნობით, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ბავშვები აკაკის ცხედარს გზას ვარდყვავილებით უფენდნენ. ეს იყო მომავალი საქართველოს სიმბოლო, თბილისის მთავარ მოედანზე ნიკო ნიკოლაძემ თავის სიტყვაში თქვა:

— შეხე, აკაკი, რა დიდი ლაშქარი გყოლია, მხოლოდ შტაბია საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის გარდაცვალების გამო 1915 წლის თებერვლის პირველს ჩემი ჟურნალის („თეატრი და ცხოვრება“, № 5) მეთაურში ვწერდი:

„შოთას სწორუპოვარი მემკვიდრის ბაგენი დადუმდნენ. ვეღარ ვსჭვრეტთ შუქურა აკაკის, ჩვენი ერის სულისკვეთებათა მესაიდუმლესა და სიამაყეს... ვეღარ ვსჭვრეტთ, მაგრამ იგი ჩვენშია, იგი ჩვენა ვართ - - სრულიად გათვითცნობიერებული საქართველო...

— ...მრავალტანჯულმა ქართველმა ერმა წარმოშვა იგი და მანაც, ვითარცა ღირსეულმა შვილმა, მიწიერთა შორის რჩეულმა, ღვთიურის სიძლიერით გამოჰხატა მშობელი ერის ტანჯვა-ვაება, იმედი-სასოება და ღრმად გულში ჩაგვინერგა, შეუდრეკელ რწმენად შთაგვაგონა, რომ ჩვენი სამშობლო

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..

იგი მარადის ერთობის მქადაგებელი იყო და აკაკი ამიტომაც შეიქმნა საქართველოს გული...

სამოც წელზე მეტს ემსახურებოდა ღვთის ბოძებულ ჩანგით მშობელ ერს და მარადის გმირებს ეძიებდა მისი „დაფი და ნაღარა“!

...იგი, უპირველეს ყოვლისა, არათუ ლექსთა მთხზველი, არამედ უდიდესი მოქალაქე-მასწავლებელი იყო და საკუთარ გრძნობის გამოხატვაშიაც კი მთელი ერის, ხალხის გრძნობა-მისწრაფებათ ჰხატავდა!..“

ხოლო იმავე წლის „თეატრი და ცხოვრების“ № 6-ის მეთაურში „მშვიდობით, სულის მეფევ!“, სხვათა შორის, ვწერდი:

„...ის, რაც ათეულმა საუკუნეებმა ვერ შესძლო: ამერ-იმერეთის შეკავშირება, სამ სამეფოსა და მშვიდ სამთავროს ერთ მთელად გადაქცევა, სრულიად საქართველოს გაერთიანება,— შენ შესძელ, შენ, ხალხის ფიქრთა მესაიდუმლევ, მშობელი ერის სულის მეუფევ და რაღა დაგანაღვლებს ასე ვალმოხდილს!

შემოიკრიბენ შენს გარშემო არა მზაკვრულად, იძულებით, სათვალსეიროდ, არამედ შენდამი ღრმა სიყვარულით და პა-

ტივისცემით აღვსებულნი... „საქართველო აღსდგა მკვდრეთით!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ამაზე მეტს სხვას ხომ აღარაფერს ეძიებდი?

მშვიდობით, ჩვენო სულის მეუფევ, სილამაზისა და მაღალ მისწრაფებათა მომღერალო, სიყვარულისა და ძმობა-მეგობრობის მქადაგებელო, კაცთა გრძნობა-გონების ღვთაებამდე ამაღლებელო!..“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის უკანასკნელი დღეები

ბევრი, ძალიან ბევრი, გონებიდან განუშორებელი მოგონებანი მაერთებენ აკაკის ძვირფას სახელთან. ბავშვობიდანვე ღრმად აღბეჭდილია გულში ამ დიდებული ადამიანის ღვთაებრივი სახე...

თუ მის სახლში ყოფნა, თუ მოგზაურობა მასთან ერთად, თუ ის დაუვიწყარი ხანა, როცა იგი ჩემთან და ერთს ჩვენს ნათესავ მოსწავლე ახალგაზრდასთან მეცადინეობდა და გვიხსნიდა „ვეფხისტყაოსანს"...

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ამ პატარა წერილში მინდა მკითხველებს გავუზიარო მხოლოდ ის, რაც იმის უკანასკნელ დღეებს შეეხება.

დავიწყებ აქედან. ახალწელიწადს აკაკისთან წავედით. თუმცა მგლოვიარედ ვიყავით ერთს იმის ნათესავს ყმაწვილზე, რომელიც იმ დღეებში უნდა მოესვენებინათ ბრძოლის ველიდან და რომლის გმირულად დაღუპვა, ისე მიიცვალა აკაკი, რომ ვერ გავუმხილეთ, მაგრამ ჩვენ ყველანი მხიარულად შევედით მასთან და მივულოცეთ ახალი წელი.

მანაც ჩვეულებისამებრ ყველა გადაგვკოცნა, ტირილი დაიწყო და გვითხრა: **ვკვდებიო.**

გულშემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებდა ის, რომ მარცხენა მხარე მას დადუმებული ჰქონდა, მისი ბასრი ენა თავისუფლად ველარ მეტყველებდა. მუდამ ჩვეულებრივი შარავანდედით მოსილი, იგი ამ მდგომარეობაშიც მშვენიერი იყო. პირველი სიტყვები, რომლითაც მან იმ დღეს მომმართა, შემდეგი იყო: **იცოდეთ — აქ დამმარხეთო.**

რამდენიმე ხნის განმავლობაში მოუშორებლივ მასთან დავრჩი.

მრავალი მნახველი მოდიოდა, მაგრამ ყველას შესვლა მასთან შეუძლებელი იყო, ვინაიდან იგი მეტად ღელავდა და იმეორებდა: **მეთხოვებიანო.** ხშირად მაკითხებდა თავის თხზულე-

ბებს, განსაკუთრებით კი უკანასკნელს პოემას „ომს“, რომლის ბედიც მას, ჩანდა, მეტად აშფოთებდა, თითქოს ეშინოდა, რომ იგი ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა...

კარგად ვგრძნობდით, რა საშიშ მდგომარეობაშიაც იყო ჩვენი სიამაყე. სიყვარულით, პატივისცემით ვეხვიეთ გარს, რათა არ დაგვენებებია იგი წყეული სიკვდილისათვის. ყოველდღე დადიოდა მასთან საჩხერის საავადმყოფოს გამგე, ექიმი ჭოლოშვილი, რომელიც 12 იანვრიდან, სამსახურის გამო, იძულებული გახდა, ძვირფას სარეცელს მოშორებოდა.

მგოსნის ახლო ნათესავნი: და კნ. ანა, რძლები მარიამი და ნინო წერეთლისანი, მოგვარეები და მეზობლები მზრუნველობით დასტრიალებდნენ თავს. დღითიდღე აკაკის უკეთობა დაეტყო, იგი უფრო გარკვევით ლაპარაკობდა, ხშირად თავისებურად ოხუნჯობდა და ჩვენც იმედი მოგვეცა. ველოდით იმის ვაჟს და დისწულს—კნეინა ანა დადეშქელიანისას.

ქართველ მოღვაწეთა შორის პირველმა ინახულა იგი იაკობ ფანცხავამ, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა და რომლის მოსვლამაც იგი დიდად ასიამოვნა, ასე რომ, ჩვენ ხშირად ვეხუმრებოდით კიდეც, რომ „იაკობი საუკეთესო მკურნალი აღმოჩნდა“...

შემდეგ ინახულეს იგი მისმა საყვარელმა გრიგოლ დიასამიძემ, მგოსანმა რუხაძემ და სხვ.

მახსოვს ერთი საღამო.

მგოსნის სარეცელთან ვისხედით: გ. დიასამიძე, ვ. რუხაძე, აკაკის ვაჟი ალექსი და მე.

აკაკიმ მთხოვა **„ომი“ წაიკითხეთო.** მეც დავიწყე კითხვა.

იგი გულადმა იწვა, მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოიდო და გატაცებით მისმენდა. გავათავე... სიჩუმე ჩამოვარდა... მან ყველას სათითაოდ მიაპყრო თავისი დიდრონი თვალები, თითქოს უნდოდა თვითეულის სახეზე ამოეკითხა რამე და ბოლოს წამოილაპარაკა: **ძალიან ვეფერები, მაგრამ ვაითუ ამ მოფერებიდანაც არა გამოვიდეს რაო.** დაუვიწყარია ჩემთვის კიდევ ერთი საღამო. მგოსნის პატარა ოთახში მხოლოდ მე და კნეინა მარიამი ვართ. მე თავით ვუზივარ, კნეინა კი ცოტა მოშორებითზის. აკაკი მიმითითებს სახატეზე და მეუბნება: **აქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და წამიკითხე რამეო.** მეც ბევრი რამ წავუ-

კითხე იმ ღამეს და, სხვათა შორის, „გამზრდელის“ კითხვა დავიწყე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც დასასრულს მივუახლოვდი და ეს ტაეპი წავიკითხე: „მაგრამ უსუფ ეუბნება: შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“ — საყვარელმა მოძღვარმა ქვითინი დაიწყო.

ვინ გამოიცნობს ამ ძვირფასი ცრემლების საიდუმლო მიზეზებს?

ეგებ „დიდმა გამზრდელმა“ უსუფის როლში იგრძნო თავი და უკანასკნელი, მწარე ცრემლები დააფრქვია საფარბეგისთანა მოძმეთა მოღალატეს და უღირსს გაზრდისათვის...

ეს კია, როცა შევჩერდი და შეშინებულმა მოვახსენე, რომ კითხვას სრულებით თავს დავანებებ-მეთქი, მან აღელვებით მიბრძანა: **არა, არა, მე არ ვტირი, მაგრამ... მაგრამ ეს მართლა კარგად დამიწერიაო.**

ინახულა იგი ია ეკალაძემაც.

საგრძნობელი სურათი იყო, როდესაც თვალცრემლიანმა იამ ხელზე ამბორით მოახსენა: „იმერეთის რედაქცია სალამს გიძღვნის, დიდო მგოსანო“.

აკაკი მაშინ ბევრად უკეთ იყო და ჩვენც სრული იმედი გვქონდა, იგი განიკურნებოდა. მაგრამ, საუბედუროდ, მოლოდინი არ გაგვიმართლდა და 25-ს იანვარს დილით იგი ძლიერ ცუდად შეიქნა.

სრულიად წართმეული ენა, საშინელი, სამუდამოდ მახსოვრობიდან ამოუშლელი შემოხედვა, მოწყვეტილი სხეული — ყოველივე ეს ნათლად მოწმობდა იმ დიდ უბედურებას, რომელიც მალე თავს უნდა დაგვტეხოდა.

იგი მეტად შფოთავდა.

ულმობელი სიკვდილი უკვე ემზადებოდა თავისი სასტიკი განაჩენის სისრულეში მოყვანას და ეს იყო მიზეზი, რომ ვეღარც მგოსნის საყვარელი ვაჟი, ვეღარც მისი თაყვანისმცემელი დისწული ანა დადეშქელიანისა ხანგრძლივ ვეღარ სძლებდნენ ძვირფას სარეცელთან.

თავს ვადექით: ვერა წერეთლისა, სპირიდონ ზაბახიძე, ფერშალი და მე. მოვიდა ჭიათურიდან ექიმი სიმონ ჯაფარიძე. იგი ჩვეულებრივი გამამხნევებელი ღიმილით შემოვიდა სათაყ-

ვანებელ ავადმყოფთთან, გასინჯა და მოახსენა: ნუ გეშინიათ, ბატონო, არაფერიაო.

ამაზე აკაკიმ ძლივს გასაგებად ამოილუღლუღა: **მე სიკვდილის სრულიადაც არ მეშინიაო.**

ყოველი ზომა მიღებული იყო. ექიმიც მას უკანასკნელ წუთამდე არ მოშორებია.

ძლივს გავარკვიე, როდესაც აკაკიმ შვილი მოითხოვა, ალერსით მოუსვა ხელი ლოყაზე და დიდი გაჭირვებით წარმოთქვა: Маму успакой!

ამის შემდეგ კიდევ თქვა რაღაც და, როდესაც ალექსიმ და მე ჩავკითხეთ: ლამპის შუქი ხომ არ გიშლით მოსვენებას-თქო, მან ნაღვლიანად გვიპასუხა: **არა, მე უკვე აღარაფერი აღარ მიშლისო.**

ცოტა ხანს იქით კიდევ წამოილაპარაკა რაღაც, რამოდენიმეჯერ გაგვიმეორა კიდეც. შემდეგ კი სხვაგვარად შემოგვხედა, თითქოს გვისაყვედურა, რომ იმის ნათქვამს ვეღარ ვხვდებოდით და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

არ გვემეტებოდა და ვერ ვურიგდებოდით იმ აზრს, რომ თურმე ეს იმის უკანასკნელი სიტყვები იყო.

კიდევ რამდენიმე საათი და... აკაკი მშვიდად მიიცვალა.

არ აუსრულდა უკანასკნელი ნატვრა: ჩვენი მოჭირნახულე ვერ მოესწრო თვალით ეხილა ამჟამად გამოუცნობი მომავალი ტანჯული სამშობლოსი, რომელმაც ესოდენ გულუხვად უმსხვერპლა დღევანდელს საშინელს ომს ჭაღარა მგოსნის „დაფითა და ნაღარით“ წაქეზებული სიცოცხლით აღსავსე შვილნი, ღირსეულნი წინამორბედნი იმ გმირთა გმირებისა, ვისაც შეუწყვეტლივ უხმობდა აკაკის ღვთაებრივი მუზა ცხრაკლიტულში ჩამწყვდეულ სატრფო ნესტანის გამოსახსნელად...

დიდო მასწავლებელო! სანამ შენი დიდებული ცხედარი აქ, შენს საყვარელს სამშობლო სოფელში განისვენებდა, სავსებით ვერ ვგრძნობდი ამ საშინელს დანაკლისს და აი რად: თვითეულს ჩვენგანს, თითქო, რაღაც დიდი საქმე გასჩენოდა, რომლის ღირსეულად შესრულება სწადდა.

ვერ ვიგრძენი ეს იმ დროსაც, როდესაც მატარებელი უკანასკნელად შეტორტმანდა და შეუბრალებლად სამუდამოდ მოგვლიჯა შენს მიწა-წყალს და პირქვე დამხობილთ მოზღვავებულ შენს თაყვანისმცემელთ.

ვერ ვგრძნობდი ამას ვერც მაშინ, როცა საჩხერიდან თბილისამდე აურაცხელი ხალხი ეგებებოდა შენს დიდებულ ნეშტს, მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა და მუხლმოყრით გესალმებოდა და ვერც მაშინ, როცა სასოებით მოვსდიე შენს უკანასკნელ სავანემდე — ყოველივე ეს ხომ მომხიბლავი ზღაპრული სანახაობა იყო, სადაც თავგამოდებით მეტოქეობდნენ გლოვა და სიხარული, ღრმა კაეშანი და ბრწყინვალე იმედი, სიკვდილი და სიცოცხლე...

ხოლო ახლა, როდესაც დღითიდღე ვრწმუნდები, რომ ველარ ვიხილავ შენს შუქმფენ სახეს, რომ ამიერიდან ამაოდ მოგელის გული და ალარავინ არის, ვისაც თაყვანისცემითა და სასოებით შემიძლია მივაშურო, სავსებით განვიცდი რაღაც ერთგვარ ობლობას.

ამიტომაც არის, რომ ხშირად ოცნებით ვდგევარ დიდებულს მთაწმინდაზე, რომელმაც გადაგვიბირა შენი თავი, მოწიწებით მუხლს ვიყრი შენი ძვირფასი სამარის წინაშე და დაუსრულებელს მადლობას გიძღვნი იმისათვის, რაც მომანიჭე შენი სიცოცხლითა და სიკვდილითაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ჩემს მეხსიერებაში

1906 წელს გამძვინვარდა რეაქცია. დამსჯელი რაზმები დათარეშობდნენ საქართველოს ყოველ კუთხეში. ქართლის სოფლებსაც არ აკლდათ მათ მიერ დანთებული ცეცხლი. ჩვენს სოფელში დიდი ლიახვის ხეობიდან ისმოდა ზარბაზნის გრიალი. სოფელ აჩაბეთში ანგრევდნენ რევოლუციონერების სახლებს.

დეკემბრის ქარიშხლიან ღამეში ტყვიავში გორის კომიტეტმა კაცი გამოგზავნა: „ხვალ დამსჯელი რაზმი ამოვა ტყვიავში, შეიძლება თქვენი სახლიც დაანგრიოსო“.

დილით ორი უფროსი შვილი, მე და ლევანი, მშობლებმა მამიდას გამოგვატანეს თბილისში, დედის ნათესავთან ვასილ მეღვინეთუხუცესის ქვრივთან (ვექილ გიორგი და კომპოზიტორ კოტე მეღვინეთუხუცესის დედა).

ზამთარი მათთან გავატარეთ, გიორგი და კოტე წერა-კითხვას გვასწავლიდნენ, დედ-მამა დაარწმუნეს დავეტოვებინეთ ქალაქში და სწავლაც გაგვეგრძელებინა.

ზაფხულში ძმები გიორგი და კოტე, დედასთან ერთად, სოფლად წავიდნენ, ჩვენ კი ბუგაევსკის პანსიონში მიგვაბარეს, შემოდგომამდე იქ უნდა ვყოფილიყავით და შემოდგომაზე კი პირველ კლასში მისაღები გამოცდა ჩაგვებარებინა ქართულ გიმნაზიაში.

ერთ მშვენიერ დღეს, ეს იყო 1907 წლის ზაფხულზე, პანსიონში ჩოჩქოლი ატყდა: აკაკი უნდა მოვიდესო. არაფერი გამეგებოდა აკაკი ვინ იყო, ერთი უფროსი მოწაფე მეუბნება: „ეი, ტეტი, ჭრელი პეპელა რო დაწერა, ის უნდა მოვიდეს“...

საღამოს 9 საათი იქნებოდა კიბის თავზე რომ დაგვაყენეს, დაგვარიგეს: აკაკი რომ მოვა, მიესალმეთო. სტუმრები მიდიმოდიოდნენ. უცბად უფროსი მოწაფენი თავპირის მტვრევით ჩაცვივდნენ კიბეზე და თავაწეული მოხუცი, უზარმაზარი, დიდი, ლამაზი, პირმცინარი და კეთილი, ზევით მკლავგაყრილი

ამოიყვანეს. ღიმილით გადმოგვხედა, მზის სხივებივით დაგვეყარა თავზე გადმოხედვაც და ღიმილიც, თავის დაკვრაც კი ვერ მოვახერხეთ ხეირიანად.

პალტო გახადეს, დარბაზში შეიყვანეს. ჩვენ ისევ კიბის თავზე ვიდექით, რომ უცბად თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა მოწაფე ვიქტორ ფალავანდიშვილი (1940 წლამდე მეზღვაური-კაპიტანი შორეულ აღმოსავლეთში), ეცა აკაკის პალტოს, ამოიღო ხელსახოცი და ისევ დარბაზში შევარდა (აკაკის მოეკითხა იგი). ხელსახოცს ორი მწვანე ალუჩა ამოჰყვა და იატაკზე გაგორდა. ფოცხვერივით დავახტი, წამოვდექი... გავშალე ხელი და ვუცქერი ორ ნამდვილ, მწვანე ალუჩას... მომაგონდა სოფელი, სახლი, კარი, ბაღი, ვენახი, ჩვენი წყალი ნიკრეულა. გული ამიჩუყდა — აკაკი ამ მშობლიური არემარის წარმოგზავნილი მეგონა და შემიყვარდა.

1908 წელს თბილისის ქართულ გიმნაზიაში გადავუხადეთ იუბილე, თვითონ აკაკი არ დასწრებია. დიდი სურათი იყო გამოფენილი. დარბაზის კარზე რომაული ორმოცდაათი იყო ყვავილებით გაკეთებული.

1910 წელს კი ქართულ გიმნაზიაში გამართულ ლიტერატურულ-მხატვრულ დილას აკაკიც დაესწრო. ეს დილა მის იუბილედ გადაიქცა. ზაქარია ფალიაშვილის გუნდმა (სიმღერა-გალობას გვასწავლიდა) მრავალჟამიერი უმღერა (პ. მირიანაშვილის სპეციალურად დაწერილი სიტყვებით), ანდრია ყარაშვილის მომზადებულმა ორკესტრმა, გუნდთან ერთად, „სამშობლო“ შეასრულა (ამ ორკესტრში უკრავდნენ გ. ჩხიკვაძე, შემდეგში მუსიკის პროფესორი, შალვა ასლანიშვილი, მუსიკის პროფესორი, გაბრიელ რატიშვილი — მედიცინის დოქტორი და სხვ.), გ. მერკვილაძემ ლექსები წაიკითხა, ლიტერატურულ დილას ლ. ბოცვაძე ხელმძღვანელობდა.

„სამშობლო“ რომ დაასრულეს, აკაკი ფეხზე წამოდგა და ტაში ისე დაუკრა, გაამეორებინა, ფეხზე ამდგარმა მოისმინა. ამბობენ, ტიროდაო. მას შემდეგ ტრადიციად დარჩა, „სამშობლოს“ ორჯერ ასრულებდნენ.

ამჟამადაც „სამშობლოს“ რომ ასრულებენ, აკაკი მაგონდება. შუბლმაღალი, კეთილი, სამშობლოს დარდით შუბლდაღარული.

1915 წელს, იანვრის ბოლოს ელვასავით გაირბინა ხმამ

„აკაკი გარდაიცვალაო“, რამაც მთელი ქართველი ხალხი დაამგლოვიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავლონდით... მოწაფეთა ჟურნალის „მზის“ რედაქტორი ვიყავი (V კლასი), გადავწყვიტეთ მთელი ნომერი გვეძღვნა აკაკის ხსოვნისათვის. ეს ნომერი დღემდე შემრჩა.

გრ. მეგრელიშვილმა ლექსი დაწერა, მიხ. ხერხეულიძემ (VII კლასელი) კიაზოშვილის ფსევდონიმით გადმომცა ნაძალადევის სახალხო თეატრში 30 იანვარს წარმოთქმული სიტყვა (ეს ხერხეულიძე შემდეგ ვექილი, ბოლოს ფიზკულტურის მოძრაობის მოღვაწე, ქართული ჭიდაობის დიდი ქომაგი), გ. მერკვილაძემ — მოგონებანი (ის ხშირად ხვდებოდა პოეტს. ბიძის სოსიკო მერკვილაძის ბინაზე), კოტე ქსნისპირელმა (კ. რატიშვილი) ლექსი „შორს ცრემლები“. ლექსი ასე მთავრდებოდა:

მაგრამ მე კი თუმც არ ვლხინობ,
თვალზე ცრემლი არ მომწყდარა,
არც ვიტირებ, შორს, ცრემლებო!
იგი ჩვენთვის არ მომკვდარა.

სხვებიც გამოეხმაურნენ. ჟურნალის მესამე გვერდზე მოვათავსეთ აკაკის დიდი პორტრეტი. ყოველი ფურცელი შავს არშიაში ჩავსვით.

დასაფლავების დღეს ჩვენი სკოლის მასწავლებლების, ლუარსაბ ბოცვაძისა და პეტრე მირიანაშვილის მეთაურობით 200 უფროსი მოწაფე წავედით სადგურზე, მკლავზე სამგლოვიარო ნიშანი გვეკეთა, გულზე შავ-თეთრი ბაფთა. დავალებული გვქონდა წესრიგი დაგვეცვა. სადგურზე ხალხი ზიმზიმებდა, ბაქანის წინ ჩავდექით მკლავი-მკლავ გადაჭდობილნი. სიჩუმე იყო, ყველა მწუხარედ იდგა. აი, ჩამოდგა მატარებელი. საზოგადო მოღვაწეებმა: ნ. ნიკოლაძემ, გ. დიასამიძემ, ს. ფირცხალავამ, ი. აგლაძემ და სხვებმა გადმოასვენეს ცხედარი. ჩვენ, მოწაფეებმა, ცხედრის ირგვლივ წრე შევკარით და ცხედარი შიგ წრეში მოვიქციეთ; მატარებელს ჩამოჰყვნენ დელეგაციები: აჭარის, გურიის, აფხაზეთის, სამეგრელოს, ქუთაისის მაზრის, შორაპნის მაზრის, რაჭა-ლეჩხუმის, გორის მაზრის, დუშეთის მაზრის, კახეთის, ქიზიყისა და სხვები.

მესიამოვნა, როდესაც გორის მაზრის დელეგატებში მამაჩემი დავინახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსათხოვარი მიტინგი ერევნის (ამჟამად ლენინის) მოედანზე მოეწყო. ამ მიტინგიდან ორი სიტყვა დამამახსოვრდა. აზერბაიჯანის წარმომადგენლის თოფჩიბაშევისა, რომელმაც თქვა:

„აკაკის თავის დროშაზე, ისე როგორც მთელ ქართველ ხალხს, ეწერა: იცოცხლე, მაგრამ მიეც საშუალება სხვასაც, იცოცხლოსო!“.

ბევრი რამ აზრი ჩავაქსოვეთ მსმენელებმა მის სიტყვაში.

ნიკო ნიკოლაძემ კი თქვა:

„ძვირფასო აკაკი! შენი სიკვდილითაც კი მოუტანე სარგებლობა შენს საყვარელ ერს. შენ გააერთიანე შენი ცხედრის ირგვლივ მთელი ქართველი ხალხი. დღეს იგი აქ დგას, როგორც ერთი მთლიანი ერი, მაგრამ მას სჭირია მეთაური, რომელიც წაიყვანს მას გამარჯვებისაკენ. ესაა შენი ანდერძი, რომელიც გვევალება მალე განვახორციელოთ“. ბევრი რამ აზრი ჩავაქსოვეთ ნიკო ნიკოლაძის ნათქვამსაც.

და ამგვარად, აკაკის შეხვედრების ეპიზოდებთან ყოველთვის დაკავშირებულია ჩემი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ახალი საფუძველი.

საჩინო კირვალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(87 წლის, სოფ. სხვიტორის მცხოვრები)

მოგონება

ჩემი ბატონი იყო ნიკო წერეთელი. მე როსტომთან ახლო ვიდექი და ვმეზობლობდით ერთმანეთში. როსტომი კარგი კაცი იყო. როდესაც გააბრაზებდნენ, მაშინ კი ძალიან გაავდებოდა.

როსტომის ცოლი ეკა გულკეთილი იყო.

როსტომს ძალიან უყვარდა თევზი. ჩიხურის პირას გააშენებინა დიდი აუზი, რომელსაც თავში და ბოლოში ჰქონდა ბადეები. მოიტანდნენ თუნგებით თევზებს და შიგ ჩაუშვებდნენ. იმდენი თევზი გაშენდა, რომ სვეტის ოდენა ქაშაპებსაც ნახავდით. ბიჭები ნახევარ ძროხას დაჩეხდნენ და შიგ ჩაუშვებდნენ. როცა ძროხას ვერ იშოვიდნენ, მაშინ ქათმებს დაკეპავდნენ და ჩაუყრიდნენ თევზებს. ამ აუზის სანახავად საიდან არ მოდიოდა ხალხი! კარგი რამე იყო.

როცა როსტომი გარდაიცვალა, აკაკი სულ ფეხით მიყვებოდა მამას კვერეთის სასაფლაომდე. დასაფლავებას არავინ დაკლებია.

აკაკი ძალიან კარგი კაცი იყო. ის ხშირად იყო აქ. სანამ პატარა იყო, დედ-მამა ასწავლიდა წერა-კითხვას. მერე წავიდა სასწავლებლად. სანამ დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, ჩამოვიდოდა, მიიხედავ-მოიხედავდა და ისევ წავიდოდა. დედ-მამა რო მოუკვდა, მერე ისე ხშირად აღარ ჩამოდიოდა.

აკაკი რომ ქალაქიდან მოვიდოდა ეტლით, ზედ კარებამდე ამოვიდოდა. სხვა თავადებთან სტუმრად იშვიათად დადიოდა, თავადებს სძულდათ, რადგან გლეხებისაკენ იყო. როცა ჩამოვიდოდა, მაინც პატიჟობდნენ, ქაღალდს მოწერდნენ, მაგრამ აკაკი არ მიდიოდა.

ყველაზე უფრო ბეჟან წერეთელთან უყვარდა სიარული. ხშირად ქალაქიდან პირდაპირ იქ მივიდოდა. ბეჟანის ცოლა

ნიცა ნათლიდედა იყო აკაკისა. აკაკი დიდად პატივს სცემდა ნიცას, ხშირად მინახავს აკაკი და ნიცა ბაღში, დიდხანს ლაპარაკობდნენ.

აკაკი ხშირად მოაყვანინებდა კორბოულელ მელექსე ტალახაძეს და ათქმევინებდა ლექსებს. ბევრსაც ჩაიწერდა.

ერთხელ, მახსოვს, აკაკი მარტო ავიდა მოდინახეზე და იქიდან დიდხანს არ ჩამოსულა.

კოტე წერეთელი იყო ასლანის შვილი, როსტომის ბიძაშვილი. ერთხელ კოტემ სთხოვა აკაკის სამოსახლოდ ნახევარი იმ ადგილისა, სადაც წინეთ აუზები ჰქონდათ და ფული შესთავაზა, მაგრამ აკაკიმ ფული არ გამოართვა და ისე მისცა ნახევარი ადგილი. რამდენიმე ხნის შემდეგ აკაკიმ მეორე ნახევარიც გადასცა კოტეს. ამაში კი მიიღო ფული.

როცა აკაკი ავად გახდა, ჩვენ, გლეხებმა, სუყველამ ვინახულეთ. აკაკიმ ასე გვითხრა: ამისთანა ავადმყოფობა ჯერ არ გამომივლიაო.

აკაკის უნდოდა, რომ აქ, სხვიტორში, მის ეზოში დაემარხათ. ჩვენც ყველას გვინდოდა, მაგრამ საზოგადოებამ არ დაგვანება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის იუბილე

(იბეჭდება შემოკლებით)

პირველად აკაკი ათას რვაას ოთხმოცში ვნახე. ამ წელიწადს კიევში გავათავე გიმნაზია, არდადაგებზე სახლში ვიყავი და აგვისტოში ისევ ვბრუნდებოდი კიევში, რომ იქიდან წავსულიყავი მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში. რიონის სადგურზე ჩემი თავი ჩააბარეს ვინმე ანდრია კაპანაძეს, თბილისში მომავალს. ეს ის ანდრია კაპანაძე იყო, აკაკის დიდი პატივისმცემელი და მეგობარი, რომელიც აკაკისთან ერთად იმ დროს ეფათურებოდა აკაკის მიერ ჭიათურაში აღმოჩენილ შავი ქვის მოწესრიგების საქმეს. კაპანაძე, საოცარი ტკბილი ადამიანი, გზაში უმეტესწილად აკაკის შესახებ ლაპარაკობდა; ეტყობოდა ნათლად, რომ მას აკაკი უსაზღვროდ უყვარდა და ამიტომაც ხელს უმართავდა თავისი შეძლებით, თავისი ქონებით. ქუთაისში აკაკი უნდა ჩამოსულიყო საჩხერიდან, მაგრამ არ ჩამოსულა და კაპანაძე თბილისში გაბრუნდა. მე თავის სახლში მიმიყვანა, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ (აქვე იყო მისი სახელოსნო. თერძი იყო). მეორე დღეს საღამოს აკაკიც ჩამოვიდა. მე გულისფანცქალით შევყურებდი მაღალ, რაღაც განსხვავებულ ტკბილი ხმით მოლაპარაკე ადამიანს. თავად კაპანაძე, მისი მეუღლე, მოსამსახურეც, ყველანი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. აკაკი მეტად ხალისიანად იყო და ხალისიანად ელაპარაკებოდა ყველას. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მისი დანახვით; მე უკვე კარგად ვიცნობდი მის ლექსებს. სხვებთან მეც გამომელაპარაკა, მკითხა თუ სად ვსწავლობ, საით მივდივარ და ამგვარები... მე ვუთხარი, რომ კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

— გარუსების დასათავებლად? — მხიარული სიცილით მითხრა აკაკიმ.

ქართული ბიბლიოთეკა

— არა, მე არ გავრუსდები! — მივუგე.

— ვნახოთ... ვნახოთ! — ისევ სიცილით მითხრა მან.

შემდეგ აკაკის ხშირად ვხვდებოდი ბათუმში.

აკაკის დღესასწაულის მოწყობისათვის თავს როგორ დავიზოგავდი. მუშაობაც მართლა სამძიმო იყო, თავის გასართმევი. ყველა დაწესებულება, ყოველი ჯგუფი მოწადინებული იყო შესაფერისად გამოსულიყო დიდებული ადამიანის წინაშე და შესაფერისად, შნოთი გამოესახა თავისი ის პატივისცემა და სიყვარული საყვარელი მგოსნისადმი, რომელიც გულში უღვიოდათ. თითქმის ყოველ საღამოს იმართებოდა ამა თუ იმ ჯგუფის კრებები, გამოსარკვევად, თუ რა სახით უნდა მიეღო ამა თუ იმ ჯგუფს მონაწილეობა. ადმინისტრაციამ ხელი არ შეგვიშალა ამ კრებების ნებადართვაში; შევატყობინებდით მხოლოდ, რომ კრება იქნება ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას. კრებები მუდამ საინტერესო იყო; აქ გაისმოდა ერთგვარი სიტყვა, იხატებოდა ის გულწრფელი, ღრმა სიყვარული, რომელსაც ხალხი ატარებდა საყვარელი მგოსნის მიმართ თავის გულში. მახსოვს ნოქართა ერთი ჯგუფის კრებაზე რამდენიმე ნოქარი ცხარე საყვედურით გამოვიდა, რომ განზრახვა არისო, საზეიმო ეტლში აკაკის ქალები ჩაუჯინონო; ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამგვარ სანახაობაზედ და მგოსნის დამამცირებლად მიგვაჩნია ამგვარი რამ თანხლებაო. ავუხსენით მათ, რომ ეს ქალები გამოსახავენ მუზებს და საჭირო შეიქნა იმის განმარტებაც, თუ რა არის მუზა. პროტესტანტებმა თქვეს, რომ ჩვენ არ ვიცოდით ამ მუზაზე არაფერიო, გვწადდა მგოსნის ზნეობა არ შელახულიყოო.

დღესასწაულის დანიშნული დღე ახლოვდებოდა...

საოცარ სურათს წარმოადგენდა ქალაქის გამგეობის დიდი დარბაზი დღესასწაულის წინა საღამოს. იქ იყო დანიშნული ადგილი, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ დღესასწაულის მომლოცველთა დელეგატები. ვეება დარბაზი აივსო დელეგატებით; ვისგან არ იყო, საიდან არ იყო წარმომადგენელი! ძლივს, როგორც იქნა, წესრიგი შევიტანეთ დელეგატთა სიის შედგენაში.

მეორე დღეს ის ქუჩები, რომლითაც უნდა გაეტარებინათ მგოსანი თეატრამდი, დილიდანვე გაჭედილი იყო ხალხით.

თითქმის შუადღე იყო, როცა საგანგებოდ მორთული ეტლით აკაკი წამოიყვანეს სობოროსაკენ. ლანდო, მგოსნის წამოსაყვანად, თავაზიანად გუბერნატორმა გამოგვიგზავნა; მეეტლე იყო ქუთაისში ცნობილი მეეტლე, ამხანად მოხუცი, მელია, ის მელია, რომელსაც მამია გურიელმა უთხრა ერთხელ: „შენ რომ ელი, მელიაო, ძალზე შემომელიაო“. მოხუცმა მეეტლემ მტკიცედ გამოგვიცხადა, რომ აკაკი დღეს მე უნდა ვატარო და რომ ამას ვერავის დავუთმობო. ერთიანად თეთრში გამოწყობილი, ეტლი თეთრი ცხენებით, თეთრი მოწყობილობით, თავისი გრძელი, თეთრი წვერით — მელია და მისი ეტლი მშვენიერი სანახავი იყო. ეტლის საფეხურებზე იდგნენ ქალაქის თავი დავით ლორთქიფანიძე და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე მოსე ქიქოძე. ქუჩის ნაპირები ხალხით იყო შემოსილი; ფანჯრები, აივნები, სახურავები სავსე იყო ხალხით. ხმაური, მისალმება, ვაშას ძახილი, ყვავილების სროლა შეუწყვეტელი. აქ იყო მოტანილი გულწრფელი, ღრმა სიყვარული მოხუცი მგოსნისადმი. ამგვარივე გულწრფელი, უაღრესი სიყვარულით იყო გაჟღენთილი ყოველი სიტყვა, რომლითაც დელეგატები მიმართავდნენ საყვარელ მგოსანს. მრავალი მშვენიერად ნათქვამი სიტყვა იყო, მაგრამ ამაში რაღაც განსხვავებული რამ იყო მგონი, ბაღდადელმა გლეხმა რომ მიმართა. მაღალი, განიერ მხარბეჭიანი, შუახნის, სასიამოვნო კილოზე მოლაპარაკემ აკაკის უთხრა:

— წიგნის უცოდინარი კაცი გახლავთ, ბატონო, მიწის მუშა. ბავშვები კი დამიდიან სასწავლებელში. სამუშევრიდან დაღლილი რომ ვბრუნდები სახლში, ხანდახან ბავშვები იქვე წიგნს კითხულობენ ხოლმე ხმამაღლა; ხშირად კაი რაღაც მომესმება, გულს ეამება და როცა მიკითხავს ბავშვებისათვის, თუ რა წაიკითხეს, ისე კარგი რომ იყო, პასუხად მიმიღია — აკაკის ლექსიაო. ტკბილია ის თქვენი ნათქვამი, გულს ხვდება ძალიან; გლოცავთ საწყალი ხალხი თქვენი კაი თქმისათვის და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, არც შემდეგ შეგძულებოდეს ჩვენისთანა საწყალი ხალხი!

ეს ისე მშვენივრად თქვა ამ კაცმა, რომ აკაკი უცნაურად ააღელვა, თვალები ცრემლებით აუვსო; აღელვებული მხურვალედ გადაეხვია და გადაკოცნა იგი.

მეორე დღეს მე და ივანე პურადაშვილმა ვნახეთ ალეკა. — იგი მეტად კარგ გუნებაზე იყო და კიდევ კარგ გუნებაზე დადგა, როცა გადავეცით თეატრიდან შემოსული ათასი მანეთი.

— გარწმუნებთ, აქედან ხვალ ჩემს ჯიბეში ბევრი ალარაფერი დარჩება! — სიცილით თქვა მან.

ქუთაისმა სათანადოდ სცა პატივი თავის ძვირფას მგოსანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორფეოსი

(იბეჭდება შემოკლებით)

ყველას, ვისაც შემთხვევა ჰქონდა აკაკი წერეთელი ახლოს ენახა, საამაყოდ მიაჩნია გაიხსენოს შეხვედრები და სხვასაც გაუზიაროს იმ ბედნიერი დღეების განცდა. ვერც მე ავცდები ამ ცდუნებას. ან კი როგორ შემიძლია არ ვამაყობდე, რომ მისი საუბარი მომისმენია და ალერსითაც შემხებიან ის ხელები, რომლითაც ქართველი ხალხის საგალობლები დაიწერა...

ხალხის წარმოდგენით, აკაკიმ ბედნიერად გაატარა თავისი ცხოვრება. როგორ შეიძლებაო ადამიანი იყო მსგავსი სასწაულისა და ბედნიერი არ იყოო! აკაკის სევდა და ნაღველი რამდენიმედ, მართლაც, განელებული იყო იმ განუსაზღვრელი სიყვარულით, რომელიც მთელ ერს ჰქონდა მისადმი.

აკაკი ჩანდა ქვეყნად ჩამოსულ ზეციურ მკვიდრად, ნამდვილად კი იყო კეთილშობილი გამოვლინება ყველაფრისა, რაც მიწიერს წარმოადგენს. მოხუცობაში აკაკის თვალები სტკიოდა და ამის გამო სახე ცისკენ ჰქონდა აწეული. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მუდამ ზეციურს ელაპარაკებოდა. თუ დავუშვებთ, რომ ასეც იყო, ყოველ შემთხვევაში, ის ეჭვი მაინც არ შეიძლება გვქონდეს, რომ უამბობდა მხოლოდ დედა-სამშობლოს სილამაზეზე და ადამიანზე, რომელიც განუსაზღვრელად უყვარდა.

როცა პირველად ვნახე

ქუთაისი იხდიდა აკაკის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს. იუბილე გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულად იქცა. შორეულ წარსულში ასე, ალბათ, მხოლოდ სახალხო მისტერიები იმართებოდა.

საზეიმო დილას და საღამოს, რომელიც ქალაქის თეატრში

მოეწყო, დავით კლდიაშვილი ხელმძღვანელობდა. დავითი დილით ადრე გაემგზავრა თეატრისკენ და თან მე და ჩემი ძმა-დევნო ძმა წაგვიყვანა. ადრე იყო, მაგრამ თეატრის ახლო მდებარე ქუჩებში და ბაღის ირგვლივ უთვალავი ხალხი შეგროვილიყო. გაჭირვებით ვიკაფავდით გზას.

თეატრის დარბაზი და სცენა სადღესასწაულოდ იყო მორთული. სცენის შუა ადგილას, ნოხებით დაფენილ ამაღლებულზე, განიერი სავარძელი იდგა იუბილარისათვის. კულისებში თავს იყრიდნენ დელეგატები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ აკაკის მისალმებოდნენ.

აკაკის მოსვლის დრომაც მოაღწია. მამასთან ერთად თეატრიდან გამოვედი. ჩემს წინაშე დაუვიწყარი სანახაობა გადაიშალა. ჯერ კიდევ შორიდან თვალი მოვკარი, რომ ხალხით გაჭედილ ქუჩაში მოდიოდა ეტლი, რომელშიაც თეთრი ცხენები იყო შებმული. ისმოდა სიხარულის კივილი, ჰაერში ქუდებს ისროდნენ, ყვავილებს ყრიდნენ და ამ ყვავილებით მოფენილ გზაზე ნელა მოიწევდა ეტლი. ბოლოს ისიც დავინახეთ, ვისაც ხალხი სიხარულით ეგებებოდა: ეტლში აკაკი იჯდა, უცბადვე ვიცანი, რადგან სურათით ვინ არ იცნობდა მას. თეატრიდან ჯერ კიდევ შორს იყო, როცა ხალხმა გამოხსნა ცხენები და ეტლი ხელით გამოატარა.

ფარდის ახდამდე მსახიობთა ოთახში ისვენებდა აკაკი. მამამ ხელი ჩაგვკიდა მე და ჩემს ძმას სიმონს და მასთან შეგვიყვანა. აკაკიმ მოგვიალერსა და გადაგვკოცნა. იმ დღეს და მეორე დღესაც არ დამიბანია ცალი ლოყა, რომელზედაც მაკოცა.

როდესაც ზეიმი დაიწყო, აკაკი მისთვის განკუთვნილ სავარძელში დაბრძანდა. კარგად მახსოვს დავითის გამოსვლა. იმ დილით მამა რაღაც სხვანაირი მეჩვენებოდა. ალბათ იმიტომ, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში ვხედავდი. პირველად ეცვა არასამხედრო ტანისამოსი, საგანგებოდ იმ დღისათვის შეკერილი. დავითმა არ შეჰკადრა დიდ ქართველ პოეტს ამ საზეიმო დღეს მეფის რუსეთის პაგონებით წამდგარიყო მის წინაშე.

საზეიმო დილა დავითმა გახსნა. პირველი სიტყვა მან წარმოთქვა და მახსოვს ის ხანგრძლივი ოვაცია დარბაზში, როცა აკაკი დავითს გადაეხვია.

მილოცვები საღამოსაც გაგრძელდა. ერი თავის გასაჭირზე და დალხინებაზე უამბობდა თავის მამას და ყველაზე დიდ გულშემატკივარს.

„შენს წმინდა სახეს, შენს წმინდა ხატებას!"

დავით კლდიაშვილის სიტყვა იმდროინდელ პრესაში არ გამოქვეყნებულა. მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ მისი შინაარსი მიუღებელი იყო ცენზურისათვის. ტექსტი დაკარგულად ითვლებოდა და მხოლოდ რამდენიმე თვის წინათ, სრულიად მოულოდნელად, ერთ კერძო პირის ხელში აღმოჩნდა დავითის ხელნაწერი. აი, ეს სიტყვა:

„დიდებულო მგოსანო, ბედნიერო ადამიანო! შენი სულიერი შვილი, შენი დიადი ნიჭის გამათბობელ სხივებქვეშ აღზრდილი შვილი, მოგილოცავ შენს დიდებულ დღესასწაულს.

ქართველი ერის ჭირისუფალო! გულდაჩაგრულო, დანაღვლიანებული იმით, რომ შენდა სანატრელად ვერ ხედავდი შენს ძვირფას სატრფოს, შენს ძვირფას სამშობლოს, რომელს სწირავდი შენს სულსა და გულს, ბუნებითს ნიჭსა, ძალ-ღონეს და ყოველს წამს, გულდაჩაგრული დაეკითხე ერთხელ, რითი მოგიგო მან ამის სამაგიერო, ხმა არ გაგცა მაშინ შენმა სატრფომ, დიდებულო მგოსანო! მას ვერ შეეგნო, თუ ვინ ესიყვარულებოდი, ვინ იყავი, თავს რომ ევლებოდი. გაიარა დრომ და აჰა, დღეს გაძლევს შენი ძვირფასი სატრფო თავის დაგვიანებულ პასუხს. დღეს, თვალებახილული შენი დიდებულობით, მოხიბლული შენი ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტი სამშობლო წინ მოგაგებებს ღიმილით მის მზეს, მის მთვარეს, გუნდ-გუნდ ვარსკვლავთა, მოკაშკაშ-მოელვარეთა და შენს მამულთან ერთად მოგესალმებიან ყოველ კუთხიდან შენი სახელის გამგონნი გარეშენიც, მებრძოლნი კაცობრიობის ბედნიერებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია შენი სახელის დიდებისა, დიდებულო მგოსანო!

კაცობრიობა აღისრულებს თავის ნატვრას, თავის წმინდა წადილს. მოვა დრო და იგი თავს მოუყრის ყველა არსებულ ერთა ძმურ კავშირში. კაცობრიობა შეერთდება მოსიყვარულე ერთა კავშირში და ქართველი ერიც შეუერთდება სხვებს, არა როგორც ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქახდილი მო-

ნა, არა! არამედ როგორც თავისუფალი, გაბრწყინებული, პირ-
ნათელი, მოძმეთადმი სიყვარულით აღვსილი. იმ ...
ჟამს ქართველობა მიიტანს იქ, იმ შეერთებაში, შენს წმინდა
სახელს, შენს წმინდა ხატებას. ბედნიერ მოძმეთა შორის გა-
იმართება ტკბილი ბაასი, მოუყვებიან ერთმანეთს, თუ რა ტან-
ჯვა-წამება გამოიარეს თავიანთ ბრძოლით სვლაში ამ სანატ-
რელ შეერთებისათვის და ქართველი ერი დაანახებს რა მოძ-
მეთ შენს ხატებას, ეტყვის მათ: საყვარელო ძმანო, ბევრი ჭი-
რი და უბედურება გამოგვივლია ჩვენს გრძელ ცხოვრებაში,
გვინახავს ბრწყინვალე დღეებიც, უფრო მეტი კი ვაება და
წამება. ბრძოლით მოღალულნი, ღონეგამოლეულნი, ერთ დროს
სიკვდილის კარს მივადექით, მოვსწყდით, ქვეყანა აოხრდა,
უდაბნოს დაემსგავსა, შესწყდა სიცოცხლე, ქვეყნად თითქოს
სიკვდილი გამეფდა. და, აი, ეს იყო, ეს, რომელმაც მძლავრად
გადასძახა ამ უდაბნოში: არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და
ისევე გაიღვიძებს!.. ავადმყოფს მოსვენება სჭირიაო! ხელთ
აიღო მან ჩონგური, ჭირისუფლად დაუჯდა თავს მის ძვირფას
ავადმყოფს, ააჟღერა სიმები, მოჰყვა საოცარ ტკბილ სიმღე-
რას, ხან ნაღვლიანს, ხან იმედიანს და სასიკვდილოდ გამზა-
დებულს ავადმყოფს სისხლი ძარღვებში აუმოძრავა, სიცოცხ-
ლისაკენ პირი აბრუნებინა, ფეხზე წამოაყენა, ოფლით მორ-
წყა თავისი სამშობლო, ბნელში აბედით უკვესავდა მას, გულ-
ში იმედს უსახავდა... დე, დაზამთრდეს, სუსხმაც დაგვკრას.
ტკბილი ტაროსიც შეგვეცვალოს, სიცივე ვერ შეგვაშინებს,
თუკი გაზაფხულს მოველით! — ამხნევებდა იგი ყველას. გვა-
ზიზღებდა მონობას, უსიცოცხლოდ ყოფნას, გვაყვარებდა თა-
ვისუფლებას, გულში სიყვარულს გვინერგავდა, რომ მისით
გულაღვსილნი შევმდგარიყავით იმ გზაზედ, რომელსაც თქვე-
ნამდე უნდა მოვეყვანეთ... ვიარეთ, გაჭირვებით ვიარეთ, სიმ-
წრით ვიარეთ იმ გზით და აჰა, ძვირფასო ძმებო, კიდეც მო-
ვაღწიეთ თქვენამდე!

და მაშინ, რაკი ამას გაიგონებს, მადლობას მარტო შენი
პატარა ერი კი არა, მადლობას მთელი კაცობრიობა მოგიძღ-
ვნის, დიდებულო მგოსანო! მადლობას მოგიძღვნის მისთვის,
რომ შენი გმირული მოღვაწეობით შენს ერს ძმად უმზადებდი
კაცობრიობას, რომ შენის შრომით კაცობრიობას უერთებდი
თავისუფლების მოსიყვარულე ძმებს. მაშინ კაცობრიობა შენ

მიგიკუთვნებს თავის რჩეულ შვილთა შორის და მაშინ მოეძებ-
ვნის შენს წმინდა სახელს სავსებით ის დიდება, რასაც ლირსი
ხარ, დიდებულო მგოსანო, ბედნიერო ადამიანო!"

ჩვენთან, ოჯახში

აკაკი სტუმრად იყო ჩვენთან. შვილებში მე ვიყავი უფროსი და მშობლებმა მხოლოდ მე დამრთეს ნება სადილის დროს უფროსებთან ვმჯდარიყავი.

სადილი გაგვიუგემურა ერთმა „შემოსწრებულმა". აკაკის და დავითის უბრალოება და თავაზიანობა მან, ალბათ, ისე გაიგო, რომ თავისუფლად შეეძლო თავი დაეჭირა. ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, საინტერესო კი არაფერი უთქვამს. სადილი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა რაღაც საქმე მოაგონდა და წავიდა. მაგრამ რაღა დროს — აკაკიც და სხვებიც მოქანცა.

ნასადილევს აკაკი და დავითი ეზოში გავიდნენ. სახლი, სადაც ვცხოვრობდით, ნაქირავები გვქონდა. როგორც მისი პატრონი ივანე ბაქრაძე ამბობდა, წინათ ამ ადგილზე იდგა ის სახლი, რომელშიაც სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა გენერალი გაგარინი მოკლა. ივანე პატარა ტანის კაცი იყო, ძალიან ხალისიანი და გონებამახვილი. ჩქარი ლაპარაკი იცოდა. ამასთანავე მეტისმეტად ებმოდა ენა. ხშირად ისე უჭირდა ლაპარაკი, რომ ზოგიერთ ფრაზას თუ არ წაიმღერებდა, ისე ვერ წარმოთქვამდა.

ივანემ, რომელიც ქვედა სართულში ცხოვრობდა, აკაკი დაინახა ეზოში გამოსული, მივიდა მასთან, იმერული თავაზიანობით თავი დაბლა დაუკრა და მიესალმა. და როგორც ყოველთვის, ახლაც დაება ენა. ახლაც ზოგიერთი ფრაზა წაუმღერა. ხშირად იმეორებდა სიტყვას „მგოსანო" და ამას ისე წარმოთქვამდა თავისი წვრილი ტენორით, რომ მართლაც სიმღერას ჰგავდა. როცა ივანე წავიდა, აკაკიმ უთხრა დავითს:

— ჩინებული მგალობელი გყოლია შინ და უნდა მოგეწვიოს სადილზე, მოგვილხენდა მაინც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ კითხულობდა ლექსს

ქუთაისში გამართულ ერთ ლიტერატურულ საღამოში აკაკი მონაწილეობდა, პირველად აქ მოვისმინე მისი ლექსის კითხვა. „განთიადი“ თქვა და კიდევ სხვა.

რასაკვირველია, აკაკისადმი ჩვენი თაყვანისცემა აორკეცებდა შთაბეჭდილებას, მაგრამ ვისაც აკაკისთვის მოუსმენია, მას, ცხადია, სამუდამოდ მეხსიერებაში ჩარჩებოდა საყვარელი ხმა და კითხვის თავისებურება.

მოხუც აკაკის ჩუმი, ლირიზმით სავსე ხმა ჰქონდა. არავითარი მიმიკა, კითხულობდა ნელა, ხმის აუმაღლებლად, თითქოს ლოცვას წარმოთქვამდა. აკაკის კითხვა არა მხოლოდ საამოვნებას გვრიდა მსმენელებს, სულიერ თრთოლვას განაცდევინებდა.

ლექსის ზემოქმედების გაძლიერებისათვის და იქნებ კიდევ იმიტომ, რომ მისი ბუნება მოითხოვს ამას, ძველად ლექსს მუსიკალური აკომპანემენტი ახლდა; აკაკის კითხვაში ამ აკომპანემენტის მაგივრობას სწევდა მისი ხმა და კიდევ უფრო—მისი გარეგნობა: თქვენ ხომ ღმერთის შესადარ ადამიანს ხედავდით და უსმენდით იმ წუთში!

აკაკი ჭუჩაში

თბილისსა და ქუთაისში ხშირად დაუნახავთ ეტლით და ხან ქვეითად მიმავალი აკაკი, მაგრამ ვერავინ შეეჩვია იმას, რომ წინათაც არაერთხელ უნახავს. ყოველთვის ყველა მოქალაქე შეჩერდებოდა და თვალს გააყოლებდა. ახოვანი მოხუცი ორფეოსის სიარულს რაღაც საზეიმო იერი ჰქონდა.

აკაკი ყოველთვის და ყველგან მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენდა.

თავის სინდისად თვლიდა ერი აკაკის და ყველა თავისი კარგი თვისების ცოცხალ გამოხატულებად. უკეთეს გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახედ მიაჩნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1912 წლის ივლისის დილაა. საჩხერიდან სხვიტორისაკენ ადრიანად გავედით, ქართული გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლე ვართ. ჩვენი დიდი სურვილია აკაკი თავის სახლში ვინახულოთ.

— არ მიგვიღებს... — დაეჭვებულა ერთი ჩვენთაგანი. — ვინაა ისეთი, რომ მისი ნახვა არ უნდოდეს და ყველას ხომ ვერ მიიღებს...

რატომღაც ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მასთან ჩვეულებრივად შეიძლებოდა შესვლა, ლაპარაკი, ახლოს ყოფნა. ჩვენს, ახალგაზრდების წარმოდგენაში პოეტები იყვნენ ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანები, მამია გურიელი და სხვანი. ხოლო აკაკი, ისე როგორც ილია, სულ სხვა იყო — ის გაღმერთებული გვყავდა.

გზა ჯერ ყანებით მიიმართება, მერე ტყიანი გორაკები იწყება. ჩვეულებრივი პეიზაჟი ზემო იმერეთისა.

ვუახლოვდებით აკაკის სახლს. შორიდან ის ძველებურ კოშკად გვეჩვენება.

ჭიშკართან ჩოხიანი შუახნის კაცი გამოგვეგება. პირველი შეხედვით დონ კიხოტს ჩამოგავს. საქვეყნოდ ცნობილი ეს ესპანელი იდალგო ხელმეორედ მოვლინებულა იმერულ გრძელ და ფართოსახელოებიან ნაცრისფერ ჩოხაში გამოწყობილი. ეს არის კოტე აბდუშელიშვილი, აკაკის მოურავი.

სახეზე ვამჩნევ, უკმაყოფილოა ჩვენი დანახვით.

— არა ბრძანდება სოფელში, შვილებო, თორემ თქვენი ნახვა ძალიან ესიამოვნებოდა. ვწუხვარ, რომ არ დაგხვდათ...

ამას თავაზიანად გვეუბნება. სიტყვები თითქოს ალერსიანია, არ აკლია არც „შვილებო“, არც „ვწუხვარ“. ჩვენ კი, რატომღაც, დარწმუნებული ვართ, რომ აკაკი შინ არის. მაგრამ რა უნდა ვქნათ, ძალით ხომ არ შევიჭრებით...

გავბრუნდით. იქვე მთის პატარა მდინარე ჩიხურა ჩამორბის. მდინარის ნაპირზე მოწყენილი ბეღურებივით დავსხედით. აქედან შევყურებთ სახლს, ეზოს ...იქ დიდი პოეტის საყვარელი ადგილია. ამ ეზოში ის ხშირად დადის. ეზოს ცქერით გვინდა ვეზიაროთ აკაკის სახელს, ვიგრძნოთ მასთან სიახლოვე. სხვა სანუგეშო აღარაფერი დაგვრჩენია.

ავიშალენით, ქვევითკენ გავუდექით გზას. სიმღერაც დავ-ძახეთ. ეს, ალბათ, ჩვენივე თავის გასამხნევებლად დაგვჭირდა.

ჩავათავეთ აკაკის ეზოს მომყოლი გზა.

უეცრად ყვირილი გვესმის. ჩვენკენ მორბის ახალგაზრდა გლეხი და მოგვძახის:

— დაბრუნდით, ბატონმა გთხოვათ!

სიხარულით შემოვტრიალდით. ჭიშკართან ისევ აბდუშელი-შვილი დაგვხვდა. ახლა მისი შეხვედრა სულ სხვაგვარია.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ხალიასიანად გვეპატიჟე-ბა. — გაიგო და გაუხარდა. მობრძანდით!

რამდენიმე წუთის წინ რომ აკაკი სოფელში არ იმყოფე-ბოდა, ამაზე არაფერს ამბობს და ჩვენც არ ვაპირებთ მოვაგო-ნოთ. რა დროს საყვედურია!

აკაკი აივანზე შემოგვეგება... ბიბლიური გარეგნობის მო-ხუცი ევროპულ პიჯაკში... იქვე დგას მისი უფროსი და ანა. მაღალი, გამხდარი მოხუცი ქალი, რომელსაც შავები აცვია და შავი თავსაფარი ახურავს.

მე ვიკვეხნიდი ამხანაგებთან, რომ აკაკი უმალვე მიცნობ-და. აკაკი ხალისიანად შეგვხვდა, მოგვეფერა ყველას... მაგ-რამ მე ვერ მიცნო...

აივანზე დავსხედით. ჩვენი მოგზაურობის მიზანი იკითხა. ამხანაგები ჩუმად დამცინიან:

— აკი მაშინვე მიცნობსო?

ისლა დამრჩენია, გავისუდრო და შეუმჩნევლად ვიყო.

ბალახით დაფარულ ეზოს გადავყურებ. ბალახი საოცრად მწვანე მეჩვენა. ეზოს ბოლოში ძველებურად აშენებული პა-ტარა ეკლესიაა. ალბათ, საჯვარე. სოფლის დასასრული მაღალ ქედს ებჯინება. იქ ჩამორბის მოდიდებული ღელის მსგავსი ჩიხურა.

— მაშ, თქვენ აპირებთ გადახვიდეთ აქედან ოსეთში, შემ-დეგ მოივლით ქართლს, კახეთს... კარგია, კარგი... ახალგაზრ-და რომ ვიყო, მეც წამოვიდოდი, — ამბობს აკაკი, — ჩინე-ბული განზრახვაა... მეფის რუსეთი იმის უფლებასაც არ გვაძ-ლევს, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია ვასწავლოთ ახალგაზრ-დობას, ამგვარი მოგზაურობით მაინც გაიცანით სამშობლო...

მისი თვალები შემთხვევით ჩემზე შეჩერდნენ. ერთხანს და-

ეჭვებით მიცქერის. ანდამატივით მიზიდავს ეს შემოხედვა. ნაბიჯს ვდგამ მისკენ და, უეცრად მესმის:

— ბიჭო, შენ დათიკოს შვილი ხომ არა ხარ?

სიხარული მიტაცებს. ანგარიშმიუცემლად ვეხვევი. მომხვია ხელი, ლოყაზე მკოცნის და ნამიანი ტუჩების მიკარებას ვგრძნობ.

— მამაშენს კი ვემდური! — ისე მეუბნება, თითქოს მართლა საყვედურობდეს. — რამდენჯერ ვთხოვე ჩემთან ამოსულიყო და ერთხელაც არ მნახა აქ. იმაზე ნაკლები აზნაური არ გახლავარ. ეკალა აქაც მოიძებნება.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნებ ვერც წარმოუდგენიათ, თუ როგორ შეიძლება კაცმა ეკალა ჭამოს. იმერეთში კი მისი კულტი არსებობს. არ ვიცი, რით არის გამოწვეული ასეთი სიყვარული — სიღარიბემ წარმოშვა თუ გამახვილებულმა პირისგემომ. მე მგონია, ერთმაც და მეორემაც... როცა აკაკი ჩვენთან იყო ოჯახში, დედა იმერული საჭმელებით გაუმასპინძლდა და, სხვათა შორის, ეკალათი. ალბათ ახლა ის მოაგონდა...

აკაკი დაინტერესებული იყო ქართული გიმნაზიის ბედით და ყურადღებით ისმენდა ჩვენი ჭკვიანი მეთაურისაგან ცნობებს გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ.

საუბარი თანდათან მწერლობაზე გადავიდა. გვირჩევდა ხალხური პოეზია შეგვესწავლა. გამოთქვა სურვილი ხალხური პოეზიის შესწავლა შემოეღოთ სკოლებში. ხალხური პოეზიის კრებული გამოიტანა და რამდენიმე ლექსი წაგვიკითხა. მახსოვს, ბოლო ტაეპებს ზოგჯერ ზეპირად ამბობდა.

შემდეგ თავისი პატარა საწოლი ოთახიდან გამოიტანა დიდ ფურცლებზე დაწერილი საკუთარი პოემა და კითხვა დაიწყო. პოემა საკმაოდ გრძელი და მოსაწყენი გვეჩვენა, მაგრამ ვინ იტყოდა უარს დიდხანს ესმინა აკაკისათვის? მახსოვს, ამ პოემაში დიდი სიძულვილით მიმართავდა პოეტი მეფის რუსეთის მესვეურთ.

— ახლა ამ პოემას არ დაბეჭდავენ, — თქვა ბოლოს აკაკიმ, — შთამომავლობას დარჩეს...

რა თქმა უნდა, უფლება ჰქონდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ თვითეული მისი სიტყვა საგულისხმო იქნებოდა მომავალი თაობისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთხელ, როცა ჩვენთან იყო ოჯახში, კარგად მახსოვს, რა უთხრა დავითს:

— რუსთაველის შემდეგ მხოლოდ ხალხურ შემოქმედებაში შეგვრჩა პოეზია. მე და ჩემისთანანი რა სახსენებელია...

გულწრფელი სკეპსისი იყო, თუ წუთიერი დაეჭვება? მე მგონია, არც ერთი და არც მეორე. მან კარგად იცოდა თავისი ფასი.

აკაკიმ სადილად დაგვტოვა და გულუხვად გაგვიმასპინძლდა. მხიარულად იყო და ბევრი რამ გვიამბო ისეთი, რამაც დიდი ხალისი მოგვგვარა...

საღამოვდებოდა, როცა დავემშვიდობეთ. მხიარულად გავუდექით სოფლის გზას. რა თქმა უნდა, სიმღერით, ხმაურით.

როცა სოფელი ჩავათავეთ, დაბინდდა. ღამის გათევა დანგრეულ წისქვილში მოგვიხდა. სახურავი სანახევროდ გადახდილი, კარები ჩამოხსნილი, იატაკის ნაცვლად რამდენიმე ფიცარი, რომლის ქვეშ ღარში წყალი მოჩხრიალებს. დღით ძალიან ცხელოდა, ღამით კი წვიმა წამოვიდა. აკაკისთან ყოფნით გახარებული და ძალაშემატებული ვიყავით და ამიტომ იყო, რომ ადვილად გადავიტანეთ იმ ღამის გასაჭირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებები აკაკიზე

...ოთხი-ხუთი წლისა ვყოფილვარ, როცა ხმა გავარდა, აკაკი წერეთელი რაჭა-ლეჩხუმისაკენ მოემგზავრებაო. ბუნდოვნად მახსოვს ეს მგზავრობა, მაგრამ დედაჩემის ნაამბობით იკი ნათლად აღმიდგა თვალწინ. ჩვენი ოჯახი მაშინ სოფელ ლაილაშში ცხოვრობდა. მთელი ლეჩხუმის მაზრა ფეხზე დადგა, ქუდზე კაცი გამოვიდა საყვარელი მგოსნის შესახვედრად. მოახლოვდა სანეტარო წუთიც. შეგვატყობინეს, მექვენას გამოსცილდნენო. ლაილაშამდე კარგა მანძილზე გაკეთებული იყო დიდი თაღი, რომელიც თეთრი ყვავილებით მოერთოთ და ყვავილებისავე წარწერით დაემშვენებინათ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სულმნათო მგოსანო!“ თაღის ორივე მხარეს ლაილაშის შესასვლელ საზღვრამდე, ხეივნის მსგავსად თეთრებში გამოწყობილი პატარები იყვნენ ჩამწკრივებული, ხელში კი ასეთივე ყვავილების თაიგულები ეჭირათ.

გამოჩნდა ეტლიც: იგი ლეჩხუმლებს აკაკის შესახვედრად საგანგებოდ მოეკაზმათ. ბავშვები ყვავილებს უგებდნენ ფეხქვეშ ფიანდაზად. ბავშვების მწკრივებს უკან ლეჩხუმელების ტევა აღარ იყო. ეტლში თეთრი ცხენები შეებათ, მეეტლეც თეთრებში იყო გამოწყობილი და ეტლიც თეთრი ყვავილებით მოეკაზმათ, შიგ მხოლოდ სახეგაბრწყინებული აკაკი იჯდა. გუნდმა მრავალჟამიერი დასჭექა. ეტლი შეჩერდა, ქართულ კაბებში გამოწყობილი მანდილოსნები მოკრძალებით მიუახლოვდნენ აკაკის და პურმარილი მიართვეს. მანდილოსნებს დარბაისელი მამაკაცები მიყვებოდნენ... აკაკის გულთბილი სიტყვებით მიმართეს, გუნდმა კვლავ სიმღერა დასძახა, საზოგადოება ტაშის გრიალითა და შეძახილებით მიესალმა თავის საყვარელ მგოსანს. დედაჩემის გადმოცემით, გამოსულა ერთი სტუდენტი (გვარი აღარ ახსოვდა დედას), საკუთარი ლექსი წაუკითხავს; ლექსის შინაარსი პასუხობდა აკაკის „ცა-ფირუზს“. ზემოთ აღწერილ სურათს და ამ ახალგაზრდის გამოსვლას ისე

უმოქმედია მგოსნის მგრძნობიარე გულზე, რომ თვალებიდან ცრემლები წასკდომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ გამოუცხადებიათ: ნორჩების სახელით დიდ პოეტს პატარა გოგუცა ეტყვის სიტყვასო. მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ ასეთი დიდი საზეიმო შეკრება არასოდეს მენახა და როგორ არ დავიბენი. გაბედულად წარვდექი წინ და მისივე ლექსები წავუკითხე. აკაკიმ აქეთ-იქით დამიწყო ძებნა, რადგან ხმა ესმოდა, მე კი არსად ვჩანდი. კარგად მოგეხსენებათ ჩემი სიმაღლისა, ახლა რა ვარ, მაშინ რა ვიქნებოდი! როგორც მაშინდელი ჟურნალი „ნაკადული" აღნიშნავდა, ნამდვილად „თითისტოლა" ვიყავი. აკაკიმ ხელში ამიტაცა, გულში ჩამიკრა და მოისურვა ჩემთან სურათის გადაღება. ახლა ეს სურათი ჩემს პატარა არქივს მარგალიტის თვალივით ამშვენებს.

განვლო დრომ. ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად ლეჩხუმიდან ქუთაისში გადავიდა. მე მოსამზადებელი ჯგუფის მოსწავლე ვიყავი... ვერ ვიტყვი საიდან, როგორ, მაგრამ ერთ დღეს გაკვეთილიდან გამომიყვანეს და სკოლის გვერდით ერთ ოჯახში მიმიყვანეს. თურმე აკაკი წერეთელი მოსულიყო. აკაკი მომეფერა, დამიყვავა, კალთაში ჩამისვა, სახუმარო ლექსები მითხრა, შემდეგ მომიბრუნდა და მეუბნება: პატარა გოგუცა, წამოდი ჩემთან, ჩემი შვილი იყავიო. მე ვუპასუხე: თუ ჩემი დედიკოც წამოვა, თანახმა ვარ, თუ არადა, თქვენ თვითონ დარჩით ჩვენთან-მეთქი. გაიცინა, მაკოცა, გამომკითხა ოჯახზე და შოკოლადიც მაჩუქა. მახსოვს, შოკოლადის ყუთზე აკაკის სურათი იყო. აკაკის ცალ ხელში ჯოხი ეჭირა, მეორეთი კი მზეს იჩრდილავდა, თვალები მოჭუტული ჰქონდა. ეს ყუთი დიდხანს ინახებოდა ჩვენს ოჯახში, როგორც უკვდავი პოეტის სანუკვარი სახსოვარი. სამწუხაროდ, ეს უძვირფასესი სახსოვარი ხანძარმა გამინადგურა, მაგრამ ვერც ერთი ხანძარი ვერ წაშლის ჩემში აკაკის სხივნათელ ხსოვნას.

დედაჩემის გადმოცემით ვიცოდი, აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში ეკრანზე გადაიღეს. მაგრამ ვიდრე კინოდრამატურგ კარლო გოგოძის წიგნი „საბჭოთა კინოს ოსტატები, ვასილ ამაშუკელი" არ გამოვიდა, მანამდე არაფერი ვიცოდი, თუ რა ბედი ეწია ამ კინოფირს. აღნიშნული წიგნის 26-ე გვერდზე წერია: „განსაკუთრებით დასანანია პროფესორ ანისიმოვისა და

აკაკის სცენის დაკარგვა და აგრეთვე ნიკო კუპრაშვილის პა-
ტარა გოგუცას მიერ ლექსის წარმოთქმისა და მგოსნათვის
უვავილების მირთმევის სცენა. ოთხი წლის გოგუცამ"... და
სხვა... ძალიან მეწყინა. რაღა მაინცდამაინც ის ადგილი დაიწვა,
რა იქნებოდა, დამენახა ეკრანზე სულმნათი მგოსანი და ჩემი
თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

1884 წელს, როცა პირველად ვეწვიე საქართველოს, ბათუმიდან თბილისამდე ვაგონის ფანჯრიდან მთელი დღე გავყურებდი შორეულსა და თან სულისათვის მახლობელ არემარეს. მანამდე ბევრი რამ წამეკითხა საქართველოს შესახებ. ახლა კი მწყუროდა საკუთარი თვალით მეხილა იგი. გაზაფხული იყო და ბუნება მთელი თავისი მშვენიერებით წარმომიდგა. მაგრამ ბუნება იმდენად არ იტაცებდა ჩემს გონებას, რამდენადაც ადამიანები, რკინიგზის სადგურებზე რომ ვხედავდი. თვალს იზიდავდა აგრეთვე შენობები და ეკლესიები, სოფლები, მინდვრები და ბაღები, ურმები, საქონელი და ათასი სხვა რამ. ერთი სიტყვით, მსურდა გავცნობოდი საქართველოს. და მართლაც, თბილისში ჩამოსვლისას უკვე მქონდა საერთო წარმოდგენა საქართველოს ცხოვრების გარეგნულ მხარეზე. თვალის ერთი გადავლებითაც აშკარა შეიქნა ჩვენთვის განსხვავება იმერეთსა და ქართლს შორის.

ჩამოსვლის მეორე დღესვე ილია ჭავჭავაძესთან გავიცანი აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი. ეს სამი მგოსანი ერთმანეთს არც გარეგნობით, არც სხვა რამით არ ჰგავდნენ. არცთუ ისე მაღალი, მაგრამ მკვრივი აგებულების ილია შესახედავად მეტად მშვიდი იყო მაშინაც, როცა სული და გული ეწვოდა. აკაკი სხარტი იყო, როგორც ნამდვილი იმერელი. ისიც მაგარი აგებულებისა იყო, მაგრამ შედარებით სუსტი ნებისყოფის, მისი ლაპარაკი ილიაზე უფრო სწრაფად მოსჩქეფდა... მესამე მგოსანი, რაფიელ ერისთავი, უფრო მძიმე მეჩვენა: დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა.

ჩვენი გაცნობის პირველივე დღეს მივხვდი, რომ ეს ორი მწერალი — ილია და აკაკი — საქართველოს მთელ მაშინდელ გონებრივ ცხოვრებას განასახიერებდა.

იმ მწერლებზე, რომლებიც თავიანთი სამშობლოს ბეჭედს ატარებენ, გერმანელები იტყვიან ხოლმე: თავისი მიწის სუნი

დაჰკრავსო. აკაკის ხომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა იმერეთისა და იმერული მიწის სურნელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის ოჯახში ძიძასთან გატარებულმა ბავშვობამ ღრმა კვალი დააჩნია მას. ძლიერი შთაბეჭდილების ყმაწვილს, რომლის გონება ნაადრევ ბავშვობიდანვე ცხოვლად აღიქვამდა ყოველივეს, არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი. მისი მშობლები ოჯახში ძველი ქართული ტრადიციების ნამდვილი სული ტრიალებდა. აკაკი ყოველდღე ხედავდა სურათებს, რომლებიც მისი სახლის გარეთ უკვე აღგვილიყო. მისი მშობლები დაიბადნენ და აღიზარდნენ მე-19 საუკუნის დამლევს, როცა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო წინა საუკუნის კვალი; ამ სახლში ყველაფერი ქართული სულით სუნთქავდა. აკაკიც თუმცა ამ სულთან იყო მიჯაჭვული, გონებით უარყოფდა: მასში იგი თავისი სამშობლოს მომავლის შემფერხებელს ხედავდა.

ფეოდალად შობილმა ახალგაზრდობიდანვე მოიშორა თავადური შეხედულებები. გლეხებს იცავდა მემამულეთა უსამართლობისაგან, მაგრამ გრძნობებითა და ჩვეულებებით მთლიანად ვერ გათავისუფლებულიყო თავისი ოჯახის პირველი გავლენისაგან.

როგორც ილია ჭავჭავაძე, ისევე აკაკი, თავის დროზე მოწინავენი იყვნენ და ეხებოდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მათი ახალგაზრდობის დროს ქართველთა გონებაში ჯერ კიდევ არ იყო სავსებით მომწიფებული. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე აკაკი ამათრახებდა ყველაფერს, რაც არ მოსწონდა არსებულ ზნესა და ხასიათში. ყველაფრის იმის გაკიცხვამ, რასაც შეეძლო შეეფერხებინა საღი განვითარება ერის ორგანიზმისა, იგი სატირამდე მიიყვანა... ასეთი იყო მისი განწყობილება, ხოლო როდესაც რამე შემთხვევა ან მოვლენა გააღიზიანებდა და დაასევდიანებდა, მაშინ თავის სატირაში შხამ-სამსალასაც გაურევდა...

მახსოვს, როცა აკაკი „კრებულს“ გამოსცემდა, ხშირად ბეჭდავდა თავის ისეთი ხასიათის ლექსებს, რომლებიც მხოლოდ მაშინ იყო გასაგები, თუ მკითხველი იცნობდა ამ ლექსების გამომწვევ გარემოებას. მე მივაქცევინე აკაკის ამ მხარისათვის ყურადღება და ვურჩიე, კვლავ აღარ დაებეჭდა კრებულში ასეთები. აკაკის გაეღიმა და მითხრა, არჩევანი ჩემთვისაც ძნელიაო. მაგრამ ნამდვილად კმაყოფილი დარჩა ჩემი

აზრის გამო იმ ლექსებზე, რომლებსაც აღტაცებაში მოვყავ-
დი მუდამ. დიდხანს ეგონა, რომ თავს ვაძალებდი მიუღებ-
ებელი ვყოფილიყავი და ამიტომ ვაქებდი მის ლექსებს. გუ-
ლახდილად ვუთხარი, რომ, ჩემი აზრით, ის, როგორც ჭეშმარი-
ტი ლირიკოსი, მაღლა დგას ილიაზე, რომ ის მომღერალია,
ილია კი იდეური პოეტი.

ასეც არის, წმინდა გრძნობითი ლექსების გარდა, ილიაში
მუდამ ჭარბობს აზრი, გრძნობა კი უფრო მკრთალად გამოს-
ჭვივის.

აკაკი გავიცანი 1884 წელს, როცა იგი დაახლოებით 44
წლისა იყო. თმა-წვერში ჭაღარა ეპარებოდა. პირველი პოე-
ტური ძალა, რასაკვირველია, უკვე მიმქრალი თუ არა, მისუს-
ტებული იყო, მაგრამ შემოქმედებით ძალას კიდევ შერჩენო-
და ახალგაზრდული გატაცება. მაშინ, როდესაც ილიას პოე-
ტური შემოქმედება ამ წლოვანებაში უკვე გაქრობას იწყებდა.

ჩვენი გაცნობის პირველ ორ წელს აკაკის ხშირად ვხედავ-
დი ქართულ თეატრში. ეს დაწესებულება იმ დროს ყოველთ-
ვის როდი იყო სავსე, თუმცა მაშინდელი მთავარი მსახიობე-
ბი, რომლებმაც საძირკველი ჩაუყარეს ქართულ სასცენო ხე-
ლოვნებას, ბუნებრივი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი.

ქართული თეატრალური საზოგადოება ჯერ კიდევ მცირე
იყო და რეპერტუარიც ღარიბი ჰქონდა. აკაკი ხშირად მარტო
იჯდა. ხანდახან ვეწვეოდი ხოლმე. ის ჩემთან არ ფარავდა, რომ
ქართული თეატრის სიღარიბე აწუხებდა, მაგრამ მარწმუნებ-
და, წლითიწლობით გაუმჯობესებასაც ვამჩნევო. იმედოვნებ-
და, რომ XIX საუკუნის მიწურულამდე ქართული თეატრი მო-
მაგრდებოდა. ასეც მოხდა, მაყურებელი ყოველ წელს იზრდე-
ბოდა. როცა თეატრის შესახებ ლაპარაკობდა, ვხედავდი, რა
ძლიერ უყვარდა აკაკის თავისი სამშობლო და როგორ ზრუ-
ნავდა მისი კულტურის ამაღლებისათვის. იგი მუდამ ახლო იდ-
გა თეატრთან და მას რამდენიმე მაღალი ლიტერატურული
ღირსების პიესაც მიაწოდა. გულმოდგინედ ამხნევებდა მსახი-
ობებს. მისი პიესები, შესაძლოა, სავსებით არ ეთანხმებოდნენ
სცენური ხელოვნების მოთხოვნილებებს, მაგრამ უხვად შეი-
ცავდნენ ესთეტიკურ ღირსებებს. მათში იყო ადამიანის თავი-
სებური განჭვრეტა და სხვა. ყველაფერი ეს სიამეს ჰგვრიდა
მკითხველს. დიახ, ქართველები არასოდეს გაანებებენ თავს

მის კითხვას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათში მდიდარი, ცოცხალი, მომაჯადოებელი პოეზიაა, არამედ იმისათვისაც, რომ მათი შინაარსი არ არის მარტო უბრალო თხრობა ამბებისა — ის ნაყოფია მდიდარი მხატვრული წარმოსახვისა.

აკაკი თვითმყრობელი მეუფე იყო პოეზიისა ხელოვნების სამკვიდროში. ერთხელ, ოთხმოციან წლებში, აკაკის შევხვდი ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაზე. თიბათვის მშვენიერი დღე იდგა, მზის სხივებით ნაფენი იყო ქალაქის ყოველი კუნჭული. დღისით გელათი მოვინახულე და ჯერ კიდევ გონებით იქ ვიყავი, ხილული ბუნების სიკეკლუცისა და სიძველეთა შთაბეჭდილებით დატვირთული.

აკაკი გაერთო და ენაწყლიანად, გატაცებით საუბრობდა გელათზე, ქუთაისზე, საქართველოსა და ქართველი ქალების სილამაზეზე. ჩვენ წყნარად მივდიოდით თბილისის ქუჩაზე გორაკისაკენ, სადაც მწვანეში კოხტად გამოიყურებოდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, ყოველ ხუთ წამში ჩაგვივლიდა აკაკის რომელიმე ნაცნობი ტურფა ასული და ჯადოსნური ღიმილით აძლევდა სალამს პოეტს.

— ბედნიერი კაცი ხართ! — ვუთხარი მე.

— ისინი მგოსანს აძლევენ სალამს და არა მე, — ღიმილით შენიშნა აკაკიმ და განაგრძო ამწვანებული სამშობლოს ქება.

მასთან საუბარში ისე არასოდეს მიგრძნია ყველა მისი ბრწყინვალე მხარე, როგორც მაშინ.

დიახ, ის გახლდათ ჭეშმარიტი მგოსანი, მდიდარი ფანტაზიის პატრონი, ენაწყლიანობითა და გრძნობით აღსავსე, მხატვარი და ჭკუამახვილი მჭევრმეტყველი.

რომ ვუსმენდი და სახეში შევცქეროდი, უნებლიეთ მაგონდებოდა მისი რამდენიმე ლექსი და დრამა. უდიდეს სიამეს ვგრძნობდი, რომ ჩემ წინაშე ვხედავდი ამ მდიდარი პოეზიის წყაროს. სეირნობის დროს აკაკის ყველა დიდი პატივისცემით ესალმებოდა; მივხვდი, მას შეეძლო ეამაყა. აკაკი თავის სამშობლოს დიდი მგოსანი იყო, ისეთი დიდებული და ბრწყინვალე, რომ მისთვის შეგვეძლო გვეწოდებინა ახალი ცხოვრების გამომაფხიზლებელი. ბუნებამ მასში თავი მოუყარა გონების ყოველგვარ ღირსებას. თუმცა ბუნება ხომ არასოდეს ჰყოფს ადამიანს სრულყოფილად, იგი თავის რჩეულებსა და ნებიერებსაც უტოვებს ნაკლსა და სისუსტეს, მე მგონია, აკაკი ბუ-

ნებისა და ბედის ნებიერი გახლდათ და, შესაძლოა ამიტომაც იყო დაჯერებული თავის უპირატესობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკიმ თავის ხალხს მისცა დიდი და მრავალრიცხოვანი განძი. წაართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება ლირიკის ადგილი, რომელიც ალბათ დიდხანს ვერ შეივსება.

ჩემი აზრით, აკაკი თავის პოეტურ თხზულებაში ლირიკოსი ანუ გრძნობის მგოსანი იყო. მისი დრამები და ეპიკური პოეტური თხზულებებიც ლირიკული ხასიათისაა. აკაკის ცოცხალი ბუნება ვერ იტანდა ეპიკურ ობიექტურობის ბორკილებსა და ამიტომ მისი პოემები და დრამები, ბაირონის თხზულებებივით, სავსეა ლირიზმით. ეს გრძნობებზე ძლიერად მოქმედი ლირიზმი მკითხველში არ ასუსტებს მოთხრობილი ამბის შთაბეჭდილებას, პირიქით, აცხოველებს კიდეც. როცა აკაკის პოეტურ ნაწარმოებს კითხულობ, განა შეიძლება ხელოვნების წესებზე იფიქრო? კითხვით გატაცებული ხარ, ვიღას ახსოვს ისინი.

რა შეიძლება კიდევ ითქვას აკაკის ლირიკულ პოეზიაზე? მისი პოეტური მემკვიდრეობა ქართველი ხალხის ძვირფას განძად იქცა და ბევრი დააკლდებოდა, ეს განძი რომ დაეკარგა. მე აკაკის ლექსების კითხვა დიდ სიამეს მგვრის, ამგვარია მისი გავლენა ქართველთა უმრავლესობაზეც. აკაკის პოეტური სული არა მარტო წიგნებში იცოცხლებს, იგი საქართველოს ყველა კუთხის შვილთა გულსა და გონებაშია დამკვიდრებული.

შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას: რა ქმნის აკაკის პოეზიის უდიდეს ღირსებას? ორიოდე სიტყვით ამ საკითხს ვერ ამოვწურავთ, ჩემი აზრით და გემოვნებით, აკაკი ყველაზე უფრო ლამაზად და ძლიერად საქართველოს სიყვარულს დამღეროდა; მის სევდიან ხვედრსა და მომავლის სასოებას ისეთი მომხიბვლელობით გამოხატავდა, რომ სულსა და გულს სწვდებოდა...

ბუნების მშვენიერების აღწერაში აკაკი მაღალ ხელოვნებამდე ადის. იგი არ მისდევს წვრილმანებს, ბუნების აღწერისას მას მთლიანობა ხიბლავს.

აკაკი არა მარტო სილამაზისა და სიყვარულის მგოსანი იყო, არამედ დაბეჩავებულთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილ ძმათა მეგობარიც. იგი მეხად ეკლინებოდა ფარისევ-

ლებს, მჩაგვრელებსა და კაცობრიობის სხვა მტრებს, გესლიანი დაცინვით ამათრახებდა მათ.

აკაკის თავის თხზულებებში დროშასავით მაღლა ეჭირა ზნეობრივი მხარე, ამით ის კიდევ უფრო მტკიცედ დარჩება თავის ხალხის ხსოვნაში.

მოხუცებულობის ხანს აკაკი რამდენიმე ხნით საზღვარგარეთ გაემგზავრა, გერმანია და საფრანგეთი მოინახულა. დაბრუნების შემდეგ დაწვრილებით მესაუბრა თავის შთაბეჭდილებებზე და თან შენიშნა, მეტად გვიან მომიხდა მოგზაურობაო.

აკაკის რომ ოცი-ოცდაათი წლით ადრე ემოგზაურა გერმანიასა და საფრანგეთში, თავის დაკვირვებებს გამოიყენებდა ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის. იგი თვითონვე შენიშნავდა, რომ მას მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა საზღვარგარეთზე.

როცა ქართველები აკაკის იუბილეს დღესასწაულობდნენ, მას უკვე ემჩნეოდა თავისი სამწერლო მოღვაწეობის შესრულება. შემდეგ მან ნელა, მოხუცებულობის სნეულებასთან ბრძოლაში დაასრულა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე. ის იმერეთში, თავის კუთხეში გარდაიცვალა, მაგრამ დედაქალაქში დაასაფლავეს თავისი დიდების რაყიფის ილია ჭავჭავაძის გვერდით.

მართლა იყვნენ ისინი რაყიფნი? დიახ, ეს ასე იყო, აკაკი და ილია ახლო მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ წინააღმდეგობის მიზეზებს აშკარად როდი ამჟღავნებდნენ. ამიტომ არიან ორთავენი პატივსაცემნი. ორთავეს კარგად ვიცნობდი და ვიცი, რომ ისინი მალავდნენ თავიანთ გრძნობებს, უნდა ითქვას, ორივე, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსები, ისე ეპყრობოდნენ ერთმანეთს.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისინი თითქმის მხარი მხარს იდგნენ ქართული გონებრივი ცხოვრების ასპარეზზე, მაღლა ეჭირათ და იცავდნენ მის იდეალებს! ორთავენი ერთნაირივე გულისწყრომითა და თავდავიწყებით ებრძოდნენ ყველას, ვინც კი ზურგი აქცია თანამემამულეებსა და სამშობლოს მომავლის რწმენას; თვით უმძიმეს დროსაც არ კარგავდნენ იმედს, თავიანთი ხანგრძლივი სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც იმედიანად შეჰყურებდნენ ქართველი ერის კულტურული ცხოვრების მომავალ აღორძინებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

ეს იყო 1887 წელს, ქუთაისში ორი კვირის ყოფნის შემდეგ, გიორგი წერეთელთან ერთად სოფელ რგანში წავედი, სადაც ნიკო ღოლობერიძემ მიგვიპატიჟა. სადგურ ზესტაფონიდან ჩვენ ცხენებით გავემგზავრეთ, რადგან ჭიათურის რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი.

ქვემო იმერეთის ერთფეროვანი მწვანე ველის მერე ეს ადგილები უმშვენიერეს სურათს წარმოადგენდა.

ამ აყვავებულ კუთხეში შავი უდაბნოსებრ გაჭიმულა ჭიათურის შავი ქვის მაღაროები, რომლის იქით იწყება ისევ ლამაზი სანახაობა საჩხერისა ანუ საწერეთლოსი.

და აი, აქ, დიდსა და დაჩრდილულ ბაღში, რომელიც ტყიანი ხეობის სათავეში მდებარეობს, თეთრი სახლი დგას, სადაც დაიბადა პოეტი აკაკი წერეთელი.

ამ სახლში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ნელ-ნელა კვდებოდა ფეოდალიზმი და მისი რომანტიულობაც, მაგრამ იმ ცერემონიალური და ტრადიციული ლხინის წყალობით, რაც თავადობას მოსდგამდა, შეუძლებელი იყო ახალი დროის სულის დაფუძნება.

აკაკის დედ-მამა შთამომავლობით, მდგომარეობით, აღზრდითა და განათლებით ძველ დროს ეკუთვნოდნენ.

საჩხერის მშვენიერი მამული არ იყო პოეტისათვის ისეთი დასასვენებელი ადგილი, როგორც ილია ჭავჭავაძისათვის — საგურამო.

მიატოვა თუ არა აკაკიმ მშობლიური სახლი, მაშინვე გაეცნო ცხოვრების სინამდვილეს, რამაც მასზე უთუოდ იქონია ზეგავლენა. ის ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, სრულიად მიივიწყა ბავშვობის შთაბეჭდილებანი და გაჰყვა კაცობრიობის მაღალ იდეალებს. მისი ნაწარმოებები მძლავრად ეხმიანებოდნენ ცხოვრებას, თავის ხალხს ახალ იდეალებს და მომავლის რწმენას ულვიძებდა, მათში პოეზიის დაუშრეტელი წყარო ჩქეფდა, მისი ბუნება გასაოცრად მდიდარი იყო.

აკაკის თხზულებები უძვირფასესი განძია ქართული ლიტერატურისათვის. მათი კითხვის დროს მე ვხედავ დიდ პოეტს, აღფრთოვანებულ ქართველს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს თავისი სამშობლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხვედრები დიდ პოეტთან

ჩვენი ძვირფასი და საყვარელი მგოსნის აკაკის ერთ-ერთ დიდ სურვილს შეადგენდა ის, რომ დაარსებულიყო რაიმე ორგანიზაცია, რომელიც მთელ საქართველოში შეაგროვებდა ძვირფას განძს, საუნჯეს — სხვადასხვა კუთხეში და სოფლებში გადარჩენილ ხალხურ თქმულებებს, ანდაზებს, ზეპირ გადმოცემებს, ლექსებს, ზღაპრებს, მესტვირულ და საერთოდ ხალხურ პოეზიას; ხალხური მკურნალობის ხერხებს სხვადასხვა ბალახეულობით, თაფლით, ირმის ქონით, ნადირის, ცხოველის ნაღვლით და სხვა ამისთანებით, რაც თურმე ძველად ერთობ დიდ და კარგ შედეგს იძლეოდა ამა თუ იმ ავადმყოფობის განსაკურნებლად, როგორიც იყო ჭრილობისათვის უებარი წამალი ბალახი, ავი ზნისა და ბნედის სამკურნალო ბალახები. წინათ თურმე ბევრი გვყოლია ნამდვილი და მართალი ექიმ-ბაშები, რომელნიც მართლადა დიდ სამსახურს უწევდნენ ხალხს ბუნებრივი წამლობით. მისივე გადმოცემით, ძველ საქართველოში დიდად გავრცელებული ყოფილა უტყუარი და ნამდვილი მკურნალობა სიმღერით, გალობით, ნანინით, ჩონგურით, რითაც ამისი სპეციალური მცოდნე პირები კურნავდნენ თურმე მრავალნაირ ავადმყოფს. საერთოდ პოეტი ვერ მოესწრო მის სიცოცხლეში შეექმნა მისთვის სასურველ ფორმებში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ამ ძვირფასი საერო განძის, საუნჯის შეკრებასა და გადამუშავებას, რასაც აკაკი მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მას ჰყავდა ამისათვის რამდენიმე პირი დაგზავნილი სოფლად, რომელნიც აგროვებდნენ აღნიშნულ მასალებს და აკაკი შესწორებულს ბეჭდავდა თავის ჟურნალ „კრებულში“ დროგამოშვებით.

აკაკის მე ვიცნობდი დაახლოებით 1892 წლიდან. იგი მეტის-მეტად უახლოვდებოდა და ემეგობრებოდა დაბალი წლის ღარიბ ხალხს, გლეხებს, მუშებს, ნოქრებს. როდესაც მე მას გავეცანი და დავუახლოვდი, ახალგაზრდა ვიყავი და ვმსახურობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ერთ პატარა წყლის ქარხანაში, მისი ზეგავლენით დაარსებული ქართული წიგნების გავრცელება სოფლად და ქალაქად ... ნიგზაზე. ვლებულობდი ხელმოწერას ჟურნალ „კვალზე“ და „აკაკის ყოველთვიურ კრებულზე“. შემდეგ მას მივაყოლე იმ დროს აკრძალული წიგნები, ჟურნალები და სხვადასხვა ფურცლები, რის გამო 1905 წელს დამიჭირეს და გადასახლებას მიპირებდენ.

1895 წელს ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ათიოდე კაცის ხელის მოწერით აკაკის დახლოებით შემდეგი შინაარსის წერილი მივწერეთ: ჩვენ თქვენი ნაწერების და მოწოდების საშუალებით გაგებული გვაქვს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს დღევანდელი გაჭირვება და მის გასანთავისუფლებლად მზად ვართ პირველ თქვენ მოწოდებისთანავე თავი მოვუყაროთ ასობით ჩვენს ამხანაგს და ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი ძველი გმირები სამშობლოსათვის და რომელთა გმირობა და თავგანწირვა თქვენ გაქვთ მრავლად აღწერილი. ამას მნიშვნელობა ჩვენ შეგნებული გვაქვს. აკაკიმ ეს ჩვენს ყმაწვილურ ოცნებას მიაწერა, და იმავე დროს გვითხრა, რომ იმგვარ ბრძოლებზე ჩვენს დროში და პირობებში მხოლოდ ბავშვებს თუ შეუძლიათ იფიქრონ, თორემ სერიოზულად მაგისთანა რამეებზე ფიქრი ჭკუათმყოფელ ადამიანებს არ შეუძლიათ. დღეს ჩვენი მხრივ დიდი გმირობა და ვაჟკაცობა ის იქნება, თუ შევინარჩუნებთ ჩვენს ფიზიკურ არსებობას, ქართულ ენას და მამაპაპათაგან ნაანდერძევ კარგ ადათებს — გაჭირვებული მოძმის დახმარებას და შველას. მზად უნდა ვიყოთ და ცოცხალი დავხვდეთ იმ ბედნიერ დღესა და დროს, როდესაც ბრძოლა მართლა შესაძლებელი გახდება. ასეთი დრო კი აუცილებლად დადგება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი დაჩაგრული ერები გამოიღვიძებენ, მაგრამ მე მაინც მახარებს თქვენი ყმაწვილური გატაცებაო.

ერთხელ რამდენიმე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი სოსიკო მერკვილაძის ძმასთან ვიყავით შეკრებილი. შინაურული საღამო იყო. აკაკიმ წაგვიკითხა თავისი ახლად დაწერილი პოემა „ნათელა“. ჩვენ ყველანი აღტაცებაში მოვედით. პოეტს ვთხოვე მოეცა ნება ამ ნაწარმოების გამოცემისა. აკაკიმ გაიღიმა, თუ მეტყვი, რა მოგეწონა ამ პოემაში, გამოცემის ნებას დაგრთავო.

მე ვუთხარი — ცოტნეს თავგანწირვა, ნათელას ინიციატივა, ხოლო რაც შეეხება იმ შავბნელ დროს, რომელიც თქვენ პოემაში გაქვთ აღწერილი, ჩვენი დრო არის-მეთქი. აკაკი წამოდგა, მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და მითხრა: თანახმა ვარ გამოსცე ჩემი „ნათელა“, ოღონდ წიგნს ძვირი ფასი არ დაადოთო.

შემდეგ გამოვეცი „თამარ მეფე“, „გამზრდელი“, „გამზრდელის“ ამბავი აკაკის უამბო ჯანსულ დადეშქელიანმა. ეს ნამდვილი ამბავია.

დავით ალმაშენებლის შესახებ აკაკიმ მიამბო: როცა დავითს გელათის ტაძრის აშენება დაუპირებია, გადაწყვიტა ისეთი ადგილი გამოეძებნა, რომელიც ყოვლის მხრით შემოზღუდული იქნებოდა მთით და დაფარული ტყით. ასეთი ადგილი მოძებნეს, მაგრამ იქ ერთი გლეხი ესახლა, რომლისთვის უთხოვიათ, აქ წმინდა სახლს ვაშენებთ, ამიტომ სხვაგან უნდა დაგასახლოთო, ოღონდ აქედან ისე უნდა წახვიდე, გული არ დაგწყდესო და ჯამებით თვალმარგალიტი მიუციათ. მაგრამ გლეხს უთქვამს მეფისათვის: თვალმარგალიტი მე არ მინდა. მხოლოდ გთხოვთ სადმე აქ ახლოს მიწის ნაკვეთი მომეცით, რომ არ მოვშორდე ჩემს ძველ მამაპაპეულ სამოსახლო ადგილსო. მეფემ დააკმაყოფილა გლეხის თხოვნა და გამოუყო საცხოვრებელი ადგილი. ამის შემდეგ ეს გლეხი გელათის ტაძრის დარაჯად მუშაობდა, გვარად იყო ყაისარიშვილი.

აკაკის დავით ალმაშენებელი ძალიან უყვარდა; როცა სადმე მიდიოდა, ჯორი მიჰყავდა წიგნებით დატვირთულიო, უყვარდა კითხვაო, თამარ მეფეს გამზადებული სახელმწიფო დაახვედრაო.

...დილით სასტუმრო „კოლხეთში“ შევედი აკაკის სანახავად. იგი შეწუხებული იყო, სადღაც მიეჩქარებოდა. მისალმების შემდეგ ამბავი ვკითხე და მითხრა: ჩემი შვილის, ალექსის დეპეშა მომივიდა, თუ არ დამეხმარე, თავი მოსაკლავი გამიხდებაო. რაღაც საოპერო დასი მოეწყო, იქ ზარალი ენახა და ფულსა სთხოვდა მამას ვალების გასასტუმრებლად. აკაკი ბანკში მიდიოდა რაღაც ქონების დასაგირავებლად. მე ცოტა დავანუგეშე და ვუთხარი: ნუ გეშინია, თუ ჭკვიანია, თავს არ მოიკლავს, ხომ იცით, ბატონო აკაკი, შოთამ რომ თქვა: — „სიკვ-

დილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსაო". ჩემი ამგვარი უთანაგრძნობო პასუხი არ ეამა აკაკის და მითხრა: „შენ მეტი და უკეთესი პასუხი არ მოგეთხოვება, რადგან ჯერ მაგა არა ხარ და მაგ სიტყვის პასუხი მაშინ მომეცი, როცა მამა შეიქნებიო". მე მივხვდი, რომ ჩემი უხეში პასუხი ვერ იყო შესაფერი, მაგრამ რაღას ვიზამდი, ცოტა ვეთამამებოდი და იმიტომ მომივიდა ასეთი რამ.

აი, კიდევ ერთი საინტერესო მოგონება, რომელიც ეხება აკაკი წერეთლისა და მიტროფანე ლაღიძის ურთიერთობას და რომელიც 1977 წლის 4 აგვისტოს გაზეთ „თბილისში" გამოაქვეყნა ნ. კევლიშვილმა.

„— რუსთაველის თეატრის წინ, იქ, სადაც ახლა ოფიცერთა სახლია, — გვითხრა ერთხელ ალ. ახმეტელმა, — ხესთან იდგა გამოჩენილი ქართველი მსახიობი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია, ხელში ჟურნალი ეჭირა და ათვალიერებდა, ვუთხარი, ბატონო ვალერიან, გეტყობათ, ეს ადგილი ძალიან მოგწონთ-მეთქი.

— მართალია, — მომიგო მან, — მიყვარს და მცირე ხნით რომ არ შევჩერდე, არ შემიძლიანო. როდესაც პერიოდულ გამოცემას „თეატრს" ვრედაქტორობდი, — განაგრძო გუნიამ, — აი იქ, — გაიშვირა ხელი ფოსტა-ტელეგრაფის შენობისაკენ, — ერთ ხესთან ხშირად მინახავს აკაკი წერეთელი. როდესაც ერთხელ კიდევ ვნახე, ცნობილ მეცენატს, უალკოჰოლო სასმელების სპეციალისტს მიტროფანე ლაღიძეს ესაუბრებოდა. ვერ მოვითმინე, მივედი და მეც თქვენსავით შევეკითხე, დღეს უკვე მესამედ გხედავთ ამ ადგილას, ბატონო აკაკი, ალბათ მოგწონთ-მეთქი.

— კი! — გამიღიმა აკაკიმ. — ამ პატარა თუთის ხეს ისე ვერ ჩავუვლი, რომ არ შევხედო და არ შევჩერდე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთი კარგი მოსაუბრე შემხვდებაო, — მითხრა დიდმა პოეტმა და მიტროფანეზე მიმითითა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი საღამო აკაკისთან

კაიხნის ამბავია. წელიწადი არ მახსოვს. ზამთარი იდგა ქუთაისში, დ. მიქელაძის (მეველე) ოჯახში ერთ საღამოს დიდი საზოგადოება შეიკრიბა: ალ. ყაზბეგი (მოჩხუბარიძე), მ. გურიელი (ფაზელი) და აკაკი. ბავშვებიც ბევრი ვიყავით. როგორც ამბობდენ, იმ ხანებში მასპინძლის ვაჟისათვის, პატარა ივერიკოსათვის, აკაკის ეძღვნა ცნობილი საყმაწვილო ლექსი: „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა...“ შემდეგ ლექსი ასე უნდა ყოფილიყო, როგორც გამიგონია: „მას მიეპარა ივერი, დაიჭირა და იამა...“

ბავშვები ცნობისმოყვარეობით და პატივისცემით შევყურებდით ჩვენი მწერლობის დიდებულთ. ზოგს ჩვენგანს მათი თხზულებანი უკვე წაეკითხა და უფრო ბევრი კიდევ გაეგონა მშობლებისა და ნაცნობებისაგან. ბავშვები სულგანაბული ვუკვირდებოდით ხან ჩუმსა და ნაღვლიან ამოხვნეშას დიდებისას, როცა მათ გაახსენდებოდათ „ხანჯალი“, „დამეხსენი, ოსმალელო“... ხან გაფაციცებით ვისმენდით მ. გურიელისაგან წაკითხულ „ალავერდის“-ს ან ალ. ყაზბეგისაგან წარმოთქმულს — „სამშობლოს ხევსურისას“.

მამია ხანდახან ბავშვებს მკლავს უსინჯავდა და თავისებური სიდინჯით, თითქოს სიტყვები სხვა ქვეყნიდან მოდისო, ჰკითხავდა ახლომყოფს: „დახე, რა მკლავი აქვს... ვერ გახწევს კახაბერობას?“

წვრილი, მოღუშული მამია, გამხმარი, გრძელი თითებით, რომელზედაც ჩაყვითლებული, დიდიხნის მოუქნელი ფრჩხილები ჰქონდა, სწორედ ბოროტ სულს ჰგავდა და ბავშვებს, ცოტა არ იყოს, კიდევაც გვეშინოდა მისი. მოჩხუბარიძეც ბავშვებისათვის ვერ იყო მიმზიდველი. მაგიერად, აკაკი, თეთრი თმით, საოცნებო კეთილი სახით და ტკბილი, ამხანაგური ბჯასით გვათამამებდა, და ჩვენც მას ვეხვეოდით. ხანდახან, თითქოს გვეჯიბრებაო, ერთ ლექსს რომ ჩვენ ვიტყოდით, ორს ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეტყოდა. როცა ერთმა ბავშვთაგანმა აკაკის მისი „ქართველი უცხოეთში“ წაუკითხა, აკაკის სახე გაუბრწყინდა და სიხარულით უთხრა ფაზელს: „შეხედე, ამათაც იციან“. შეიძლება ამ სიამოვნების მიზეზი იყო, რომ აკაკი მთელი საღამო ბავშვებში დარჩა.

ვიღაცამ იმ საღამოს აკაკის მიმართა: „რა ბედნიერი ხარ, რომ ბავშვებს აგრე უყვარხარო“.

— ჰე, წამოიზრდებიან თუ არა, ზურგს შემომაქცევენო, — უპასუხა ოდნავ დაღვრემილმა აკაკიმ.

ასე იჭვიანები არიან ნაზმგრძნობიარე ადამიანები: რაც უნდა პატივისცემით მოეპყროთ, რაც უნდა შეიყვაროთ, ისინი მაინც უმადური არიან, რადგან მათ თვითონ უფრო ღრმად და ძლიერად უყვართ, ვიდრე მათი შეყვარება საშუალო ადამიანს შეუძლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუვიწყარი...

1897 წელი. ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე პირველად შევაღე სკოლის კარები. ეს ხომ დიდი მოვლენაა ყველა ადამიანის ცხოვრებაში. მშობლებმა ბათუმის ქართულ სკოლაში შემიყვანეს.

სკოლა დააარსა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.“ ხალხის განათლების ამ კეთილშობილურ საქმეს სათავეში ედგნენ საქართველოს საუკეთესო ადამიანები.

ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული საზოგადო მოღვაწენი, მწერლები. ერთ-ერთი ასეთი დღე განსაკუთრებით აღიბეჭდა მეხსიერებაში, თუმცა მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო.

...მზიანი დღე იყო. ოქროსფერი სხივებით აკაშკაშებულ კლასში სწრაფი ნაბიჯებით შემოვიდა მასწავლებელი. იგი აღელვებული ჩანდა და მაშინვე მოგვახარა პატარებს, რომ ჩვენთან მოვიდა მეტად საპატიო სტუმარი, ყველასათვის საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი. ჩვენ ხომ მაშინ ვსწავლობდით მის ლექსებს, ვმღეროდით „სულიკოს“, ვიცოდით მისი „შრომის სიმღერა“. ამ ამბავმა უცნაურად აგვაღელვა ყველანი, გული აჩქარებით ძგერდა. მგოსანი, როგორი სიდიადით აღსავსეა ეს სიტყვა... ნახო თვითონ მწერალი, იმ ლექსების შემოქმედი, რომლებსაც შენ სწავლობ, ეს ხომ უსაზღვრო ბედნიერებაა. და, აი, მოსწავლეები საკუთარი თვალით ვიხილავთ აკაკი წერეთელს, მოვისმენთ მის ხმას... ჩვენთვის, ჯერ კიდევ სულ ნორჩებისათვის, რომლებმაც ის-ის იყო გადავშალეთ ცხოვრების წიგნის პირველი ფურცლები, ეს უდიდესი მოვლენა იყო, ალბათ ამიტომ დარჩა დაუვიწყარი...

მოუთმენლად ველოდით, როდის შემოვიდოდა მგოსანი. იმ ამ დროს სამასწავლებლო ოთახში იყო მოსიყვარულე მასწავლებლებით გარშემოხვეული. კლასის კარები გაიღო და სა-

სურველი სტუმარიც გამოჩნდა გამგის თანხლებით. ჩვენ ერთ-სულოვნად წამოვდექით ფეხზე. აკაკი მოგვიახლოვდა, პირველ-რიგებში მსხდომთ ალერსიანად მოგვესალმა და ხელით გვანიშნა, დასხედითო. მის სახეს მომხიბლავი ღიმილი ანათებდა. ჩვეულებრივად, ცელქობას არ ვიშლიდით, მაგრამ მაშინ ყველანი გავისუსეთ. პოეტისათვის თვალი არ მოგვიშორებია, ისე ჩუმად დავეშვით მერხებზე.

ახლა არ მაგონდება როგორი სიტყვებით მოგვმართა აკაკი წერეთელმა. მე მხოლოდ მახსოვს როგორი თბილი, გულშიჩამწვდომი იყვნენ ისინი. მასწავლებელმა ერთ-ერთი მოსწავლე გამოიძახა და ზეპირად ათქმევინა აკაკის „შრომის სიმღერა", მეორემ „მერცხალი" წაიკითხა. შემდეგ თვითონ მგოსანმა მოგვცა შეკითხვები. მოსწავლეები სხარტად პასუხობდნენ. დაბოლოს, ჯერი ჩემზე მიდგა. მგოსანმა მეც მომცა ერთი შეკითხვა. მოულოდნელობისაგან ისე დავიბენი, რომ კითხვაში ვერ გავერკვიე და ვერაფერი ვთქვი. მასწავლებელმა ჩუმად გადაულაპარაკა მგოსანს, ეს ბავშვი ქართველი არ არისო. მაშინ იგი მომიახლოვდა, ალერსიანად გადამისვა თავზე ხელი და ღიმილით რაღაც გამამხნევებელი სიტყვები მითხრა, რაც დაახლოებით ამას ნიშნავდა: „მთავარია სურვილი იყოს, თორემ ადამიანი ყველაფერს შეისწავლისო". ამის შემდეგ პოეტი მალე გავიდა კლასიდან. მე კი მისი კეთილშობილური სახე სამუდამოდ აღმებეჭდა გონებაში.

...1909 წელს მე ისევ ვნახე ჩვენი დიდი მგოსანი. ეს იყო პირველი რევოლუციის შემდგომი წლები, ცარიზმის რეაქციის წლები. რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირისათვის ბევრი მოსწავლე გიმნაზიიდან გაგვრიცხეს. ყველა სასწავლებლის კარი ჩვენთვის გადარაზული იყო... მაგრამ სულით მაინც არ დავცემულვართ. დავეწაფეთ თვითგანათლებას, ვეუფლებოდით ჰუმანიტარულ საგნებს, რუსულ და ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. გულმოდგინედ ვკითხულობდით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", ეგნატე ნინოშვილის „ჯანყი გურიაში", აკაკი წერეთლისა და სხვა კლასიკოსთა შესანიშნავ ნაწარმოებებს. და, აი, ერთ დღეს, როცა ამხანაგებთან სამეცადინოდ მივდიოდი, ივლისის პაპანაქება სიცხეში, ყოფილ მარინეს პროსპექტზე მდებარე ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში თვალი მოვკარ აკაკი წერეთლის ნაცნობ სახეს. მაშინ არ ვი-

ცოდი, რომ მგოსანი ბათუმში ელოდებოდა იტალიის გემის მოსვლას საფრანგეთში გასამგზავრებლად. მწერალთან ერთად იდგნენ ნიკო ნიკოლაძის ძმა, ქალაქის გამგეობის წევრი ვოლსკი, მწერალი დავით კლდიაშვილი და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ექიმები — ელიავა და მხეიძე. წიგნის მაღაზიაში შესული მოქალაქეები მოწიწებით ესალმებოდნენ აკაკი წერეთელსა და მის თანმხლებთ.

მეფისდროინდელ ავბედითობას შესამჩნევი დაღი დაემჩნია მგოსნისათვის, თუმცა მისი ამაყი დიდებული შესახედაობა ვერაფერს შეეცვალა, მაგრამ შეთოვლილ თმასა და ოდნავ ნაღვლიან მზერაში იგრძნობოდა იმ დიდი მოუსვენარი გზის სიმძიმე, რომელიც პოეტმა განვლო... მას ხომ ათეულობით წლების მანძილზე ხალხთან მიჰქონდა მართალი სიტყვა, აღვიძებდა მათს რევოლუციურ შეგნებას. და მაინც თვალებში კვლავ უელავდა ახალგაზრდული ცეცხლი და, ისე როგორც ყოველთვის, მის გარშემო იღვრებოდა გულის სიღრმიდან მონადენი უჩვეულო სითბო.

ექვსი წლის შემდეგ კი, 1915 წელს, სამწუხარო ამბავი მოედო მთელ საქართველოს: აღარ გვყავდა უკვდავი ქართული პოეზიის არწივი... მაგრამ მისი კეთილშობილური სახე ცოცხლობს ყველა იმის გულში, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს იგი, ვინც იგრძნო მისი პოეტური შთამაგონებელი სიტყვის სითბო და სიდიადე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲥᲘᲡᲢᲐᲣᲠᲨᲘ

1911 წლის ᲬᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი კიდევ ერთხელ ესტუმრა კახეთს. თელავისა და ყვარლის საზოგადოება უსაზღვრო სიყვარულით შეხვდა პოეტს.

აკაკი კეთილ მასპინძლებთან სიყვარულით იხსენებდა ილია ჭავჭავაძესა და რაფიელ ერისთავს, მათთან გატარებულ დაუვიწყარ დღეებს. აკაკი წერეთელს, რ. ერისთავის საფლავის სანახავად, ქისტაურში წასვლის სურვილი გამოუთქვამს. რაფიელის ბიძაშვილს, თავად კიაზო ერისთავს დიდად გახარებია მგოსნის წადილი და ქისტაურში მეგზურობა შეუთავაზებია.

და აი, ვარდ-ყავავილებით დამშვენებული ეტლი, რომელშიაც მხცოვანი პოეტი იჯდა, კ. ერისთავისა და ცხენოსანთა თანხლებით ქისტაურისაკენ დაიძრა.

გზაზე ჩარიგებული ხალხი გულთბილად მიაცილებდა პოეტს რაფიელის მშობლიური სოფლისაკენ.

გენერალ კ. ერისთავს ქისტაურში არაერთხელ ჩაუყვანია სასურველი სტუმარი, მაგრამ სულ სხვა იყო აკაკის სტუმრობა, ქისტაურელები ყვავილებით შეხვდნენ პოეტს, ყველას უნდოდა ახლოს მისულიყო, მოესმინა მისი ტკბილ-ქართული საუბარი.

კიაზო ერისთავმა თანასოფლელებთან ერთად საკადრისი მასპინძლობა გაუწია პოეტს.

მეორე დილით, საუზმის შემდეგ, აკაკი მასპინძლების თანხლებით ფეხით გაემართა რაფიელის საფლავის სანახავად. მთელი სოფელი გარეთ გამოსულიყო, გზადაგზა ისმოდა ქისტაურელთა ხმაშეწყობილი სიმღერები. აღფრთოვანებული პოეტი ყველას უღიმოდა, ხელს უქნევდა.

საფლავთან მისვლისთანავე აკაკიმ ქუდი მოიხადა, მიწაზე დაიჩოქა და ცრემლმორეულმა წარმოთქვა: „განისვენე, მოხუცო, განისვენე...“ მცირე პაუზის შემდეგ გრძნობით წარმოთქვა ლექსი „სამშობლო ხევსურისა“.

პანაშვიდის შემდეგ ქისტაურელებმა დიდი მგოსანი თელავამდის ჩააცილეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ჩემს ხსოვნაში

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჩვენს ოჯახში სშირად იყრიდნენ თავს ჩვენი ერის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ეკატერინე გაბაშვილი, მხატვარი გიგო გაბაშვილი, მსახიობი ვასო აბაშიძე და ჩვენი სასიქადულო მწერალი აკაკი წერეთელი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადო მოღვაწეები ახლო მეგობრები იყვნენ როგორც მამაჩემისა, ისე მამიდაჩემის — ელისაბედ თარხნიშვილისა.

და აი, ზაფხულის ცხელ დღეებში, როდესაც აკაკი წერეთელი გვეწვეოდა გარიყულაზე, ჩვენს ოჯახში თავს იყრიდა ჩვენი სოფლის თითქმის ყველა ულამაზესი მანდილოსანი და აკაკიც თავისი ჩვეული ენამახვილობით მხიარულობდა და დროს ატარებდა.

აკაკი წერეთელმა თავისი ცნობილი ლექსები — „ნეტავი მას, ვინც შენ ტკბილ ხმას“ გამოჩენილ მომღერალ ქართველ ქალს, იმხანად იტალიიდან ახლად ჩამოსულ ელენე თარხნიშვილს მიუძღვნა, ხოლო ლექსი „ვიშ ამ საღამოს, ტკბილსა, საამოს“ აკაკი წერეთელმა ქართლის ლამაზ ბუნებას მიუძღვნა, როცა იგი ჩვენი სახლის აივნიდან თეძმის თვალწარმტაც ხეობას გადაჰყურებდა. ეს ორივე ლექსი აკაკი წერეთელმა ჩვენს ოჯახში დაწერა და მალე იგი ხალხში სიმღერებად გადაიქცა.

და აი, დღესაც, თვალწინ მიდგას აკაკის ხატოვანი სახე, რომელიც ზის და ლექსებს თხზავს, უმღერის სამშობლოს, საქართველოს, ქართველ ხალხს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენი ოჯახი ძველად გონჯის ხევის გაღმით ცხოვრობდა და ახლაც მაგონდება მამაჩემის სიტყვები, შვილებო, გაგვიჭირდება, მაგრამ უნდა ვეცადოთ სხვაგან გადავსახლდეთ, რადგან ეს ადგილი მიუვალია და ტალახი იცისო. როგორმე აკაკის სახლის ახლოს რომ გიორგი წერეთლის ადგილია, ის უნდა ვიყიდოთო. მართლაც, მამამ იყიდა ის ადგილი, რაშიდაც გადაუხადა გიორგი წერეთელს 80 მანეთი. ეს რომ ბეჟან წერეთელმა გაიგო, ძალიან იწყინა და უსაყვედურა გიორგის, რადა ხარ ეგრე სულწასული, ასეთი კარგი ადგილი გლეხებს ხელში რატომ ჩაუგდე, გეთქვა და როგორმე ჩვენ ვიყიდდითო, ამ საქმეზე ბეჟანი და გიორგი მაგრად შელაპარაკდნენ, რასაც აკაკიც ესწრებოდა. უგდო, უგდო ყური მათ ჩხუბს აკაკიმ და უთხრა: ბიჭო, რა გაჩხუბებთ? მიწა იმას უნდა ჰქონდეს, ვინც მას ამუშავებსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი

ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო.

აკაკი.

სამოციან წლებში სამშობლოს ცაზე აღმობრწყინდა ორი ცისკარი, წინამორბედნი განთიადისა — ილია და აკაკი. ეს ის დრო იყო, როდესაც ოდნავღა ბჟუტავდა ქართული მწერლობა, ოდნავღა სცემდა ქართველის ოდესღაც მაგარი მაჯა. ეს ის დრო იყო, რომელსაც თვით აკაკიმ პოეტის რაფიელ ერისთავისადმი მის იუბილეზე მიმართულს სიტყვაში უწოდა „მარტოხელობის დრო". გზა სავალი ერთობ უტეხი და ეკლიანი იყო, მაგრამ ილია-აკაკისაგან ციდან ჩამოტანილმა მადლმა და ცეცხლმა წყვდიადი ნელ-ნელა გაარღვია, გაიკაფა ეკლიანი გზა. აკაკიმ მთელი ნახევარი საუკუნე თავისი კალთით ატარა ბედი და უბედობა ქართველი ერისა. მისი ტანჯვა და ვაება, იგი მუდამჟამს შეუწყვეტლად აკმევდა ხალხში წმინდა სიყვარულს სულით დაობლებულ სამშობლოსადმი.

აკაკი ჩვენი ერის მესაიდუმლეა, ერის გულიდან ამოღებული მარგალიტია, იგი თვით საქართველოა, იგი თვით ქართველი ერია.

აკაკი სალოცავ ხატად აღიბეჭდა ერის გულში, ხოლო ერის სახე იმის გულში. ვითარცა ღამის გუშაგი, ვერცხლებრ ბრწყინვალე მთვარე, — ეს მგოსანთა და მიჯნურთა სატრფიალო არსი, — თვის სახეს მდინარის კამკამა და სპეტაკს სარკეში აღბეჭდავს ხოლმე — და ამ სახის ხელით დაჭერა, მისი მდინარის სარკიდან ამოწურვა შეუძლებელია, ისევეა აღბეჭდილი აკაკის ბადრი სახე თვისი ერის ტურფა სარკეში და ამ წმინდა სახის წაშლა და ამოღება ერის გულიდან წარმოუდგენელია.

თვით ლექსში — „ხატის წინ" აკაკი სამშობლოს ხატს ეძახის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლიან მე განა?

რად გახატდა აკაკი ხალხის გულში? სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აკაკიმ თავის სამშობლო ერს მიაშურა. იგი ერთადერთი მწერალია, ერთადერთი მგოსანია, რომელიც პირდაპირ გაეცნო თავის ხალხს, თავის ერს, ჩაიხედა იმის სევდიანს, მაგრამ უმწიკლო სულსა და გულში. იქიდან სევდიან ცრემლთაგან შეკინძული მარგალიტები ამოკრიფა, მძივად აკინძა, თვისს ჩანგს სიმებად დაასხა და მადლიანი მარჯვენით ააჟღერა იგი. აკაკი ამ ჩანგით აწვეთებდა ყურში ქართველს მამულის სიყვარულს, მტკიცე ერთობასა, ერთად შედუღებას, თვით გვითხრა:

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო, —
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები,
ოდელა-დელა-დელაო...
მწერიც კი სცხოვრობს ერთობით,
ფუტკარი... ჭიანჭველაო...
ჩვენ რათ ვიმღერით ცალ-ცალკე...
ოდელა-დელა-დელაო!
ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის — სახრჩობელაო...

ამ ჩონგურის ჟღერით ერის ცრემლთაგან დასევადებული მარგალიტები ისევ ხალხს გადასცა სულის საოხად. ქართველი ერი ამ ჩანგის ჟღერაში თავის თავს ცნობილობს და ამიტომ ადიდებს თავის დიდ მოჭირნახულეს.

არც ერთი ჩვენი, როგორც ვთქვით, საზოგადო მოღვაწე, არც ერთი ჩვენი მწერალი, გარდა ზოგიერთი ბელეტრისტისა და ძმათა რაზიკაშვილებისა, ხალხში არ გასულა სამოქმედოდ აკაკის მეტი. ყველამ მოიკალათეს ქალაქებში, ხალხი მათ არ იცნობდა და არ იცნობს პირადად და ისინი ხალხსა. ეს იყო და არის დღესაც ჩვენი დიდი ნაკლი. ჩემი ღრმა რწმენით, აკაკიმ რაც მგოსნობით გააკეთა, ერთი იმდენი — ხალხში გასვლით. იგი ყოველწლივ ეწვეოდა ხოლმე სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს — ქართლს, კახეთს, იმერეთს, ბოლოს გაიხ-

სენეთ მისი მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში; პირადად ეცნობო-და თავის სატრფიალო ერს, სთესდა ხალხში ცხოველ სიტყვას, მით ჭირ-ვარამს უქარვებდა და ნაღვლით და სევდით დაჟან-გებულს ერის გულს სწმენდდა.

* *

როგორც კერძო კაცს, ისე ხალხს, მთელ ერს, მწარე ხვედ-რისაგან დაბეჩავებულს, ბედჩაბნელებულს, იმედის შუქი მოე-ფინება ხოლმე, გააღაღანებს მის გულს, როგორც ჯეჯილს ჟუ-ჟუნა წვიმა და ზე აღამაღლებს მას. როგორც მოგეხსენებათ, სა-მოციანი წლებიდან ჩვენი მითვლემილი, მირულული ცხოვრე-ბა ახმაურდა, მასაც ბედმა გაუღიმა: მძლავრად გაისმა „თერგ-დალეულების“ მკვეთრი ხმა, ხმა ახალგაზრდობისა, რომელიც უხმობდა ქართველ ერს ახლი ცხოვრებისაკენ. შვილებმა მამე-ბისაგან აგებულ ძველ შენობებს ნგრევა-შეკეთება დაუწყეს. მათი წერაქვის ხმა მამებს ეუცხოვათ, მუქარით მუშტი აღმარ-თეს, მაგრამ შვილები მათ მუქარას არ შეუშინდნენ. მტკიცედ დაარჭვეს მაგარ ნიადაგზე თავიანთი ბაირაღი. აი, ამ „თერგ-დალეულთა“ შორის აკაკიც იყო. მისი ლექსები იბეჭდება ჯერ „ცისკარში“. აი, გამოვიდა ლექსთა კრებული „ჩონგური“, მშვენივრად გამოცემული კირილე ლორთქიფანიძისაგან, რო-მელშიაც აკაკის ლექსებიც იყო; აი, დაიბეჭდა „მნათობში“ აკაკის ზღაპარი „შვილო ალექსი“; აი, აივსო ნიკოლაძის „კრე-ბული“ მისი ნაწერებით; აი, ყოველკვირა „დროებაში“ იბეჭ-დება მისი მკვირცხლი ფელეტონები „ცხელ-ცხელი ამბები“,— და აკაკი ხალხის თვალში გაიზარდა, მისი ხსენება, სახელი, მი-სი ხილვა სანატრელი გახდა.

* *

გვენატრებოდა აკაკის ხილვა მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც მწყურვალე ხვადაგივით ეწაფებოდა მის ნაწერებსა. ნატვრა მოუთმენელ ოცნებად გადაიქცა. ამჟამადაც სავსებით ვერ ვიდგენ იმ ბედნიერ წამს, როცა პირველად ვიხილე აკაკი. იმ დროს, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ქართველ სა-ზოგადოებაში გასული იყო ერთი ჩვენი ამხანაგი, იოსებ ბაქ-რაძე, პოეტი; იგი ნათესავი იყო ან. ფურცელაძისა, ვისთანაც

ხვდებოდა იგი ჩვენს მწერლებს... აი, ეს ბაქრაძე დაგვპირდა, მე გიჩვენებთ აკაკისო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დღეს-ხვალ, მოთმინებამ გული გადაგვილია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირაობით მთელი ტფილისის ახალგაზრდობას ალექსანდრეს ბაღში ნახავდით. იქ, სადაც ამჟამად აშენებულია „ტაძარი დიდებისა“, ბაღში ფართე კიბე ჩამოდიოდა; ამ კიბით ჩადიოდა მოსეირნე ხალხი ბაღში, რომელიც იმ დროს სალაყბოს როლს ასრულებდა. ამ კიბესთან კვირა დღეს ვუდარაჯეთ ბაქრაძის ბელადობით ჩვენს მწერლებსა.

აი, მოდიან ოროლნი ხელგაყრით, ორს მოწინავეზე სოსიკო ბაქრაძემ მიგვითითა — აი, ეს მაღალი, გრუზათმიანი, აკაკია, ის მეორე — შავწვერა, გიშრის თმა-წვერ-წამწამიანი, ცქვიტი — ნიკოლაძეაო, მეორე წყვილზე — ეს სერგი მესხია, „დროების“ რედაქტორი და გიორგი წერეთელიო. დიდებული სანახავი იყო მაშინ აკაკი: მაღალი, ბრგე, მხარბეჭიანი, ხუჭუჭი თმა ბუჩქივით ადგა თავზე და შემოსჯაროდა ფართე და ნათელ შუბლსა. ჩვენ გამოვლენჩდით, პირღია დავრჩით, ვგრძნობდით, ვითომ მიწას ავცდით, ცად ავედით და იქიდან ვიყურებოდით, ისე მიგვიზიდა აკაკის სახემ და მთლად ჩვენი დიდებული მწერლების ხილვამ. ის იყო და ის. აკაკი სამლოცველოს ხატად გადაექცათ მაშინდელ უკვე დაჭაბუკებულ მოწაფეებს. მაშინდელი მოწაფეები ხარბად დაეწაფნენ ახალ ლიტერატურულ მოძრაობას, ჩვენს მასწავლებელს — მწერლებს ბაძვა დაუწყეს, ხელთნაწერი ჟურნალები გაიჩინეს, ხან მათი ნაწერებიც იბეჭდებოდა.

ახლაც ცხოვლად მახსოვს ის განცდა, რომელიც გამოვიარე „დროების“ რედაქციაში ერთი ჩემი წერილის მიტანის დროს. ეს იყო 1872 წლის მარტში. აქ კვლავ ვიხილე აკაკი, ნიკო, სერგი, გიორგი!.. როგორც „ბურსაკს“, გამბედაობა, სითამამე მაკლდა, თვალთ ამიჭრელდა, ოფლში ჩავვარდი, ენა სასას აერქვა, წერილი გავუშვირე. შემატყვეს შეკრთომა, აკაკიმ ხელი გამომიწოდა, სკამი მომიდგა, მორცხვად დავეშვი, ეკლებზე ვიჯექი. ახალგაზრდა ქურუმებთან თავი არ მეღირსებოდა. ველოდი მათ მსჯავრს, გულში მენატრებოდა მალე თავი დამეღწია. სერგიმ წერილი ჩაათვალიერა, ღიმილით გადმომხედა, დავბეჭდავთო... გულზე მომეშვა, ჭირის ოფლის ალი

შემინელდა, აკაკი მომეტკბილა: იარე რედაქციაში, ამხანაგებიც მოიყოლიეთ ხოლმეო.

აკაკი მალე ჩვენი მწერლობის ბურჯი შეიქმნა. გულის ფანცქალით ველოდით პროვინციაში „დროების“ კვირის ნომრებს, რომ აკაკის ფელეტონები — „ცხელ-ცხელი ამბები“ და მისი ყვავილ-სურნელოვანი ლექსები წაგვეკითხა. ყველა იზეპირებდა ამ ლექსებს, ყველა ჩანგსა და ფანდურზე ამღერებდა, თანდათანობით ძვალ-რბილში უჯდებოდა მკითხველ საზოგადოებას აკაკის ნააზრევი, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობას.

აკაკი ხშირი სტუმარი იყო ქართლისა, განსაკუთრებით ქ. გორისა, რომელსაც ლექსიც კი უძღვნა: „გორო, ქართლის მეთაურო“. გორში ჩემთან და მათე კერესელიძესთან ჰქონდა ბინა. რამდენიმე კვირით რჩებოდა ხოლმე.

მაშინდელი გორის ქართველი ინტელიგენცია ქებული იყო თავისი ენერგიული მოქმედებით, სააწმყოო და სამყობადო მისწრაფებებით. მისი მოსვლა გორში და ქართლად სწორედ დღეობა იყო: გარს ერტყმოდა ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა საოსტატო სემინარიისა, ქართული ოჯახები, სადაც შერჩენილი იყო კიდევ ძველი ოჯახური სული, ფაქიზი ზნეობა და მამულის სიყვარული. დიდ გავლენას ახდენდა აკაკი მოსწავლე ახალგაზრდობაზე — მომავალ მასწავლებლებზე ჩვენი ხალხისა. ისინი პირადად ისმენდნენ აკაკის ტკბილ, მოსწრებულ ნალაპარაკევს, მის ხელდახელს, მომენტის მიხედვით, წარმოთქმულ ლექსებსა; ითვისებდნენ მამულიშვილურ აზრებსა და ახალ მიმართულებას. ინტელიგენციის გარეშე მისი მუდმივი მსმენელნი იყვნენ გორის საოსტატო სემინარიის მოწაფენი: ლუკა რაზიკაშვილი — დიდებული ვაჟა-ფშაველა, ნიკო რაზიკაშვილი — ბაჩანა, სანდრო ნათაძე — უებრო მასწავლებელი და მწერალი, თეოფილე ხუსკივაძე — ბელეტრისტი, ალექსანდრე ციმაკურიძე (ფსევდონიმით „სა“ მთარგმნელი ჰაინეს ლექსებისა), ნიკო ლეონიძე და სხვ.

ნადიმი ნადიმზე იყო გადაბმული. ნადიმის თაიგული იყო აკაკი. ნადიმზე გაუთავებელი ნაკვესების სროლა იყო, ზეაღტაცებული სიამოვნებით და განუზომელი მხიარულებით, აკაკი ექსპრომტს ექსპრომტზე ამბობდა. სანადიმო სიტყვებს ხომ დასასრული არ ჰქონდა. აკაკი თანამედროვე ცხოვრების რო-

მელიმე მოვლენას შეურჩევდა ისტორიულ ამბებს: ერთხელ ჩვენს დედებს შეეხო და მოიყვანა ცოტნე დადიანის [illegible] მეუღლის თავგანწირვა მამულისა და თვისი სატრფოს [illegible]-სათვის; სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა და ყველას სევდის ცრემლი ჩამოეკიდა წამწამებზე. შემდეგ ეს ამბავი ლამაზ პოემად გარდაქმნა და უწოდა „ნათელა“.

ნადიმების გარდა, ვმართავდით, მისი თანდასწრებით, ლიტერატურულ საღამოებს. ხალხის ტევა არ იყო ხოლმე; აკაკის სცენაზე გამოსვლა და ოვაცია ერთი იყო: დაუსრულებელი ვაშა, ტაში, აღფრთოვანება!

როცა რაიმე აზრი დაებადებოდა თავში, აკაკის ისედაც ბადრი, ბრწყინვალე სახე მზეებრ გაუბრწყინდებოდა, თვალები დაურბოდა და ხელს მალ-მალ ისვამდა ულვაშებზე, ისწორებდა, თითქოს სწმენდდა; მაშინ ის გაბრუებული იყო, გართობილი ოცნებაში, ვინ იცის, სად დაჰყავდა იგი ოცნებას, ის მაშინ ამ ქვეყნად აღარ იყო. ამ ყოფაში ვტოვებდი და ფეხაკრეფით გავეცლებოდი. ასეთი მდგომარეობა ხშირად ეწვეოდა ხოლმე, ამას მოყვებოდა რომელიმე დიდებული ნაწარმოები.

— განა დაგვიდგება ხაია ცარიხძის ბრჭყალეთისაგან თავის დახსნის-მეთქი, — ვუთხარი ერთხელ მე.

— შენ პესიმისტი ყოფილხარ, მე ღრმად მწამს. რომ რუსთველის სამშობლო კვლავ აღდგება, ჩვენს საქართველოს ბევრი რამ გადახედია, მაგრამ ჩვენში იმოდენა ნიჭებულობაა, ჩვენს ერში ისეთი დაფარული სულის ძალაა, რომ ჩვენი სიკვდილი შესაძლებელი არ არის; თუმცა ჩვენ უკვე ანდერძი აგვიგო გიორგი მუხრან-ბატონმა,* მაგრამ სტყუის უბედური, ჩვენს სიკვდილს ვერავინ მოესწრება.

ამ ლაპარაკის დროს მატარებელი წამოგვეწია და ცოტა გაწყდა აკაკი გაიტანა, შეიქნა აკაკის ამალაში ჟრიამული, უის ძახილი... უნებლიეთ შევწყვიტეთ ლაპარაკი და აკაკის შემოვეხვივენით. გახარებულებმა აკაკის გადარჩენით შევძახეთ მგზავრული და ოვაციით მივაცილეთ ვაგზლამდე.

* გიორგი მუხრანსკი იყო „ნამესტნიკობის“ დროს მისი შინაგან საქმეთა გამგე. მან რუსულ ენაზე დაწერა წერილი მცირე ერების ასიმილაციაზე მძლავრი ერებისაგან, ამ მცირე ერების უეჭველ მოსპობაზე, რაც საქართველოსაც უწინასწარმეტყველა. თავის დროს მუხრანსკის გამოეპასუხა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე).

* *

ზემოთ მოგახსენეთ, რომ, გორის გარდა, აკაკის ქართლად გასვლაც უყვარდა-მეთქი, ის ზაფხულობით ხშირი სტუმარი იყო ვანო მაჩაბლისა და ნიკო დისამიძისა. ვანომ, როცა ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, ტფილისიდან ამოიარა გორს, თან მოჰყვა აკაკი და ნიკო დიასამიძე; იმ დღეს მეც გავყევი თან სოფ. თამარაშენისკენ, სადაც ცხოვრობდა ვანო. გზად გავიარეთ ისტორიული სოფელი ნაჭარმაგევი, ახლა კარალეთად წოდებული. გორიდან მოკიდებული სოფ. ძევერამდე, მდ. ლიახვის ნაპირებზე, აყრილი ჭალა ყოფილა ნადირით, ფრინველით სავსე; მეც ყმაწვილობისას მოვესწარ, რომ გორიდან სამი ვერსის სიშორით კიდევ იყო ჭალა. ეს ადგილი ქართველ მეფეებს სანადიროდ ჰქონიათ დაცული. როცა ამ ადგილს დავუპირდაპირდით, აკაკიმ გაიხსენა გადმოცემა, რომ ვითომ აქ დავით აღმაშენებელს სანადიროდ ეწვივნენ შვიდნი მეფენი, ამჟამად ეს ადგილი წარმოადგენს ტიტველა სახნავ მინდორსა.

სოფ. ტყვიავში გველოდა იასე რამანის ძე ფავლენიშვილი, რომლის დილიჟნით მივდიოდით. ამ ფავლენიშვილს გვარით არავინ იცნობდა, თუ იტყოდით „იასე რამანიჩს“, მაშინ ყველა მიხვდებოდა. იგი იყო ერთობ პურადი, მხიარული მოქეიფე, მარილიანი მოლაპარაკე, მშვენიერი წარმოსადეგი, თითქმის ერთი საჟენის სიმაღლე ჭარმაგი მოხუცი. მისი ოჯახი განთქმული იყო განათლებითაც, შვილები სოციალისტ-ხალხოსნები იყვნენ. ერთი შვილი მისი, სტუდენტი რამანი, დაჭერილი იყო პეტერბურგში, ციხეში დაჭლექდა, როგორც იყო ავადმყოფი დაიხსნეს და სახლში ეღირსა სიკვდილი. იასე რამანიჩი აკაკის ნაწერებით იცნობდა. წარმოდგენილი ჰქონდა, რომ აკაკი დიდ პოეტობასთან ერთად რაღაც დიდი, უზარმაზარი ტანისაც იქნებოდა. აი, გაჩერდა დილიჟანი, გამოეგებნენ მასპინძლები; ვანომ გააცნო იასე რამანიჩს აკაკი. იასემ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და გაოცებით წარმოსთქვა:

— ეს არის ჩვენი აკაკი?!.. მე ერთი იალბუზის ოდენა რაღაც მეგონა და ჩემი სიმაღლეც არ არისო...

ბევრი ვიცინეთ, ვიმხიარულეთ. იასე რამანიჩის მოსწრებულმა ლაპარაკმა, პურადობამ, გულგაშლილობამ, დაუსრულებელმა მხიარულებამ აღტაცებაში მოიყვანა აკაკი და მასუკან მაჩაბელთან ავლა-ჩავლის დროს ინახულებდა ხოლმე იასე რამანიჩის ოჯახსა.

* *

1884 წელს თებერვლის 5—6-ს ქ. გორში იყო შესანიშ-
ნავი კრება გორის მაზრის თავადაზნაურობისა. განსახილვე-
ლი იყო ფრიად დიდი, კარდინალური საკითხი: დაარსდეს სა-
თავადაზნაურო გიმნაზია და შედგეს ამისათვის თანხა. მაშინ-
დელმა თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შალიკაშვილმა დაამ-
ზადა სიები, საგანგებოდ არჩეული კომისიის შემწეობით. დიდ-
ძალი ხალხი დაესწრო კრებას. ტფილისიდან ამ დღისათვის
მოვიდნენ აკაკი, ვანო მაჩაბელი და გიორგი წერეთელი. კრება
ქარიშხლიანი გახდა, ორ ბანაკად გაიყო თავადაზნაურობა,
მემარჯვენე ჯგუფში იდგნენ უკვე ცნობილი გორის მაზრაში
რენეგატები, მარცხნივ — ქართლის ინტელიგენცია, ღარიბ
თავადაზნაურობა ნ. დიასამიძის მეთაურობით. მოწინააღმდეგე-
ნი ეკუთვნოდნენ დიდგვარიან თავადებს: ერისთავები, ამი-
ლახვრები, თარხნიანი. აზნაურთაგან წინააღმდეგი იყო ჩიტი
კალატოზიშვილი, ცნობილი მოჭიდავე, უშველებელი, ოტრო-
ველა კაცი, მაგრამ ხალხის აღელვებულმა ტალღამ გააქანა
დევ-გმირი კარებისაკენ და ხმა ჩააწყვეტინა.

— საოცარია ჩვენი ხალხი, — იოხუნჯა აკაკიმ, — ამოდენა
კაცისათვის „ჩიტო“ იმისთვის დაურქმევიათ, რომ ამო-
დენა თავში ჩიტის ჭკუა აქვსო.

ცხარედ იცავდა სწავლის საქმის მოწყობას რ. ერისთავი,
მაზრის უფროსად ნამყოფი, მისმა სიტყვამ ყველანი გააოცა.
ტფილისიდან მოსულებმა და ქართლის ინტელიგენციამ რე-
ვაზ ერისთავს მადლი შესწირა სწავლის საჭიროების დაცვისა-
თვის. სამაგიეროდ ყველა გააკვირვა თავისი რეტროგრადო-
ბით მაზრის უფროსმა ამირინდო ამილახვარმა, რომელიც მაზ-
რის უფროსობამდე თავადაზნაურობის წინამძღოლად იყო. იგი
წინააღმდეგი გახდა გაეღოთ ფული სწავლა-განათლების სა-
ჭიროებისათვის, დიდი რიხით განაცხადა ეს თვისი რეტროგრა-
დული აზრი, მაგრამ მიხ. ყიფიანმა, ხალხოსნური მოძრაობის
ლიდერმა ქართლში, ისე შეაჩვენა, რომ იძულებული იყო კრე-
ბიდან გაპარულიყო. ყველას გაუკვირდა ახალგაზრდა მაზრის
უფროსის ასეთი გამოლაშქრება ქართული გიმნაზიის დაარსე-
ბის წინააღმდეგ.

— მე არ მიკვირს და არც გამკვირვებია, ამილახვარი რის

ამილახვარი იქნება, — სთქვა აკაკიმ ღიმილით, — თუ საზოგადოება და მისგან წამოყენებული კეთილი საქმე არ [illegible] რაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, აკაკის წინასწარმეტყველება მალე ასრულდა: ამილახვარმა მთელ მაზრას მოფინა „ზეკუციები“ და მით სურდა ქურდ-ავაზაკობა მოესპო. ეს ხანა მისი უფროსობის უბედურება იყო მთელი შიდა ქართლისათვის.

კრება უინციდენტოდ არ გათავდა, ერთმანეთს კალოშები დაპარეს, ჩავარდა ერთი ალიაქოთი, ერთიმეორეს ფეხიდან ხდიდნენ კალოშებსა. ვანო მაჩაბელმაც დაკარგა კალოშები.

— მადლობა ღმერთს, კალოშები არ წამოვიღეო, — თქვა აკაკიმ, — [illegible]ოდი, გორელები კალოშების მტრები არიან, ჰკუა მასწავლეს მას შემდეგ, რაც ერთხელ გორის კლუბში კალოშები ამწაპნესო.

— კაი ხუმრობაა, შენმა მზემ, ამ სიცივეში და ხელამდე ტალახში უკალოშოდ ყოფნაო, — უთხრა ვანომ.

— მე კი გირჩევ, როცა გორში მოდიოდე, კალოში არ წამოიღოო, — ღიმილით უთხრა აკაკიმ.

მართლაც, გორში კალოშების პარვა სენად იყო გადაქცეული.

ამ კრების ამბავი სამ ფელეტონად დავწერე ამ სათაურით: „თებერვლის ხუთი“, დაიბეჭდა 1884 წ. „დროებაში“. თუმცა ფელეტონები ხელმოუწერელი იყო, მაგრამ ჩვენს ნაწერს სტილით იცნობდნენ, დამიწყო დევნა მაზრის უფროსმა, ჯერ ცემა და მერე მოკვლა დამიპირეს, მაგრამ ქარიშხალმა მალე გადიარა: ამილახვარი გამოცვალეს.

* *

ჩვენში, — რამდენადაც მახსოვს, — საჯაროდ ლექციას არავინ კითხულობდა რომელიმე თვალსაჩინო მოვლენაზე, რომელიმე ლიტერატურული განძის განსახილველად; იყო ხოლმე მხოლოდ ლიტერატურული საღამოები, სადაც ჩვენი პოეტები კითხულობდნენ თავის ლექსებსა, ან რომელიმე დეკლამატორი ენაწყლიანად წარმოთქვამდა ჩვენი პოეტების ნაწარმოებთა. პირველი პიონერი ლექტორობისა იყო აკაკი, რო-

მელმაც დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ ლექციების კითხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის ახალგაზრდობამ დაავალა ნ. დიასამიძეს, ცხობილ საზოგადო მოღვაწეს, მოეწვია აკაკი „ვეფხისტყაოსანზე“ ლექციის წასაკითხად. მოვაწყვეთ გორის კლუბის დიდი დარბაზი, დაიდგა პატარა სცენა. მაშინ კლუბის მამასახლისად მე და დიასამიძე ვიყავით. დღე დანიშნულია, კლუბის მსახურთ დავალებული ჰქონდათ მოეწყოთ ყველაფერი საღამოსთვის, მივედით, რა ვნახეთ! ხელი არავის გაუნძრევია.

— რაშია საქმე? — ვეკითხები კლუბის ოფიციანტებს.

— მამასახლისმა სემენოვმა აგვიკრძალა, არ შეიძლება ლექციის წაკითხვაო, კლუბის ხალხი სადღა წავიდესო, — გვიპასუხა მსახურმა.

სემენოვი იყო მაშინ საოსტატო სემინარიის დირექტორად. დიასამიძე ბუნებით ერთობ ჩქარი იყო, აენთო სიბრაზით, გაცეცხლდა.

— კბილით დავგლეჯ, თავს მოვჭრი, თუ ეს მართალი გამოდგაო, — ყვიროდა იგი. მე რაც შემეძლო ვამშვიდებდი. სემენოვი დარბაისელი კაცი იყო და მე ეჭვი შევიტანე, აქ რაღაც სხვა ხრიკი უნდა იყოს-მეთქი, ვფიქრობდი. მეორედ, იმ ღამეს, როცა ლექცია უნდა წაეკითხა აკაკის, მორიგ მამასახლისად იყო ექიმი ტერ-მინასოვი, ჩემი მოსაზრება მართალი გამოდგა, სემენოვმა რა ნახა აპილპილებული დიასამიძე, გაოცებით ჩაეკითხა:

— რა მოხდა, ნიკოლოზ დავითიჩ! რამ აგაღელვათ, რად გასჯილხართ?!

— თქვენ მოგიხსნიათ დღეს აკაკის ლექცია. მაკვირვებს თქვენი საქციელი!

სემენოვმა პირჯვარი გადაიწერა, დიასამიძეს მხარზე ხელი დაადო და წყნარად უთხრა:

— მე თუმცა ქართული არ ვიცი, მაგრამ მაინც დავესწრები, აი, ბილეთი; მე არავითარი განკარგულება არ მიმიცია, ვერც მივცემდი, ვინაიდან მე დღეს მორიგე მამასახლისი არა ვარო. აქ რაღაც ხრიკია ვისიმე, როგორ შეიძლება გადადება, უბრძანეთ დაამზადონ ყველაფერიო.

აღმოჩნდა, რომ მამასახლის ტერ-მინასოვს, სემენოვის სახელით, ებრძანებინა ოფიციანტებისათვის ლექციის მოხსნა.

დიასამიძე ვეღარ შევამაგრეთ, ტერ-მინასოვი თოჯა კაცი იყო; დაავლო ხელი დიასამიძემ, მაღლიდან ქუჩაში უნდოდა გადაგდება, მაგრამ დავიხსენით, მისი ძმა წამოეშველა, ორთავენი გატყიპა, დაასისხლიანა და პანღურით გამოუძახა კლუბიდან.

ქარიშხალმა გადაიარა, ლექციამ დიდი ხალხი მოიზიდა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლექციის შემდეგ ნადიმი გაიმართა. ვახშამზე აკაკიმ იოხუნჯა:

— რუსთაველის ტარიელმა, ლომისგან გაჯავრებულმა, ლომი მიწას დაანარცხა და მოკლა, ვით აკადრე სატრფოს — ვეფხვს წყენაო, მაგრამ მერე ვეფხვსაც ლომის საქმე დამართაო და ორთავეს სიცოცხლე მოუსპოო. ნიკომაც პატარა ტარიელობა გამოიჩინა დღეს: ლომ-ვეფხვის ნაცვლად კატები ააჩხავლაო.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ის გორელი სომხების ოჯახები, რომლებიც მეთერთმეტე საუკუნიდან მოსახლეობდნენ გორში, ქართველებისაგან არ ირჩეოდნენ, ჭირსა და ლხინში ერთად იყვნენ; ქართულ წარმოდგენებს უკლებლად ესწრებოდნენ, აგრე კიდევ სხვა ქართულ საქველმოქმედო საქმეებს ხელს უმართავდნენ; მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გენერალ ვასილ ბებუთოვისაგან ქართლში გადმოსახლებული „სანჭრაქა"* სომხები შოვინისტობდნენ. ხსენებული ტერ-მინასოვის მამა ასეთი სომეხი იყო.

* *

აკაკი გორში ერთხანად დიდხანს დარჩა, წაღები შემოაცკდა, ვეღარ გამოდიოდა, საზოგადოდ ძალიან ბელეშად იცოდა ჩაცმა-დახურვა. სულ ერთია, როგორც უნდა ჩავიცვა, ნათქვამია: „მღვდელს ჭილობში იცნობენო". არც ფული ჰქონდა, ეყიდა, დავიყოლიეთ და შევუკერვინეთ. წაღები ვიწრო მოუვიდა, მაგრამ მაინც ჩაიცვა და გავისტუმრეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ისევ გორს თავისი პიესის „თამარ ცბიერის" დასადგმელად. თან მოყვნენ ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც საუცხოოდ თამაშობდა „თამარ ცბიერში" გოჩას როლსა, და სოსიკო მერკვილაძე. ჩამოხტნენ ჩემსას, მეამა, რასაკვირველია, ძვირფასი სტუმრების მოსვლა, გადავკოცნეთ ერთმანეთი. მე მუშტრის თვალით თავით ფეხებამდე შევათვალიერე აკაკი.

* ჩარჩი.

— ფეხზე ნუ მიცქერი, ახალი წაღები მაცვია, თქვენმა ვიწრო წაღებმა ისე გამაფრთხილეს, გორს რომ მოვდივარ, ფეხზე წაღებს ვიშინჯავ, დახეული არ იყოს და გორელებმა კვლავ ვიწრო წაღით ფეხები არ დამიკოჭიონო.

დაიწყეს მზადება „თამარ ცბიერისა“. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო; მესხიშვილის თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, ასე რომ, მთელი წარმოდგენა გაბმული ოვაცია იყო აკაკის და მესხიშვილისა.

ერთ სადილზე ჩემთან მთელ ინტელიგენციას თავი მოვუყარე. შემოგვემატა ნადირობიდან დაბრუნებული „ნობათის“ რედაქტორი, ანდრო ღულაძე. როგორც მოგეხსენებათ, ქართული სუფრა უღვინოდ, უსიმღეროდ, განსაკუთრებით უმრავალჟამიეროდ არ მოხერხდება. მესხიშვილიც იმ დროს ხმაზე იყო; გაიბა „მრავალჟამიერი“. ღვინომ შეგვახურა, გავკიოდით: „ყანწით ვსვამ ღვინოს, შენს სადღეგრძელოს და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს“, ზედ მივაყოლეთ „მიმინო მყავდა, მყავდა, მიყვარდა“. აკაკის ღვინის სმა და ასეთი ხმიანი ღრეობა არ უყვარდა, თავი მოვაწყინეთ და გვითხრა:

— ყანწით რომ ღვინოს სვამთ, ამას ვხედავ, მაგრამ უმიმინობას კი გამჩნევთო, მიმინო რომ გყავდეთ, ამდენი მწყერებიც არ გეყოლებოდათო.

* *

1893 წლის აპრილში მე ქალაქ ფოთს გადამიყვანეს საქსახურში. ამ ხანაში ტფილისიდან ახალსენაკის სადგურის უფროსად გადმოიყვანეს ჩვენი დრამატურგი ასიკო ცაგარელი, ცოლიც, ნატო გაბუნია-ცაგარელისა, თან მოყვა. ხშირად, ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთსა. აკაკი ერთი წელიწადი გავიდა, აღარ მენახა. ასიკომ შემატყობინა, აკაკის მოვალი და უსათუოდ ჩამოდი ახალსენაკშიო.

გამეხარდა, მეამა, ჩავედი. აკაკი ცაგარელიანთსა უკვე ჩამოსულიყო, მიდიოდა თავისი დის, ნ. დადიანის ცოლის, სანახავად. ნატომ დაირაზე დაამღერა აკაკის „ალმართ-ალმართ მივდიოდი მე ნელა“. ჩვენთან იყო ახალსენაკის ინტელიგენცია. ოხუნჯობას, ენაწყლიანობას, კალამბურებს საზღვარი არ ჰქონდა. ნატოც ხომ ენაწყლიანი ოხუნჯი იყო. სიმღერა, ლექ-

სები, ხალხური სცენები, ასიკოს კინტოური, მეგრული ფეხ-
მარდი ლეკური!..

სხვათა შორის, სადილზე იყო ახალსენაკის „სასულიერო“ სასწავლებლის მასწავლებელი სტეფანე ძიმისტარაშვილი, პოეტი, რომლის ლექსები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „კორტოხას“ ფსევდონიმით. აკაკი, მეორე დილით, ცხენით დასთან გავისტუმრეთ. ძიმისტარაშვილმა თავისი ლექსების რვეული გაატანა, გადამითვალიერე და შენი აზრი მითხარიო. დაბრუნებისას კვლავ შევხვდი აკაკის ცაგარლიანთსა.

— როგორ ისიამოვნე, როგორ იმგზავრეო? — შევეკითხე აკაკის.

— შენი მტერი, მე საქმე დამემართაო, — გვიპასუხა ოხუნჯობით აკაკიმ. — გზაში ჩაქჩაქა ცხენმა კუკუზნაქი შემიდრეკა. იქ კი ამ სტეფანეს ლექსთა რვეულმა ტვინი გამომილაყაო.

ძიმისტარაშვილი ჩასთუთქა ამისთანა მსჯავრმა, აკაკიმ შეატყო და ნუგეში სცა:

— არა, სტეფანე, გემასხარავე. არის თითო-ოროლა მარგალიტებიც შენს რვეულში, — აი, მაგალითად, ზღაპარი ლექსად „ჩიტ-ბელურა“ მშვენიერია ბავშვების საკითხავადაო.

* *

ილია ისე გარდაიცვალა, რომ მის იუბილეზე ხმაც არავის ამოუღია. ჩვენმა საზოგადოებამ იგრძნო ეს დანაშაული და შეეცადა ცალუღელად დარჩენილ აკაკის მაინც უსათუოდ გადაუხადონ დღესასწაული დიდი ხნის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. მწერლებმა უძღვნეს ამ გარემოებას აღტაცებული წერილები, შეუდგნენ აკაკის დაფასებას. საიუბილეო კომიტეტმა გამოსცა ქართველი საზოგადოებისადმი მოწოდება.

იუბილე დიდებულად იქმნა გადახდილი დეკემბრის შვიდში 1908 წელს ჯერ ტფილისში, შემდეგ ქუთაისს და სხვა ადგილებში.

სხვათა შორის, მეც ერთ წერილში — „აკაკის დღესასწაული“ — შემდეგი სტრიქონები ვუძღვენ აკაკის: „დღეს გაგვითენდა დიდებული დღე, დღე ეროვნული დღესასწაულის, ასეთი დღე ჩვენში მეორეა.

ამ რვაასი წლის წინათ სულმნათმა შოთა რუსთაველმა მი-

ართვა სრულიად საქართველოს მეფეს თამარს თავისი ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი“. დღეს აკაკი წერეთელი წარმოგვიდგება თავის ერს, მთელ საქართველოსა, მიართმევს მთლად თავის სულსა და გულსა, სულსა, რომელმაც შექმნა ზღვა მარგალიტისა, დაუშრეტელი წყარო სიყვარულისა, ერთობისა და ძმობისა“.

ზემოთ ვთქვი, რომ აკაკის სწამდა ჩვენი დიდებული მომავალი; მაგრამ, აკაკის თუმცა ნატვრა აუსრულდა, თვით კი ვერ მოესწრო თავისი სატრფიალო სამშობლოს განთავისუფლებას მონარქიის ბრჭყალებიდან; სააქაო ცხოვრება დალია აკაკიმ 1915 წ. იანვრის 26 დღესა. იგი მხოლოდ ხორციელად გაშორდა ამ სააქაოს, სულიერად ჩვენთანვეა. იგი მხოლოდ მიიცვალა „სიკვდილისაგან ცხოვრებად“, მზე ჩაესვენა, მაგრამ მისი სხივი კვლავ გვინათებს გზასა სავალსა. მან იწინასწარმეტყველა, რომ მასაც, როგორც დიმიტრი ყიფიანს, „მთა წმინდა“ ჩაიხუტებს თავის გულში.

დიმიტრი ყიფიანი აკაკის ძალიან უყვარდა, დიდ პატივსა სცემდა. სხვა დროსა და სხვა ხანაში დიმიტრის დასაფლავებაზე მან წარმოთქვა თვისი ლექსი „განთიადი“.

ჩვენთან არს აკაკი!

ჩვენთან არს აკაკი!.. მე არ შემიძლია გავიმეტო თქმა იმისა, რომ აკაკი იყო ჩვენთან და დღეს აღარ არის. იგი დღესაც ჩვენთან არს. იგი ხორციელად მოგვშორდა, ხოლო მისი ნათელი სული მუდამ თავს დასტრიალებს აკაკის ღვთაებას, მის სამლოცველოს და მის ერთადერთ გულის სატრფოს — საქართველოს, თვის მშობელ ერს. მისი ნათელი სული ისევე იციმციმებს საქართველოს არემარეზე, როგორც სულნი სხვათა დიდბუნებოვან შვილთა საქართველოისა: დავით აღმაშენებლისა, ნინო, თამარ, ქეთევანისა, შოთასი, ირაკლისა, ილიასი და სხვ.

დიდი უბედურება დაგვატყდა თავსა, გამოგვაკლდა აკაკი, მაგრამ მაინც ვერ ვეტყვი ჩემს ტურფა ქვეყანას: „ვაი შენს დღეს, საქართველოვ! ვაი შენ, აკაკის დამკარგავსა!..“ არა, მე, პირიქით, შევღაღადებ სამშობლოს: „ვაშა, ვაშა, შენ, ტურფა ქვეყანავ, სამშობლოვ ჩვენო, წარმოშობისათვის დიდებულის აკაკისა. ორმოცდახუთმეტ წელზე მეტი თავს გევლებოდა,

შემოგტრფოდა, დარაჯად გიდგა, მტრები არ გაუხარებია შენზე. მაშ, კვლავ ვაშა შენ, ამისთანა ადამიანის შობისათვის!“

აკაკიმ რაც წერით გააკეთა, ერთი იმდენი ხალხში გამოსვლით, იგი ყოველწლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს კუთხეს საქართველოსას, ხან — მეორეს, ხან — მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს. ცხოველი სიტყვა გაჰქონდა ხალხში და ჭირ-ვარამს უქარვებდა და სწმენდდა გულიდან.

ბევრი ტკბილი და მწარე წამები, საათები, დღეები გამიტარებია აკაკისთან ერთად ქ. გორში, რომლის ხშირი სტუმარი იყო. მაშინ ჩვეულებად ჰქონდა: უბით დაჰქონდა რვეული, ძაფზე გაბმული კარანდაში ედო შიგ. უცებ ღამე სანთელს აანთებდა და რვეულში ჩასწერდა ლექსს, ან სხვა რამე გაგონილს ამბავს ხალხურსა. ერთხელ ჩემთან იყო ჩამომხდარი, იწვა ჩემს სამეცადინო ოთახში, დილით ადრე გამოვდიოდი ოთახში სამუშაოდ. ერთ დილას აკაკიმ მითხრა, აი, გიკარნახებ და ჩემს სახსოვრად ჩასწერე ეს ლექსიო:

ა რ წ ი ვ ი

გალიაში ზის არწივი,
ვეღარ ახერხებს ნავარდსა,
ვეღარც სჭვრეტს ატეხილ ჭალებს,
ვერც ჰყნოსავს ია და ვარდსა.

ტასჯვით იგონებს იმ ძველ დროს,
როცა თავს აჯდა იალბუზს
და ქვემოდ მავალ ცხოველებს
ოდნავ ხედავდა, ვითა ბუზს.

ცის მახლობლობით ამაყი,
ძირს ეშვებოდა შურდულად,
მსხვერპლზე პირდაპირ მიმსვლელი,
თვით დაიჭირეს ქურდულად...

გალიაში ზის მზე-ბნელი,
მარტოდ-მარტოკა ის ობლად
და იქვე ჯირკვზედ მიბმული
ბაიყუში ჰყავს მეზობლად.

ეს ისეთი ბაიყუშია, რომ მაგისი ჩამოშორება ძნელია, ბევრი ცდა დაგვჭირდება მისი ჩამოშორებისათვისო. ამ ბაიყუშს ობობასავით ქსელები აქვს გაბმული ქართველის გულღვიძლში და ძალიან ხელოვანი დოსტაქარი უნდა გამოგვიჩნდეს, რომ ეს ქსელები ამოწიწკნოსო...

ამ არწივის გალიიდან გამოხსნას შეალია აკაკიმ თვისი ნიჭი და გონება. შეფრფინვიდა, მას ეტრფოდა, მას ლოცულობდა. ისიც ილიასავით ელოდა არწივის გალიიდან გამოსვლას. აკაკიმ ამ თვისი სატრფო არწივის ბარტყები შეგინგლა, შებუმბლა, ფრთანი შეასხა მათ და აგერ-აგერ გალიეს გალია, ესწრაფვიან ქვეყნის ერთად შეკრებას, აკაკის ანდერძის აღსრულებას, ანდერძისა, რომელიც ყოველ მის სიტყვაში შუქურ ვარსკვლავივით გამოსჭვივის.

აკაკის ყველა დაახლოვებით მცნობსა ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მოზღვავებულია სულსა და გულში ეს სათქმელი, მაგრამ ისე დიდი მწუხარება დაგვატყდა თავსა, რომ კრიჭა შეგვიკრა და კალამს სიტყვები არ ეძლევა დასაწერად. მოვა დრო, ბევრი რამ ითქმის აკაკის შემოქმედებაზე, მის გენიაზე, მუდამ ხსენებაში იქნება მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე. მარად ჩვენთან იქნება, თვის სათაყვანებელ საქართველოსთან, თვის ერთან, მიჯაჭვულ ამირანთან, გალიაში დამწყვდეულ არწივთან, მისი „დაფი და ნალარა“ მუდამ უყივლებს საქართველოს შვილებს საგმირო საქმეებისათვის.

დღეს, დიდებულო მგოსანო აკაკი, შენი მთაწმინდაც დაფიქრებულა, ახსოვს მას შენი გალობა „თავდადებულის“ საფლავზედ:

ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.

მთაწმინდა მიგიკრავს თვის წიაღში და მკურნალად გაუხდება შენს მძიმე სენსა. დიმიტრიც და ილიაც დაგიამებენ შრომით მოღლილს სულსა და გულს. იყავით მთაწმინდას, დარაჯად თქვენი საყვარელი ქვეყნისა.

„არ მომკვდარა საქართველო“, შენით სცოცხლობს იგი, ახალო რუსთველო!

მართალია, მზე ჩაგვესვენე, მაგრამ შენი შუქი მუდამ გაგვინათებს გზასა, მუდამ ჩვენთან იქნები.

შენი შვილები მუდამ იგალობებენ: ჩვენთან არს აკაკი!..

* *

ერთს როძელიღაც მეცნიერს ჰკითხეს: რაღა სულ მიცვალებულის სურათებით აგივსია შენი სამეცადინო ოთახიო?

— ეს დიდებული მიცვალებულები მასულდგმულებენ, ღამე მეცადინეობის დროს ეგენი მაძლევენ ძალას, მხნეობას, აზრს მიცხოველებენ და აღძრავენ ხოლმე ჩემს გონებაში მათს ძვირფასს ხსოვნას და ათას ტკბილ მოგონებასო, — უპასუხა მეცნიერმა.

მართალი უთქვამს მეცნიერს.

ვუცქერ რა ჩემს სამწერლო მაგიდაზე დგმულს აკაკის სურათს, თავში ამერევა ხოლმე ათასი მოგონებანი აკაკის ცხოვრებიდან. არ იცი, რომელს მოკიდო ხელი, საიდან დაიწყო, მე აკაკი ისევ ცოცხალი მგონია, არ მემეტება სასიკვდილოდ, ასე მგონია ისევ აფლერს იგი თავის ტკბილ ჩანგსა, მაგრამ უნდა დავემორჩილო ბედსა და ვსთქვა მისივე სიტყვები:

ღმერთო, რა ვნახე, რას ვხედავ?
რა დრო დაგვიდგა ესაო?..

დიაღ, დაგვიდგა ის დრო, როდესაც სიკვდილმა თავისი გაიტანა, აკაკი ხორციელად მოგვშორდა და სამარადისო ცხოვრებას მიეცა.

აუსრულდა პოეტს დიდი ხნის ნატვრა... დღეს მთაწმინდა ჩაიკრავს თვის წიაღში თვის ღირსეულს შვილს, იგი ხომ მას ეხვეწებოდა:

ნურც ძვლდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო!..

დღეს მთელი საქართველო შენი წმინდა ცხედრის წინაშე მუხლს იდრეკს, იდრეკს იმის წინაშე, რომლის „სიცილი ბევრჯერ ცრემლზედ მწარე“ იყო სამშობლოს გულისათვის.

მეც მთელ საქართველოსთან მუხლს ვიდრეკ შენს წინაშე, დიდებულო ქართველო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწარე მოგონება

ჩემს გულში 26 წელიწადი ვინახავდი და არ გამიმხელია ის საზარელი ამბავი, რომლის მოწამეც მე თვითონ ვიყავი და, რომლის მოგონებაც დღესაც ტანში ჟრუანტელსა მგვრის, მაგრამ ახლა კი, ამ დღესასწაულის დღეს, აღარ ძალმიძს ჩემი გულისნადები მთელს ქართველ საზოგადოებას არ გავუზიარო.

1882 წ. 25 ენკენისთვეს დილის მატარებლით აკაკი იმერეთიდან ჩამოვიდა ტფილისს და ჩამოხდა სასტუმრო „ევერიაში", რომელიც მაშინ ჰქონდათ ძმებს — ლევანსა და დავით ორახელაშვილებს (ელისაბედისა და რიყის ქუჩის კუთხეში). აკაკიმ დაიკავა მე-4 ნომერი. მეც იმჟამად იქვე მეხუთე ნომერში ვიდექი, ჩემს გვერდით იდგნენ ჩემი ნათესავები — ბარნაბა ნემსაძე და ვიქტორ ლეჟავა.

იმ ღამეს თორმეტ საათამდე ჩვენ ყველანი, ძმები ორახელაშვილებითურთ (ორიც სხვა იყო, რომელთა გვარიც აღარ მაგონდება) აკაკისთან ვიყავით და ვტკბებოდით მისი მოსწრებული მჭევრმეტყველური საუბრით; შემდეგ გამოვეთხოვეთ და ჩვენს ოთახებში წავედით მოსასვენებლად.

მე წამოვწექ ახალუხის ამარა ჩემს ლოგინზე და განვაგრძე კითხვა ახლად მიღებულის — ხოზეს მარმოლის პოლიტიკურის რომანის კითხვა, რომელიც იბეჭდებოდა მაშინდელს ჟურნალ „ევერიაში" ამ სათურით: „ციხე შიგნიდან გატეხილი" თარგ. ი. ბაქრაძისა.

ჩვენსავით დაჩაგრულ-დამონებულ ერის თავგამოდებულმა და მედგარმა ბრძოლამ სამშობლოს განთავისუფლებისათვის, რომელიც ხელოვნურად არის აწერილი ამ რომანში, ისე გამიტაცა, რომ ძილი დამიფრთხო. საათის სამი გახდა. ყველაფერ ეძინა. იქაურობა სამარისებური სიჩუმით იყო მოცული, მხოლოდ ორი ფარანი ოდნავ ანათებდა საერთო მოაჯირს. უცებ რაღაც ფაჩუნი შემომესმა. ავწიე თავი, დავუგდე ყური, მაგრამ

ისევ სიწყნარე იყო. ორი წამის შემდეგ კიდევ შემომესმა ფეხ-ჩუნი, თითქო ვილაცის ფეხის ხმა იყო; ვიფიქრე, ალბათ, კატა თუ არის-მეთქი, რადგანაც წინ კარი დაკეტილი იყო და მუდამ მეკარე იდგა, ეზოში კი არავითარ ადამიანს არ შეეძლო შემოსვლა, იმრიგად იყო გარშემოკრული და ისევ მივდე თავი; მაგრამ მალე კვლავ შემომესმა ფეხის ხმა და შემდეგ კარის ჭრიალიც, წამოვხტი ზეზე, გავვარდი მოაჯირზე და უცებ თვალი მოვკარი, რომ აკაკის ოთახში ვილაცა კაცი შეძვრა; ელვის სისწრაფით გავექანე და მეც აკაკის ოთახში შევვარდი.

ღია კარებში შემოჭრილ სინათლის შუქზე დავიხახე აკაკის საწოლთან ავაზაკის ხელში აღმართული გაპრიალებული ბებუთი...

ის იყო უნდა ჩაეკრა გულში მშვიდად მძინარე პოეტისათვის, რომ მივვარდი ავაზაკს, მარცხენა ხელი ვსტაცე საყელოში და უკან გადმოზნექილს ავაზაკს მარჯვენა მუშტი დავარტყი სახეში; უცებ ვსტაცე მარჯვენა მაჯაში და შევსძახე: „დაგდე ხანჯალი, თორემ გაგათავებ მეთქი“. ავაზაკმა ხელი უშვა იარაღს და აკაკის ლოგინის წინ წკრიალი მოიღო ბებუთმა.

მგოსანი შეკრთა...

მე იმწამსვე გამოვათრიე გარეთ ავაზაკი, ხმაურობაზედ გამოვარდნენ გარეთ ნემსაძე, ლეჟავა, ძმები ორახელაშვილები და სხვებიც.

ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა... თავი ველარ შევიმაგრეთ, ვეცით ავაზაკს და კინაღამ დავაღრჩეთ... იგი უცებ გავათრიეთ მოსამსახურეების განაპირა ოთახში.

ავაზაკი ტირილით გვევედრებოდა:

— შემიბრალეთ, ნუ მომკლავთ... მე სიმართლეს გეტყვით... ან წაიღეთ ეს ხუთი ათთუმნიანი, რომელიც იმ კაცის მოსაკვლელად მომცეს... აი კიდევ ქამარი... ყველაფერი წაიღეთ, მხოლოდ ნუ მომკლავთ... ნუ დამახრჩობთ...

— ხმა, კრინტი, შე წუპაკო! შენა გსურს შენებრ ჩვენც ფულით შეგვისყიდო?! არა, მაგ ფულს საიქიოს გაგატანთ, სთქვი ჩქარა ვინ მოგგზავნა? ვინ მოგისყიდა? რათა? რისთვის?!

— რას სჩადიხართ, მართლა არ მოკლათ ეგ კაცი! — შემოგვძახა კარებიდან მწუხარე, აკანკალებული ხმით.

ეს იყო აკაკი, რომელსაც ტანისამოსი გადაეცვა და შემოვიდა ჩვენთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი მთელი რიგი ახალგაზრდათა თაობის აღმზრდელი იყო და მათ შორის ჩემიც, მთელი საქართველოს დაბალი ხალხის უსაყვარლესი და უძვირფასესი მგოსანი, მას შევხაროდით ყველგან და ყოველთვის, ის ჩვენთვის ღმერთი იყო...

აკაკის დანახვაზე ჩვენ შევკრთით, სახტად დავრჩით, მისმა ფერშემკრთალმა სახემ ჩვენ ყველანი ჩაგვაფიქრა.

— თქვენ მიბრძანდით, ბატონო, თქვენს ოთახში, დამშვიდდით, მოისვენეთ, ამაზე ნუ სწუხართ, ამას ჩვენ მოვუყლით! — ვუპასუხეთ ჩვენ.

— როგორ დავმშვიდდე ამისთანა მდგომარეობაში? გაანთავისუფლეთ, თუ გიყვარდეთ!..

— როგორ, ბატონო! თქვენი ძკვლელი, ავაზაკი გავანთავისუფლოთ? — მაშინ ჩვენ თავი ცოცხალი რაღათ გვინდა?!

— გეუბნებით, არ შეიძლება კაცის ცემა, კაცის წვალება და სიკვდილი მეთქი! გთხოვთ, ახლავე ჩემის თვალის წინ გაანთავისუფლოთ ეგ შემცდარი ადამიანი და გაუშვათ უვნებლად.

— ბატონო! თქვენ უნდა მოეკალით ამ...

— დიახ! მე უნდა მოვეკალი, ხანჯალიც ჩემს საწოლთან გდია, მაგრამ მაინცა გთხოვთ უთუოდ გაანთავისუფლოთ და უვნებლად გაუშვათ, გთხოვთ ნუღარცა სცემთ და ნურც პოლიციას გადასცემთ! — გვითხრა აკაკიმ.

ავაზაკმა დაიჩოქა აკაკის წინ და ტირილით უთხრა:

— ბატონო! მე ხომ თქვენ არ გიცნობდით, თქვენი თავი ახლოლოდ ვაგზალში მაჩვენეს, თქვენთან ხომ თავის დღეში არავითარი საქმე არა მქონია, ღმერთმა ჰკითხოს იმათ, რომელთაც შემაცდინეს და აი ამ ხუთი ათთუმნიანით ჭკუა და ნამუსი დამაკარგვინეს!.. გთხოვთ, გევედრებით...

— ჩაიდე ეგ ფული და წადი შენთვის, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! — უთხრა წყნარად მგოსანმა.

ავაზაკი ამ სიტყვების შემდეგ მთლად დაიბნა: მოეხვია მუხლზედ აკაკის და ქვითინი მორთო.

— ნუ სტირი, ადექი, წადი მშვიდობით! — უთხრა ლმობიერად მგოსანმა.

ავაზაკი კი განაგრძობდა ტირილს და ზლუქუნით ამბობდა:

— ვაჰ, მე ამისთანა კაცისთვის ხელი უნდა შემენო... ეს უნდა მომეკლა... მე სწორედ შეშლილი, გაგიჟებული ვიყავი... მე ახლა კი მართლა სიკვდილის ღირსი ვარ! მომკალით ბარემ, უნამუსო ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია!.. — მოთქვამდა ახლა ავაზაკი.

აბა, ჩვენ აკაკის თხოვნასა და სურვილს როგორ გადაუდგებოდით!

ავაზაკს ხელი შევუშვით, მაგრამ მტკიცედ მოვსთხოვეთ სრული სიმართლე ეღიარებინა ჩვენს წინაშე.

— მე ს... ვ-ი ვარ, ვინც მე, აი, ამ ბატონის მოსაკლავად გამომგზავნეს, იმათგანს არც ერთს არ ვიცნობ, არც მათი ბინადრობა ვიცი და არც მათი სახელი და გვარი; მე აქ დღისით მოვედი, წინაკარიდგან შემოვედი ჩუმად და ჩავიპარე ეზოში; იქ დახურულ დილიჟანში ჩავწექი და იქიდან ვუთვალთვალებდი, რომელ ოთახში იქნებოდა ის ბატონი.

ავაზაკი შუა ტანისაზე ცოტა მაღალი იყო, ჩასხმული, მხარბეჭიანი, წაბლისფერ წვერ-ულვაშიანი, ხნოვანობით ოცდაათის წლისა თუ იქნებოდა; გარეგნობით ავლაბრის კინტოსა ჰგავდა, ყარაჩოღული ტანისამოსი ეცვა: ბუხრის ქუდი, გულგადახვეული მოკლე ახალუხი, ბრტყელი, ერთიანი ვერცხლის დიდი ქამარი, მონაოჭებული ჭუპნა ჩოხა, განიერი შარვალი, ჩაბალახი და ყელჩაკეცილი ჩუსტები.

აკაკის მოთხოვნის თანახმად ავაზაკს გატეხილი თავი და თვალ-წარბი შევუხვიეთ, მერე თვითონ მგოსანის თანდასწრებით გავუღეთ წინაკარი და გავუშვით.

კარში გასვლის დროს ავაზაკმა დაიფიცა:

— დედა შემერთოს ცოლად, თუ დღეის იქით ქალაქში ჩემი ფეხი იქნეს და ან თუ ეს ფული მე მოვიხმარო!..

ცა მოწმენდილი იყო და განთიადის შუქი უკვე მოტანებული.

ჩვენ დავრჩით საშინლად აღელვებული, ძარღვები სიბრაზით გვითრთოდა, აღარ ვიცოდით, რა გვექნა, რომ ავაზაკი ხელიდგან გავუშვით და ვერც მისი მომსყიდველების სახელი და გვარი შევიტყვეთ.

აკაკის წინადადებით ჩვენ გადავწყვიტეთ და იქ დამსწრე-

საც ყველასა ვთხოვეთ, რომ ეს ამბავი საიდუმლოდ დაცული-
ყო და არავის გაგვეხმაურებინა, მაგრამ, ვიმეორებ, ამ ამბავ
დადგა ისეთი დღე და წუთი, რომ ამ შემთხვევის კიდევ ბუ-
რუსში დატოვება შეუძლებელიღაა და მეც ამიტომ დავარღვიე
ფიცი და აღთქმა და გამოვამჟღავნე ამოდენა ხნის გულში და-
მარხული ეს საშინელი შემთხვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

...მე ბავშვობიდან დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი აკაკის პოეზიისა, ამიტომ მეჩქარებოდა მისი ნახვა. ამის თაობაზე სერგეი შევაწუხე კითხვით: რატომ აკაკი არ მოდის შენთან, სად არის? პირველად მითხრა, რუსეთში არისო. როდესაც შემდეგ დავეკითხე, მიპასუხა, ის ეხლა საჩხერეშია და დღე-დღეზე ველოდები, მეც ძალიან მეჩქარება იმის ჩამოსვლაო.

ერთ უქმე დღეს სერგეის მაგიდის გვერდით ვიჯექი საქანაო სკამზე, როდესაც სერგეი მუშაობდა. მუხლებზე გადაშლილი წიგნი მედო გაკვეთილისათვის, მაგრამ არა ვჩქარობდი სწავლას. ხელში სერგეის პატარა კალმის დანა მეჭირა და ფრჩხილებს ვისწორებდი, როდესაც ხმაურით გაიღო კარი და აკაკი შემოვიდა. მე მაშინვე წამოვხტი, რადგან ერთბაშად ვიცანი სურათის მიხედვით: მაღალი, მოსული, მხარბეჭიანი, მოღიმარი, ლამაზი სახე, განიერი შუბლი, ოდნავ ჭაღარანარევი თმა მაღლა ავარცხნილი, შავწვერულვაშიანი.

— ოო, აკაკი, ძლივს! სად დაგვეკარგე, ეაცო, ამდენ ხანს?! — მიაძახა სერგეიმ, გახარებული წამოდგა და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ფეფიკო, აი ეს არის აკაკი! ეს ჩემი დაა, ძალიან ეჩქარებოდა შენი ნახვა.

მე დარცხვენილი მივჩერებოდი მას. აკაკიმ გამომიწოდა თავისი დიდრონი ხელები, გულზე მიმიკრა და თავზე ხელი გადამისვა. ისინი დასხდნენ. მეც მოკრძალებით ჩავჯექი ისევ ჩემს ადგილას.

— კარგი სამყოფია ახლა საჩხერეში, მაჭარი, ჩურჩხელა, ფელამუში, ყურძენი, ხაჭაპურები... აქ როგორღა ხართ, რა ამბებია?

— ახალი არაფერი, ჩემო აკაკი, ძველებურად... ცენზორმა სული ამომართვა, იმ შეჩვენებულმა. ისე ვერაფერი დავბეჭ-

დე, რომ ნახევარი არ ამოშალოს... შენი იმედი მაქვს, აკაკი, შენებურად ცხელ-ცხელი ამბები გაზეთისათვის...

— ჯერ სული მოვითქვა, შე კაცო, მივიხედ-მოვიხედ... ლიმილი არ შორდებოდა მის ნათელ სახეს. მე აღტაცებით მივჩერებოდი, შემატყო, რომ თვალს არ ვაშორებდი.

— რას კითხულობ? — მკითხა მან. — ეს რა არის? დანა? ფრჩხილებისათვის? ოო, ეგ კარგია...

მე ავენთე სირცხვილისაგან. დანა საჩქაროდ დავდე მაგიდაზე და მინდოდა წასვლა, მაგრამ მან ხელი მომკიდა და შეგაჩერა.

— აბა, მითხარი, ჩემი ლექსებიდან რომელი უფრო მოგწონს?

ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. მან კიდევ გამიმეორა კითხვა.

— ჩიტი... — მოვაძახე მე და გავექანე მეორე ოთახისაკენ. უკანიდან მომესმა სერგეის და აკაკის სიცილი. შევიჭერი კეკესთან, რომელმაც გაკვირვებით შემომხედა.

— რა მოგივიდა?

— აკაკი მოვიდა, კეკე, აკაკი!..

— მერე, შენ რა მოგდის?

— მე, არაფერი...

კეკე გავიდა იმათთან, მე კი ჩამოვჯექი და დავფიქრდი. „რა კარგია აკაკი, რა ლამაზია! ყველასა სჯობს...“

მალე რედაქცია გადაიტანეს უფრო კარგ ბინაზე (გოლოვინის, ეხლა რუსთაველის პროსპექტზე, მუხრან ბატონის სახლებში). აქ მეტი ოთახები იყო, უფრო მეტი სისუფთავე და უფრო მოხერხებულიც.

სერგეის ხშირი სტუმარი იყო აკაკი. ხანდახან ღამესაც ჩვენსას ათევდა. ალექსანდრე ყაზბეგი ამ დროს წერდა თავის „ელგუჯას“ და ადვილად არ ათავებდა იმიტომ, რომ ასოთამწყობებმა შემოუთვალეს — ელგუჯა არ უნდა მოკვდეს, თორემ არ დავბეჭდავთო. საკვირველი იყო იმისი მუშაობა. მას ხელს არ უშლიდა მეორე ოთახიდან ხმაური, ხმამაღალი ლაპარაკი. უბეში ჩახუტებული ჰყავდა სერგეის მაიმუნი „ჟაკო“, რომელიც ხშირად გამოჰყოფდა ხოლმე თავს და კალამს მოსტაცებდა, ხან ქაღალდის ფურცლებს წაართმევდა და ჩაიჭმუჭნიდა უბეში. იმის მეტი თითქოს მას არავინ და არაფერი არ უშლიდა წერას.

ერთხელ პეტრე უმიკაშვილმა ჰკითხა:

— სანდრო, ხუთუ არ გიშლის წერას ეს ხმაური?

— სულაც არა, — უპასუხა მან.

აკაკი მასზე ხშირად ოხუნჯობდა. ერთხელ სტამბიდან მოიტანეს პატარა წიგნაკები, ახლად დაბეჭდილი სანდროს „ელისო“. აკაკი მივიდა ამ წიგნებთან, სათითაოდ იღებდა მათ და თან ამბობდა:

— ელისო, კიდევ ელისო, სულ ელისო, სულ ელისო.

ზოგს გაეცინა ამ ოხუნჯობაზე. სანდრო მთლად აენთო, მე ძალიან მეწყინა აკაკისაგან ასეთი დაცინვა იმიტომ, რომ მეც დიდად მომწონდა სანდროს ნაწარმოებნი და სიამოვნებით ვკითხულობდი მათ.

ერთ საღამოს სერგეიმ რუსული გაზეთი გადმომცა, რომელშიც დაბეჭდილი იყო ფრანგულიდან გადმოთარგმნილი ფელეტონი — პარიზელი პატარა ბავშვის ამბავი — „პეპისტრელლო“.

— აბა, ეს წაიკითხე, თუ მოგეწონოს, გადმოაქართულე და მე დავაბეჭდინებ „დროებაშიო“. წავიკითხე და ძალიან მომეწონა. შევუდექი თარგმნას დიდი მღელვარებით. ორი დღე ვთარგმნიდი და როდესაც გავათავე, შიშით მივუტანე სერგეის. მან დაიწყო კითხვა. მე იქვე ჩამოვჯექი და თვალს არ ვაშორებდი იმის სახეს. ის ხან გაიცინებდა, ხან ფანქრით ასწორებდა და მითხრა:

— ჩინებულია. გადაწერე სუფთად, ბოლოში მოაწერე შენი სახელი და გვარი. მე დასაბეჭდად გავგზავნი.

ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. როგორ მოუთმენლად მოველოდი იმ გაზეთის ნომერს, რომელშიც ჩემი თარგმანი უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი და როგორ ვამაყობდი, როდესაც ის წავიკითხე უკვე გაზეთში დაბეჭდილი. მგონი, ათჯერაც გადავიკითხე.

ვინაიდან აკაკი ძალიან ალერსიანად მექცეოდა, მეც გათამამებული ვიყავი მასთან. ოდნავი მოკრძალებით დავეკითხე, როგორ მოეწონა ჩემი თარგმანი. მან თავისებური ღიმილით მითხრა, რომ მოეწონა, რომ მე ქართული ენა მემარჯვება, უნდა ვეცადო, ვწერო, ვთარგმნო, შეიძლება მომავლში მწერალი ქალი გამოვიდე.

ჩემდა საუბედუროდ, ვერ გავამართლე იმ დიდი ადამიანის

სიტყვები, რადგან გამიტაცა და ყველაფერი დამავიწყა თეატრმა, სცენამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ალექსანდრე მარჯანიშვილის ცოლ-შვილი კახეთიდან-გ... დმოსახლდა თბილისში, რადგან ალექსანდრე გარდაიცვალა. კახეთის მამული ჩაბარებული ჰქონდა მოურავს, საიდანაც მოსდიოდათ ყველაფერი.

მე ხშირად დავდიოდი მათთან, რადგან ჩემი ბიძაშვილები — ქალები, თითქმის ჩემი ტოლები იყვნენ. ისინიც სწავლობდნენ გიმნაზიაში. მხოლოდ იქ არა, სადაც მე. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ბიცოლა ლიზა მეტად საყვარელი ადამიანი იყო, საუბედუროდ, ის ხშირად ავადმყოფობდა და ნახევარჯერ ლოგინში იწვა. იგი იყო კარგად აღზრდილი, დარბაისელი, ჭკვიანი, ტკბილად მოსაუბრე, გონებაგახსნილი ქალი. როდესაც კარგ ხასიათზე იყო, ძალიან იშვიათად, იმღერდა ქართულ ბაიათებს გასაოცარის გრძნობით. როგორც საზოგადოდ მუსიკის მოყვარულს, ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა იმისი სიმღერა.

აკაკი მათ ოჯახში ხშირი სტუმარი იყო. როდესაც ის სთხოვდა სიმღერას, უარს ვერ ეტყოდა. მე შემიმჩნევია აკაკის თვალებზე ცრემლი, როდესაც ბიცოლა ლიზა ცრემლმორეული მღეროდა მის „ჩემო თავო, ბედი არ გიწერიას“.

...როდესაც სერგეისთან მოგროვდებოდნენ ჩვენი მწერლები, იმათ მსჯელობას და ბჭობას ყურს ვუგდებდი და ზოგ რასმეს ვგებულობდი. ხშირად ლაპარაკობდნენ პოლიტიკაზე, მწერლობაზე, ბანკზე, თეატრზე. სერგეი და აკაკი ერთი აზრისა იყვნენ. ამბობდნენ, რომ ქართული თეატრი განიცდის დიდ გაჭირვებას, უნდა გამოინახოს საშუალება ჩვენი თეატრის ასაღორძინებლად, უნდა მსახიობები წავახალისოთ მუშაობაზე, ბევრი გვყავს ნიჭიერი მსახიობი, მაგრამ ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან უსახსრობის გამო, უნდა შედგეს დრამატული წრე; გამოინახოს თანხა ამ საქმის რიგიანად დასაყენებლად. ხალხი მივიზიდოთ ჩვენს ეროვნულ თეატრშიო.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ჩვენი, ეგრეთწოდებული არისტოკრატია, მომეტებულ შემთხვევაში, უფრო ხშირად დადის ოპერებზე, ოპერეტებზე. არისტოკრატია ჩვენთვის საჭირო არ არის, ჩვენ უნდა მივიზიდოთ თეატრში მდაბიო ხალხი, გავუღვიძოთ მათ თვითცნობიერება“. — „თეატრი იგივე სასწავლებელია ხალხისათვის“, — ამბობდა აკაკი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(იბეჭდება შემოკლებით)

...აკაკის 50 წლის იუბილემ მისი 25 წლის იუბილე მომაგონა. თვითონ მისგან განაგონად ჩამიწერია ჩემს წიგნში: „25 წლის სამწერლო მოღვაწეობისთვის საჩხერიდან ერთი ქოთანი ლობიო გამომიგზავნესო". დრონი იცვალნენ. საბერძნეთი უფრო ხელუხვი თურმე იყო თავის პოეტებისათვის: სიმონიდს იუბილეზე 56 ხარი მიართვეს მისმა თანამემამულეებმა.

კახაბერივით, აკაკიც სხვა კაცია. ამ წუთისოფელში ყველას აქვს სახლი, კარი, ოჯახი, აკაკი კი, რაც მახსოვს, სულ მუდამ მარტოხელა კაცად, ობლად გამომწყვდეული სასტუმროს ნომერში თბილისში და ქუთაისში — და თავის ჩემოდანს დაჰყურებს ზემოდან, თითქოს საუკუნო სამგზავროდ განმზადებული. თვითონ მითხრა ერთხელ: „საკვირველი კაცი ვარ: ცოლი მყავს, არა მყავს, — შვილი მყავს, არა მყავს, — პენსია მაქვს, არა მაქვს". ავად რომ გახდეს აკაკი, ვერ გამიგია, ხინკალი ვინ უნდა მოუხარშოს იმას, ან სკიპიდარი ვინ უნდა წაუსვას გულმკერდზე.

და რას შვრება მერე ეს გამოულეველი სტუმარი სასტუმროსი?

მაშინ, როდესაც ყველა, ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ან იყვნენ მასწავლებელნი, ან მოხელენი, ან საჰხედრო მოსამსახურენი და თვისა და თვის თავზე ჯამაგირს იღებდნენ, აკაკი სულ მუდამ თავისუფალი კაცი იყო, იშთა-იშთა მღერალი, მწერალი, მოლაპარაკე, მოსიარულე. ერთადერთი თანამდებობა, რომელიც იმას ჰქონდა მის სიცოცხლეში — ქართული ტრუპის რეჟისორობა იყო. გამბეტას იმდენ ხანს არ შერჩენია მინისტრობა, რამდენხანსაც იმას ეს რეჟისორობა.

პეტრე დადიანმა სათვალე შუბლზე რომ დაიდვა, აკაკის

ეთქვა: ეს იმიტომ, რომ ის ჭკუითაც არის ბრმა და არა მარტო
ტო თვალებითო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ერთ ჩვენს მწერალს — სახელს არ ვიტყვი — ემუქ-
რებოდნენ ჩიკვაიძის ამომრჩეველნი, პოლიცმეისტერს ზალ-
კო ჭავჭავაძეს ეთქვა აკაკისთვის: „ამ კაცს ნუ მოიშორებ თ-
ვიდან, თუ შენთან იქნება, კაცი ხელს ვერ ახლებს“.

— ბიჭო, მე თვითონ ორი წელიწადია გასალახავად დაჯ-
დევ და ვერ მომიხელთებიაო, — უთქვამს პასუხად აკაკის.
და სხვადასხვა. არ ვიცი, რომელი ერთი ვთქვა...

ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იშვიათად თუ გ-
დარჩენია მის ბასრ კალამს და ენას. იმას რომ არ უკბენია ისე-
თი, მგონი, მარტო ქრისტეფორე მამაცაშვილი გადარჩა და
ოდნავად დიმიტრი ყიფიანი.

თანამედროვე კაცი ხან სწამს და ხან არა აკაკის. ჩემს ალ-
ბომში კითხვებზე: რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს,
რომლის პოეზია, — პასუხად ჯერ დასწერა: „გოგოლის“ და
„შექსპირის“. მაგრამ მერე წაშალა და ზედ დააწერა... გამოიცა-
ნით ვინ! თქვენ გგონიათ: ი. ჭავჭავაძე, ყაზბეგი, გიორგი წე-
რეთელი, გოგებაშვილი, ორბელიანი, ბარათაშვილი და სხვა
ვინმე ახალთაგანი! არა! პროზა აირჩია არდაზიანისა და პოეზია
გურამიშვილისა.

აკაკისაგან განვლილი შორი გზა მწერლობისა მოფენილია
მისგან დაწერილი ფერადოვნებით შეზავებული ლექსებით,
მაგრამ ლექსზე უფრო შესანიშნავია და გამწე აკაკის იუმო-
რით მჩქეფარე „ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადული“ და სხვა
მსგავსი წერილები. ლექსში კიდევ ჰყავს აკაკის ბადალი, მაგ-
რამ მახვილსიტყვაობაში, იუმორში, ან როგორც ის თარგმნის
ამ სიტყვას, ხუმრობაში, იმას სწორი არა ჰყოლია და არცა
ჰყავს ქართულ მწერლობაში. ჩვენში ყოველი მახვილი სიტყ-
ვა და აკაკის სიტყვა ერთი და იგივეა. ყოველი მოსწრებული
სიტყვა ჩვენში აკაკის ნათქვამია, როგორც ყოველი ძველი
ციხე-კოშკი თამარის ანაგები.

აკაკის რა არ უწერია ამ ნახევარ საუკუნეში: მოთხრობები,
ფელეტონები, დრამატული და კრიტიკული ეტიუდები, მაგ-
რამ როცა სულ ყველა ესენი ჩაიძირება დროების მორევში,
მისი ლექსები და მოსწრებული სიტყვები ამოტივტივდებიან
და იცოცხლებენ. სამუდამო არა არის რა ამ ქვეყანაზე, მაგრამ

სანამ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა ცოცხალი იქნება, აკაკის მახვილი სიტყვაც დავიწყებული არ იქნება. აკაკის ლექსი დარჩება სკოლაში, ქრესტომათიაში.

აკაკის მახვილსიტყვაობას, როგორც ჰაინესას, ხშირად თავისი მსხვერპლიც თან სდევს.

როგორც ჰაინე, აკაკიც მახვილსიტყვაობისათვის ხანდახან ჭეშმარიტებასაც ღალატობს.

თვითონ ამბობს: „ტყუილასა, ბზუილასა"... ტყუილას ხმა რომ გაუგდეს აკაკის, იყო დრო, მართალსაც არა უჯერებდნენ.

განსვენებულმა თეიმურაზ ლეჟავამ არ დაუჯერა რაღაც იყო აკაკის, დანაძლევდნენ, და რომ აკაკი მართალი გამოდგა, ლეჟავა ნახევარი საათით დააჩოქეს ნიკოლაძის სახლში.

თვითონ თითქოს დასცინისო თავის თავს:

„თამარ ცბიერი" რომ დაიბეჭდა, აკაკიმ ერთი ცალი მომცა სახსოვრად, რომ დააწერა წიგნზე — „სახსოვრად იონა მეუნარგიას, აკაკისაგან", მას უნდოდა რიცხვიც მიეწერა, მაგრამ რომ მოაგონდა პირველი აპრილი იყო, კალამი ხელიდან გააგდო — „არ დამიჯერებენო".

მე აქ არას ვიტყვი აკაკის შემოქმედებით ძალაზე, მის პოეზიაზე. ის რომ უმაღლესი მწერალია ჩვენი თანამედროვე მწერლობისა, იმას რომ იგივე შარავანდედი ამშვენებს ჩვენს ქვეყანაში, რა შარავანდედიც გარს ეხვია საფრანგეთში მასავით მოხუც ვიქტორ ჰიუგოს, ამის თქმა ხომ არავისთვის არ შეადგენს ახალ ამბავს.

ვინც არიან ახლა ახალგაზრდა მოლექსენი, ესენი ყველა აკაკის შეგირდები არიან. ილია ჭავჭავაძის ლექსი ნაჭედია, ნაჭედია აგრეთვე ლექსები გრიგოლ ორბელიანისა, ვახტანგ ორბელიანისა, ნიკო ბარათაშვილისა, რაფიელ ერისთავისა. მსუბუქია, ნარნარია, პეპელაა, ფურჩქვნილი ვარდია, ნაზი იაა ლექსი აკაკისა. ილიას, ორბელიანს, ბარათაშვილს, ერისთავს შეგირდები ცოტა ჰყვანან, აკაკის სკოლა კი მთელი ჩვენი თანამედროვე მწერლობაა. დღეს ვინც აკაკის ენისა და კალმის მიმდევარი არ არის, ხალხური ლექსის მიმბაძავია. ყველა ჩვენ მწერლობაზე უფრო ხალხის სალაპარაკო და სადა სამწერლო ენას დაუახლოვდა აკაკი. კითხულობ მის „ცხელ-ცხელ ამბებს", მის სხვა ფელეტონებს და გრძნობ, შიგ ენის მხრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი არ არის ნაძალადევი, ნათხზარი; ვის არ ეწახოს თ-ვის სოფელში ან ქალაქში უბრალო, უსწავლელი კაცი ლამაზად, ენაწყლიანად მოლაპარაკე. აკაკი იგივე ხალხში ჩამდგარი მწერალია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აკაკის ენას ამშვენებს მისი პოეტური შემოქმედება.

გრიგოლ ორბელიანი აკაკის ნაწერს ისე არ წაიკითხავდა, რომ გვერდზე კარანდაშით არ მიეწერა: „ბარაქალა, აკაკივ", „ინშალლაჰ, აკაკი"... და მხოლოდ ერთხელ, როცა რაღაც ერთობ პროვინციული სიტყვა ეხმარა ნაწერში აკაკის, გრიგოლ ორბელიანს მიეწერა: „აი, შე ღვიტიკელა იმერელო". თვითონ აკაკი არავის აპატიებდა ქართული ენის დამახინჯებას.

ახლა, თუ გინდათ იცოდეთ აკაკის ხასიათის თვისება, მისი აზრი ჩვენს მწერლობაზე, ხელოვნებაზე, მოისმინეთ ეს პასუხები, რომელიც აკაკიმ მოაწერა ჩემგან მისდამი მიმართულ კითხვებზე:

მე ვკითხე აკაკის:	მან მიპასუხა:
რომელი თვისება უფრო მოგწონს კაცისა?	მამაცური სულგრძელობა.
რომელი თვისება მოგწონთ ქალისა?	გულწრფელი დაუდგრომლობა.
რას უფრო გინდა აკეთებდე?	მისთანა საქმეს, რომელიც თავაშვებულს ჰლაგმავდეს და გულგატეხილს ამხნევებდეს.
რითი განსხვავდება შენი ხასიათი?	საფუძვლიანში სიმტკიცით და წვრილმანში უხასიათობით.
რომელია ყველაზე დიდი ბედნიერება?	გარემოების ატანა.
რომელია ყველაზე დიდი უბედურება?	გულუმაძღრობა.
რა ფერი უფრო გიყვარს?	დროზე მოხდენილი.
რა ყვავილი?	ვარდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რომ აკაკი არ იყო, ვინ გინდა იყო?	მაინც აკაკი.
სად უფრო გინდა ცხოვრობ-დე?	ყველგან და არსად.
რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს?	არდაზიანის.
რომლის პოეზია?	გურამიშვილის.
ვინ უფრო მოგწონს კაცთაგან ისტორიაში?	გიორგი ბრწყინვალე.
რომანში ვინ გირჩევნიათ კაცთაგან?	ავთანდილი.
ქალთაგან ვინ მოგწონს რომანში?	ნესტანდარეჯანი.
რა სახელები უფრო გიყვარს?	ელენე და არჩილი.
რა უფრო გძულს ქვეყანაზე?	წვრილმანობა.
რა შეცდომას უფრო აპატიებ კაცს?	ყოველგვარს, თუკი შეინანიებს.
რა სასმელს უფრო ეწყობი?	წყალს.
ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალი ქუთაისში?	ის, რომელიც მე შემიყვარდება.
შენი ცხოვრების დევიზი რა არის?	შრომა და მოთმინება.
რომელი ადგილი უფრო მოგწონს „ვეფხის ტყაოსნისა?“.	ჩვენი კრიტიკოსებისაგან დაწუნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი აკაკი

აკაკი წერეთელს ბავშვობიდან ვიცნობდი. პირველად ის ვნახე ქ. ქუთაისში, განსვენებულ კატო ნიკოლაძის ოჯახში, სადაც იმ დროს იზრდებოდა მისი დისწული, ცნობილი მწერლისა და მოღვაწის გიორგი წერეთლის ქალიშვილი ელიკო წერეთელი... ელიკო და მე ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ერთი კლასის მოწაფენი ვიყავით და ერთმანეთთან დავდიოდით. ამ მიმოსვლამ შემახვედრა აკაკის.

ჩემი ბავშვობისას მე ბევრი თვალტანადი ქართველი ვაჟკაცი მინახავს, მაგრამ არც ერთ მათგანს ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც აკაკის. მისი ზეაზიდული, ჩაფსკვნილი ტანი, ზევსისებური მზიური სახე, მაღალი შუბლი და ფართო კეთილი თვალები საამური გაკვირვებით შეგაჩერებდათ. მისი ტკბილი საუბარი, ციური სიცილი დაუვიწყარ ხსოვნას სტოვებდა. აღსანიშნავია, რომ აკაკი დიდსა და პატარას ერთნაირად ხიბლავდა. ეს ბუმბერაზი შეხედულების კაცი კი არ გვაშინებდა ბავშვებს, არამედ გვათბობდა, გვიზიდავდა, პატარებთან მას თავისებური მომხიბლავი ენა ჰქონდა. აკაკი არაფრით არ წააგავდა იმდროინდელ დაბღენძილ ინტელიგენტებს, რომლებიც ბატონკაცურად გამოიყურებოდნენ და რომლებთან ლაპარაკს არათუ ბავშვი, დიდებიც კი ვერ ბედავდნენ, თუ მათ უმაღლესი განათლება არა ჰქონდათ მიღებული. აკაკი იყო ნამდვილი ხალხოსანი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით .ის უბრალო ხელოსანთან დაჯდებოდა და ამხანაგურად საუბრობდა, რისთვისაც აკაკის, ისევე, როგორც ალ. ყაზბეგს, ძრახავდნენ კიდეც იმდროინდელი, მედიდურობით გაბერილი ფარისეველნი.

ბავშვობის შემდეგ აკაკის იშვიათად შევხვედრივარ. 1909 წელს, იუბილეს გადახდის შემდეგ, აკაკი თავისი ცოლით და შვილით პარიზში ჩამოვიდა. მე იმ დროს პარიზში ვიყავ. რა გავიგე აკაკის ჩამოსვლა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონ-

და. აკაკი დაბინავდა დიდი ქართველის ნ. ნიკოლაძის პირველ-ცოლთან, რომელიც იმ ხანებში პარიზში ცხოვრობდა. პირველად აკაკის შევხვდი გრ. გველესიანის ოჯახში, რომელიც აგრეთვე მაშინ თავისი ცოლ-შვილით პარიზში ცხოვრობდა და რომელსაც აკაკი ეწვია. აკაკი რომ უცხოეთში დავინახე, სამშობლოს მოწყურებულს ისეთი სითბო მომხვდა გულზე, თითქოს მთელი საქართველო იდგა ჩემს თვალწინ და არა მარტო ერთი მისი უკვდავი შვილი, ერთი ქართველი. რამდენიმე დღის შემდეგ აკაკის სანახავად მივედი. ესიამოვნა. გამომკითხა ჩემი ამბავი: სად ვცხოვრობ, როგორ ვცხოვრობ და სხვა. დამაწერინა ჩემი მისამართი. ამ დროს აკაკის ცოლიც გამოვიდა თავისი ოთახიდან. ის ყოველწლიურად ჩამოდიოდა პარიზში თავისი შვილით ალექსით.

აკაკის შვილი პროფესიით ინჟინერი იყო, მაგრამ მუსიკის დიდი მოყვარული, საოპერო დასის ანტრეპრენიორობას ეწეოდა და თავისი პროფესია მიტოვებული ჰქონდა. ეს დასი მას პარიზშიაც ჩამოჰყავდა. დედა-შვილს მე ახლოს ვიცნობდი და ერთმანეთთან მიწერ-მოწერა გვქონდა. აკაკის ცოლი იმ ხანებში უკვე საგრძნობლად მოხუცი იყო. თავის დროზე ის, ალბათ, ლამაზი ქალი იყო. მის მოხუც სახეზე ტიპური რუსული სილამაზე იხატებოდა. შთამომავლობით ის რუს არისტოკრატთა წრეს ეკუთვნოდა, დიდად ნებიერი, თავისებური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ბუნებით სადა და გულკეთილი იყო. მცოდნე ევროპის ყველა დიდი ქვეყნის ენისა, ბევრის წამკითხველი, განსაკუთრებით ლიტერატურის დარგში, და განვითარებული ქალი. ის იყო ოქროსმრეწველის ბაზილევსკის ქალიშვილი. მას გაგიჟებით უყვარდა თავისი ვაჟი ალექსი, ურომლისოდაც არც ერთი დღე არ შეეძლო გაძლება.

აქვე უნდა შევეხო იმ დიდ სიცრუეს, რომელსაც აკაკის შესახებ საქართველოში ავრცელებდნენ, თითქოს აკაკის თავისი ცოლის დიდი ქონება გაეფლანგოს. აკაკის ცოლისათვის მე ბევრი რამ გამომიკითხავს ჩვენი დიდი პოეტის შესახებ და, სხვათა შორის, ერთ დღეს ამ საგანზედაც დავეკითხე, და აი, რა მიპასუხა:

„ჩემი დიდი ქონებიდან, არათუ აკაკის, მე თვით არაფერი არ მერგო. ჩვენ ორი და ვიყავით. ძმა არა გვყოლია. ჩემი უფროსი და ცოლად გაჰყვა სიდამონ-ერისთავს, კაცს დიდად გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვნილს და ბანქოს მოთამაშეს. ჩემი რწმუნებული ჩემი დე-
იყო. მან კი თავის და ჩემს რწმუნებულად თავისი ქმარი გახა-
და და ჩვენს მამულზე მას სრული მინდობილობა მისცა. ჩვე-
ნი ასეთი ნდობა მისმა ქმარმა და ჩემმა სიძემ იმგვარად გამო-
იყენა, რომ ჩვენ ცარიელზე დაგვსვა, ყველაფერი გაგვიფლან-
გა. მე მაშინ ახალი გათხოვილი ვიყავი აკაკიზე, როცა ჩემმა
სიძემ რევოლვერი დაირტყა, აკაკი იმ დროს კლუბში იყო.
დაჭრილმა აკაკის ნახვა მოისურვა. მაშინვე გავგზავნეთ კაცი
აკაკისთან, რომელიც სასწრაფოდ გამოიჭრა. სიდამონ-ერის-
თავი აკაკის ცოცხალი დაუხვდა. დაინახა თუ არა აკაკი, ხელი
დაუჭირა, რომელზედაც აკოცა, და უთხრა: მაპატიე, მე შენ-
თან დამნაშავე ვარო. იმ ღამეს ერისთავი გარდაიცვალა.
გვქონდა საჩივარი სხვებთანაც მამულის შესახებ. მაგრამ არა
გამოვიდა რა. და ჩემი ნათესავების დასახმარებელი გავხდი".

აი, ნამდვილი ვითარება საქმისა. ამბობდნენ აგრეთვე.
ვითომ აკაკის თავისი ცოლი არ ჰყვარებოდეს და მასთან გაყ-
რილი ყოფილიყოს. არც ეს არის მართალი მთლიანად. საქ-
მე იმაში იყო, რომ აკაკის ცოლს, ევროპულ ცხოვრებას დაჩ-
ვეულს, საჩხერესა და ქუთაისში ცხოვრება არ შეეძლო, აკა-
კის კი იმდენი შეძლება არ ჰქონდა, რომ ტფილისში, ან მაშინ-
დელ პეტერბურგში ეცხოვრა. აი, რა იყო მიზეზი მათი ცალ-
ცალკე ცხოვრებისა, და არა ერთმანეთის სიძულვილი.

აკაკის პარიზში ყოფნის დროს მე ვცხოვრობდი ფოსე სენ-
ჟაკის ქუჩაზე. პანთეონის გვერდით, მეექვსე სართულზე, სადაც
მეჭირა საშუალო ფართობის ერთი აივნიანი ოთახი. ერთ
დღეს სტუმრად მეწვია მადამ დე-სენ ვიქტორი თავისი ქალით.
რომელიც იმ ზაფხულს გავიცანი ლივრში (30 კილომეტრით
არის დაშორებული პარიზს) მარკიზა დე-სივინიეს სახელობის
პანსიონში, სადაც მე ყოველ ზაფხულს ჩავდიოდი საცხოვრე-
ბლად. ვზივართ სამნი და ვიგონებთ ლივრის პანსიონს. ამ
დროს კონსიერჟი (მეკარე) მირეკავს. გამოვედი ოთახიდან.
მეექვსე სართულზე ამოსული კონსიერჟი მეუბნება: თქვენთან
სტუმრები მოდიანო. ჩავედი ძირს ერთი სართულით, რომ გა-
მეგო, თუ ვინ იყვნენ ასეთი სტუმრები, რომლებმაც კონსიერ-
ჟი ჩემთან ამოიყვანეს, და ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონ-
და, როდესაც დავინახე აკაკი ცოლით და შვილით. ის სახლი,
სადაც მე ვცხოვრობდი, ძველი შენობა იყო და ლიფტი არ

ჰქონდა. გულზე ელდა მეცა. გაგონილი მქონდა, რომ აკაკი გულით დაავადებულიაო. რომ დამინახა, მომაძახა: ქალო, მაგ ცაში რამ აგიყვანაო? შევვარდი უკანვე ოთახში, ვამცნე ჩემს სტუმრებს, თუ ვინ მესტუმრა, მოვიხადე მათ წინაშე ბოდიში, წამოვავლე ხელი ორ სკამს და სასწრაფოდ ჩავირბინე ძირს. ისინი უკვე პირველ სართულზე ამოსულიყვნენ. მეორე სართულზე რომ ამოვიდნენ, დავუდგი სკამები და ცოლ-ქმარმა დაისვენა. ამგვარად ყოველი სართულის ამოსვლაზე ვასვენებდი და თანაც ვსაუბრობდით.

ნახევარი საათის შემდეგ ყველანი მეექვსე სართულზე გავჩნდით და ოთახში შევედით. მადამ დე-სენ ვიქტორი ფრანგ არისტოკრატთა წრის ქალი იყო, კომუნის მომსწრე, ბევრის მნახველი და ბევრი გამოჩენილი პირის ნაცნობი. აკაკი რომ დაინახა კარებში შემოსული, ჩუმად ჩაილაპარაკა: „ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი კაცია!“ გავაცანი აკაკი და ავუხსენი, რა დიდი კაცი ეწვია ჩემს პატარა ოთახს. აკაკის ცოლმა და მადამ დე-სენ ვიქტორმა საერთო ენა გამონახეს და ბევრი იმუსაიფეს. აკაკი ფრანგულად არ ლაპარაკობდა. ერთი საათი დაჰყვეს ჩემთან. შემდეგ სტუმრები ერთად წამოდგნენ და მე დიდი სიფრთხილით ჩავაცილე აკაკი. აკაკის ცოლს თავისი შვილი ალექსი შველოდა. განშორებისას აკაკიმ მითხრა: ხვალ დილით ჩემთან მოდი და იაშა ნიკოლაძის ატელიეში ერთად წავიდეთო. ჩვენს პატივცემულ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს მაშინ იაშას ვეძახდით. ვუცქეროდი მიმავალ აკაკის და ჩემი სული და გული თან მიჰყვებოდა. დავბრუნდი ჩემს ოთახში. ახლა ის გადასხვაფერებული მეჩვენა. სიამაყით ვათვალიერებდი იქაურობას, სადაც რამდენიმე წუთის წინათ საქართველოს უდიდესი ადამიანი, უდიდესი ქართველი იჯდა...

მეორე დღეს, დილის 10 საათზე, აკაკისთან მივედი. დამინახა თუ არა, მომაძახა, „სალამ-ალეიქუმ!“ და მომეგება. ყველანი სახლში იყვნენ. იმ ხანებში პარიზში ასამართლებდნენ მადამ სტენელს, მარგარიტა ჟაპის, რომელსაც ქმრისა და დედის მოკვლას აბრალებდნენ, და სალაპარაკო თემად ყველას ამ ქალის სახელი ეკერა პირზე. ის იყო მხატვარ სტენელის, ხნიერი და მდიდარი კაცის, ცოლი. სწორედ ამ სიმდიდრის გამო მიუთხოვებიათ მშობლებს ლამაზი ახალგაზრდა ქალი, თავისი სურვილის წინააღმდეგ, სტენელისათვის. გათხოვების შემდეგ

ცხოვრებაში გამოსულ დამოუკიდებელი ხასიათის მარგარიტას ქმრისაგან გაყრა მოუსურვებია. მაგრამ სტენელს იმ ზომამდე ჰყვარებია იგი, რომ განუცხადებია: ოღონდ ნუ მოეშორდები და როგორც გენებოს, ისე იცხოვრეო. ასეთი პირობის შემდეგ დარჩა ის ქმრის ჭერქვეშ, სადაც თავისუფლად, თავის ნებაზე ცხოვრობდა. მიჯნურობაში არ იყო ის ზნეობრივი ქალი და ფელიქს ფორიდან (ერთ დროს საფრანგეთის პრეზიდენტი) დაწყებული ხელთათმანებივით იცვლიდა უმაღლესი წრის მამაკაცებს, რომელთა ცოლები საიდუმლო მტრობით იყვნენ მისდამი გამსჭვალული.

ერთ დილას სტენელის ოჯახში ქმარი და დედა ბაწრით მიმხჩვალი ნახეს, ხოლო თვით მარგარიტა ჟაპი ლოგინზე ბაწრით დაკრული და პირი ბამბით გატენილი. ბოროტმოქმედი პოლიციამ ვერ აღმოაჩინა. შემდეგ ეს მკვლელობა თვით მას გადააბრალეს და ერთ მშვენიერ დღეს სენ-ლაზარის ციხეში თავი ამოაყოფინეს. აშკარა იყო, ბოროტმოქმედება ქალის გასაბახებლად და დასაღუპავად იყო მოწყობილი. ყოველი პატიოსანი, დაკვირვებული ადამიანი თანაუგრძნობდა მადამ სტენელს. პარიზის ანგარული პრესა კი სჭექდა და ჰქუხდა მის წინააღმდეგ. ქალი სასამართლომ გაამართლა, და ციხიდან გამოსულმა მეორე დღესვე დატოვა პარიზი და ლონდონში გადასახლდა.

აკაკის ებრალებოდა ეს ქალი და ჩვენც ყველანი პროცესის შესახებ ვლაპარაკობდით. პროცესზე დასწრებისათვის ბევრია ს და ორას ფრანკს იხდიდა. შემდეგ აკაკი თავის ოთახში შევიდა, ტანისამოსი გამოიცვალა და გამოვიდა. ამ დროს ავტოც მოადგა სახლს, ჩავსხედით შიგ და გავწიეთ ნიკოლაძის ატელიესაკენ.

გზაში აკაკიმ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე ჩამოაგდო საუბარი. გული დამეწურა: ეტყობოდა, გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, რაც მას ნამდვილად ექვსი წლის შემდეგ ეწვია. შემდეგ თავის ნაწერებზე ილაპარაკა. ძალიან აწუხებდა ის, რომ მისი ნაწარმოებების მეათედიც არ იყო გამოცემული: „ბევრი ისეთი ლექსი მაქვს დაწერილი საჭირბოროტო საკითხზე, რომელიც პოეზიის მხრივ არას წარმოადგენს. ამ ლექსებს კომენტარები სჭირდება. თუ ამის აღნიშვნა ვერ მოვასწარი — რა დროს, რა თემაზე დაიწერა ისინი, არაფერს ეს

ლექსები მკითხველს არ მისცემენ და ეს ჩვენთვის ძალიან სამწუხარო იქნება“-ო.

ამ საუბარში მივედით კიდეც. ატელიეში რომ შევედით, მასპინძელთან ერთად ნ. კურდღელაშვილი (ნარკანი) მოგვეგება, რომელიც იმ დროს ნიკოლაძის ატელიეში ცხოვრობდა და თავისუფალ დროს თავისებურად თიხას აქანდაკებდა და მით ერთობოდა. ერთი მისი გამოქანდაკებული თავი თაროზე იდგა, რომელსაც, როგორც მაშინ გადმოგვცეს, ცნობილმა მოქანდაკემ სუდბინინმა ყურადღება მიაქცია, ურჩია სერიოზულად მოეკიდა ამ საქმისათვის ხელი და ექვსი თვის სასწავლო ფულიც გადაუხადა. თაროზე მრავალი ქანდაკება იდგა. სხვათა შორის, აკაკიმ ყურადღება მიაქცია ერთი მოხუცი კაცის ქანდაკებას. ასწია ჯოხი, გაიშვირა მისკენ და მასპინძელს ჰკითხა:

— ეს ვინ არის?

— ეგ თქვენ ბრძანდებით, — უპასუხა ნიკოლაძემ.

— უკაცრავად, მე არ გახლავარ! — მიუგო აკაკიმ.

— თქვენ, პოეტებს, ქანდაკებისა ბევრი არაფერი გაგეგებათ, — უთხრა ღიმილით მოქანდაკემ, რაზედაც აკაკიმ გულიანად გაიცინა.

შემდეგ საუბარი სხვა თემაზე გადავიდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვეთხოვეთ კიდეც მასპინძელს და დავბრუნდით აკაკის ბინაზე.

1909 წლის ორ დეკემბერს პარიზელმა ქართველებმა აკაკის პატივსაცემად კაფე ვოლტერში ბანკეტი გამართეს. მე იმ დღეს აკაკისთან ვიყავ და ბანკეტზე ერთად წავედით, აკაკი თავისი ცოლ-შვილით, ნ. ნიკოლაძის მეუღლე და მე. ბანკეტს, სხვათა შორის, დაესწრნენ ჭიათურის შავი ქვის ცნობილი მრეწველი ნ. ღოღობერიძე, შემთხვევით ჩამოსული, მომღერალი, ნანობაშვილი, გრ. გველესიანი, ალექსანდრე გაბუნია (ისკანდერი) და მთელი იქ მყოფი ქართველი სტუდენტობა. ბანკეტის დიასახლისი იყო მელანია ლუარსაბის ასული გველესიანი. სიტყვები წარმოთქვეს: გრ. გველესიანმა, ალ. გაბუნიამ, ალ. ჯანელიძემ, დღეს ცნობილმა პროფესორმა, მაშინ კი სტუდენტმა, იოსებ ჭეიშვილმა და სხვებმა. აკაკიმ ყველას საერთო პასუხი გასცა. ბოლოს, მეც მერგო სიტყვა, რომლის დასრულების შემდეგ ტაში გაისმა, მაგრამ უნდა

ვთქვა, რომ ეს ტაში ჩემს გულს ძალიან არ უგრძვნია, ხოლო როდესაც აკაკი, საამურად სახე-გაბრწყინებული, ფეხზე წამოდგა, ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო და ჩემს საპასუხოდ პირი მოიბრუნა, ჩემს სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. აი, მისი პასუხი:

„როცა შეტყობა უნდათ წინასწარ ამინდისა, ბარომეტრს დახედავენ ხოლმე, რომელიმე ერის, ხალხის გაცნობა თუ გვინდა, ჯერ ქალები უნდა გავიცნოთ, როგორც ეროვნების ბარომეტრი. როცა საქართველო სადაროს იდგა, მაშინ ქართველი ქალიც, როგორც დედა, როგორც ცოლი და როგორც მოქალაქე, განთქმული იყო. იმ საუკუნეში, როცა საქართველო დასცეს, ეს დაკნინება ქალებს უფრო დაეტყოთ. დღეს ბევრ ქალს ნახავთ ჩვენში, რომ დავიწყებული ჰქონდეს მისი „წმიდათაწმიდა“ და ქართულად ვეღარ ახერხებდეს ლაპარაკს. თუ არ სოფლელი ქალი, სხვები მიწერ-მოწერას ერთმანეთში ვეღარ ახერხებენ, თუ არ უცხო ენაზე. სასწავლებელს ათავებენ და თავს მითი მართლულობენ, რომ არ გვასწავლიანო... მაგრამ ეს ტყუილი თავის მართლებაა. იქ, სადაც შობილან და სადაც გაზრდილან, ადვილია ენის შესწავლა, რომ გულიდან აღმოფხვრილი არ ჰქონდეთ სრულიად ქართველობა. ქართველი ქალები რომ ერთად თავს მოიყრიან ხოლმე, უცხო ენაზე ლაპარაკობენ, და ერთ მათგანს რომ შეეშალოს, ვერ გამოთქვას კარგად ამ უცხო ენაზე, სხვები საცინლად აიგდებენ. და ქართული რომ არ იციან, ის არაფერი! ამის შემხედავი, იმედმიხდილი ვიყავ ამ სიბერის დროს, მაგრამ ახალმა მოძრაობამ სხვა დამანახა: ახალგაზრდა ქალები მზად იყვნენ, რომ სამსხვერპლოდ თავი დაედვათ საქმისათვის. სწორი გზით მიდიოდნენ თუ არა, ამაზე არას ვიტყვი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დღევანდელმა ქალებმა სული ძველებური დედების გამოიჩინეს. საკეთილო მასალა შეგრჩენიათ და იმედია, დროის შესაფერად კიდევ აღადგენთ ძველ სახელს. ეს პირველი ბიჯი თქვენ შეგხვდათ და საჭიროა წაღმართად გადადგათ. ვისურვებ ამ უცხო თავისუფალ ქვეყანაში თქვენს წარმატებას, რომ საკეთილოდ დაუბრუნდეთ საქართველოს“.

5 დეკემბერს აკაკისთან მივედი. საღამო ჟამი იყო. მხიარულად მომესალმა და მითხრა:

— შენი სიტყვა ხომ ლამაზი და ლამაზი იყო, მაგრამ რომ

ლაპარაკობდი, ისეთი ლამაზი იყავი, რომ თვალი ვერ მოგაშორეო!

— ეს მისთვის, — ვუპასუხე მე, — რომ სიტყვას მარტო ჩემი ენა კი არ ლაპარაკობდა, აგრეთვე მთელი ჩემი სული და გული.

— აბა, ახლავე დასწერე შენი სიტყვა და მომეცი, — მითხრა აკაკიმ და დავწერე მეორე ოთახში ჩემი სიტყვა და გადავეცი აკაკის.

ამის შემდეგ აკაკი დიდხანს აღარ დარჩენილა პარიზში. საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნებულმა აკაკი კუბოში ვნახე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. აკაკი და საღვთო წერილი

ერთხელ აკაკის ვეწვიე სხვიტორში. მგოსანი საღვთო წერილს კითხულობდა. ახალგაზრდა ვიყავი, ათეისტი. გავუკვირდი და დამცინავი ღიმილით შევეკითხე:

— რად გინდათ, ბატონო აკაკი, მაგას რომ კითხულობთ, რის მაქნისია ეგ წიგნი-თქო.

— ო, ჩემო შვილო, — მიპასუხა, — ვისაც სურს ქართული ენა ისწავლოს, ეს წიგნი უნდა იკითხოს ბეჯითად და გარდა ამისა ხალხშიც იაროს, მის ენას დაუკვირდეს.

2. აკაკი და „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი

აკაკიმ მიამბო: ერთხელ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე მივედი. ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა. ცხარე კამათი იყო იმაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო: „ცისა შინა" თუ „ცათა შინა", ზოგი პირველ გამოთქმას ემხრობოდა, სხვები გაცხარებით იცავდნენ მეორეს.

ილიამ პირველს დაუჭირა მხარი, თქვა, ცა ერთია და რუსთაველსაც ალბათ „ცისა შინა" ექნებოდაო.

ასე აპირებდნენ ოქმში შეტანას, მაგრამ ამ დროს სიტყვა ვითხოვე, ავდექი და დავიწყე ლოცვით: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ყრმობის მოგონებანი

...მამა შორაპნის მაზრის მთავარ ექიმად დაინიშნა და თავისუფალ დროს მე და დედა ზესტაფონში ვიმყოფებოდით. ვცხოვრობდით სახალხო არტისტის შალვა ღამბაშიძის მამის სახლში. მინახავს ჩვენთან სტუმრად მოსული აკაკი წერეთელი, რომელსაც მამაჩემიც აქიმობდა. ორჯერ მოსულა აკაკი ჩვენთან ვარინკა წერეთლისა და ერთხელაც ელისაბედ წერეთლის თანხლებით...

დამამახსოვრდა ერთი საუბარი აკაკისა და მამაჩემს შორის:

— გალაქტიონ, ეგ შენი ვაჟი ჩუმ-ჩუმად ლექსებს ხომ არ წერს? რატომღაც ეჭვი მეპარება... — ამბობს აკაკი და ღიმილით სახეს ჩემკენ აბრუნებს.

— ო, არა, ბატონო აკაკი, არა, ამას როგორ გაბედავს!

— როგორ ვერ გაბედავს, ძვირფასო გალაქტიონ, როგორ ვერ გაბედავს! ცხონებულ მამაჩემს როსტომსაც ეგონა, ვერ გავბედავდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, გავბედე და დავიღუპე!

არ მსურს დავიწყებას მიეცეს ჩემი ყრმობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი.

როგორც ცნობილია, 1908 წელი საქართველოში აკაკი წერეთლის იუბილით აღინიშნა. ეს მთელი ქართველი ხალხის ზეიმი გახლდათ.

იმ დღეს აკაკი წერეთელს თეატრში მოელოდნენ. ცნობილ მეეტლე მელიას იგი სიდავას სახლიდან (ჰოსპიტლის ქუჩიდან) უნდა წამოეყვანა. ჩვენ, გიმნაზიელებმა, ეს გავიგეთ და, დიდი შესვენების დროს, გავეშურეთ იმ სახლისაკენ. ეტლი ჯერ კიდევ არ იყო მისული თეთრ ხიდთან. ჩვენ იგი გავაჩერეთ და, ყველასათვის მოულოდნელად, ეტლიდან ცხენების გამოხსნას შევუდექით. მეეტლეს წინააღმდეგობა არ გაუწევია. იგი, როგორც ჩანს, მიგვიხვდა, რასაც ვაპირებდით.

აკაკი უსიტყვოდ იჯდა ეტლში გაღიმებული და, ვგონებ, ბევრნიერი უცქეროდა ამ ამბავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასიკური გიმნაზიის მოწაფეებს სათავადაზნაურო გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოწაფეები შემოგვემატნენ. ეტლში გავებით და აკაკი თეატრამდე მივიყვანეთ. მეეტლე მელია თავისი ორი ცხენით დინჯად მოგვყვებოდა უკან და, დარწმუნებული ვარ, მასაც სიხარულს გვრიდა ის პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული, რომელიც ამ პატარა ამბით გამოვავლინეთ ჩვენ, მოწაფეებმა, ქართველი ერის უკვდავი შვილის — დიდი აკაკისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებანი აკაკიზე

აკაკი წერეთელი ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი იყო. ძას აკავშირებდა ჩვენს ოჯახთან არა მარტო სიყრმის მეგობრობა ჩემს ძმასთან ცნობილ ნიკო ნიკოლაძესთან, არამედ აგრეთვე მჭიდრო მეგობრული განწყობილება ჩემს დასთან ანასტასია ნიკოლაძესთან. აკაკი ადრეული ბავშვობიდან მახსოვს. მისი მოსვლა ჩვენს ოჯახში დიდი სიხარული იყო. დედაჩემი — ქართული მწერლობის კარგი მცოდნე — განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა აკაკის. ხოლო აკაკი და ნიკო ხშირად მთელი დღეები საუბრობდნენ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა აკაკის საუბარი ნიკოსთან 1871 წელს ქუთაისში — ჩვენი საზღვარგარეთ წასვლის წინ. აკაკის და ნიკოს საუბრიდან დამამახსოვრდა ერთი მომენტი:

აკაკი უჩიოდა უფულობას, რაც ხელს უშლიდა მის საზღვარგარეთ გამგზავრებას. მე გაკვირვებული დავრჩი: ნუთუ აკაკის სურს საზღვარგარეთ წასვლა და უფულობა უშლის ხელს?... ეს გამოუკვეველი იყო ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში. საზღვარგარეთ (ჯერ ციურიხში და შემდეგ ჟენევაში) მე რამდენიმე წელი დავრჩი და იქაურ კოლეჯში ვსწავლობდი. თითქმის ჩემს თვალწინ გაიარა იმ ხანებში ჩვენი ახალგაზრდობის — „ულელის“ წევრთა ცხოვრებამ. კარგად დამამახსოვრდნენ აგრეთვე რუსი ემიგრანტები: ტკაჩოვი, ბაკუნინი, ელპიდინი, მეჩნიკოვი, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ახალგაზრდობას.

„ულელის“ სხდომებზე მე, როგორც ყველაზე პატარას, ლექსებს მაკითხებდნენ ხოლმე. აი, აქ დავიწყე პირველად აკაკის ლექსების შესწავლა. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ჩემი დის (ოლიმპიადას) ქმრის — მწერალ გიორგი წერეთელის ჩამოსვლამ, რომელმაც აკაკის ბევრი ლექსი ჩამოიტანა, როგორც მახსოვს, გაზეთიდან ამოჭრილები. ყველა ეს ლექსი გიორგი წერეთელმა დამასწავლა და სათითაოდ მაკითხებდა ხოლმე ხან „ულელის“ სხდომებზე, ხან კი ცალკე შეკრებებზე.

როცა საზღვარგარეთიდან დაბრუნდი, აკაკი უკვე მეყვარული შეგნებული სიყვარულით, როგორც ხალხის დიდი პოეტი — მიუმეტეს, რომ საზღვარგარეთ ჩვენი ახალგაზრდობის გავლენით ჩემში მომწიფდა პატრიოტული გრძნობა. ამიერიდან მე აკაკის ძალიან ხშირად ვხვდებოდი. აკაკი, როგორც ვთქვი, ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახისა. ჩვენს გარდა ქუთაისში აკაკის ჰყავდა ორი მეგობარი ოჯახი — ხელთუფლიშვილებისა და სერგეი ბახტაძისა.

აკაკი გასაოცარი მოსაუბრე ადამიანი იყო. მოხუცი, ჭაბუკი თუ ბავშვი მასთან უცებ ნახულობდა საერთო ენას. ბავშვებთან მაინც აკაკი სულ იცვლებოდა, მათი ტოლი ხდებოდა, მათთან ერთად იცინოდა, დაუზარებლად უამბობდა ამბებს, ზღაპრებს, უკითხავდა და მათაც აკითხებდა ლექსებს.

ბავშვების სახელები სათითაოდ ახსოვდა, თუ გინდ ერთხელაც შეხვედროდა.

დაუვიწყარია აკაკის სახე ქუთაისის ქუჩებში — ბრგე ტანის, ვეფხვისებური ლამაზი თავით, შევერცხლილი თმითა და წვერით, მაღალი შუბლით, ოდნავ თავაწეული, იგი ოლიმპიური სიმშვიდით, ნელი ნაბიჯით დადიოდა. პოეტის თვალები და ტკბილი ღიმილი ალერსს აფრქვევდნენ. აკაკიმ შესანიშნავი მისალმება იცოდა, მაგრამ ეკლიან სიტყვასაც არ იშურებდა ხოლმე. აკაკიზე ამბობენ: კაცის მაგინებელი იყოო. ეს მართალი არ არის. მისი დაცინვა ან უქნარა, საზოგადოებრივად უსარგებლო ადამიანებისაკენ იყო მიმართული და მაშინ იგი ძალიან გესლიანი იყო. უმთავრესად კი, უნდა ითქვას, აკაკის ლამაზი და მოსწრებული სიტყვისათვის უყვარდა დაცინვა და ამაში უკან არ დაიხევდა თუგინდ ათასი კაცი გადაკიდებოდა. არა მგონია, რომ აკაკის ისე ძლიერ და გულწრფელად ჰყვარებოდა ვინმე თავის მეგობრებში, როგორც კირილე ლორთქიფანიძე, მაგრამ ამავე დროს აკაკის დაცინვის ისარი იმდენი არავის მოხვედრია, როგორც კირილეს. ეს უკანასკნელი სიმშვიდით ხვდებოდა აკაკის ყოველ ოხუნჯობას. თითქოს ეს მას არ ეხებოდა, არ გავიდოდა ერთი კვირა, რომ აკაკის ახალი სასაცილო რამ არ მოეგონებინა კირილესთვის. მაგალითად: კირილე აიაზმის წყლით იბანს წვერებს ყოველდღე და იმიტომ არის ასე სპეტაკიო, კირილეს საპირფარეშოსთვის სპეციალური შარვალი შეუკერავსო. ეს ენამახვილო-

ბა გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ კირილე ლორთ-ქიფანიძის არაჩვეულებრივ სისუფთავის მოყვარულობას.

ერთხელ, მახსოვს, საღამოს გვესტუმრნენ აკაკი, კირილე და სერგეი ბახტაძე. აკაკიმ შემოსვლისთანავე მოგვაძახა: სადილად უნდა გხლებოდით დღეს, მაგრამ კირილემ სამ საათზე წვერების ბანა რომ დაიწყო, ახლა გაათავაო. აკაკის ოხუნჯობამ საერთო სიცილი გამოიწვია.

არ იყო თემა, რომელზედაც აკაკის მომხიბვლელი და საინტერესო საუბარი არ გაება. ჩემს ძმას ნიკოს მასთან საუბარი ძალიან უყვარდა. მოიგონებდნენ ხოლმე წარსულს, სტუდენტობის დღეებს პეტერბურგში. ერთხელ მოიგონეს, თუ როგორ შეჰყარეს ღუმელში მათ, აივანზე გამოჩენილ ჟანდარმის შიშით, აკრძალული წიგნები. მათ ბედზე ჟანდარმი სხვა ბინაში შესულიყო. როცა წიგნები უკან გამოიღეს, გამორკვეულა, რომ ღუმელში დაბნეულობით ლეგალური წიგნები შეეყარათ. მათი მეგობრული საუბარი ხშირად ცხარე კამათში გადადიოდა. უყვარდათ კამათი პოლიტიკაზე. აკაკი აუცილებლად ლექსს ან ანდაზას გამოურევდა საუბარში. ანდაზა და გამოცანა მისი საუბრის დამახასიათებელი ელემენტი იყო.

აკაკი დიდად აფასებდა ნიკოს აზრს და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მას, ნიკო ხომ გატაცებული თაყვანისმცემელი იყო აკაკის პოეტური ნიჭისა. მას პუშკინს ადარებდა, ილიაზე მაღლა აყენებდა, როგორც მგოსანს, მაგრამ არ მოსწონდა აკაკის ზოგიერთი პირადი თვისება, განსაკუთრებით აჩქარებულობა.

ქუთაისი აკაკის გარეშე ძნელი წარმოსადგენი იყო. როდესაც ქუთაისში აკაკი არ იყო, თითქოს ქალაქი კვდებოდა. საკმაო იყო აკაკის ჩამოსვლა, და მისი ლექსები, მოსწრებული სიტყვები ახმაურებდა და ახალისებდა მთელ საზოგადოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონის პირას

აკაკი ყრმობიდანვე მახსოვს. მისი ნამდვილი ბუნება კი უკეთ უფრო გვიან ვიგრძენი, ქუთაისში, ჩემი მამიდების, კატო და ანიჩკა ნიკოლაძეებისას, გიმნაზიაში რომ მიმაბარეს, 1896-98 წლებში.

ოცამდე მოზარდი ვიყავით მამიდების ცნობილ „რიონის-პირა" პანსიონში და ამ მოგონების მიზანია აკაკის სურათის აღდგენა იმ ჩვენს, აკაკის საყვარელ „მწვანე-ჯეჯილურ" გარემოში და ამავე დროს მისი ძველი, განსაკუთრებული მეგობრის, ანასტასია ნიკოლაძის გვერდით.

რა მხიარულ, მჭიდროდ შეკავშირებულ ახალგაზრდა „კომუნას" წარმოადგენდა კირილე ლორთქიფანიძისა და აკაკის მიერ ასე მონათლული ჩვენი პანსიონი. და როგორ გვიყვარდა აკაკის ჩამოსვლა ქუთაისში. ჩვენთან ჩამოხტებოდა ხოლმე. მხიარული, ამყოლი და თითქოს ჩვენზე უფრო ახალგაზრდა ყოველგვარ ეშმაკობასა და ოინებში, იგი ყველას ფეხზე გვაყენებდა თავისი გამოჩენის პირველივე წუთებიდან.

ხან ლექსს წაგვიკითხავდა, ან ჩვენ გვათქმევინებდა; ხან სიცილით დაგვხოცავდა რისიმე მოყოლით; ხან, პირიქით, დაცინვით რომელიმე ჩვენგანს კიდეც აატირებდა ხოლმე. ხან რაიმე დაუვიწყარი მოგონებით გაგვიტაცებდა და თითონაც აგვყვებოდა ამ გატაცებაში.

იმ დროიდან ყველაზე უფრო ცოცხლად ასეთი სურათი მიდგება თვალწინ: ქუთაისის თეთრი ხიდის სიახლოვეს, რიონის მაღალ ნაპირზე იდგა ბაბუაჩვენის ძველი, ნახევრად დანგრეული ხის სახლი, მისი მშვენიერი, წყალზე გადამყურე აივნით. ძირს კი კლდეებზე აზვირთებული რიონი ჩქეფდა, ურჩი და თეთრად აქაფებული. როგორ გვიყვარდა მასთან თამაში და მისი ტალღების „წვიმა". მეტადრე აკაკის ჩამოსვლის დროს. როგორ ველოდით დილაობით, ნაპირზე მიმალულები, მისი კარის გაღებას, მისი ადგომის დრო რომ მოახლოვდე-

ბოდა. პირმღიმარი და თმააბურძგნული, მხიარულად გამოდიოდა იგი, მზით მოსილი, წყალზე გადაკიდებულ აივანზე. სახეს და გულმკერდს დილის სიოს შეუშვერდა, ჩვენ მხიარულად აბრწყინებულ თვალს გადმოგვავლებდა და ყველას ერთად ჩამოგვძახებდა თავისი ახალი ლექსის გადაკეთებით:

გამარჯობა, ქუთაისო,
სავარდო და სამაისო!

და მართლაც, გინდა ზაფხული ყოფილიყო, გინდა შუაზამთარი, ყინვით და თოვლით, აკაკის ჩამოსვლას ყოველთვის თან თითქოს ია და ვარდი მოჰქონდა.

სულ პირველად კი, ჩემი იმდროინდელი ბავშვური წარმოდგენით, ამის საწინააღმდეგო გარემოში მახსოვს აკაკი, როგორც პოეტი. ეს იყო ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების დღეს, 1893 წლის 25 აპრილს.

8 წლის ვიყავი, როდესაც ეს მოხდა. და ის დღე სასწაულივით მაქვს შეტანილი ჩემს ბავშვურ, სამხაზიან „დღიურში“.

იმ ხანის საქართველოსათვის ეს გადმოსვენება იმდენად დიდ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა, რომ დედამ მეც თან წამიყვანა, ახალი ნაავადმყოფარი.

როგორ გამზარდა და გამამდიდრა იმ დღემ: პოეტის კუბომ და მისი „მერანის“ შეგრძნობამ.

ჩვენს ოჯახში ბარათაშვილი. დედის დედა ქეთევანი, დედა, მამა, დეიდები და ბიძაჩვენი დავით გურამიშვილი სულ მისი ლექსებით მეტყველებდნენ, როდესაც მწერლობაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ეს კი მუდმივი მოვლენა იყო ჩვენს სახლში.

განსაკუთრებით აფასებდა ბარათაშვილს ილია. არ მახსოვს არც ერთი ისეთი შეხვედრა მისი ბებიაჩემთან, რომ ცალკე შოთაზე, ცალკე ბარათაშვილზე და სხვა ძველ მწერლებზე არ ყოფილიყოს სიტყვა ჩამოგდებული, მათი ლექსების წარმოთქმით და შედარებით.

ამიტომ გასაგებია, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ილიას და მამაჩემის მიერ მოტანილმა საოცარმა ამბავმა, რომ ნახევარი საუკუნის წინ გარდაცვლილი პოეტის გვამს თბილისში მოასვენებენ შორეულ მიდამოების „ტიალ მინდვრე-

ბიდან“ და დიდუბეში უმზადებენ საფლავს, „მისსა წინაპართა საფლავთა შორის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის არა მძინებია იმ დიდი მოვლენის წინა ღამეს და გათენებისას ისე ადრე წამოვხტი, რომ მე და ბებია ქეთევანი ერთად შევხვდით მამაჩემს აივანზე, მზის ამოსვლისას. აპრილის მშვენიერი დილა იყო და მზე მთაწმინდას აბრწყინებდა თავისი პირველი სხივებით.

— ყოჩაღ, უკვე ამდგარხარ! — მომმართა მე მამამ, რომელიც ადრე ადგომას გვაჩვევდა. — რა მშვენიერი დილაა! — მიუბრუნდა იგი ბებიაჩემს და წამოიძახა სიხარულით: — „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“...

სულ რამდენიმე თვე იყო, რაც აღტაცებულმა გიორგი წერეთელმა პირველად მოუტანა მამას აკაკის ეს ახალი ლექსი, დაწერილი „კვალის“ პირველ, სააღლუმო ნომრისათვის (და დიმიტრი ყიფიანის საფლავისათვის). აქამდე მახსოვს, რა აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექსმა მთელი ჩვენი ოჯახი, აგრეთვე ყველა ჩვენი სტუმარიც.

სათაური „განთიადი“-ც სპეციალური მნიშვნელობით იყო შერჩეული და ლექსი ალივით მოედო მთელს იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას.

იმ დროს ჩემი და ბებია ქეთევანის საყვარელი ლექსი აკაკისა იყო „სიზმარი“, ჩვენი სამი სათაყვანებელი გმირი-ქალის სურათით და ქართული ენისა და ერის დიდებით.

მე და გიორგის, ჩემს პატარა ძმას, ბებია ყოველ საღამოს გვიამბობდა რაიმე შესანიშნავს ძველ ქართველთა გმირობიდან — სინამდვილიდან ან ზღაპრულიდან და შემდეგ უსათუოდ ან „ვეფხისტყაოსნიდან“ წაგვიკითხავდა რასმე შესაფერისს, ან ახალი პოეტებიდან, რომელთაც, ბებიას აზრით, ბარათაშვილის თაობაც ეკუთვნოდა ილიასა და აკაკისთან ერთად, და მათ შორის ბებია ყველაზე მაღლა აკაკის აყენებდა. აკაკის „სიზმარს“ იგი „ივერიის სამებას“ უწოდებდა, რადგან ეს ლექსი აკაკის თურმე ილიასთვის ჰქონია დაწერილი, მისი გაზეთ „ივერიის“ გასაუკვდავებლად“, როგორც აკაკიმ იცოდა ხუმრობით თქმა, ბებია ქეთევანი შეყვარებული იყო ამ ლექსში და სულ იმეორებდა მის საუკეთესო ადგილებს.

„განთიადმაც“ ასეთივე შეფასება მიიღო ბებიასაგან. მე გვერდში ვყავდი, როდესაც მან ილიას უთხრა, ამ ახალი ლექ-

სით აღტაცებულმა: შენი „ივერიისათვის“ შექმნილი „სიზმრის“ შემდეგ ჯერ ასეთი არა გამოუთქვამს რა მისი გულის კვნესასაო.

— დიდი პოეტია აკაკი! — წამოიძახა იმ აპრილის დილას მამაჩემმა. — არ მომკვდარა ბარათაშვილი. ისა სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

მას აქეთ აკაკის სახელი აელვარებული, ალისფერი ასოებით აინთო ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში მთაწმინდის შავი სილუეტის ფონზე.

როდესაც ზღვა ხალხით ავსილ ქუჩებში და დიდუბის მინდორში დიადი კუბოს გვერდით აკაკის ლომისებური თავი და მხარბეჭი დავინახე, ქარით ანიავებული თმით, იგი კუბოდან ამდგარ ბარათაშვილად მომეჩვენა, მისი მერანის შავ ფრთებზე შემდგარი და თავისი განთიადის სხივებით კაშკაშად აბრწყინებული...

1—2 წლის შემდეგ მამა ფოთში მიიწვიეს სამუშაოდ და ჩვენც თან წავყევით. რამდენი საინტერესო რამ გავიგეთ ბავშვებმა იმ წლებში ჩვენი უფროსების კამათიდან ჯერ თბილისში, ჩვენსა და „კვალის“ რედაქციაში, 1893-94 წლებში, შემდეგ კი ფოთსა და ჯიხაიშში.

მამა ფოთის საზღვაო მომავალს აყენებდა ყველაზე წინ საქართველოსათვის რუსეთის თვითმპყრობელობის მონობიდან თავის დასაღწევად; აკაკი და გიორგი წერეთელი კი „ძველებურად“ ქუთაისის წარსულის „კვალს“ აწერდნენ ყველაზე მეტ მნიშვნელობას.

ასეთ გარემოში დაიბადა აკაკის „ქუთაისი“ და „ზღვაო, აღელდი“, ორივე ეს მისი მშვენიერი „იმერეთით ნამღერი“ და საინტერესო კამათით „ცეცხლშენთებული“ ლექსი. გიორგი წერეთელი იმ დროს უკვე თავისი „პირველი ნაბიჯის“ შესავალ თავებს ამზადებდა, რომლებიც ანარეკლი იყო ფოთის ძველი პორტის არქაული მშენებლობის და ძარცვა-მექრთამეობისა; მამა კი ახალი მშენებლობის გეგმებს აგებდა, მაშინ, როდესაც აკაკი მას ძველად დაწერილი ლექსიდან „ფოთი“ დამცინავ ციტატებს აყრიდა სეტყვასავით.

მეტად დამახასიათებელია აკაკისათვის, რომ მას რაღაც ორგანული „ოპოზიცია“ ულვივოდა გულში ფოთის მიმართ. მან ფოთის რიონიც კი აითვალწუნა, ამის გამო და სპეციალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მამასათვის შექმნა თავისი „ქუთაისის“ რიონ-ფაზისის ზღვასთან შერთვის სურათი:

სადღა არის ოქროს სილა?..
შლამ-ტალახით ამოვსილა...

სულ ამას უმეორებდა აკაკი მამას ფოთის ფაზისის შესახებ, რომელსაც იგი ყოველთვის ქუთაისის ურჩ და შეუპოვარ რიონს უპირდაპირებდა, ან კიდევ ბათუმის ჭოროხს.

ფოთის პორტის გარეთ შავად განრისხებულ ზღვ[illegible] კი იგი აღტაცებაში მოჰყავდა და მისი „ზღვაო აღელდი“ [illegible]ა ნაღერი 1894 წელს.

ზღვაო, აღელდი, აღელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე...
. . . . . .
პოეტო, ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა...

ამ ლექსის წყობა დედაენის „მზეო, ამოდი, ამოდის“-ს რიტმითაა წარმოშობილი, თვით აკაკის თქმით. დამახასიათებელია, რომ მისი ბოლო სიტყვები ნაწილობრივ მამაჩემის ახალი გატაცების საწინააღმდეგო პროტესტს შეიცავენ, მწერლის კალამი მშენებლობაზე რატომ გაცვალეო?

აკაკიმ რამდენჯერმე წაგვიკითხა ეს ლექსი ჩვენი რიონის ზედა აივნიდან, გაზაფხულის წვიმებით აზვირთებული რიონის წინ და სპეციალურად დამაბარა, მამაშენს მისწერე ამის შესახებო.

პორტის მშენებლობა მას მამაჩემის საზოგადოებრივ „ძილად“ მიაჩნდა და მწერლის მოწოდების ღალატად...

ოითქმის 12 წლისა ვიყავი, ქუთაისში რომ გამისტუმრეს მამიდებთან და იქაურ ქალთა გიმნაზიაში მიმაბარეს. იმ დროს მამიდებს ოცამდე მოწაფე ვყავდით: ორი ქალი — მე და მათი ნათლული ელენე ჩხეიძე, დანარჩენი კი ბიჭები, ერთიმეორეზე უფრო ცოცხალი და ეშმაკი, ზოგი გიმნაზიაში მოსამზადებლად იყო მობარებული, უმრავლესობა კი უკვე სწავლობდა გიმნაზიაში, უმცროს ან უფროს კლასებში.

ერთ მთლიან, მჭიდროდ შეკავშირებულ ოჯახს წარმოადგენ. და ჩვენი პანსიონი. აკაკის ძალიან უყვარდა ეს ჩვენი „ქაჯეთი“, როგორც იგი ხშირად გვიწოდებდა, როდესაც ჩვენს ეშმაკობას აჰყვებოდა ხოლმე, და მასაც ჩვენთან ერთად მოხვ-

დებოდა მამიდა კატოსაგან. უამისოდ ვერც წარმოიდგენია აკაკი ქუთაისში.

ჩვენი რიონისპირა ქაჯეთი და მისი „ნესტანი“ — მამიდა ანიჩკა ერთ-ერთი მართლაც „სავარდო და სამაისო“ ფურცელია აკაკის მდიდარ და მრავალფეროვან სიცოცხლეში.

მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
ზედ კორტოხზე წამოდგმული.

ამ სიტყვებით შემოაბიჯებდა ხოლმე იგი ჩვენს ძველ სახლში და იმწამსვე ჩვენ მოგვიბრუნდებოდა და გვკითხავდ»: როგორ ხართ, ქაჯებო? აბა, გამოტყდით, ვინ რა იეშმაკეთ?.. თან ისეთ „თვალს“ გვიზამდა მამიდებისაკენ, რომ მხიარული იმედებით აგვივსებდა გულს ახალი ეშმაკობის მოლოდინში...

რა დღესასწაული იყო ჩვენთვის ყოველი მისი ჩამოსვლა! სულ კუდივით უკან დავდევდით რაიმე მორიგ საინტერესო თქმას ან მხიარულ „ნომერს“ მოწყურებულნი.

არავის არ ჰგავდა ამაში აკაკი თავის თერგდალეულთა წრიდან. თბილისში მამა და ილია ჭავჭავაძე, ქუთაისში კი მამა და კირილე ლორთქიფანიძე — ყველგან მხოლოდ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ ჩვენს ბავშვურ წარმოდგენაში: „დიდები“ და ამიტომ მხოლოდ უფროსებისათვის მისაწვდომები. ჩვენ კი, უმცროსები არც კი ვახსოვდით, თუ საქმით იყვნენ გატაცებული ან ცხარე, გაუთავებელი კამათით.

ერთადერთი მათ შორის ჩვენი, ბავშვების საყვარელი სტუმარი და მეგობარი, აკაკის გარდა, იყო აგრეთვე გიორგი წერეთელი, რომელიც საკმაოდ ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში და ჩვენთან ჩამოხტებოდა ხოლმე, მეტადრე მას აქეთ, რაც მეფის ცენზურამ მისი „გულქანი“ აკრძალა 1896 წელს თბილისში და იგი ახლა რაღაც საბავშვო მოთხრობებს ბეჭდავდა ქუთაისში.

გიორგი წერეთელს ძალიან უყვარდა ბავშვები და ახალგაზრდობა, მაგრამ სულ სხვანაირად, ვიდრე აკაკის: იგი ყოველ ჩვენგანს საბრძოლველად გვამზადებდა. აკაკის კი ჩვენ» ცელქობა და სიცხოველე უშუალოდ იზიდავდა.

გიორგი წერეთელში ჩვენ მეგობარ-მასწავლებელს ვგრძნობდით და არა თამაშობის ტოლ-ამხანაგს. რა არ გაივლიდა ჩვენს თვალწინ ამ ყველაფრის მცოდნე, გატაცებული

მოამბის ჩამოსვლისას, განსაკუთრებით ჩვენი ხან შორეული, ხან ახლო წარსულიდან, რომელიც მას ასე უყვარდა, ნაშდვილიც, ლეგენდარულიც.

ზოგჯერ აკაკიც ესწრებოდა ამ „მოყოლის“ საღამოებს, და მაშინ ზღაპარი და ლეგენდა იმარჯვებდა: ამირანი და ქართლოსი; არგონავტები და ფაზისი; აკაკის ნინო და თამარი; გელათის დავით აღმაშენებელი; მეორე დავითი და კონსტანტინე, ჩვენი მოწამეთის წყალწითელიდან.

შესანიშნავი საუბარი იცოდა აკაკიმ, მეტწილად იუმორნარევი. გიორგი წერეთლის გადმოცემა კი ყოველთვის „ცეცხლწაკიდებული“ იყო და „ცეცხლის მომდები“.

ასეთივე იყო მისი საუბრის თემებიც: „უღელი“ და რუსეთის „ქალთა ფერეინი“ შვეიცარიაში. რუსეთის მებრძოლები და მათი გაცნობა ან შეხვედრა თერგდალეულებთან. იტალიის, საფრანგეთის, ამერიკის მებრძოლები. პარიზის კომუნა და კომუნარები. გარიბალდი და მისი რაზმი. მათი ბრძოლა და გამარჯვება... რას არ გვიამბობდა გიორგი წერეთელი თბილისიდან ჩამოსვლის დროს? სტამბაში წაგვიყვანდა თან, სადაც მისი „ჩვენი გმირები“ იბეჭდებოდა ჩვენთვისვე, რაკ აგრეთვე დიდი დღესასწაული იყო ჩვენთვის.

მაგრამ ყველა ამაში გიორგი წერეთელი წინა თაობიდან ჩამოსული სტუმარი იყო ჩვენი ნორჩი გულაგზნებული რიონისპირა წრისათვის. რამდენი რამ უნახავს, გამოუცდია, დაუწერია და გაუკეთებია ამ წინათაობას თვით გიორგი წერეთელთან ერთად.

აკაკი წერეთელი კი დროისა და სივრცის გარეშე იდგა ჩვენს წარმოსახვაში: იგი ხან შოთას გვერდით გვევლინებოდა, როგორც ჩვენი „რჩეული ერის“ „მზის ტოლი“ მგოსანი, ჩვენთვის მიუწვდომელი ჩანგითა და გულის სიმებით. ხან კი, პირიქით, ჩვენ ტოლ-ამხანაგად მიგვაჩნდა, ჩვენსავით ცელქად და ეშმაკობაში ამყოლად.

სასადილო ოთახში რომ შევიჭრებოდით საკლასო ოთახიდან, გაკვეთილებზე მუშაობის შემდეგ, დამშეულები და აკაკის ოხუნჯობისათვის „კბილებგალესილები“, აკაკის თითქოს ელდენი გაუვლიდა, ისე გამოცოცხლდებოდა ხოლმე: წამოხტებოდა, 40 წელს მხრებიდან ჩამოიშორებდა და სიცილით მოგვეგებებოდა: შემოგვესივნენ ქაჯები, ხმალი ვიშიშვლოთო!

და... შეჯიბრს გამოგვიცხადებდა ცელქობა-ეშმაკობაში: აბა, ბიჭებო, ვინ მაჯობებსო?

ასეთი იყო ჩვენი მხიარული „ქაჯეთის“ შინაცხოვრება. ასეთი იყო თვით აკაკიც ამ „ქაჯეთში“, ჩვენი ძვირფასი მამიდების სტუმართმოყვარე, ძველ სახლში. მუდამ მცინარე, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და სულიერად ჩანგაჟღერებული.

ძნელი წარმოსადგენია ერთსა და იმავე ოჯახში მეტი ანტიპოდები, ვიდრე ნიკო ნიკოლაძის ორი და იყო: კატო და ანიჩკა (ანასტასია) ნიკოლაძეები.

მამას ხუთი დიდან მარტო ეს ორი იყო უქმარშვილო. მთელი თავიანთი სიცოცხლე მათ შესწირეს საზოგადო საქმეს, ახალგაზრდობის აღზრდას. თავის დაობლებულ დისწულებთან ერთად მათ მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა მიაჩნდათ საკუთარ ოჯახად, მეტადრე თუ რომელიმე მათგანი ნიჭს გამოიჩენდა და თვითმპყრობელობის ურჩობას.

სულ სხვადასხვანაირი ბუნებისა და პიროვნების პატრონები, კატო და ანიჩკა, ამავე დროს იმით იყვნენ ცნობილი, რომ უერთმანეთოდ ვერც სძლებდნენ და ვერც წარმოიდგენდით მათ ცალ-ცალკე. თითქმის ერთ დღესაც გარდაიცვალა ორივე. დასაფლავებულიც ერთად არიან, თბილისში.

მამიდა კატომ 77-წლიანი ცხოვრება-მოღვაწეობიდან (1854—1931) მხოლოდ სამი წელი გაატარა უანიჩკოდ, 70-იან წლებში (1873—1876), როდესაც ძმამ იგი და შუათანა და ოლიმპიადა შვეიცარიაში წაიყვანა ქართველ სტუდენტ-ქალების პირველ რაზმთან ერთად. მამიდა ანიჩკა კი არც მაშინ მოშორებია ოჯახურ კერას, როგორც უფროსი და (1846—1931).

ყველაფერში „არქიპოლუსები“ იყვნენ კატო და ანიჩკა აკაკის მხიარული დახასიათებით. მამიდა ანიჩკას იგი ნაზ იას ადარებდა ჩვეულებრივ, მამიდა კატოს კი... ჭინჭარს, რომლისგანაც მასაც კარგად მოხვედრია არაერთხელ: ვა, ბეჩა აკაკი, ასე რამ გაგაგიჟაო...

მამიდა კატოს ამგვარ „კომპლიმენტებს“ მეტად კარგ გუნებაზე მოჰყავდა აკაკი. იგი მხიარულად გადაიხარხარებდა ხოლმე და წამოიძახებდა თავისივე ლექსს ოდნავი შეცვლით:

ოჰ, აკაკი... ჭინჭარში ნუ ვარდები...
ნუ გგონია იქ ია და ვარდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამიდა ანიჩკასთვის კი მას, პირიქით, რამდენჯერ გაუმეორებია თავისი „გაზაფხულიდან“:

> დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
> ვუშვრეტ ნაზად დახრილ იას...

რაზედაც მამიდა ანიჩკა უცვლელად უსაყვედურებდა დაბალი, ღელვით ჩაყრუებული ხმით: „კაი, აწი, აკაკი, ნუ იცი ეს“...

დაუცხრომელი ენერგიით სავსე, მოუსვენარი მუშაკი და ახალ-ახალი საქმეების წამომწყები, მამიდა კატო ბუნებით მოწოდებული საზოგადო მოღვაწე იყო და ამავე დროს თავისი ოჯახისა და პანსიონის ენთუზიასტიც.

ქუთაისში მამიდა კატო არც ერთ საზოგადო საქმეს არ აკლდებოდა, თითქმის ყველგან იგი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო და წამოწყების სული და გული. ქართული თეატრი, თარგმანები და გამომცემლობა, მუშებისათვის იაფფასიან წარმოდგენათა მოწყობა, სახალხო უნივერსიტეტის დაარსება და ხელმძღვანელობა, სტიპენდიები, „საიმედო“ ახალგაზრდების და დევნილების დახმარება, — სად არ შეხვდებოდით მას ქუთაისში 40-50 წლის მანძილზე, 70-იანი წლებიდან 1920-მდე. ყველა ეს ქალთა წრის საქმე იყო, რომლის სულსა და გულს მამიდა კატო შეადგენდა რამდენიმე თავის მეგობართან ერთად, რომელთა შორის 90-იან წლებში ყველაზე უკეთ მახსოვს მელ. გველესიანი, ელ. ხელთუფლიშვილი და ნიცა წერეთელი.

ამ ქალთა წრის საუკეთესო მეგობარი და ხელისშემწყობი იყო აკაკი. ყოველი მისი ჩამოსვლა ქუთაისში ამ წრის რაიმე წამოწყებასთან იყო დაკავშირებული...

სულ სხვა იყო მამიდა ანიჩკა. პატარა, წყნარი და „ზამბახივით ნაზი“. იგი მართლაც ქაჯეთში დატყვევებულ ნესტანდარეჯანს ემსგავსებოდა ჩვენს მხიარულად ახმაურებულ პანსიონში. აკაკი მას „პატარა ქალბატონს“ ეძახდა ალერსიანი ხუმრობით და ამ ეპითეტით დაწერილმა აკაკის წერილებმა ჩვენამდეც მოაღწია. როგორც გარეგნულად, ისე მთელი თავისი ბუნებით მამიდა ანიჩკა რაღაც ნაზ გრძნობებს იწვევდა თავისადმი ყველაში, ვისაც შეხვდებოდა: მზრუნველობას,

თბილ ალერსს. ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი, იგი ახლაც მშვენიერი გარეგნობის იყო, პატარა და კოხტა.

ვერავის წარმოედგინა მისი ხმის ამაღლება, ნაბიჯის აჩქარება და მოთმინებიდან გამოსვლა. მამიდა კატო კი პირიქით, ფიცხი და სწრაფი ბუნების ადამიანი იყო, თუმცა ყველა კარგად იცნობდა მისი ცხარე გულის საარაკო გულკეთილობას და ავის არდახსომებას.

მამიდა ანიჩკას ყოველი განცდა მის გულში იმარხებოდა ჩუმად და სამუდამოდ. ამიტომ მისი ღიმილის ჩაქრობა და წარბების შეკვრა მეტი სასჯელი იყო, ვიდრე მამიდა კატოს უცხარესი წუთიერი „ადუღება" და ენამახვილი „დარტყმა."

მამიდა ანიჩკას მიმართ აკაკის ბუნება ყოველთვის „სამაისო" რჩებოდა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში: მზიანი, ალერსიანი, არაჩვეულებრივ ნაზი და ახალგაზრდულად ხელუხლებელი, უშუალო. რამდენჯერ უთქვამს აკაკის ჩვენთან ჩამოსვლისას, მამიდას გვერდით რომ დაჯდებოდა ტახტზე სადილის წინ, სანამ ჩვენ საკლასო ოთახში ვმუშაობდით ან ეზოში ვთამაშობდით, — რა მიყვარს ქუთაისში დაბრუნება!..

> გულში იფეთქა სიამემ,
> სევდები უკუვყარეო,
> ია და ვარდი დამჭკნარი
> ხელახლად გამიხარეო...

— ასეა, ჩემო ანიჩკა! აბა, მითხარი ახლა თქვენი აქაური ამბავი... — და დაიწყებოდა მათი ხანგრძლივი საუბარი, სანამ ჩვენ არ შემოვესეოდით.

ასეთი იყო აკაკის ეს სრულიად თავისებური მეგობრობა, რომელიც გაგრძელდა 60-იანი წლებიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

მამიდა კატოს არ ეცალა ჩვენთვის, გაკვეთილების გამოკითხვის საათების გარეშე; მას ქალაქში ჰქონდა ათასი საქმე. მამიდა ანიჩკა კი ჩვენი მხიარული სკის „დედაფუტკარი" იყო. გვესაუბრებოდა, გვიკითხავდა, გვაკითხებდა, გვიამბობდა ბევრ რამეს წარსულიდან... საშინლად გვიყვარდა უმცროსებს ეს საათები მასთან.

აკაკის ჩამოსვლისას კი ამ საათებში უსათუოდ ისიც იღებდა მონაწილეობას. სად არ გადაგვაფრენდა იგი თავისი ფრთაშესხმული ენით და წარმოსახვის უნარით.

ძალიან გვიყვარდა უმცროსებს აკაკის ორი გუნებაში „დეკ-
დაენის“ ლექსების კითხვა-გამოკითხვის ხასიათზე რომ დადგ-
ბოდა და თავისი ბავშვობის თავგადასავლის მოგონებათა მო-
რევში რომ გადაეშვებოდა; ჯერ სხვიტორის ხანაში, შემდეგ კი
ქუთაისში, „როზგის მეფობის“ დროში. იმავე გიმნაზიაში სწავ-
ლობდნენ იგი და მამაჩემი, სადაც ახლა თითქმის მთელი ჩვე-
ნი პანსიონი მიემგზავრებოდა ყოველ დილას. სულ სიცილით
გვატირებდა აკაკი ამ შორეული წარსულის დაუჯერებელ ფაქ-
ტების გადმოცემით.

განსაკუთრებით კარგად ჰყვებოდა აკაკი მათ „დეკილორის“
ცნობილ ამბავს (რაც ასე შესანიშნავად აქვს აწერილი „ჩემს
თავგადასავალში“) და აგრეთვე სკოლაში ჭადით დაჩოქილე-
ბის ეპოპეიას, მახარობელა ბუზის კლასში გაშვებას, გაწკეპ-
ვლის შემთხვევებს და თათრული ენის გაკვეთილების იმ ანეგ-
დოტებს, რომელიც მამაჩემს და გიორგი წერეთელს მასზედ
ბევრად უკეთ ახსოვდათ რატომღაც, გადმოცემას კი მათ ყო-
ველთვის აკაკი ჩამოართმევდა და პირდაპირ სიცილით დაგვ-
ხოცავდა.

გაგიჟებით გვიყვარდა აკაკის ასეთი „მოგონებაზე დადგო-
მა,“ რასაც მასში ყოველთვის მამიდა ანიჩკა იწვევდა. — გახ-
სოვს ნიკო როგორი ყურებაწითლებული დაგვიბრუნდა ერთ
დღეს? — მიუბრუნდებოდა აკაკი მამიდას და დაიწყებოდა მა-
თი საერთო მოგონებები: ქალებს როგორ ზრდიდნენ იმ დროს,
სანამ მათ ძმებს ნიკოლოზ-პირველდროინდელ გიმნაზიაში
სტანჯავდნენ, და სამარცხვინოდ როზგავდნენ კიდეც... პირვე-
ლი ქალები როგორ მიაბარეს რუსულ „პროლიმნაზიაში“, და
მათ შორის ორი „ალჟირკიანი“ დეიდაშვილიც: ანიჩკა ნიკო-
ლაძე და მაშიკო ხელთუფლიშვილი. — გახსოვს ეს ფაქტი,
პატარა, ქალბატონო? — შეეკითხებოდა ხოლმე ალერსით აკა-
კი.

— ალჟირკა რა არის? — იკითხავდა ვინმე ახლად მოსუ-
ლი ბავშვი და დაიწყებოდა ევროპის წარსულში გადაფრენა:
ალჟირელების ბრძოლაში, გარიბალდის ათასეულის მოგონე-
ბაში და სხვა... რადგან „ალჟირკა“ — წამოსასხმელები და მათ-
თან ერთად უსათუოდ „გარიბალდიკა“ — ქუდები რუსეთ-
საქართველოში 60-იან წლებში უტარებიათ ქალებს, როდესაც

დედა და მამიდა კატო ჯერ მხოლოდ 6—7 წლის ბავშვები ყოფილან, მამიდა ანიჩკა კი 16—17 წლის ქალიშვილი.

— აქეთ მოდი, აქეთ მოდი, ქალო ხაბარდიანოო, — სიცილით მოიგონებდა ხშირად აკაკი იმდროინდელ ლექსსა და სიმღერას და მიუბრუნდებოდა მამიდას: გახსოვს, ის დრო, ანიჩკა? — მახსოვს... — მიიღებდა ის მოკლე, დაბალი ხმით ჩალაპარაკებულ პასუხს.

და დაიწყებოდა ძველი დროის მოგონება, სახლის მამამთავრის, იაკობ ნიკოლაძის ხანაზე და აკაკის მიერ განსაკუთრებით შეყვარებულ 60-იან წლებზე. ხან გაიხსენებდნენ ფაქტებს, რომელიც კირილესა და მამას შეეხებოდა, ხან ქალების სამეფოს დაუბრუნდებოდნენ, როდესაც აშკარად, პირველი სიყვარული ჰქონდა განცდილი მათ ორივეს გულს...

— გახსოვს, ქალო ხაბარდიანო, ალჟირკებით რომ შემხვდით ბულვარზე, შენ და მაშიკო (ხელთუფლიშვილი) და ძე თბილისიდან ახლად ჩამოტანილი სიმღერა რომ გიძღვენით:

ალჟირკა და კისტები,
შენ რომ გხედავ, ვგიჟდები...

— გახსოვს, პატარა ქალბატონო, შენ როგორ იწყინე ეს ხუმრობა, მაშიკომ კი მთელ ქუთაისს აცნობა ეს ჩემი „სერენადა“?...

ერთხელ მე და ელენა მაისის ვარდებით დატვირთულები დავბრუნდით გიმნაზიიდან. აკაკი ამან იმწამსვე გაზაფხულის გუნებაზე დააყენა და ჩვენი საყვარელი საპირველმარტო „მერცხალი“ მოაგონა: დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა შემომძახა...

მამაჩემი ხშირად უმტკიცებდა აკაკის, რომ ეს მისი „გაზაფხული“ თავისთავად კი მშვენიერია, მაგრამ რევოლუციის გაზაფხულს არ წარმოადგენს, რადგანაც, მისი აზრით, პირველი მარტის მეფის მკვლელობა. თუ არ აგვიანებდა, არ აჩქარებდა რევოლუციის საქმეს; ილიას „გაზაფხული“ კი — „ტყემ მოისხა ფოთოლი“ — მიძღვნილი გარიბალდის ათასეულის გამარჯვებისათვის, მართლაც, ნამდვილი გაზაფხული იყო, მამაჩემის აზრით, თუმცა იგი პეტერბურგის თოვლსა და ყინვაში იყო თურმე შექმნილი 1861 წლის იანვარში, ნევისპირა სტუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დენტობაში ნაგრძნობი, იტალიის 1859—1860 წლის „გაზაფ-
ხულით“ ნაკარნახევი.

მამასა და აკაკის ამგვარ კამათს ყოველთვის ხარბად ვუს-
მენდით, მაგრამ, ცხადია, ჩვენი სიმპათიები ურყევად აკაკის
მხარეზე იყო „გაზაფხულის“ საკითხში, მით უმეტეს, რომ აკა-
კის ლექსი ასეთი მშვენიერი იყო და პირდაპირ ჩვენს ბედ-
ნიერ, მართლაც, „ტურფა“ ქვეყანაში გადაგვაფრენდა ხოლმე
საკლასო ოთახის ცივი კედლებიდან, თვით ამ ოთახსაც კი ავ-
სებდა მზითა და მერცხლის ჭიკჭიკით.

დავჰყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჰვრეტ ნაზად დახრილ იას,
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია-ტიას“.

ამ უკანასკნელ მარცვლებს ბულბულის ხმაბაძვისას აკაკი
პირდაპირ ოსტატურად წარმოთქვამდა.

— კიდევ გინდათ ლექსი? — შეგვეკითხა ერთხელ აკაკი,
როდესაც ჩვენი აღტაცებული შეძახილები შეწყდა და სიწყ-
ნარე ჩამოვარდა.

— კი, დიახ, გვინდა, — გამაყრუებლად შევძახეთ ოცეულ-
მა ხმამ.

— აბა კარგი, — გვიპასუხა აკაკიმ, მხიარული კილოს უე-
ცარი შეცვლით სერიოზულზე, — ერთ კარგ დარიგებას წაგი-
კითხავთ — ბულბულის ნამღერს. კარგად დამიგდეთ ყური;
ეს დარიგება უნდა შემისრულოთ.

და მან ახლად შემოსული „დილა“ წაგვიკითხა „ივერიი-
დან“, რომელიც ყველას ასე გვიყვარდა, მას კი განსაკუთრე-
ბით:

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა...

ერთი წუთი შეჩერდა აკაკი „ბულბულის ნატვრის“ წინ და
შემდეგ ლომური ძალით წამოიძახა ლექსის ბოლო:

აყვავდი, ტურფა ქვეყანა,
ილხინე, ივერთ მხარეო!
და შენ, ქართველო, სწავლითა
საშშობლო გაახარეო!

აკაკის საშინლად მოსწონდა „დილის“ ეს ბოლო — მოწოდება, რომლითაც მამიდა ანიჩკა სკოლაში გვისტუმრებდა დილაობით. და მართლაც, ეს ხომ აკაკის მთელი სიცოცხლის წმიდათაწმიდა ოცნება იყო ამდენი ათწლეულის მანძილზე...

ვინ შეხვედრია გაზაფხულს უციცინათელოდ დასავლეთ საქართველოში? საშინლად გვიყვარდა ციცინათელების ხანა რიონისპირა კლდე-ბუჩქნარის სიბნელეში. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ხშირად გაისმოდა ჩვენი ქაჯეთის ციხე-გალავანში აკაკის „ციცინათელას“ ის მშვენიერი ადგილები, რომელიც ხალხის ყურსა და გულს სიმღერად აქვს ქცეული:

ჩემო ცი-ცი-ნა-თე-ლა,
რად მიჰფრენ ნე-ლა, ნე-ლა...

იმ დროს განსაკუთრებით მოდაში იყო აკაკის ლექსების მღერა: „სულიკოსი“, „თავო ჩემო“, „ციცინათელასი“. მამიდების ნათლულს — ელენეს ძალიან სასიამოვნო ხმა ჰქონდა, გიტარაზე დაკვრაც მშვენივრად ეხერხებოდა. მეც მასწავლა თავის დასახმარებლად და ერთ დროს გაგიჟებული ვიყავით მაისის ღამეების მბჟუტავი ციცინათელებით და აკაკის ლექსებს გატაცებით ვმღეროდით.

ერთ-ერთ ასეთ საღამოს მამა ჩამოვიდა და პირდაპირ გაგვაოცა დაუჯერებელი განცხადებით, რომელიც მამიდა ანიჩკამაც დაადასტურა: აკაკის „ციცინათელაც“, „თავო ჩემოც“ საფრანგეთის კომუნის დამხობის ანარეკლიაო, რადგან უშუალოდ მოსდევს იმ მომენტსო; თერგდალეულები და „დროების“ რედაქცია ამ დამარცხებას თითქმის თვით კომუნარებივით განიცდიდნენ, მამას და კირილე ლორთქიფანიძის მტკიცებით.

ამიტომ, როდესაც „დროებამ“ ამის შემდეგ ზედიზედ ორ ნომერში გამოაქვეყნა აკაკის ეს ორი ლექსი, ყველას გადაუწყვეტია, ვისაც ნაბეჭდი სიტყვის „შუა-შუა სტრიქონებიც“ აინტერესებდა, რომ „ციცინათელა“ და „თავო ჩემო“ საფრანგეთის რევოლუციის სიმბოლოა და მის შორიდან ნათობას გვიხატავენ, როგორც ილიას „გაზაფხული“ ჩვენთვისაც სანატრელ იტალიის გაზაფხულს გულისხმობდა 10 წლით უფრო ადრე.

მამა გვარწმუნებდა, რომ ჩვენი საყვარელი „ციცინათელა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო სამეჯნურო მიზნებს ემსახურებოდა აკაკის იმდროინდელი გატაცების ლამაზი ლირიკული სიმბოლოთი, ასევე კომუნიზმის შორიდან გამონათებასაც გულისხმობდა ჩვენი სინამდვილის სიბნელეში.

მამა ყველაფერს ევროპის პოლიტიკას უკავშირებდა. აკაკიზე კი, როგორც პოეტზე, ძალიან მაღალი აზრისა იყო და ყოველთვის ამბობდა, აკაკი, როგორც მოწოდებით პოეტი, ხშირად სრულიად შეუგნებლად ეხმაურებაო ახალგაზრდობის ყოველ ამაღელვებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას: მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას, კომუნას, იტალიის ამბებს. მამა, მაგალითად, ამბობდა, აკაკის სტუდენტობის დროის „სალამური“ ილიას „გაზაფხულის“ პირდაპირი ხმის მიცემა არისო და გარიბალდის გამარჯვების ანარეკლიო. აგრეთვე მისი „ჩანგურიც“ საფრანგეთის კომუნის გამარჯვებას უპასუხებსო.

მამა ხაზგასმით და აღტაცებით აღნიშნავდა, რომ რასაც იგი, მესხი ან გიორგი წერეთელი გრძელ-გრძელი წერილებით ძლივს გამოთქვამდნენ, ან სულაც ვერ გამოთქვამდნენ მკითხველისათვის იმდროინდელი ცენზურის კლანჭებში, იმას აკაკის ჩანგი „ერთი სიმის ჩამოკვრით“ ააძგერებდა და აანთებდა მთელ ხალხის გულში.

კირილეც მხურვალედ ადასტურებდა ამის სისწორეს და მამასთან ერთად ეხუმრებოდა აკაკის, რომ ერთი უცვლელი ოცნებით გატაცებული მისი ჩანგი ყველაფერს ჩვენი განთავისუფლების სიმბოლოდ აქცევს, ყუმბარიდან ციცინათელამდე.

უნდა გამოვტყდე, რომ ამ საინტერესო საკითხებმა ბევრად უფრო გვიან მოაღწიეს ჩემს ცნობიერებამდე. იმ დროს კი მაისის მშვენიერი ციცინათელებით აციმციმებული საღამოებით ვიყავით მოჯადოებული და ყველაფერს მათ შუქში ვხედავდი. აკაკიც მათი შარავანდედით შთაიბეჭდა ჩემს იმდროინდელ მეხსიერებაში, მამიდა კატოს „ქალთა წრის“ შეკრებასთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი ასეთი გამაგიჟებელი მაისის ღამეს მოხდა, აკაკის დასწრებით.

იმ შეკრების მიზანს, თუ არ ვცდები, შეადგენდა მუშებისათვის რაღაც იაფფასიანი წარმოდგენის მოწყობა მესხიშვილის თეატრში, რომელსაც აკაკი უნდა დასწრებოდა. ხალხი

ბევრი შეიკრიბა ჩვენსას იმ საღამოს. აკაკიც განსაკუთრებით კარგ გუნებაზე დადგა. ლექსებიც წაიკითხა ბლომად.

ხალხი რომ დაიშალა და მარტო დავრჩით შინაურები, მე და ელენემ ბაღის ბნელ სიღრმეში გავისეირნეთ, ციცინათელების უკეთ დასანახავად ღამის წყვდიადში. თითქოს აკაკის ლექსების მოციმციმე ნაწყვეტები დაგვტრიალებდა თავს...

— აკაკის შეხედე! — წამოიძახა უეცრად ჩემმა მეგობარმა და, მართლაც, რა დაუვიწყარი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: ჩვენი ძველი სახლის კიბის თავზე აკაკი იდგა, კაშკაშა მთვარით განათებული და ვარსკვლავებისაკენ ამართული სახით. შორს სიბნელეში კი რიონის ჩქეფა მოისმოდა სანაპირო კედლებიდან. ზევით ცა ბჟუტავდა ვარსკვლავებით, ქვევით ციცინათელების მნათი გუნდი ირეოდა ტრიალ-ციმციმით აკაკის ლომური ნაკვთის წინ, თითქოს მისი გულის სიმებიდან ამოფრქვეული ნაპერწკლები...

ძლიერ მოგვწონდა „ანზე ვისი ყმა ხარ“ — თამაშის ჩატარება. აკაკისაც ძალიან იტაცებდა ეს თამაში და დიდ სიმარჯვესაც იჩენდა მის ძნელ მომენტებში.

— ანზე ვისი ყმა ხარ? — იწყებოდა თამაში, თუ ეს ასო იყო არჩეული შეკითხვებისათვის. — აბაშიძის.

— სახელი რა გქვია? — ალექსანდრე.

— საიდან მოდიხარ? — ანანურიდან.

— საით მიემგზავრები? — აჭარაში.

— შვილდი რისი გაქვს? — ალუბლის.

— ისარი? — ალვის ხის.

— რას მოჰკლავ? — არწივს.

— რაში ჰკრავ?

ჩვენ ვერაფერს ვერ ვიგონებდით ამ უკანასკნელი კითხვის საპასუხოდ. აკაკის ამოუშრეტი ფანტაზია კი არც აქ შეკრთებოდა და რამეს მოასწრებდა დროზე, მაგალითად: აწეულ ხელში, აშვერილ ფრთაში, ასოში, აქოჩრილ თმაში და სხვ.

სულ სიცილით ვიხოცებოდით მისი ამგვარი მოსწრებული პასუხით, მაშინ როდესაც დანარჩენები ვერაფერს ვახერხებდით.

— ვის მიართმევ? — აკაკის.

— რას გიბოძებს? — აბაზს (ახალუხს, ატამს, აქლემს).

— რას გაუმეორებ? რას დაგალევინებს? და სხვა მისთ.

აკაკის ბავშვივით უყვარდა ეს თამაში და უსათუოდ ჭირ-ველობა მასში. ისეთ აზარტში შედიოდა ხშირად და ჩვენც შევყავდით, რომ სახლი აკლებული გვქონდა ათასნაირი ერთ-დროული წამოძახილით და სიცილ-ხარხარით.

ხან ახალ, ჯერ არარსებულ სიტყვებს ვიგონებდით, თუ სხვა არაფერი აღმოგვაჩნდებოდა არჩეულ ასოზე, მაგალითად „საოცნებოს", ხან პირიქით, ისეთ ძველ და ღრმა ქართულ ფორმას გამოვძებნიდით, რომ თვითონვე დიდხანს ვიცინოდით თამაშის დამთავრების შემდეგ. მთელი საბა ორბელიანის ლექსიკონი შევისწავლეთ ამ გზით...

მოულოდნელი სიტყვების გამოგონების გარდა აკაკის უყვარდა მოწინააღმდეგის „დამღუპველი" ასოების ამორჩევაც, მაგალითად: ღ, ყ, ძ. ჰ და სხვა.

— ჰაეზე ვისი ყმა ხარ?—მოგვიბრუნდებოდა უეცრად აკაკი. — ჰე... ჰი... არ ვიცი!

— საიდან მოდიხარ? — ჰა... ჰაერიდან! — ბიჭოს, ყოჩაღ! გამბეტასავით! ეს კარგია, — მოგვიწონებდა აკაკი და თამაშის შემდეგ პარიზის თავდაცვას აგვიწერდა 1871 წლისას.

— სად მიდიხარ? — ჰავლაბარში, — ერთხელ მოვიფიქრე მე რაღაც სასწაულით, რომ კვლავ არ წამეგო აკაკისთან.

აკაკიმ მგონი სამი დღე იხარხარა ამის შემდეგ, ეს „ჰავლაბარი" რამ გათქმევინა, ჩვენი ძველი ისნის ნაცვლად.

ამ თამაშს აკაკიმ კიდევ ერთი დამატება გამოუგონა, რომელმაც ჩვენ ძალიან დაგვაინტერესა: რაიმე შესაფერისი ლექსის თქმა არჩეულ ასოზე დასახელებული ადგილის შესახებ, მაგალითად: მორბის არაგვი, მშვენიერო ქუთაისო, წარვედ მტკვრის პირას, ფულით ვერ ძღება დღეს ფოთი და სხვა მისთ.

დიდი ეფექტი გამოიწვია აკაკის მიერ ჩვენთვის მთლიანად წაკითხულმა მისმა „მესტვირულმა" გორის შესახებ, განზე თამაშის დროს.

— საიდან მოდიხარ? — გურიიდან.

— საით? — გორში.

გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო...

ასე ვსწავლობდით საქართველოს და ქართულ ენას აკაკის ყოველ ჩამოსვლაზე.

90-იან წლებში ქუთაისს ორი „მბრძანებელი“ ჰყავდა: ლადო მესხიშვილი მისი თეატრით და აკაკი მისი ჩანგითა და ქამანჩით. თავის მხრივ კი მათი მბრძანებელი ქუთაისის ქალთა წრე იყო აკაკის თქმით.

მრავალი საზოგადოებრივ-კულტურული საქმე ჰქონდა ამ წრეს დაწყებული და გაკეთებული, მათ შორის ქართული თეატრის დახმარებაც.

ამ წრის უფროსი წევრები 70-იანი წლებიდან ეწეოდნენ მოღვაწეობას და ამ თეატრალურ მუშაობაში პირველ ყოვლისა ალექსი ჭიჭინაძე უნდა დავასახელოთ ლოლა და მაშო ყიფიანის შემდეგ. მან კი კატო და ანასტასია ნიკოლაძეებიც ჩაბა ამ საქმეში. ეს წრე თარგმნიდა და დგამდა კლასიკურ პიესებს, მათ სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე პირველი ქალთა წიგნის გამომცემელი საზოგადოებაც, ისინი ბევრს თარგმნიდნენ უცხოურ მხატვრულ ლიტერატურას.

ჩემს დროს, 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ქალთა წრე ყოველკვირეულად იკრიბებოდა ჩვენსას; დილაობით მარქსის „კაპიტალის“ მკითხველთა წრე იკრიბებოდა, გიორგი ზდანევიჩის ხელმძღვანელობით; საღამოობით კი „მომწყობი“ ქალები იყრიდნენ თავს: წარმოდგენების, სხვადასხვა საღამოების, ლექციების, ლატარიების და სხვა მისთ. მოსაწყობად, რისთვისაც ხშირად ნატო გაბუნია და აკაკიც გვესტუმრებოდნენ ტფილისიდან. ამ წრეში ჩვენც გვიყენებდნენ, მე და მამიდების ნათლულს. ხან მესხიშვილის თეატრში გაგვგზავნიდნენ სასწრაფოდ რისიმე შესატყობად, ხან, უფრო გვიან, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში, სადაც მამიდა კატოც შედიოდა.

ყველაზე უკეთ მახსოვს ამ წრის ის პერიოდი, რომელშიაც მუშებისათვის დაიწყეს იაფფასიანი წარმოდგენების მოწყობა: მამიდამ, მელ. გველესიანმა, ელ. ხელთუფლიშვილმა და სხვებმა.

აკაკის ძალიან უყვარდა ასეთი შეკრებები. ქალთა წრე კი, რა თქმა უნდა, მასზე კიდევ უფრო უხაროდა, თუ მის ჩამოსვლას დაემთხვეოდა მათი მორიგი შეკრება ჩვენსას. აკაკი ხან ლექსს წაუკითხავდა მათ, და ცოტაოდენ ყურადღებას გამოიჩენდა მათ მიმართ, ხან ოხუნჯობით გაამხიარულებდა ყველას, ხან კიდევ იმდროინდელ თავის გატაცებაზე ჩამოაგდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლაპარაკს — „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის ირგვლივ
იმ დროს ლექციებსაც კითხულობდა.

ქალებისადმი ტრფიალებაში როგორც აკაკის, ისე მამაჩემს გულუმტკიცობას სწამებდნენ. მათ კი ორივეს ერთი ძალიან იშვიათი თვისება ახასიათებდა ქალთან ურთიერთობაში, რომელიც თითქმის ყველას გამორჩა ყურადღებიდან მაშინ, როდესაც ამ მხარეს დიდი ადგილი ეჭირა მათ გულში და ცხოვრებაში: ეს იყო „ჩერნიშევსკისებური“ მეგობრობა რჩეული ბუნების, გულისა და გონების ქალთან, სიყვარულით სავსე პატივისცემით აღბეჭდილი.

საინტერესოა, რომ ორივე თერგდალეული მეგობარი პირველივე დაბრუნებისას ჰპოვებენ ასეთ მეგობრობას იმ დროის საუკეთესო ქალებთან: აკაკი 16 წლის ანიჩკა ნიკოლაძესთან, მამა კი ჯერ თავის დეიდაშვილთან ოლინკა ხელთუფლიშვილთან, 70-იანი წლებიდან კი ოლღა გურამიშვილთან (შემდეგ მის მეუღლესთან).

ანიჩკა ნიკოლაძესთან მეგობრობას, როგორც ჩანს პოეტის მიმოწერიდან, ღრმა კვალი ჰქონდა გავლებული აკაკის გულში. კერძო წერილებში პოეტი მას სანუგეშო მეგობარს უწოდებს და ნაზ მოსაფერებელ სიტყვებს: „პატარა ქალბატონო“ და სხვ. თავის მოგონებებშიც აკაკი არაერთხელ იხსენიებს იმ დიდ „სულიერ თანაგრძნობას“, რომელიც მას ბაბუაჩვენის ოჯახში უპოვია.

თვით ანიჩკამ კი, შეიძლება თამამად ითქვას, მთელი თავისი გული და პირადი ცხოვრება შესწირა ამ მეგობრობას — აკაკის ჩანგსა და პიროვნებას და შესწირა მისებურად: სრულად და უნაშთოდ; და ისე ჩუმად ისე გულჩათხრობილად, რომ ეს არავის არ სცოდნია დანამდვილებით, გარდა მის და თვით აკაკისა, რომელმაც თან ჩაიტანა საფლავში ეს საიდუმლო, სრულიად არაჩვეულებრივი მისი განთქმული „მეფისტოფელური“ ხასიათისათვის და მხიარული უნდობლობისათვის ქალის გრძნობების მუდმივობის მიმართ.

საერთოდ, ამ ნაზი ქალის გულში ყოველი განცდა ღრმად და სამუდამოდ იმარხებოდა, გარედან სრულიად უხილავი და მიუკარებელი. ამიტომ მის მიერ გამოწვეული გრძნობები მტკიცე და ხანგრძლივი იყო.

შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ მისი გულის პირ-

ველივე გამოღვიძებიდან იგი ორი ჩვენი პოეტის ოცნებად ქცეულა: თვით აკაკისა, 1862-63 წლიდან და გიორგი ჭალადიდელისა, 1864—1865 წლიდან. ამ უკანასკნელს თითქმის ყველა ლექსი, პირველიდან („სადაც რომ იყო, მოგძებნი") ოსმალეთის 1878 წლის ომამდე ამ მის „ან"-სა და „ნარ"-სა აქვს მიძღვნილი. მისი „ფაცხაც" კი, და ყველას მიერ არანაკლებ ცნობილი „მოგონება", „მახსოვს პირველად სასწავლებელში" (1869 წ.):

ჯერ „ანი" მკითხეს და მერე „ნარი",
მაგრამ ყველაზე ვუთხარ უარი...

მამაჩემსაც ძალიან მოსწონდა ანიჩკას ეს „მყუდრო" ხასიათი და მოკრძალებითი მიდგომა ყველაფრისადმი. ამანვე დააახლოვა მამა 60-იან წლებში ანიჩკას განუყრელ მეგობართან ოლინკა ხელთუფლიშვილთან, რომელიც ბევრი რამით გავდა ანიჩკას ხასიათით და გულის სიანკარით. ამიტომ მამაჩემის ახალგაზრდული მეგობრობაც მათთან სრულიად განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა. მამას თქმით ამ განწყობილება-ამხანაგობის გამოუთქმელ პოეზიაში დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი მათ, ქართველ სტუდენტების, შეხვედრას ჩერნიშევსკისთან, და მეტადრე ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მის სიახლოვეს გატარებულ ზაფხულს პეტერბურგის მიდამოებში.

ეს იყო 1862 წლის ივნის-ივლისში, როდესაც ჩერნიშევსკი თავისი ცოლით და ცოლის დით (დობროლიუბოვის საცოლეთი) პავლოვსკში ატარებდა ორ თვეს, მამამ და მისმა ამხანაგებმა კი ექვს მანეთად დიდი... სათივე იქირავეს იმავე ვადით მათ ახლომახლოს და ყოველ საღამოს მათთან ერთად ატარებდნენ. იმ ზაფხულში აკაკიც სწვევიათ მათ რამდენიმე დღით...

მამას აზრით, აკაკიზედაც დიდი გავლენა მოუხდენია ჩერნიშევსკის შეხედულებას ქალებზე, როგორც მის რომანებში გამოთქმულს, ისე მისი პირადი გრძნობების მაგალითს, მის ოჯახში არსებულ მშვენიერი ამხანაგური ატმოსფეროთი და განწყობილებით იმ რჩეულ ახალგაზრდობასთან, რომელიც თავს იყრიდა ამ ოჯახში.

გავიდა რამდენიმე კვირა და რუსეთიდან ახლად დაბრუნებული მეგობრები, აკაკი და ნიკო ნიკოლაძე ისევ რიონის-

პირას გაჩნდნენ, ერთი — ნევის ნაპირებიდან გამოძევებული „ბუნტარი“, მეორე კი „დინჯად“ სწავლა დამთავრებული „კანდიდატი“, როგორც აკაკიმ იცოდა ხუმრობით თავისი თავის დახასიათება იმ პერიოდში.

ჩვენებთან მისვლას ის ასე იგონებდა: სასტუმრო ოთახის კარი გაიღო, შიგ ახლად გაშლილმა ვარდმა შემოანათა — პატარა, ხაბარდა-კაბიანმა, შავ წარბებ-შეკრულმა ქალბატონმა, რომელმაც მკაცრი, მუნჯი შეკითხვით მიაბჯინა ახლადმოსულს თავისი ვარსკვლავებივით აბრწყინებული თვალები: აბა, გვეჩვენე, რად გაქცია შენმა გასეირნებამ შორეულ პეტერბურგშიო?

ასე გვიამბო აკაკიმ თავისი პირველი შეხვედრა „ქალად ქცეულ“ 16—17 წლის ანიჩკასთან, რომელიც მან 13 წლის ბავშვად დასტოვა წასვლისას.

აქედან იწყება მათი არაჩვეულებრივ მხურვალე და ნაზი მეგობრობა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი გრძელდება.

რაღაც გამოუთქმელ, უსიტყვოდ გამოწვეულ პატივისცემას უსახავდა გულში ამ ქალის პიროვნება და ამავე დროს განსაკუთრებული მზრუნველობის და თბილი მოპყრობის წადილს.

წინააღმდეგ მამიდა ანიჩკას სურვილისა, გ. ჭალადიდელის გატაცება კი ყველასათვის აშკარა შექმნილა, როდესაც „დროებაში“ და „სასოფლო გაზეთში“ დაიბეჭდა მისი ლექსები: „ჩემი ანა“, „ნეტარ არს კაცი“, „სიზმარი“, „ვუძღვნი ა. ნ.“, „ვუძღვნი ნ. სკანდელს“ და სხვ.

ამავე დროს რამდენიმე მისი ნაბიჯიდან და აგრეთვე ლექსიდანაც ყველასათვის აშკარა ხდება მისი და უფროსი პოეტის, აკაკის ურთიერთობა, უდავოდ გამოწვეული მათი ორივეს გრძნობით ანიჩკას მიმართ. ასეთია ჭალადიდელის „ქეიფი“ და „მენავე“, წარწერით: ვუძღვნი თავ. ა. წ. „ელეგია“, „არავის“, „მერცხალი“, „ფარვანა“ და მისი ცნობილი „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, რომელშიაც იგი თავის თავს და თავის ნიჭს აკაკისას ადარებს.

იმავეს გვიხატავს მისი მიწერ-მოწერა ანიჩკასთან 1870-78 წლებში, რომელიც ანიჩკას გარდაცვალებამდე არავის უნახავს.

აკაკის მეგობრული დამოკიდებულებისათვის ანიჩკა ნიკო-

ლაძესთან დამახასიათებელია პოეტის ერთი საჩუქარი, გიშრის საათი, რომელსაც მამიდა გულიდან არ იშორებდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში და რომელზედაც უკანა მხარეს ამოჭრილია ლამაზი ქართული შრიფტით:

ყრუ — სიმართლისათვის,
სიწმინდისათვის — ბრმა,
წყეულიმც იყოს
მისი გულის-თქმა!

აკაკი

გიშრის საათი სპეციალურად ანიჩკასათვის შეუკვეთია პოეტს და მიძღვნილი უნდა იყოს 70-იან წლებში. აკაკი მას „თილისმა-საათს“ უწოდებდა.

როდესაც ანიჩკა ნიკოლაძე გარდაიცვალა, მის სასთუმალში იპოვეს აკაკისა და ჭალადიდელის წერილების კონა. პოეტის ნაჩუქარი გიშრის საათი კი მის გულს არ მოშორებია მის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე (1931 წ.).

1914 წელს აკაკი სურამში გვესტუმრა ქვიშხეთიდან, სწორედ ომის გამოცხადების დღეებში, და აქაც პოეზიით იყო სავსე მისი და ანიჩკას შეხვედრა — 70 და 75 წლის ორი თმასპეტაკი მოხუცისა, ანიჩკას ძველებური ზრუნვა უკვე ძალიან მოტეხილ მეგობარზე, მათი ბაასი...

ვინ იფიქრებდა, რომ ეს აკაკის უკანასკნელი ზაფხული იყო...

რუსეთში ვიყავი, აკაკი რომ გარდაიცვალა. როგორ მწარედ იფეთქა ამ ამბავმა ჩვენი მოსწავლე თაობის იქაურ კერაში... იმ კაზანის ტაძარში გადავიხადეთ მისი ხსოვნის პანაშვიდი, რომლის კოლონადასთან აინთებოდა ხოლმე რუსეთის სტუდენტობის ყოველი ბრძოლა, დაწყებული თითქმის იმ დღიდანვე, რაც აკაკი პირველად ეწვია ნევის ნაპირებს.

ღრმა თოვლი იყო და მწარედ ჰყინავდა იმ სევდით სავსე გამოთხოვების დღეს. თბილისში კი ცხარე მზე ათბობდა მთაწმინდის კალთებს, რომელსაც ქართველი ხალხი აბარებდა თავის დიდებულ პოეტს... და უკანასკნელი თერგდალეული, მამაჩემი, მას ეთხოვებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

აკაკი სულ ახალგაზრდა მახსოვს.

აკაკი მამას ეუბნებოდა: მამა, ისეთი საქმე მოიმოქმედე, რომ ამ ქვეყნად როცა აღარ ვიყოთ, თქვენი ხსენება დიდხანს დარჩესო. აკაკის მამა როსტომი კი თავის ყმებს სცემდა როზგით, გულს რომ მოაყვანინებდნენ. როზგი ბჟოლის წნელისა იყო, კონად შეკრული.

მამა აკაკის უჯავრდებოდა, რაკი ყმების გალახვას უშლიდა.

შემდეგ აკაკი გავიდა და გავიდა რუსეთში და დაიწყო თავისი საქმე. პოეტობას და ახალთაობის საქმეს დიდად მისდევდა. მისთანა ლექსებს გამოიყვანდა, რომ უყუფზე მოიყვანდა კაცს.

მე რომ იმათთან ორი წელი ვმსახურობდი, აკაკის სწავლა დათავებული ჰქონდა, მაგრამ ასე ერთი-ორი კვირით ჩამოვიდოდა და ისევ მალე წავიდოდა. აკაკი ძალზე თავმდაბალი და კეთილი იყო. ერთი არ გამოვა, რომ მასზე ცუდი თქვას.

აკაკის უყვარდა გლეხებთან ლაპარაკი, მათ ლექსებსაც ეტყოდა ხოლმე. ეს ლექსი მახსოვს, გლეხებთან რომ უთქვამს:

ქრისტეს იქით ხურო ვიყავ,
მშენებელი კიდობნისა;
აკვნის მარწებელი ვიყავ
ილიას და ენუქისა;
ნატუსალას მეძახოდნენ,
წვერი მქონდა განა ხისა.

აკაკი ძალიან ხუმარა იყო, ლაპარაკს რომ დაიწყებდა, თუ არ გაეცინებინე, ისე არ გაგიშვებდა.

ბატონყმობის შემდეგ აკაკის მამა როსტომი კიდევ დიდხანს ცხოვრობდა და ყმებს მკაცრად ეკიდებოდა.

ასე რომ, ყმებს არ უყვარდათ როსტომი.

სამი ძმა იყვნენ: აკაკი, დავითი და ილიკო. ერთი და ჰყავდათ, სახელად ანა. დავითი პირ-ბავშვი კაცი იყო. ილიკო ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე მოკვდა აკაკიზე და დიდი ნასწავლი კაციც იყო, მეტადლა-
მაზი იყო და არც აკაკიზე ნაკლები ყოფილა განათლებით.

აკაკის სიკვდილსა და გასვენებასაც დავესწარი. დარია ბო-
ჭოიძისა და გიორგი მღვდლისაგან შევიტყვეთ აკაკის მძიმე
ავადმყოფობა, მივედით სანახავად, აკაკიმ გადმოგვხედა და
თქვა: ოხ, მეზობლებო, მოხვედითო.

ბესარიონ არჩვაძემ ჰკითხა: რას შვრები, აკაკი, როგორა
ხარო. აკაკიმ უპასუხა: გულზე სინედლე აღარ არი და, ალბათ,
მალე მოვკვდებიო...

მეორე დილას რომ ჩამოვედით, აკაკი მკვდარი დაგვხვდა.
მთელი სოფელი გამოვედით, აქ უნდა დაგვემარხა. აკაკის აქ
სურდა დამარხვა თავის ანდერძით. მაგრამ მოთავე კაცებმა არა
ქნეს: ეგ და ილია ჭავჭავაძე ერთად უნდა დავასაფლავოთო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი და ახალგაზრდობა

1908 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობდი. უფროსი კლასის ქართველ მოსწავლეებში გამოითქვა სურვილი — გადაეხადათ აკაკის იუბილე კლასიკურ გიმნაზიაშიც. ამ განზრახვას უფრო მეტად იმით ასაბუთებდნენ, რომ აკაკი სწორედ ამ გიმნაზიაში სწავლობდა. მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა თავისი აზრი ქართული ენის მასწავლებელს მელიტონ ჩოგოვაძესა და მაშინ გიმნაზიის ხატვის მასწავლებელს, ამჟამად დამსახურებულ არტისტს ვასო ბალანჩივაძეს გაუზიარა. ორივემ მოუწონეს მოსწავლეებს ეს აზრი და დირექტორთან შუამდგომლობის აღძვრაც იკისრეს. ამ გიმნაზიის დირექტორად მაშინ ცნობილი ჩინოვნიკი მიხეილ გლუშაკოვი იყო. გლუშაკოვი ქუთაისის რეალური სასწავლებლის დირექტორ ლეონტიევთან ერთად ცნობილი იყო როგორც გიმნაზიაში ქართველ მოსწავლეთა მიღებისა და ქართველების მიერ გიმნაზიის დამთავრების დიდი შემფერხებელი. გლუშაკოვსა და ლეონტიევს კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელ მზრუნველ რუდოლფისაგან საიდუმლო დირექტივა ჰქონდათ მიღებული, რომ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელში ნაკლებად მიეღოთ ქართველი ახალგაზრდობა და ამავე დროს მათთან უკვე მყოფი ქართველი მოსწავლეებისათვის გაეძნელებინათ სასწავლებლის დამთავრება. ორივე მოხელე ურყევად ატარებდა მეფის მთავრობის ამ დიდმპყრობელურ პოლიტიკას, რისთვისაც მათ დაწესებულ ვადაზე ადრე მიეცათ ეგრეთწოდებული „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ ჩინი[1].

სწორედ ამ გლუშაკოვს მიმართეს ჩოგოვაძემ და ბალან-

---

1 რამდენიმე წლის შემდეგ, მოსწავლეთა ორგანიზაციის დავალებით, მოსწავლე იონა ლორთქიფანიძემ ტერორისტული აქტი განახორციელა ორივეს მიმართ რეალურ სასწავლებელში გამართულ საღამოზე. ბრაუნინგიდან შვიდი ტყვია დაახალა ორივეს და მძიმედ დაჭრა. ლორთქიფანიძე სულ მოკლე ხანში დააპატიმრეს და თბილისში ჩამოახრჩეს.

ჩივაძემ — ნება დაერთო მას გიმნაზიაში აკაკის იუბილეს ჩატარებაზე. რასაკვირველია, დირექტორმა გულშაკოვმა ისინი ცივი უარით გამოისტუმრა. ამგვარად, 1908 წელს არ მოხერხდა კლასიკურ გიმნაზიაში აკაკის იუბილეს ჩატარება, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობა თავის ცდას მაინც განაგრძობდა და 1909 წელს როგორც იყო მიღებული იქნა გიმნაზიაში აკაკისადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამოს გამართვის ნებართვა. გადაწყდა საღამო გამართულიყო იანვარში, მაგრამ, რასაკვირველია, კრინტიც არავის დაუძრავს იმაზე, რომ აგვეღო ნებართვა საღამოზე აკაკის მოწვევისათვის — გვეშინოდა, მთლად უარი არ ეთქვათ საღამოს გამართვაზე.

ძლიერ ფრთხილად იქნა შედგენილი პროგრამა: მოხსენება აკაკის მოღვაწეობაზე რუსულ და ქართულ ენებზე, აკაკის „პატარა კახის" მეორე მოქმედებისა და „სცენა საპატიმროში"-ს დადგმა, აკაკის ლექსების წაკითხვა და აპოთეოზი (აკაკის სურათი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შორის). ნაწილი ლექსებისა რუსულ ენაზე უნდა წაკითხულიყო. დირექტორმა გლუშაკოვმა პროგრამიდან ამოგვიშალა მხოლოდ „სცენა საპატიმროში". პროგრამის დანარჩენი ნაწილი დაამტკიცა, მაგრამ წინასწარ მოითხოვა მოხსენებები.[1] თუ მეხსიერება არ მღალატობს, აკაკის სურათი მაშინ იმავე გიმნაზიის მოსწავლემ, შემდეგში მხატვარმა, პროფესორმა დავით კაკაბაძემ დახატა. „პატარა კახის" მეორე მოქმედება ვასო ბალანჩივაძემ მოგვამზადებინა. პროგრამა უკვე მზად იყო და დღეც დაინიშნა. საღამოს ესწრებოდნენ მხოლოდ ამავე გიმნაზიის მასწავლებელ-მოსწავლენი და გიმნაზიის ადმინისტრაცია[2]. ვასო ბალანჩივაძემ თეატრიდან მოიტანა ნაციონალური ტანსაცმელი (ქულაჯა-ჩაქურები და სხვ.), რომლებშიც გამოეწყვნენ როგორც „პატარა კახის" მოქმედ პირთა შემსრულებელნი, ისე სხვა მოსწავლეებიც.

ყველაფერი მზად იყო, მაგრამ გვაწუხებდა ერთი გარემოება: გავიგეთ აკაკის იმ დღეს ქუთაისში ჩამოსვლა, მაგრამ მისი მოწვევის უფლება კი არა გვქონდა. გავიგეთ ისიც, რომ

---

[1] გლუშაკოვმა კარგად იცოდა ქართული ენა, ქუთათური იყო, დედა ქართველი ჰყავდა.

[2] გარეშე პირებს გიმნაზიის კედლებს შიგნით არ უშვებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკიმ იცოდა ჩვენი განზრახვა. რა მოგვასვენებდა, რაიმ
უნდა მოგვეფიქრებინა, რომ გიმნაზიაში აკაკის მოსვლა მო-
ხერხებულიყო. და ჩვენც ხერხს მივმართეთ. აკაკის მივუგზავ-
ნეთ მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე. აკაკი საღამოზე უნ-
და მოსულიყო თავისით, ვითომც დაუპატიჟებლად; გვეშინო-
და, ჩვენი მონაწილეობა ამ საქმეში არ მისულიყო გლუშაკო-
ვის ყურამდე. თანაც ეს ამბავი გავანდეთ გიმნაზიის ინსპექ-
ტორს მიხეილ საღარაძეს, რომელიც, ვიცოდით, არ გაგვთქვა-
მდა. ეს ამბავი იცოდა მხოლოდ მოსწავლეთა მცირე ჯგუფ-
მა.

ჩვენდა სასიხარულოდ, აკაკი დათანხმდა გიმნაზიაში „და-
უპატიჟებლად" მოსვლაზე. მოსვლის საათიც გვაცნობა. წარ-
მოდგენილი უნდა გქონდეთ ჩვენი ნერვიულობა. მოახლოვდა
საღამოს 8 საათი, აკაკის მოსვლის საათი. გავაფრთხილეთ სა-
სულე ორკესტრის ერთი მონაწილე მოსწავლე, რომ, როცა დარ-
ბაზში ასასვლელ კიბეზე ტაშისცემას ავტეხდით, ორკესტრს
შესახვედრი მარში დაეკრა.

ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მოსწავლეები
გიმნაზიაში შემოსასვლელ მთავარ კარებთან და დარბაზში
ასასვლელ კიბეზე ჩავმწკრივდით; დანარჩენი მოსწავლეებიც
იქვე იყვნენ, მაგრამ მათ არაფერი იცოდნენ. ხშირად ვიცქი-
რებით ქუჩისაკენ და, აი, გიმნაზიას მოადგა ეტლი, რომელშიც
აკაკი იჯდა. ჩამოხტა მოხუცი, მივიდა კარებთან. კარებთან
მყოფ დარაჯს მასწავლებელმა მელიტონ ჩოგოვაძემ კარები გა-
აღებინა და შეეგება. ავტეხეთ ტაშისცემა და ვაშას ძახილი.
აგვყვა მთელი მოსწავლეობა, ორკესტრმა შესახვედრი მარში
დაუკრა. იკადრა გლუშაკოვმა გამოქცევა და შეხვედრა. და-
რექტორი გლუშაკოვი ამოუდგა გვერდში აკაკის, მეორე მხრი-
დან კი საღვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი ე. კანდე-
ლაკი და მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე დადგნენ და აკა-
კი შემოიყვანეს დარბაზში. ვიშოვეთ დრო და ვიჯერეთ გული,
დიდხანს არ შეწყვეტილა ფეხზე დამდგარი ხალხის ტაშისცემა
და მუსიკა. გლუშაკოვმა აკაკი წინ წამოიყვანა და თავის გვერ-
დით მოისვა სავარძელში.

აიხადა ფარდა. შუა სცენაზე ამართული იყო აკაკის დიდი
ფერადებიანი სურათი. სცენაზე გამოვიდა მაშინ მერვე კლა-
სის მოსწავლე, შემდეგში პროფესორი აკაკი შანიძე და რუსულ

ენაზე წაიკითხა ვრცელი მოხსენება აკაკის ცხოვრებასა და სალიტერატურო მოღვაწეობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შანიძის მოხსენება გლუშაკოვს წაკითხული ჰქონდა, მაგრამ დაუკვირვებლობით იყო, თუ რაიმე სხვა მიზეზით, მაშინ ვერ მიექცია ყურადღება მოხსენების იმ ადგილებისათვის, სადაც მომხსენებელი აღნიშნავდა ქართველი ხალხის ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივებს. და, აი, როდესაც მომხსენებელმა აკაკის მთელი რიგი ლექსების და სხვა ნაწარმოებთა შინაარსი გადაგვიშალა, გაუკეთა ანალიზი და გახსნა ფრჩხილები, დირექტორ გლუშაკოვს ფერი ეცვალა და დაიწყო ადგილზე ტოკვა. მაგრამ რას გააწყობდა?! თვით უხერხულად ცნო ადგომა და მომხსენებლის გაფრთხილება. სამაგიეროდ, როგორც კი დაასრულა შანიძემ მოხსენება, რომელსაც ტაშისცემით შეხვდა მოსწავლეობა და თვით აკაკიც და ჩამოეშვა ფარდა, კულისებში შეიჭრა გლუშაკოვი, ჩამოართვა შანიძეს მოხსენების დედანი და გიმნაზიიდან გამორიცხვით დაემუქრა. შანიძის შემდეგ წაკითხულ იქნა მოკლე მოხსენება ქართულ ენაზე. მოხსენებებს მოჰყვა „პატარა კახის“ მეორე მოქმედება. შემდეგ განყოფილებაში მოსწავლეებმა ქართულ და რუსულ ენებზე წავიკითხეთ აკაკის ლექსები. მე წავიკითხე აკაკის „პატრიოტი“, რომელშიც მგოსანი დასცინის თავადაზნაურულ ცრუ პატრიოტიზმს. ეს ლექსი თავდება შემდეგი სიტყვებით: „რომ მოგწონვართ, მეც კი გატყობთ, აბა, დამიკარით ტაში!“ ჩემს სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სხვებთან ერთად აკაკიც მიკრავდა ტაშს და თან იღიმებოდა. წარმოიდგინეთ, გლუშაკოვიც მიკრავდა ტაშს. ლექსებს უნდა მოჰყოლოდა აპოთეოზი — აკაკის სურათი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა შორის. ჩვენ ვთქვით, რაღა სურათი მოვათავსოთ შუაში, როცა ცოცხალი აკაკი აქ გვყავსო. გავთამამდით და ავიყვანეთ სცენაზე აკაკი და შემოვერტყით გარშემო. ამით დავამთავრეთ აკაკისადმი მიძღვნილი საღამო.

აკაკი ტაშისცემითა და ვაშას ძახილით გავაცილეთ.

მეტად კმაყოფილი დავრჩით საღამოთი და დიდი შთაბეჭდილებით წავედით შინ. გვეგონა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ შევცდით. დირექტორ გლუშაკოვს ამ საღამოდან გარკვეული გადაწყვეტილება გამოეტანა, რადაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯდომოდა, აკაკი შაწიძე გამოერიცხა გიმნაზიიდან. აკაკი შანიძე მერვე კლასში იყო, მას ყველა საგანში ხუთიანები ჰქონდა. სულ რამდენიმე თვის შემდეგ ოქროს მედალით უნდა დაემთავრებინა გიმნაზია. როგორ მოხდა, არ ვიცით, თვით აკაკის აცნობეს ეს ამბავი და პოეტის მეოხებით ა. შანიძე გიმნაზიიდან გამორიცხვას გადარჩა, მაგრამ ოქროს მედალი კი დაკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი

(ფაქტები, ფიქრები)

ორი ნილაბი

დარჩენილია აკაკის სურათი კუბოში ჩასვენებულის. არსებობს ამგვარივე სურათი ვიქტორ ჰიუგოსი. მსგავსება ამ ორი ნილაბის ისეთია, რომ გამორჩევა ძნელი ხდება.

უნებური პარალელი იბადება: აკაკი და ჰიუგო.

ყოველ შემთხვევაში აკაკის იმდენივე გავლენა ჰქონდა საქართველოში, რამდენიც ჰიუგოს საფრანგეთში.

პოეტური შეპირისპირება მათი შესაძლოა მერმისმა ითავოს.

გამოსვლა მარტო სახელით

არის რაღაც ანტიური ამ გამოსვლაში. აკაკი გამოდიოდა სახელით: თავის გვარს ძვირად ახსენებდა. მთელი საქართველო მას სახელით იცნობდა უფრო. გარდა ნიჭისა, აქ უთუოდ სიყვარული იმარჯვებდა. უამისოდ აკაკი ვერ „გაითქმებოდა“ ხალხში.

ბავშვებმა ისიც არ ვიცოდით, თუ იგი წერეთელი იყო. ვიცოდით მხოლოდ, რომ იგი „აკაკია“. მეტი არაფერი.

ერთხელ, ქუთაისში, ვასილ ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიის გვერდით მივდიოდით.

ხმა მოგვესმა: „აკაკი“.

ეს ხმა ახლაც გაისმის ყურში.

მივიხედეთ: მაღაზიიდან გამოვიდა ახოვანი კაცი. „ფეთეხა“ მოგვეცა მაგრამ ადგილიდან ვერ დავიძარით.

აკაკიმ ნათელი თვალით გადმოგვხედა.

ეს გადმოხედვა ახლაც მახსოვს.

დიდხანს ვუმზერდი მიმავალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ჩვენ მისი „კრილოვის“ არაკები ვიცოდით. არ ვიცოდით მხოლოდ, რომ კრილოვი კაცი იყო და მოარაკე.

აკაკი და ბავშვი

მნიშვნელოვანია თუ ვინ როგორ ექცევა ბავშვს.

ზოგი თავს „იბავშვებს“, როცა ბავშვი ელაპარაკება. ზოგი „უფროსად“ რჩება, როცა ბავშვთანაა, მაგრამ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშვია“. უფრო იშვიათია მესამე ტიპი: იგი „უფროსობს“ ბავშვთან, მაგრამ არ ავიწყდება, რომ მასთან „ბავშვია“. აქ „უფროსი“ თითქოს „იტოლებს“ ბავშვს.

ბავშვს ეს უფროსი უყვარს.

ასეთი იყო აკაკიც.

ეს დაყოფა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როცა „უფროსი“ და „ბავშვი“ ერთიმეორეს მარტოდ ხვდებიან, სხვების არყოფნისას. ამ შეხვედრის დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მესამე ტიპის მოქცევა ბავშვთან.

ერთხელ, ვერის უბანში, რომელიღაც პატარა სახლში, თავს წავესწარ აკაკის ბაასს ბავშვთან. ოთახში სხვა არავინ იყო. ნაბიჯი შევანელე.

უნდა გენახათ აკაკი თუ როგორ „იტოლებდა“ ბავშვს.

უნდა გენახათ ბავშვის აღფრთოვანებაც.

მამა

„ბოჰემურად“ მქონდა აკაკი წარმოდგენილი. რამდენიმედ ასეთიც იყო. სად ჰქონდა ოჯახი, კაცმა არ იცოდა. ხან ტფილისში, ხან ქუთაისში, ხან ერთთან, ხან მეორესთან. იყო „სტუმარი“ მუდამ, სტუმარი საყვარელი. ცოლი რუსეთში ცხოვრობდა. ვაჟიც.

მე ისიც არ ვიცოდი, შვილი თუ ჰყავდა აკაკის.

ერთხელ მისი ვაჟი, ალექსი, ტფილისს ეწვია. ვნახე, გამიკვირდა: გადაგვარებული მეჩვენა. მოხრილი იყო იქ, საცა მხრები კისერთან ერთმანეთს სცილდებიან. ამავე დროს თაკი მაღლა ჰქონდა აწვდილი. თვალებით კარგად ვერ იხედებოდა. ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა ჩემს შთაბეჭდილებას.

„უფრთხილო“ სიტყვა წამომცდა აკაკისთან — (რომ ვაქში არ გადასულა ჯიში).

აკაკი შეირხა. არა უთქვამს რა. მხოლოდ შეირხა.

ვხედავდი: იგრძნო „ტკენა“.

კიდევ მეტი: იგრძნო „წყენაც“.

სახტად დავრჩი: ამას რაღა გამოაკეთებდა?

სმა-ჭამა კარგად შესარგი

გამეგონა: ილია ჭავჭავაძეს ყვარებოდა ჭამა. თუ აკაკისაც უყვარდა, ეს არ ვიცოდი (ვერც წარმოვიდგენდი).

ხშირად იყო სტუმრად გიგო დიასამიძესთან (აკაკი მეგობარი იყო გიგოს მამის ნიკოსი), რომელსაც საოცრად უყვარდა აკაკი.

ვისადილეთ ერთხელ (გიგომ მიმიწვია).

აკაკი ჭამდა ლომივით. გამაკვირვა: მოხუცი იყო და შეეძლო ასე „მაგრა“ ჭამა.

შემდეგ მიიძინა.

15 წუთის შემდეგ გაისმა ხვნეშა: მაგარი, ძალუმი, დევკაცის. ეს კიდევ არაფერი, ხვნეშა იყო რიტმდარღვეული. ხანდახან ისე საშინლად აიქშენდა ხოლმე, რომ „გათავდა“-თქო მეგონა.

შემეშინდა. გიგოს ვუთხარი:

„არაფერი დაემართოს, მივხედოთ“.

გიგომ თავისებურად გაიღიმა:

„არაფერია... აგრე იცის... კუჭი მოკალული აქვს“...

აკაკი მასპინძელი

საჩხერეში მოვხვდი 1911 წელს.

აკაკიმ გამართა წვეულება. მიმიწვია.

ვნახე გადაშლილი სუფრა. გამიკვირდა: ასეთი გაწყობილი სუფრა ტფილისშიაც ძვირად მენახა.

აკაკი ყოველთვის უფულობაზე ლაპარაკობდა.

აქ კი... და მეც გულახდილი ჩავუკარი სიტყვა:

„ბატონო აკაკი! (მაშინ „ბატონობით“ იყო მიმართვა) — თქვენ სულ სიღარიბეზე გვიჩივით და ეს სუფრა კი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დამითავებია. აკაკიმ ხუმრობით მომიჭრა სიტყვა:

„წერეთელი ისე არ გაღარიბდება, რომ ცხრა ცხენოსანი ვერ მიიღოს, უეცრადაც“.

ფანტაზია თუ ფანტასტიკა

აკაკის დიდი ფანტაზია ჰქონდა. თანვე: ტყუილი იცოდა დიდი. რა საჭიროა ამის დაფარვა? ხოლო მის „ტყუილს“ რაღაც სხვა იერი ჰქონდა: „მოტყუება“ კი არ უნდოდა (რაიმე პირადი მიზნით). „ტყუოდა“ ისე: თითქო სურდა ესიამოვნებია მობაასე, უსმენდი აკაკის და გიკვირდა მისი „ფანტაზია“. საკვირველი კიდევ ის უფრო იყო, რომ თვითონვე სჯეროდა, რასაც ლაპარაკობდა.

საქართველო და რუსთაველი

აკაკი იყო „მკილავი“. ხანდახან „მქირდავიც“. (თუმცა, ვიმეორებ, ღვარძლი არ ჰქონია). შეეძლო ყველას გაკილვა და ყველაფრის გაქირდვა.

მხოლოდ ერთი რამ არსებობდა მისთვის მთელ ქვეყანაზე, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა.

ეს იყო საქართველო. მასთან ერთად რუსთაველი.

საქართველოსადმი იგი ისე იყო განწყობილი, როგორც მიცკევიჩი, სლოვაცკი და ვისპიანსკი პოლონეთისადმი.

ეს აშკარაა მის შემოქმედებაშიც.

თუ ამ სიყვარულით გამოწვეულმა აკაკის შემოქმედებამ ვერ მიიღო დიდი გახმაურება, ეს ალბათ იმის გამო, რომ მას აკლდა „ევროპა“ (ეს უნდა ითქვას) და მუდმივი პოეტური წვა (ესეც უნდა ითქვას). აკაკი ფუტკარს ჰგავდა, მხოლოდ ისეთს, რომელიც ბეჯითობას მაინცადამაინც ვერ დაიქადის.

გარდა ამისა:

მარტოდმარტო „მამულის“ სიყვარულით უნივერსალურ პოეზიას ვერ შექმნი.

ეს იმთავითვე მწამდა და მითქვამს კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი „ბედნიერ“ კაცად ითვლებოდა.

სიბერეს არ დაუმახინჯებია მისი სახე. პირიქით: კიდევაც გაალამაზა.

„წვეთის“ დაცემის შემდეგ ცალი წარბი ოდნავ მაღლა აეწია. სახეს ამან მეტი სიმკვეთრე მისცა. თავიც მაღლა ეკავა. განსაკუთრებით, როცა ქუჩაში მიდიოდა.

ჰქონდა რაღაც სხვანაირი „სიმაღლე“:

თითქო საგანთა მაღლა იცქირებოდა.

ყური თუ თვალი

სასტუმროში, ჩემს გვერდით, მომესმა აკაკის სიმღერის მსგავსი მეტყველება, რომელშიაც ნამდვილ სიტყვას ვერ გაარჩევდი: ეს იყო თითქო ღიღინი, უსიტყვო სიმღერა. შემდეგ შევიტყვე, რომ აკაკის შემოქმედების წამი ასე იწყებოდა: ჯერ მუსიკალური გულნება, როგორც შილერი ამბობდა, და შემდეგ — „პოეტური იდეა“.

აკაკის ლექსში „ყურია“ უფრო, ვიდრე „თვალი“.

მრავალი მაგალითიდან ერთი:

> ყანაო, მუშის სამოთხე, გლეხის დიდებავ ყანაო!
> ცისკრის სხივებმა შეგმოსეს და ნამმა გადაგბანაო.
> დაგქროლა დილის ნიავმა, ალერსით გითხრა ნანაო.
> ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა, ზურმუხტად აგამწვანაო.

ალიტერაციით აქ ყანის შრიალი გაისმის: ყანა, ნანა, ნიავი, ნამმა, გადაგბანა, ჟუჟუნა, აგამწვანა. „ნარის“ ახმაურება აქ ნიავის გადარბენას იწვევს ყანაში.

„თვალი“ ნაკლებია აკაკის ლექსებში. როგორც საერთოდ ქართულ პოეზიაში. იქაც კი, საცა თვალს მეტი ადგილი აქვს, პროზაში, ქართველი მწერლის თვალი სუსტია. საკვირველია, რადგან ქართველისათვის რაობა „ფერით“ ისაზღვრება (ყველა-ფერი, არა-ფერი).

აკაკის ლექსს აქვს „ყური“, ამიტომ რიტმიც უნდა ჰქონდეს — (და აქვს კიდეც). მხოლოდ ხანდახან „ყური“ მასაც ღალატობს (აქა-იქ). რატომ ხდება ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა

ეს უკვე ცნობილია:

აკაკიმ ენა გაამარტივა. მისცა მას სიმსუბუქე და სისხარტე. დაუახლოვა ხალხურ თქმას (მხოლოდ არა დამახინჯებულს).

ნიკო ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის ლექსურ ენას ემჩნევა ეკლესიური დახერგვა სიტყვის. აკაკიმ გაწმინდა ქართული ენა ამ ხერგებისაგან. მას ეხმარებოდნენ: რაფიელ ერისთავი და ილია ჭავჭავაძე (თუმცა უკანასკნელმა სხვა „სიმძიმე" შემოიღო, მაგრამ სრულიად გამართლებული).

პროზა

აკაკის პროზა ჯერ კიდევ არ არის დაფასებული. ვსცადე ერთ წერილში („ბაში-აჩუკი" როგორც კინო-რომანი") ამ მხრით შევხებოდი აკაკის. აკაკიმ პროზაში რომანის მკაცრი კომპოზიცია შემოიტანა.

ყოველ შემთხვევაში აკაკის პროზა მის ლექსებთან შედარებით ისეთივეა, როგორც პუშკინის პროზა პუშკინის ლექსებთან შედარებით.

ეს თემა უცდის თავის ავტორს.

აკაკი და ილია

ალბათ ეს პარალელი მუდმივ დარჩება ქართულ ლიტერატურაში. კიდევ უფრო — ჭირვეული დაეჭვება: რომელი უფრო მაღლა დგას?

აკაკი და ილია ტყუპებია, რომლებიც დასცილდნენ ერთიმეორეს. მაგრამ „ტოლები" დარჩნენ მაინც. არჩევანი ხან ერთს ერგება, ხან — მეორეს, „ტოლებში" ეს ჩვეული ამბავია.

ხშირად ერთისა და იმავე პირის გუნებაში ხდება ხან აკაკის არჩევა და ხან ილიასი. სხვანაირნი, მაგრამ ერთფასეულნი — აი ტოლების საზომი. თუ ვინმე აირჩევს ხან ერთსა და ხან მეორეს, ეს არც პირველის ბრალია და არც მეორესი.

რუსეთშიაც ასევე ხდება, როცა ადარებენ ერთიმეორეს ტოლსტოის და დოსტოევსკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი წლის წინათ ასეთი დაპირისპირება — აკაკი და ვაჟა — მაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლებოდა: ისე მაღლა იდგა აკაკი და ისე დაბლა ვაჟა.

დღეს კი ასეთი დაპირისპირება არათუ შესაძლოა, არამედ... რა საჭიროა წერტილის დასმა?

მაგრამ მაინც: აკაკი და ვაჟა.

პერსონალურად რომ ავიღოთ, შესაძლოა აკაკი უფრო ნიჭიერიც გამოვიდეს. მაგრამ პოეტურ ნამოქმედარს ეს ვერ არკვევს ბოლომდე.

ვაჟა პირია უპიროვნო შემოქმედების. იგი ჰომერის ნატეხია საქართველოს არეზე. აქ არის მისი სიძლიერეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნარლამ რუხაძე

მოგონება აკაკიზე

I

აკაკიზე რამდენი მოგონებაც გინდა დაიწეროს, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება. მეც იმედით ვიღებ კალამს და მინდა ცოტა რამ გავუზიარო თანამედროვე მკითხველს იმ დიდი კაცის შესახებ, ვინც ნახევარი საუკუნის მანძილზე მშობელი ერის ჭირს თუ ლხინს უბით დაატარებდა: ხან დასტიროდა, ხან დასცინოდა და ხან კიდევ იმედებით ავსებდა.

წინდაწინვე უნდა განვაცხადო, ამ წერილში მოყვანილ ზოგ სადაო სტრიქონებს არავის საწყენათ და, მით უმეტეს, დასამცირებლად არ ვსწერ, მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავ. ჩემი აზრით, ყოველი საზოგადო მოღვაწის ღირსებაც და ნაკლიც — საზოგადოებრივია და ყველამ უნდა იცოდეს.

აკაკი დიდი პიროვნება იყო და მის ცხოვრებასაც და აზრშეხედულებასაც, ამა თუ იმ მოვლენის თუ პიროვნების შესახებ, განსაკუთრებული ფასი ეძლევა, რაგინდ უარყოფითიც არ უნდა იყოს.

მაშ დავიწყებ. პირველი წიგნი მხატვრული ლიტერატურიდან, რომელიც ამ ორმოცი წლის წინად მე წავიკითხე — ეს იყო აკაკის ლექსთა კრებული. ამ დღიდან აკაკი ჩემი სათაყვანებელი კერპი გახდა, მაგრამ პირადად მხოლოდ სიბერის ჟამს გავიცანი, როცა ცალი ფეხი თითქმის სამარეში ედგა. პირადად გაცნობამ ჩემი მისდამი პატივისცემა კიდევ უფრო მაღლა ასწია. მისი ვერცხლდაფრქვეული — დიდი თავი, ფართე შუბლით და მზიური ღიმილით დამშვენებული, ისე მხიბლავდა, რომ მისი დანახვა ნეტარებად მიმაჩნდა; ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეყვარებული ვიყავი ამ დიდ კაცზე. და ეს სიყვარული, თუმცა სადად, მაგრამ უდიდესი გულწრფელობით გამოვხატე ერთ ჩემს ლექსში, რომელსაც „თაიგული“ ეწოდება და რომელიც იუბილეს დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივუძღვენი აკაკის. ამ ლექსმა მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, ყველა აღტაცებით კითხულობდა და გამარჯვებას მილოცავდა. ეს ლექსი თვით აკაკისაც ძალიან მოსწონდა და ხშირად იტყოდა ხოლმე, როცა ამ ლექსის შესახებ შეეკითხებოდნენ: „მშვენიერია, მაგრამ ჩემიაო“. რას გულისხმობდა მხცოვანი მგოსანი ამ სიტყვებში — ეს ჩემთვის დღესაც გამოურკვეველია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ ლექსს უთუოდ აზის აკაკის გავლენის ბეჭედი და მასაც, ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში.

რომ თანამედროვე მკითხველსაც გავაცნო ეს ლექსი, მე მგონია, ზედმეტი არ იქნება, რომ აქვე მოვიყვანო მთლიანად.

მდელოს სიმწვანე მოვპარე,
სინაზე — ტურფა იასა
და სურნელება, ელფერი —
კოკობ ვარდს, გულ-მკერდ ღიასა;
სიმშვენიერე — გაზაფხულს,
ტკბილი ხმა-კილო — ბულბულსა
და სიხალისე — ნაკადულს,
კიდე-ნაპირებ შემკულსა;
ციმციმი — მალხაზ დილის ცვარს,
კაშკაშა შუქი — მთვარესა
და ბრწყინვალება — დიად მზეს,
ლაქვარდში მოელვარესა...
მთელი სიტურფე ბუნების
შევკარი თაიგულათა
და შენ მოგიძღვენ, მგოსანო,
ეს შენ გეკუთვნის სრულადა!
ნიშნად პატივისცემისა
მიიღე, მამათმთავარო,
წკრიალა ჩანგის მპყრობელო,
ერის დიდებავ, ჯავარო!

გაცნობის შემდეგ აკაკის აჩრდილივით დავსდევდი უკან, როცა ქუთაისში გამოჩნდებოდა. ხშირად ვეწვეოდი სასტუმროში და სულგანაბული ვუგდებდი ყურს და ვსტკბებოდი მისი ენამახვილობით.

ვისაც აკაკის მოსწრებული სიტყვები და ნაკვესები თავისი ყურით არ მოუსმენია, მისივე პირით ნათქვამი, მას დაახლოებითი წარმოდგენაც კი არ ექნება ამ სიტყვის ოსტატის

ენამზიანობაზე. აკაკის ამისათვის ყველაფერი თავისებური ჰქონდა: მიმიკაც, სიტყვაც და კილოც.

II

ახალგაზრდა მწერლებში აკაკის ყველაზე უფრო „ეშმაკი" (ნ. კალანდაძე) მოსწონდა, როგორც იუმორისტი, მაგრამ მის მიმართულებას წუნს სდებდა: „უტყუარი ნიჭია, რომ სოციალ-დემოკრატი არ იყოსო". სხვებზე მაინცადამაინც დიდი წარმოდგენის არ იყო: „ჯერ პირზე რძე არ შეშრობიათ და ვინ იცის როგორი დადგებიანო".

მე თავის „პატარა მემკვიდრედ" მთვლიდა და ხშირად მეტყოდა ხოლმე: „რომ „ეშმაკის" გზით არ მიდიოდე, ქვეყნის სასარგებლო კაცი გამოხვალო". მიუხედავად ამისა, მე მაინც განსაკუთრებულ პატივს მცემდა და ეს ჩემდამი სიყვარული და პატივისცემა იმითაც დაამტკიცა, რომ ჩემთან სურათიც გადაიღო; და ეს მაშინ, როცა სხვა ახალგაზრდა მგოსნებთან სურათის გადაღებაზე უარი უთხრა ისიდორე კვიცარიძეს, რომელმაც სთხოვა ჩემთან ერთად ი. გრიშაშვილთან, გ. ტაბიძესთან და გ. ქუჩიშვილთანაც გადაეღო სურათი. (ეს მგოსნები შემთხვევით მაშინ ქუთაისში იყვნენ).

ეს სურათი ისიდორე კვიცარიძემ გაადიდებინა და თავის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში გამოფინა. უნდა სიმართლე ითქვას, ამ სურათმა მაშინ ბევრს გაუღიზიანა ძარღვები: აკაკის ყველა მემარჯვენე ჯგუფები თავიანთ კაცად სთვლიდნენ და არ მოსწონდათ — ჩემთან რომ იყო გადაღებული და კვიცარიძეს საყვედურებით ბერავდნენ.

III

იმ დროს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი ქუთაისში გამოდიოდა, რადგან, ენერგიული დევნის გამო, მისი ტფილისში გამოცემა შეუძლებელი გახდა. ეს გაზეთი უსახსრობის გამო სულს ღაფავდა და, სხვა რომ ვერაფერი საშუალება გამოვნახეთ, გადავწყვიტეთ საღამო მოგვეწყო აკაკის მონაწილეობით, რომელიც მაშინ ქუთაისში იყო. აკაკისთან მე გამგზავნეს, როგორც მასთან დაახლოებული კაცი. აკაკი დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაგრძნობით შეგვხვდა, მაგრამ წინდაწინვე გამაფრთხილა: „ხომ იცი, ჩემო ვარლამ, მე ღარიბი კაცი ვარ და აქ, სასტუმროში, კიდევ ერთ კვირას რომ დავრჩე, დიდი ხარჯი დამჭირდება და ამას ჩემი გახვრეტილი ჯიბე ვერ აიტანსო". მაგრამ, როცა სიტყვა მივეცი ყველა ხარჯებს ჩვენ ვიკისრებდით, უყოყმანოდ დაგვთანხმდა.

გაიმართა საღამო. აკაკიმ ბევრი აცინა თავისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით დამსწრე საზოგადოება და ლექსებითაც დიდი აღტაცება გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე დაავიწყდა ლექსი.

საღამოს გათავების შემდეგ მე არხეინად გავუდექი გზას შინისკენ იმ ფიქრით, რომ დაპირებულ ფულს მეორე დღეს ბინაზე მივართმევდი აკაკის; მაგრამ გზაზე კაცი დამეწია და მომმაბრუნა: „აკაკი გეძებსო". აკაკიმ რომ დამინახა, მომაძახა: „აბა, ჩემო ვარლამ, თუ რამე გემეტებათ ჩემთვის, მისაგძლე, კლუბში მივდივარ და ერთი გროში არ მიჭყავა ჯიბეშიო". მეც ამოვიღე და მივართვი სამი თუმანი. აკაკიმ მაშინვე კლუბისკენ გასწია და მეც უკან დავედევნე: მინდოდა გამეგო, თუ რა მოხდებოდა.

კლუბის გმირებმა აკაკი რომ დაინახეს, პირზე სიამოვნების ვარდი გადაეფინათ და ერთმანეთს უჩურჩულეს: „მოვიდა ჩვენი ქობალიო". შემდეგ დიდი თავაზიანობით მიიწვიეს მწვანე მაგიდასთან და, ვიდრე აკაკი არ დაბრძანდა, ფეხზე იდგნენ, თითქო პატივისცემის ნიშნად.

გაჩაღდა ბაქარა, ათამაშდნენ მოთამაშეთა თვალები და, რამდენიმე საათის შემდეგ, ჯიბეცარიელი გამობრძანდა აკაკი კლუბიდან. ან კი რა სიკეთეს დააყრიდნენ ეს აფერისტები მხცოვან მგოსანს? აკაკი, სიბერისა და სიდამბლის გამო, ნახევრად დაბრუციანებული იყო და ხშირად ხელმწიფეს ჯარისკაცისაგან ვერც კი არჩევდა; მისი მოპირდაპირენი კი, პირიქით, როგორც იტყვიან, ჩითავდენ ბანქოს და ცხრიანიდან ტუზი გამოჰყავდათ; მაგრამ ამას ანგარიშს არ უწევდა ჩვენი მგოსანი, ოღონდ თამაშის ჟინი კი მოეკლა და სხვას არას დაგიდევდათ. მისთვის ფულს დაღი არ ესვა: დღეს რომ ათასი მანეთი მიგეცათ, ხვალ კაპეიკიც არ ექნებოდა, მაგრამ ამაზე ძალიან ცოტას ფიქრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

აკაკის იუბილე რომ გადაუხადეს, სხვათა შორის, მუხიანშიც მიიწვიეს ერთი წლის შემდეგ. მის პატივსაცემად ჩვენც, მისი ახლო ნაცნობ-მეგობრებიც დაგვპატიჟეს ქუთაისიდან. დანიშნულ დღეს ნიკოლაძის ბინაზე შევიკრიბეთ, არ მახსოვს ორპირის, თუ მესხეთის ქუჩაზე, სადაც მაშინ აკაკი ცხოვრობდა.

მე ამ დღისთვის ლეგენდა დავწერე „ერის გულის მესაიდუმლე“ იუბილარის საძღვნოთ; დავბეჭდე და ერთი ცალი, ლამაზი ყდით, აკაკის მივართვი გამგზავრების წინ. აკაკიმ დახედა ყდაზე და, შიგ არც კი ჩაუხედავს, ჯიბეში ჩაიდვა ისე. ამ შემთხვევამ დამსწრე საზოგადოება მეტად დააინტერესა. სთხოვეს აკაკის — ნება მიეცა ეს ლეგენდა ვინმეს ხმამაღლა წაეკითხა. აკაკიმ შორს დაიჭირა: „ახლა რომ წავიკითხოთ— ეს შთაბეჭდილებას გაანელებს და ზეიმზე ცუდად გამოვაო“, მაგრამ არ მოეშვნენ, რადგან ზეიმს ბევრი მათგანი ვერ დაესწრებოდა, და აკაკიმაც დაუთმო ბოლოს. ლეგენდის წაკითხვა მასწავლებელ ქალს იურკევიჩს (მწერალ „რუს-იმერელის“ ქალიშვილს) მიანდვეს. ამ უკანასკნელმაც ჩინებულად წაიკითხა და ლეგენდამ აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. ვიღაცამ წამოიძახა: „ავტორი უთუოდ ჯილდოს ღირსიაო!“

— ჰოდა, თუ ჯილდოს ღირსია, ჩვენც დავაჯილდოვოთო, — დაუმატა აკაკიმ.

— მერე რით დავაჯილდოვოთ? — გაისმა აქეთ-იქიდან.

— იმით, რომ ავტორს წამკითხველმა სამჯერ აკოცოს ტუჩებშიო, — დაასკვნა აკაკიმ თავისებური ღიმილით.

ამან კიდევ უფრო გაამხიარულა საზოგადოება და მოითხოვეს განაჩენის სისრულეში მოყვანა, მაგრამ განაჩენი მაინც შეუსრულებელი დარჩა და ქ-ნ იურკევიჩს დღესაც მართებს ჩემი, აკაკის მიერ დაკანონებული საავტორო ჰონორარი — სამი კოცნა.

ამის შემდეგ ეტლებით გავემგზავრეთ მუხიანისაკენ. მე და დავით კლდიაშვილი აკაკისთან მოვთავსდით ეტლში, თანახმად მგოსნის სურვილისა. გზადაგზა ჩვენს მწერლობაზე და მწერლებზე ჩამოვარდა საუბარი. დ. კლდიაშვილმა ვაჟ-

ფშაველა მოიგონა და ქებით მოიხსენია. აკაკიმ წარბები შეკრა: „იმისთანა მეზმე ყველა ჩვენს ფეოდალს ვაკლია წინ-ნედო“.

მე გაგონილი მქონდა, რომ აკაკი მეტოქეს ვერ ითმენდა, მაგრამ თუ ასე სააშკარაოზე გამოიტანდა თავის ხვაშიადს, სწორედ გითხრათ, ვერ წარმომედგინა. და როცა ფაქტის წინ დავდექი, გული მეტკინა. დ. კლდიაშვილზედაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამან. შევეცადეთ წინააღმდეგი დაგვემტკიცებია, მაგრამ აკაკი გაჯიუტდა და მაინც თავისას გაიძახოდა.

ამ დავიდარაბაში მუხიანსაც მივუახლოვდით. აქ რამოდენიმე სოფელს მოეყარა თავი და დიდი ზეიმით შეგვხვდნენ. სკოლის ეზოს წინ მაღალი თაღი აემართათ და შუაზე აკაკის სურათი იყო გამოკიდებული, ვარდ-ყვავილებში გაწყობილი, ზედწარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სახელოვანო მგოსანო“. თაღს რომ გავცდით, რომელიღაც ცელქმა ბავშვმა აკაკის სურათს ქვა ესროლა და დაამსხვრია. აკაკიმ გაიცინა და თქვა: „აქამდე დიდები მცემდნენ, ახლა კი ბავშვებმაც დამიწყეს ცემა — ეს, ალბათ, იმის ნიშანია, რომ დავბერდი და ყურს ვერ ავუწევო“.

სკოლის დარბაზი საუცხოოდ იყო მორთული. აკაკი სცენაზე დაბრძანდა. დაიწყო მილოცვები, მაგრამ აკაკი განსაკუთრებით გლეხის ბავშვებმა ასიამოვნეს, რომლებმაც სხარტად და მოხდენილად წაიკითხეს აკაკის ლექსები. დასასრულ, აკაკიმაც წარმოთქვა სამადლობელი სიტყვა, რომელიც ასე დააბოლოვა: „მე რომ კალამი ავიღე, ათას გლეხში ერთმაც კი არ იცოდა თავისი საკუთარი სახელის და გვარის მოწერა, ახლა კი მათი შვილიშვილები სცენაზე გამოდიან და ასე ჩინებულად კითხულობენ ლექსებს. ეს და მასთან ერთად ეს ზეიმიც, რომელიც ჩემს პატივსაცემად მოგიწყვიათ ასე გულმოდგინედ, უთუოდ უტყუარი ნიშანია ერის გამოღვიძების და წინმსვლელობის. ამას რომ ვუცქერი, მეც, წელში ოთხად მოკეცილ მოხუცს, გული საგულეში არ მიდგება სიხარულით და მინდა ბავშვივით ვიხტუნო. პატარა მოამაგის ბედნიერება ამაზე შორს ვერ წავა! ალბათ ამას ჩამჩურჩულებდა საიდუმლო ხმა, როცა ვამბობდი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..“

ამან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და დაუსრულებელი ოვაციები გაუმართეს საყვარელ მგოსანს.

ზეიმის შემდეგ სადილზე მიგვიწვიეს. სუფრას, როგორც იტვიან, ჩიტის რძეც კი არ აკლდა, მაგრამ აკაკი ამით არ დაკმაყოფილდა და ჭადი და ლობიო მოითხოვა. გლეხები სახტად დარჩენ. აკაკიმ კი თქვა: „მე გლეხის ოჯახში გავიზარდე და გლეხებთან ერთად ჭადი და ლობიოც ისე შემიყვარდა, რომ უიმისოდ გლეხის სუფრა ვერ წარმომიდგენიაო“. აფრინეს კაცი სოფელში და მოატანინეს ჭადი და ლობიო. აკაკიმ ჯერ ის მიირთვა და შემდეგ კი გოჭს და ქათამს შეექცა. ნადიმი მეორე დღემდე გაგრძელდა და დილით დიდი ამბით გამოგვაცილეს ქუთაისისაკენ.

V

ამის შემდეგ ერთხელ და უკანასკნელად ვინახულე აკაკი საჩხერეში, თავის სასახლეში, მაშინ როცა სარეცელზე სიკვდილს ებრძოდა. მე რომ მივედი, აკაკი შეწუხებული იყო და მასთან იშვიათად უშვებდნენ მნახველებს. სახლი სავსე იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული მნახველებით და ყველას სახე ჩამოსტიროდა.

ჩემი მისვლა რომ მოახსენეს, ძალიან ეამა და ექიმს სთხოვა — ორი წუთით შევეშვი მასთან. შემიყვანეს. აკაკიმ აკანკალებული ხელი გამომიწოდა, მე ჩამოვართვი, შუბლზე ვაკოცე და ორთავეს ცრემლით აგვევსო თვალები. ექიმმა აკაკის აღელვება შეამჩნია და ჩუმად მანიშნა, რომ მალე გავშორებოდი. გამოვედი დარბაზში, მაგრამ გულით ლოდი გამოვიტანე.

მეორე დღეს აკაკიმ საგრძნობლად მოიხედა, ყველა მის სანახავად მისულები ოთახში მიგვიწვია და გვთხოვა — მისი ახალი პოემა წაგვეკითხა. ჩვენც დიდი ყურადღებით წავიკითხეთ, მაგრამ აკაკის მხოლოდ ენა გვეცნაურა, სხვა შიგ არაფერი იყო აკაკისებური.

პოემა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მსოფლიო ომს და

ამ ომში ქართველების თავდადებას და სიმამაცეს ეხებოდა, ბოლოს, ნიკოლოზ II-ს ემუდარებოდა, რადგან ქართველებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს რუსეთის დასაცავად, კეთილი ენებებია და გაენთავისუფლებია საქართველო.

პოემამ ჩვენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ არაფერი გვითქვამს საწინააღმდეგო იმის შიშით, რომ ეს ცუდად იმოქმედებდა ავადმყოფზე; პირიქით, თავი ისე მოვაჩვენეთ, თითქოს კიდეც მოგვწონდა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკაკი მაინც მიგვიხვდა და თითქოს თავის გასამართლებლად თქვა: „ამდენხანს სულ ვებრძოდი თვითმპყრობელობას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ახლა თხოვნით მივმართავ, ეგება ამან მაინც გასჭრასო“.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დაგვიკოდა გული, მაგრამ, მეორეს მხრით, აკაკის უკეთ გახდომამ სიხარულით აგვავსო და მხიარული სახით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, იმ იმედით, რომ აკაკი სიკვდილს გადარჩებოდა. მაგრამ ვინ შესცვლის ბუნების განაჩენს? არ გაუვლია ამის შემდეგ სულ ათიოდე დღეს და დიდი მოამაგე სამუდამოდ გამოეთხოვა თავის საყვარელ „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტ“ ქვეყანას და ჩვენ კი მხოლოდ მოგონება დაგვიტოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბელ სადუნიშვილი

(104 წლისა, სოფ. ტყემლოვანის მცხოვრები)

*
* *

მე და აკაკი ერთად გავიზარდეთ სოფელ სავანეში. მე აკაკიზე უფროსი ვიყავი ოთხი წლით. მე და აკაკი მისი ძიძის მანო სადუნიშვილის სახლში ვიზრდებოდით. მანოს სახლი ედგა სავანის ეკლესიის გვერდით. აკაკის განსხვავება სოფლის ბიჭებისაგან არ შეიძლებოდა, ჩვენთან ერთად დარბოდა და თამაშობდა, ერთად დავდიოდით სათევზაოდ. თამაშის თავი იყო, ძალიან ცქვიტი და ცოცხალი ბავშვი იყო, თავისი ძიძა მანო გიჟდებოდა აკაკიზე. მახსოვს, ერთხელ, როცა აკაკის იუბილე იყო 1908 წელს თბილისში, აკაკიმ გამახსენა ჩვენი ბავშვობის ამბები. „გახსოვსო მითხრა, ჩოტი რომ ჩამარტყი თავშიო". მართლაც მეც გავიხსენე, რომ აკაკის ჩოტი ჩავარტყი თავში. ხუთი-ექვი წლის იქნებოდა ის, მე ცხრა-ათი წლისა.

სადუნიშვილები ღარიბად ცხოვრობდნენ, პატარა ღარიბული ქოხი ჰქონდათ, მაგრამ აკაკის არაფერს არ აკლებდნენ, თავზე ევლებოდნენ. მახსოვს, რამდენჯერმე საჩხერიდან ჩამოვიდნენ აკაკის მშობლები დიდი ამალით. ჩვენ, ბავშვები, ჩირგვებში ვიმალებოდით და იქიდან ვიყურებოდით. მშობლებს საჩუქრები ჩამოჰქონდათ აკაკისთვის. როცა ისინი უკან გაბრუნდებოდნენ, აკაკი ყველაფერს ჩვენ გვირიგებდა — სოფლის ბავშვებს.

ხშირად გვიყვარდა თამაშობა სავანის ეკლესიის ეზოში. ხშირად ვთამაშობდით „ქორაობას", „დანასობიას". თამაშში აკაკის არავინ სჯობდა, ძალიან ფეხმარდი იყო. აკაკი პატარ-პატარა ლექსებს ამბობდა ხოლმე, ყველას რამე საკვიმატო სახელს შეგვარქმევდა. მე მასზე უფროსი ვიყავი და ისე გაფრინდებოდა, რომ ვერ ვეწეოდი.

აკაკის ბავშვობის მეგობრები იყვნენ აგრეთვე მისი ძიძის

შვილები: ამბაკო და გაიანე. ამბაკო სულ მისი კბილა ყოფილ ერთ-ძუძუს წოვდნენ, ძალიან უყვარდა აკაკის. გაიანე კი ცოტა უფროსი იყო. გაიანე აკვანს ურწევდა ამბაკოს და აკაკის, ხელითაც კი ატარებდა. აკაკიმ ძალიან შეინახა მათი სიყვარული. ხშირად მოიგონებდა ხოლმე, ძღვენსაც გამოუგზავნიდა. გაიანეც ხშირად ჩადიოდა საჩხერეში აკაკისთან.

თავისი ძიძა მანო აკაკის დედაზე ნაკლებ არ უყვარდა. როცა წამოიზარდა, ნახულობდა ხოლმე. გულში ჩაიკრავდა. დაასაჩუქრებდა. თავისი ბავშვობის ამბებს ათასჯერ გაამეორებინებდა.

როცა აკაკის იუბილე იყო 1908 წელს, აკაკისთან თბილისში ჩავიდა გაიანე და სხვასთან ერთად მისი აკვანი ჩაუტანა.

ამბაკო სადუნიშვილი უდროოდ დაიკარგა. მღვდლის ცოლს ჰყვარობდა და ამისათვის გადაასახლეს. ახალგაზრდა ვაჟკაცი მოკვდა გადასახლებაში. სავანე მერე მოშენდა, აკაკის დროს არ იყო ასე დასახლებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი

თბილისში ჩვენს ოჯახს დაუახლოვდნენ იმდროინდელი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკაკი, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვ. ესენი ხშირად დადიოდნენ ჩვენთან, ზოგჯერ დადიოდა ილია ჭავჭავაძეც...

მე ყველას გავეცანი. აქ იმართებოდა მუსაიფი და მსჯელობა მწერლობაზე, საზოგადოებრივ საკითხებზე, საქართველოს და ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მე მესმოდა მათი სიტყვები, მათივე გამოთქმული აზრები და ზოგჯერ ჩავფიქრებივარ კიდეც მათ, იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ჩემს მდგომარეობაში და ასაკში მყოფ ქალისათვის.

გავიცანი ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკიც. მაგრამ ეს გაცნობა მოხდა ძლიერ კურიოზულ ფორმებში და ამან, შეიძლება ითქვას, გადაწყვიტა ჩემი მომავალი არტისტობის ბედიც, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მოვიგონო ეს ამბავი.

ახლანდელ კომუნართა ბაღში (მაშინ ალექსანდროვის ბაღს ეძახდნენ), გამართული იყო დიდი, მშვენიერი საზაფხულო დარბაზი, საღამოობით იქ დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. მუსაიფობდნენ, თავს ირთობდნენ და თან ხილეულობის ცივი წყლით გრილდებოდნენ. ერთხელ ჩვენსას სერგეი მესხის ოჯახობა მოვიდა და ყველანი სასეირნოდ წავედით. მე პირველად მივდიოდი ამ ბაღში და საერთოდ პირველად გადიოდი ქალაქის ასეთ დიდ საზოგადოებაში. ამიტომ ბებია ნინომ დამიძახა და მთელი დარიგება მომცა, როგორ უნდა დაეჭირა თავი და როგორ მოვქცეულიყავი. სხვათა შორის მითხრა:

— შვილო, დინჯად იყავი, გზაზე უცხოს არავის დაუწყო ლაპარაკი, თორემ ქალაქი ჯიბგირებით და გარყვნილი ხალხით არის სავსე და, ვინ იცის, რა ხათაბალას აეკიდებიო, —

კიდევ არ მახსოვს, რაები არ მითხრა. მე, ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდეც, მაგრამ ვიფიქრე, უცხოს არავის გავეკარებ და ერთ ონდა შემხვდეს-მეთქი... წავედით ბაღში. უფროსები მაგიდების დასაჭერად გაემართნენ, ახალგაზრდებმა კი ვარჩიეთ ცოტა ხანს მოსეირნეთათვის გვეცქირა და ჩამოვსხედით იქვე გრძელ სკამებზე. უცებ მოირბინა ჩემთან პატარა ლამაზმა ძაღლმა და ლაქუცი დამიწყო. მეც თავზე ხელი გადავუსვი და ვაკოცე. ამ დროს მომესმა ხმა:

— ოჰ, რას შვრები, ქალო, მაგისთანა ცუგრუმელა გოგონა ძაღლს როგორ ჰკოცნი?

ავიხედე ზევით, თავზე მადგა ბრგე, ლამაზი ვაჟკაცი, რომელსაც თეთრი გადაჭიმული შუბლი ჰქონდა. თავი ისეთი ხუჭუჭი თმით ჰქონდა დაფარული, რომ არაბი გეგონებოდათ, სახის უზომო სითეთრე რომ არ ჰქონოდა. მას პალტო გადაეკიდა ხელზე და ღიმილით შემომჩერებოდა... მე გამახსენდა ბებიას დარიგება, ალბათ ეს ერთი იმ არამზადათაგანია, რომელმაც რაიმე ხათაბალა უნდა ამკიდოს-მეთქი, და მკაცრად მივუგე:

— ზოგჯერ ძაღლის კოცნა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ზოგიერთი ადამიანის კოცნა, ანდა თქვენისთანა კაცთან ლაპარაკი-მეთქი.

ამ პასუხზე მან ერთი გულიანად გადაიკისკისა. სხვათა შორის, აკაკის არ ჰქონდა ლამაზი სიცილი, მის ბრგე შეხედულებას არ უხდებოდა ქალური კისკისი. მე საშინელი ჯავრი მომივიდა მის სიცილზე და კადნიერად შევეკითხე: „რას ხედავთ აქ სასაცილოს-მეთქი!“ ამაზე კიდევ გადიკისკისა, მომიჯდა გვერდით და მითხრა: შენ თუ ჭკუაც მაგისთანა მახვილი გაქვს, როგორც ენა გქონია, ძალიან კარგი აქტრისა გამოხვალო. მე ვიუკადრისე შენობით უცნობის მიერ ჩემთან ლაპარაკი, აგრეთვე ის, აქტრისა კარგი იქნებიო, რომ მითხრა, გაბრაზებული წამოვხტი და უხეშად მივახალე:

— ბატონო ჩემო, თქვენ ალბათ უპატრონო გოგო გგონივართ, მაგისთანა სიტყვებით რომ მელაპარაკებით, როგორ თუ აქტრისა, ვინა გგონივართ მე!..

— გაჯავრებაც რომ გცოდნია! ეგ უფრო გშვენის, ვიდრე დამშვიდებული სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ!

— მე ცუდს არაფერს გეუბნებით, გოგონი, მხოლოდ მინდა გავიგო ვისი ხარ, ანდა რა გვარი ხარ?

— რაში გეპრიანებათ ჩემი ვინაობა-მეთქი, — მივეცი პასუხი და გავცილდი, ჩქარის ნაბიჯით გავსწიე იქით, სადაც ჩვენები ისხდნენ. მე ვღელავდი, ყველამ შემატყო და დეიდა ლიზა შემეკითხა:

— რამ აგაღელვა ასე, ვინ გაგაბრაზაო?

— ვინ უნდა იყოს ის ოხერი კაცი, რომელიც აგერ მოდის-მეთქი! — და ხელი მივუშვირე ჩემს შეურაცხმყოფელზე, რომელიც ჩვენკენ მოეშურებოდა.

— რას მიჰქარავ, რატომ ესე უბღვერი, ეგ იცი ვინ არის?!.

— ვინ უნდა იყოს?

— ეს არის დიდი პოეტი აკაკი წერეთელიო, — მიპასუხა დეიდა ლიზამ.

მე შევკრთი, ვიგრძენი უხერხულობა. აკაკი მოგვიახლოვდა, მე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. დეიდა ლიზას, რომ გამოესწორებინა ჩემი უხეში საქციელი, აკაკის მიმართა:

— ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ჩემი დისწული, თქვენი პიროვნება მასაც კი აინტერესებს.

— ნუ სწუხდებით, — მიუგო ღიმილით აკაკიმ, — ჩვენ იმდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ვიჩხუბეთ კიდეცო, — და მოჰყვა ჩვენი გამოლაპარაკების ამბავს.

აკაკი დეიდაჩემს „დროების“ რედაქციაში გაეცნო, მე მის მწერლობას ვიცნობდი, პირადად კი არ ვიცნობდი. მაშინ პირველად ვნახე, შემდეგ აკაკი თითქმის ყოველ საღამოს დადიოდა ჩვენთან, მე ხშირად შემინიშნავს, აკაკი და სერგეი მესხი ლაპარაკობდნენ ჩემზე, და ახსენებდნენ თეატრს. მაგრამ რადგან მაშინ არ ვიცოდი რა იყო თეატრი, ამიტომ ვერ გამეგო თეატრთან დაკავშირებით რად ახსენებდნენ ჩემს სახელს.

ერთ დღეს ალექსანდრე მარჯანიშვილმა წვეულება გამართა, მოპატიჟებული იყვნენ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. სხვათა შორის იყვნენ: აკაკი, რაფიელ ერისთავი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვები. დიდი ლხინი გაიმართა, კახურ მრავალჟამიერს და ხალხურ სიმღერებს საზ-

ღვარი არ ჰქონდა. მე ძლიერ კარგ ხასიათზე დავდექი, ბევრი ვიმღერე, ვიცეკვე, ვიოხუნჯე და ამით სტუმრების გამხიარულებას ძლიერ შევუწყე ხელი. რაფიელი, აკაკი და სერგეი სულ მე მომჩერებოდნენ და ჩემზე ლაპარაკობდნენ. გათავდა ქეიფი, სუფრიდან ავიშალეთ. სტუმრები ზალაში ჯგუფ-ჯგუფად დადგნენ და მუსაიფობდნენ. მე და დეიდა კატო ერთ ჯგუფში ვდგევართ და ვმუსაიფობთ. ამ დროს მოგვიახლოვდა აკაკი, გაერია ლაპარაკში და, როცა მოხერხებული დრო იპოვა, მითხრა:

— ჯამაგირი რომ დაგინიშნოთ, ჩვენს თეატრში არ წამოხვალ სამუშაოდ?

— მაგას ვინ ეღირსება, 15 მანეთიც რომ მაშოვნინა ჩემი საკუთარი შრომით, თავს ბედნიერად ჩავთვლი და მეტი არ მინდა-მეთქი, — ვუპასუხე.

— თუ თანახმა იქნები, მე მაგ საქმეს მოგიწყობ.

— ძლიერ მადლობელი ვიქნები, — ვუპასუხე.

ჩემს ლაპარაკს ყური მოჰკრა დეიდა კატომ, არ ესიამოვნა, მუსაიფში ჩაერია და აკაკის მიმართა:

— თქვენ ხუმრობთ, მაგ ბავშვია, მართალი ეგონება და გაბრიყვდება.

— როგორ, თუ ვხუმრობ, სრულ სიმართლეს ვეუბნები, — უპასუხა აკაკიმ.

— ერთი მიბრძანეთ, გასათხოვარი ქალის სცენაზე გამოყვანა რა საკადრისია და ვის გაუგონია?!

— რომ არ გაუგონია, ამიტომ აღარ გავიგონოთ? აბა, როგორ შეიძლება, რომ თეატრს ასე ზიზღით უყურებთ? თქვენ სარკეში იხედებით?

— სარკე რა შუაშია?!.. მერე რა რომ ვიხედები?

— ნუ გეწყინებათ, მიპასუხეთ, რისთვის იხედებით?

— იმისათვის, რომ შიგ ვჩანვარ, რაც არ მომწონს ან არ მიხდება, იმას ვისწორებ.

— კარგი დაგემართოს, აი სწორედ ის, რაც ადამიანისათვის, კერძო პირისათვის სარკეა, ის მთელი საზოგადოებისათვის თეატრია, რომ ხალხმა შიგ ჩაიხედოს, თავისი ნაკლი და ღირსება დაინახოს და გასასწორებელი გაისწოროს. თეატრი სკოლაა ხალხისათვის, გამასწორებელი და არა უბრალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრის გასატარებელი, განათლებულ ქვეყნებში თეატრი ამ მიზნით აქვთ მოწყობილი.

— ჩვენში კი ჯერ არ არის და რა ვიცი!

— რომ არ არის, ოდესმე ხომ უნდა იყოს?

— მაშინ სულ სხვა იქნება, ნეტავი მაგას მოვესწრებოდე, თორემ მაშინ მეც გამოვალ სცენაზე, თუ საჭირო და სასარგებლო ვიქნები.

— უნდა დავიწყოთ, ჩვენი ვეცადოთ და ბოლოს გავიმარჯვებთ.

— თქვენი ნებაა, შევეცდებით, რითაც შეგვიძლია დაგეხმარებით.

ეს მუსაიფი ასე დასრულდა. ამის მერმე კარგა ხანი გავიდა, ასეთი ხასიათის ლექციებს ჩვენებს ხშირად უკითხავდნენ. ზოგი ჩვენიანი მოლბა, ბებია კი ისევ ჯიუტობდა... მაგრამ არ ეშვებოდნენ, განსაკუთრებით აკაკისა და სერგეიმ მიჰქონდათ იერიშები. ერთხელ, რომ აღარ მოეშვნენ, გაჯავრებულმა უთხრა აკაკის:

— კნიაზო აკაკი, არ გეკადრებათ, რაკი ობოლია, ასეთ გაუბედურებას უპირებთო.

— რას ბრძანებთ, რის გაუბედურება, კი არა დიდად ბედნიერი იქნება, საზოგადო საქმეს სამსახურს გაუწევს, ჩვენი ხალხის გამოღვიძებას ხელს შეუწყობს, განა ეს უბედურებაა, პირიქით, სასახელოა.

— რადგან არ დაგიშლიათ, რაც გინდათ, ის ჰქენით, ოღონდ ეს კი ვიცი, ახალგაზრდა ქალს სახელი გაუტყდება, და პატრონი კი არავინ ეყოლება.

აკაკი და სერგეი კი უმტკიცებდნენ, რომ სახელი კი არ გაუტყდება, პირიქით, სასახელო საქმე არისო. ბებიას რომ გაუჭირეს საქმე, ბოლოს თქვა:

— ვიმეორებ, რადგან არ იშლით და განიზრახეთ ამის გაუბედურება, გათხოვებაც თქვენ იკისრეთ და მე თანახმა ვიქნებიო.

— დიდი სიამოვნებით, მას არავის შველა არ დასჭირდება, იქ უფრო მალე გათხოვდებაო, — უპასუხა აკაკიმ და შემდეგ მიუბრუნდა სერგეის: — მე ხვალ არ მცალია და შენ წაიყვანე გიორგი თუმანოვთან და უთხარი, რომ ეს ის ქალია, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით-თქო.

მოსიბრუნდა სერგეი მეხხი და მითხრა:

— აბა, მაკო, ხვალ საღამოს მზად დამიხვდი, მე სხვაგან უნდა წაგიყვანოო.

მეორე დღეს სერგეი მართლაც მოვიდა და წამიყვანა გიორგი თუმანიშვილთან. იგი მაშინ ქართული თეატრის საქმეში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. სერგეიმ მას ჩააბარა ჩემი თავი და უთხრა:

— ეს ის ქალია, რომელზედაც მე და აკაკი გეუბნებოდითო.

— ძალიან სასიამოვნოა, ძალიან! — ღიმილით უპასუხა გიორგიმ და თავაზიანად მოგვესალმა. პირველი ნახვის დროს მას ძლიერ ეამა, მაგრამ როცა ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ვგონებ, არ ესიამოვნა ჩემი ბავშვური შეხედულება და დაღონებით კვლავ დაუმატა: — კარგია, ძალიან კარგი...

სერგეი წავიდა. გიორგი სათანადოდ მომექცა, გამაცნო თავისი პატივცემული და ანასტასია, გიორგი წერეთლის ცოლი, და მითხრა:

— მოითმინეთ აქა, მოვემზადები და გიახლებითო.

მართლაც, რამდენიმე წამში მოემზადა და წავედით. ავჭალის ქუჩაზე ცხოვრობდა ზაქარია ანდრონიკაშვილი, რომლის შვილი იოსები მფარველობას და შემწეობას უწევდა ქართულ თეატრს.

ეს ოჯახი სხვა არისტოკრატიული ოჯახების მიმბაძველი არ იყო, როდესაც სხვები არც კი იკადრებდნენ სცენის მოყვარეებს, ისინი აქ, ამ ოჯახში პოულობდნენ მამობრივ ზრუნვას და მეგობრულ პატივისცემას. ამ ზაქარიას სახლში, სადაც სცენის მოყვარეებს თავი მოეყარათ, გიორგიმ შემიყვანა და განაცხადა:

— აი, მოვიყვანე ის ქალი, რომელსაც სასცენო ნიჭს ამჩნევენო.

ყველანი მომაჩერდნენ. ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც შემდეგ გავიგე, რომ ვასო აბაშიძე ყოფილა, ტუჩები დაუშვა, ალმაცერად შემომხედა და რუსულად უთხრა:

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ აქ საბავშვო ბაღი ხომ არ არის?!.

მე ძალიან მეწყინა, რომ ბავშვი დამიძახეს, მაგრამ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითმინე, რადგან, თუმცა მეთვრამეტე წელიწადში ვიყავ, მაგრამ მართლაც ძალიან ბავშვური შეხედულება მქონდა.

მერმე პიესის კითხვა დაიწყეს და შევატყვე, ვერც ერთი რიგიანად ვერ კითხულობდა, რატომღაც ქართული კილო არ ისმოდა... რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე კაცი, რომელიც შემდგომ აბაშიძე აღმოჩნდა, მომიბრუნდა და ისევ დაცინვით მკითხა:

— ქაჯან, კითხვა იცი?

— როგორ არ ვიცი-მეთქი, — ამაყად მივუგე.

— მაშ წაიკითხე, — მითხრა და წიგნი მომაჩეჩა.

დავიწყე კითხვა და ვიჩენ ჩემს ოსტატობას. იმდენად ეშმაკი ვიყავი, რომ კითხვის დროს ვიხელთებდი დროს და ცალი თვალით გადავხედავდი იქ მყოფთ, მინდოდა გამეგო, რა შთაბეჭდილებას ვტოვებ მათზე. შევნიშნე, რომ ერთმანეთს სიამოვნების ღიმილით გადახედავენ ხოლმე. ჯერ კიდევ ნახევარი ფურცელი არ წამეკითხა, შემაჩერეს, ჩამომართვეს წიგნი და მითხრეს:

— აი, ეს როლი ზეპირად ისწავლეო, — და წიგნს ერთ ადგილას წითელი ფანქრით ხაზი გაუსვეს.

— კარგი-მეთქი, — ვუპასუხე და წიგნი ჩამოვართვი. გულში კი ვფიქრობ: ეგ როლი რა ეშმაკებსა ჰქვიან, ალბათ მთელი წიგნი უნდა ვისწავლო ზეპირად და ვინც კარგად ისწავლის, ალბათ გამარჯვებულიც ის დარჩება. წამოვედი სახლში და შევუდექი მეცადინეობას. ორიოდე დღეში მთელი წიგნი ზეპირად ვისწავლე, ყდიდან დაწყებული „დოზოლენო ცენზურომდე." მივედი გიორგი თუმანიშვილთან და მან ისევ იქ წამიყვანა, მაგრამ ახლა სულ სხვა სურათი დაგვხვდა:

შევედი დიდ ზალაში. აქ შუა ოთახში ჩაჯდა ერთი კაცი სავარძელში, დაიდგა წინ მაგიდა, აქეთ-იქით ანთებული შანდლები დაიდგა, შუაში წიგნი დასდო და დაიწყო კითხვა. რასაც ის ამბობდა, სხვები იმეორებდნენ. ვიფიქრე: ზეპირად ვერ უსწავლიათ და ახლა იმიტომ ეხმარება ეს კაცი-მეთქი.

როცა ჯერი ჩემზე მოვიდა, მანიშნეს მიდიო, მეც მივედი, ჯერ სათაური ვთქვი, მერე სეტყვასავით დავაყარე, თან თვალები მიბრწყინავდა სიამოვნებით, რომ სხვას ვაჯობე და გამარჯვება მე უნდა დამრჩენოდა, მაგრამ ჩემს განცვიფრებას

საზღვარი არ ჰქონდა, როცა სწორედ ამ დროს შემაჩერეს და მითხრეს: არა, ეგრე არ უნდა, თქვენ მარტო თქვენი სიტყვები თქვითო.

მე ცრემლები მომივიდა და ვუთხარი:

— მე ჩემი სიტყვებით ვერ ვილაპარაკებ, თუ წიგნში დაწერილი არ არის და არ წავიკითხე-მეთქი.

— წიგნში წაკითხული უნდა თქვა, მაგრამ უნდა თქვა მხოლოდ შენი როლი, ე. ი. რაც შენ გეხებაო.

„კიდევ რა ჯანაბა როლი, რა ეშმაკია ეს როლი, მეორედ მესმის!" — გამკრა გულში, მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ შევჩერდი, რადგან, ვინც სთქვა ეს სიტყვა „როლი", სწორედ ის მიხსნიდა, თუ რას ჰქვია როლი, როგორ უნდა შევისწავლო ის. ამიხსნეს, რომ ასეთ წაკითხვას ჰქვია რეპეტიცია. ამ რეპეტიციაზე უნდა მოვამზადოთ პიესა, და როცა მოვამზადებთ, მერმე უნდა გავმართოთ წარმოდგენა თეატრში, რომელსაც ხალხი დაესწრება... გამახსენდა ჩემი ყოფნა წარმოდგენაზე, მიღებული შთაბეჭდილება და გულმაც რაღაც სხვანაირად ტოკვა დამიწყო.

შემდეგ ამიხსნეს, რომელია ჩემი როლი.

ეს იყო კოლოდინას პასუხსაგები როლი პიესა „ჟორჟ დანდენში". პიესის ავტორი იყო ფრანგი დრამატურგი მოლიერი, ხოლო მისი ქართული თარგმანი ეკუთვნოდა გიორგი თუმანიშვილს.

ამ დღეს ბევრი რამ ახალი გავიგე ჩემი მომავალი პროფესიის შესახებ, თვალახილული და გახარებული დავბრუნდი შინ... ვსწავლობდი ჩემს როლს, დავდიოდი რეპეტიციებზე.

დადგა წარმოდგენის დღეც... ჩამაცვეს შესაფერი ტანისამოსი, გამიკეთეს გრიმი და როცა ჩემი მორთვა-მოკაზმვა დაასრულეს, მარტო დავდექი სარკესთან და ჩავიხედე. ჩემი თავი ვერ ვიცანი, სულ ერთნაირად გამოვცვლილვარ, გამახსენდა ოპერა და გავიფიქრე: „ალბათ იქაც ასე არიან ნამდვილი სახეები შეცვლილი-მეთქი", ვიგრძენი, რომ ახალი მოკაზმულობა ცოტათი მეხამუშება.., ამასობაში, ზარიც დარეკეს და მომესმა ვილაცას ხმა:

— მზად იყავით გასასვლელად, წარმოდგენა იწყება.

„ეს, ალბათ, მეც მეხება-თქო", — გავიფიქრე, და გულმა რაღაც სხვანაირად დამიწყო ტოკვა, თითქოს შიშიც კი შემე-

პარა, სხვადასხვა აზრები მიელავდა თავში: „როგორ ვიქნები სცენაზე, თავს ხომ არ შევირცხვენ, ოჰ, ერთი გავიმარჯვებდე!“ და ვინ მოსთვლის, რას არ ვფიქრობდი... ამასობაში დადგა სცენაზე გამოსვლის დროც. კრძალვით მივადექ კარებს, ვკრთი, და უცებ გავედი... შიშმა უცებვე გამიარა. როლი თამამად დავიწყე, გათავდა მოქმედება, ხალხი ტაშით გამიმასპინძლდა, ამან უფრო წამაქეზა და შემდეგ მოქმედებაში უფრო თამამად ვიგრძენი თავი. წარმოდგენა გათავდა, რამდენჯერმე გამიძახეს სცენაზე და ტაშით დამაჯილდოვეს. ეს პირველი ჯილდოა, რომელმაც გამახარა და მაგრძნობინა, რომ მეც რაღაცის გაკეთება შემძლებია. იმასაც მივხვდი, რომ, რადგანაც ტაშს მიკრავენ, მაშასადამე, როლი არ გამიფუჭებია. ამ დღიდან გადავწყვიტე, მთელი ჩემი ცხოვრება დამეკავშირებინა თეატრთან და სანამ ძალ-ღონე საშუალებას მომცემდა, მას არ მოვცილებოდი.

ეხლა მიმეჩქარება სახლში, მინდა გავიგო, რას მეტყვიან ჩვენები. მივედი კიდეც. შემხვდა ბებიაც, მან დამინახა თუ არა, ხმამაღლა გამომიტირა. შემდეგ დაჯდა და ასეთი წერილი მისწერა მამაჩემს:

„შვილო მიხეილ! დიდი უბედურება და სირცხვილი დაატყდა ჩვენს ოჯახს... ვიცი, შვილო, ეს თავზარს დაგცემს, მაგრამ როდემდი დაგიმალო, ხომ მაინც გაიგებ. შენს ქალბატონს მაკოს მე თავი ვეღარ დავუჭირე და გავარდა, — ვაი, შენსა და ჩემს მოსწრებას! — გავარდა და პირდაპირ ტრიატში შევარდა“.

მამაჩემს რომ მიუღია წერილი, ძლიერ გაბრაზებულა და მოეწერა, თვალით არ დამენახოს, მაგ ოჯახის შემრცხვენელიო... მაგრამ ასეთი წერილები რას გაჭრიდნენ: ჩემი ბედა და თეატრი უკვე გადაჯაჭვული იყვნენ.

ამნაირად, სერგეი მესხმა და აკაკიმ ბებიაჩემს ძალით წაართვეს, მოსტაცეს ჩემი თავი, განსაკუთრებით კი აკაკიმ იბრძოლა ამისათვის.

აკაკი და მე ყოველთვის მეგობრულ დამოკიდებულებაში ვიყავით და ერთმანეთს დიდადაც ვაფასებდით, მაგრამ მოგეხსენებათ, მეგობრებს შორისაც არის ზოგჯერ უსიამოვნება.

ამიტომ ჩვენ ზოგჯერ მოგვივიდოდა წალაპარაკებაც, ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმანეთს დავემდურებოდით, მაგრამ ერთმანეთის დაულაპარაკებლად ვერ ვძლებდით და მალე შევრიგდებოდით. ერთი ასეთი წალაპარაკების შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავემდურეთ და ჩვენი შერიგება აკაკის ზმამ გამოიწვია. დაე, ნურც ეს დაიკარგება: ერთ დღეს კოტე მესხმა მიგვიწვია ვახშმად. შეიქმნა ჩვეულებრივი ქართული ქეიფი, დაილია ჩემი სადღეგრძელო. აკაკიმ აიღო ჭიქა და ჩემს სადღეგრძელოზე სიტყვა წარმოთქვა, სიტყვა ასე დაიწყო:

— ქალო მაკო, ცერემონიას თავი გაანებეო. — სიტყვის გაგრძელება არც აცალეს, მოსწრებულად ნათქვამი ზმა ყველას მოეწონა, შეიქნა ტაშის ცემა, აქედან და იქიდან მომაძახეს: აკოცე, აკოცეო. მეც ავდექი, გადავეხვიე და ვაკოცე.. ასე შევრიგდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

(იბეჭდება შემოკლებით)

ეს წერილი ერთი გვერდია აკაკის ცხოვრებისა და იმ ხანისა, როცა საქართველოს ეს საამაყო პოეტი გამოჩნდა თბილისის ცისკიდურზე.

რუსეთიდან უმაღლეს სწავლადამთავრებული თითო-ოროლა ქართველი, ვინც ჩამოდიოდა თბილისსა თუ ქუთაისში, ყველანი ცდილობდნენ როგორმე სახელმწიფო სამსახურში მოკალათებულიყვნენ; ვერც კი წარმოედგინათ, გარეშე სახელმწიფო სამსახურისა, თვისი ინიციატივით ცხოვრებაში ლელოს გატანა თუ შეიძლებოდა. უმეტესწილ „ჩინოვნიკობაში“ ეძიებდნენ ხსნას, „ჩინოვნიკობა“ გაეხადათ იდეალად.

გამონაკლისს შეადგენდა აკაკი, ეს ყველაფრით ნებიერი ბუნებისა და ბედისა: ნიჭით, არაჩვეულებრივი სილამაზის გარეგნობით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით, დაუშრეტელი მახვილგონიერებით.

თავისუფლების მეხოტბის, დამოუკიდებლობის მოყვარის ბუნება ოღონდაც რომ არ ეგუებოდა ერთ ადგილს, განსაზღვრულ საათებში ჯდომას, ვისსამე უფროსობას, ვისსამე ბრძანებას, რაც ხვედრი იყო მაშინდელი ჩინოვნიკობისა. მართლაც, აკაკი ერთადერთი ქართველი იყო, რომელსაც ჩინოვნიკობა და საზოგადოდ რამე „სამსახური“ არ გამოუცდია, თუ არ ჩავთვლით ასეთ თავისმოსაბეზრებელ სამსახურად ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ ყოფნას, ისიც ძალიან მოკლე ხნით.

აკაკი ყველასათვის ძვირფასი და სანატრელი სტუმარი იყო. პირველი ოჯახი, სადაც აკაკიმ ხანგრძლივი ბინა დაიდო, იყო ლიზა (ელისაბედ) ჭავჭავაძე-მარჯანიშვილის, სოლომონ ჭავჭავაძის ქალისა და მარჯანიშვილის ქვრივის ოჯახი, მაშინდელ გოლოვინის (აწ რუსთაველის) პროსპექტზე, მირიმანო-

ვის სახლში, იქ, სადაც ახლა რუსთაველის გამზირთან, გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისია. დიასახლისს ექვსი შვილი ჰყავდა, ერთი მათგანი, კოტე, შემდეგში გახდა ქართული სცენის სახელოვანი და უნიჭიერესი რეჟისორი. ხოლო ქალთაგან ერთი, თამარ ვაჩნაძისა, ბოდბის დედათა მონასტერს წინამძღვრობდა 1890 წლიდან.

ელისაბედ მარჯანიშვილის ოჯახში აკაკის ერთი საუკეთესო ოთახი საკუთრადა ჰქონდა საწოლად და სამუშაოდ. ეს ოთახი „ცისფერ ოთახად" იწოდებოდა და შიგ მართლა რომ ცისფერი იყო ყველაფერი: საბანი, ლამპის აბაჟური, მუთაქები, კედლებიც ცისფრად იყო გაჩითული; ალბათ, საერთო შეხამებისა და ჰარმონიისათვის, დიასახლისის სამოსელშიც ცისფერი სჭარბობდა. ეტყობა, პოეტის სიმპათია ყოფილა ეს ფერი.

როცა ლექსი უნდოდა დაეწერა, აკაკი დაირის ხმას ააყოლებდა. დიასახლისი ხელში დაირას აიღებდა და ნელა, სულ დაბალი ხმით დაიწყებდა დაკვრას. პოეტი კი ბოლთას სცემდა ოთახში. მაგიდას რომ უნდა მისჯდომოდა და ხელში კალამი აეღო საწერად, თითით ანიშნებდა დისახლისს შეჩერდიო და შეუდგებოდა წერას. ასეთ პირობებში იწერებოდა თურმე აკაკის იმდროინდელი ლექსები. ეტყობოდა, მისი მშვენიერი დიასახლისი ერთგვარ როლს თამაშობდა მის პოეტურ შთაგონებასა და შემოქმედებაში.

ზოგჯერაც ეზოში მწვანეზე გაშლიდნენ თურმე ხალიჩებს და ზედმოკეცილნი ატარებდნენ ტკბილ ბაასში დროს, აკაკის დაუსრულებელი ოხუნჯობის მსმენელნი.

ამ ოჯახშივე დადიოდნენ, როგორც მეინახენი, საქართველოში იმ დროს ახლად დაბრუნებული ივანე მაჩაბელი, ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვასო აბაშიძე. ხოლო ლიზა მარჯანიშვილის სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ: ალ. ყაზბეგი, სერგეი მესხი — რედაქტორი „დროებისა", მაკო საფაროვისა მერე ვასო აბაშიძის მეუღლე.

1882 წ. ლიზა მარჯანიშვილის სალონში მოსიარულეთ მიემატა ახლად კურსდამთავრებული ექიმი გრიგოლ ელიავა (შემდეგში ბათუმში ცხოვრობდა, ცნობილი იყო საზოგადო მოღვაწეობით), რომელმაც ცოლად შეირთო ლიზას უფროსი ქალი ნინო.

ერთ ზაფხულს აკაკი თავისმა დიასახლისმა წაიყვანა სიღ-
ნაღში, სადაც მისი და ეკატერინე ამ ქალაქში მდგარი ჯარის
ნაწილის უფროსს აბელიშვილსა ჰყავდა ცოლად. მასპინძელი
აბელიშვილი და მასთან ერთად მთელი სიღნაღის საზოგადოე-
ბა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით დაუხვდნენ აკა-
კის. აუღებელი სუფრა სუფრას მოსდევდა თურმე ძვირფასი
სტუმრის პატივსაცემად. აკაკის ენაწყლიანობისაგან პირდა-
პირ აღტაცებული იყო საზოგადოება. დიდხანს ჰქონდათ სა-
ლაპარაკოდ აკაკის სტუმრობა... აკაკიც, თავის მხრივ, დიდ-
ხანს განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებდა თურმე სიღ-
ნაღელთა გულითად დახვედრას და მათ პატივისცემას.

...პირადად მე აკაკი პირველად დავინახე თბილისში 1885
წლის გაზაფხულზე. აკაკი ასე, 45 წლისა იქნებოდა, მე კა
სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. მაღალი იყო, წარ-
მოსადეგი, მხარბეჭიანი. დიდი, აწეწილი, ხუჭუჭა, შავი გრუ-
ზა თმა და მისი შესაფერი წვერ-ულვაში ლამაზ ჩარჩოდ შე-
მოხვეოდა მეტად მაღალ შუბლს, ვაჟკაცურ და ღვთაებრივ
სახეს; ცოტათი კეხიან ცხვირს ზემოდან წამოსხდომოდა დიდ-
რონი, ცოცხალი ნაპერწკლების მფრქვევი, შორსგამჭვრეტი,
ჭკვიანი თვალები. ვინც ერთხელ დაინახავდა ამ სახეს, შეუძ-
ლებელი იყო დავიწყნოდა. კაცი იქნებოდა თუ ქალი, ვინც
აკაკის ჩაუვლიდა, შეუძლებელი იყო უკან არ მოეხედ-
ნა და თვალი არ გაეყოლებინა პოეტისათვის, თითქოს სურს
სამარადისოდ ჩარჩეს ხსოვნაში მისი გარეგნობაო.

დღესაც, მრავალი წლის შემდეგაც, აკაკი, ეს განსახიერე-
ბა არაჩვეულებრივი ფიზიკურისა და გონებრივის სიმშვენიე-
რისა, თვალწინ მიდგას ცხოვლად და ვჭვრეტ; თვალწინ მიდ-
გას არა მარტო მისი სახე, არამედ თვით ის ადგილი, სადაც
ისა ვნახე: მთავრობის ახალი სასახლის ბაღის ალაყაფის პირ-
დაპირ, ტროტუარზე. მეტად განუზომელი იყო შთაბეჭდილე-
ბა, რომელიც ჩემზე დასტოვა, რომ ისე ადვილად დამვიწყნო-
და!..

ამ წერილის მასალა მოგვცა, როგორც ახალგაზრდობის
ტკბილი მოგონება, ჩვენი მწერლისა და ფრანგ კლასიკოსთა
ქართულად სწორუპოვარი მთარგმნელის, განსვენებული ივა-
ნე მაჭავარიანის ქვრივმა, პატივცემულმა ნინო მაჭავარიანი-
სამ — იმ დროს გიმნაზიის მოწაფემ და ლიზა მარჯანიშვილის

უფროსი ქალის, ნინოს, ამხანაგმა. ნინო მაჭავარიანისა (ქალიშვილობაში — სულხანიშვილისა) თავის ამხანაგთან ხშირად დადიოდა და ხედავდა დასახელებულ მწერლებს და ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ, რომელთა შორის აკაკი განსაკუთრებით ირჩეოდა როგორც ნიჭით, ისე გარეგნობით.

...როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს პირველად 1909 წელს ეწვია. იმ დროს პარიზში მოსწავლე ქართველობისათვის მთელი დღესასწაული იყო აკაკის ჩამოსვლა. მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი დატრიალდნენ და შეეცადნენ შესაფერად დახვედროდნენ დიდებულ მგოსანს. მის პატივსაცემად მოაწყვეს ქართული საღამო. ამ საღამოზე მოწვეული იქნენ ფრანგი მწერლები, რომელთაც უნდა გაეზიარებინათ მასპინძლების სიხარული, სახელოვანი მგოსნის იქ ყოფნით გამოწვეული. ფრანგები პირველად ხედავდნენ, როგორც ქართველ პოეტს, ისე ქართველობას ერთად თავმოყრილს, და მოხიბლულნი დარჩნენ, როგორც აკაკის არაჩვეულებრივი გარეგნობით, ისე ქართული დროსტარებისა და ცეკვის სიმშვენიერით. ეს შეხვედრა მათ დიდხანს ჰქონდათ ლაპარაკის საგნად და ტკბილად მოსაგონებლად. თვით მგოსანი უზომოდ იყო ნასიამოვნები პარიზის ქართველობის მიერ მისდამი გულწრფელი პატივისცემით და იმასლა იძახდა თურმე: ასეთი პატივისცემის შემდეგ რომ მოვკვდე, არ დამენანება კიდეცაო.

პოეტს სურდა პარიზიდან გადასულიყო ევროპის სხვა ქალაქებშიაც, სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ. იმ დროს მე ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ვიყავი, ციმბირიდან ლტოლვილი და აქაურობას თავშეფარებული. ჩემს გარდა ბრიუსელში კიდევ იყო ორი ქართველი: პალიკო ყიფიანი და ბარბარე ყიფიანისა. ხოლო ბელგიის სხვა ქალაქებში (ლიეჟი, ჟანბლუ, მონსი) ათ კაცამდე იქნებოდნენ ქართველები. აკაკის პარიზში ყოფნის ამბავი გვესმოდა და დიახაც გვშურდა, რომ არ შეგვეძლო საყვარელი მგოსანი დაგვეპატიჟნა და ერთ კვირას მაინც გაგვეჩერებინა ჩვენს შორის.

ამ წუხილში რომ ვიყავით ბელგიის ქართველები, ის ზედდატანებაზე თვითონ აკაკის წერილი მოვიდა ბრიუსელში ჩემს სახელზე: ბედნიერი ვარ რომ პარიზი ვნახე და საფ-

ლავში არ ჩამყვა მისი ჯავრიო. აქაურმა ქართველობამ ძალიან მასიამოვნა, მინდა ევროპის სხვა ქალაქებიცა ვნახო, ეი, თუნდა თქვენი ბრიუსელი, თქვენი ნახვაც გამეხარდებოდა, მაგრამ რა ვქნა, უფულობა, როგორც ყოველთვის, ხელს მიშლის. ამიტომ მიიღეთ შორი სალამიო.

ცხადი იყო, ჩვენ უნდა გვეზრუნა საგზაო ფულის გაგზავნისათვის და, ბრიუსელში რომ ჩამოგვივიდოდა, მის შესაფერ პატივისცემისათვის. დიდი მადლობა მოვახსენე წერილის მოწერისათვის და გამოვთქვი ბელგიაში მყოფი ქართველების საერთო, გულწრფელი სინანული, რომ ჩვენმა ხელმოკლეობამ ნება არ მოგვცა მისი აქ მოწვევით უსაზღვრო სიამოვნება განგვეცადნა.

პარიზში აკაკის ყოფნასთან დაკავშირებით, უნდა მოვიხსენიოთ აკაკის გამოუქვეყნებელი ლექსი, მას რომ გამოეგზავნა პარიზიდან საჩხერეში ბეჟან წერეთლისათვის. ამ ლექსში აკაკისებური იუმორით აწერილია შთაბეჭდილებანი, რაც დაუტოვებია პოეტზე ამ მსოფლიო კულტურის ქალაქს, სახელდახელოდ ნანახ ცხოვრებას მისას. ლექსში აკაკი გამოთქვამს სინანულს, რომ პარიზი ვერ ინახულა ახალგაზრდამ, რათა სავსებით ეგემნა სიამენი ფრანგთა დედაქალაქისა. ახლა კი, — ამბობს პოეტი, — ჩემთვის, მოხუცებულისათვის, ყოველივე ეს მიუწვდომელი, შორით საყურებელიაო.

ხსენებული ლექსი ჩვენს საზოგადოებაში ხელნაწერად დადის. ჩვენი აზრით, მისი დაბეჭდვა, ზოგიერთი, ისედაც მისახვედრი სიტყვის გამოკლებით, მაინცდამაინც შეუძლებელი არ უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი

აკაკის იუბილე იყო, ბევრმა პირველად დაინახა ამ დღეს აკაკი.

მე ერთი კვირის წინეთ ვიკითხე სახაზინო თეატრის კასაში ბილეთი, მაგრამ სრულიად გაყიდულიყო ბილეთები.

დავრჩი ისე, რომ აკაკი ვერ ვნახე, უკვე თხუთმეტი წლის ვიყავი, სემინარიაში ვსწავლობდი, ლექსებსაც ვწერდი, ვბაძავდი აკაკის... „სირცხვილი არ არის, რომ აკაკი ვერ ვნახო“? — ვფიქრობდი, მაგრამ შემთხვევა არ მომეცა. სიონის ტაძრიდან აკაკი ეტლით წამოიყვანეს, მინდოდა დამენახა, მაგრამ ჩემს წინ ჩემზე მაღალი ხალხი დადგა. ეტლმა ჩაიარა კიდეც... შემდეგ სახაზინო თეატრის წინ ვიცდიდი, ხალხი ბუზივით ირეოდა... გათავდა საიუბილეო ზეიმი, აკაკი კი არ ჩანდა. ხალხი მოუთმენლად ელოდა მის გამოსვლას.

— Разаидитесь! — გაისმა პოლიციელების ხმა. — Акакий уже уехал!

აკაკი წავიდა!

გულდაწყვეტილი გვიან დავბრუნდი ბურსაში, სადაც სემინარიელები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს აკაკიზე.

გავიდა რამდენიმე წელი...

მე უკვე სემინარიაში აღარ ვსწავლობდი. როდესაც სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხორაგაულის ახლო, ერთ პატარა სოფელში მასწავლებლის ადგილი მომცეს.

კვირა-უქმე დღეებში სოფლიდან სადგურზე ჩამოვდიოდი, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები... საღამოობით თბილისიდან მატარებელი ჩამოივლიდა და ესეც ერთგვარ სიამოვნებას გვგვრიდა. სრულიად მოულოდნელად რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან... მოგვიტანდა თბილისის ამბებს, გვეტყოდა რამეს ნაცნობების შესახებ...

ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... ვსაუბრობდით, ვიცინოდით... მატარებელიც მოვიდა. ჯგუფი ახალგაზრდა ქალების იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა.

ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა...

— აკაკი! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანს გაშეშებული ვიდექით. მე თვალებით ვეჭიდი ამ სახეს. აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავდი, რომ იგი დინჯად გადაეშვა სავარძელში.

ყველანი ამ კუპესკენ გაექანენ... ბევრმა მატარებელში შესვლაც მოინდომა. დაჰკივლა ამ დროს მატარებელმა, მისცეს მესამე ზარი და მატარებელი გუგუნით გაექანა სიპივით გალესილ რელსებზე.

დიდხანს დაყრუებულივით ვიდექი.

ორი წლის შემდეგ ქუთაისში ვცხოვრობდი.

არასდროს არ დამავიწყდება სალიტერატურო საღამო, რომელშიაც პირველად გამოვდიოდი. ხუმრობა იყო? სცენაზე ლექსი უნდა წამეკითხა!

დილიდანვე რაღაც საშინელების გრძნობამ შემიპყრო.. შიშმა სრულიად დამიმონა...

ერთიც ვნახოთ, დამავიწყდა ლექსი! მაშინ?.. საზოგადოება დაინტერესებულია „ახალგაზრდა მგოსნით", იგი გაფაციცებით თვალყურს გადევნებს, მაგრამ იგი სრულიადაც არ შეწუხდება, თუ შენ ლექსი დაგავიწყდა და შუა ადგილას გაყინდი... რომელიმე დაურიდებელი პირი შემდეგ საყვედურით გეტყვის: Публика страдала из-за вас.

მე ძალზე გავიზეპირე ლექსი...

ამ დღეს სალიტერატურო საღამოში მონაწილეობას იღებდენ: აკაკი, პეტრე გელეიშვილი, პ. ცახელი, იასონ ნიკოლაიშვილი, ვარლამ რუხაძე. იყვნენ სხვებიც. საღამო გელეიშვილის ლექციით დაიწყო, იგი მუსრს ავლებდა ახალგაზრდა მწერლებს. ახალგაზრდა მწერლები კი იქვე ისხდნენ აკაკის ირგვლივ. დათიკო მესხმა მეორე დღესვე ამ თემაზე იუმორისტული შენიშვნა დაწერა. ლექციის შემდეგ აკაკიმ თავისა

კლასიკური ლექსები წაიკითხა, აკაკის შემდეგ კი ჩემი რიგი იყო.

მე დავიწყე, მაგრამ ხმა მიკანკალებდა. უეცრად აკაკის დაჟინებული შემოხედვა ვიგრძენი... აკაკი მიცქეროდა და...

ლექსი დამავიწყდა, უნდა გავჩერებულიყავი...

ცივმა ოფლმა დამასხა...

ბედად იმ რითმაზე, რომელზედაც გავჩერდი, მომაგონდა სრულიად ახალი რითმა, ექსპრომტად, ავადმყოფური თავგანწირულებით ვქმნიდი ახალ სიტყვებს, ახალ აზრებს, რომელშიაც საერთო არა იყო რა, მაგრამ მე მსურდა სიტყვების კორიანტელით ამეხვია თვალი მაყურებლებისათვის. ცდა საუკეთესოდ დაგვირგვინდა. არც ერთს დამსწრეს არ შეუტყვია და არ უგრძვნია ჩემი კრიტიკული მდგომარეობა.

საღამო გათავდა. მე დავიფიცე, რომ ამ დღიდან სალიტერატურო საღამოში არ გამოვალ.

„რა სიბრიყვეა, უკითხო ხალხს ლექსები, თუ ასე ძალიანა სურთ, იკითხონ გაზეთებში", — ვფიქრობდი მე.

აკაკის შემოვერტყით გარშემო. აკაკი საუბრობდა ნიკო ნიკოლაძის გაზეთზე — „ნოვოე ობოზრენიეზე", სადაც მუდმივ თანამშრომლად ითვლებოდენ აკაკი და გ. თუმანიშვილი. შემდეგ საუბარი საღამოს ირგვლივ ტრიალებდა...

ილია ბახტაძემ — რომელმაც იმ საღამოს მერეჟკოვსკის „საკიამუნი" წაიკითხა — აკაკის უთხრა:

— არ ვიცი, გახსოვს თუ არა, ბ. აკაკი, მე თქვენ იუბილეზე ლექსი ვთქვი.

აკაკის, ალბათ ეგონა, რომ ილ. ბახტაძე ლექსებსაცა წერს და ოდნავი ღიმილით თქვა:

— მე ილია ბახტაძე მახსოვს... იგი პუბლიცისტი იყო, მაგრამ ილია ბახტაძე რომ ლექსებსაც წერდა, ეგ კი აღარ ვიცოდიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი მოსკოვში

პოეტის ცხოვრებაში არის ბედნიერი წუთები, რომელზედაც ისე ბევრს არ ლაპარაკობენ, როგორც უბედობაზე.

მე მინდა გიამბოთ ერთი სასიამოვნო ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან. ეს მინდა გავაკეთო სწორედ დღეს, როცა გაზეთებიდან გავიგე სამწუხარო ამბავი პოეტის გარდაცვალების შესახებ.

ერთხელ, ერთმა ჩემმა ქართველმა მეგობარმა მითხრა, რომ მოსკოვში მოელიან აკაკი წერეთლის ჩამოსვლას და უკვე ემზადებიან მის მისალებად. მთელი კვირის განმავლობაში ახალგაზრდები დიდ მზადებაში იყვნენ. სადაც არ უნდა შეხვედროდი ქართველ სტუდენტებს, მათი საუბრის თემა იყო აკაკი.

აკაკი...

ასე უწოდებდნენ ისინი თავიანთ სახლეგანთქმულ პოეტს, რომელიც უმაგალითო პოპულარობით, უღრმესი პატივისცემით და განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. დიახ, ის ნამდვილად იმსახურებდა ასეთ სიყვარულს.

მე დავესწარი ზეიმს, რომელსაც უფრო სიყვარულის დღესასწაული შეიძლება ვუწოდოთ...

ერთი ნაწილი სტუდენტებისა და მოსკოვში მცხოვრებ ქართველებისა ვაგზალში წავიდნენ წერეთელთან შესახვედრად. დანარჩენები შეიკრიბნენ სამხატვრო ლიტერატურული კლუბის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც უნდა შემდგარიყო პოეტისადმი მიძღვნილი ბანკეტი.

კარგა ხანს მოუხდა ლოდინი ამ საზოგადოებას, ვიდრე კლუბის ეზოში რამდენიმე ეკიპაჟი გამოჩნდებოდა. ბოლოს ფართოდ გაიღო კარი და სუმბათაშვილის თანხლებით შემოვიდა მოხუცი პოეტი. ყოველი მხრიდან მხიარული ხმები გაისმა. სანამ აკაკი ნელა ადიოდა კიბეზე, ვარდებს ესროდნენ და ცოცხალ ყვავილებს ფიანდაზად უგებდნენ მას, ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდზე მდგომმა რუსმა ჟურნალისტმა მომმართა: — რით აიხსნება ეს უმაგალითო სიყვარული პოეტის მიმართ? — არ ვიცი, — ვუპასუხე მე და პირველად დამეუფლა უსიამოვნო გრძნობა ქართული ენის უცოდინარობის გამო. მე ისიც არ ვიცოდი, რა ჰქონდა დაწერილი წერეთელს. რუსი ნაცნობი, რომელმაც იცოდა ჩემი ეროვნება, დარწმუნებული იყო კარგად მეცოდინებოდა ქართველები და მართალიც იყო. ნამდვილად უნდა მცოდნოდა ცხოვრება და ლიტერატურა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეზობელი ხალხისა.

მათგან ვინც მაგიდას უსხდნენ, პირველად ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ხანდაზმულები" გამოვიდნენ. შემდეგ სიტყვა აიღეს სტუდენტებმა. ამან ერთბაშად გაამხიარულა პოეტი და მის სახეს ღიმილის ნათელი აღარ მოშორებია.

გამოსულთა სიტყვების მეტი ნაწილი გაუგებარი იყო, ანდა ვერკვევოდი იმდენად, რამდენადაც შეეძლოთ სწრაფად გადაეთარგმნათ ჩემთვის მეზობლად მსხდომ კეთილ ქართველ მეგობრებს. თუმცა საკმარისი იყო მოსმენა, ინტონაციით და სახის გამომეტყველებითაც შეიძლებოდა მიმხვდარიყავით, რამდენად გულითადი და სულში ჩამწვდომი იყო ახალგაზრდების გამოსვლები, მთელი ხნის განმავლობაში მეფობდა გასაოცარი უბრალოება და გულწრფელობა. ასეთი განწყობილება სუფევდა მაშინაც, როცა პეტრე ბობორიკინი, რამდენიმე სხვა მწერალი და ჟურნალისტი მოვიდნენ „მშვენიერი საქართველოს" პოეტის მისასალმებლად.

ილაპარაკა თვითონ პოეტმაც. ილაპარაკა რუსულადაც. ლაპარაკობდა იგი მკაფიოდ, გონებამახვილურად, ყოველგვარი ორატორული პათოსის გარეშე.

სტუდენტები, გაათავებდნენ თუ არა სიტყვას, მიდიოდნენ მოხუც პოეტთან და ხელზე ჰკოცნიდნენ. ის კი შუბლზე ეამბორებოდა მათ.

ეს ამბავი რომელმაც მიიპყრო იქ მყოფ რუს სტუდენტთა ყურადღება, იქცა მათი განცვიფრების მიზეზად. მთელ იმ შეხვედრაში განუსაზღვრელი სიფაქიზე და გულახდილობა იყო. თითქოს უთვალავი შვილები თავიანთი მოხუცი მამის წინაშე მოურიდებლად ამჟღავნებდნენ გულში დაფარულ სიყვარულს და ცდილობდნენ დაეტკბოთ მისი მრავალჯერ

ეკლით დაჩხვლეტილი და შხამით მოწამლული გული, გაუ-
მხნევებიათ მისი სევდით და ღრმა ფიქრებით გამსჭვალული
სიბერე.

თავის მოკლე და გულში ჩამწვდომ სიტყვებში მხცოვან-
მა პოეტმა არაერთხელ გამოხატა განსაკუთრებული რწმენა,
სიყვარული და იმედი ახალგაზრდობისა.

თავიანთი ქვეყნის ბედზე ახალგაზრდობის სჯა-ბაასი იმე-
დის ნაპერწკალს აღვივებდა პოეტის გულში და ეს იყო მისი
სიცოცხლის ყველაზე ბედნიერი წუთები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი მოგონება

(იბეჭდება შემოკლებით)

1895 წლის მაისიდან 1896 წლის თებერვლის ბოლომდე თბილისში ვცხოვრობდი.

ამ ხნის განმავლობაში „კვალის" რედაქციაში გავიცანი აკაკი წერეთელი. აკაკი იმხანად 55 წლის იქნებოდა. ტანით ახოვანი იყო, საშუალოზე უფრო მაღალი, მშვენიერი, ნაკვთიანი და სათნოიანი პირისახე ჰქონდა. იმის პირისახის ნამდვილი მიმტაცებელი იერი, ღია და გახსნილი შუბლი გხიბლავდა, გიახლოვებდა. პოეტის ლაპარაკი მეტისმეტად თბილი და ტკბილი იყო, მისი კილო — საუცხოო, განუმეორებელი. ეს კილო არც იმერული იყო, არც ქართლური, იგი სრულებით ინდივიდუალური იყო, აკაკის საკუთარი, ნიშნობლივი თვისება იყო. ხმისა, ბგერის ტემბრი მეტი არავისაგან მსმენია. მშვენიერი ქართლური კილო ჰქონდა ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ეს ხომ ქართლური იყო და არა საკუთარი, არა განსაკუთრებული. აკაკის ხმის ტემბრი დაცულია იმ საგრამოფონო ფირფიტაზე, რომელიც აკაკის 50 წლის იუბილეს დროს, 1908 წელს იქნა გადაღებული და რომელიც გადმოგვცემს აკაკის „მთაწმინდას", თუმცა ამ ტემბრს, მოხუცებულობის გამო, წინანდელი ანკარა წკრიალი ძალზე შელახული აქვს.

აკაკიმ ტკბილი, მომხიბლავი ბაასი იცოდა. სმენას იგი კი არ გაიძულებდა, არამედ იგი გასმენინებდა, რადგან ყოველი შემთხვევისათვის უამრავი და ნაირნაირი მასალა ჰქონდა. აკი თვითონვე ამბობს: „ჩემს ქვეყანას კარგად ვიცნობ, კიდით კიდე მომივლიაო". არ შეგეძლო არ მოგესმინა ეს ბაასი, ისე ლაზათიანად, შნოიანად და ნარნარად, თითქოს მღერისო, ახმატკბილებდა აკაკი ამ თავის საუბარს.

ხშირად ბევრისაგან გამიგონია, რომ ბაასის დროს აკაკიმ სიცრუე იცისო. ეს მართალი განცხადება არ არის. რამდენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ისეთი შემთხვევა იყო, რომ ამა თუ იმ ფაქტის მოწმეც ვიყავი, ხოლო მეც დავსწრებივარ აკაკის იმ დროს, როცა იგი სხვაგან სხვებს ამ ფაქტს მოუთხრობდა. ამიტომ უნდა დავადასტურო, რომ აკაკიმ საუბრის დროს თვით ფაქტის სინამდვილე, ამბავი ცხადად და ნათლად აღნიშნა, მაგრამ ამავე დროს ეს ფაქტი, ეს ამბავი ისეთი ელფერისა და ლამაზი მოხაზულობით გამოთქვა, რომ მსმენელს ეგონებოდა, რომ ესე ყოველი აკაკის მიერ მოგონილი და შეთხზულიაო. მართლაც, ზოგმა მსმენელმა, გაგვშორდა თუ არა აკაკი, თქვა, რომ აკაკიმ ამხანად ჩვეულებრივი გამოგონილი ამბავი მოგვთავაზაო, მაგრამ მე იმათ იმავე წუთში დავუდასტურე ფაქტის სინამდვილე. მათ ხმა ჩაიკმინდეს. აკაკი განგებ კი არ გამოიგონებდა ხოლმე, არამედ ლამაზი მორთულობით და კეკლუცი სამოსელით შეაფერადებდა ხოლმე ამბავს, ფაქტს. ეს კი სიცრუე არ არის, არამედ ნიჭია ყველა კარგი მობაასისა, ყოველი სასიამოვნო მოსაუბრისა.

ოთხმოციანი წლების მიწურულში, დავით მიქელაძის (მეველე) სიტყვიერი განცხადებისა გამო, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებას აკაკი წერეთლისათვის დაენიშნა ყოველწლიური პენსია იმ რაოდენობით, რომელი რაოდენობითაც იმხანად ჯამაგირი ეძლეოდა ბანკის გამგეობის წევრს, ე. ი. 1.500 მან. სწორედ ამიტომაც შემდეგ, როცა პენსიის მიცემის საქმე გამგეობამ გაუძნელა და კიდევაც შეუჩერა პენსიის მიცემა, აკაკიმ დაწერა თავისი მეტად მოსწრებული ლექსი, რომელშიც შემდეგს ამბობს:

მე კი გადავრჩი იმ ძველ სენს,
დანიშნული მაქვს პენსია,
მაგრამ სანამდი მომცემდენ,
გამგუდავს უფულენცია.

მართლაც, 1912 წელს მე პირადად ვითავე და გავარკვიე, რომ აკაკის იმთავიდანვე ამ წლამდე სულ მიეღო არა უმეტეს ხუთისა თუ ათი ათასი მანეთისა პენსიის ანგარიშში, მიუღებელი კი ჰქონდა ოცდაათი ათას მანეთამდე. 1912 წელს მე პირადად ყოველივე დაწვრილებით მოვახსენე ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებას აკაკის პენსიის ანგარიშის შესახებ და განვაცხადე, რომ საჭიროა და სავალდებულოც, ბან-

კმა ასეთი პიროვნების წინაშე თავისი ვალდებულება შეასრულოს, მით უფრო, რომ ამხანად ბანკს ეს მძიმე ტვირთად არ დააწვება, რადგან ბანკის ფინანსური მდგომარეობა ძალზე გაუმჯობესებულია-მეთქი. საზოგადო კრებამ ჩემი განცხადება მოიწონა და აკაკი დააკმაყოფილა. კრების ამ დადგენილების თანახმად, ბანკის გამგეობამ აკაკის პენსიის ანგარიში გაუსწორა პენსიის დანიშვნის დღიდან. შემდეგ კი, სანამ აკაკი ცოცხალი იყო, მას ყოველწლიურად აძლევდა პენსიას 1.500 მანეთის რაოდენობით. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ეს ჩემი განცხადება და მოხსენება მე განვიზრახე, მევე ვიკისრე სრული ჩემი ნებითა და სურვილით, რაც გამოწვეული იყო აკაკისადმი ულრმესი პატივისცემით, ჩემთვის ამაზე პირადად არც აკაკის უთხოვნია, არც არავის სხვას.

აკაკის საყვედურობდნენ, ზარმაციაო. ეს ყალბი და ცრუ აზრია. ზარმაცი თუ ყოფილიყო, ამდენს, რაც მან დაწერა, და ამასთანავე ასე სხვადასხვანაირს საიდან და როგორღა დაწერდა?! აკაკის ყველა ნაწერი სრულად და ცალკე რომ გამოიცეს, ათი დიდი ტომი მაინც იქნება. ამიტომ ამდენი რამის დამწერი ზარმაცი არც იქნებოდა და ვერც იქნებოდა, ეს ზღაპარია. ზღაპარი კი, უეჭველია, იქიდან არის წარმოდგენილი, რომ აკაკის არც ერთ ნაწერს ჯაფა არ ემჩნევა. ამიტომ ეს ნაწერი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ზოგი ადვილად ფიქრობს, ყოველი ეს უშრომოდ, უფიქრებლად არის მონაბერიო. ეს ბრალი აკაკის უნდა მოეხსნას, რადგან დანაშაულებაა იმ ადამიანის წინაშე, რომლისთვისაც ერთადერთი ფიქრი და საქმე მთელს თავის სიცოცხლეში იყო სამშობლოსათვის ზრუნვა, თავგანწირვა და შრომა.

აკაკის ენა, აკაკის სტილი და გამოთქმა ისე მსუბუქია, ისე ადვილი და იოლია, რომ უბრალო მკითხველს ჰგონია, ამას მეც დავწერდიო... მაგრამ ეს მართალი და სწორი აზრი არ არის. ენის ეს სიმსუბუქე და ნარნარობა მკითხველს ხიბლავს, იტაცებს და იგი როდი ამჩნევს, რომ ეს „სუბუქი ფრთით“ მოლივლივე ლექსები, აზრით ღრმა და გრძნობით ფაქიზი, მისი შესანიშნავი პოემები, დრამები და პროზაული ნაწერები შექმნილია დიდი ფიქრისა და შემოქმედებითი შრომის შედეგად.

ამ ბრალს სდებდნენ და სდებენ აკაკის მხოლოდ მტრები,

შურით შეპყრობილნი ან ისეთები, რომელთაც არ შეუ-
ლიათ აზრი, გრძნობა შეამჩნიონ ლექსს, თუ იგი გამოთქმუ-
ლი არ არის დიდი ჭიმვით, თუ იგი დაწერილი არ არის ან-
ტონ კათალიკოზის მაღალი სტილით, ე. ი. მძიმე ენით. აკა-
კის ლექსი კი თავისი სისადავით შეუდარებელი სიტკბოების
ნექტარია...

ბევრი უსაყვედურებდა აკაკის, მოჭარბებულად ხმარობს
იმერულ გამოთქმებსა და სიტყვებსო. ეს გაუგებრობაა. აკა-
კიმ წერის ამ მანერით ენა გაამსუბუქა, გააადვილა და ამ
ენას ქართველი ერის უმრავლესობა უკვდავების წყაროსა-
ვით დაეწაფა. ამ დაწაფებამ წყურვილი არათუ მოსპო, უფრო
გაამძაფრა, უფრო მოანატრა მკითხველს ამ ენის სიტკბოება,
სინაზე და სინარნარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ქუთაისში აკაკის ძალიან ხშირად დაინახავდით ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში, ანდა მაღაზიის წინ. მას თითქმის განუყრელად თან ახლდნენ: დ. კლდიაშვილი, გ. ფ. ზდანოვიჩი, გ. ტაბიძე, კ. აბაშიძე, ი. ფანცხავა, ხომლელი, ჯ. ჯორჯიკია, გ. ფარქოსაძე, ს. გერსამია, ხოლო გაკვეთილების შემდეგ მის გარშემო ბლომად ნახავდით მოსწავლეებსაც.

აკაკის ძალიან უყვარდა წიგნის მაღაზიის მეპატრონე ვასილ ბეჟანეიშვილთან ყოფნა და საუბარი, მისი ხშირი სტუმარი იყო, ვასილ ბეჟანეიშვილს თავის მაღაზიასთან პატარა გამომცემლობაც ჰქონდა. აკაკის ნაწერებს ცალკე პატარა წიგნაკებად სცემდა.

მე ძალიან მიყვარდა ივანე კილაძისა და ი. ხელაძის სტამბაში შესვლა. მით უფრო, რომ კილაძის შვილის ამხანაგი ვიყავი და ბიძია ივანე არ მიკრძალავდა საათობით მეცქირა საბეჭდავი მანქანისათვის.

ხშირად მინახავს ი. კილაძის სტამბაში აკაკი.

ქუთაისში, ქართულ გიმნაზიაში, მეხუთე კლასს ქართულ ენას გვასწავლიდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სილოვან თომას ძე ხუნდაძე. ერთ დღეს სილოვანმა აგვიხსნა აკაკის „ბაში-აჩუკი", მოგვცა გაკვეთილად და მიგვითითა კრიტიკულ წერილებზე — ხომლელისა და კ. აბაშიძისაზე. ისწავლეთ ნახევარი „ბაში-აჩუკი" და იხილეთ კ. აბაშიძის კრიტიკული ეტიუდი „ბაში-აჩუკის" შესახებ, როგორც მახსოვს, კენტ დღეებში გვქონდა ქართული ენის გაკვეთილები — სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს. სამშაბათს მოგვცა ხუთშაბათისათვის ეს მონაკვეთი.

გათენდა ხუთშაბათი, პირველი გაკვეთილი ლათინური ენისა იყო, მეორე — ქართულის. შემოვიდა სილოვანი და დაიწყო მოცემული დავალების გამოკითხვა. გამოიძახა ერ-

ერთი მოწაფე. მოსწავლემ უამბო გაჭირვებით „ბაში-აჩუკის“ ნაწილი და დაამთავრა ამგვარად: „იხილეთ კ. აბაშიძის კრიტიკული ეტიუდები“, შეჩერდა, მასწავლებელს თითქო აგრძნობინა, რომ ამით დაამთავრა საშინაო დავალება. სილოვანი გაცხარდა მოსწავლის ამგვარ პასუხზე და უყვირა: „როგორ, შე უგნურო, მე უნდა ვიხილო, თუ შენ უნდა გეხილა და გესწავლაო?“

ეს ამბავი სიცილად არ ეყო მთელ კლასს და მუდამ ყველას პირზე ეკერა.

მეც ეს ინციდენტი ვუამბე ჩემს ბიძებს — რომანოზსა (ხომლელს) და იაკობს. რომანოზს ძალიან უყვარდა ამგვარი სახუმარო ამბები და იმდენს იცინებდა, სანამ ხველებას არ დააწყებინებდა. „ბაში-აჩუკთან“ დაკავშირებით მან მითხრა, რომ: „აკაკიმ ის დაამთავრა 1895—1896 წლებში. იმ დროს, როცა „ბაში-აჩუკს“ ამთავრებდა, აკაკი ცხოვრობდა თბილისში სასტუმრო „ტილიპუჭურში“ („ტილიპუჭური“ იყო რესტორანი ახლანდელი ლომბარდის შენობაში), რომელსაც ზემო სართულზე ნომრები ჰქონდა.

ამ ნომერში ხშირად ცხოვრობდნენ თბილისში ჩამოსული ქუთაისელი ინტელიგენტები, რევოლუციონერები, პოეტები, მსახიობები და სხვ. უმთავრესად ხელმოკლე ინტელიგენცია. აკაკიც ხშირი სტუმარი იყო ამ სასტუმროსი.

1895 წელს აკაკი ცხოვრობდა აქ და დიდი ხნის განმავლობაში ნომრისა და ხარჯის ფული გადახდილი არ ჰქონდა. ალექსანდრე თოიძე, ამ სასტუმროს პატრონი, დიდი მომთმენი და თავდაჭერილი კაცი იყო. მას არ უნდოდა შეეწუხებინა აკაკი, მაგრამ რას იზამდა, თანაშემწე არ აძლევდა ამის ნებას და დავალიანებებს სულ ალექსანდრეს აწერდა. გამოდიოდა, რომ თოიძე თვის ბოლოს ხელცარიელი უნდა წასულიყო სახლში და ოჯახი უფულოდ დაეტოვებინა. რამდენი იყო ისეთი, როგორიც აკაკი — მიხა ცხაკაია, ლ. დარჩიაშვილი, კ. ჩხეიძე, ი. კვიცარიძე და სხვები. ალ. თოიძემ დიდი მორიდებით აცნობა ამის შესახებ აკაკის.

აკაკიმ ვალის დასაფარავი ფულის შესაგროვებლად შემდეგ ხერხს მიმართა: აკაკის ამ დროს „ბაში-აჩუკი“ დამთავრებული ჰქონდა. მან სთხოვა ერთ-ერთ მეგობარს, ეცნობებინა სხვა მეგობრებისა და ამხანაგებისათვის შეკრებილიყვ-

ნენ აკაკისთან ნომერში და მოესმინათ მისი ახალი მოთხრობა და „სალამურის“ — სასიმღერო ლექსების ნაწილი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ვისაც რამდენი შეეძლო, შემოეტანა აკაკის ავადმყოფობის ხარჯების დასაფარ ფონდში. აკაკი ამ დღეებში მართლაც ავად იყო.

ამ ხერხმა გაჭრა და იმდენი შეიკრიბა, რომ ვალიც გაისტუმრეს და ზედმეტიც დარჩათ.

საღამოს დამსწრენი, როცა ყვებოდნენ ამას, დაუმატებდნენ ხოლმე: „ზაფხული იყო და აკაკი თეთრეულის ამარა, საწოლზე წამომჯდარი კითხულობდა თავის ნაწარმოებსო. იმდენად ლამაზი იყო, ამგვარი პოზა იმდენად უხდებოდა — ქანდაკებას მოგვაგონებდაო“.

აკაკი, რა თქმა უნდა, საყვარელი იყო ყველასათვის და პირველ ყოვლისა ჩემთვის, რადგან ჩვენი ოჯახის სათაყვანო მეგობარი იყო და ჩემი ბიძები ძალიან დიდ პატივსა სცემდნენ. მამაჩემი მუშაობდა ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საკრედიტო ბანკში. იქ ერთხანს დირექტორადაც იყო, ანდრია ერისთავის თავმჯდომარეობის დროს. აკაკის ფული ყოველთვის უჭირდა. ვექსილზე სხვადასხვა პირის ხელმოწერით მამაჩემი უწყობდა კრედიტის მიღებას.

1907 წელს, იუბილეს წინა წელს, ხომლელის (რომანოზ ფანცხავას) მეუღლემ აკაკი მიიპატიჟა სადილად. იაკობი ქუთაისში არ იყო, მგონი, თბილისში იყო ქალაქის თვითმმართველობის საქმეების გამო. კარგად მახსოვს, აკაკიმ იაკობზე ჩამოაგდო ლაპარაკი და აღნიშნა: მართალია, რომანოზ, იაკობი არჩეულია ქალაქის მოურავის, ქალაქის თავის თანამდებობაზე, მაგრამ, მგონი, გუბერნატორი მას, როგორც სოციალისტს, არ უპირებს დამტკიცებას. თუ ეს ასე მოხდა, არ დაამტკიცეს, ჩემი წინადადება იქნება იაკობი იქნეს არჩეული ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორად.

— კარგია, მაგრამ იაკობი, ნუ გავიწყდებათ, თქვენო ბრწყინვალებავ — თავადო, რომ ფანცხავა არის. ის არც აზნაურიშვილია და არც თავადი, — მიუგო რომანოზმა.

— ის თავისი მომზადებით, დარბაისლობით და ჭკუით ყველა დღევანდელ კანდიდატებს იყიდის და გაყიდის, ის დიდი ინტელიგენტია, ამგვარებია საჭირო ბანკის სათავეში, — თქვა აკაკიმ.

მართლაც, აკაკის ზრუნვამ იმდენი გავლენა მოახდინა წვრილ მემამულეთა დამგირავებელ კლიენტებზე, რომ იაკობი 1909 წ. დირექტორად აირჩიეს.

მოწაფეები, დავინახავდით თუ არა აკაკის, ავედევნებოდით, ხან წინ და ხან უკან ჩამოვრჩებოდით. მან ნელი და დინჯი სიარული იცოდა. როგორ ვაკადრო ორ დიდ ადამიანს, თორემ ხშირად ახალგაზრდებს გაგვეცინებოდა ხოლმე, როცა წვიმიან დღეს ქოლგებით, ქვაფენილზე მწყობრად მიდიოდნენ აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე.

კირილე უკვე მოხრილი იყო წელში. აკაკი კი ისევე ბუმბერაზივით ჩანდა ამ მოხრილ, ოდესღაც წარმოსადეგ ადამიანთან. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი უკვე მოხუცი იყო, კირილე მაინც მიმართვაში ეტყოდა — „ვაჟო, რას მიიჩქარი?“ „ვაჟო“, ეს იყო კირილეს საყვარელი სიტყვა, რომელსაც არასდროს არ ივიწყებდა, როცა მამაკაცს მიმართავდა.

ერთ დღეს, ვხედავთ, თეთრ ხიდზე მოჰყავთ დატუსაღებული ქართული გიმნაზიის მოსწავლე (ეს მოსწავლე იყო ჟორჟოლიანი, რომელიც პოლიტიკური საქმისათვის იყო დატუსაღებული). დღის სამი საათი იქნებოდა. აკაკი თეთრი ხიდის მეორე ყურთან შეჩერდა და შეაცქერდა ტუსაღს, არ ესიამოვნა... ჩვენ, უმცროსი კლასის მოსწავლეები, მის გარშემო შემოვიკრიბენით. მან გადმოგვხედა და ღიმილით მოგვმართა: „განა თოვლის ბაბუა ვარ, რომ ჩვენი გიმნაზიის მოსწავლის დატუსაღება და ნაობახტში ჩაგდება არ მაცნობეს?“ მართლაც, ყველანი თოვლის ფიფქში ვიყავით გახვეული. აკაკის წვერ-ულვაშს კი მეტიც არ უნდოდა.

სიმონ ქვარიანი, როცა საფრანგეთიდან დაბრუნდა, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მიიწვიეს საქართველოს ისტორიის მასწავლებლად.

ს. ქვარიანმა ერთ დღეს, მგონი, მისი მეუღლის საპატივცემულოდ სადილი გამართა, მიწვეული ჰყავდა აკაკი. სადილზე აკაკი ძალიან გამხიარულდა (სხვათა შორის ქვარიანის შვილობილს ათი შაური აჩუქა). ს. ქვარიანის მოწაფეებიდან ორი ახალგაზრდა ვისხედით სუფრასთან. აკაკიმ მოგვმართა მე და ჩემს ამხანაგს: „აბა რით შეგიძლიათ გაგვართოთო, ამბავი გვიამბეთ რამეო“. მე ვთხოვე სიმონ ქვარიანს, თუ არ გეწყინებათ, ვუამბობ სტუმრებს თქვენი გაკვეთილის შესა-

ხებ-მეთქი. როცა თანხმობა მივიღე, აკაკი შემომჩერდა: „ბ... ყოჩაღადო, მითხრა.

მეც გავშალე ფრთა.

„სამშაბათს, საქართველოს ისტორიის გაკვეთილი გვაქვს. პატივცემული სიმონ ალექსის ძე გვიამბობს გიორგი სააკაძისა და მისი დროის ამბავს, როცა მივიდა გ. სააკაძის გმირობის დახასიათებამდე თქვა:

„ყმაწვილებო! გ. სააკაძე თავგანწირულად თავს დაესხა თრიალეთის მიდამოებში ვერაგ მტერს"... და განსაკუთრებულად აღელდა მასწავლებელი. ამ დროს ჭერიდან ჩამოცვივდა სილა, კირი და თავზე დაეყარა თვით ჩვენს მასწავლებელს. სიმონმა სასწრაფოდ დაიფარა ხელი თავზე და მორთო ყვირილი: „რა ამბავია, ყმაწვილებო, რა მომდის, მე მესხმიან თავს"?

აკაკიმ ბევრი იცინა და დასძინა: „მჯერა, ნამდვილად ასე იქნებოდაო".

ქართული გიმნაზია — ეს იყო ქუთაისში ყოველი კულტურული საქმიანობის სავანე. ამ მისწრაფებით იყვნენ გამსჭვალული გიმნაზიის მოწინავე მოსწავლეებიც.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქუთაისის ქართული გიმნაზია ახალ შენობაში გადავიდა — ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე, გ. ზდანოვიჩის სახლკარისა და ეზო-გარემოს გვერდით, თითქმის ორ კვირაში ერთხელ. ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები ორი-სამი განყოფილებით. ამგვარი საღამოების სულის ჩამდგმელი იყო მეხუთე კლასის მოსწავლე მიშა შოთაძე. მიშა შოთაძის თაოსნობით ხშირად იდგმებოდა გიმნაზიის ახალი შენობის ზედასართულის წინა დერეფანში სურათები „თამარ ცბიერიდან", „თორნიკე ერისთავიდან", „ბაში-აჩუკიდან", „ღვთის გვირგვინიდან", ამავე დროს სცენაზე კითხულობდნენ აკაკის ლექსებს. ყოველთვის, როცა საღამოზე გათვალისწინებული იყო ლექსების კითხვა, უთუოდ აკაკის მოიწვევდნენ სილოვან ხუნდაძე ან თვით იოსებ ოცხელი, ოგრამ ხშირად აკაკი ვერ ესწრებოდა. როგორც მახსოვს, ჩვენ მიერ გამართულ მხოლოდ ორ საღამოზე დაესწრო პოეტი. ერთ-ერთ საღამოს „პატარა კახი" უნდა დადგმულიყო. ცნობილია, რომ „პატარა კახი" ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამაა. გადაწყდა ხუთივე მოქმედება წასულიყო შემო-

კლებულად, ე. ი. ორნახევარ მოქმედებად უნდა გადაკეთებულ-
ბულიყო მთელი „პატარა კახი“. აკაკი მოწვეული იყო 6 საათ-
ათისათვის. მისთვის პეტრე ყიფიანს უნდა გამოევლო და წა-
მოეყვანა.

მასწავლებელი პეტრე ყიფიანი თავის დროზე გამოცხადდა
და აკაკი არ მოიყვანა. თავი იმართლა — „ვერსად ვერ ვნახე
აკაკი, ვუცადე, მაგრამ არ გამოჩნდაო“.

მოსწავლეები და მოწვეული მშობლები ღელავდნენ. აკა-
კის დაუსწრებლად საღამოს დაწყება არავის არ უნდოდა.

სილოვანმა (ხუნდაძემ) დამავალა, რომ წავსულიყავი და
სასტუმრო „გრანდოტელიდან“ ეტლით წამომეყვანა აკაკი.
ფიცხლავ შევტრიალდი, ჩამოვედი სცენიდან და შუა დერე-
ფანში, სავარძლებსა და სკამებს შორის შურდულივით გავ-
ვარდი დავალების შესასრულებლად. კარგად მესმოდა რო-
გორი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა: ვინ უნდა მომეყვანა
იქ, სადაც ამდენი ხალხი ელოდა სულმნათ მგოსანს. დერე-
ფანში შემხვდა ინსპექტორი გერასიმე ცაგარეიშვილი. როცა
გაიგო აკაკის მოსაყვანად მოვდიოდი, თან გამომადევნა ჩვე-
ნი გიმნაზიის ულამაზესი დარაჯი, ჩოხა-ახალუხში კოხტად
გამოწყობილი სევერიან ბარდაველიძე. მივედი სასტუმრო
„გრანდ ოტელში“, მაგრამ აკაკი იქ არ დამხვდა. კარისკაცმა
გვითხრა, რომ დიდი ხანია გავიდა და ალბათ თ. მთავრიშვი-
ლის წიგნის მაღაზიაში იქნება, ანდა ისიდორე კვიცარიძის
ჟურნალ-გაზეთების კანტორაშიო. გავსწიეთ იქით, მაგრამ არც
იქ აღმოჩნდა, მხოლოდ ისიდორე კვიცარიძემ მითხრა, აკაკი
იყო ჩემთან, წაიღო გაზეთი „იმერეთი“, და, მგონი, ვ. ბეჟა-
ნეიშვილთან შეივლისო. ჩვენ გავეშურეთ ვ. ბეჟანეიშვილის
მაღაზიისაკენ. შევედი მაღაზიაში. სევერიანე გარეთ მიცდიდა,
აქაც არ აღმოჩნდა მგოსანი. როცა ვიკითხე, გამყიდველმა
მითხრა, აკაკი მეორე ოთახშიაო. მორიდებით შევაღე კარი
და ვხედავ ზის აკაკი და ვასილ ბეჟანეიშვილთან ჭადრაკს
თამაშობს.

ბეჟანეიშვილს მოვახსენე, რომ, სილოვანის თხოვნით,
დიდი მგოსანი უნდა წამობრძანდეს ქართულ გიმნაზიაში სა-
ღამოზე-მეთქი.

ეს აკაკიმ გაიგონა და ბოდიში მოიხადა:

— მე მეგონა, უფრო გვიან იწყებოდა, თორემ დავიწყებით არ გადამვარდნია გულიდან.

აკაკი მაშინვე წამობრძანდა, სევერიანემ ეტლი მოართვა, მე გულის ფანცქალით მივუჯექი გვერდით დიდ პოეტს და გავემგზავრეთ გიმნაზიისაკენ. მეეტლეს ფული ბეჟანეიშვილმა მისცა.

აკაკი გზაზე სულ ქართული გიმნაზიის ახალ შენობაზე გვესაუბრებოდა; უხაროდა, რომ ქართველი მოწინავე ახალგაზრდობის სამჭედლოს ასეთი შესანიშნავი შენობა შეეძინა. როცა სკოლის ეზოში შევედით, ეტლი სადარბაზო კარებთან გაჩერდა. ჯერ ჩვენ, მე და სევერიანე გადმოვედით, ვუშველეთ მგოსანს ეტლიდან გადმოსვლაში.

როცა დერეფანში შევედით და შუა ადგილას, ე. წ. „პატერში“ შევდგით ფეხი, ატყდა ტაშის გრიალი. ჩვენ პირველად ვიყავით მოწმე ამგვარი ოვაციისა. ყველა ადგომით შ ვდა და მიესალმა დიდ პოეტს. შუა ადგილას იოსები დ ლოვანი მიეგებნენ და აკაკი მიაბრძანეს სავარძელთან, ის იჯდა სპექტაკლის დამთავრებამდე.

წარმოდგენის დასასრულს ავიდა სცენაზე, მადლობა გ უხადა და შუბლზე ორჯერ აკოცა პატარა კახის როლის შემსრულებელს — მიშა შოთაძეს, რომელიც პირველ ორ მოქმედებაში ხავერდოვან ქულაჯაში იყო გამოწყობილი, შემდეგ თეთრ, მოკლე ჩოხა-ახალუხში.

აკაკი დიდად ნასიამოვნები წავიდა.

1914 წლიდან წავედი სასწავლებლად მოსკოვში.

მოსკოვში ყოფნის დროს არ მოვწყვეტილვარ ქუთაისს. ხშირად ვიგონებდით ერთმანეთს. განსაკუთრებული მიწერ-მოწერა მქონდა ჩემს უფროს ბიძასთან — რომანოზ ფანცხავასთან (ხომლელთან). 1911 წლიდან ხომლელი უძღვებოდა „შინაურ საქმეებს“, ხოლო 1915 წლიდან დაიწყო საკუთარი ჟურნალის — „განთიადის“ გამოცემა.

მე მწერდა, რომ ჟურნალის საქმე გაიჩარხება, რადგან საუკეთესო ხალხი შევკრიბე მის გარშემო, თვით დიდი აკაკიც კი დამეთანხმა ჟურნალში თანამშრომლობაზეო:

„ჩემო სოსიკო! შობის წინა კვირაში ჩემთან იყო აკაკი ქუთაისში და აღტაცებით შეხვდა ჩემი ჟურნალის დაწყების სა-

ქმეს და აღმითქვა კიდეც დიდი თანამშრომლობა“. — მწერ-
და ხომლელი 1914 წლის ბოლოს.

არ გასულა ამის შემდეგ 28 დღე და მოვიდა ამბავი, რომ აკაკი გარდაიცვალაო სოფ. სხვიტორში, საკუთარ სახლშიო. თავზარდამცემი იყო მთელი ქართველი ხალხისათვის სხვიტორის გლოვა, ქართველი ხალხის საამაყო შვილის — აკაკის დაკარგვა.

1915 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8. თებერვალს) ხომლელი მწერდა მოსკოვში: „ჩემო სოსიკო! აკაკი გაგვიქრა... როგორც გწერდი, შობის წინა კვირაში (ე. ი. ეს იყო 3 დეკემბერს) აქ იყო და აღტაცებით შეხვდა ჩემი ჟურნალის წყების საქმეს. აღმითქვა კიდეც დიდი თანამშრომლობა, მაგრამ რა ვიცოდი ან მე, ან აკაკიმ, თუ ეს ყველაფერი სიზმარი იქნებოდა. ახლა გადავწყვიტე ჩემი ჟურნალის მთელი ექვსთხე ნომერი შევსწირო აკაკის, ამისათვის მივწერე ნიკო ბარამიძეს, კირილე ლორთქიფანიძეს, იაკობ ფანცხავას, ივანე ფალიაშვილს, იასონ ბაქრაძეს და მინდოდა გ. ზდანოვიჩის შეწყობა, მაგრამ იგი ლოგინად არის ჩავარდნილი და არ შეუძლია წერა, გამომიგზავნონ ადრე და მალე მოგონებანი ამ საყვარელ კაცზე, სტუდენტობის დროის, ან მერე მწერლობის დროის. შენც გთხოვ და ამხანაგებიც გამოაფხიზლე ამ საქმის გამო“.

მოსკოვის სტუდენტობამ საკუთარი დელეგაცია ამოარჩია და გამოგზავნა სხვიტორში პოეტის გამოსვენებაზე დასასწრებლად, შემდეგ კი გეგმა შეიცვალა, რადგან ვერ ასწრებდნენ ჩამოსვლას და ქუთაისში მყოფ ორ სტუდენტს დაევალა მოსკოვის სათვისტომოს სახელით გვირგვინის გაწყობა და წარმომადგენლობა. მე ჯარში გაწვევის გამო მაინც უნდა გამოვცხადებულიყავი საქართველოში, წამოვედი, დაკრძალვას მოვუსწარი თბილისში და იმ ორი ამხანაგთან ერთად მეც ვღებულობდი მონაწილეობას პროცესიაში. მოსკოვიდან გამოგზავრებამდე აკაკის გარდაცვალების დღესვე, ვაცნობეთ მთელ სათვისტომოს და ქართველი საზოგადოების შენობაში (ხლებნიკოვის ქ. № 5-ში) მოვაწყვეთ პარაკლისი — პანაშვიდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხი წელი აკაკისთან

ცხრაასიან წლებში, 1900-დან 1904 წლამდე, აკაკი მეტწილად ტფილისში ცხოვრობდა. ზაფხულობით მიდიოდა სხვიტორში. ტფილისში ჩერდებოდა სოსიკო მერკვილაძესთან, ქაშვეთის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლში (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

სოსიკოს გამოყოფილი ჰქონდა აკაკისათვის წინა მხარეს პატარა ოთახი, რომელსაც „აკაკის ოთახს" ვეძახოდით.

მაშინ მე ქართულ გიმნაზიაში ვსწავლობდი და სოსიკო მერკვილაძესთან ვცხოვრობდი. როცა აკაკი ტფილისიდან წავიდოდა ხოლმე, მე „აკაკის ოთახში" ვწვებოდი, როცა ჩამოვიდოდა — გვერდით, მეორე ოთახში.

დილაობით აკაკის არ ვხვდებოდი, რადგან აკაკი გვიან იღვიძებდა. გაღვიძების შემდეგ უთუოდ წერდა. საერთოდ აკაკის წერა დილით უყვარდა. დღისით ან საღამოთი იშვიათად წერდა. უქმე დღეს აკაკის გამოსვლამდე ჩაის არავინ სვამდა. ვუცდიდით აკაკის გამოსვლას. ეს იცოდა აკაკიმ და თუ წერით ძალიან არ იყო გატაცებული, უფრო ადრე გამოდიოდა.

სადილად მხოლოდ ხანდახან რჩებოდა. საღამოთი კი, თუ თეატრში არ იყო, უსათუოდ სტუმრად მიდიოდა. ღამე ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა. როგორც კი შეაღებდა თავისი ოთახის კარს, მე მაშინვე ვიღვიძებდი და ვუგდებდი ყურს — უქეიფოდ ხომ არ იყო ან რამე ხომ არ სჭიროდა.

ეს ყველა იმიტომ, რომ არ მახსოვს ოთხი წლის განმავლობაში აკაკის ვინმე შეეწუხებინოს რამეთი. მოსამსახურეს არ დაუძახებდა და არ დაასაქმებდა, რაც არ უნდა სჭირვებოდა....

ოთახში პირსაბანი არ ედგა. დილით, როდესაც მოსამსახურე გოგო პირსაბან წყალს შეუტანდა, აკაკიმ არ იცოდა, რა ექნა. მაშინვე გამოელაპარაკებოდა და ოხუნჯობას დაუწყებდა.

პირის დაბანის შემდეგ დაიწყებდა გაუთავებელი მადლობის გადახდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკიმ ძილი ბავშვივით იცოდა, უთუოდ ან ბალიში ჰქონდა გადავარდნილი ლოგინიდან, ან საბანი.

როგორც ზევით ვთქვი, აკაკი ყოველთვის დილდილაობით წერდა და ჩვენც, თუ სახლში ვიყავით, ვცდილობდით არ გვეხმაურა. კარს კლიტის ჭუჭრუტანა ჰქონდა და, როცა აკაკი მუშაობდა, ხშირად ვიჭვრიტებოდი შიგ.

სანამ წერას შეუდგებოდა, აკაკი ფაჩიფუჩს მოჰყვებოდა. ფაჩიფუჩი მეორე ოთახში კარგად ისმოდა, მაგრამ სიტყვების გარჩევა არ შეიძლებოდა. ფაჩიფუჩის შემდეგ მოჰყვებოდა ძალიან დაბალი ხმით სიმღერას, თუმცა სიმღერისა აკაკის არა გაეგებოდა რა. მერე ფეხით დაიწყებდა ბაკუნს და მხოლოდ შემდეგ შეუდგებოდა წერას. წერის შემდეგ ძალიან უყვარდა ნაწერის სხვებისთვის წაკითხვა. ხშირად გამოიტანდა და წაგვიკითხავდა ხოლმე.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გულის ფანცქალით ვუცდიდით აკაკის გამოსვლას წერის შემდეგ.

ერთ უქმე დღეს აკაკიმ დილით დაიწყო წერა. მე სულგანაბული ვუცდიდი მის გამოსვლას. გამოვიდა კიდეც და გამოიტანა ლექსი „განდეგილია“. შემდეგში „კრებულში“ დაიბეჭდა.

იმხანად ქუთაისის ბანკის თავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით, აკაკის ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომელთა შორის ყველაზე უფრო კიტა აბაშიძისა და სილოვან ხუნდაძის გამოსვლა აწუხებდა.

ზოგიერთებს უნდოდათ აკაკის გულისმოგება და აკაკისთან მიჰქონდათ ენა.

კიტა აბაშიძეზე ძალიან გულდაწყვეტილი ამბობდა: „კიტა ისეთი სოფლიდან არის, სადაც ხეებიც დაღრეკილი იზრდება და ადამიანს სწორს იქიდან რა გამოიყვანსო“.

სილოვან ხუნდაძე ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო და ძალიან მწყინდა, როდესაც აკაკი იმის საყვედურს ამბობდა. გადავწყვიტე, როგორმე აკაკის გულისწყრომა შემენელებინა. ამიტომ ვუთხარი — რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი, ბატონო აკაკი, თორემ თქვენ სილოვანმა მშვენიერი ლექსი გიძღვნათ-მეთქი.

აკაკის ძალიან გაუხარდა ეს ამბავი და მთხოვა ეშოვნა ის ლექსი. მახსოვდა, რომ ლექსი „კვალში“ იყო მოთავსებული, და გავიქეცი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში. ვიპოვე „კვალის“ რომელიღაც ნომერში, გადავწერე და აკაკის მივუტანე. აკაკიმ დიდი მადლობა გადამიხადა, შეიტანა მაშინვე თავის ოთახში და წერა დაიწყო. მე, რა თქმა უნდა, მოუთმენლად ველოდი, თუ რითი გათავდებოდა ყველაფერი ეს.

ადვილი წარმოსადგენია ჩემი განცვიფრება, როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ აკაკიმ გამოიტანა საშინელი პასუხი ლექსად. სილოვანის ლექსს სათაურად ჰქონდა „აკაკის“ და ქვეშ „სილოვანი“ ეწერა. საპასუხო ლექსს ამის მსგავსად აკაკიმ „სილოვანს“ დააწერა და ქვეშ „აკაკი“ მოაწერა.

შემდეგ ორივე ლექსი, როგორც სილოვანისა, ისე აკაკის პასუხი „კრებულში“ იყო მოთავსებული.

აკაკი ხშირად იტყოდა ხოლმე:

„ეს კანონია, არათუ ძველი მწერალი, ახალიც კი წერის ჩემი გინებით იწყებსო“.

ერთ ჩემს ამხანაგს ვ. ქ-ძეს ძმამ, რომელიც ზრდიდა მას, ფულის გამოგზავნაზე უარი შემოუთვალა. სწერდა, რომ მისი საქმე ცუდად წავიდა და არავითარი დახმარება არ შეუძლია გაუწიოს. „უკვე მე-6 კლასში ხარ და შეგიძლია აწი თავი ირჩინოო“. ჩემს ამხანაგს კი სწავლის განგრძობა უნდოდა და მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

აკაკის ვუამბე ამხანაგის გასაჭირი. ძალიან შეწუხდა და მითხრა: უთუოდ მნახოსო.

მეორე დღესვე მივუყვანე ამხანაგი აკაკის, აკაკიმ დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი და როცა დარწმუნდა, რომ ბავშვს სწავლა ძალიან სწყუროდა, უთხრა: მე დაგეხმარები, ოღონდ შენ ისწავლე, და თუ საჭირო იქნება, საზღვარგარეთაც გაგგზავნიო.

გახსნა მაშინვე საფულე, ამოიღო სამოცდახუთი მანეთი და მისცა, თავისთვის არაფერი დაუტოვებია. ეს იქიდან ვიცი, რომ, როცა აკაკის ფული ჰქონდა ხოლმე, ეტლს მოუყვანდნენ და იმით წავიდოდა, რადგან ფეხები სუსტი ჰქონდა და ფეხით სიარულს ძალიან ერიდებოდა. იმ საღამოს კი ფეხით წავიდა.

ამას გარდა, მას ჰყავდა ღარიბი ნათესავები, ვიღაც ერეკ-
თავები, რომელნიც კვირაში ერთხელ მაინც მოვიდოდნენ
დახმარების სათხოვნელად. აკაკიც მუდამ ეხმარებოდა. იგი
ძალიან შეწუხებული იყო მათი უმწეო მდგომარეობით.

მისი ერთადერთი შვილი, რომელიც აკაკის ძალიან უყვარ-
და, წელიწადში ერთხელ მაინც გამოუგზავნიდა დეპეშას —
ფული მჭირდება და მომაშველეო. ასეთი დეპეშების შემდეგ
შეიქნებოდა აკაკის შფოთვა და წუხილი. ასე ძლიერად მას
სხვა არაფერი არ ააშფოთებდა.

ჩვენც ყველამ დეპეშის შემდეგ ვიცოდით, რომ ერთი
უბედურება დატრიალდებოდა. ამ დროს ერთადერთი გამოსა-
ვალი, რა თქმა უნდა, ბანკი იყო. აგირავებდა თავის სახლ-
კარს და მამულს, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ იყო ბან-
კზე დარჩენილი და ისევ დაბრუნებული. ქუთაისში მაშინ
ბანკის თავმჯდომარედ იყო მექი ფალავა, რომელსაც აკაკის-
თან დიდი მეგობრობა ჰქონდა და გირავდებოდა და თავისუ-
სუფლდებოდა აკაკის სახლ-კარი...

სოსიკო მერკვილაძე თავის მეუღლეს ანას, რომელსაც
აკაკი განსაკუთრებულად სცემდა პატივს, ყოველ წელიწადს,
3 თებერვალს, დღეობას უმართავდა. ასეთ წვეულებას ერთხელ
აკაკიც დაესწრო. აკაკის გარდა, იყვნენ მწერლები — სოფ-
რომ მგალობლიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე როსტო-
მაშვილი, გიგა ყიფშიძე, შიო მღვიმელი და სხვანი.

თამადად გიგა ყიფშიძე იყო. დიასახლისის და მანდილოს-
ნების სადღეგრძელოს შემდეგ გიგამ აკაკის სადღეგრძელო
დალია. რა თქმა უნდა, აკაკის ყველამ სიტყვებით მიმართა.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის არ უყვარდა, როცა მის
სადღეგრძელოს სვამდნენ და მით უმეტეს, როდესაც გრძელ-
გრძელ სიტყვებს ეუბნებოდნენ.

ზაქარია ჭიჭინაძემაც ითხოვა სიტყვა.

— ბატონო, აკაკი! — მიმართა ზაქარიამ. — მე თუ რამეს
წარმოვადგენ, ეს მხოლოდ თქვენი საქმეა. მე, გზადაკარგულ-
ი, ჯიბგირობას ვეწეოდი, შენთან მოვედი, შენ მიმიკედლე,
მოსამსახურედ ამიყვანე, წერა-კითხვა შემაყვარე და იმის შე-
მდეგ შევიქენი ის, რაც ახლა ვარ...

აკაკი ამ სიტყვებმა ძალიან შეაშფოთა. მიუგო:

— ზაქარია, რავა არ გრცხვენია, მე მოსამსახურე მის

დღეში არ მყოლია და შენ მოსამსახურედ რანაირად შეყ-
ლებოდი! ხომ გახსოვს, ერთხელ, შუაღამეს გადაცილებული
იქნებოდა, მე და ჩემს ცოლს გვეძინა, შენ მოაკაკუნე კარს
და დამიძახე — აბრაამის ცოლს რა ერქვაო.

ატყდა საერთო სიცილი. რა თქმა უნდა, ყველამ იფიქ-
რა — აკაკიმ გადააჭარბაო, მაგრამ, წარმოიდგინეთ ყველას
განცვიფრება, როდესაც ზაქარიამ მიუგო:

— კარგად მახსოვს.

— ჰოდა, რომელი მოსამსახურე გინახავს, რომ ცოლთან
მწოლიარე ბატონს ასეთ რამეზე აღვიძებდა?.

კვლავ საერთო სიცილი და ტაშისცემა.

— შემდეგ, — განაგრძო აკაკიმ, — ხომ გახსოვს, შენ, ზა-
ქარია, ერთხელ ბალიდან ჩამოვარდი და ქვას თავი დაჰკა-
რი.

— კი მახსოვს, — მიუგო ზაქარიამ.

— და, აი, შენ ხიდან ჩამოვარდნამდი მეტად ჩლუნგი იყა-
ვი და ვერაფერს ითვისებდი, იმის შემდეგ კი, რაც შენ ქვას
თავი დაჰკარი, რაღაც მოხდა შენს თავში და მეტისმეტად ნი-
ჭიერი და მკვირცხლი შეიქენი. შენი ახლანდელი სიკეთის
მიზეზი მე კი არა ვარ, არამედ შენი ბალიდან ჩამოვარდნაა.
რადგან მე და შენ ამდენი ხანია ერთად მოვდივართ, მოდი
ხვალ დილას ჩემთან, სურათის გადასაღებად მივდივარ და
ერთად გადავიღოთ.

ზაქარიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მართლაც,
მეორე დღეს სურათი ერთად გადაიღეს სასახლის ქუჩაზე ყო-
ფილ როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

სურათი მშვენიერი გამოვიდა და მიკვირს, რომ არც ერთ
ჟურნალში, არც ერთ გაზეთში არ მინახავს ეს მეტად საინ-
ტერესო სურათი მოთავსებული.

ამას გარდა, მე მქონდა აკაკისა და ივანე მაჩაბლის სურა-
თი, ერთად გადაღებული. სურათი ივანე მაჩაბლის ბინაზე იყო
გადაღებული. ორივე პერანგის ამარა აივანზე ისხდნენ და
ნარდს თამაშობდნენ. თავზე ორივე მოთამაშეს ადგა ივანეს
მეუღლე ტასო ბაგრატიონის ასული. სურათი კარგად იყო
გადაღებული. ვინახავდი, როგორც თვალისჩინს, მაგრამ და-
მეკარგა.

მაშინ შემოღებული იყო სალიტერატურო საღამოები.

ასეთ საღამოებს ვმართავდით ჩვენც, ქართული გიმნაზიის მოწაფეები. საღამოები იმართებოდა მთაწმინდაზე, ხან ივანე როსტომაშვილის და ხან თუმანიშვილის ბინაზე. საღამოები შაბათ დღეს იმართებოდა და ამიტომ „შაბათობას“ ვუძახდით. მაშინ გატაცებული ვიყავით პისარევით, და, საერთოდ, ნიჰილიზმით, და საღამოებიც ამის ირგვლივ იმართებოდა. ეს საღამოები ერთ წელიწადს გაგრძელდა, შემდეგ არ მახსოვს, რა მიზეზით, შეჩერდა.

სოსიკო მერკვილაძის თაოსნობით მისივე ბინაზე იმართებოდა ლიტერატურული „შაბათობა“, სადაც ვარჩევდით შოთა რუსთაველს. ეს იცოდა აკაკიმ. მან გამოთქვა სურვილი დასწრებოდა ერთ ასეთ საღამოს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიხარულით მოველოდით შაბათს, სადაც ჩვენთან ერთად „შაბათობაში“ აკაკისაც უნდა მიეღო მონაწილეობა.

აკაკიმ იმ საღამოს განსაკუთრებული აღფრთოვანებით წაგვიკითხა „ავთანდილის ანდერძი“. ბევრი ილაპარაკა შოთაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, მის გმირებზე, შემდეგ აიღო ჟურნალ „მოამბის“ ახალი ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი „სიმღერა“ და ცახელის რომელიღაც ლექსი. „აი, მაგალითად, ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი შეუდარებელი ენით წერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელიაო“.

გვთხოვა მოგვეტანა ვაჟას პროზად დაწერილი რაიმე ნაწარმოები. ჩვენ მაშინვე მივუტანეთ ვაჟას „ფესვები“. აკაკიმ დაიწყო კითხვა. ყველანი სმენად გადავიქეცით. ეს ნაწარმოები აკაკის წაკითხვის შემდეგ უფრო ლამაზად მოგვეჩვენა.

შემდეგ აიღო „მოამბეში“ მოთავსებული ვაჟას „სიმღერა“ და ენაში იმდენი უმართებულო დაგვანახვა, რომ ყველას ენა ჩაგვივარდა.

„ახლა ავიღოთ ბევრად უფრო პატარა მწერალი, ცახელი, — განაგრძო აკაკიმ და ცახელის ლექსიც წაიკითხა. — მაგრამ ეს არაფერია, აი, ახლა გიჩვენებთ, როგორი უნდა იყოს ენა და როგორი უნდა იყოს ლექსიო“.

მოგვატანინა დავით გურამიშვილის ლექსები და წაიკითხა მისი „ანდერძი“.

გაათავა კითხვა და მოგვმართა: „აბა თუ გაგიგონიათ შო-

თას შემდეგ ამისთანა სიმშვენიერე? თუ ბიჭებო ხართ და ერთ ასოს ან მიუმატებთ და ან გამოაკლებთ.“

აკაკის ძალიან უყვარდა მუსიკა, ჩვენთან იმ დროს თითქმის ყოველდღე დადიოდა შემდეგში დიდად ნიჭიერი კომპოზიტორი, მაშინ კი ერთ-ერთი სასწავლებლის გალობის მასწავლებელი ნიკო სულხანიშვილი. ჩვენ მას შინაურულად კიკოს ვეძახდით.

კიკო სულხანიშვილი მაშინ სწერდა ოპერას — „პატარა კახს“. პირველი მოქმედება თითქმის მზად ჰქონდა. მზად ჰქონდა აგრეთვე რჩეული ადგილები სხვა მოქმედებებიდან. მე ამის შესახებ ვუთხარი აკაკის. აკაკიმ მოისურვა მოსმენა. მოვიყვანეთ აკაკისთან კიკო.

კიკომ მთელი პირველი მოქმედების დამღერება გიტარაზე მოახერხა — რა თქმა უნდა, დიდი შიშითა და კრძალვით.

აკაკის ძალიან მოეწონა და აღტაცებაში მოვიდა. ნამდვილი დახვეწილი ქართული ხალხური მოტივებიაო. და ხალხური ხომ ყველაფერი აკაკის თავდავიწყებამდე უყვარდა.

პოეტის ასეთმა გულმხურვალედ მიღებამ კიკო გაამხნევა. გათამამებულმა კიკომ სთხოვა აკაკის: პირველ მოქმედებაში, იქ, სადაც მოხუცი გელა იძინებს, ქალიშვილს მინდა „ნანა“ ვამღერო, მაგრამ პიესაში სიტყვები არ არის და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო. აკაკი მაშინვე შევიდა თავის ოთახში, სულ მცირე ხნის განმავლობაში დაწერა ოთხი ტაეპისაგან შემდგარი „ნანინა“ და გადასცა კომპოზიტორს.

შემდეგში არსად მინახავს ეს ლექსი და ვაითუ დაიკარგა.

კიკოსაგან ვისწავლე „პატარა კახის“ თითქმის მთელი პირველი მოქმედება. კიკოს სიკვდილის შემდეგ ბევრ მუსიკოსს შევეხვეწე გადაეღო ჩემგან ეს ნოტებზე, რომ არ დაკარგულიყო, მაგრამ არავინ მოისურვა. თვითონ კიკო მეტად დაუდევარი კაცი იყო, ვინ იცის, ეგება ნოტებზედაც არ გადაუღია.

აკაკის საშინლად სძულდა, როდესაც ქართულ ლექსებს არაქართულ ჰანგზე მღეროდნენ. არ მახსოვს, ცხრაას პირველი იყო თუ ცხრაას მეორე, ყოფილ ქართული თეატრის შენობაში აკაკის შვილს საოპერო დასი ჰყავდა. თითქმის მთელი ქართული გიმნაზიის მოწაფეები დავდიოდით ოპერაში. ძალიან მომწონდა ოპერა „ტრავიატა“-დან ცნობილი „მამის

არია". ავიღე ეს არია, ცოტა ქართული ვარიაცია გავუკეთე და აკაკის „ჩემო ციცინათელას" სიტყვები მივუწერე.

საჩხერეში იმ დროს ელისაბედ წერეთელმა დიდი წვეულება გამართა. სხვათა შორის, მეც ვიყავი. რა თქმა უნდა, აკაკი იქ იყო. გაჩაღდა ქეიფი. მახსოვს თამადად ვიღაც ძალზე მსუქანი და ენამახვილი მაჭავარიანი იყო.

როდესაც თამადამ აკაკის სადღეგრძელო დალია, მომძახა მე და მთხოვა, აკაკის პატივსაცემად მემღერა რამე. მე მაშინვე როიალთან მივედი და ვიმღერე ჩემ მიერ გადაკეთებული აკაკის „ციცინათელა". დამსწრეთ მოეწონათ, აკაკიმაც ტაში დამიკრა და დამიძახა: „დათიკო, მოდი ჩემთანო".

მივედი, მითხრა: „რომ მცოდნოდა, შენ ჩემს „ციცინათელას" არაქართულ ჰანგზე იმღერებდი, არ დავწერდიო".

დამსწრე საზოგადოებამ ხარხარი მორთო, მე კი დიდად აბუზული ჩემს ადგილს დავუბრუნდი.

აკაკი ახალგაზრდა პოეტებში ყველაზე უფრო თომაშვილს აფასებდა.

აკაკის ამტყუნებდნენ — ყველაფერზე და კერძოდ მწერლებზედაც პირადული შეხედულება აქვს და თუ ვინმემ რაიმე დაუშავა ან რამე აწყენინა, მის შემდეგ იმის გინებაშია ო.

მე ეს არასოდეს შემინიშნავს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ამბობდნენ, რომ „ივერიის" თანამშრომლებში აკაკი ყველაზე უფრო „ჩიორა"-ზე იყო გაბრაზებული და ლექსი „მურია" იმაზე დასწერაო. „სიკვდილში" რომ თანამშრომელია, რომელსაც აკაკიზე წერილი დასაბეჭდად ხან „ივერიის", ხან „კვალის" რედაქციაში მიაქვს და ყველგან აგდებენ, ეს „ჩიორა" ჰყავს გამოყვანილიო.

მიუხედავად ამისა, როდესაც „ივერიაში" „ჩიორას" ფელეტონები („წკიპურტები") იბეჭდებოდა, აკაკი აღტაცებაში მოდიოდა. რამდენადაც მახსოვს, პრესაშიც ერთ-ერთ თავის წერილში ამბობდა: „მე რომ „ჩიორას" იუმორი მქონდეს, ქვეყანას გადავაბრუნებდი"-ო.

...რაფიელ ერისთავის პანაშვიდი იყო ქაშვეთის ეკლესიაში. მთელი ქაშვეთის ეკლესიის გალავანი და თვით ეკლესია

ხალხს ვერ იტევდა. უეცრად ეკლესიის გალავანთან შეჩერდა მშვენიერ შავცხენებგაბმული ეტლი. ეტლიდან გადმოვიდა დაბალი ტანის კარგად ჩაცმული შუახნის კაცი. მეტად ორიგინალური და ლამაზი „კარაკულის“ ქუდი ეხურა.

ვიღაცამ წამოიძახა: „ილიაო“, ამ სიტყვებზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. უნებურად მის წინ ეს ზღვა ხალხი შუაზე გაიპო და ეკლესიის გალავნის კარიდან ეკლესიამდე გზა გაკეთდა. ყველამ, უცნობ-ნაცნობმა ქუდი მოუხადა, რა თქმა უნდა, მეც. ილია ჩქარი ნაბიჯით ეკლესიაში შევიდა. ამ საზეიმო ამბავმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

აკაკი იმხანად ტფილისში არ იყო და პანაშვიდს არ დასწრებია. ყველაფერი, რაც კი ხდებოდა ტფილისში მისი აქ არყოფნის დროს, შემდეგში უნდა მეამბნა მისთვის. ამ შემთხვევაშიც მოვუყევი პანაშვიდისა და იმ დიდი შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც ილიამ ჩემზე მოახდინა. როცა გავათავე, აკაკი ცოტა შეჩერდა და შემდეგ მითხრა: „დიახ, ილია დიდი კაციაო“.

ილია ამას გარდა ერთხელ კიდევ ვნახე. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მენატრებოდა ილიას ნახვა მე, გიმნაზიელს, რომელსაც შესაძლებლობა მომეცა ასე დავახლოვებოდი აკაკის. ყველგან თვალებს ვაცეცებდი, მაგრამ ილია იშვიათად გამოდიოდა გარეთ. ისე არა, როგორც აკაკი, რომელსაც ყველგან შეხვდებოდით: ქუჩაში, თეატრში, სახლში და სხვაგან.

თუ არ ვცდები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოცდახუთი წლის არსებობის აღსანიშნავი სხდომა იყო ქართული ბანკის შენობაში.

კარგა მოზრდილი დარბაზი ხალხით იყო სავსე. მაგიდას უსხდნენ: ნიკო ცხვედაძე, დავით კარიჭაშვილი და სხვანი. უცდიდნენ ილიას, რომელიც იმ დროს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე იყო. მალე ილიაც მოვიდა. ბეჯითის ნაბიჯით გაიარა დარბაზი და მაგიდასთან მისთვის დატოვებულ სავარძელთან მისვლისთანავე წარმოთქვა: „საიუბილეო საღამოს გახსნილად ვაცხადებო“.

დამაინტერესა იმან, რომ ილია შემოსვლისთანავე საქმეს შეუდგა. არც არავის დალაპარაკებია და არც არავისთვის ხელი ჩამოურთმევია.

სხვათა შორის იმ საღამოს ირჩეოდა ქ. ორჯონიკიძის (ყოფილ კავკავის) სკოლის გამგისა და მასწავლებლის შოხსნის საქმე (წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კავკავში სკოლა ჰქონდა). რევიზიაზე კავკავში გამგეობას მაშინ საზღვარგარეთიდან ახლად ჩამოსული ფილიპე გოგიჩაიშვილი გაეგზავნა.

ერთი ვიღაც (მასწავლებელი უნდა ყოფილიყო) სასწავლებლის გამგის დამცველად გამოვიდა. მან თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ რევიზიაზე უსათუოდ მასწავლებელი უნდა გაგზავნილიყო (ფილიპე მასწავლებელი არ იყო). კრებას ეს სიცილადაც არ ეყო. ილიამ უპასუხა:

— აი, ბატონო, თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით, მაგრამ უბრალო ჭეშმარიტება არ გესმით. მე, მაგალითად, მხატვარი არა ვარ, მაგრამ ნახატებში გავარჩევ, რომელია უკეთესი და რომელი არა. შეიძლება, ფილიპე გოგიჩაიშვილი მასწავლებელი არ იყოს, მაგრამ დამერწმუნეთ, ბატონო მასწავლებელო, რომ თქვენზე ნაკლებ არ გაარჩევს, სასწავლებელში საქმე კარგად არის დაყენებული თუ არა.

ამ სიტყვებზე პოეტი ევდოშვილი, რომელიც, როგორც ჩანდა, მასწავლებლის დამცველებს ხელმძღვანელობდა, წამოდგა და დაიძახა:

— ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ!

ამაზე ილია შეეკითხა:

— თქვენ რამდენი ხართ მანდ?

შეკითხვაზე მთელი ჯგუფი შეირყა და ცოტა ყოყმანის შემდეგ წამოვარდა ისევ ევდოშვილი:

— ბატონო ილია, თქვენ ბანზე სიტყვას ნუ აგდებთ!

ილიამ უპასუხა:

— ბატონო ხოსიტაშვილო (ევდოშვილის გვარია), თუ ვერ მისწვდებით, კიბე მიუდგით.

აკაკის ძალიან უყვარდა მოყოლა, თუ როგორ გამოვიდნენ ერთხელ სცენაზე ლექსის წასაკითხად ის და ილია.

საღამო ქართული თეატრის შენობაში გაუმართავთ „წერა-კითხვის საზ.-ბის“ სასარგებლოდ. საღამოზე აკაკი და ილია ლექსებით უნდა გამოსულიყვნენ.

ჯერ აკაკის წაუკითხავს ლექსი. შემდეგ ილია უნდა გამოსულიყო. თურმე ილიას ლექსის დაზეპირება ძალიან ეძნელე-

ბოდა. ამიტომ მას თან მოეტანა საერთო რვეული, რომელ-შიაც ეწერა მაშინ ახალდაწერილი მისი ლექსი: „ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“. აკაკის ილიას რვეულიდან ეს ფურცელი ამოეხია.

გამოსულა სცენაზე ილია, გამოუტანია რვეული წასაკითხად და დაუწყია: „ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“... და შედგომია ფურცლის ძებნას, მაგრამ ფურცელი ვერ უნახავს. მაშინ სცენიდან დაუძახნია: „ბიჭო, გიგა! (გიგა ყიფშიძე) ვინ ამოხია ჩემი ლექსი? ეს უსათუოდ აკაკის საქმე იქნებაო“.

ამ დროს კარი შეუღია და ფურცელით ხელში შესულა აკაკი. ადვილი წარმოსადგენია, რა ამბავი დატრიალდებოდა თეატრში.

იმ საღამოს აკაკის, როდესაც საზოგადოება აღარ მოშ-ვებია, წარმოუთქვამს ცნობილი ექსპრომტი:

„კმარა, კმარა, კმარა!
გავჩუმდები, თვარა
წამომცდება მეტი,
აქ მომხვდება კეტი
და თქვენგანი ბევრი იტყვის,
ბრიყვი იყო, ცეტი.
ბევრი მინახავს ჩემისთანა,
რომ შორ გზაზე გაემგზავრა...

სიტყვები კიდევ უნდა იყოს, მაგრამ ზეპირად აღარ მახსოვს და არც სადმე დაბეჭდილი შემხვედრია.

საერთოდ, აკაკი ხშირად კითხულობდა ლექსებს სცენიდან და, რა თქმა უნდა, ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს არ იყო დეკლამაცია, ის თითქოს უბრალოდ გელაპარაკებოდათ თავისი მომჯადოებელი ხმით და ღიმილით.

აკაკის ნაკვესებსა და ზმებზე არაფერს ვამბობ. ეს სულ სხვა საკითხია და, მე, მგონია, მთელ საქართველოში მობნეული ეს განძი უნდა შეგროვდეს და ცალკე გამოიცეს. აქ მოვიყვან მხოლოდ დროის დამახასიათებელ მისგან თქმულ ამბავს.

აკაკის და ცოლად ჰყავდა სამეგრელოში დავით დადიანს. ერთხელ აკაკი დის სანახავად წასულა.

„მივედი ახალსენაკში და ჩამოვხტი მაშინდელ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ ძიმისტარაშვილთან (მწერალი „კორტოხა“). იმ ღამეს იქ ვიყავი. მეორე დღეს, დილაადრიან, მასპინძელმა მომცა თავისი ნაწერების ერთი რვეული, მათხოვა თავისი ცხენი და გამამგზავრა. გზად უნდა გამევლო სოფელი ბანძა, სადაც ცხოვრობდა მამაჩემის დიდი მეგობარი, მაშინდელი თავადაზნაურობის მარშალი, ბახვა ფაღავა. ბახვა ფაღავამ დიდი ამბით მიმიღო. გამართა დიდი მეჯლისი. შუაღამე გადასულიყო, როცა სუფრიდან ავდექით. მომასვენეს სასტუმრო ოთახში. ის იყო ჩამეძინა, როცა უცბად ცხვირსა და პირზე დამეცა რაღაც თბილი. ავანთე სანთელი და რა დავინახე: თურმე იქვე კუთხეში ქანდარაზე ბახვას საანქებო ქორი მჯდარიყო, და იმას დაესკლინტა ჩემთვის. მეორე დღეს მეჯლისი ისევ გაიმართა. წინა ღამეს მომხდარი ამბავი არავისთვის არ მითქვამს. შუადღე გადაცილებული იქნებოდა, როცა წამოვიშალეთ. ჩემი ჯახრაკი ცხენის მაგიერ დიდებული ბედაური მომიყვანეს და ათიოდე ახალგაზრდა ცხენოსანი ფაღავას თანხლებით ჩემი სიძის სახლისაკენ გავემგზავრეთ.

დავბრუნდი თუ არა ქუთაისში, ჩემს მეგობრებს მოვუყევი ქორის ამბავი. ეს ამბავი ბახვას ყურამდისაც მისულიყო. მარშლების არჩევნების დროს ბახვა ქუთაისში შემხვდა. დამინახა თუ არა შემომძახა: „ჰაი, შე წუწკო, შენა! აქ ამდენი ხალხი არ იყოს, მამიშენის როსტომ წერეთლის სული ნუ წამიწყდება, ყურებს აგიწევდი! თუ ჩემმა ქორმა რამე გაწყენინა, მე ვერ მითხარი, რომ ქვეყანას მოსდევიო“.

აკაკის საჭმელებში ყველაზე უფრო ლობიო უყვარდა.

ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებული, სახლში შევედი თუ არა, სამზარეულოდან აკაკის ძახილი შემომესმა: „დათიკო, მოდი აქ“.

მივირბინე, ვხედავ აკაკის გობთან. გობზე აყერა მოხარშული წვრილი ლობიო, რომელსაც იმერეთში მამაკალია ლობიოს ეძახიან.

„აი, დათიკო, — მითხრა, — უკვე მოხარშული წვრილი ლობიო გვაქვს. ანიკო კახელია და ამ ლობიოს გაკეთება არ იცის, მოდი, მე და შენ გავაკეთოთო“.

შევუდექით საქმეს, ვიცოდი, რომ ამ ლობიოს დანაყვა

უნდოდა. მე ლობიოს ნაყვა დავიწყე, აკაკიმ კი საკმაზავი დანაყა და რამდენიმე წუთის შემდეგ ლობიო მზად იყო. გემოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ აკაკი მაინც ძალიან გულიანად შეექცეოდა. ლობიო განსაკუთრებით უყვარდა ზაქარია ჭიჭინაძეს. რაღაც საარაკო იყო: ერთ ჭამაზე სამ-ოთხ მათლაფას შეჭამდა.

მეორედ აკაკი პეტერბურგში ვნახე, 1912 წელს. აკაკი პეტერბურგში ჩამოვიდა. ჩვენ, ქართველ სტუდენტებს, გვინდოდა აკაკის ჩამოსვლა აღგვენიშნა რითიმე. მოხდა ისე, რომ იმ დროს ტრადიციულ ქართულ საღამოს ვმართავდით. გადავწყვიტეთ აკაკის მოპატიჟება. მოსკოვიდან გამოჩენილი მომღერალი სობინოვი იყო მოწვეული. მონაწილეობას იღებდა ბევრი ცნობილი პეტერბურგელი არტისტი და სხვათა შორის ჩვენი ნიჭიერი მომღერალი ვანო სარაჯიშვილიც.

საღამო მოეწყო პეტერბურგის თავადაზნაურობის საკრებულოს უზარმაზარ დარბაზში. გადავწყვიტეთ აკაკისათვის ავტომობილი გაგვეგზავნა, საღამოს მეორე განყოფილება რომ დაიწყებოდა.

დაიწყო საღამოც. დარბაზი ისე გაიჭედა ხალხით, რომ ნემსიც კი არსად ჩავარდებოდა.

გათავდა მოქმედება, დაიწყო მეორე, მახსოვს, განყოფილების მესამე თუ მეოთხე ნომრად გამოვიდა ამერიკიდან გასტროლებზე ჩამოსული ვიღაც გამოჩენილი ვიოლინოზე დამკვრელი ქალი. დაიწყო მან დაკვრა და ამ დროს მოისმა ქუჩიდან ტაშის ცემა.

ჩვენ, საღამოს გამმართველნი, მივხვდით, რომ აკაკი მოჰყავდათ, მაგრამ სხვებმა არაფერი იცოდნენ, ტაშმა უფრო და უფრო იმატა. ეტყობოდა აკაკი კიბეზე ამოჰყავდათ. დარბაზში მაყურებელნი ახმაურდნენ, ყველამ ერთმანეთს კითხვა დაუწყო. დარბაზს ირგვლივ ამაღლებული ადგილი ჰქონდა და უცბად ზევიდან ამ ამაღლებულზე არაჩვეულებრივი სანახაობა გამოჩნდა: ირგვლივ ქულაჯებში უამრავი სტუდენტობა, შუაში აკაკი თავისი ბიბლიური შეხედულებით.

სობინოვი, სხვა არტისტები და ჩვენც, კულისებში მყოფი სტუდენტობა, ტაშის ცემით და ვაშას ძახილით სცენაზე გამოვცვივდით.

დარბაზში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ეს ზღვა ხალ-

ხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა. შეიქმნა ტაში და „ვაშას“ ძახილი. აკაკი სტუდენტებით გარშემორტყმული ძირს ჩამოეშვა და გაემართა პირველ რიგში, მისთვის დამზადებულ სავარძლისაკენ.

აკაკი ძალზე ღელავდა და სტუდენტებს ძლივს მიჰყავდათ. ტაშისცემა და „ვაშას“ ძახილი თანდათან მატულობდა. მივიდა თუ არა სავარძელთან, მაშინვე ჩაჯდა, რადგან ფეხზე დგომა არ შეეძლო. ტაში მაინც არ ცხრებოდა. ექვსჯერ წამოდგა აკაკი, მადლობა გადაუხადა და მეშვიდედ ძლივს სიწყნარე ჩამოვარდა.

ამის შემდეგ საღამოს მეორე განყოფილება გაგრძელდა. სობინოვს თავისი ნომერი უკვე შესრულებული ჰქონდა, მაგრამ განაცხადა — მსურს „აკაკის ვუმღეროო“. სობინოვის ეს სურვილი საზოგადოებას სცენიდან გამოვუცხადეთ. ატყდა ისევ ტაშისცემა. გამოვიდა სობინოვი, მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც აკაკი იჯდა და იმღერა რაღაც აღმოსავლური რომანსი. აკაკი წამოდგა და მადლობა გამოუცხადა. კვლავ ოვაციები. ანტრაქტზე სიბონოვმა გვთხოვა აკაკისთან მიმიყვანეთო. მივიყვანეთ. აკაკი წინ შემოეგება. ერთმანეთს გადაეხვივნენ. ეს რომ ხალხმა დაინახა, ატყდა კვლავ დაუსრულებელი ტაშისცემა.

...მესამედ აკაკი კუბოში ვნახე, სხვიტორიდან რომ ჩამოასვენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი

როდის და სად გავიცანი აკაკი? ვფიქრობ, წ. კ. საზოგადოებაში, სადაც 1902 წ. არჩეული ვიყავი გამგეობის მდივნად და საქმისმწარმოებლად. ნანახი კი აკაკი ჩემი გიმნაზიელობის დროიდან მყავდა. ქუთაისში მოწაფეები შორიდან სიყვარულით შევცქეროდით მის ოლიმპიურ სახეს და თუ როგორმე ახლო გავუვლიდით, ვცდილობდით, ყური მოგვეკრა რაიმე მისი ნათქვამისთვის. ამხანაგები ერთმანეთის შეხვედრისას ერთიმეორეს ვახარებდით, აქა და იქ აკაკი დავინახეთ-თქვა. ის ქუთაისში ხშირად ჩამოდიოდა, რამდენიმე დღეს დარჩებოდა, შევხვდებოდით მეტწილად ან ქალაქის ბაღში (ბულვარში), ან ჭილაძეების (მერე ბეჟანეიშვილის) წიგნის მაღაზიის წინ. მასთან იყვნენ ქუთაისელი ინტელიგენტები — კ. ლორთქიფანიძე, სილ. ხუნდაძე, ხელთუფლიშვილები, ქართული გიმნაზიის მასწავლებლები. ვნახავდით მაღალი წოდების წრეში — წერეთლებთან, გურიელებთან, ფაღავებთან, რადგან მასთან შეხვედრა და გამოსაუბრება ყველას სასიამოვნოდ მიაჩნდა.

მე რომ მწერლობა დავიწყე, შესაძლებელია, ყურადღება მიაქცია ზოგ ჩემს ნაწერს. ერთი სააღდგომო წერილის გამო ლექსიც კი მიძღვნა. მერე ხომ წ. კ. საზოგადოება ქართველთა კულტურული ცენტრი იყო, აქ მუდამ თავს იყრიდნენ ჩვენი მწერლები, არტისტები, საზოგადო მოღვაწენი, პედაგოგები. აკაკიც ხშირი სტუმარი იყო, და ალბათ აქ მომეცა შემთხვევა გავცნობოდი სახელოვან პოეტს.

როდესაც თბილისში იყო აკაკი, ხშირ-ხშირად გვინახულებდა რამე საქმისათვის ან ამბების გასაგებად. უფრო კი თვითონ იყო მოამბე და მთხრობელი, მისი დანახვა ყველას გაგვახარებდა. წიგნებზე და ხელნაწერებზე მუშაობდა ვინმე, ან ახალ გაზეთს ათვალიერებდა, ან რაიმე საქმისათვის იყო მოსული, ან მაღაზიაში წიგნის ყიდვა უნდოდა, ყველა მაშინვე აკაკის შემოეხვეოდა გარშემო.

მისი სახე უნებურად იქცევდა ყურადღებას — ეს არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავის სახე. აკაკი რაც ხანში შედიოდა, უფრო და უფრო მოგვაგონებდა ძველი ბერძნების ღმერთების და პოეტების ქანდაკებებს. მაგრამ განსაკუთრებით მაოზიდველი და მომხიბვლელი იყო მისი უბნობა და ენა. არ იცოდა ლაპარაკის დროს წაბორძიკება, სიტყვების ძებნა, უხერხული გამოთქმა, უცხო სახელების ჩართვა და ენის აჭრელება. მისი ლაპარაკი იყო სადა, მარტივი, მოჩხრიალებდა წყაროსავით, ბუნებრივი დენით და ტკბილი მოსასმენი იყო, მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსის იყო. რაც უნდა მაღალ საგანზე ესაუბრა, მისი ნათქვამი ადვილად გასაგები იყო. ისეთი ტკბილი მოყოლა იცოდა ამბების, რომ მისგან უკვე გაგონილს სიამოვნებით მოვისმენდით მეორედ და მესამეჯერაც.

აკაკი რომ რასმე გადმოგვცემდა, ეს არ იყო ფაქტებს უბრალო ჩამოთვლა, არამედ ეს იყო აკაკის მხატვრულ ქურაში გადამუშავებული ამბები, რომლებიც პოეზიის სამეფოს უფრო ეკუთვნოდნენ, ვიდრე მშრალ, ობიექტურ სინამდვილეს. იგი მუდამ პოეტი იყო, მხატვარი, შემოქმედი. ნახულს თუ გაგონილს თავისებურად მოკაზმავდა და მორთავდა. რასიმე დასამტკიცებლად მისი მთავარი არგუმენტი იყო სათანადო არაკის თხრობა, როგორც „სიბრძნე სიცრუის წიგნშია“ ან „ქილილა და დამანაში“.

მისი საუბრის საგანი უმთავრესად ის იყო, რაც არის მთელი მისი პოეზია — საქართველოს ბედი, მისი სიკეთე, თავისუფლება. მაგრამ უყვარდა ოხუნჯობაც, მეგობრული შარეები, ცოტა კბილის გაკვრა. არავის მოერიდებოდა — არც თავადსიანს, არც მეგობარს.

გავიხსენებ ზოგიერთს მის ნაამბობს, ანეკდოტს თუ მართალ ამბავს. ახალჯვარდაწერილი რომ ვიყავიო, — გვიამბო აკაკიმ, — თბილისში ჩამოვედი. მინდოდა ცოლის სიამოვნება და ბაზარში ღლავის (ლოქოს) ბოლო ვიყიდე. რაც, მოგეხსენებათ, საუკეთესო ნაჭრად ითვლება და სახლში მოვიტანე გასაკეთებლად. ჩემმა ცოლმა რომ დაინახა, აიღო და თავში მესროლა, თევზის კუდი რა საჭმელია. სახტად დავრჩი, რას ვეტყოდი, რა იცოდა რუსმა, რომ ღლავის თავი უვარგისია!

ერთი გორელი თავადიშვილი ციმბირში იყო გადასახლე-

ბული. იქ ზამთარში ნახა, რომ გაყინულ რძეს ნაჭრობით და წონით ყიდდნენ ბაზარში. იფიქრა: მოდი, ჩვენებს გავუგზავნ გაუკვირდებათ და გაეხარდებათო. იყიდა მოზრდილი ყუთი, გაავსო გაყინული რძით და რკინიგზით გამოუგზავნა თავისიანებს გორში, რასაკვირველია, გზაში დადნა რძე და დაიღვრა. გორში ცარიელი ყუთი მიიღეს. „ვაი ჩვენი ცოდვა, ის ვაჟი სწორედ გაგიჟებულა, რომ ცარიელი ყუთი გამოგვიგზავნა ციმბირიდანო“, თქვეს იმ თავადიშვილის ნათესავებმა.

ერთმა ახალგაზრდამ თავის მოკვლა განიზრახა და აკაკის გაანდო თავისი გადაწყვეტილება. აკაკიმ მოუწონა, თავის მოკვლა დიდი გმირობაა, ყველას არ შეუძლია, მაგრამ თავი ისე უნდა მოიკლა, რომ სასახელო გამოვიდესო. წადი და ზღვაში დაიხრჩვე თავი, ზღვა ნაპირზე გამოგაგდებს, ქვეყანა გაიგებს, შენზე დაიწყებს ლაპარაკს და გაზეთშიც კი დაბეჭდავენ შენს ამბავს.

ახალგაზრდას ეამა აკაკის რჩევა და ფოთში გაემგზავრა თავის დასახრჩობად. იქ ამხანაგები შეხვდნენ, გაეხარდათ მისი ნახვა, დაპატიჟეს და კარგად აქეიფეს. იქეიფეს მეორე დღესაც. აქეთ გაატარეს, იქეთ გაატარეს, რამდენიმე დღის განმავლობაში ასე გაართეს და ახალგაზრდას სულ გადააავიწყეს თავის მოკვლა. დაბრუნდა ისევ თბილისში, ნახა აკაკი და დიდი მადლობა გადაუხადა, სიკვდილს გადამარჩინეო.

— ერთხელ, — გვიამბო კიდევ აკაკიმ, — ცხელოდა, გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე მოვდიოდი. დავითის (ბესიკის) ქუჩის კუთხეში რომ ვიყავი, დავინახე, ზევიდან იაკობ გოგებაშვილი მოდის, მაგრამ რაღაც ახირებულად: ხან მარჯვნივ გადახტება, ხან მარცხნივ, თითქოს ცეკვავსო. ელდა მეცა, ვაითუ გაგიჟდა იაკობი-თქვა. ავყევი ზევით ქუჩას, შევეგებე და ვკითხე, თუ რა მოუვიდა. იაკობმა მიპასუხა: ტროტუარი მოურწყავთ და დასველებულ ადგილს ვერიდებიო, მეშინია არ გავცივდეო.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ი. გოგებაშვილს ფილტვები ჰქონდა დაზიანებული და ყოველთვის ერიდებოდა ნოტიოს, სიცივეს, ქარს. ისიც გასახსენებელია, რომ აკაკი და იაკობი დიდი მეგობრები იყვნენ ერთმანეთის.

წ. კ. საზოგადოებასთან აკაკის საქმიანი ურთიერთობაც

ჰქონდა — მისი ნაწერების, დახმარების, პენსიის და
მო. ყველამ უწყის, რომ ეკონომიურად აკაკი არ იყო ჯერ
ნად უზრუნველყოფილი. მართალია, ქუთაისის სათ.-აზნ. ბან-
კიც დაეხმარა, ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა კრე-
ბაც, იუბილეს შემდეგ მისი სახელობის ფონდიდან პენსია
ეძლეოდა, მისი ნაწერებიც იყიდებოდა, მაგრამ აკაკი მეტწი-
ლად მაინც გაჭირვებაში იყო.

მაგონდება, ერთხელ აკაკიმ ასი მან. დახმარება სთხოვა
წ. კ. საზოგადოებას. გამგეობამ უარი უთხრა, მე ეს ძლიერ
საწყენად დამირჩა და მალე მოვახერხე, რომ აკაკის მაინც
მისცეს ასი მან. ერთი მისი ნაწარმოების გამოცემის ანგა-
რიშში. აკაკის ფონდი რომ შედგა, აქედან ყოველთვიურად
პენსია დაენიშნა მას. ამას ხშირად რამდენიმე თვისას ერთად
აიღებდა წინდაწინ, ძალიან მესაჭიროებაო. წ. კ. საზოგადო-
ებამ აკაკის ზოგიერთი ნაწარმოები გამოსცა. სხვათა შორის
კრილოვის არაკების თარგმანი. ამ ფინანსური საკითხების გა-
მო აკაკის უსიამოვნება მოუვიდა წ. კ. საზოგადოებასთან.

ერთხელ საზოგადოების გამგეობა სამედიატორო სასამარ-
თლოში გაიწვია („ჩვენს შორის არსებულ უთანხმოების გა-
სარკვევადო"). გამგეობამ უპასუხა: ჩვენ თქვენთან არაფერი
სადავო არა გვაქვსო. რასაკვირველია, ისეთი დაწესებულება,
როგორიც წ. კ. საზოგადოება იყო, როგორ იკადრებდა რა-
იმე უწესობას ანგარიშებში, ნამეტურ როგორ კადრებდა ამას
აკაკის. მაგრამ უსიამოვნება არ უნდა მივაწეროთ აკაკის სი-
ავეს. აკაკი ფულის უანგარო მხარჯველი იყო, ბავშვი ნამდვი-
ლი. იმას რომ ყოველთვიურად ათასი მან, ხუთი, ათი ათასი
შემოსავალი ჰქონოდა, მისი ჯიბე ძალიან ხშირად მაინც ცა-
რიელი იქნებოდა.

ჩემთან აკაკის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, ჩემი სა-
ლიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი „მზე" (მერე „ფასკუნ-
ჯი") რომ გამოდიოდა, ხალისით მომაწოდა „თავგადასავლის"
გაგრძელება და ლექსებსაც მაძლევდა.

გავიხსენებ ამ შემთხვევასაც: ერთ დილას ადრე აკაკი
შემოვიდა წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში და საიდუმ-
ლოდ მითხრა: ძალიან მესაჭიროება და ასი მან. უნდა მასეს-
ხოო. პირადად მე ეს ფული არ მქონდა, მაგრამ უარის თქმა
როგორ შემეძლო. გავაღე ყუთი და საზოგადოების ფულიდან

მაშინვე ჩავუთვალე ასი მან. თუ დამიბრუნებდა, ხომ კარგი, თუ ვერა, ჩემი ჯამაგირიდან დავფარავდი ნაწილ-ნაწილად. საბედნიეროდ, მეორე დღეს ადრე შემოვიდა აკაკი მხიარულ გუნებაზე და სესხი დამიბრუნა.

1908 წ. შემოდგომა იწყებოდა. დილის 10-11 საათი იყო. ჩვენთან საზოგადოების კანცელარიაში რამდენიმე კაცი იყო, საქმისათვის თუ ისე მოსული, შემოვიდა აკაკი. ყველანი წამოვდექით და მივესალმეთ. აკაკი ჯერ კიდევ არ დამჯდარიყო, რომ ერთნაირი საყვედურით მომმართა: თუ მართლა აპირებთ იუბილეს გამართვას, მითხარით, თორემ მე უცხოეთში ვაპირებ წასვლას სამკურნალოდ.

ყველამ ყურები გამოვცქვიტეთ, გაკვირვებით შევაცქერდით აკაკის. მან გაგვახსენა, რომ 50 წლის წინათ დაიბეჭდა „ცისკრის“ მე-11 ნომერში მისი პირველი ნაწარმოები, თარგმანი ლერმონტოვის ლექსის „რტო პალესტინისა“. ყველას შეგვრცხვა და თან გაგვეხარდა. შეგვრცხვა, რომ არ გვახსოვდა ასეთი ღირსშესანიშნავი ფაქტი (თუმცა შესაძლებელია სხვა წრეებში ჰქონდათ ამაზე ლაპარაკი), გვიხაროდა, რომ ილიას სამგლოვიარო დღეების შემდეგ ქართველ ხალხს საშუალება მიეცემოდა, სამხიარულო დღესასწაული მოეწყო თავისი საყვარელი მგოსნის პატივსაცემად და შემოკრებილიყვნენ მის გარშემო ერთ მთლიან ერად. ეს იქნებოდა ერთნაირი პოლიტიკურ-ნაციონალური დემონსტრაცია.

მაშინვე შევადგინეთ ქაღალდი, რამდენიმე კაცის ხელმოწერილი და ვთხოვეთ წ. კ. საზოგადოების გამგეობას, რომ ხელში აეღო აკაკის იუბილეს მოწყობა. გამგეობამ ეს ვერ იკისრა, ჩემი წესდება ამის ნებას არ მაძლევსო, ხოლო მოიწვია ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც აირჩია საგანგებო საიუბილეო კომიტეტი (თავმჯდომარე იყო წ. კ. საზოგადოების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი. მისი ამხანაგი ი. გოგებაშვილი, მდივნები — ს. მგალობლიშვილი და ს. ფირცხალავა).

კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. მისი მთავარი ბინა, აგრეთვე ვთქვათ, „შტაბკვარტირა“ იყო წ. კ. საზოგადოების კანცელარია, რომელსაც დააწვა მთავარი სამუშაო. ორი თვის განმავლობაში მთელი საქართველო იუბილეს სამზადისში იყო. სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში შედგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე კომიტეტები, რომელთაც დახმარება უნდა აღმოეჩინათ თბილისის კომიტეტისათვის და ეზრუნათ ამასთანავე ადგილობრივი იუბილეების გასამართავად. იწერებოდა ადრესები, მზადდებოდა საჩუქრები, იკრიბებოდა საფონდო ფული და ითხზვებოდა ლექსები, ურომლისოდაც ქართულ ლხინს თუ ტირილს ვერავინ წარმოიდგენს. ემზადებოდნენ არა მარტო ქართველები, ჩვენი მეზობლები — სომხები, მუსლიმანები, ებრაელები, უკრაინელები, რუსები, დიდი ინტერესით უყურებდნენ დღესასწაულს, იცოდნენ, რომ აკაკი საუკეთესო გამომსახველი იყო ქართველი ერის ზრახვათა.

და აი, გაიხსნა ეს იუბილე 7 დეკემბერს.

მშვენიერი დღე გამოვიდა. თბილისი მოირთო და მოიკაზმა. ქალაქი აივსო ქართველებით. წინათაც გამოჩნდა აქ ქართველი ხალხი — დ. ყიფიანის და განსაკუთრებით ილიას დასაფლავების დროს. ხოლო მაშინ იყო გლოვა და მწუხარებამ მოუყარა ერს თავი, დღეს კი ლხინია, სიხარული და ნადიმზე ჩამოვიდნენ ქვეყნის შვილები ყოველი კუთხიდან. ნამდვილი ხალხური დღესასწაულია, გლეხები და მუშები აქტიურ და ფართო მონაწილეობას იღებენ დღეობაში. ყველა მთვრალია სიხარულით, იმედით და სრულს ნებას აძლევს თავის გრძნობებს.

თუ ილიას დატირებამ ერთარსებად აქცია ქართველი ერი, გააფართოვა და გააღრმავა მისი ნაციონალური შეგნება, ამ მხრივ აკაკის დღეობამ კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშა. ილიას შეფასებაში ზოგიერთები კიდევ ორჭოფობდნენ, აკაკის გარშემო კი გაერთიანდნენ ყველა პარტიები და ჯგუფები. ითქვა თამამად, დაურცხვენლად ქართველი ხალხის მთლიანობა, როგორც ერის და აკაკი გამოცხადდა მთელი ერის საუნჯედ, სასიცოცხლო სულის ჩამდგმელად, ეს იმ დროს დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო, რადგან პარტიების გამწვავებულმა ურთიერთობამ თითქმის მთლად წაშალა ქართველობის სახე.

საიუბილეო დღესასწაული იშვიათი სიდიადით და ბრწყინვალებით ჩატარდა. დაუვიწყარი იყო ზოგიერთი მომენტები. აიხადა ფარდა. სცენა კოხტადაა გამართული. ამაღლებულ ადგილზე სავარძელია აკაკისათვის. მახლობლად დგანან საიუბილეო კომიტეტის წევრები, მწერლები, არტისტები, მხატვ-

რები, კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, დელეგაციები, ხოროები, ორკესტრი. ხალხით გაჭედილ თეატრი სულგანაბული მოუთმენლად ელოდება. აი, გამოჩნდა აკაკი და ფეხზე წამომდგარ საზოგადოების ენთუზიაზმს საზღვარი არა აქვს. გრგვინავს ტაში და „გაუმარჯოს აკაკის!“

პირველად მიესალმება ი. გოგებაშვილი კომიტეტის სახელით... აი, სავანელები, ამაყად უკავიათ თავი, თითქოს ამბობენ, აკაკი ყოვლის უწინარეს ჩვენია, ჩვენ გამოვზარდეთო. გამდელის ქალიშვილმა რომ აკვანი მიართვა, უბრალო, გლეხური, რომელშიაც იზრდებოდა მომავალი პოეტი, აკაკიმ ცრემლი ვერ შეიკავა. ვინ იცის, ეგებ იმ წუთს მის თვალწინ ელვასავით გადაირბინა მისი ტკბილი ბავშვობის დრომ, მერმინდელი ცხოვრების სიმწარემ. აი, მაჰმადიანი ქართველები, მესხები, ქართველი ებრაელები, გულითადი მოლოცვებით. სიტყვები საერთოდ ერთნაირია, მხოლოდ ზოგიერთი მიიქცევს ყურადღებას. მე განსაკუთრებით ჩამრჩა გულში სენაკის წარმომადგენლის ლოლუას სიტყვა მეტად დახვეწილი, სუფთა ქართული ენით და საუცხოოდ წარმოთქმული.

აკაკი ყოველ მილოცვას უბრალო მადლობის თქმით ან ხელის ჩამორთმევით უპასუხებდა. მაგრამ სომეხ ლალაიანცს სიტყვით მიმართა: სომხებს და ქართველებს ეკონომიურ საკითხებში მცირეოდენი უთანხმოება გვაქვს, მაგრამ პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში ერთად, ძმურად უნდა ვიმუშავოთო. ასევე შინაარსიანი სიტყვა უთხრა სპარსელს და მუსლიმანების წარმომადგენელს.

საიუბილეო გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ მილოცვები და ადრესები უნდა გათავებულიყო დღით და საღამოს იქნებოდა წარმოდგენა და სალიტერატურო განყოფილება აპოთეოზით. მაგრამ მილოცვები ვერ ამოიწურა დღით, ამიტომ საღამოს წარმოდგენა და სალიტერატურო ნაწილი მოიხსნა და ისევ ადრესები გაგრძელდა. მაინც კიდევ ბევრი ადრესი წაუკითხავი დარჩა, დრო აღარ იყო. რაც შეეხება ფოსტით მოსულ წერილებს და დეპეშებს, მათ უბრალო ჩამოთვლას რამდენიმე საათი მოუნდებოდა.

ნაშუაღამევი იყო უკვე, რომ აკაკიმ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა: ჩემი შრომა ერთიათად დაფასდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხში ეროვნული გრძნობა გაზრდილია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ეძებს გმირს, მხსნელს, რომლის მე მხოლოდ მოხმობილი ვარ. გაათავა ლექსით:

არა, არ ვკარგავ იმედსა,
ვერ შემაშინებს ჭაღარა,
გმირებს მოელის თქვენგანაც
ჩემი დაფი და ნაღარა!

იუბილე დასრულდა აპოთეოზით, აკაკის „სიზმრის“ ცოცხალი სურათით — „ენახათ, ქვეყნად ჩამოსულიყვნენ თამარ, ქეთევან და ნინო“. აპოთეოზმა ცხოვლად დაგვიხატა აკაკის პოეზიის მთავარი იდეა.

მიუხედავად იმისა, რომ იუბილე ასე გაგრძელდა, რამდენიმე საათი დღითა და საღამოთი თითქმის ერთფეროვან სიტყვებს და ადრესებს მოუნდა, ეს არვის მოსწყენია, ყურადღება და ინტერესი ერთ წუთსაც არ შენელებულა, პირიქით, ყველას უკმაყოფილება დაეტყო იმის გამო, რომ ძალაუნებურად იუბილეს დღესასწაული უნდა დასრულებულიყო.

იუბილესთან დაკავშირებით აკაკის ოხუნჯობა უნდა გავიხსენოთ კიდევ. დღესასწაულის წინა დღეებში ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა ქალმა მთხოვა, გადაეცით აკაკის, რომ მას ახლა მოსვენება და მშვიდობა ესაჭიროება, რომ იუბილეს მხნედ და მაგრად შეხვდეს. დაბინავდეს ჩემთან, ცალკე ოთახს მივცემ, კარგად ვაჭმევ და ვასმევ, და ისე გავასუქებ, როგორც ყველულსო. აკაკის რომ ეს გადავეცი, ასე შემომძახა: ჰოო, როგორც ყველულს, როგორც ყველულს!.. აბა მამლად რომ არ ვარგივარ, მეც კარგად ვიცი!

იმ დღეებში ჟურნალ-გაზეთები გავსებული იყო წერილებით სულ აკაკის შესახებ. ცალკე ალმანახებიც გამოიცა. სხვა ერების გაზეთებიც ბევრს სწერდნენ იუბილეს გამო. მაშინ ჩემი „ფასკუნჯიც“ გამოდიოდა და, რასაკვირველია, 7 დეკემბრის ნომერი აკაკის მიეძღვნა, ლექსები თუ წერილები. ერთ ჩემს წერილში ვთქვი, რომ აკაკი ქართველი ხალხის სულიერი მეფეა. ამის გამო აკაკიმ ხუმრობით საყვედური მითხრა: რატომ დამლუპე, ჩემი მევალე ურიები დამესიენ, მეფე ყოფილხარ თურმე, ფული ბევრი გექნება და ვალი გადაგვიხადეო.

აკაკის იუბილეზე ჩამოსულები მეორე დღესაც თბილისში

იყვნენ. ზოგნი მესამე დღესაც დარჩნენ. იყო ერთმანეთთან შეხვედრა, შთაბეჭდილებების გაზიარება. იუბილემ მთელ ქართველობას სიმხნევე და იმედიანობა შემატა, იუბილე თბილისის დღესასწაულით არ დამთავრებულა, აკაკის პოეტობის 50 წლისთავი იდღესასწაულეს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, ბაქოში, პეტერბურგში და მოსკოვში.

ამ დღესასწაულების გათავების შემდეგ აკაკი უცხოეთში გაემგზავრა რამდენიმე თვით სამკურნალოდ. რომ დაბრუნდა, თავისებურად უკბინა და იოხუნჯა პარიზზე. რასაკვირველია, დედამიწის ეს ერთი უმთავრესი ცენტრთაგანი მრავალ სიმშვენიერესა და სიკეთესთან საოხუნჯო მასალასაც მისცემდა ჩვენს ენამახვილ პოეტს.

1910 წლის გაზაფხულზე მე დამაპატიმრეს, რამდენიმე თვეს მეტეხში ვიჯექი და მერე სამი წლით საქართველოდან გადამასახლეს. როდესაც დავბრუნდი, აკაკის ქუჩაში, თეატრში ან სადმე კრებაზე თუ შევხვდებოდი. ის ხანდახან ჩვენს რედაქციაში შემოივლიდა, ლექსებსაც მოგვაწოდებდა. პირველი ომის დაწყებას დიდი ინტერესით შეეგება. ფიქრობდა, ომი უთუოდ გატეხს რუსეთის თვითმპყრობელობას, რევოლუცია მოხდება და საქართველოსაც ეშველებაო.

1914 წლის მიწურულში ხმები გავრცელდა აკაკის ავადმყოფობის, რომელიც თავის სოფელში, სხვიტორში იმყოფებოდა. ამისთვისს დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. ვფიქრობდით, რომ უბრალო რამეა. მაგრამ 1915 წ. იანვრის დამდეგს ცნობები უკვე მდგომარეობის საშიშროებას იტყობინებოდნენ, აკაკის სისხლი ჩაექცა და სხეულის ზოგიერთი ნაწილი გაუკავაო. ქართველი საზოგადოება ძალიან შეფიქრიანდა. ჩვენი გაზეთის („სახალხო ფურცელი") რედაქციას თითქმის ყოველდღე მოსდიოდა ექიმებისაგან აკაკის ავადმყოფობის ამბები. ყოველი მხრიდან გვეკითხებოდნენ, თუ როგორაა ძვირფასი ავადმყოფი, ზოგნი პირდაპირ საჩხერეში მიმართავდნენ ნაცნობებს და სთხოვდნენ ცნობებს. ექიმთა კონსილიუმით, მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ არა უიმედო. ავადმყოფობა ცვალებადობით მიმდინარეობდა რამდენიმე დღის განმავლობაში — ხან უკეთესობა ჩანს, ხან უარესობა. მთელი საქართველოს ყურადღება საჩხერე-სხვიტორისკენაა მიქცეული. წ. კ. საზოგადოების გამგეობა თავს

წევრს ნ. ნაკაშიძეს აგზავნის სხვიტორში. სხვებიც მიდიან აკაკის სანახავად. აკაკის შვილს, რომელიც თავს დასტრიალებს მამას, დეპეშებს უგზავნიან და უსურვებენ ავადმყოფს მალე მორჩენას. ზოგან პარაკლისებს იხდიან აკაკის განკურნებისათვის.

23-24 იანვარს ავადმყოფი შესამჩნევად მოუმჯობესდა. მაგრამ თურმე, როგორც ხშირად ხდება, ეს იყო სასიცოცხლო ძალების უკანასკნელი შემოკრება, რომ ჩვენი საყვარელი აკაკი სამუდამოდ გამოეთხოვა ამ ქვეყანას.

25 იანვრიდან 26 იანვარზე გადასულ ღამეს აკაკი გარდაიცვალა. ჩვენმა გაზეთმა ორშაბათს, 26 იანვარს, შუადღეზე საჩხერიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ჩვენმა მრავალტანჯულმა სამშობლომ დაკარგა თავისი სიამაყე, 26 იანვარს ღამის პირველ საათზე გარდაიცვალა აკაკი“.

სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა თბილისში და მოედვა მთელ საქართველოს. ყველას გონება და გრძნობა მოიცვა ერთმა ფიქრმა:

აღარაა აკაკი, ის აკაკი, რომელსაც ერთი ღმერთი სწამდა, ქართველი ერი, ერთი სამლოცველო ჰქონდა — საქართველო, ერთს ეტრფოდა — სამშობლოს თავისუფლებას, ერთი სძაგდა — მისი ქვეყნის მტერი.

რედაქციამ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა აკაკის შვილს ალექსის და დამავალა მე, რომ იმ საღამოსვე გავმგზავრებულიყავი სხვიტორში, რედაქციის სახელით მუხლის მოსადრეკად ახლად მიცვალებულის ცხედრის წინაშე და მონაწილეობის მისაღებად მისი განსვენების თადარიგში.

ჩემთან ერთად წამოვიდნენ — სანდრო შანშიაშვილი, ქართველ მწერალთა საზოგადოების წარმომადგენელი, მოქაბდაკე იაკ. ნიკოლაძე, რომელსაც აკაკის სახის ნიღაბი უნდა გადმოეღო და სხვ. სხვიტორში მივედით ნაშუადღევს, სამშაბათს, ასე ორი-სამი საათი იქნებოდა.

აკაკის ეზოში მგლოვიარე ხალხი იყო თავმოყრილი. ჩვენ პირდაპირ შევედით სახლში. მიცვალებული ასვენია ოთახში, სადაც შეიძლება პირველად იხილა მზე მომავალმა მგოსანმა, სამშობლოს აღდგენის ქურუმმა. ახლა სამუდამოდ დახუჭულია მისი საამქვეყნიო თვალები, ხოლო სახე მისი, მარადისობის შუქით გაბრწყინებული, მოგვაგონებს დიდი იტალიე-

ლების დახატულ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა სახეს. თეთრი თმა და წვერ-ულვაში ვერცხლისფერ ნათელსა ფენ სახეს, რომელზედაც აღბეჭდილია საუკუნო სიმშვიდე და მდუმარება. აღარ ამეტყველდება მისი ენა, არც სიტკბოსა და სიმწარისათვის, არც ქებისა თუ მრისხანებისათვის.

ვუცქერი სახეს და მინდა, რომ ჩემს გულში სამუდამოდ დარჩეს ყოველი მისი მოხაზულობა, ყოველი წერტილი, ნათელი თუ მიჩრდილული.

ცხედრის გარშემო ჭირისუფლები დგანან. ჩვენსავით მწარე ფიქრებში არიან ისინიც. ასე ვართ რამდენიმე წუთს.

მერე მივუსამძიმრეთ ალექსის, გარეთ გამოვედით. ეზოში დავჯექით. და ალექსიმ გვიამბო მამის უკანასკნელი საათები. ძალიან მხნედ და იმედიანად იყო თურმე სიკვდილის წინ, მალე მორჩენას ელოდა, თბილისში წავალთო, ოხუნჯობდა კიდეც.

იმ ღამეს და შემდეგაც ელისაბედ წერეთელმა მიგვიწვია საჩხერეში. მის ორ ვაჟს პირადად კარგად ვიცნობდი, უფროსი ვაჟი წინა ხანებში ომში დაიღუპა. ელისაბედის ოჯახი, ნაშთი ძველი ფეოდალებისა, მდიდარ და განთქმულ წერეთლების, კარგად შეძლებული იყო. ჩვენ ყურადღებით მიგვიღეს და პატივი გვცეს.

მეორე დღეს სავანეში წავედით. დაგვპატიჟა ერთმა ჩემი გიმნაზიელობის დროის ამხანაგმა აბაშიძემ. ვინახულეთ ის ეზო, სადაც ცელქობდა და თამაშობდა პატარა აკაკი, ის ხეები, რომელთა ჩრდილში იწვრთნებოდა მისი ოცნება. სახლი კი დამწვარიყო რამდენიმე წლის წინათ. სავანელები, სხვიტორელები, საჩხერელები სულ იმას გვეკითხებიან, თუ სად დაასაფლავებენ აკაკის. გვეუბნებიან: იგი აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, უყვარდა აქაურობა, იგი ჩვენია და აქ უნდა დაიმარხოს უთუოდ. ჩვენ ვუმტკიცებდით, რომ აკაკი მთელ საქართველოს ეკუთვნის, ის უნდა დაიკრძალოს დედაქალაქში, მეორე დიდი ქართველის — ილია ჭავჭავაძის გვერდით, მთაწმინდაზე. ვიდავეთ და ბოლოს დაგვეთანხმნენ.

ვვარაუდობდით, რომ აკაკის დასაფლავება მოხდებოდა ახლობელ კვირას, 1 თებერვალს და, რასაკვირველია, ჩვენ მანამდის საჩხერეში დავრჩებოდით და გამოვყვებოდით პროცესიას. მაგრამ თბილისიდან შეგვატყობინეს, რომ აკაკის და-

საფლავება მოხდეს მხოლოდ 8 თებერვალს, რადგან გასვენების მოწყობა მანამდე ყოვლად შეუძლებელი არისო. ამის გამო თბილისიდან ჩამოსულები ისევ უკან გამოვბრუნდით, რომ მერე სხვებთან ერთად ისევ წამოვსულიყავით გასვენებაში მონაწილეობის მისაღებად.

დამკრძალავი კომიტეტის დადგენილებით, მიცვალებული გამოსვენებული იქნებოდა სხვიტორიდან ოთხშაბათს, 4 თებერვალს, იმ ღამეს საჩხერეში დარჩებოდა. ხუთშაბათს ღამესაც შორაპანში შევჩერდებოდით და პარასკევს დილით წამოვიდოდით თბილისისაკენ. თანახმად ამ წესისა, კომიტეტის წევრები, მწერლები, პრესის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი ოთხშაბათს დილით ჩავედით სხვიტორში. იქ უკვე უთვალავ ხალხს მოეყარა თავი. უმეტესობა სულ უბრალო გლეხობაა. დაახლოებით მესამე საათზე აკაკის კუბო გამოვასვენეთ მისი სახლიდან. ცოტა შევჩერდით, თითქოს იმისათვის, რომ აკაკი სამუდამოდ გამოთხოვებოდა მამაპაპეულ სახლკარს. პროცესია ნელ-ნელა დაიძრა საჩხერისკენ. გზაში ხალხი გვემატებოდა და საჩხერეშიც ბევრი დაგვხვდა.

ეს დიდებული პროცესია საჩხერიდან შორაპნამდე, შორაპნიდან თბილისამდე, პროცესია თბილისში დაწვრილებით იყო აწერილი მაშინდელ გაზეთებში და მე ამ აწერას არ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ: აკაკის კუბოს რომ ყოველ სადგურზე ასე გულწრფელად დამწუხრებული ხალხი ხვდებოდა და დასტიროდა, ეს არ იყო ჩვეულებრივი დასაფლავება, ტირილი, დიდი პოეტის პატივისცემა. ეს თვალცრემლიანი ხალხი ასე მოკრძალებით და სიყვარულით რომ შესცქეროდა აკაკის კუბოს, ცდილობდა ახლოს მისვლას, სიტყვით თუ სხვაფერ უკანასკნელად გამოთხოვებოდა, თაყვანი ეცა მისთვის— ამას ჰქონდა რაღაც ზეადამიანური, რელიგიური ხასიათი. ეს ამოდენა მოდენილი ხალხი მე მომაგონებდა პილიგრიმების შემოკრებას რომელიმე წმინდანის ან ხატის მოსალოცავად. ეს იყო მღვდელმოქმედება და წარმოთქმული სიტყვები მორწმუნეთა ლოცვები.

ჩვენს ხალხს გულით უყვარდა აკაკი. ილიას დიდ პატივს სცემდა და ამ პატივისცემას მისი განსვენებისას ზედ დაერთო ერთნაირი დანაშაულის გრძნობა. ხოლო აკაკის რომ ასაფლავებდნენ, ხალხი გრძნობდა, რომ მის მხრებზე ერის გუ-

ლი იყო შესვენებული. ილიას გარდა ეროვნულისა, სხვა მოტივებიც აქვს, აკაკის კი მხოლოდ ერთი მოტივი აქვს — პატრიოტიკა. და აქ ვერც ერთი ქართველი პოეტი ვერ ჩაწვდა ხალხის სიღრმეს, როგორც აკაკი. მისი პატრიოტული ლექსები ხალხურ სიმღერებად გადაიქცა. ამ ლექსებში ერმა იგრძნო თავის ბედის სიმწარე და მას გაუნათდა გზაც თავისუფლებისა და აღდგენისაკენ...

აქ უნდა მოვიტანოთ ერთი კურიოზული დამახასიათებელი შემთხვევა. შორაპანში რომ ჩამოვედით, ვინმე ბათუმელმა ჩიქოვანმა ითხოვა, სიტყვა მაქვს დაწერილი და უნდა მათქმევინოთო. კომიტეტის წევრებმა უარი უთხრეს, მაგისთანა მსურველი ძალიან ბევრიაო. ჩიქოვანს ეს ძლიერ საწყენად დაურჩა. მეორე დღეს დილით ადრე შესულიყო სამგლოვიარო ვაგონში, იდგა მარტო აკაკის კუბოს წინაშე და ღაღადებდა თავის სიტყვას იმგვარ კილოთი, როგორც მღვდლები კითხულობდნენ ეკლესიაში.

შორაპანში ახლად ჩამოსულები მოგვემატნენ, ზოგნი თბილისიდან იყვნენ, ზოგნი დასავლეთ საქართველოდან. რკინიგზის სამმართველოდან საგანგებოდ მატარებელი იყო მოცემული თბილისამდე. მთელ ჩვენს ინტელიგენციას მოეყარა თავი ვაგონებში. იყვნენ ყველა მიმართულების და პარტიების წარმომადგენლები, ძველი და ახალი მოღვაწეები. გზაში დიდი პოლიტიკური დისპუტი გაიმართა, იმის გარშემო, თუ როგორ გათავდება ომი და რას მოუტანს საქართველოს. მოკამათენი დანაწილდნენ არა პარტიულ მიმართულების მიხედვით. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ გაიმარჯვებს გერმანიის კოალიცია, მეორენი — საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთიო. პირველების შეხედულებით, გერმანია რომ გაიმარჯვებს და რუსეთი დამარცხდება, ეს გამოიწვევს რუსეთში რეჟიმის დაცემას და საქართველოსაც მოუტანს თავისუფლებასო. ინგლისსაფრანგეთის გამარჯვების მომხრენი კი ამბობდნენ, რომ ინგლისი და საფრანგეთი ომის მოგების შემდეგ აიძულებენ რუსეთს, რომ თავისუფლება გამოაცხადოს. იყო ისეთი აზრიც (გ. ლასხიშვილი), რომ გერმანია დამარცხდება, მაგრამ დამარცხდება რუსეთიც და მოხდება რევოლუციაო...

თბილისში ჩამოვედით მეოთხე საათზე. ცხედარი მივასვენეთ ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავება მოხდა მესამე

დღეს, 8 თებერვალს. სამგლოვიარო პროცესია ძალიან მოგვაგონებდა ილიას დასაფლავებას. ისევე მოზღვავებული იყო ხალხი, როგორც მაშინ. მთავარი სიტყვები წარმოითქვა ერევნის მოედანზე. პირველად ილაპარაკა ნ. ნიკოლაძემ, აკაკის თანატოლმა. მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქობულეთელმა მაჰმადიანმა ქართველმა კაიკაციშვილმა: მოიგონა თავის მოძმეთა მწარე ბედი და მიმართა აკაკის, დაუბარე შენებს, რომ ცოტა სინათლე შემოიტანონ ჩვენს მხარეშიო. იშვიათი მჭევრმეტყველებით იყო წარმოთქმული კიტა აბაშიძის სიტყვა. უკეთესი მე არასოდეს გამიგონია. ვერცხლის ზარის ხმასავით გაისმა მისი წარმოთქმული: „აჰა, დაიმსხვრა ჭურჭელი, ძვირფასი!“ ერთბაშად დაატყვევა ყველა და სულგანაბულნი აღტაცებით უსმენდნენ დასასრულამდე.

მე სამი წერილი ვუძღვენი დიდებული პოეტის ხსოვნას: „აკაკი აღარაა“, „მოვედით და თაყვანი ვეცით“ და „აკაკი“, ჩემი განცდები იყო მაშინდელი საზოგადო განცდები.

საუკუნო განსვენების ადგილამდე მივაცილე საქართველოს ორი უდიდესი შვილი, ილია და აკაკი, ეს ორი მთავარი ბურჯი ჩვენი XIX საუკუნის ლიტერატურის, კულტურის, აღორძინების და იმედის, რა ძვირფასი იყო ეს იმედი იმ დროს, როცა მტრები უკვე სამარეს თხრიდნენ ქართველი ერისთვის. მათ გადაიტანეს უმთავრესად თავისი ზურგით გასული საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის ნაციონალური რაობა და გადმოსცეს მეოცე საუკუნეს მკვიდრი და განმტკიცებული.

ილია და აკაკი, ამ სახელების ერთიმეორის დაშორება არ უდგება გონებას. ერთს რომ ახსენებ, მეორე მოსდევს თან, რომელი უფრო უყვარდა ქართველ ხალხს? მე ამის პასუხი არა მაქვს. ილია და აკაკი ძნელი გასარჩევია: ორივე ერთნაირად საყვარელია და არ არის დღეს ქართველი მოღვაწე — უდიდესი და უმცირესი, რომლის გული არ ატოკებულიყოს მათი ქნარის ხმით, რომლის სისხლ-ხორცში არ იყოს გამჯდარი მათი მოწოდება მაღალი ადამიანობისა და მამულიშვილობის.

მადლიერმა ქართველმა ერმა ერთი ძეგლი უნდა აუგოს მათ, ორივეს ერთად, თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე.

ზაქარია ფორაქიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ქართული ლექსიკონის შესახებ

(მოგონება)

დაახლოებით 1907 თუ 1908 წელს მოწვეული იყო ქ. თბილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრება. ამ კრებას სხვათა შორის დაესწრო აკაკიც, რომელიც ამ საზოგადოების საპატიო წევრი იყო.

საერთო კრებას განსახილველი ჰქონდა: გამგეობის მუშაობის ანგარიში წარსული წლისა და სხვა საკითხები; გარდა ამისა, მომავალი წლის მოქმედების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

გამგეობას გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა, უმთავრესად, ახალი ლექსიკონის (ქართულ-რუსულის და რუსულ-ქართულის) გამოცემა და შედგენა ახალი მასალების შევსებით.

ასეთი გამოცემის საჭიროებას გამგეობა ასაბუთებდა იმით, რომ პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ლექსიკონები უკვე გამოილია, აღარ იშოვება, მოთხოვნილება კი ამაზე დიდია, ამიტომ წერა-კითხვის საზოგადოებამ თავი მოუყარა ყველა არსებულ ლექსიკონებს და სხვა გამოსადეგ მასალებს ახალი ლექსიკონის გამოსაცემად.

ამ საკითხის გარშემო გაიმართა კამათი, ბევრმა მიიღო მონაწილეობა, უმეტესობა იწონებდა გამგეობის აზრს და მოითხოვდა მის აუცილებელ განხორციელებას. აკაკიმაც მოითხოვა სიტყვა. როცა აკაკი წამოდგა სიტყვის სათქმელად, ამ კრებაზე ყველა დამსწრენი აღტაცებით ვუყურებდით მის გაჭაღარავებულ მადლიან სახეს; დიდი ყურადღებით ვუსმენდით, ჩვეულებრივ, ტკბილად მოუბარს.

— ზედმეტია ლაპარაკი იმაზეო, — დაიწყო მხცოვანმა

პოეტმა, — რომ კარგი ლექსიკონი გვესაჭიროება, რაც შეიძ-
ლება ფართოდ გასავრცელებლად, რათა არ განმეორდეს ჩვენ-
ში ისეთი შემთხვევა, როგორც დაემართა ერთ ჩვენს მწე-
რალს, რომელიც თავის ნაწერებში ხშირად ხმარობდა სიტყ-
ვას „წყალვარდნილას“, ეს სიტყვა რუსულ „ვოდოპადიდან“
ეთარგმნა. ამას ყურადღება მიაქცია ყოველდღიურმა გაზეთ-
მა „ივერიამ“ და თავის მკითხველებს სთხოვა რედაქციისათ-
ვის მიეწოდებინათ „ვოდოპადის“ წამდვილი ქართული სა-
ხელწოდება. არ გასულა დიდი ხანი, რომ რედაქციას თითქ-
მის საქართველოს ყველა კუთხიდან მოუვიდა ცნობა და გა-
მოირკვა, რომ „ვოდოპადს“ ხალხში უწოდებენ „ჩანჩქერს“,
„ჩახრიალას“ და კიდევ სხვა რამდენიმე სახელწოდებას; იყო
აგრეთვე ცნობები სამეგრელოდან და სვანეთიდანაც, რომ-
ლებიც ამჟამად არ მახსოვს.

— ამრიგად, „წყალვარდნილის“ მაგიერ აღმოჩნდა რამ-
დენიმე სიტყვა, რომელიც გაფანტული ყოფილა ჩვენი სამ-
შობლოს სხვადასხვა კუთხეში. რად გვინდა თარგმნა, როდე-
საც მოგვეპოვება საკუთარი სიტყვები?

კარგი ლექსიკონის შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა
აქვს ჩვენს ქართულ ძველ მწერლობას, რაც გადაურჩა დაკარ-
გვას ან მოსპობასო.

ამის დასასაბუთებლად აკაკიმ მოიყვანა მაგალითი: თუ
გახსოვთ მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ამიერ-
კავკასიის რკინიგზის სამმართველომ დაიწყო სურამის ანუ
ლიხის უღელტეხილზე მუშაობა „ტონელის“ გასაყვანადაო.
ასეთი „ტონელის“ გაყვანა მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ მა-
შინდელ რუსულ გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობები ამ მშენებ-
ლობის შესახებ. „ტონელის“ გაყვანა დამთავრდა და მისი ზე-
იმით გახსნა მოხდა, მგონი, 1890 წელს. ასეთი ამბავი აინტე-
რესებდათ, რასაკვირველია, ქართული გაზეთების მკითხვე-
ლებსაც, მაგრამ რედაქცია ჩავარდა ერთგვარ გასაჭირში, რად-
განაც „ტონელის“ ქართულად დასახელება ვერ მოეხერხე-
ბინათ. ამის გამო რედაქციამ ერთ დანიშნულ დღეს მოიწვია
ყველა თანამშრომელი სათითაოდ, მეც დავესწარ ამ თათბირ-
საო. თათბირის მიზანი იყო გამოენახათ „ტონელის“ სახელი
ქართულადაო. დამსწრენი ზოგი ასახელებდა გამოქვაბულს,
ზოგი — ხვრელს. ბოლოს გადაწყდა, „ტონელისათვის“ დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რქმიათ „„ქვახვრიტა““, მაგრამ ასეთი სიტყვა როგორდაც არ მოგვწონდა, სმენას ეჩოთირებოდა. ბოლოს ერთმა დამსწრეთაგანმა შემოიტანა ასეთი წინადადება: არა მგონიაო, რომ ძველს ჩვენს მწერლობაში, თუნდაც „ვეფხისტყაოსანში“ არ იყოს შესაფერი სიტყვა, მე მგონიაო, ეხლა თავი შევიკავოთ ამ „ქვახვრიტას“ ხმარებისაგან და ამ მიზნით გადავათვალიეროთ ჩვენი ძველი მწერლებიო. მართლაც, გავინაწილეთ ასეთი ძიების მუშაობა და წავაწყდით სიტყვა „გვირაბს“, რომელიც ამას შემდეგ დაერქვა „ტონელს“. ეს მაგალითი ცხადყოფს, თუ ლექსიკონისათვის რამდენად ძვირფასი მასალა მოიპოვება ჩვენს ძველ მწერლობაშიო.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ლექსიკონისათვის შეგროვილ მასალას ცოცხალ ენიდან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხის მცხოვრებთა შორის დარჩენილია ზეპირგადმოცემის ან ზეპირსიტყვაობის სახით, ამაში დამარწმუნა შემდეგმა შემთხვევამაო. ჩვენი მოგზაურობის დროს ერთხანად მომიხდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში ყოფნა, ჩამოვხტი ერთი გლეხის ოჯახში. ამ ოჯახის მეთაური აღმოჩნდა ძველი თქმულებების, ამბების და საერთოდ ზეპირსიტყვიერების დიდი მცოდნე. ეს ოჯახი, გარდა მიწათმოქმედებისა, თურმე ხელოსნობასაც ეწეოდა. განსაკუთრებით ოჯახის მეთაური მთელ ამ მხარეში განთქმული ყოფილა, როგორც დახელოვნებული კაცი წისქვილების მოწყობის საქმეშიო. რაკი მოხუცებულობაში შესულა, მოეწადინა თავისი ცოდნა ეცა თავისი უფროსი ვაჟისათვის, ამიტომ მას გზავნიდ ქვილების გასაკეთებლად და ხელმძღვანელობას უწევდ ლიდან. იმჟამად უფროსი ვაჟი იმავე სოფელში ამთავრ ახალი წისქვილის გამართვას. როცა იგი საღამოთი შინ რუნდა, მამა შეეკითხა:

— რა ჰქენი, შვილო, როგორაა შენი ახალი წისქვილ საქმეო?

— რაღა როგორ არის, მამაჩემო, წისქვილი მზადაა, გ მართული ყოველ მხრივ, მაგრამ ერთი უბედურება დაგვატყ და თავს, როცა წყალი მივუშვით ღარში, ბორბალი არ დატ რიალდა, რამდენი ვეწვალე, მაგრამ ბორბალი ვერ ავამუშ ვე. მთელ დღეს ვიტანჯე, დავიღალე, მაგრამ მისი ასავალ დასავალისა ვერა გავიგე რაო.

— კარგი, შვილო, — მიუგო მამამ, — ეხლა დაისვენე, ვი-
ვახშმოთ, ხვალ დილით გამოგყვები, გავსინჯავ და ...
მე მოვაგვაროთო.

მეორე დღეს მეც გავყევი მათ, მამამ ახალი წისქვილ
გასინჯა და გამართულობა მოუწონა შვილს, შემდეგ წყალ
მიაშვებინა ღარში, მაგრამ წისქვილის ბორბალმა მოძრაობ
მაინც არ დაიწყო. მაშინ მოხუცი ხელოსანი მიაჩერდა ხ
ღარს, დაიწყო მისი სიღრმისა და სიგანის ზომვა და უთხრ
შვილს:

— აი, სწორედ ეს არის მიზეზი შენი წისქვილის უბედუ-
რებისა, ღარისათვის ტევა საკმარისი არ მიგიციაო, ღარი უნ-
და გამოცვალოო, ახალი გაუკეთე, მეტი ტევადობა მიეცი,
რადგან წისქვილის პატრონებს ძალიან ეჩქარებათ, საფქვავიც
მოუტანიათ, ეხლა მომაგონდა, სახლში ერთი ღარი მაქვს წა-
ნეთ დამზადებული, ჩემი ვარაუდით აქ გამოდგება თავისი
ტევადობით, წადი ჩქარა სახლში, მოიშველიე სხვებიც და
მოიტანე ის ხის ღარიო.

არ გასულა დიდი დრო, მოიტანეს სახლიდან ღარი, მო-
ხუცმა ხელოსანმა გაამართვინა როგორც რიგი იყო. მიუშვეს
ღარში წყალი, ბორბალი მაშინვე ამუშავდა, საფქვავიც დაა-
ყარეს, წისქვილი წესიერად ფქვავდა. ყველანი ნასიამოვნები
დარჩნენო. მამამ მიმართა შვილს:

— იცოდეო და კარგად დაიხსომეო, რომ როცა წისქვი-
ლარს აკეთებ, სუყოველთვის ტევა მეტი მიეცი, რადგა-
ნაც ტევა თუ მეტი აქვს, ამით საქმე არ დაშავდება,
საჭირო იქნება ტევის შემცირება, ეს ადვილად შეიძლება,
მაგრამ წყლის ნაკადს საჭიროებისამებრ შეამცირებო.

ყაკიმ კვლავ განაგრძო:

— ... იქ გაგონილმა სიტყვა „ტევა“, „ტევადობამ“ ძალიან
დამაინტერესა, ხშირად მსმენია ხალხში ნათქვამი ფრაზა:
ჩვენს დარბაზში იმოდენა სტუმრები შეიკრიბნენ, რომ ტევ
არ იყო, ან ეკლესიაში იმოდენა ხალხია, რომ ტევა არ ჰყოფ-
ნისო.

ბოლოს, კარგა გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ სი-
ტყვა „ტევა“ ან ტევადობა იმას ნიშნავს, რასაც რუსულად
„объем“-ს უწოდებენო.

ამიტომ ხალხში დარჩენილ ზეპირსიტყვაობას, როგორც

წინათ, ისე ახლაც მე დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებ და სწორედ ამ გარემოებამ მაფიქრებინა პერიოდული „კრებული“-ს დაარსება, რომელშიც ვაქვეყნებდი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეგროვილ ზეპირსიტყვაობასაო. „კრებულის“ გამოცემა, სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი უსახსრობის გამო შემეწყვიტაო.

— მე უკვე მოგახსენეთ, — განაგრძო კვლავ აკაკიმ, — თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენს ძველ მწერლობას, მაგრამ ასეთი მწერლობის ნაშთები წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში ძალიან მცირეა. ის, რაც გადარჩა დაკარგვას ან მოსპობას, გაფანტულია და ჩარჩენილია როგორც ამერეთის, ისე იმერეთის მცხოვრებთა ძველ ოჯახებში. სასურველია, ასეთი მნიშვნელოვანი საუნჯეები ჩვენი მომავალი მწერლობისათვის შეკრებილი იყოს აქ, ამ საზოგადოების მუზეუმში. ამ საქმეში ჩვენი დაუდევრობის დასახასიათებლად ერთს მაგალითს მოგახსენებთო: ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ, აქ, თბილისში გარდაიცვალა უძეოდ ერთი დიდი გვარიშვილის პიროვნება, იგი იყო ცნობილი ქართველი პოეტიც, ოდი თანამდებობა ეკავა და შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. მისი წინაპარნი დაახლოებულნი იყვნენ ჩვენს მეფეებთან, ამიტომ მის ოჯახში ინახებოდა ათასნაირი უძველესი ნივთები, იარაღები, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის ძველი ხელნაწერები. ყველა ამას უფრთხილდებოდა და ინახავდა მისი პატრონი, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ სხვა ქონებასთან ერთად ეს მნიშვნელოვანი საუნჯეც ყვავ-ყორანს გაჰქონდა ოჯახიდან, მისი გადაგვარებული და უთაოსნო მემკვიდრეების დაუდევრობით (აკაკი გულისხმობდა პოეტ გრიგოლ ორბელიანს). აქედან გატანილ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთ ფურცლებს შემთხვევით წავაწყდი თბილისის ბაზარზე ერთ მოვაჭრესთან, რომელიც უბრალო შესახვევი ქაღალდის მაგივრად ხმარობდაო. ბევრი ცდისა და ძიების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ფურცელი აღმოჩნდაო. ეს გადარჩენილი ფურცლები ამოხეული იყო მეტად საინტერესო ისტორიული ძეგლიდანაო.

ასეთი სიტყვის შემდეგ აკაკიმ მოუწოდა ყველა იქ დამსწრეთ, ხელი შეეწყოთ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის ძველი მწერლობის ნაშთების შეკრების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონება აკაკიზე

იშვიათი სილამაზისა და ბრგე აგებულების იყო დიდი აკაკი.

ქუჩაში თუ სხვაგან — ყველას ყურადღებას იპყრობდა მისი ყოველმხრივი სიდიადე.

ჭალარა აკაკი დათოვლილ მთასავით იდგა ჩვენ შორის — ოლიმპიური იერით, ფრიალო შუბლით, ცრემლნარევი ღიმილის მფრქვეველი თვალებით.

ისეთი გულიანი სიცილი იცოდა, რომ ვეება სხეულიც კი ვერხვივით ერხეოდა. მახსოვს მისი მოღვაწეობის ტრიუმფალური იუბილეც და მისი გარდაცვალებით გამოწვეული სახალხო გლოვაც. ორივე ისეთი დიადი იყო, რომლის მსგავსი საქართველოს გვირგვინოსან მეფეებსაც კი არ ღირსებიათ.

გორის „ქართველ ქალთა საზოგადოებამ" საქველმოქმედო მიზნით მოწყობილ „სალიტერატურო საღამოზე" მონაწილეობის მისაღებად ტფილისიდან აკაკი მიიწვია.

მე და ი. გრიშაშვილსაც გვხვდა ბედნიერება ჩვენი ახალგაზრდული ლექსებით დიდ აკაკისთან ერთად გამოვსულიყავით სცენაზე.

მეორე დღეს „ქართველ ქალთა საზოგადოების" გამგეობამ წევრთა საერთო კრება მოიწვია. ქალებით სავსე დარბაზში, მგონი, მხოლოდ მე ვიყავი მამაკაცი, ხოლო საპრეზიდიუმო მაგიდის ცენტრში აკაკი და ნიკო ლომოური ბრძანდებოდნენ.

კრების თავმჯდომარე მანდილოსანმა საზოგადოების საპატიო წევრად აკაკი დაასახელა, რაც დადასტურებული იქ ოვაციებით.

ამ დროს აკაკის გულიანი სიცილი აუტყდა.

ნ. ლომოურმა, რომელიც აკაკის გვერდით ეჯდა, მოკრძალებით ჰკითხა ენამახვილ პოეტს სიცილის მიზეზი.

აკაკი გადაიხარა მისკენ და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ლომოურმა თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გაიცინა.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ ცნობისმოყვარე მანდილოსნებს და სთხოვეს მათთვისაც გაეზიარებინათ აკაკის საიდუმლოდ ნათქვამი. აკაკი უარზე იყო, მაგრამ აღარ მოეშვნენ და რაკი ნ. ლომოურმა მისგან თანხმობა მიიღო, მხიარულად წამოდგა და გადმოსძახა ქალთა აუდიტორიას:

— აკაკიმ ბრძანა: ვატყობ, ცუდად არის ჩემი საქმე: ჩანს, ისე მოვხუცებულვარ, რომ საშიში აღარა ვარ ქალებისათვის, თორემ თავიანთ წევრად არ ამირჩევდნენო.

მეორე დღეს მთელი გორის სალაპარაკო აკაკის ეს მოწწრებული ნაკვესი იყო.

ჭიათურაში ვიყავ მიწვეული ადგილობრივი მუშათა არალეგალური ორგანიზაციის სასარგებლოდ დანიშნულ „სალიტერატურო საღამოებში“ მონაწილეობის მისაღებად.

ქუთაისიდან ჩამოსულ მწერლებს და მსახიობებს გაეგოთ, რომ აკაკი ავად არის და საჩხერეში იმყოფებაო.

გადავწყვიტეთ ნახვა.

წავედით.

მივუახლოვდით თუ არა აკაკის სახლს, წინ შემოგვეგება ბოეტის გულშემატკივარი აბდუშელიშვილი და შეგვიძღვა ავადმყოფთან.

იგი მამაპაპეულ ტახტზე გაშლილ ლოგინში იწვა და თავის „ნათელას“ კითხულობდა.

ერთობ გაეხარდა ჩვენი მისვლა. გაგვიბა თბილი მუსაიფი:

— ეჰ, მოვხუცდი, ყმაწვილებო... აი, ეს წიგნაკი ჩემი დაწერილი ყოფილა და მე კი აღარ მახსოვდა...

ვილაპარაკეთ იმ დროის ახალგაზრდა მწერლებზეც.

— შენ, როგორც გადმომცეს, სოციალ-დემოკრატი ყოფილხარ, არა? — მომიჭრა სიტყვა აკაკიმ.

— დიახ, გახლავარ, — მივუგე თავაზიანად.

— თანავუგრძნობ თქვენს პარტიას, — განაგრძო მან, — მაგრამ ერთი რამ არ მომწონს მისი.

— სახელდობრ?

— ის, რომ სამშობლოს უარყოფს... აიღე, მაგალითად, ხალიჩა: რაც უფრო ფერადი ძაფებითაა ნაქსოვი, მით უფრო

ძვირფასია... ასევე ითქმის სამყაროზედაც: იგი შედგება სხვა-
დასხვა ქვეყნის თავისებურობათაგან... საქართველო ხომ ბა-
ტარაა, მაგრამ შეხედე, რა ფერად ყვავილთა თაიგულს წარ-
მოადგენს იგი ქართლ-კახეთით, იმერეთით, გურია-სამეგრე-
ლოთი და სხვა... ეს სილარიბე კი არა, სიმდიდრეა...

გავბედე და ორიოდე სიტყვით შევეკამათე, მაგრამ დრო-
ზე მივხვდი ჩემს შეცდომას და ისევ სიჩუმე ვამჯობინე, რომ
არ შემეწუხებინა ავადმყოფი მგოსანი, მხოლოდ ერთი შეკი-
თხვა კი ვკადრე:

— ბ-ნო აკაკი, ალბათ მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო
სათათბიროს არჩევნებისათვის მზადება იწყება და თქვენ ვის
მისცემთ ხმას, ფედერალისტებს?

— აპაპაპაპა, შენც არ მომიკვდე! — გაასავსავა ხელები
და თან დაუმატა: — მე იმათგან გულნატკენი ვარ. ესეც რომ
არ იყოს, მაინც სოციალ-დემოკრატებს მივცემდი ხმას, რად-
განაც ისინი უფრო სწორ გზას ადგანან, თუმცა, ვფიქრობ,
საკუთრივ დავიდგა ყუთი.

რა თქმა უნდა, აკაკი ცდებოდა ამ შემთხვევაში: პარტიე-
ბის თუ ორგანიზაციების დამოუკიდებლად იგი გაშავდებო-
და კენჭისყრაში, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც პო-
პულარულ, დიდ პოეტს, დიდად აფასებდა მშობელი ხალხი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

პატარა ბიჭი ვიყავი — ასე 9—10 წლისა და ვსწავლობდი საჩხერის ოთხწლიან სკოლაში, რომელიც მოთავსებული იყო ნაქირავებ შენობაში, ვალერი სამხარაძე რომ ცხოვრობდა, სწორედ იმ შენობაში. ერთ დღეს ჩვენს სკოლას ეწვივნენ ელისაბედ წერეთელი და აკაკი, გამოგვიყვანა მასწავლებელმა გარეთ, ეზოში და დაგვაჯინა ცაცხვის ძირში, სადაც ისხდნენ აკაკი და ელისაბედ წერეთელი, ელისაბედმა ჰკითხა მასწავლებელს, აბა, რომელმა ბავშვმა იცის აკაკის ლექსი, გვითხრასო. მე თავი ვეღარ შევიკავე და ვთქვი, რომ ვიცი აკაკის ლექსი-თქო და ძალიან ხმამაღლა ვთქვი აკაკის „გაზაფხული". ელისაბედს ძალიან მოეწონა ჩემი ნათქვამი ლექსი, თავზე ხელი გადამისვა და მაჩუქა კანფეტი, რომელიც მე ჩემს ამხანაგებსაც გავუნაწილე. აკაკიმ კი უთხრა ელისაბედს: ეხ, ქალბატონო ელისაბედ, მაგ ბავშვებს კანფეტი კი არა, სკოლა უნდათ, სკოლაო. არ ვიცი, ელისაბედს ეწყინა აკაკის ნათქვამი თუ გაეხარდა, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ სულ მალე ამ შემთხვევიდან ელისაბედმა ძალიან კარგი სკოლის შენობა ააშენა და იმ სკოლას დაარქვა ქალთა გიმნაზია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის იუბილე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში

ქართველი ერი 1908 წელს დიდი ზეიმით ემზადებოდა, რომ ღირსეულად აღენიშნა თავისი სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავი. ეს დღესასწაული მით უფრო სანუკვარი იყო, რომ წინა წელს (1907 წ.) ვერაგულად მოკლეს დიდი ილია და საჭირო იყო, რომ წიწამურის ტრაგედიით ღრმად დაკოდილი ეროვნული სხეული მცირეოდენად მაინც მოშუშებულიყო. აკაკის იუბილე ერთგვარი სალბუნი იყო ამ დიდი ეროვნული ტკივილის დასაამებლად, რადგანაც აკაკის დროშა იგივე ილიას დროშა იყო და უკეთესი მომავლის იმედი მაინც ყველას უღვიოდა გულში.

1908 წლის დეკემბერში სწორიდან სწორზე მიჰყვა ერთმანეთს აკაკის საიუბილეო დღეები — თბილისში (7 დეკ.), ქუთაისში (14 დეკ.) და ბაქოში (21 დეკ.).

ქუთაისში ამ დროს ორი ვაჟთა გიმნაზია არსებობდა — კლასიკური და სათავადაზნაურო. კლასიკური გიმნაზია ის სასწავლებელი იყო, სადაც ერთ დროს თვით აკაკი წერეთელი სწავლობდა და, ბუნებრივია, რომ ამ გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეები საერთო ეროვნულ ფერხულში ჩავებით და გვსურდა, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ ეროვნულ დღესასწაულში. ამ მიზნით გადაწყდა, რომ იუბილე გადაგვეხადა გიმნაზიაში 1908 წლის შემოდგომაზე და ვითხოვეთ ნებართვა. ნებართვის მიღებას დააგვიანდა (გიმნაზიის დირექცია არ იყო მაინცადამაინც კეთილად განწობილი ამისთვის) და იგი გადატანილ იქნა 1909 წლის დასაწყისისათვის და მოეწყო 8 იანვარს, საღამოს.

იუბილეზე, რა თქმა უნდა, თვით აკაკი მოვიწვიეთ. იგი მოწაფეებმა მოვიყვანეთ მელიას ფაეტონით. სხდომა შედგა

სააქტო დარბაზში, გიმნაზიის შენობის მეორე სართულზე. ძვირფასი იუბილარი პირველ რიგში დააბრძანეს, სცენის წინ. საიუბილეო ზეიმს ესწრებოდნენ მოსწავლეები (როგორც ჩვენი გიმნაზიისა, ისე სათავადაზნაურო და რეალური სასწავლებლებისა), მასწავლებლები და რამდენიმე გარეშე საზოგადოებაც.

იუბილეს აღსანიშნავად მოსწავლეებს დამზადებული გვქონდა აკაკის მისართმევად ჩემი ამხანაგის — მე-8 კლასის მოწაფის — დავით კაკაბაძის (შემდეგში ცნობილი მხატვრის) დახატული „გოჩა — აკაკი", რუსთველისებრი ფრთიანი ქუდით, ჭადრის ქვეშ მდგომარე. გოჩა, მოგეხსენებათ, აკაკისავე „თამარ ცბიერის" მგოსანია, რომელიც აკაკის განსაჯიერებად მიგვაჩნდა.

ამ სურათის ჩარჩოს ქვედა არშიაზე მოთავსებული იყო აკაკის „თამარ ცბიერის" V მოქმედებიდან ამოღებული სიტყვები, მსაჯულთუხუცესის მიერ თქმული მეფის წინაშე:

ტახტზე ასული ფარისევლობა
სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა
და დღევანდელმა დღემ არ იცოდა,
თუ ხვალინდელი რას მოიტანდა.
მაშინ გავიდა ხალხში მგოსანი,
საერო ცრემლით ჩანგზე დამღერა
და ხალხის გული მიძინებული
გამოაფხიზლა და ააძგერა.

სურათს უკანა გვერდზე კი ეკრა ერთი მე-8 კლასისავე მოწაფის ლექსი, ამ სურათის გამო აკაკის საიუბილეოდ დაწერილი და აკაკის პატრიოტულ ჰანგებზე გამართული, რომელიც ასე იწყებოდა:

ჩაფიქრებულა მგოსანი,
შავი ფიქრებით მოცული,
თვალწინ ეხატვის სამშობლო,
მტერთაგან გარემოცული.

მაგრამ ეს მას არ აწუხებს:
თუ ხეს ფესვი აქვს მაგარი,
მას ვერ წააქცევს გრიგალი,
ვერც არას აწყენს ავდარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეშე მტერი რას იზამს,
თუ შიგნით ყველა მზად არი,
დაიცვას თავის სამშობლო,
ტურფა ედემის სადარი... და სხვ.

საკმაოდ მოზრდილი ლექსი თავდებოდა გოჩას მიმართვით ჭადრისადმი:

შენ მაინც იდექ, ჭადარო,
ამაყად, ურჩად, უვნებლად,
ეხლანდელ დროის მოწამედ,
წარსულის მოსაგონებლად.
ჩვენს შვილიშვილებს მოუთხარ
ჩვენი ამბავი ყველაო,
ამცნე, რომ ერთობაშია
ქართველთა ხსნა და შველაო.

ეს სურათი გიმნაზიაში გასამართავ საღამოზე უნდა მიგვერთმია აკაკისათვის, მაგრამ, რაკი ამის ნებართვის მიღებას დააგვიანდა და შეიძლება სულაც ვერ მიგვეღო, ავდექით და იგი 21 დეკემბრის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე მივართვით.

სურათი აკაკის არქივიდან საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში გადასულა და ეხლაც იქ არის დაცული.

საიუბილეო პროგრამაში, იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსების გარდა, რომლებიც მოწაფეებმა წაიკითხეს, იყო ორი მოხსენება: ერთი ჩემი, რუსულ ენაზე, და მეორე ჩემი ამხანაგის — იოველ ჟორდანიასი, ქართულ ენაზე (ეს იოველ ჟორდანია შემდეგ ოდესაში სწავლობდა, მერმე კი ექიმი გახდა. ამჟამად აღარ არის ცოცხალი). მისი მოხსენება ეხებოდა საერთოდ აკაკის ცხოვრებასა და სალიტერატურო მოღვაწეობას, ჩემი კი — მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზებს, აკაკის რომანტიზმის მოტივებს მის ისტორიულ პოემებში და ამ რომანტიზმის გამომწვევ მიზეზებს. მოხსენებაში, სხვათა შორის, აღნიშნული მქონდა, რომ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები მე-19 საუკუნის დასაწყისში გადაწყდა არა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო ერეკლეს დადებული ხელშეკრულებით და როგორც მოელოდა იმდროინდელი საზოგადოება, არამედ... აქ Ho-სთან შევჩერდი, აღარ წავიკითხე უშუალოდ

მომდევნო წინადადებები, გადავფურცლე რვეული და გადავედი სხვაზე. ამ დროს უკანა რიგის მოწაფეებში ატეხა ტაშისცემა, მათ მიჰყვნენ სხვებიც და ამით ცარიზმის პოლიტიკის დაგმობამ აშკარად დემონსტრაციული ხასიათი მიიღო.

ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ზოგიერთ პირს, უპირველეს ყოვლისა, გიმნაზიის დირექტორს მ. გლუშაკოვს, რომელიც ხონელი კაცი იყო, ქართული კარგად იცოდა და წიგნიც ჰქონდა დაბეჭდილი საქართველოს შეერთების შესახებ რუსეთთან. გავათავე მოხსენება თუ არა და ფარდა დაეშვა, გლუშაკოვი აღელვებული ამოვიდა სცენაზე, მომვარდა და ძალიან მწყრალად მითხრა: «Вы нас подвели!» მე ვუპასუხე: «Чем я подвел вас, Михаил Васильевич?» მინდოდა კიდევ რაღაც მეთქვა. დირექტორმაც სცადა საყვედურით ავევსე, მაგრამ მე მოვუჭერ: «Во всяком случае, здесь, сейчас говорить об этом не время». «Верно»-ო მიპასუხა მან, გამომგლიჯა მოხსენების რვეული და წაიღო. იუბილე რომ გათავდა, გლუშაკოვმა ი. ჟორდანია შეაქო: შენი მოხსენება კარგი იყოო (ეს, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ჩემი არ მოეწონა).

იუბილეს შემდეგ ეკაკი იმავე ეტლით წააბრძანეს.

არ ვიცი, ვინ რა გუნებაზე დაბრუნდა შინ, მაგრამ მე კი ვიგრძენი, რომ ამ ამბავს ჩემთვის რაღაც არასასიამოვნო შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

მეორე დღეს, საღამოს ფიცხლად მოიწვიეს გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო, სადაც იუბილეზე მომხდარი ინციდენტის საკითხი გაირჩა. როგორც შემდეგ გავიგე ახალგაზრდა მასწავლებლებისაგან (ამბროსი სვანიძისა და ნიკოლაევისაგან), სხდომაზე ძალიან ბობოქრობდა თურმე ზოგიერთი მასწავლებელი, მაგ., ვიტალი იურკევსკი, რომელსაც, რეაქციონერობის გარდა, მექრთამეობასაც სწამებდნენ. იგი მოითხოვდა თურმე ჩემს გარიცხვას გიმნაზიიდან. ბევრი ითქვა ჩემს წინააღმდეგ და შეიძლება გავერიცხეთ კიდეც, ოღონდ ეს ის დრო იყო, როდესაც, მართალია, რეაქცია მძვინვარებდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოველი იყო 1905 წლის რევოლუციის ამბები და მათი გამოძახილი. ამიტომ ჩემი გიმნაზიიდან გარიცხვა შეიძლება ძალზე გახმაურებულიყო და საზოგადო-

ებაში უკმაყოფილება გამოეწვია, მით უმეტეს, რომ თვით აკაკი გახდა ამ ინციდენტის მოწმე.

სხვადასხვა აზრის მოსმენის შემდეგ წამომდგარიყო მასწავლებელი მიხეილ საღარაძე (იმ დროს იგი გიმნაზიის ინსპექტორადაც იყო), კაცი ნიჭიერი და კარგად მოლაპარაკე, რომელსაც თავისი სიტყვა ისე აეგო, რომ პირველად თურმე გამკიცხა, მაგრამ შემდეგ შეეცადა ჩემს დაცვას. თუ მივიღებთ მხედველობაშიო, განეცხადებინა მას, რომ კაცი ჩინებულად სწავლობს, რომ აქამდე არაფერი დაუშავებია, თანაც იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრალი რამდენადმე ჩვენც გვედება, რადგანაც ჩვენი მოვალეობა იყო, რომ მოხსენება წინასწარ გაგვესინჯაო, შანიძეს სასჯელი უნდა შეუმსუბუქდესო; ყოველ შემთხვევაში, გიმნაზიიდან მისი დათხოვნა არ იქნება სწორი გადაწყვეტილებაო. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ჩემთვის ყოფაქცევაში სამი დაესვათ სასწავლო წლის მესამე მეოთხედში (რადგანაც ეს ამბავი იანვარში მოხდა).

მაშინ რუსეთის იმპერიაში ისეთი წესი იყო, რომ, თუ უფროსი კლასების მოწაფე (მეხუთე კლასიდან მერვემდე) რასმე დააშავებდა და ყოფაქცევაში მიიღებდა ოთხს ან სამს, მაშინვე ეს ამბავი ოლქის მზრუნველისათვის უნდა ეცნობებინებინათ სათანადოდ დასაბუთებული. ამ დროს მთელი ამიერ და იმიერკავკასიის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები თუ რეალური სასწავლებლები (ბაქოდან ბათუმამდე და როსტოვიდან ყარს-ერევნამდე) კავკასიის ოლქს ექვემდებარებოდა, რომლის უფროსი, ე. წ. მზრუნველი (попечитель), თბილისში იჯდა. ამ დროს კავკასიის ოლქის მზრუნველად რუდოლფი იყო და ქუთაისიდან მასთან აფრინეს წერილი ჩემი დანაშაულის შესახებ, მისწერეს მთელი გარემოება და გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილება: სამი დავუსვით ყოფაქცევაშიო.

გავიდა თვე-ნახევარი, თუ ორი თვე. დირექტორმა დამიბარა თავის კაბინეტში და მითხრა: ოლქის მზრუნველს ვაცნობეთ, რომ თქვენ ყოფაქცევაში სამი დაგისვით და მან პასუხად მოგვწერა: არ კმარაო. შემდეგ ჩვენ ავიღეთ და მკაცრი საყვედურის გამოცხადება დაგიმატეთო და ეგეც ვაცნობეთო. ამის შემდეგ ოლქს აღარაფერი მოუწერია და გვგონია,

რომ ამით დაკმაყოფილდნენო. მაგრამ, დასძინა მან, კიდევ
რომ მოეწერათ, რომ არც ეს არის საკმარისიო, მაშინ სას-
ლის ახალ დამატებად თქვენი კარცერში ჩასმა გვქონდა მო-
ზადებულიო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქმე ასე შორს არ
წავიდაო. რაც შეეხება მკაცრი საყვედურის გამოცხადებასო,
მითხრა მან თბილად, თქვენ უკვე ბავშვი აღარა ხართ, რომ
დაგარიგოთ და ჭკუა გასწავლოთ, მალე გიმნაზიას გაათავებთ
და მოწიფულობის მოწმობას მიიღებთ და, აბა, რაღა გითხ-
რათო! საყვედურს თავი დავანებოთ და ამას გთხოვთ, რომ
«მიერიდან მაინც ნურას დააშავებთ, გიმნაზიის გათავებამდე
ცოტაღა გიკლია და, თუ შემდეგ მეოთხედში ყოფა-ქცევაში
ხუთს მიიღებთ, წლიურს ხუთს გამოგიყვანთ და ცუდი არა
მოგივა რაო. თქვა ეს დირექტორმა და მომაწოდა წართმეუ-
ლი მოხსენება, რომელიც ჩემი დანაშაულის ნივთიერ საბუ-
თად ეჭირა მანამდე, თანაც დასძინა: თავისუფალი ხარო.

დირექტორის ტკბილი საუბარი მეამა. მე თავი დავუკარ,
მადლობაც ვუთხარი და გამოვედი. მართლაც, შემდეგ არა-
ფერი მომხდარა ისეთი, რომ ყოფაქცევაში ნიშანი დაეკლოთ.
ერთი კია, მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ რაიმე
საფრთხე არ გამოტყვრებოდა გიმნაზიის გათავებამდე. და ხან-
დახან იმის ფიქრში ვიყავი, რომ, თუ საქმე წახდებოდა და
ცუდი ნიშანი გამომყვებოდა ყოფაქცევაში, რუსეთში, რა
თქმა უნდა, ვერ განვაგრძობდი უმაღლესი სწავლის მიღებას,
და ხომ არ შეიძლება როგორმე მოხერხდეს, რომ საფრანგე-
თში წავიდე და იქ განვაგრძო-მეთქი. მაგრამ მოხდა ისე, რომ
გიმნაზია კარგად გავათავე. ცოტა აღერღილი კი ვიყავი და
მეცადინეობას კარგად ვერ დავუდევი გული ,მაგრამ ვერცხ-
ლის მედლიანი ატესტატი მომცეს (ერთმა ოთხიანმა ხელი
შემიშალა, რომ ოქროს მედალი მიმეღო. მაშინ მედლებს
ფაქტიურად არ იძლეოდნენ, იწერებოდა მხოლოდ).

იმავე 1909 წლის სექტემბერში მე უკვე პეტერბურგის
უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი ვიყავი და აღმოსავლუ-
რი ენების ფაკულტეტზე ლექციებს ვუსმენდი ნ. მარს, ი. ჯა-
ვახიშვილს, ა. შმიდტს და სხვებს.

გავიდა ხანი. მითხრეს, რომ აკაკი წერეთელი აქ არის,
პეტერბურგშიო (ეს უნდა ყოფილიყო 1910 წლის გაზაფხუ-
ლზე, როცა აკაკი პარიზიდან დაბრუნდა გერმანიაზე გამოვ-

ლით). ძალიან გამეხარდა. მენატრებოდა მისი ნახვა და გავეშურე იმ ბინაზე, სადაც იგი ჩამომხდარიყო (ეს იყო, რახტანადაც მახსოვს, მიქელაძის ოჯახი). მივესალმე მოწიწებით. აკაკიმ მიცნო, ესიამოვნა ჩემი მისვლა, დაჯდა და მეც დამსვა. შევყევით საუბარს, რომელიც, სამწუხაროდ, მოკლე აღმოჩნდა. აკაკიმ ჩემთან საუბარში თქვა: კიტა აბაშიძე ისეთი კაცია, რომ ჩემი სისხლის შესმაზე უარს არ იტყვისო. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი რამის გაგონება. კიტა აბაშიძეს მაშინ პირადად არ ვიცნობდი, წაკითხული კი მქონდა ერთ-ერთი მისი კრიტიკული წერილი. არ მახსოვს რამ გამოიწვია კიტაზე საუბარი, მაგრამ მისმა სისხლის შესმის ამბის გაგონებამ თავზარი დამცა, ვიფიქრე: რას ამბობს ეს ბუმბერაზი კაცი-მეთქი და შეშფოთებულს უნებლიეთ იმწამსვე ამომხდა: რას ბრძანებთ, ბატონო-მეთქი! ჩემი განცვიფრება არ ესიამოვნა აკაკის და წარბი შეიკრა. მე ენა ჩამივარდა, საუბარი ველარ განვაგრძე. აკაკიმაც აღარაფერი თქვა, ოღონდ გამეფებული სიჩუმე მანვე დაარღვია. წამოდგა. მეც მივბაძე. მან მოიბოდიშა: უკაცრავად, შეუძლოდა ვარ და ბოდიშს ვიხდი, რომ სამაგიერო დარბაზობას ვერ გადაგიხდიო. გამომიწოდა ხელი და დავემშვიდობე უხმოდ.

გამოვბრუნდი ჩემს ბინაზე გულმოკლული და მოშხამული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწყვეტი მოგონებიდან

ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი სხვიტორიდან ხშირად ეწვეოდა ხოლმე ქუთაისს, მაგრამ აკაკი ქუთაისის ისეთი ხშირი სტუმარი იყო, რომ სტუმრად არც კი ჩაითვლებოდა; ქუთაისი აკაკის გარეშე წარმოუდგენელი იყო, რაღაც აკლდა, ხალხი მოიწყენდა, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „რა ამბავია, ჩვენი აკაკი რომ არ ჩანს, ნეტავი არაფერი შეემთხვევოდეს, ავად ხომ არ არისო". ქუჩაში რომ დაინახავდით აკაკის დინჯად, მისებური მიხრა-მოხრით მომავალს, აუცილებლად სიხარულსა და რაღაც საამო სულიერ სიმშვიდეს იგრძნობდით.

მე მგონია, აკაკის ქუთაისში ჩემს დროს მუდმივი ბინა არ ჰქონდა, ხან ერთ მეგობართან ათევდა ღამეს, ხან — მეორესთან, უფრო ხშირად ბეჟან წერეთლისას; ხშირად ესტუმრებოდა გ. შარვაშიძეს, რომელიც მაშინ სასტუმრო „გრანდ ოტელში" ცხოვრობდა და უმართავდა აკაკის ლიტერატურულ პაექრობას. ცნობილია ამ ორი მეგობრის პოეტური გამოკამათება, მათი იუმორისტული მიმოწერა.

მეც შევხვედრივარ აკაკის ნ. ნიკოლაძის დების და ქორ-ქაშვილის ქალების ოჯახში. საამო იყო მისი საუბრის, მისი ოხუნჯობის, ნაკვესების და მოსწრებული სიტყვების მოსმენა. ხშირად მინახავს აკაკი დ. მიქელაძე—მეველისას, ანტონ ლორთქიფანიძისას და სერგო ბახტაძისას, სადაც მას ბანქოს თამაშს უწყობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებათა კრიალოსანი

ჩემს ბავშვობაში, როცა სოფელში მშობლებთან ვიზრდებოდი, ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე მესმოდა — ილია, აკაკი, აკაკი, ილია... ამ ორი ბუმბერაზის სიტყვა ხალხში ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა.

აკაკი მამაჩემის ბიძის, დავით ჩხეიძის ახლო მეგობარი ყოფილა. დათა ჩხეიძე იმ დროისათვის საკმაოდ განსწავლული კაცი იყო და თურმე ლექსებსაც წერდა. აკაკი ისე ახლოს ყოფილა დათა ჩხეიძესთან, რომ რამდენჯერმე სწვევია კიდეც სოფელში.

სასწავლებელში მიბარების დრო დადგა, და მალე თავი ქუთაისისაკენ გვიკრეს. პირველად, ცხადია, ჩვენთვის და ჩემი ორი ძმისთვის ძნელი იყო დედ-მამის მოშორება და სოფელს გამოთხოვება, მაგრამ რა გაეწყობოდა, სწავლა იყო საჭირო. ქუთაისში დეიდასთან ვიზრდებოდით. გენერლის ქუჩაზე ხუჯაძის სახლში ვცხოვრობდით. ზემო სართულზე ჯაბა გურიელი (პოეტ მამია გურიელის ძმა) იდგა, პირველ სართულზე კი — ჩვენ. ჯაბას მეუღლე ელეონორა თავდგირიძის ქალი ლამაზი და მეტად სათნო ადამიანი იყო. უშვილო ცოლ-ქმარმა მე და ჩემი ძმები საკუთარი შვილებივით შეგვიყვარეს. ვის არ შეხვდებოდით აქ. პირველად აქ ვნახე დიდი ილია, გრიშა და კიტა აბაშიძეები, კირილე ლორთქიფანიძე. აქვე ვიხილე ერის საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი. აკაკი გურიელების ხშირი სტუმარი იყო.

აკაკის ძალიან უყვარდა ბავშვები. მე ჩემს ძმებს შორის ყველაზე უმცროსი ვიყავი და აკაკი განსაკუთრებული ალერსით მეპყრობოდა.

შემდეგაც ხშირად ვხვდებოდი პოეტს ქუთაისში, ოჯახში, სალიტერატურო საღამოზე. მაშინ უკვე უფროსი კლასის მოსწავლეს ბევრჯერ მინახავს ქუთაისის ბულვარზე მსხდომი აკაკი, კირილე ლორთქიფანიძე, კოტე ბაქრაძე და სხვები.

აკაკის იუბილე იმხანად მთელი საქართველოს ზეიმად იქცა. ქუთაისს მივაშურე. წინადღით აკაკის შემოქმედებაზე ლექცია იქნა წაკითხული. მეორე დღეს დიდი ზეიმი ეაიმართა. კარგად მახსოვს, ქუთაისის ქუჩები ხალხით იყო სავსე.

იმ თეატრალურ სეზონზე ქუთაისში მოწვეული იყო ქართული თეატრის დიდი მოამაგე, პროფესორი აკაკი ფალავა. მან აკაკი წერეთლის „პატარა კახი" დადგა. პატარა კახის როლს ასრულებდა ცნობილი მსახიობი ნინო დავითაშვილი, ხოლო ლევან ქვაბულიძისას — მე. ამ წარმოდგენას ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკიც დაესწრო.

მახსოვს, ერთხელ ქუთაისიდან მამასთან ერთად მატარებლით მოვდიოდი. ჩვენ სწორედ იმ კუპეში მოვხვდით, სადაც აკაკი იჯდა. აკაკის თან ახლდა მისი ახლობელი კოტე აბდუშელიშვილი. პოეტი სხვიტორში მიდიოდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც საყვარელი მგოსანი დავინახეთ. ვაგონში მყოფნი მის გარშემო ტრიალებდნენ, უნდოდათ მასთან ახლოს ყოფილიყვნენ და ერთხელ კიდევ მოესმინათ აკაკის მოსწრებული სიტყვა-პასუხი. ერთ-ერთმა მგზავრმა იმდენი აქო აკაკი, რომ გადააჭარბა. როდესაც კუპედან გავიდა, აკაკიმ თქვა: „ჩემი ამდენი ქებით თქვენც შეგაწუხა და მეც დამღალაო."

აკაკი გულმოწყალე იყო. თბილისში აკაკი რამდენიმე წელიწადი ცნობილი მსახიობის მაკო საფაროვას სახლში ცხოვრობდა. ერთხელ აკაკის მივმართე, — მიამბო მაკომ, — ბატონო აკაკი, თუ ნებას მომცემთ, მსახურს გავაფრთხილებ არავინ მიიღოს, თორემ ამდენ მთხოვნელს თქვენ კი არა, ნიკოლოზის ხაზინაც ვერ დააკმაყოფილებსო... აკაკის გულმოსულად უპასუხნია: მაკო, შენგან არ მიკვირს, კაცი რომ დახმარებას ითხოვს, ჩანს, უჭირს, უარით გასტუმრება როგორ შეიძლება. თუ ფული არ მექნება და ვერ დავეხმარები, კარგი, იმედიანი სიტყვით მაინც გავუშვებ... გთხოვ ეგ არ ჩაიდინოო, უთხრა თურმე აკაკიმ და მსახური თვითონ გააფრთხილა შინა ვარ ყველასათვისო.

1912—1913 წლებში პეტერბურგში ვიმყოფებოდი. მალე ხმა დაირხა, აკაკი პეტერბურგში ჩამოდისო. იგი ჩამოვიდა და თავისი ნათესავის ბაბო შერვაშიძის ოჯახში გაჩერდა. რამდენიმე ახალგაზრდამ გადავწყვიტეთ ვხლებოდით და გვენახა

განზრახვა სისრულეში მოვიყვანეთ. შევიკრიბეთ — სამსონ და შოთა დადიანები, დათიკო და ლევან წერეთლები — მისი ახლო ნათესავები, ვლადიმერ ცაგურია, სიმონ მდივანი და მე. აკაკის დიდად გაეხარდა ჩვენი სტუმრობა. იგი ჯერ გვესაუბრა და მერე პეტერბურგში მყოფი ქართველი ახალგაზრდობის საქმიანობით დაინტერესდა, დაგვარიგა და გვთხოვა კვლავ ხშირად გვენახულა ხოლმე. ქართველმა სტუდენტებმა გადავწყვიტეთ აკაკი მარტო არ დაგვეტოვებინა და ვიდრე აქ დარჩებოდა, ორ-სამ კაცს ყოველთვის მასთან გვემორიგევა.

ასეც მოხდა. იმ ზამთარში აკაკიმ საკმაო დრო დაჰყო პეტერბურგში და ჩვენც ხშირად ვიყავით ხოლმე მასთან. იმ ხანად პეტერბურგში ყოველ წელიწადს ქართული საღამოები იმართებოდა. 12 იანვარს საღამოს გამართვა აკაკის იქ ყოფნას დაემთხვა. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ქართული საღამო იყო პეტერბურგში. საღამო გრანდიოზული გამოვიდა. ჩვენი საღამო გაიმართა მაშინდელ სათავადაზნაურო საკრებულოს შენობის საუკეთესო დარბაზში, რომელიც თავისი მოცულობით ყველაზე დიდი იყო მაშინ პეტერბურგში.

საღამოს დიასახლისობა თავს იდო დიდი მთავრის კონსტანტინეს ასულმა, რომელიც ცოლად გაჰყვა კონსტანტინე ბაკრატიონ-მუხრანსკის. ამ საღამოს მონაწილეობის სურვილი განაცხადეს ცნობილმა მსახიობებმა: სტრელსკაიამ, ვარლამოვმა, მიჩურინა-სამოილოვმა, ხოდოტოვმა. კომისიის დადგენილებით დ. წერეთელი, სილამაზით განთქმული მერი შერვაშიძე, სიმონ მდივანი და მე უნდა ვხლებოდით აკაკის ბინაზე და ისე წამოგვეყვანა.

ყველაზე დიდ ფოიეში ტალავერი იყო დადგმული. მის ქვეშ სტუმრებისათვის დიდი მაგიდა იდგა, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, აკაკის პატივსაცემად.

ამ მაგიდას უსხდნენ: სახელმწიფო სათათბიროს წევრები, ცნობილი მსახიობები, პროფესორები, მასწავლებლები და კომისიის წევრები. ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, თუ რა პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა აკაკი არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. საღამოს მონაწილენი თავს მოვალედ თვლიდნენ მოსულიყვნენ ჩვენს მაგიდასთან და შეესვათ აკაკის სადღეგრძელო. მთელი მაგიდა, იატაკი და საერთოდ მთლიანად ეს ვეებერთელა დარბაზი ვარდე-

ბით იყო მოფენილი. ვახშამმა დილამდე გასტანა. სუფრაზე ჩვენებური მოლხენა იყო გამეფებული. სტუმრებიც ავიყოლიეთ. გამოჩენილი მომღერლები სობინოვის მეთაურობით ერთმანეთს სიმღერაში ეჯიბრებოდნენ.

საღამოზე აკაკიმ ბრწყინვალე სიტყვა წამოთქვა. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებას და არამც თუ ჩვენ, ქართველები და რუსები, არამედ სხვა ერების წარმომადგენლებიც აღტაცებაში მოიყვანა.

...აკაკი ავად გახდა, მთელი საქართველო მწუხარებამ მოიცვა. ექიმები მიუწვევლად მოდიოდნენ თბილისიდან, ქუთაისიდან. ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები საჩხერისაკენ გაეშურნენ...

უსაყვარლესი აკაკის გარდაცვალებამ საქართველო ძაძით შემოსა. ყოველგვარი გეგმის შეუდგენლად, სტიქიურად დაიძრა პროცესია სოფელ სხვიტორიდან. მიუხედავად იანვრის სუსხიანი დღეებისა, ყოველ სადგურზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. ტევა აღარ იყო. სადგურში მატარებლის შემოსვლის დროს ყველა მუხლს იყრიდა ცხედრის წინაშე. ასე ჩამოასვენეს მგოსანი შორაპანში. სადგური და მის ირგვლივ არემარე ხალხით იყო გაჭედილი. მთელი ღამის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ემატებოდა ხალხის ახალ-ახალი ნაკადი. დილით მატარებლის ორი შემადგენლობა თბილისისაკენ გაემართა. საქართველო საყვარელ მგოსანს ემშვიდობებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“

ამ სიტყვების დამწერი ვის არ ახსოვს, ვინ არ ეთაყვანება მის ხსოვნას.

მაგრამ რა ვქნა, რომ მოვხუცდი და მახსოვრობა მღალატობს, ვეცდები, ცოტა რამ მაინც მოვიგონო. ახლად შევაღე თეატრის კარები. ვცხოვრობდი ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის კოტე მესხის ოჯახში, ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო აკაკი. რა თქმა უნდა, მთელი ოჯახი აღფრთოვანებული ხვდებოდა. და მეც, პატარა გოგონა, თვალებში შევციცინებდი. ხშირად უყვარდა ტკბილ მოუბარ აკაკის სხვადასხვა ამბის მოყოლა. კოტე შეხაროდა, ეუბნებოდა; „აკაკი, ხომ ვიცი, ეს ამბავი შენი დიდი ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ განაგრძე, განაგრძე, შენი ჭირიმე. გულს უხარია შენი მოსმენა,“ აკაკი ჩაიცინებდა და განაგრძობდა მოთხრობას თავისი ტკბილი ხმით, დინჯად, ენამახვილად.

თუ არა ვცდები, 1896 წელს გაიმართა ჩვენი პოეტის — რაფიელ ერისთავის იუბილე. ეს იყო პირველი იუბილე ქართველი მოღვაწისა. რაფიელ ერისთავი გამოიყვანეს სცენაზე დიდმა ილიამ და აკაკიმ.

სიკვდილამდე არ დამავიწყდება ამ სამი ბუმბერაზის სცენაზე გამოჩენა. შუაში იდგა აღელვებული რაფიელი, აქეთ-იქით უდგნენ ჩვენი ქვეყნის დედაბოძნი — ილია და აკაკი. დამსწრე საზოგადოების სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩვენი ლიტერატურის სამი დიდი წარმომადგენელი ერთად წარსდგა საქართველოს ყოველი კუთხის წარმოგზავნილთა წინაშე, მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა და ისე მიესალმა თავისი ერის მშვენებათ.

აკაკი ხომ დიდი მოყვარული იყო ქართული თეატრისა და დიდი ღვაწლიც მიუძღოდა. ჩემს დროს მოწვეული იყო თეატრში რეჟისორად. დიდი მცოდნე იყო ხელოვნების, დი-

დი ერუდიციის მქონე, ძალიან კარგად უხსნიდა მსახიობებს პიესის შინაარსს, იდეას, რაც საჭირო იყო როლის გასახსნელად. ჩვენს დასში იყვნენ ისეთი მსახიობებიც, რომელთათვისაც საჭირო იყო რეჟისორის მიერ ჩვენება ყოველი ნაბიჯისა; როგორც არაპროფესიულ რეჟისორს, აკაკის ეს არ ეხერხებოდა და ხელს უშლიდა მუშაობაში. მიუხედავად ამისა, მაინც სასურველი იყო მისი ჩვენთან ყოფნა.

რამდენიმე ეპიზოდი ჩემი მეუღლისა, მიხეილ ქორელისა და ჩემი მამამთილის, ფილიმონ ქორიძის ბიოგრაფიებიდან: 8 წლის პატარა ბიჭი იქნებოდა მიხეილ ქორელი, როდესაც თბილისში მამასთან, ფილიმონ ქორიძესთან პირველად ნახა აკაკი წერეთელი. ერთხელ ის და მისი მეზობლის ბავშვები ოთახში თამაშობდნენ, უფრო სწორად რომ თქვას კაცმა, იქაურობას იკლებდნენ, ყველაფერს თავდაყირა აყენებდნენ, სპექტაკლს აწყობდნენ. იმ დროს ბავშვები ფენიმორ კუპერით ყოფილან გატაცებული. მიშა ამერიკელ წითელკანიანს — „შევარდნის თვალს“ თამაშობდა, ხოლო მისი ამხანაგები — ევროპელებს. ამ დროს მამამ დაუძახა თურმე. დასცეცხლა უფროსების დაძახებაზე, დაუყოვნებლივ უნდა მისულიყო, მაგრამ რანაირად, წითელკანიანს თამაშობდა, ფეხშიშველი იყო, გულსა და სახეზე წითელი და თეთრი საღებავები ჰქონდა მოთითხნილი. საჩქაროდ ჩაცმა დაუწყია. უცხო სტუმრისა და აჩქარების გამო წონასწორობა დაუკარგავს თურმე. „რა გაღელვებს. ლამის ცრემლებიც მოგვიდეს,“ — მიმართა დედამ და ჩაცმაში დაეხმარა. ამშვიდებდა: „არაფერია, მამაშენს უნდა სტუმარს შენი თავი გააცნოსო, აბა, შენ იცი, თავი თავაზიანად დაიჭირეო! ეს სტუმარი სულ სხვანაირია, ჩვეულებრივს არა ჰგავსო“. სასტუმრო ოთახში რომ შესულა, ბოდიში მოუხდია მამის წინაშე და განზე გამდგარა.

— აგერ, ბატონო აკაკი, ჩემი პატარა ვაჟი.

წინ წაუწევია, როგორც წესი მოითხოვდა, გაჩერებულა, იცოდა, რომ სანამ უფროსი ხელს არ გაუწვდის, თვითონ ხელი არ უნდა გაუწოდოს.

— გამარჯობა, ყმაწვილო კაცო! — ხელი გამოუწოდებია და მაგრად ხელი მოუჭერია, როგორც ტოლს.

გუნებაში გასცინებია, სადაური ყმაწვილი კაცი ვარო, უფიქრია, ძლივს რვა წლისა ვიქნებიო!

თვალები ალერსიანად ულიმოდა.

— მეც, ჩემო პატარა მეგობარო, ხანდახან ლექსებს ვწერ. ჩემი ლექსები პუშკინის ლექსებივით ლამაზი არ არის, მაგრამ ზოგი ჩემი მეგობარი, — გადაუხედავს ფილიმონისაკენ და ეშმაკურად გადაუკრავს, — ჩემს ლექსებს მოთმინებით კითხულობს.

„მისი იუმორი მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როდესაც გავიზარდეო“, და მისი სიტყვები და ღიმილი აგონდებოდა ყოველთვის.

აკაკის გვერდზე მოუსვამს, მხარზე ხელი დაუდვია, მაგ მეგობრულს კილოს ბავშვი გაუთამამებია და უკითხავს:

— თქვენ მართლა ლექსებს სწერთო?

— მართლა!..

— შვილო! იცოდე და დაიხსომე: ეს ჩვენი სათაყვანო, საყვარელი პოეტია, აკაკი წერეთელი!

მასთან ბაასით მოხიბლულ ყმაწვილს ბევრი რამ უნდოდა კითხა, მაგრამ დერეფანში ზარის ხმა გაისმა თურმე.

მამას ბავშვი თავის ოთახში გაუშვია. აკაკისათვის ხელი ჩამოურთმევია და გასულა.

დედისათვის უკითხავს, კიდევ მალე თუ მოვიდოდა ეს საყვარელი სტუმარი მათთან. დედას დაუმშვიდებია და უპასუხნია: „ახლა ხშირად ივლისო“.

ფილიმონ ქორიძე იმ დროს ოპერის ცნობილი მომღერალი იყო. ის ჯერ იტალიაში, შემდეგ კი თბილისის ოპერის თეატრში მღეროდა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი ქართული ხალხური სიმღერა-გალობის შეკრებასა და ჩაწერას შეუდგომია, ევროპული ნოტების საშუალებით, რომ ჩვენი მუსიკა კარგად და უცვლელად შენახულიყო.

ამ რთული მუშაობით დაღლილს, აკაკი ამხნევებდა და ეტყოდა:

— ნუ გეშინია, ფილიმონ. ეს საქმე ბოლოს და ბოლოს კარგად დასრულდება!

აკაკი ძველი ქართული სიმღერების აღდგენისა და შენახვის საკითხით ძალიან იყო დაინტერესებული. სწორედ ამ ნიადაგზე გაეცნო ფილიმონ ქორიძეს და ხშირი სტუმარი ყოფილა ამ ოჯახის. ისმენდა ჩანაწერებს, მუშაობას ესწრებოდა, სიმღერებს დიდი ყურადღებით უსმენდა, ზოგჯერ მომღერლებს

მის მიერ საჩხერესა და, საერთოდ, იმერეთში ბავშვობიდან-ვე გაგონილ კილოს უსწორებდა. მიხეილი, ჩემი მეუღლე, ისე შეეჩვია მის კილოს, მის სასიამოვნო ღიმილს, მისი ასაკის შესაფერ და საინტერესო თემებს, ყოველივე ეს იმდენად მიმ-ზიდველი იყო თურმე, რომ როდესაც პოეტი წასვლას დააპი-რებდა, წუხდა.

განსვენებული ჩემი მეუღლე განსაკუთრებული სიყვარუ-ლით უამბობდა, როგორც შვილებს, აგრეთვე შემდეგში შვი-ლიშვილებს აკაკიზე, როგორც უდიდეს პოეტზე, დიდ მოღვა-წესა და საყვარელ ადამიანზე.

ძალიან ალერსიანი იყო ჩემთან დიდი აკაკი. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გავაჯავრე. ეს იყო პირველად რომ სუმბა-თაშვილის პიესა „ღალატი“ დაიდგა, სხვადასხვა მიზეზების გამო, — ეს გრძელი ამბავია და აქ არ მოვყვები, — უარი ვთქვი ზეინაბის როლის შესრულებაზე. აი, მაშინ აღელდა ჩვენი აკაკი და გაჯავრებულმა დამიწყო გაკიცხვა. „თქვენ ნუ, ბა-ტონო აკაკი, თქვენ ნუ გამიჯავრდებით“, — ვუთხარი. პიესა მაგიდაზე დაანარცხა და გაბრუნდა. არ ვიცი, გაიგო, რომ მართალი ვიყავი, თუ სხვა რამ მიზეზით, რამდენიმე ხნის შემ-დეგ ისე ტკბილად შემხვდა, თითქოს არაფერი უსიამოვნება ჩვენს შორის არ ყოფილიყოს.

მახსოვს პატარა ცემი, სადაც იმ დროს ექიმ ვახტანგ ღამ-ბაშიძეს სანატორიუმი ჰქონდა. ზაფხულობით ჩვენი ინტელი-გენცია მრავლად იყო ამ სანატორიუმში და უამრავი ახალგაზ-რდობა იყრიდა აქ თავს. შესანიშნავი საღამო იყო, ისეთი, როგორიც მხოლოდ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში იცის. აკაკიმ მიმართა ახალგაზრდებს:

— მაკვირვებს, რომ აქ გხედავთ, წადით ლიბანში, იქიდან გადმოხედეთ ამ მშვენიერ მიდამოებს.

მართლაც, წავიდნენ, დაბრუნებისას უამბეს, თუ რა სა-არაკო სანახაობა ნახეს. სწორედ იმ დროს ამოდიოდა მთვარე, მართლაც, საუცხოო სანახავი იყო, ნაძვნარ-ფიჭვნარში რომ ამოცურდა, აღფრთოვანებულმა აკაკიმ მაშინ დაწერა ლექსი „პატარა ცემს“ და თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა.

ჭეშმარიტად ბედნიერია დიდი პოეტი აკაკი, რომ ასე შე-უნელებლად უყვარს ხალხს.

დიდება მის უკვდავ სახელს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„არა, აყვავდეს იმედი!“

სავარდო და სამაისო ქუთაისში 1908 წელს მართლაც ვარდ-მაისობის წელიწადი იყო. ქართული პოეზიის ქურუმის აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე მთელი საქართველოს ზეიმად გადაიქცა. ქუთაისი პირველობას არავის უთმობდა.

იმ დროს ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე ვიყავი და კარგად მახსოვს, რა სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა აკაკის გამოჩენა ქუჩებში, მოწაფეები ხშირად ავედევნებოდით ხოლმე დიდ პოეტს, რომ კარგად დაგვენახა მისი მართლაც „ცასავით გაშლილი შუბლი“ და მოგვესმინა იმ კაცის ნაუბარი, მთელი ქვეყანა რომ უსმენდა, ხალხი ხელის გულზე რომ ატარებდა და ეთაყვანებოდა. ავედევნებოდით და ვაკვირდებოდით, ის კი მიდიოდა თავაწეული.

ერთხელ აკაკი ჩვეულებრივ დასეირნობდა ქუთაისის ქუჩებში. ჩვენც შეუმჩნევლად მივყვებოდით.

გზად ბრმები შემოეყარნენ, მოწყალება სთხოვეს. ჩემმა ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ და მეხსიერებამ სადღაც სულსა და გულში ისე ღრმად აღბეჭდა აკაკის მოქმედება, რომ არასოდეს დამავიწყდება. იგი მიუახლოვდა უსინათლოებს, ჯიბიდან ფული ამოიღო, დაურიგა და თან გაბზარული, მთრთოლვარე ხმით დასძინა: „ე ნეტავი თქვენ, რომ ბრმები ხართ, ამ ქვეყანაზე ვერაფერს ხედავთ!..“

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება: აკაკი ბრმებს შენატროდა. ის აკაკი, რომელიც ყველას სანატრელი კაცი იყო! გვიან, როცა წამოვიზარდეთ და შევისწავლეთ დიდი პოეტის შემოქმედება, მივხვდი აკაკის სიტყვების აზრს. ეს იყო მოხუცი პოეტის ეროვნული გულისტკივილი და ამონაკვნესი, ლექსით ასე რომ გამოხატავდა:

> მაშ, რაღად მინდა სიცოცხლე,
> მე აწმყო გამწარებულსა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
მას ვხედავ აოხრებულსა?

ის წუთები ალბათ იყო დროებითი გულგატეხილობის, იმედგაცრუებისა, როცა რეაქციის ყინვა სუსხავდა ყველაფერს, თორემ კაცი, რომლის ყიჟინა —

არა, აყვავდეს იმედი!
გულს ვერ გამიტეხს ჭალარა!
გმირებს ეძახის, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა! —

მოწოდების ზარივით რეკავდა და ხალხს გულში იმედისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინს უსახავდა, ბრმებს როგორ შენატრებდა?

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს აკაკი, მისი გაბზარული ხმა და ყოველთვის უნებურად პირზე მომადგება ხოლმე: „არა, აყვავდეს იმედი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც არ მუშაობს...

აკაკისთან ბევრჯერ მისაუბრია, ერთხელ მოურავის დავალებით ჭურებს ვურეცხავდი და თან ყურს ვუგდებდი ილარიონ გამყრელიძისა და აკაკის საუბარს, რომელიც იმ დროს იქ იყო. საუბარი ჩამოვარდა კარგ ჭამა-სმაზე და ილარიონმა უთხრა აკაკის, ისეთი სადილი რად მიღირს, ცხვარი ან ინდაური არ მქონდეს სუფრაზეო, აკაკიმ უთხრა: ვისაც შრომა არ უყვარს, ცხვარსა და ინდაურს მის სუფრაზე რა უნდაო. ბატონო აკაკი, უთხრა ილარიონმა, მე თუ დღეში ერთი ქათამი მაინც არ შევჭამე, ამდენ სიარულს როგორ შევძლებ კვერეთსა და საჩხერეს შუაო. აკაკიმ უთხრა: როგორ, გლეხები თუ პრასსა და ლობიოს ჭამენ, შენზე ნაკლებ შრომობენო? ილარიონი მიაჩერდა, მიაჩერდა აკაკის და ვერაფერი თქვა. და ისევ აკაკიმ უთხრა: ბიჭო, უნდა იცოდე, რომ ისეთი დრო დადგება, ვინც არ იმუშავებს, ის ვერც ჭამსო, ხოდა, თუ არ იშრომე, სხვისი ხელის შემყურე ვერ იცხოვრებ და ცხვარი და ინდაური კი არა, ლობიოც მოგენატრებაო.

ილარიონ ბიძიას შრომა მაინც და მაინც ძალიან არ უყვარდა და უმეტესად იოლ ცხოვრებას მიდევდა, აკაკის ნათქვამი კი ნამდვილად გამართლდა, სხვისი ხელის შემყურე სიკვდილის წინ ლობიოს ნატრობდა და მისი მოხარშვა და ჭამა ვერ მოასწრო, ახლაც ეს კანონია ძალაში, ვინც არ მუშაობს ის არც უნდა ჭამდეს.

კეთილად მაგონდება

1904—1905 წლებში სოფლის აღმასრულებლად ვმუშაობდი, ამ პერიოდში აკაკი ხშირად ჩამოდიოდა საჩხერეში და კარგად მახსოვს, რომ ხშირად ესაუბრებოდა გლეხებს, ეუბნებოდა სულ მალე თავისუფალი იქნებით, მომავალი თქვენ გეკუთვნითო. აკაკის ასეთი სიტყვები არ სიამოვნებდათ საჩხერის თავა-

დებსა და აზნაურებს, ფიქრობდნენ, ვაითუ მართლა ასე მოხდესო და ხელაღებით დაიწყეს ადგილებისა და მამულების გაყიდვა და თან ამბობდნენ, ამას ყველაფერს აკაკი გვიკეთებს, ეს გვიჯანყებს ხალხს, რისთვისაც ხშირად ეჩხუბებოდნენ მას. ერთხელ იმდენად გადაეკიდნენ აკაკის, რომ იგი იძულებულა გახდა დროებით სხვაგან წასულიყო. მერე გავიგეთ, რომ აკაკი ზესტაფონში ყოფილიყო დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან, რომელიც სიცილით ამბობდა ამ შეჩვენებულმა საჩხერელმა ფეოდალებმა და აზნაურებმა კინაღამ მღვდლობა დამაწყებინეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი (1840—1915) პირველად მის იუბილეზე ვნახე. ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის საპასუხოდ საქართველომ აკაკის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე მოაწყო და აკაკის ხომ თავისი მიუზღო, — ილიას პატივისცემა და სიყვარულიც მას დაუმატა.

იუბილე 1908 წლის 7 დეკემბერს გაიმართა თბილისში, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 14 დეკემბერს, ქუთაისში განმეორდა. შემდეგ კი არ დარჩა საქართველოში არც ერთი ასე თუ ისე ცნობილი კუთხე, სადაც აკაკის იუბილე მისი თანდასწრებით არ მოწყობილიყო. მხცოვანმა პოეტმა, აკაკიმ, საქართველოს ზოგი კუთხე პირველად თავისი იუბილის დღეს ნახა, მაგალითად, რაჭა. როცა რაჭველებმა უსაყვედურეს: „ჩვენო საამაყო აკაკი, რატომ აქამდე არ მობრძანდით ჩვენშიო“, აკაკიმ თავისებურად იოხუნჯა: „ადამიანი ტკბილეულს სადილის ბოლოსათვის შემოინახავს და მეც ჩვენი საქართველოს ულამაზესი კუთხის, რაჭის, ნახვა მოხუცებულობის დროისათვის შემოვინახეო“.

თბილისში მოწყობილი პირველი იუბილის დროს გამოირკვა, რომ მეფის მთავრობა მოწაფეებს უფლებას არ გვაძლევდა აკაკისათვის გამართულ საჯარო იუბილეში მონაწილეობა მიგვეღო. ამის მიუხედავად, ხონის საოსტატო სემინარიის მოწაფეები შევიკრიბენით და გადავწყვიტეთ, რაც უნდა მოგვსლოდა, ქუთაისში იუბილეზე დელეგატი გაგვეგზავნა. კრებამ დელეგატად მე ამირჩია. იმ დღესვე დავწერე აკაკისადმი მისასალმებელი ლექსი. სემინარიის მაშინდელი დირექტორის, ალექსი ჭიჭინაძის რჩევით სემინარიის ფორმა გავიხადე, ერთერთ პარიკმახერს (სერაფიონ ბარაბაძეს) ჩოხა გამოვართვი, ჩავიცვი და „მათხოჯელი გლეხის“ სახელით ქუთაისში აკაკის იუბილეზე გამოვცხადდი.

მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. ქუთაისის პატარა თეატრი პატარძალივით იყო მორთული, საზეიმოდ გამოწყობილი ოთხ-

მოცი დელეგატი სცენაზე ვიყავით. თეატრი მაყურებლებით იყო გაჭედილი. ქუჩებში ხალხი არ ეტეოდა. ცნობილ მეეტლე მელიას ეტლით, რომელსაც უფულო აკაკიმ უთხრა:

„შენ რომ გინდა, მელიაო,
იგი შემომელიაო“[1]

აკაკი თეატრში მოჰყავდათ. დიდწვერა მელია და მისი ეტლი საგანგებოდ იყო მორთული. ცხენები ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ. ეტლში აკაკი იჯდა, წინ მეზურნეები მოუძღოდნენ და საამურად უკრავდნენ. „ვაშას“ ძახილი მთელ ქუთაისს აყრუებდა. აკაკი სცენაზე ამოიყვანეს და ყვავილებით მორთულ სავარძელში ჩასვეს. დაიწყო დელეგატების გამოსვლა. ზოგს ენა პირველად მაშინ აედგა, ზოგს ნავარჯიშები ენა დაება. ბევრი ორატორი გაფუჭდა, ბევრი მუნჯი ამეტყველდა. მე ჩემი ლექსი „მათხოჯელი გლეხის“ სახელით ვუთხარი.

ლექსი თავდებოდა სიტყვებით:

კურთხეულ იყავ... უკუნისამდე
სადიდებელო და სასახელო...
აწ უკვდავი ხარ, შენი ძეგლია
ქართველთა გული და საქართველო.

მგოსანს იქვე ჩასჩურჩულეს, სემინარიის წარმომადგენელი არისო. აკაკი იცინოდა, ოხუნჯობდა, ყველას ეხვეოდა და კოცნიდა. ბოლოს იუბილარმა სამადლობელი სიტყვა თქვა და ყველა დაშაქრა...

მეორედ აკაკი ხონში ვნახე, როცა ხონელებმა იუბილე გაუმართეს. იუბილეს შემდეგ ხონის მაშინდელი მეცენატის —

---

[1] ერთხელ აკაკი წერეთელი ჭიათურიდან ჩამოვიდა ქუთაისში. სადგურიდან პოეტი ფეხით მიდიოდა ქალაქისაკენ, როცა მას ცარიელი ეტლით მელია წამოეწია; ის გაუსწორდა აკაკის, შეაჩერა ცარიელი ეტლი და დაუძახა: ბატონო აკაკი, გთხოვთ ჩაბრძანდეთ! ენამოსწრებულმა აკაკიმ ღიმილით და ხუმრობით უთხრა მეეტლეს:

„შენ რომ გინდა, მელიაო,
იგი შემომელიაო“.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო აკაკი, ფულს ხომ არა გთხოვთ! — ღიმილით უპასუხა მელიამ.

— ბახტაძისას მივდივარ! — ჩაილაპარაკა ნასიამოვნებმა აკაკიმ და ეტლში ჩაჯდა. ბახტაძე — ილია ხონელის ძმა — მეგობარი იყო აკაკისა, რაც მელიამაც კარგად იცოდა (აკაკი ხშირი სტუმარი იყო ბახტაძისა).

მოხუც ივანე შარაშიძის ეზოში ვახშამი მოუწყვეს. ვახშამზე მთხოვეს მივსალმებოდი აკაკის. სახელდახელოდ შევადგინე აკაკისადმი მიძღვნილი ლექსი და მივესალმე. რადგან ამ ჩემი უბრალო ლექსის დაბეჭდვის გამო ვალერიან გუნიას ჟურნალს კონფისკაცია უყვეს და მას, როგორც რედაქტორს, ექვსი თვის ციხე გადაუწყვიტეს, ნებას მივცემ თავს, მთლიანად მოვიტანო ის აქ:

აკაკის

დიდო ვარსკვლავო საქართველოსი,
მწამს, რომ შენა ხარ ნამდვილი „გივი“...
მრავალს ღაღადებს ერის ყიჟინი
„ჩვენი აკაკი, ჩვენი არწივი!..“
ბევრი გატირა შენმა სამშობლომ,
მთლად დანგრეულმა, დაძინებულმა;
მის გასაფურჩქნად, გასაღვიძებლად
ბევრი იძგერა მაგ წრფელმა გულმა!..
სასიქადულოვ! ხედავ — „ავადმყოფს“,
აღარ მომკვდარა, ზეწამომდგარა.
მის დამიწებას ვინაც ნატრობდა,
აღარ მოესწრო, ხომ ხედავ, არა!
დროა გამოსვლის, დიდო სარდალო,
პატარა კახი ტოკავს, არ სცდება!
ბრმაც ხალხს მოუხმობს, როცა შენ გრგვინავთ
ქართველთ შეგვძახებ: „კმარა მონება!“
ღმერთს ვევედრებით, კიდევ გაცოცხლოს,
შენვე მოგასწროს, რაც გენატრება,
რომ ჩვენს სამშობლოს, მრავალტანჯულსა,
მიეცეს შვება და განახლება!..
მაშ, გაიხარე, წინ გაგვიძეხი!
აწ აღარა ვართ ღონემიხდილი,
და შენებურად კვლავ შემოგვძახე:
„ან გამარჯვება და ან სიკვდილი!“[1]

(ჟურნ. „ბურჯი“, 1909 წ. № 4)

---

[1] წიგნის პალატაში დაცულია ამ ჟურნალის ორი ეგზემპლარი: ერთში ეს ლექსი მთლიანად იკითხება, მეორეში — ამ ლექსის მესამე და მეხუთე (უკანასკნელი) სტროფები შავი ლაქით არი დაფარული.

ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს, რომელიც იმ ხანებში რედაქციაში მუშაობდა, კონფისკებული ჟურნალის რამდენიმე ცალი შეენახა და ერთი მე გადმომცა.

მეორე დღეს ალექსი ჭიჭინაძემ აკაკი წერეთელი სემინარიაში მოიყვანა: მე და ერთ ჩემს ამხანაგს, ილია გოგიას წინადადებით მოგვმართა — აკაკის თანდასწრებით მიგვეცა გაკვეთილები (მაშინ სემინარიის უფროსი კლასის მოსწავლეებს გვავარჯიშებდნენ გაკვეთილის გადაცემაში). სწრაფად მოვემზადეთ გაკვეთილის გადასაცემად. გაკვეთილები უნდა მიგვეცა სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. ორ ჯგუფთან (4 და 5) ერთდროულად უნდა გვემეცადინა. გაკვეთილის პირველი ნახევარი ორივე ჯგუფთან მე ჩავატარე მეორე ნახევარი იმავე ორ ჯგუფთან — ილია გოგიამ.

ერთ ჯგუფს ვასწავლიდი აკაკის ლექსს „გაზაფხული" („დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა შემომძახა"...), მეორეს — ილია ჭავჭავაძის ლექსს „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები"...

ზარი დაირეკა... ჩემი გულიც ზარივით რეკავდა. შევედი კლასში, მალე შემოვიდნენ: აკაკი, ივანე შარაშიძე, ალექსი ჭიჭინაძე და აკაკის მთელი ამალა. რადგან საკლასო ოთახი ამდენი სტუმრის გარდა ჩემს კლასის ამხანაგებსაც, რიცხვით 21 კაცს, არ დაიტევდა (ჩვენ ერთმანეთის გაკვეთილს, როგორც წესი, ყოველთვის ვესწრებოდით), ისინი კლასის გარეთ, გაღებული ფანჯრების გასწვრივ დადგნენ.

გაკვეთილი დავიწყე, მაგრამ პირველი 3—5 წუთის განმავლობაში მოწაფეების ყურადღება ვერ დავიპყარი, ყველა აკაკის მისჩერებოდა, ზოგს ჩუმად ამოეღო წიგნები, გადაეშალა ის გვერდი, სადაც აკაკის სურათი იყო, და წამდაუწუხ ხან აკაკის უცქეროდა, ხან მის სურათს. დამჭირდა „ცხელ თვალის" ჩვენება, რომ მოწაფეები თავიანთ სიამოვნებას გამოთხოვებოდნენ და იმ წუთში მათთვის ნაკლებად სასიამოვნო საქმეს — გაკვეთილის მოსმენას და საჭირო პასუხის მოცემას შესდგომოდნენ. გაკვეთილი ჩატარდა. მოსწავლეებმა მასში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს. ჩემმა ამხანაგმაც ჩატარა გაკვეთილი.

აკაკი გადაგვეხვია ორივეს, დაგვკოცნა და გვითხრა: „გული დამწყვიტეთ, ყმაწვილებო! ჩემს დროში სად იყო ასეთი გაკვეთილები"... შემდეგ ალექსი ჭიჭინაძეს მადლობა უთხრა და გარეთ გამოვიდა. მას გაჰყვა ჩემი გული და სიყვარული.

მეორე დღეს აკაკი გავაცილეთ ქუთაისამდე. მას უამრავი

ეტლით მიჰყვებოდა დიდძალი პატივისმცემელი. გზაში (ვუ-
ბში) აკაკისთან ერთად სურათი გადავიღეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახსოვს, მაშინ ჩვენთან, სხვათა შორის, ხონის რაიონის ბოქაული, იმ ხანებში „ლიბერალად“ ცნობილი ავქსენტი ფალავაც იყო. სურათის გადაღების დროს ის აკაკის გვერდით დაჯდა. აკაკიმ ბოქაულის გვერდით ჯდომაზე უარი თქვა. დარცხვენილი ბოქაული იძულებული გახდა უკან დამდგარიყო, ეპოლეტები მიემალა.

აკაკის გაცილების შემდეგ სემინარიაში დავბრუნდით. სემინარიელების უმრავლესობა მაშინ რევოლუციონერობდა, მაგრამ თითო-ოროლა შავრაზმელი სემინარიაში მუდამ იყო. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ერთხელ ქართველი სემინარიელები ჩვენს არაქართველ ამხანაგებს (რუსებს, ბერძნებს, თათრებს) ვაცნობდით აკაკის ვინაობას... ხელთ გვქონდა ა. ხახანაშვილის წინასიტყვაობით გამოცემული ბროშურა — აკაკის ლექსების თარგმანები. ჩვენ წავუკითხეთ ეს ბროშურა ამხანაგებს და ყდაზე მოთავსებული აკაკის სურათიც ვაჩვენეთ. ერთმა შავრაზმელმა, მოწაფე ოსტროუხოვმა გესლიანად წამოიძახა: „პრანჭია და მკვეხარა ყოფილა თქვენი აკაკი, რაა თავზე რომ შემოუდვია ხელი და სურათი ისე გადაუღია! ვითომ რაო ღა შემომხედეთ, რა დიდი ჭკუა და თავი მაქვსო“. ამ სიტყვებმა ისე გაგვაბრაზა, რომ ვეცით ოსტროუხოვს, მაგრამ გაგვაშველეს და მორიგე მასწავლებელმა დაგვტუქსა.

ამის შემდეგ, როცა იმავე ხანებში (1909 წლის მარტში) რუსეთის დიდებული მწერლის, გოგოლის ასი წლისთავი სემინარიას ოფიციალურად უნდა გადაეხადა და მე იუბილეში მონაწილეობის ძალებაზე უარი განვაცხადე, რუსებმა მიჩივლეს დირექტორთან. ალექსი ჭიჭინაძემ დამიძახა თავის კაბინეტში, „განდგომის“ მიზეზი მკითხა, ვუპასუხე: მთავრობამ აკაკი წერეთლის იუბილეში მონაწილეობის უფლება არ მოგვცა, გოგოლის იუბილეს კი გაიძალებს-მეთქი[1]. ა. ჭიჭინაძეს გაეცინა

---

[1] ამის ასე თქმა უთუოდ აღელვებისა და წუთიერი აფექტის გავლენით მომიხდა, თორემ 19—20 წლის ყმაწვილმა, ცნობილი პედაგოგის იანოვიჩის მოწაფემ, კარგად ვიცოდი რუსი კლასიკოსების წონა-ფასი. კერძოდ, ჩემი თარგმანი მაქსიმ გორკის გახმაურებული ლექსისა — „ტუსაღის სიმღერა“ („მზე ამოდის, ისევ ჩადის, ჩემს საკანში მუდამ ბნელა“...) იმ დროს უკვე დაბეჭდილი იყო (იხ. ჟურნ. „ნიშადური“, 1908 წ. № 5).

და მითხრა: ასეთი შემთხვევის გამო იტყვიან: „ცხენს ვერ მოერია და უნაგირს ამტვრევსო“. რუსეთის მთავრობა და ჩინოვნიკები არიან ცუდი, თორემ გოგოლი და რუსი ხალხი კარგიაო, თან წინადადება მომცა, იუბილეში მონაწილეობა მიმეღო. შევპირდი, იუბილეში მონაწილეობას მივიღებ იმ პირობით, თუ ნება მექნება, გოგოლი ვაქო, ხოლო რუსეთის ჩინოვნიკები ვაგინო-მეთქი. ალექსი ბესარიონის ძემ ამის ნება მოჰცა. მეც ასსტრიქონიანი ლექსი დავწერე, რომელსაც ასე ვიწყებდი:

ნ. ვ. გოგოლს

„გოსანო, როცა შენი ქვეყანა
სულ მთლად გაიხრწნა ბილწ ჩინოსნებით,
ჩინოვნიკებმა, გოროდნიჩებმა,
თავი გამოჰყვეს თვის ამალებით, —
მაშინ გამოჩნდი, შორს ხარხარებდ
ზნედაცემულთა გასასწორებლად...
მთელი სიცოცხლე იშრომ-იღვაწე
და ეს ნაღვაწი დაიდგი ძეგლად!..

შემდეგ ვახასიათებდი ამ შესანიშნავი სატირიკოსის ღვაწლს კაცობრიობის წინაშე და ბოლოს ვამბობდი: შენს წინაშე ქედს იხრის მთელი რუსი ხალხი, მას უერთდებიან კავკასია, პოლონეთი, ციმბირი, ფინეთი, შენი სახელი წმინდაა და დიდი ყველასათვის! შენ არა მარტო შენი ერის სიამაყე ხარ, შენ ყველასათვის მზე ხარ!..

გოგოლისადმი მიძღვნილი ლექსის პროზაული თარგმანი დაიბეჭდა მწერლის საიუბილეო კრებულში (თბილისი, 1909 წ.).

მესამედ აკაკი თბილისში ვნახე — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იმ დროსაც ქუთაისის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის მოწაფე ვიყავი, ხონში ვცხოვრობდი, პანსიონში, კარჩაკეტილად.

ერთხელ სემინარიელები საექსკურსიოდ ბაქოში წაგვიყვანეს. ბაქოდან რომ დავბრუნდით, ორიოდე დღე თბილისში გაგვაჩერეს. თბილისში ყოფნით ვისარგებლე და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში შევედი, სადაც ჩემი მეზობელი სამსონ ფირცხალავა მუშაობდა.

იქ ვნახე აკაკი, მასთან ისხდნენ შიო არაგვისპირელი, შიო

მღვიმელი და კიდევ სხვები. მე იმ დროს შევედი, როცა მღვიმელს მეგობრულად მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უსამართლობის გულისთვის
შევებრძოლები ქვეყანას,
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას“...

აკაკი იმ დღეს კარგ ხასიათზე იყო და ოხუნჯობდა. ჩემმა მეზობელმა აკაკის მოაგონა მის იუბილეზე გამოსული „მათხოჯელი გლეხი“. მგოსანმა გაიღიმა, სემინარიის ამბავი გამომკითხა. ვუამბე სემინარიელების გაფიცვებისა და, კერძოდ, სემინარიის პირველი ქართველი დირექტორის, ალექსი ჭიჭინაძის გამბედაობის შესახებ (სემინარიაში შავრაზმელ ალიხანოვის თარეშის დროსაც კი ვაწყობდით არალეგალურ საღამოებს, გაფიცვებს, მოგვყავდა და ვუსმენდით პროპაგანდისტებს და სხვ. ყოველივე ამაში ხელს გვიწყობდა მხცოვანი პედაგოგი ა. ჭიჭინაძე). ეტყობოდა, აკაკი დიდად დაინტერესებული იყო მომავალ პედაგოგთა სწავლა-აღზრდით.

მალე ისევ ოხუნჯობა დაიწყო, რამდენიმე ახალგაზრდა მწერალი ახსენა და ერთი მათგანის შესახებ თქვა: „მისგან რა პოეტი გამოვა, დღეში თორმეტ ლექსს წერსო“. ყველა უსმენდა, იცინოდა. ამ დროს „ვიღაც“ ერთი კაცი დაგლეჯილი ჩოხით, მხრებზე ყაბალახით, ცალთვალჩამოხეული, წვერგაპარსული, ოთახში ბოლთასა სცემდა, აკაკის ყურს არ უგდებდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა... მე ვკითხე ჩემს მეზობელს: ნეტა ვინ არის ეს კაცი-მეთქი. მეზობელმა მითხრა: ნუთუ არ იცნობ? გაგაცნობ. ეს ვაჟა-ფშაველა არისო. ვაჟა უნახავად მიყვარდა, ზეზე წამოვხტი, მთის არწივი გავიცანი...

გაცნობის უმალ ვაჟას მივაყარე კითხვები. სურათში თქვენ სხვანაირი ხართ, წვერი რად მოგიპარსავთ-მეთქი. შემრცხვა, თვალის ტკივილის მიზეზი მეკითხა, მაგრამ ეს კი ვკითხე: თქვენ ხომ დიდი მწერალი ხართ, ასე ღარიბად რად გაცვიათ-მეთქი. მან მიპასუხა: აბა საიდან ვიყიდი ფარჩებს, განა მწერლობა მაძლევს დიდ ფულს? აი, ეხლახან გამოვიდა ჩემი წიგნი „ცრემლები“, გამოსცა ის „სორაპანმა“, გამირიგდა, სამოცმანეთს მოგცემო, წიგნები გაყიდა, ფული მოიგო და მთელ წიგნში ოცი მანეთის მეტი არ მომცაო.

მეწყინა... მართალია, არც მთლად პატარა ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც არ ვიცოდი, თუ მწერალი მაშინ ასე მცირე ფასდებოდა.

აკაკი წამოდგა. „ტრამვაის ფული არა მაქვს, მასესხეთ ერთი შაურიო", — წარმოთქვა ხმამაღლა. უცებ დავიბენი; მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე, ფული მიმეწოდებინა. სამსონ ფირცხალავამ ვერცხლის ორშაურიანი ამოიღო ჯიბიდან, მიაწოდა აკაკის და უთხრა: „ჩემს „ფასკუნჯში" (ჟურნალი იყო) რომ გასულ კვირას შენი ლექსი დაიბეჭდა, იმის სათაურის ფასი იყოო". აკაკიმ იოხუნჯა: „მე შაური მინდა, მეორე შაური ვინმე მათხოვარს უნდა მივცე, მაგრამ ჩემზე მეტ მათხოვარს ვისღა ვნახავო". თან სიცილით გამოართვა ორშაურიანი და გავიდა...

კიდევ რამდენჯერმე ვნახე აკაკი. ხან რკინიგზის სადგურზე სადმე მიმავალი, ხან სცენაზე ლექსების თქმის დროს. მახსოვს, ერთხელ აკაკის სცენაზე თავისი ლექსი დაავიწყდა და ბავშვმა პარტერიდან სიცილ-კისკისით უკარნახა; აკაკი ხშირად მინახავს ქუთაისის ბაღში, თავის საყვარელ პატარა ბავშვებში ჩამდგარი, მომღიმარი და მოცინარი.

უკანასკნელად აკაკი ვნახე 1915 წლის 5—6 თებერვალს (ძველი სტილით) უკვე გარდაცვალებული. მე ამ დროს მასწავლებლად ვიყავი ლეჩხუმის მაზრაში, საიდანაც დელეგატად გამომგზავნეს აკაკის დასაფლავებაზე დასასწრებად.

აკაკი თავის სოფელ საჩხერეში (სხვიტორში) გარდაიცვალა. იქიდან გამოვასვენეთ თბილისში დასასაფლავებლად. სადგურ შორაპნიდან თბილისამდე მომავალი მთელი მატარებელი აკაკის ბალზამგაკეთებულ ცხედარს და მისი დასაფლავებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილ უამრავ დელეგატს ეკავა. მატარებელი მორთული იყო ყვავილებით. დელეგატებს მკლავზე შავი ლენტები ჰქონდათ გაკეთებული.

შორაპნიდან თბილისამდე მატარებელს ყოველ სადგურზე აუარებელი ხალხი ხვდებოდა. მახსოვს, გამოჩნდებოდა თუ არა ხალხით სავსე სადგური, მატარებელი სვლას შეანელებდა. ხალხი დაინახავდა თუ არა მატარებელს, ყველა, როგორც ერთი კაცი, ერთბაშად დაიჩოქებდა. მუხლებზე დამდგარ ხალხს

მატარებელი ნელი სვლით მიუახლოვდებოდა და გაჩერდებოდა. ხალხი ფეხზე წამოდგებოდა. ერთი ჩვენგანი სიტყვას იტყოდა, დამხდურებიც სიტყვას ამბობდნენ; შემდეგ მატარებელი ნელა დაიძროდა, ხალხი ისევ დაიჩოქებდა, და ზმით დიდ პოეტს უკანასკნელ ვალს უხდიდა. ასე ხდებოდა ყოველ სადგურზე, შორაპნიდან მცხეთამდე, თითქოს ვიღაცას განგებ მოუწყვიაო. მცხეთიდან თბილისამდე კი, არა მარტო სადგურში, არამედ მთელ ხაზზე, გზის ორივე მხარეს, ზღვა ხალხი ჩამწკრივებულიყო. მახსოვს, მატარებელი მცხეთიდან თბილისამდე სულ ნელა მიდიოდა. ყოველ ჩვენგანს ტანში რაღაცნაირი ჟრუანტელი უვლიდა. ჩამოვედით თბილისში. სადგურზე დაგხვდნენ აკაკის მეუღლე და აკაკის შვილი ალექსი (მაღალი, ჭაღარა). სადგური გაჭედილი იყო დამხდური დელეგატებით. სადგურის უკან, მოედანზე, ტრიბუნა ამართულიყო და მთელი თბილისი იქ მოსულიყო. ტრიბუნიდან თქმული ორიოდე სიტყვის შემდეგ აკაკის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიაში მოვასვენეთ. ეს იყო 5 თებერვალი (ძველი სტილით).

საღამოს დელეგატები დეპუტატთა საკრებულოში შევიკრიბეთ აკაკის დასაფლავების (8 თებერვალი) დღის წესრიგის შესამუშავებლად.

გადაწყდა: ყოფილ ერევნის მოედანზე მხოლოდ ოთხ ქართველს მისცემოდა სიტყვა, დანარჩენი დრო უცხოელებისათვის დაგვეთმო, მამადავითზე კი ყველას ელაპარაკა, ვიდრე სულ არ დაბნელდებოდა.

დადგა 8 თებერვალი. დილის 12 საათზე აკაკის ცხედარი ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენეს. ხალხი თბილისში ფეხაღ არ ეტეოდა. ასე გეგონებოდათ, მთელი საქართველო თბილისში ჩამოსულიყო. პოლიცია თითქოს არ ჩანდა, ხალხი თვითონ იცავდა წესრიგს.

ერევნის მოედანზე პირველი სიტყვა მაშინდელმა ქალაქისთავმა, ხატისოვმა ასე დაიწყო: „Сыны Грузии, граждане Тифлиса!..“

მენშევიკების წარმომადგენელმა ევგენი გეგეჭკორმა შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი დაუპირისპირა ერთმანეთს, ილია ჭავჭავაძეს გვერდი აუარა, ერთი სიტყვითაც არ უხსენებია; ილიას ღვაწლის მიჩქმალვამ ყველას გული ატკინა.

კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ თავისი მშვენიერი სიტყვა ასე დაიწყო: „აჰა, დაიმსხვრა სასმისი, რომელშიაც საუკეთესო სასმელი ესხა, მაგრამ ნექტარი კი არ დაღვრილა, არამედ წვეთ-წვეთად გაიფანტა ყოველი ქართველის გულში“.

ნიკო ნიკოლაძემ სიტყვა ასე დაიწყო: „ხედავთ, ამ მადლიანი ადამიანის მადლიანმა სიკვდილმა როგორ მადლიანად გააერთიანა საქართველო. ხედავთ, რამდენი ჯარი გვყოლია, რამდენი ჯარი... მაგრამ შტაბი არა გვყავს, შტაბი“.

აჭარელმა მოხუცმა კაიკაციშვილმა არაკით დაიწყო: ორი ძმა ომში იბრძოდა. ერთი მტერმა დაჭრა და იქვე დავარდა. მეორე გადარჩა და შინ დაბრუნდა. ბრძოლის ველი მტერმა დაიპყრო. დაჭრილი ძმა არ მომკვდარა. გადარჩა. მტრისავე ხელში გადავიდა ჩვენი ტერიტორიის ნაწილი. დაჭრილი ძმის შთამომავლობა მტრის ტერიტორიასა და ბანაკში გაიზარდა. სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშ მოქცეულ ძმებს ერთმანეთი დაავიწყდათ. შემდეგ ტერიტორიულად ისევ გაერთიანდნენ ძმები და მათი შვილთა შვილები, მაგრამ, სამწუხაროდ, ძმები ერთმანეთს ვეღარა სცნობენო... და შემდეგ დაასრულა: ბრძოლის ველზე დაჭრილი ძმის შვილები ჩვენა ვართ, აჭარლები, ბრძოლიდან სახლში დაბრუნებული ძმის შვილები თქვენა ხართ — დანარჩენი ქართველები. სატირალია და სავალალო, რომ ძმები ერთმანეთს ვეღარა ვცნობთ. დაე, ჩვენი საერთო შვილის — მადლიანი აკაკის სიკვდილმა ყველას აგვიხილოს თვალი და ძმებს ძმები გვაცნობინოსო...

მის შემდეგ ილაპარაკეს უკრაინელების, თათრების, სომხებისა და სხვადასხვა ეროვნებისა და კუთხის წარმომადგენლებმა.

ღამდებოდა, როცა აკაკი მამადავითზე მივასვენეთ, მივიყვანეთ იმ ადამიანთან, რომლის ცხედარს აკაკიმ 1907 წელს გულდამწველად უთხრა: „ნახევარი საუკუნეა მე და შენ საქართველოს ვემსახურებით... და თუ საქართველოს სიკვდილი უწერია, ბედნიერი ხარ შენ, რომ მასზე ადრე მოკვდი, და უბედური მე, თუ ჩემის თვალით ვნახე მისი სიკვდილი“.

მამადავითზე ბევრი სიტყვა ითქვა მის შემდეგაც, რაც კარგად დაღამდა და „ცა—ფრუზ, ხმელეთ—ზურმუხტ სამშობლოს“ ცივმა სამარემ თავისი აკაკი სამუდამოდ მიიბარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სულიკოს“ ავტორი ჩემს ხსოვნაში

დაახლოებით 45 წლის წინათ აკაკიმ მიძღვნა ლექსი „სულიკო“ და მითხრა, შენებურად ხმა გამოუძებნე და იმღერეო. დიდი მგოსნის შეკვეთამ, რა თქმა უნდა, საგონებელში ჩამაგდო. ლექსის მომხიბლავმა სილამაზემ ჩემში უთვალავი მუსიკალური სახეები აღძრა. ერთ მშვენიერ დღეს გიტარის აკომპანემენტზე სრულიად მოულოდნელად ჩამოყალიბდა „სულიკოს“ მელოდია. როდესაც აკაკიმ ეს მელოდია პირველად გაიგონა, დიდად ნასიამოვნები დარჩა, მამღერა მრავალჯერ, შემდეგ თავისი პორტრეტი მაჩუქა წარწერით: „ჩემს საყვარელ ბულბულს. სულიკო-ვარინკას, აკაკისაგან“.

ერთხელ სილამაზით განთქმულ ნინო წერეთლის ქალს წვეულება ჰქონდა. მეც იქ ვიყავი. წვეულების მთავარი მიზეზი იყო აკაკი და, სხვათა შორის, დაღესტნის ცნობილი მმართველი ნიკო ჭავჭავაძე; მამღერეს. მსმენელები კმაყოფილი დარჩნენ. აკაკი მიუახლოვდა ნიკო ჭავჭავაძეს და თავისებური კილოთი უთხრა: „ნიკო, ისე უყურებ ვარინკას, რომ ნამდვილად მის გადაყლაპვას აპირებ, მაგრამ ვერ მოგართვეს!— დაღესტანი გადაყლაპე, ეს კი ყელზე დაგადგებაო“.

მახსოვს ვანო მაჩაბელმა აკაკის პირით შემომითვალა, წვეულება მაქვს და მეწვიეო. სტუმრად ჰყავდა ვიღაც გამოჩენილი რუსები. მოიტანეს ფონოგრაფი და აკაკის ლექსები ჩამამღერებინეს. ნეტავ სად არის ახლა ეს ჩანაწერები?

ქუთაისში ერთ ჩემს ახლობელ ოჯახს წვეულება ჰქონდა. საპატიო სტუმრებს შორის აკაკიც იყო. გაისმა ზარის წკარუნი და ცოტა ხნის შემდეგ სასტუმრო დარბაზში შემოვიდა თავისი სილამაზით განთქმული ბაბალე ნაკაშიძე-კვირკველია. პოეტი ღიმილით მიეგება მშვენიერ ბაბალეს. შემდეგ მასთან ერთად, ასეთივე მოღიმარი სახით, ჩემთან მოვიდა და მთხოვა „სულიკო“ მემღერა. უარის თქმა შეუძლებელი იყო. მეც უმალ შევასრულე თხოვნა. ტაშისცემამ და მოწონების შეძახილებმა

უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო. მაგრამ ჩემი უხერხული მდგომარეობა გაორკეცდა, როდესაც აკაკიმ ხელი მომხვია, საზოგადოებას მიმართა და თქვა: „ბატონებო, ბაბალეს შავი რომ ვარინკას დაადგა, წარმოიდგინეთ, რამდენ ბოროტებას ჩაიდენდაო“.

დაიწყო მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნები. ჭიათურაში, სხვათა შორის, პოეტის მომხრეებმა წამოაყენეს აკაკის კანდიდატურა. დაუდგეს საარჩევნო ყუთი, აკაკის მოწინააღმდეგე პარტიამ აკაკი გააშავა, რამაც პოეტი მეტად შეაწუხა.

სწორედ ამ დროს აკაკის მოუვიდა ქუთაისიდან მოწვევის ბარათი, სადაც პოეტს სთხოვდნენ ჩასულიყო ქუთაისს და ენახა მისი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის კინოსურათი. იმ დღეს მეც ქუთაისს მივდიოდი ზესტაფონიდან და ვაგონში აკაკის შევხვდი. წინადადება მომცა მასთან ერთად წავსულიყავი კინოსურათის სანახავად. მეც სიამოვნებით დავეთანხმე. რიონში პოეტს დელეგაცია მიეგება. საღამოს უკვე კინოთეატრის ლოჟაში ვისხედით. სურათმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ჩემის თვალით ვხედავდი, თუ რა სიყვარულით ხვდებოდა ხალხი მხცოვან პოეტს, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვების ფერხულმა, თაიგულებით ხელში. მე არასოდეს არ მინახავს აკაკი ასეთი ბედნიერი სახით. ის იდგა, როგორც ერის მოძღვარი, ხალხი — მოხუცი თუ ახალგაზრდა — ფიანდაზად ეფინებოდა ფეხქვეშ. ამ სურათმა უზომოდ ამაღელვა. ვხედავდი, რომ აკაკიც ღელავდა. ის უეცრად შემოტრიალდა ჩემსკენ და ღიმილით მითხრა: მოდი ახლა და ამ სოფლის გაიგე რამე! აქ ხალხი ხელით მატარებს, ენით გამოუთქმელ პატივსა მცემს, იქ კი, ჭიათურაში, გამაშავეს! შავი ქვის ბრალი თუ არისო... — განსხვავებული კილოთი დააბოლოვა აკაკიმ. სიტყვებში „შავი ქვა“ ის გულისხმობდა შავი ქვის მრეწველებს.

ერთხელ აკაკისთან ბათუმიდან სტუდენტების დელეგაცია მოვიდა, რომელიც სთხოვდა პოეტს — დასწრებოდა წმ. ნინოს დღეობასთან დაკავშირებულ საქველმოქმედო საღამოს (წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. სასარგებლოდ). აკაკი გულითადად შეხვდა ახალგაზრდებს, ორს მათგანს მხრებზე ხელები დაადო და ღიმილით უთხრა:

— მე სიამოვნებით წამოვიდოდი, რომ ერთი გარემოება არ მაბრკოლებდეს — სამგზავრო ფული არა მაქვსო. ასეთმა პასუხმა დელეგაციის წევრებში აღტაცების სიცილი გამოიწვია.

ფული, რა თქმა უნდა, მალე გამოჩნდა და პოეტი გაჰყვა გახარებულ ახალგაზრდობას.

ბედმა ილიასთანაც მარგუნა შეხვედრა. ეს იყო ერთ დიდ საზოგადოებაში, თბილისში. იქაც მამღერეს. ვმღეროდი უმეტესად აკაკის ლექსებს. ილია მოვიდა ჩვენთან და ღიმილით მითხრა:

— ქალბატონო, სახლიკაცობა არ იყოსო.

დავპირდი, რომ მის ლექსებსაც სიამოვნებით ვიმღერებდი და მოვასმენინებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა, სულ მალე ილია მოჰკლეს.

ერთხელ, აკაკი საჩხერეში ავად გახდა. დიდძალი მნახველები მოდიოდნენ. თბილისიდანაც მრავალნი ჩამოვიდნენ: ექიმები, ლიტერატორები, მათ შორის ვანო მაჩაბელიც. მე და ვანოს მეუღლე ტასო ავადმყოფთან შევედით. აკაკის სახე კედლისაკენ ჰქონდა მიქცეული. ვანომ გიტარა მომიტანა და მთხოვა, მემღერა რამე. მეც ნელის ხმით დავამღერე „შაქრის გულო". აკაკი გადმობრუნდა და ღიმილით შემოგვხედა, ეტყობოდა, დიდად ნასიამოვნები იყო. როდესაც გამოკეთდა, საჩუქრად გამომიგზავნა მშვენიერი ლექსი „რამ მომარჩინა". პოეტმა მიძღვნა აგრეთვე ლექსი „მოხუცი და ახალგაზრდა".

აკაკი ქუთაისის ხშირი სტუმარი იყო. სასტუმროში ერთი პატარა ნომერი ეჭირა და იქ ცხოვრობდა. ნათესავებთან გაჩერება არ უყვარდა.

ერთხელ სანახავად შევედი. მასთან სხვა მნახველებიც იყვნენ.

შემოვიდა ფოსტალიონი და წერილი შემოიტანა. აკაკი კონვერტს დახედა, გვერდზე გადასდო.

— ხომ არ გიშლით, ბატონო აკაკი? მგონი, წაკითხვას აპირებდით, — მიმართა ერთმა სტუმართაგანმა,

— არა, ბატონო, ამ წერილის შინაარსი წაუკითხავადაც კარგად ვიცი. ეს დაზღვეული ეპისტოლე ჩემი ცოლისაგან გახლავთ და ზეპირად ვიცი, რომ შიგ „პერევოდის" მეტი არაფერი არ ეწერება. მოგეხსენებათ, ფული იშვიათად მაქვს ღა

„პერევოდსაც“ იშვიათად ვაკეთებ ხოლმე, — დაამშვიდა აკაკიმ თავაზიანი სტუმარი.

ერთხელ, მზე ამოსული არც კი იყო, სასტუმროს „გრანდ ოტელთან“ შევხვდი. სახე დაღლილი ჰქონდა. ეტყობოდა, უძინარი იყო. მივესალმე და შევეკითხე:

— სად ბრძანდებოდით, ბატონო აკაკი, ასე დილაადრიან?

— ჩემო ვარინკა! — ღიმილით მიპასუხა აკაკიმ, — მთელი ჩემი სიცოცხლე სულიერ სიწმინდეზე ვზრუნავდი და, მგონი, ამ მხრივ მიზანს მივაღწიე კიდეც. ეხლა, ამ ცინცხალ დილაზე, ხორციელადაც სრულიად გაწმენდილი გახლავარ: წუხელ მთელ ღამეს ბანქოს ვთამაშობდი და, რაც ფული მებადა, მთლად წავაგე. ასე რომ, სრულიად გასუფთავებული მივდივარ ჩემს საკანში (თავის პატარა ნომერს ასე ეძახოდა).

სიკვდილის წინაც მასთან ვიყავი. ძალიან ცუდად იყო, შფოთავდა. თავით ვუჯექი და თვალცრემლიანი შევყურებდი. აკაკი თვალდახუჭული იყო. ხშირად ვუსწორებდი ყურთბალიშს. ამ დროს შემოვიდა ნამტირალევი მისი შვილი ალექსი. აკაკიმ თვალი ცოტათი გაახილა და რაღაც ანიშნა... ალექსის ტირილი აუტყდა. მე აკაკის თავზე ხელი გადავუსვი და რამდენიმეჯერ ჩავძახე, რა სურდა, შემომხედა, მოინდომა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა... მიცვალებული აკაკი მეტისმეტად ლამაზი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძია აკაკი

აკაკი იყო ჩემი მკვიდრი ბიძა. მამაჩემი — დავითი — აკაკის უფროსი ძმა იყო. ძია აკაკის მე ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ჩემს მეხსიერებაში არ აღბეჭდილა მისი პირველი ნახვის შთაბეჭდილება, ალბათ იმიტომ, რომ ბავშვობისას მე მას ხშირად ვხედავდი, მიყვარდა მასთან ყოფნა და მისი ლაპარაკის მოსმენა იმ ხანაში, როდესაც მე ჯერ კიდევ სკოლაშიც არ ვიყავი მიბარებული და წერა-კითხვაც კი არ ვიცოდი... ჩემზე, ჯერ კიდევ ბავშვზე, ის ახდენდა უდიდეს შთაბეჭდილებას თავისი მომხიბლავი ლაპარაკით და გარეგნობით.

მახსოვს კარგად (დაახლოებით შვიდი წლისა ვიქნებოდი), გადმოასვენეს ნეშტი საქართველოს დიდებული პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელიც დაკრძალულ იქნა დიდუბეში. როდესაც შინ დაბრუნდნენ ჩემი დედ-მამა და მახლობელი ნათესავები, მათ დაიწყეს საუბარი ნ. ბარათაშვილის შესახებ და ამ დღეს აკაკის, ილიას და სხვა მწერლების მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე. იმ დღიდან მე უკვე ვიცოდი, რომ აკაკი, ილია და ნ. ბარათაშვილი იყვნენ საქართველოს დიდებული პოეტები.

აკაკის თითქმის ყოველდღე ვხედავდი როგორც ჩვენსას, ისე ახლობელთა ოჯახებშიც. ერთ საღამოს ძია აკაკი იყო ჩვენსა — სხვიტორში (1900—1901 წ.). მაშინ მამაჩემი ცოცხალი იყო. აკაკი კარგ გუნებაზე იყო. დიდხანს საუბრობდნენ ორივე ძმა. საუბრის საგანი იყო გამარუსებელი პოლიტიკა და შავრაზმული მოქმედება „პოპეჩიტელის“ იანოვსკისა და მღვდლის ვოსტორგოვისა. მე გვერდით ვუჯექი და სულგანაბული ვისმენდი ამ ფრიად სერიოზულ საუბარს. აკაკი მომიბრუნდა, შემომხედა, ცხვირზე თითი წამითათუნა და ჩამაცქერდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯერ სულ პატარა ვიყავი ასეთი სერიოზული საუბრის მოსმენისათვის, მაგრამ მე არ გამომპარვია არც ერთი სიტყვა მათი და გულში მწარედ მხვდებოდა.

იმ დღეს გავიგე, თუ როგორ იდევნებოდა ქართული ენა სკოლებიდან.

მახსოვს, აკაკიმ თქვა, რომ ქართველი საზოგადოების ერთ-ერთმა წრემ, რომელშიც თვით აკაკიც იყო მონაწილე, გადაწყვიტა დაენიშნათ იანოვსკისათვის ტერორი. ამ აქტის შესრულება მიუნდვიათ ერთი პიროვნებისათვის, მაგრამ მას ვერ განეხორციელებინა გადაწყვეტილება. მასზე აკაკიმ გულდაწყვეტით თქვა: „იმოქმედა იანოვსკის კაკარდამ“-ო.

ერთხელ ქუთაისში, ბეჟან წერეთლისას (ეს იყო 1905 წ.), აკაკიმ მოიგონა ძველი დრო და ახსენა ერთი გუბერნატორი, ვგონებ, თუ არა ვცდები, კოლუბიაკინი, რომლის წინააღმდეგაც მან გაილაშქრა საზოგადოებაში. ამ გუბერნატორის წინააღმდეგ ლონისძიებაც კი იყო დასახული. ვილაცას, დამსწრეთაგანს, მიეტანა ეს ამბავი გუბერნატორისთვის. გუბერნატორი შეხვედრია აკაკის და უთქვამს: „გეტყობა, ჯერ კიდევ გამოუცდელი და ყმაწვილი ხარო“.

ბევრჯერ გამიგონია აკაკისაგან გელათის გაძარცვაზე გუბერნ. ლევაშოვის მიერ, რომელმაც, სხვა ძვირფას განძეულთა შორის, წაიღო, თურმე, თამარ მეფის ჯვარი, მოჭედილი ძვირფასი თვლებით.

ცხოვრებაში აკაკი ძალიან თავმდაბალი იყო. როდესაც მასთან ვინმე მივიდოდა, განსაკუთრებული თავაზიანობით მიიღებდა ხოლმე. მახსოვს, ერთხელ სადილის შემდეგ აკაკის გლეხი ეწვია. აკაკიმ უბრძანა მზარეულს ქათამი დაეკლა და სტუმარს კარგად გამასპინძლებოდა.

1895 წ. სოფ. კორბოულში ცოფიან ძაღლს დაეკბინა ერთი გლეხი — თევდორე სისვაძე, ძალიან დაახლოებული ჩვენს ოჯახთან. სისვაძე წამოსულიყო კორბოულიდან სხვიტორში, მამაჩემთან (კორბოულსა და სხვიტორს შუა 17 კილომეტრია). მამაჩემს რაკი გაეგო სისვაძის გაჭირვება, მიეცა ფული და გამოესტუმრებინა ჩვენთან თბილისში. მე და ჩემი ძმა როსტომი მაშინ პატარები ვიყავით და თბილისში ვსწავლობდით, დედაც ჩვენთან იყო. დედაჩემს (მარიამ წერეთელს) ბინა ნაქირავები ჰქონდა ვანო მაჩაბლის სახლში. თევდორე ჩამოვიდა ჩვენთან და უამბო დედას თავისი ამბავი, თან წერილიც გადასცა, სადაც მამა სწერდა დედაჩემს, ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა ამ გლეხისათვის. იმ ღამეს ჩვენთან იყო თევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორე, უქეიფოდაც იყო, ღვინოს ვეღარ ეკარებოდა, ამბობდა „ტანში მაჟიჟინებს და ვაითუ გავცოფდეო!“ დედასაც შეეშინდა, ბავშვები არ დამიკბინოსო, მაგრამ გლეხისთვის ეს-ერთია შეუმჩნევინებია. მეორე დილას დედა წავიდა აკაკისთან. სულ მალე მოვიდნენ დედა და აკაკი, ჩაისვეს თევდორე ეტლში და წაიყვანეს საავადმყოფოში. უწამლეს, სანამ სრულიად არ განიკურნა, იქ იყო. შემდეგ წავიდა შინ და ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა კორბოულში 1922 წ.

თევდორეს ბევრჯერ უთქვამს: „რა საქმე მიყავით, როგორ მომიარეთ ქალაქში, როგორ გადამარჩინეთ იმ უბედურებასო. დიდებულმა აკაკიმ მომისვა გვერდით, ჩააბარა ჩემი თავი ექიმებს და მისი წყალობით განსაკუთრებული ყურადღებით მექცეოდნენ და მივლიდნენ“-ო.

ერთ საღამოს ჩვენთან (სხვიტორში) სტუმრები იყვნენ, მათ შორის ძია აკაკიც. 1905 წელი იყო. ჩამოვარდა ლაპარაკი ტერორის შესახებ. იმ დროს ქუთაისში ტერორისტებმა ვიღაცა მოჰკლეს. ჩვენი სტუმრები ტერორისტული აქტის შემსრულებელს გულისწყრომით იხსენიებდნენ და ამბობდნენ: „რა მოსაკლავი კაცი ის იყოო“. მხოლოდ ერთადერთი აკაკი იყო, რომელსაც არ სწყინდა ეს ამბავი. აკაკიმ აუხსნა დამსწრეებს, რომ მოკლული ღირსი იყო სიკვდილისა, რადგანაც მან მთავრობასთან რევოლუციონერები დააბეზღაო.

1909 წელს მე აკაკის უკვე პარიზში შევხვდი. აკაკი ჩამოსული იყო პარიზში, სადაც მე ვსწავლობდი და დამიბარა. მე ვესტუმრე. პარიზში ჩემი შეხვედრა უკვე განსხვავებული იყო წინა წლებთან შედარებით, სხვიტორში თუ თბილისში აკაკი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, მე მას ვუყვარდი როგორც ძმისწული და მექცეოდა როგორც ბავშვს, ხოლო პარიზში შეხვედრისას მე უკვე მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. ოთხი დღე დავყავი მასთან პარიზში. აკაკი მომიყვა საქართველოს ამბებს, მიამბო აგრეთვე თავისი დაპატიმრების ამბავი: თბილისის ვიცე-გუბერნატორად დაენიშნათ ვინმე გვარად რაუში. რაუშს ქართველები არ უყვარდა თურმე და ცუდად ახსენებდა მათ. ეს რაუში ერთ-ერთ ლექსში აკაკის თავისებურად გაეკენწლა ორაზროვნული გამოთქმით: „ამოუსვათ ნიშადური, რა უშავს“. ამის გამო აკაკი დაეპატიმრებინათ. საპატიმროში აკაკისათვის ტუსაღებს ოვაციები მოეწყოთ.

1912 წ. ზაფხულს მე საზღვარგარეთიდან ჩამოველი სამი თვით. აკაკი სხვიტორში დამიხვდა. ამ დღიდან იწყება ჩემი დაახლოება მასთან, სწორედ იმხანად აკაკი რაჭა-ლეჩხუმში იყო მიწვეული, აკაკიმ მეც თან წამიყოლია მოგზაურობაში.

ივლისის შუა რიცხვებში გავემგზავრენით საჩხერიდან ქუთაისს, ხოლო შემდეგ ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმისაკენ. მოგზაურობა იყო გრანდიოზული. უამრავი ხალხი, სოფლის წარმომადგენელნი და ახალგაზრდობა ცხენებით ეგებებოდნენ გზა-გზა და აცილებდნენ მოსაზღვრე სოფლამდე. ტრიუმფალური კამარები, საზეიმო ფერხული, ცხენოსანთა ესკორტები, მიტინგები, რომელზედაც აკაკი გამოდიოდა სიტყვებით,— მეტად მომხიბლავი და ზღაპრული იყო. იმართებოდა საღამოები, ხალხური ცეკვა-ფერხულით და სიმღერებით. ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი. საგულისხმოა, რომ სწორედ იმ დროს რეაქცია მძვინვარებდა, მაგრამ ხალხი ისეთი აღფრთოვანებული იყო, რომ მრავალრიცხოვანი მიტინგების გამართვას არ უფრთხოდა საყვარელი პოეტის პატივსაცემად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ონში. ამ მოგზაურობის დროს საყურადღებო საუბრები იმართებოდა. სხვათა შორის, ნიკორწმინდაში კანდელაკისას აკაკის შეეკითხნენ შ. რუსთაველზე, ალ. ყაზბეგზე.

ალ. ყაზბეგზე თქვა: „მართალია, ალ. ყაზბეგი ვერ ახდენდა დიდი ტალანტის შთაბეჭდილებას, თვით მის ქცევაში ბევრი თავისებურება იყო, თითქოს ეჭვიც ეპარებოდა ზოგიერთს მისი შესანიშნავი თხზულების ავტორობაშიც კი, მაგრამ მე თვითონ ვარ მოწმე მისი წერისაო. ჩემი თანდასწრებითაც აქვს დაწერილი თავისი თხზულებების ზოგიერთი ადგილები. წერის დროს ალექსანდრე სულ იცვლებოდა ხოლმე და მისი დაფარული ნიჭი ამ დროს იგრძნობოდაო“.

აგვისტოს დასაწყისში დამთავრდა მოგზაურობა და ჩვენც ვბრუნდებოდით მარტონი. ჩამოვარდა ლაპარაკი მწერლის შემოქმედების ხასიათზე, აკაკიმ მითხრა, რომ როდესაც მას ებადება აზრი ლექსის შექმნისა, იგი ჯერ გონებაში დაამუშავებს და შემდეგ გადაიტანს ქაღალდზე. იმ დროს მისი აზრი და გონება გართული იყო რაჭა-ლეჩხუმის მოგზაურობის აღწერით, მართლაც, სხვიტორში დაბრუნების შემდეგ გაიარ-

ცოტა ხანმა და მან წაგვიკითხა დედაჩემს, მე და კ. აბდუშელიშვილს თავისი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი შეხედულებით, აკაკი კერძო ცხოვრებაში სუსტი ნებისყოფის პატრონი იყო. პრაქტიკულად რაიმეს განხორციელება მას არ შეეძლო. აკაკი ვერ იქნებოდა მტკიცე ადმინისტრატორი, გამტარებელი და განმახორციელებელი რომელიმე საჭირო საქმისა. თავის ოჯახშიაც ის თითქოს სტუმარი იყო, რამდენჯერ ჩემთან ერთად დაუვლია ხოლმე თავისი კარმიდამო. აღფრთოვანებით დაგეგმავდა თავის სამეურნეო საქმეს, მაგალითად, აქ საყინულე უნდა გავაკეთო, აქ ბაღი, და სხვა ამისთანები. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ამას აკაკი ვერ შეასრულებდა და ეს მხოლოდ ოცნებად დარჩებოდა. პრაქტიკული უნარი არ ჰქონდა.

აკაკის მეტად უყვარდა ბანქოს თამაში და ყოველთვის წაგებული რჩებოდა. იგი ღვინოს სრულებით არ ეტანებოდა. ჩემს სიცოცხლეში მე არ მინახავს აკაკი არამც თუ მთვრალი, ცოტათი შეზარხოშებულიც კი, არც გამიგონია აკაკი ვისმე მთვრალი ენახოს.

აკაკის უანგაროდ უყვარდა თავისი ქვეყანა. საქართველოს ყოველი გასაჭირი მასში დიდ ტკივილებს იწვევდა და, თუ რამ განსაცდელი დადგებოდა, აკაკი ყოველთვის გაბედულად გამოდიოდა. ავიღოთ სვანების პროცესი. ბევრ სვანს სასტიკი განაჩენი მოელოდა, აკაკი არასდროს ვექილი არ ყოფილა და მას არც აინტერესებდა ვექილობა, მაგრამ მაშინ, სვანების პროცესის დროს, წარსდგა სასამართლოს წინაშე შესანიშნავად, დიდი მჭევრმეტყველობით დაასურათა მთელი სვანეთის ვითარება და ის გარემოებაც, რამაც აიძულა სვანები აჯანყებულიყვნენ.

აკაკის უყვარდა ადამიანის შველა, დახმარების გაწევა და მისი კეთილ გზაზე დაყენება. მახსოვს, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს ერთი ყმაწვილი მშვენიერი სიტყვით გამოვიდა, აკაკიმ გაიგო, რომ მას სწავლა შეწყვეტილი ჰქონდა, ამ ყმაწვილმაც სთხოვა აკაკის შეწევნა. აკაკიმ მოუხერხა და შემდეგ ეს ყმაწვილი უნივერსიტეტშიც კი შევიდა. ეხმარებოდა აკაკი გზადაბნეულებსაც. ვიცი ბევრი მაგალითი, რომ აკაკიმ იხსნა ციხე-კატორღიდან არა ერთი და ორი და შემდეგ ისინი ღირსეული წევრნი გახდნენ საზოგადოებისა.

პარიზში ყოფნის დროს ძია აკაკის ქართველი სტუდენტობა გარს ეხვია. აკაკი კმაყოფილი იყო, რომ ქართველი ახალგაზრდობა საზღვარგარეთ სწავლას ეტანებოდა, რომ ხსნილ ლაზღანდარობაში არ ჰკარგავდნენ დროს. ზოგი მათგანი ცნობილნიც გახდნენ. მაგალითად, იაკობ ნიკოლაძე, მაშინ სწავლობდა სახელგანთქმულ ფრანგ მოქანდაკე როდენთან. იაკობმა მე იქ მითხრა: „ვგრძნობ, ჩემი შრომა არ დაიკარგებაო“. მართლაც, მან ბრწყინვალედ გაამართლა თავისი სიტყვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტის სამშობლო სოფელი

ჩვენს სახლსა და აკაკის სახლს შორის, სხვიტორში, მდინარე გონჯურა ჩამორბის. გამოღმით ჩვენი სახლი იყო, გაღმით გორაკზე კი აკაკის ციხისმაგვარი სახლი იდგა და ახლაც დგას. მახსოვს, ბავშვობისას ხშირად გამგზავნიდნენ ხოლმე ამ სახლში. მეც ხტუნვითა და სირბილით მივიჩქაროდი. ანწლითა და ძეძვით მოდებულ ორღობეებში ცოტა არ იყოს შეშინებული მივხტოდი და თანაც გავიძახოდი—„ქვა მოდის და თხილის ჯოხი, ქვა მოდის და თხილის ჯოხი“, მაგრამ რაკი წყაროს მივაღწევდი, შიში გამიქრებოდა და შურდულივით ავირბენდი ხოლმე აკაკის შეღმართს.

სახლის წინ მუდამ მრავლად იყვნენ ბაბუდა (პაპის და) ანას „კლიენტები“. ანას ჰქონდა განთქმული ექიმის სახელი და არათუ ახლომახლო სოფლებიდან, შორიდანაც კი მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ. აკაკი ხშირად ოხუნჯობდა თურმე: „საოცარია ეს ჩემი და ანაო, ყველა ავადმყოფობის წამალს ერთსა და იმავე ქილიდან არიგებსო“.

დერეფანში ფუსფუსებდა ტანმორჩილი, მხრებში მოხრილი, შავებში გახვეული ნატალია, ანას მარჯვენა ხელი და მესაიდუმლე (1936 წელს ვნახე აკაკიზე ბევრად უფროსი მოხუცი და გამაოცა მისმა უცვლელობამ). წინა ოთახში კარების პირდაპირ განიერ ტახტზე იწვა ძვალმსხვილი, ლოყებ ღაჟღაჟა და დიდ ღაბაბიანი ბაბუდა ანა, იქვე მიყუდებული იყო მისი ყავარჯენი.

ოთახში უბრალო ავეჯი იდგა. რამდენადაც ჩემს მეხსიერებას შეუძლია აღადგინოს, ის ავეჯი დგას იმ ოთახში ახლაც. მე დიდი მოკრძალებით მივიდოდი, ხელზე ვეამბორებოდი და დაბარებულსაც მოვახსენებდი, თან მოუთმენლად მოველოდი გემრიელი ჩურჩხელის და ტკბილი კვერის მიღებას.

ყოველთვის მოწიწებით შევცქეროდი ამ მოხუცს, რადგან გაგონილი მქონდა, რომ მან ასწავლა აკაკის წერა-კითხვა. ანას

წამლების მარგებლობისა არა ვიცი რა, მხოლოდ მახსოვს, რომ დედაჩემს გამოულეველად ჰქონდა მისგან გაკეთებული „ყურსი“, რომელსაც ხშირად მაჭმევდა ხოლმე. მშვენიერი რამ იყო ეს „ყურსი“, მეტისმეტად არომატიანი და გემრიელი.

აკაკი სოფლის ხალხის იმედი იყო. ყველას უხაროდა მასთან საუბარი და მისი მოსმენა. უფრო ხშირად ძველი გლეხები ესაუბრებოდნენ პოეტს.

აკაკი სხვიტორში ხშირად მოდიოდა, ძალიან უყვარდა თავის სამშობლო სოფელში ყოფნა. სამაგიეროდ, მისი ცოლი იშვიათად გვწყალობდა. მახსოვს, ერთ ზაფხულს ჩამოვიდა, თან ჩამოიყვანა მოხდენილი რუსის გოგოები. ეს გოგოები რომ წყაროზე ჩამოვიდოდნენ, მთელი ჩვენი სოფლის ბიჭები იქ შეიყრიდნენ თავს და ულვაშების გრეხით თავს აწონებდნენ.

აკაკის მეგობრის — ივანე ელიაშვილის ცოლისაგან გამიგონია: აკაკის უყვარდა თავისი ცოლი, მაგრამ მის მეტისმეტ მზრუნველობას ვერ იტანდაო.

იმ ზაფხულს, აკაკის ცოლი რომ სოფელს ესტუმრა, კარგი ამინდი იყო. აკაკის და კოტე აბდუშელიშვილს აივანზე ჰქონდათ გაშლილი ლოგინი, ნატალია კი ოთახში იძინებდა. ერთ მშვენიერ ღამეს (მთვარიანი ღამეები ხომ საოცნებოა ამ სოფელში) ნატალიას თურმე ძილი გაუკრთა და დაუძახა აკაკის: «Акакий, Акакий, меня блохи кусают!»

— «Ну что я сделаю, дорогая», — უპასუხა აკაკიმ. ცოტა ხანს იქით კიდევ განმეორდა, კაცო, რას ჩამაცივდა ეს ჩემი ცოლი, — უთხრა თურმე აკაკიმ კოტეს, — რომელი მწევარ-მეძებარი მე ვარ, მაგის რწყილებს დასაჭერად რომ გამოვუდგეო. ცოტა ხანს იქით ისევ მოისმა ოთახიდან ძილგატეხილი ნატალიას ხმა: — «Акакий, Акакий, скажи мне шараду;

— «Что мне тебе сказать, когда ты сама шар ада!» — უპასუხა თურმე აკაკიმ. ეს ოხუნჯობა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ აკაკის ცოლი დაბალი ტანისა და სიმსუქნისაგან დამრგვალებული იყო.

იმ ზაფხულს ქუთაისიდან ახალგაზრდები ჩამოვიდნენ და პირველ ყოვლისა აკაკის სანახავად წავიდნენ. ყვავილები მოკრიფეს და მშვენიერი თაიგულით ხელდამშვენებულნი წარუდგნენ დიდ პოეტს. აკაკიმ ყვავილები არ მიიღო და სთქვა თურ-

მე: არაფერი დროზე ადრე სიცოცხლე მომსპარი არ მიყვარ-
სო, მაგრამ როდესაც ახალგაზრდობას წყენა შეატყო, მიუბ-
რუნდა იქვე მდგომ ახალგაზრდა ქალს და სთხოვა — ყვავი-
ლები ვაზაში ჩაეწყო.

აკაკი მეტისმეტად უბრალო და გულკეთილი კაცი იყო, ძა-
ლიან უყვარდა პირუტყვები.

ფული თუკი ჰქონდა, არ დაიშურებდა. არასოდეს არ გამი-
გონია, რომ აკაკის ფული ესესხოს და არ დაებრუნებინოს.
ივ. ელიაშვილის ცოლმა მიამბო — ერთხელ აკაკი ბაქოში ჩა-
მოვიდა. ფული ძალიან სჭირდებოდა, უშოვეს ეს ფული და
ასესხეს, თვით ელიაშვილსაც მიუცია თავის მხრით. სწორედ
დანიშნულ ვადაზე ეს ფული პოეტს გადაუხდია, მხოლოდ
ელიაშვილის ვალის გადახდა ვერ მოუსწრია, მაგრამ მისი სიკ-
ვდილის შემდეგ დარჩენილ ქაღალდებში ყოფილა ეს თანხა
აღნიშნული, როგორც პირველ რიგში გადასახდელი.

აკაკის ერთი საინტერესო თვისება სჭირდა თურმე — ლექ-
სის წერის დროს ხმადაბლა მღეროდა. ერთ დილას, მე და ჩე-
მი ბიძაშვილი ტყეში სანადიროდ მივდიოდით, — მიამბო ერ-
თმა ჩემმა ნათესავმა, — აკაკის სახლს რომ მივუახლოვდით,
მამიდა ანა გამოგვეგება და მიგვიხმო: „ბიჭებო, ღმერთი არ
გაგიწყრეთ, თოფი არ ისროლოთ, ბიძია ლექსსა წერს". —
„მამიდა! ოღონდ დაგვანახე ბიძია რომ წერს და სიტყვას გაძ-
ლევთ, არათუ დღეს, მთელ კვირასაც აღარ ვინადირებთო. მა-
მიდამ შეგვიყვანა თავის ოთახში, სადაც ბევრი ფუჩეჩი ეყა-
რა. ბიძია აკაკის ოთახის კარი გამოღებული იყო. ის თმაგაბუ-
რძგვნილი, აღელვებული დადიოდა ოთახში და ღიღინებდა.
ძალიან გაგვაოცა მისმა ღიღინმა, რადგან თავის დღეში მისგან
სიმღერა არ გაგვიგონიაო. ჩაიღიღინებდა, შემდეგ ჩამოჯდე-
ბოდა, დაწერდა ცოტა რამეს და წაიკითხავდა, შემდეგ კიდევ
დაიწყებდა სიარულს და სიმღერას და შემდეგ ისევ ჩამოჯდე-
ბოდა და ცოტას დაწერდაო. წერა რომ გაათავა, მთელი ლექსი
ჩაიკითხა. ჩვენ ისე გამოვიპარენით ოთახიდან, რომ ვერც კი
გაიგოო".

აკაკისთან ყოფნა ყველას უხაროდა. ულარიბესი გლეხიც
სუფრაზედაც ხშირად სიამოვნებით მოილხენდა ხოლმე პოე-
ტი და თავის ჩვეულ მშვენებას და სიხარულს შეიტანდა. მი-
სი ყოველი სიტყვა, როგორც ძვირფასი თვალმარგალიტი, უხ-

ვი ხელით იბნეოდა მსმენელთათვის. ამიტომ იყო, რომ აკაკის სტუმრობა ყველასათვის დიდად სასიამოვნო, სასიხარულო და თავმოსაწონი იყო. ყველგან დიდი სიხარულით და მოწიწებით ხვდებოდნენ, თუ სახლში ბავშვები იყვნენ, უეჭველად პირველად იმათ შემოაგებებდნენ. ბავშვების დიდი მოყვარული პოეტი სიამოვნებით ისმენდა მათ ტიკტიკს. ბავშვებსაც თავი მოჰქონდათ იმით, რომ „ძია აკაკის" ბევრი ლექსი იცოდნენ ზეპირად და თავს იწონებდნენ მის წინაშე.

აკაკი რომ სადმე მივიდოდა, დამსწრე საზოგადოებას ყველა და ყოველი ავიწყდებოდა და ყურადღების ცენტრად, რა თქმა უნდა, აკაკი ხდებოდა. ყველა ცდილობდა მოესმინა მისი ენამზიანი საუბარი, მისი ბრძნული აზრები, მოსწრებული სიტყვა, პოეტური აღმაფრენით სავსე მეტაფორები.

აკაკისადმი თაყვანისცემა და მისი პიროვნებით აღტაცება იმდენად დიდი იყო, რომ კურიოზობამდე მიდიოდა, მახსოვს ერთი ამბავი: პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც მახლობელ სოფელში წავედით გასვენებაზე. საჩხერეში ერთადერთი გასაქირავებელი ეტლი იყო „ვასილას ფაეტონი", ამ ეტლით აკაკი მიბრძანდებოდა, მე თავმომწონედ ვიყავი წამოსკუპებული მეეტლის კოფოზე. დამხდურები შორს შემოეგებენ დიდ პოეტს. შორიდანვე ისმოდა საშინელი გოდება, მაგრამ მივაღწიეთ თუ არა დიდ ეზოს, ყველაფერი შეწყდა. „აკაკი მობრძანდა, აკაკი მობრძანდა"-ო, გაისმა გარშემო. აკაკის წინ მოეგება ჭირისუფალი, რომელმაც დატირების დროს აკაკის ლექსი წაიკითხა. ეს ამბავი საოცრად ეჩვენება ადამიანს, რომელმაც არ იცის, თუ რა განუსაზღვრელი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა აკაკის ხალხში დამსახურებული. აკაკის საოცარი პოეტური ნიჭი, მისი ოლიმპიური გარეგნობა და ენაწყლიანი შთამაგონებელი საუბარი დიდ ოპტიმიზმს ნერგავდა ყოველ ადამიანში.

მაგონდება 1914 წელი. მაშინ მე ქუთაისში ვსწავლობდი. დეკემბრის ბოლოს გავიგეთ აკაკის ავადმყოფობის ამბავი. იმ ოჯახში, სადაც მე ვცხოვრობდი, ხშირად მოდიოდნენ საჩხერლები, საშიში ამბები ჯერ არავის მოჰქონდა. ერთხანად აკაკის გაუმჯობესების ამბავიც ჩამოიტანეს. იანვარიც მიიწურა და აი, 26-ს (ძვ. სტილით) გავიგეთ გულსაკლავი ამბავი — აკაკი გარდაიცვალაო.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ ჩემს დიასახლისს მოუვიდა წერილი თხოვნით, გავეგზავნეთ საჩქაროდ საჩხერეში. მეორე ჩამაბარეს საჩხერეში მიმავლ ერთ ჩემს ნათესავს და ამავ ღამით სხვიტორში ვიყავი. მეორე დილით ადრიანად აკაკის სახლში წამიყვანეს. მთელ სახლში და ეზოში არაჩვეულებრივი მისვლა-მოსვლა იყო, მაგრამ ამ ფუსფუსშიაც კაცი დიდ მწუხარებას იგრძნობდა, — იგრძნობდა, რომ აქ ესვენა საქართველოს საამაყო მგოსნის ცხედარი.

ამ დღიდან ყოველ დილაადრიან გადავდიოდი ხოლმე აკაკისას და გვიან ღამით ვუბრუნდებოდი. კარგი დარები იყო.

დღემუდამ საქართველოს ყოველ კუთხიდან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები მოდიოდნენ. მთელი ეზო სავსე იყო შორიდან მოსული გლეხებით. სხვიტორის მოსახლეობა ხომ მთლიანად აქ ტრიალებდა.

ჩვენ, პატარა ბავშვები, გავრბოდით იქვე ტყეში, ვკრეფდით აქა-იქ გამოჩენილ ტყის მორცხვ ყვავილებს: კორჩიოტას, იას და სხვ. და ვაბნევდით აკაკის ცხედრის გარშემო, თან გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა, საღამოთი კი სულს ვუწუხებდით შინაურებს გამოკითხვებით.

აკაკის უკანასკნელი ავადმყოფობის ისტორია ასეთია:

აკაკი ქუთაისიდან უქეიფოდ ჩამოსულიყო. ინტენსიურად მუშაობდა თურმე თავის ახალ პოემა „ომზე", რომლის ბედი მას ძალიან აინტერესებდა. 23 დეკემბერს (ძვ. სტილით) კარგ გუნებაზე ყოფილა. თავის დის მოსამსახურე ნატალიასათვის დაუვალებია, წადი და მღვდელს მოახსენე უჩემოდ წირვაც არ დადგესო. მეორე დილით დიდხანს რომ არ გამოსულა თავისი ოთახიდან, მიუკითხავთ და მძიმე ავადმყოფი დახვედრიათ. ამის შემდეგ ის ლოგინიდან აღარ ამდგარა. თავიდანვე დაიჩემა თურმე, მე აღარ მოვრჩებიო. ყველა თავს ველებოდა, ყველა უვლიდა და ცდილობდა შეემსუბუქებია მისი მდგომარეობა: ყოველდღე მოდიოდნენ ექიმები, ნათესავები, მოკეთეები და მეზობლები და ღამეებს უთევდნენ. ერთხანს გაუმჯობესებაც კი დაეტყო თურმე, მაგრამ ეს გაუმჯობესება ხანმოკლე აღმოჩნდა. ჩამოვიდა მისი ვაჟი ალექსი.

ავადმყოფი პოეტი, სხვათა შორის, ინახულა მისმა საყვარელმა მომღერალმა ვარინკა წერეთელმაც (სულიკოს დამმღერებელმა), პოეტმა რამდენჯერმე უთხრა თურმე ალტა აბდუშელიშვილს, წამიკითხეთ ჩემი ახალი ნაწარმოებიო, მაგრამ თხოვნა არ აუსრულეს, რადგან ექიმებისაგან აკრძალული ჰქონდა მისი აღლვება.

უკანასკნელ ღამეს აკაკის თავს ადგნენ ვაჟიშვილი ალექსი, ექიმი, ანეტა იურკევიჩი, რძალი მარიამი და დედაჩემი — ვერა წერეთელი. აკაკის ენა ჩაუვარდა, რაღაცას ლუღლუღებდა, თითს ფანჯრისაკენ იშვერდა. ალექსი ტიროდა. აკაკის რაღაცა უნდოდა მისთვის ეთქვა, ვერ მოახერხა. «Что тебе, папа, лампу переставить?» უარის ნიშნად აკაკიმ თავი გააქნია. სწუხდა, რომ არ ესმოდათ მისი. ცოტა ხანს იქით აკაკი მიიცვალა.

ბევრი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, სად დაემარხათ აკაკი. სოფელი და ნათესავები მოითხოვდნენ აკაკის სურვილის შესრულებას და მის ეზოშივე დამარხვას, მაგრამ სრულიად საქართველოს სურვილმა გადასძლია და გადაწყდა მისი თბილისში დამარხვა.

აი, გათენდა აკაკის თბილისში წასვენების დღეც. რიჟრაჟზე იწყო ხალხმა დენა და ცხედრის გამოსვენებისათვის ეზო და მთელი გზა გაჭედილი იყო. საოცარი სიწყნარე და წესიერება სუფევდა. ცხედარი გამოასვენეს. დაიძრა ეს ზღვა ხალხი. წესრიგს თვით ხალხი იცავდა. პოლიციის მოხელეების ჭაჭანიც კი არსად იყო. პროცესიას წინ მიუძღოდნენ შავჩოხიანი ცხენოსანი ვაჟკაცები შავი დროშებით. კუბო თითქოს ზღვის ტალღებზე მიცურავდა. ყველას უნდოდა, ცოტა ხანს მაინც ეტარებინა ხალხის მესაიდუმლის, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი მგოსნის კუბო. მთელი გზა სამგლოვიაროდ იყო მორთული — სახლებზე სუროს გირლიანდები, ხალიჩები და შავით მორთული აკაკის პორტრეტები, სამგლოვიარო თაღებთან მოწყობილი ტრიბუნები. ყოველ მათგანთან პროცესია ჩერდებოდა და გაისმოდა ორატორების სამგლოვიარო სიტყვები. ორი კილომეტრის გავლას რამდენიმე საათი მოვუნდით, მივაღწიეთ სადგურს, სადაც იდგა სპეციალური მატარებელი. კუბო განსაკუთრებულ ვაგონში დაასვენეს. ვაგონები გაივსო გამცილებლებით. ორთქლმავლის უკანასკნე-

ლი შეკივლება და აკაკი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის მშობელ კუთხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე ყველგან სამგლოვიაროდ მორთული სახლები: ერთი სახლის ღია აივანზე — აკაკის პორტრეტის წინ მთელი ოჯახი: დედ-მამა და მათ წინ ქართულად გამოწყობილი პატარა ქალ-ვაჟი. აი, ჭიათურაც, ბაქანზე აუარებელი ხალხი, უმთავრესად შავი-ქვის მუშები. ზღვა ხალხი მუხლს იყრის ძვირფასი ცხედრის წინაშე. მცირე დაყოვნება, სიტყვები და მატარებელი განაგრძობს გზას. ყვირილის ხეობაში მივარდნილი პატარა სადგურები და ყველგან, თითქოს მწუხარების ნიაღვრისაგან, თავის პატარა სახლებიდან, აქა-იქ მთის წვეროებზე რომ ჩანან, ჩამოყვანილი მუხლმოყრილი აუარებელი ხალხი. ყველგან ზამთრის ყვავილები და შავი დროშები. ეს შავი დროშებით სავსეა მატარებლის ყველა ბაქანი. ისინი ქარისაგან ფრიალებენ და ტკაცატკუცი გააქვთ და ეს შავი დროშებით შემკული მატარებელი კიდევ უფრო სევდის აღმძვრელ შთაბეჭდილებას ახდენს.

აი, პატარა სადგური ბოსლევიც. აქაც აუარებელი ხალხი. ნარმის ორი პატარა შავი დროშა, რომელზედაც გაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი აკაკის პორტრეტი და ქვეშ გულის სიღრმემდე ჩამწვდენი სიტყვები: „შენი სამარე ჩვენი გულია“.

ჩავედით შორაპანში. ღამეა. ცხედარი გადააქვთ თბილისის მატარებლის ვაგონში. მთელი ღამე არ შემწყდარა ხალხის დენა. ყველას უნდოდა უკანასკნელი პატივი ეცა ძვირფასი ადამიანისათვის. დილით უკანასკნელი გამოთხოვება და მატარებელმა საქართველოს გულისაკენ გააქანა იმ ადამიანის ცხედარი, რომელმაც მთელი თავისი ხანგრძლივი დიდად ნაყოფიერი სიცოცხლე თავისი ხალხის სამსახურს შეალია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუვიწყარი შეხვედრები აკაკისთან

გორის საქალაქო პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ სწავლის გასაგრძელებლად თბილისს წავსულიყავი, მომიხდა ჩემს აღმზრდელ სნეულ მოხუცებულებთან სოფელში დაბრუნება... ერთადერთ ნუგეშად, სულის მასაზრდოებელ, დაუშრეტელ წყაროდ გადამექცა მოგონებანი სასწავლებელში განვლილ დროიდან ძვირფასი მასწავლებლების მიხეილ ყიფიანისა და ნიკო ლომოურის დაუვიწყარი გაკვეთილები, მათ მიერ ჩანერგილი სიყვარული როგორც ქართული, ისე რუსული და უცხო ქვეყნის ლიტერატურისადმი.

ვასწავლიდი საყვარელი მგოსნის ლექსებს ღარიბ გლეხის შვილებს და ვივსებოდი კმაყოფილების გრძნობით, როდესაც ვხედავდი, ჩემი ამაგი უქმად არ იკარგებოდა, თვალებგაბრწყინებული ბეჯითი მოწაფის წკრიალა ხმით გამეორებული სიტყვები:

ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო...

ერთიორად თვალწარმტაცად მეჩვენებოდა, რადგანაც დიდებული მგოსნის აზრები და ლექსების კეთილხმოვანება ჩემი დახმარებით მისაწვდომი გამხდარიყო დაჩაგრული ბავშვებისათვის. თვითონაც დასჯილი სწავლის გაგრძელების ამაოწყურვილით, სულიერ სიმშვიდეს დახშული გონების განვითარებაში ვპოვებდი.

ჩემს სოფლურ კარჩაკეტილ ცხოვრებას შუქსა ჰფენდა თბილისში ჩასვლის იშვიათი შემთხვევა.

განსაკუთრებულად ჩამრჩა გულში თბილისში გამგზავრება 1887 წელს... მახსოვს, ახალ შთაბეჭდილებებს დახარბებულმა, დაუნანებლად მივატოვე საგაზაფხულო დღესასწაული-

სათვის კეკლუცად აფერადებული სოფლის ბუნება და გავჩნდი თბილისში. რაღაც უჩვეულო ამბის მოლოდინში შევაღე ძალუა ამატა ბაზილევსკაიას (ბიძაჩემის — ელიზბარ ეროსოვის ცოლის) სახლის კარი და, მართლაც, იმედებმა არ მიღალატეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს. ამატას ისეც მომხიბვლელი სათნო სახე დღეს ბედნიერ ღიმილს უზომოდ დაემშვენებინა.

— Душечка Тасо! შენ ნამდვილად ბედის ვარსკვლავს ჩამოუყვანიხარ ჩემთან! — შეჰყვირა აღტაცებულმა ამატამ და საჩქაროდ შემიყვანა სასტუმრო ოთახში.

— აკაკი, იცნობდე ჩემს მაზლისწულს. ეს არის ეხლა ჩამოვიდა სოფლიდან. მხოლოდ შენს ნახვაზე ოცნებობდა, შენი ლექსები კი თითქმის ყველა ზეპირად იცის.

აკაკიმ ალერსიანი ღიმილით გამომიწოდა ხელი... „მოკვდავსა სიტყვას არ ძალუძს უკვდავზე ქების გამოთქმა“ — ვიგრძენი სიდიადე წამისა. მოწიწებით შევყურებდი საყვარელ მგოსანს, რომელიც განაგრძობდა ჩემს პატარა ბიძაშვილებთან გართობას. როგორ თავისუფლად ნებივრობდა ხუთი წლის ბიჭი მის მუხლებზე, რა სიამოვნებით ეჟღურტულებოდა მგოსანს მისი ალერსით გათამამებული სამი წლის გოგონა. განა ძალუა ამატას განმარტება საჭირო იყო? განა საკმაო არ იყო ერთი შეხედვა, რომ მეცნო მასში უდიდესი მგოსანი, საზოგადოების გამომაცოცხლებელი, ქართველი ხალხის სიამაყე?!

დრომ განვლო... ჩემს ირგვლივ ისევ სოფლის მოწყენილობა, გლეხკაცობის გაჭირვებული ცხოვრება.

მივყვები საკუთარ ფიქრთა დენას და ხშირად ვემორჩილები სურვილს, გავანდო ქაღალდს ჩემი აზრები.

აკაკის სახე წარუშლელად აღბეჭდილია ჩემს გონებაში და თითქოს მამხნევებს, მომიწოდებს ავყვე გულისთქმას, გაბედულად მოვკიდო ხელი კალამს, და მეც ვუჯერებ ამ იდუმალ ხმას: ბავშვებთან მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ვანდომებ კითხვას და წერას.

ერთხელ სამწერლო მაგიდასთან გართულს თავს წამომადგა ჩემი სიყრმის მეგობარი და მეზობელი დათა ბაგრატიონი.

— ტასო! მიანებე ყველაფერს თავი და წამოდი, აკაკი ჩამოვიდა, ჩვენთან არის, ვიცი, შენზე ძალიან არავის გაეხარ-

დება მისი ნახვა!.. — აღტაცებული ამბობდა ის და სულ ძლივს ითქვამდა. მე უცბად ავენთე და, დათაზე არანაკლებად აღფრთოვანებული, გავყევი გარეთ, მაგრამ რაღაც მომაგონდა.

— დათა, მე ნახევარ საათში მოვალ, მინდა ჩემი მოწაფეებიც მოვიყვანო!

დათამ მომიწონა აზრი.

ჩემს მისასვლელად უკეთეს საათს განგებ ვერ შევარჩევდი, საზოგადოება ის იყო მოხერხებულად მოეწყო საუზმის შემდეგ დროს გასატარებლად. აკაკი, როგორც ყოველთვის, ბავშვებშემოხვეული ყველაზე მეტად მხიარულობდა, თავისებურად ხუმრობდა.

ჩემმა რაზმმა საერთო ყურადღება მიიპყრო. სუფთად, თითქოს სადღესასწაულოდ გამოწყობილი გლეხის ბავშვები მორცხვად თავდახრილები ჩამომწკრივდნენ მგოსნის წინ. მათთან ერთად განვიცადე მოკრძალებული თავყვანისცემის ნეტარება, გამოწვეული დიდი პიროვნების საზოგადოებაში ყოფნით.

პირველი წუთების უხერხულობა ჩემს ბავშვებში მალე წრფელი მხიარულებით შეიცვალა და, თითქოს ერთმანეთთან შეჯიბრებულები, ცდილობდნენ ეთქვათ რაც შეიძლება მეტი ლექსი და რაც შეიძლება უკეთესად. ბავშვების სიმღერით და ლექსებით აკაკი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— ყოჩაღ, ტასო! — მეგობრულად გამომიწოდა ხელი აკაკიმ როდესაც უკანასკნელ ბავშვს ალერსიანად გამოეთხოვა.

— ჩემს პატივცემულ ცოლისდას — შენს საყვარელ ძალუა ამატას არაერთხელ ჩამოუგდია ჩემთან ლაპარაკი შენს შესახებ, მაგრამ დღევანდლამდე არ მეგონა, შენი წრის ახალგაზრდა ქალი ასე გულდადებით მოეკიდებოდა ამ საქმეს და ბრწყინვალედ დააგვირგვინებდა.

უსაზღვრო იყო ჩემი აღტაცება, მაგრამ არანაკლებად გახარებულმა დათამ მოინდომა ჩემი კიდევ უფრო მეტად ამაღლება აკაკის თვალში და გამოაცხადა: ტასო ლექსებსაც მშვენივრად წერსო. ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ უკვე გადასცა აკაკის ჩემი ორი ლექსი. აკაკიმ ლექსი იქვე გადაიკითხა და მხიარულად მომმართა:

— არ გირჩევ ლექსების წერას, ისევ სოფლის ბავშვებ-

თან მუშაობას დაუდე გული. დღევანდელმა მათმა გამოსვლამ თვალსაჩინო გახადა ყველასათვის, რამდენი გამოუმჟღავნებელი ნიჭი იკარგება ჩვენს ხალხში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხულობა ვიგრძენი. ვწუხდი, რომ დათამ ჩემივე ფხეიერო ლექსებით გამიფუჭა ასეთი ბედნიერი დღე, დათამ კიდევ ვერ მოისვენა:

— აკაკი, ტასო მოთხრობებსაც წერს, დარწმუნებული ვარ, მოგეწონება...

აკაკის გაეღიმა და რომ შემატყო დაჯავრიანება, გულის გასკეთებლად მითხრა:

— შესაძლებელია მოთხრობა უკეთესად დაწერო და თუ მართლაც ასეა, მე პირველი მოგიმართავ ხელს გზის გაკვალვაში.

ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობების განცდამ დამიკარგეს საღი აზროვნების უნარი. აღელვებული გამოვემშვიდობე აკაკის. საღამოს ჩემი მოთხრობა „ბატონებმა არ დააწუნეს“ დათამ აკაკის წაუღო. მთელი ღამე არ დამძინებია, წყდებოდა ჩემი სიცოცხლის ბედი. რას მომიტანს მზის ამოსვლა? ნათელ დღეს თუ სამუდამოდ მომიკლავს გულს და სათაყვანებელ ადამიანს ათქმევინებს: განა აუცილებლად ყველა მწერალი უნდა გახდეს? დრო ბევრი იკარგება უქმად, საქმე კი მოუვლელი რჩება.

დაუსრულებლად გაგრძელდა ღამე. რამდენი მუდარა, რამდენი ღელვა გავუზიარე მას, როგორ მენატრებოდა მზის სხივის დანახვა და ამავე დროს მეშინოდა მისი...

რამ მოიყვანა ასე ადრიანად დათა? ან კი რა უხარია? მისი თვალების ელვარება არ ეწყობა ნაძალადევად გულგრილად წარმოთქმულ სიტყვებს:

— აკაკი გიბარებს საჩქაროდ!

ნუთუ?!, იმედმა ელვასავით დამიარა მთელ სხეულში. აკაკიმ აივანზე მიმიღო. ეტყობოდა მზის ამოსვლას აქვე შეხვედროდა სავარძელში მჯდარი.

— ტასო, შენი მიზეზით წუხელი მთელი ღამე ვერ დავიძინე! — კარებშივე შემომაგება სიტყვა აკაკიმ. — ძილი თავიდანვე გამიტყდა. ამ დროს გამახსენდა შეპირება და დავიწყე შენი მოთხრობის კითხვა. სანამ არ გავათავე ველარ შევწყვიტე. ძალიან მომეწონა, გადავწყვიტე წავიღო თან და თბილის-

ში ჩასვლისთანავე „კვალში“ დავაბეჭდვინო ანასტასია თუმანი-შვილს.

ვიდექი და უსიტყვოდ შევყურებდი აკაკის. თვალწინ მედგა მზის ხსივებით გაბრწყინებული სახე, თმის შეევრცხლილი ხვეულებით მოვარაყებული, გადაშლილი შუბლი, აწეულ წარბებ ქვეშიდან მუდამ ალერსიანად გადმომყურე თვალები. განვიცდიდი ჩემი ცხოვრების უბედნიერეს წუთებს. ჩემი „ბატონებმა არ დაიწუნეს“ არც დიდებულმა და ყველასათვის საყვარელმა აკაკიმ დაიწუნა.

შემდეგ შეხვედრაზე აკაკიმ მიამბო; შენი მოთხრობა ანასტასიასაც მოეწონა, მაგრამ დაბეჭდვაზე უარი მითხრა — „ცუდად გამოყვანილი დედინაცვალი ჩემს გერებს ჩემს თავსაც შეაძულებსო“. ბოლოს მაინც დავითანხმე, რადგანაც დავექადნე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ავიღებ ხელს „კვალში“ თანამშრომლობაზე-მეთქი.

ასე დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „კვალში“. გავიდა რამდენიმე წელიწადი. აკაკი გადაიქცა ჩემთვის მახლობელ ადამიანად.

1897 წ. სოფელ მეჯვრისხევში მოხდა ჩემი და დუტუ მეგრელის ჯვრისწერა, რომელსაც დაესწრნენ ჩვენი დიდებული მწერლები — აკაკი და გიორგი წერეთელი. აკაკი — მამად, დუტუ მეგრელის მხრიდან, ხოლო გიორგი წერეთელი ჩემი მხრიდან. მამაჩემი, იმჟამად ავადმყოფი, რაღაც თილისმით თითქო გაჯანსაღდა. ის აღტაცებული იყო, რომ მისი თანამედროვე მწერლები — აკაკი, გიორგი და დუტუ, მანამდე მხოლოდ შორეული მოკეთეები, ოჯახის წევრთა და მახლობელთა სიას შეემატნენ .საგანგებოდ გაწყობილმა სუფრამ შემოიკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული თანამედროვე მოღვაწეები. მამაჩემი, სუფრის ღირსეული თამადა, უსაზღვროდ კმაყოფილი იყო და თავის სტიქიაში გრძნობდა თავს; მისმა მჭევრმეტყველებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მას უკან არა რჩებოდა დუტუ მეგრელის ბიძა — ბლაღოჩინი თედორე ხოშტარია, რომელიც სხვებთან ერთად ჩამოვიდა სამეგრელოდან, რათა დასწრებოდა ამ ქორწილს. ჩვენი დამლოცველი აკაკი და გიორგი წერეთელი სიტყვამოსწრებულობით და სულის სიღრმემდე ჩამწვდენ გრძნობიერი სიტყვებით მთელ სუფრას ამხიარულებდნენ.

აკაკის თანდასწრებით ქართული სიტყვისა და ქართული სუფრის ზეიმი თბილისშიაც გაგრძელდა, გიორგი და ანასტასია წერეთლების მიერ ჩვენთვის საგანგებოდ გამართულ ვახშამზე, რომლის შემდეგ გაგვაცილეს და გამოვემშვიდობე ყველა მახლობელსა და საყვარელ მეგობარ მასწავლებლებს. არ მეგონა, რომ სამუდამოდ ვემშვიდობებოდი ჩემს ძვირფას მოამაგეს, ცხოვრების ჩირაღდნად მოვლენილ აკაკის, რომელიც ამ სამახსოვრო საღამოს შემდეგ ცოცხალი აღარ მინახავს, რადგანაც იძულებული გავხდი დუტუ მეგრელთან ერთად გავმგზავრებულიყავი გადაკარგულ ქვეყანაში, სადაც ის ლუკმაპურისთვის მსახურობდა. როდესაც ჩემი სათაყვანებელი მგოსანი გარდაიცვალა, შვილებით ახალ გადმოსული ვიყავი ქ. გორში. თავზარდაცემულმა სხვებთან ერთად მივაშურე სადგურს იმ მატარებლის შესახვედრად, რომელიც აკაკის ცხედარს მოასვენებდა. ქალაქ გორის და მისი მიდამოების მცხოვრებნი, როგორც ერთი ადამიანი, გამოსულიყვნენ ბაქანზე დიდებული მგოსნის ცხედრისათვის უკანასკნელი სალამის მისაძღვენად.

აგერ გამოჩნდა ყვავილებით, შავი ძაძებით და გვირგვინებით შემკული მატარებელი. ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში, ბევრი ტიროდა. მატარებელი გაჩერდა. მეც ნიკო ლომოურთან, ნიკო შიუკაშვილთან და სხვა ადგილობრივ მოღვაწეებთან ერთად ავედი მატარებელში. დავაჩერდი აკაკის ძვირფას სახეს, ვიგრძენი უზომო მწუხარება, აუნაზღაურებელი საუნჯის დაკარგვის გამო. სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ზეგარდმო მადლით გასხივოსნებულ სახეს და მივეცით გზა მატარებელს, რათა მიეტანა ძვირფასი ცხედარი საქართველოს დედაქალაქისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

თანამედროვეთა მოგონებები დიდ მგოსანზე — შ. ბარამიძე . . . 5
ალექსანდრე აბაშელი — აკაკის შარავანდედი (ჟურნ. „მნათობი", № 2, 1952) 9
კოკი აბაშიძე — აკაკი წერეთელი (ჟურნ. „მნათობი", № 6—7, 1933) 22
ბაიდარ აბაშიძე — მოგონება (ბ. აბაშიძე, წერილები, „საბჭოთა საქართველო", 1963) 43
ნატალია აზიანი — რამდენიმე შეხვედრა აკაკისთან (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942) 47
ცაცა ამირეჯიბი — ცრემლითა და ყვავილებით (აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ფონ. 6165) 56
ხ. ანისიმოვი — ბრწყინვალე გენიოსი საქართველოსი („აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს", 1979) 58
სანდრო არჩუაძე — აკაკი (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942) 61
ლევან ასათიანი — აკაკი (ჟურნ. „მნათობი", № 8, 1969) . . . 63
ლადო ბზვანელი — *** („აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს", 1979) 65
ალექსანდრე ბურთიკაშვილი — აკაკი ლადო მესხიშვილის იუბილეზე (ალექსანდრე ბურთიკაშვილი, „ნაკადული", 1962) . . 66
ივანე ბუქურაული — მოგონება (ალმანახი „აკაკის კრებული", 1908) 68
ლადო გეგეჭკორი — აკაკის იუბილე და ალმანახი „მოწაფე" (ლ. გეგეჭკორი, „წლები და შეხვედრები", „საბჭოთა საქართველო", 1977) 70
ნიკო გვარაძე — აკაკი ქართულ თეატრში (ნ. გვარაძე, თეატრალური მემუარები, სახელგამი, 1949) 74
ნინო გოგატიშვილი — შეხვედრა დიდ პოეტთან (აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ფონ. 6837) 85
ლევან გოთუა — უფოთლო ხის ჩრდილი (ჟურნ. „მნათობი", № 9, 1960) 87
იოსებ გრიშაშვილი — ჩემი აკაკი (იოსებ გრიშაშვილი, თხზულებანი 5 ტომად, ტ. IV, „საბჭოთა საქართველო", 1985) . . . 95
შალვა დადიანი — ჩემი წარმოდგენით (ჟურნ. „მნათობი", № 5—6, 1940) 100

ივანე ელიაშვილი — აკაკი (აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებული, 1940) 128
იროდიონ ერემეიშვილი — დაუვიწყარი სტუმრობა (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 14 დეკემბერი, 1980) 152
გიორგი ზაბახიძე — უსაზღვრო კაცთმოყვარე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ფონ. 6166) 154
სპირიდონ ზაბახიძე — მოგონება (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942) 157
ილია ზაუტაშვილი — მოგონება აკაკის შესახებ (გაზ. „ლენინის გზით“, 88—89, 1960) 161
ილია ზურაბიშვილი — აკაკი წერეთელი (ილია ზურაბიშვილი, მოთხრობები, 1977) 165
ექვთიმე თაყაიშვილი — მოგონება აკაკი წერეთელზე (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 6, ნაკვეთი პირველი, 1952) . . . 201
მოსე თოიძე — როგორ დავხატე აკაკი წერეთელი (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942) 209
დომენტი თომაშვილი — აკაკის შესახებ (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942) 214
ზაქარია იაკობაშვილი — მოგონება (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942) 222
იოსებ იმედაშვილი — აკაკი წერეთელი (იოსებ იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, „ხელოვნება“, 1978) 224
ანეტა იურკევიჩი — აკაკის უკანასკნელი დღეები (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 10, 1915) 247
ნიკო კეცხოველი — აკაკი ჩემს მეხსიერებაში (აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ფონ. 6165) 252
საჩინო კირვალიძე — მოგონება (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3—4, 1942) 256
დავით კლდიაშვილი — აკაკი წერეთლის იუბილე (დ. კლდიაშვილი, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, 1981) 258
სერგო კლდიაშვილი — ორფეოსი (ს. კლდიაშვილი, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, 1966) 262
გოგუცა კუპრაშვილი — მოგონებები აკაკიზე (გოგუცა კუპრაშვილი, კვლავ თქვენზე ვფიქრობ, „ნაკადული“, 1976) . . . 272
არტურ ლაისტი — აკაკი წერეთელი (ა. ლაისტი, საქართველოს გული, 1963) 275
მიტროფანე ლალიძე — შეხვედრები დიდ პოეტთან (ალექსანდრე სიგუა, მიტროფანე ლალიძე, „საბჭოთა საქართველო“, 1980) . 282
ნიკო ლორთქიფანიძე — ერთი საღამოს აკაკისთან (ნ. ლორთქიფანიძე, ქედუხრელნი, „საბჭოთა მწერალი“, 1946) 286

ლ. მაირანოვსკი — დაუვიწყარი... (გაზ. „საბჭოთა აჭარა", 27 ნოემბერი, 1960) 288
შალვა მარკოზაშვილი — აკაკი სოფელ ქისტაურში (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 6 დეკემბერი, 1974) . . . 291
ეკატერინე მაჩაბელი — აკაკი ჩემს ხსოვნაში (გაზ. „კომუნიზმისაკენ", 5/VI, 1960) 292
ანტონ მაჭარაშვილი — *** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ფონ. 6166) 293
სოფრომ მგალობლიშვილი — აკაკი (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, „ფედერაცია", 1938) 294
სოსიკო მერკვილაძე — მწარე მოგონება („აკაკის საიუბილეო კრებული", 1908) 311
ეფემია მესხი — *** (ჟურნ. „ხელოვნება", 1957) 316
ითნა მეუნარგია — სამახსოვრო ფურცლები აკაკის შესახებ (ლიტერატურს მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 320
კატო მიქელაძე — დიდი აკაკი (გაზ. „წიგნის სამყარო", № 24, 23 დეკემბერი, 1987) 325
კ. მოდებაძე — აკაკი და საღვთო წერილი (გაზ. „კომუნისტი", 16/V, 1928) 333
კოლაუ ნადირაძე — ჩემი ყრმობის მოგონებანი (ერთტომეული, „მერანი", 1971) 334
კონსტანტინე ნიკოლაძე — მოგონებანი აკაკიზე (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 336
რუსუდან ნიკოლაძე — რიონის პირას (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 339
ილია ომიაძე — *** (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) . . 361
ილარიონ ულენტი — აკაკი და ახალგაზრდობა (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 363
გრიგოლ რობაქიძე — აკაკი (ჟურნ. „ქართული მწერლობა", № 1-2, 1930) 368
ვარლამ რუხაძე — მოგონება აკაკიზე (ჟურნ. „ქართული მწერლობა", № 1-2, 1930) 375
აბელ სადუნიშვილი — *** (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 383
მაკო საფაროვა-აბაშიძე — აკაკი (ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", № 6, 1940) 385
თედო სახოკია — აკაკი წერეთელი (თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები", „ნაკადული", 1969) 395
გალაკტიონ ტაბიძე — აკაკი (გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, „საბჭოთა საქართველო", 1975) 400
ვაჰან ტერიანი — აკაკი წერეთელი მოსკოვში (გაზ. „ახალი ცხოვრება", 20 ნოემბერი, 1975) 403
იაკობ ფანცხავა — ჩემი მოგონება (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 406

სოსიკო ფანცხავა — *** (ჟურნ. „მნათობი“, № 9, 1960) . . . 410
დავით ფალავა — ოთხი წელი აკაკისთან (ჟურნ. „მნათობი“, № 7, 1936) 418
სამსონ ფირცხალავა — აკაკი (ჟურნ. „მნათობი“, № 6, 1971) . . 452
ზაქარია ფორაქიშვილი — აკაკი ქართული ლექსიკონის შესახებ (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 446
გიორგი ქუჩიშვილი — მოგონება აკაკიზე (გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 12 თებერვალი, 1935) 451
დომენტი ყიფიანი — *** (აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ფონ. 6166) 454
აკაკი შანიძე — აკაკის იუბილე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჟურნ. „მნათობი“, № 9, 1960) 455
ილია ჩიქოვანი — ნაწყვეტი მოგონებიდან („მოგონებანი“, „საბჭოთა მწერალი“, 1958) 462
დავით ჩხეიძე — მოგონებათა კრიალოსანი (გაზ. „კომუნისტი“, № 276, 1965) 463
ნინო ჩხეიძე — „ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 24 ნოემბერი, 1965) . 467
კოლია ცქიტიშვილი — „არა, აყვავდეს იმედი!“ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, № 227, 24 ნოემბერი, 1965) 471
სიმონ ცქიტიშვილი — ვინც არ მუშაობს... (აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი, ფონ. 6166) 473
ვარლამ ძიძიგური — აკაკი წერეთელი (ვ. ძიძიგური, გზები და ადამიანები, „ნაკადული“, 1965) 475
ვარინკა წერეთელი — „სულიკოს“ ავტორი ჩემს ხსოვნაში (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 485
ვასილ წერეთელი — ძია აკაკი (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 489
პაპუნა წერეთელი — პოეტის სამშობლო სოფელი (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 49
ანასტასია ხოშტარია — დაუვიწყარი შეხვედრები აკაკისთან (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942) 502

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ВОСПОМИНАНИЯ ОБ АКАКИИ ЦЕРЕТЕЛИ

(На грузинском языке)

Издательство «Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1990

რედაქტორი ნ. ინასარიძე
მხატვარი ი. დივნოგორცევა-გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ლ. არჩვაძე
გამომშვები მ. წივწივაძე

ს. ბ. № 7093

გადაეცა წარმოებას 08.01.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 04.06.90. უე 05569. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 26,88. პირ. საღ.-გატ. 26,88. სააღრ.-საგამომც. თაბახი 22,76. ტირაჟი 50.000. შეკვეთა № 37.

ფასი 5 მან.

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета по печати Грузинской ССР пр. Гр. Робакидзе № 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა